ბ. ა. ახვლედიანი

სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში

სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი—1956

ამ წიგნს ვუძღვნი შვილების.

ლიანას, იზარის და ჯაბას ნაიელ ხსოვნას.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

„შეიძლება არც მოიძებნებოდეს მსოფლიოში ასეთი მეორე ქვეყანა, რომელსაც ამდენი შემოსევა-დაპყრობა და ტაცება-აოხრება განეცადოს, რამდენიც საქართველომ თავის ხანგრძლივი ისტორიის სიგრძეზე განიცადა.“[1]

ქართველი ხალხის ისტორია არის სამშობლოს დაცვისა და უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირული ბრძოლის ისტორია. ბევრი მწარე, მძიმე განსაცდელი ახსოვს ქართველ ხალხს. სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა მთელ ქართველ ხალხთან ერთად შეუდრეკლად ებრძოდა საგარეო და საშინაო მტრებს და გმირულად იცავდა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

„აურაცხელი მტერი უნახავს საქართველოს, ბევრჯერ დასტყდომია მას თავზე საშინელი უბედურება, მაგრამ ქართველმა ხალხმა მაინც შეინარჩუნა თავისი ეროვნული არსებობა, თავისი ძველი კულტურა.“[2]

ჩვენი წინაპრები უმთავრესად საკუთარი ძალებით ამარცხებდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს. ქართველი ხალხის ისტორია სავსეა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის გმირული ეპიზოდებით. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის მოსახლეობა აღნიშნული ბრძოლების ენერგიული მონაწილე იყო. ვიდრე ქართველი ხალხი სახელმწიფოებრივ მთლიანობას მოიპოვებდა, მასში შემავალ ტომობრივ გაერთიანებებსა და ადრეფეოდალური ტიპის სახელმწიფოებს ცალ-ცალკე უხდებოდათ ბრძოლა საგარეო მტრების წინააღმდეგ. ასე იყო, მაგალითად, ლაზთა სახელმწიფოსა და შემდეგ ტაო-კლარჯეთის სამთავროს, ისევე როგორც სხვა პოლიტიკური ერთეულების, არსებობის ხანაში.

ქართველი ხალხის თავდაცვითს ბრძოლებს ძველთაგანვე ახასიათებდა სამშობლოს თავისუფლებისადმი დიდი სიყვარული და

1 აკად. ნ. ბერძენიშვილი, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. თათართა ბატონობის ხანა, თბილისი, 1941 წ., გვ. 3.

2 აკად. ს. ჯანაშია, ქართლის ცხოვრების ძველი და ახალი ფურცლები. ნაკვეთი პირველი. საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1942 წ., გვ. 8-9.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის თავდადების ღრმა იდეალები. ეს შესანიშნავად გამოიხატა იმ მგზნებარე სიტყვაში, რომლითაც ეგრისის, იგივე ლაზეთის (დასავლეთ საქართველოს), მეფე გუბაზმა მიმართა სპარსელი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლ ხალხს: „მე არ ვიცი, ვაქკაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ რჩევა-დარიგებით მომართვა თქვენდამი, თქვენს აღსაფრთოვანებ-ლად, ვინაიდან მე ვფიქრობ, რომ არავითარი მოწოდება არ ესაჭიროება იმათ, ვინც საჭიროებითა და გარემოებითაა უკვე აღფრთოვანებული, რასაც ამჟამად აქვს ადგილი. საფრთხე არსებობს ხომ ცოლებისათვის, სამშობლო ქვეყნისათვის და, ერთი სიტყვით, ყველაფრისათვის, რის გამოც სპარსელებმა ჩვენზე იერიში მოიტანეს. თქვენ კარგად იცით, რომ წინ არაფერი უდგება სპარსელების ანგარებას, როდესაც მათ ეს შეუძლიათ: თუ ისინი ამ ომში გაიმარჯვებენ, არა თუ მხოლოდ დაგვიმორჩილებენ, ან ხარკს დაგვადებენ, ან სხვა რამესაც დაისაკუთრებენ. ნუ დაივიწყებთ იმასაც, რაც ამას წინათ ხოსრომ ჩაიდინა ჩვენს მიმართ, მაგრამ დე სიტყვის ფარგლებში ნუ დაგვირჩება სპარსთა საქმეები. დე ნუ აღიგვება სახელი ლაზთა. ძნელი არ არის. ვაქკაცებო, მიდთა წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის, რომელთაც ხშირად გაგვიმარჯვებია მათზე ხელჩართულ ბრძოლაში. მიჩვეულებისათვის არ არსებობს არავითარი სიძნელე, ვინაიდან საქმის სიდუხჭირე წინდაწინვე ქრება მეცნიერებისა და გამოცდილების წყალობით. ასე რომ შესაფერისი იქნება გძულდეთ მტერი: როგორც ბრძოლაში დამარცხებულნი და არა თქვენთვის აღფრთოვანებულნი, ერთხელ დამორჩილებული სიამაყე, ჩვეულებრივ ვეღარ აღორძინდება, მაშ იქონიეთ ეს მხედველობაში და შეებრძოლეთ მოწინააღმდეგეს, აღესილნი კეთილი იმედებით.“[1]

გუბაზ მეფის ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს იმ ისტორიული ბრძოლების სურათი, რომლებიც გადაუტანია ლაზეთს უცხოელი მოძალადეების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კოლხეთის ისტორიაში მრავლადაა შემონახული ძველ პატრიოტთა მგზნებარე მოწოდების სიტყვები, რომლითაც ისინი აღაფრთოვანებდნენ მებრძოლებს დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

---

1 ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. 2, გვ. 117—119, თარგმანი ბერძნულიდან პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა.

„მე ვინატრებდი, კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძლიერება, რომ ის ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს.“ — ამბობდა კოლხეთის გმირი აიეტი.[1]

ბერძენი და რომაელი მწერლების მიერ დატოვებულ ძვირფას ცნობებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა იხსენიება, როგორც გმირი ხალხი, რომელიც არავის ქედს არ უხრიდა: „ლაზები თავდაპირველად კოლხეთის ქვეყანაში მოსახლეობდნენ და რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო არც ხარკს იხდიდნენ და არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ.“[2]

იმდროინდელი კოლხეთი კულტურის განვითარების მხრივ მეტად მაღალ საფეხურზე მდგარა. ამას იმ დროის მომსწრე რომაელი მწერლები ადასტურებენ. მათი გადმოცემით, გონიაში იმ დროს ყოფილა იპოდრომი და თეატრიც, რაც დამახასიათებელია დიდი ქალაქებისათვის. კოლხეთის მატერიალური და სულიერი კულტურის მაღალი დონის მაუწყებელია ჩვენამდე მოღწეული მრავალი ისტორიული ძეგლის ნაშთი. ამ მხარეში ციხე-სიმაგრეთა სიმრავლე არც უცხოელებს დარჩენიათ შეუმჩნეველი. ბერძენი მწერალი ქსენოფონტე თავის ნაწარმოებში აღნიშნავდა, რომ კოლხეთში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყო ციხე-სიმაგრეები. ამ ისტორიული ძეგლებისაგან ბევრი მათგანი დღევანდელი აჭარის ფარგლებშიაც არსებობს. სიდიდითა და სტრატეგიული მნიშვნელობის მხრივ მათგან ყურადღებას იპყრობს გონიისა და ციხისძირის (პეტრას) ძეგლები. პეტრას ციხე ძველი ქალაქის ერთი ნაგებობა უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს ციხის გარშემო ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი საშენი მასალის ნაშთები. ქალაქის ნანგრევები შენიშნულია ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის ფართობში, ზღვის ნაპირზე.

ციხე-ქალაქი პეტრა და გონია ქართველების მიერ არის აშენებული. უცხოელებს, ამ ადგილების დაპყრობის შემდეგ, მოუხდენიათ მათი რეკონსტრუქცია. რომ პეტრა რომაელების შემოსვლამდე არსებობდა, ამას თვით რომაელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი ადასტურებს: „პეტრა ზღვისპირა ქალაქია კოლხეთში

1 ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1936 წ., გვ. 66.

2 პროკოპი კესარიელი, (საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. 6; 1931 წ., გვ. 349.).

ეგრეთწოდებული ევქსინის პონტთან: ის უმნიშვნელო იყო წინეთ, ხოლო იუსტინიანე შეფემ გარე ზღუდისა და სხვა მინაშენების საშუალებით გაამაგრა და ყოველმხრივ გაამშვენიერა კიდეც".[1]

გონიასა და პეტრას ციხეები მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილზე ყოფილა გაშენებული. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას თქმით, პეტრა დასავლეთ საქართველოსათვის ისეთსავე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, როგორც თბილისი აღმოსავლეთ საქართველოსათვის.[2]

ლაზთა სახელმწიფო იმ დროისათვის ძლიერ სამეფოდ იყო ცნობილი, მაგრამ ფეოდალიზაციის განვითარების შედეგად იგი დაიშალა.

არაბმა დამპყრობლებმა დიდი ზიანი მიაყენეს ქართველ ხალხს. განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო მათი შემოსევა 736 — 738 წლებში სარდალ მურვან-ყრუს მეთაურობით. მაშინ დამპყრობლებმა ნანგრევებად აქციეს მთელი საქართველო. როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი ნაწილების მოსახლეობა გმინავდა სასტიკ დამპყრობთა. უღელქვეშ. დაიწყო გააფთრებული ბრძოლა არაბების წინააღმდეგ. ბრძოლა გაჩაღდა, როგორც იარაღით, ისე რელიგიის სფეროშიაც. ეს უკანასკნელი მომენტი კარგად გამოიხატა მე-8 საუკუნის მწერლის იოანე საბანის-ძის ქადაგებაში. მწერალი მოუწოდებდა ქართველ ხალხს, დაეცვა თავისი ქრისტიანული სარწმუნოება და კულტურა.

არაბთა ბატონობის სიმწვავე შედარებით ნაკლებად განიცადა სამხრეთმა საქართველომ, რომელიც მე-8-9 საუკუნეებში საქართველოს სხვა პროვინციებთან შედარებით თანდათანობით წინაურდებოდა, მაგრამ საქართველოს ეს ნაწილიც მთლად ვერ გადაურჩა დამპყრობთა რისხვას. არაბებთან ბრძოლას შეეწირა ასობით მებრძოლი სამხრეთ საქართველოდან და თვით მთავარი ტაო-კლარჯეთისა აშოტ ბაგრატიონიც.

მე-9 საუკუნეში არაბთა სახელმწიფოს დაშლის გაღრმავებასთან ერთად კიდევ უფრო გაფართოვდა ქართველთა ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ამ ბრძოლას მაშინ ხალიფატისაგან გამდგარი ამირეებიც უწყობდნენ ხელს. X საუკუნის დამდეგისათვის არაბთა ბატონობას უკვე ბოლო მოეღო.

---

[1] ბ. კესარიელი, (საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. 6. 1931 წ., გვ. 358).
[2] აკად. სიმონ ჯანაშია, შრომები, ტ. I. თბილისი. 1949 წ., გვ. 30.

მიუხედავად არაბთა ბატონობის მოსპობისა საგარეო საფრთხე არ შენელებულა. თავდაცვისათვის გაერთიანების აუცილებლობის საჭიროება და .საქართველოს ცალკეულ პროვინციებს შორის ეკონომიური დაახლოება, ისევე როგორც ენისა და კულტურის ერთიანობა, იყო ის პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყეს საქართველოს პოლიტიკურ გამთლიანებას და ცენტრალიზებული, ფეოდალური მონარქიის შექმნას მე-10 საუკუნის მიწურულში.

X — XII საუკუნეებში ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება შეუჩერებელი დაწინაურების გზით მიდიოდა. ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული ვაჭრობა-ხელოსნობა. საქართველოს გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებთან. ქვეყანა მოიფინა მშვენიერი სასახლეებით, ეკლესიამონასტრებით, გაყვანილ იქნა გზები, სარწყავი არხები, გაჩნდნენ ახალი ქალაქები, სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ცენტრები.

განსაკუთრებით მაღალ საფეხურზე ავიდა უმდიდრესი ტრადიციების მქონე მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა. განვითარდა ქართული ენა, რომელიც საერთო სახალხო ენად იქცა. დაწინაურდა ხელოვნება, ლიტერატურა და მეცნიერება. გაჩნდნენ საშუალო საუკუნეების ტიპის სასწავლებლები — გელათისა და იყალთოს აკადემიები, რომლებიც განათლებისა და კულტურის კერებად იქცნენ. იმ დროის ქართველმა ფილოსოფოსებმა—ეფრემ მცირემ, იოანე პეტრიწმა, არსენ იყალთოელმა, იოანე ტარიჭისძემ და სხვებმა სათანადო კვალი დატოვეს მაშინდელ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში. გიორგი მთაწმინდელი, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსები და სხვ. იმ დროისა ვის დიდად განათლებული პირები იყვნენ.

ქართულმა ფეოდალურმა საერო და სასულიერო მწერლობამ X—XII საუკუნეებში თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ამ მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ მერჩულე, ექვთიმე ათონელი, ჩახრუხაძე და სხვები, რომლებმაც იმ დროის საუკეთესო ნაწარმოებები შექმნეს. შოთა რუსთაველი საშუალო საუკუნეების საქართველოს უდიდესი პოეტი იყო, რომელმაც დასწერა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის უკვდავი პოემა — „ვეფხის ტყაოსანი.“

საკმაოდ გაიზარდა საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო მნიშვნელობა.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი მეზობელი, ოდესღაც ძლევამოსილი ბიზანტიის იმპერია XII საუკუნეში დასუსტებული, სასიკვდილოდ დაავადებული იყო. ბიზანტიის დასუსტებას დიდად შეუწყეს ხელი შუა აზიიდან მცირე აზიაში გადმოსახლებულმა თურქ-სელჩუკებმა, მაგრამ ამ უკანასკნელთა მიერ შექმნილი სახელმწიფო დღემოკლე აღმოჩნდა და მალე დაიშალა ცალკეულ მაჰმადიანურ სამთავროებად. ასე რომ საქართველოს გაძლიერებულ სახელმწიფოს მაშინ საშუალება მიეცა უფრო გაბედულად ემოქმედნა და ბიზანტიის საქმეებში აქტიურად ჩარეულიყო. ამას, თამარ მეფის დროს, შედეგად მოჰყვა ტრაპიზონის იმპერიის — საქართველოს სავასალო სახელმწიფოს შექმნა შავი ზღვის სამხრეთ ნაპირზე.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოებრივი გაერთიანება შიგნიდან განმტკიცებული, ძლიერ საფუძველზე აშენებული არ ყოფილა. ცალკეულ მეფეთა მტკიცე ცენტრალისტური და თვითმპყრობელური პოლიტიკა ფეოდალთა კლასის მიერ მხარდაჭერას ვერ პოულობდა. ფეოდალები იბრძოდნენ დამოუკიდებელი ძდგომარეობის შენარჩუნებისათვის; ისინი ვერ ურიგდებოდნენ მეფის ხელისუფლების გაძლიერებას, რასაც შედეგად მოსდევდა მათი უფლებების შეზღუდვა.

საშუალო საუკუნეების გამოჩენილმა ხელმწიფემ დავით აღმაშენებელმა თავისი დროისათვის უდიდესი შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა და ძირითადად სწორად შეაფასა სახელმწიფოსა და სამშობლოსადმი თავნება ფეოდალების დამოკიდებულება. ისტორიულ ნაწარმოებთა გადაკითხვამ იგი დაარწმუნა, რომ „ნათესავი ქართველთა (ფეოდალთა, ხ. ა.) ორგულ ბუნება არს პირველთაგან თვისთა უფალთა. რამეთუ რაჟამს განდიდნენ. განსუქნენ და დიდება პოვონ და განსუენება, . იწყებენ განზრახვად ბოროტისა". ამიტომ მეფე ფეოდალებს გაძლიერების საშუალებას არ აძლევდა და ურჩებს სასტიკად სჯიდა. მაგრამ, სამწუხაროდ, დავით აღმაშენებლის შემდეგ ცენტრალურმა ხელისუფლებამ თვითნება ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში მარცხი განიცადა.

თამარ მეფის დროს აზნაურებმა შეზღუდეს საქართველოს მეფის ხელისუფლება და დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში სერიოზული უფლებები მოიპოვეს.

მე-12-13 საუკუნეებში საქართველოში ფეოდალური ურთიერთობა თანდათანობით ღრმავდებოდა. თავისუფალ მიწისმოქმედთა კლასის მდგომარეობა შეუჩერებლივ უარესდებოდა. ფეოდალები მათ ხელიდან აცლიდნენ მიწებს და იმონებდნენ. ძველი თავისუფალი, თუ ნახევრადთავისუფალი გლეხი ამიერიდან უკვე მიჯაჭვული იყო ფეოდალის მიწაზე და მძიმე ბეგარა-გამოსაღებებს იხდიდა. ფეოდალთა უფლებები თავიანთ ყმა გლეხებზე სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა.

ადრეულ ხანაში აზნაურობა-წარჩინებულობა უმთავრესად სამეფო კარზე სამსახურთან და ლაშქრობაში მონაწილეობასთან იყო დაკავშირებული. ცენტრალური ხელისუფლების მოხელეებს, თანამდებობის პირებს მეფე მიწებს ურიგებდა. მაგრამ მოხელის, თუ აზნაურის მიერ მეფისაგან მიღებული მიწა მათ საკუთრებას არ შეადგენდა. მიწა მხოლოდ სარგებლობისათვის იცემოდა; აზნაურები კი თავიდანვე ცდილობდნენ, რომ სარგებლობაში მიღებული მიწები საკუთრებად ექციათ და თავიანთ საშვილიშვილო მემკვიდრეობაში განემტკიცებინათ. ამ მიმართულებით მათ ბრძოლას წარმატება ჰქონდა მე-12 ს. მიწურულში, როდესაც სახელმწიფო საქმეებში აქტიური ჩარევით მათ შესძლეს მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის თანდათანობითი დამკვიდრება.

მე-13 ს. 20-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება შეუჩერებელი დაცემის გზით წავიდა. ხვარაზმელების პერიოდულმა შემოსევებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს ქვეყანას. შედარებით სუსტ სოციალურ-ეკონომიურ საფუძვლებზე გაერთიანებული საქართველო მალე შეირყა. ცენტრალური ხელისუფლება მოდუნდა და ღაშლის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

ხვარაზმელთა ბატონობა მალე ველური მონღოლური ურდოების ბატონობამ შესცვალა. ქრისტიანული საქართველო ფაქტიურად მარტოდმარტო აღმოჩნდა უკულტურო და მომთაბარე დამპყრობლების პირისპირ. XIII ს. 40-იანი წლებიდან, როდესაც მონღოლთა მფლობელობის ხანა დაიწყო, განსაკუთრებით გამოვლინდა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური დაცემის პროცესი.

საქართველოს განვითარების საქმეში (ისე როგორც სხვა ხალხების ისტორიაში), მონღოლთა ბატონობამ მეტად უარყოფითი როლი შეასრულა.

მონღოლებმა ქვეყანას მძიმე ხარკი დაადეს და საქართველოს მოსახლეობა ჩააბეს გამუდმებულ ლაშქრობაში, რომელსაც ყოველწლიურად ათასობით ჯანსაღი, შრომის უნარის მქონე მშრომელი, მწარმოებელი გლეხი ეწირებოდა. განვითარებული სოფლის მეურნეობა დეგრადაციის გზით წავიდა.

მონღოლებმა მძიმე დაღი დაასვეს საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებას და ნიადაგი გაუძლიერეს ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის დაშლის ტენდენციებს. 1247 წელს საქართველოში ორი მეფე დაამტკიცეს. ამ ფაქტმა საფუძველი ჩაუყარა ბაგრატიონთა 2 სამეფო შტოს — ლიხს იქეთას და ლიხს აქეთას, რომლებიც შემდგომ ხანაში ცდილობდნენ ცალკეული ტახტის შენარჩუნებას და ამით აღრმავებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ დაშლას.

XIII ს. 50-ანი წლებიდან მონღოლთა ბატონობის უღელი კიდევ უფრო დამძიმდა. დამპყრობლებმა გაადიდეს ხარკი და ბეგარა. მწარმოებელი კლასი საშინელ დღეში ჩავარდა. გლეხები ამ დროს ორმაგ ჩაგვრას განიცდიდნენ. ერთი მხრით. მათ ძარცვავდნენ საკუთარი მებატონეები, ხოლო მეორე მხრით უცხოდამპყრობლები. გადასახადები იმდენად დიდი იყო, რომ გლეხისათვის მეურნეობის წარმოება სავსებით უაზრო ხდებოდა. იგი ვერ აუდიოდა გადასახადებს და იქცეოდა ბოგანოდ, ან ხიზნად მიდიოდა. ასეთ პირობებში ქრებოდა ქვეყნის მატერიალური დოვლათი.

XIII ს. 60-იანი წლებიდან იწყება მწვავე ბრძოლა მონღოლურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს შორის. საქართველო ჩრდილოეთისა (ოქროს ურდო) და სამხრეთის (ირანის) მონღოლური ურდოების სათარეშო ასპარეზი ხდება, რაც იწვევს დიდძალი ცოცხალი ძალის განადგურებას. გამუდმებულ ომს შეუძლია საზოგადოებრივი ცხოვრების უფსკრულამდე მიყვანა. საწარმოო ძალების, ცოცხალი ძალის ძირითადი მასის განადგურება, საერთოდ, ლახვარს სცემს ქვეყნის ეკონომიკას. ასეთ პირობებში მყოფი საქართველოს სამეურნეო განვითარება შეფერხდა.

მონღოლთა ბატონობის ხანაში საფუძვლიანად შეირყა ქართული სახელმწიფოებრივი სისტემა. დამპყრობლებმა გააფართოვეს საქართველოს ცალკეული პროვინციების მმართველების — ერისთავების უფლებები, მფლობელობაში დაუმტკიცეს მათ მა-

მეულები, გააძლიერეს ისინი და საქართველოს მეფეს დაუპირისპირეს. ამით საფუძველი გაუმაგრეს მთავართა წარმოშობას — საქართველოს პოლიტიკურ დაშლას.

განსაკუთრებით საშინელი იყო აღმოსავლეთი საქართველოს მდგომარეობა XIII ს. მიწურულს, როდესაც ადგილი ჰქონდა მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებებს. ამას თან სდევდა დამპყრობთა ველური ურდოების თარეში და მოსახლეობის გაჩანაგება, შიმშილი და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი საშინელება.

განაწამები ქართველი ხალხის მდგომარეობა რამდენადმე შეესუბუქდა მხოლოდ მე-14 ს. I ნახევარში, როდესაც მონღოლთა სახელმწიფოს დაშლის შედეგად საქართველომ თავი დააღწია მძიმე ხარკს და ამ ხარკის აკრეფასთან დაკავშირებულ ძალადობას. შეიქმნა ერთგვარი პირობები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის აღდგენა-გამოსწორებისათვის. გიორგი ბრწყინვალეს ნაყოფიერმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო აღდგენითი საქმიანობის წარმატებას. იდეალად იყო დასახული მონღოლებამდელი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური ძლიერების აღდგენა. ამ მხრივ მართლაც მნიშვნელოვან წარმატებებს ჰქონდა ადგილი. შემუშავებულ იქნა ახალი კანონმდებლობა, აღდგა საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა (ორმეფობის მოსპობა, გამდგარი მესხეთის შემომტკიცება), მუსრი გაეკვლო თავნება ერისთავებს. მაგრამ ამ წარმატებებმა მხოლოდ დროებით შეაჩერეს ადრე დაწყებული დაცემის პროცესი. მოპოვებულ მიღწევათა შენარჩუნება შეუძლებელი გახდა კვლავ წამლეკავ იმ შემოსევათა შედეგად, რომლებიც ჩვენს ისტორიაში თემურლენგის შემოსევათა სახელით იხსენიება.

1386 წლიდან დაიწყო თემურლენგის მრისხანე შემოსევები საქართველოში.

განადგურებული, გაფანტული და წელში გატეხილი მწარმოებელი კლასის გაძლიერება, მისი კვლავ მომრავლება და ძველი, განვითარებული სოფლის მეურნეობის გაჩაღება მომდევნო პერიოდში სულ უფრო და უფრო ძნელი და თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. მხოლოდ ცალკეულ ეტაპებზე, მცირე დროის მონაკვეთებზე, და ისიც საგარეო საფრთხის მინელების ვითარებაში, იქმნებოდა მდგომარეობის ნაწილობრივი გამოსწორების საშუალება.

მე-15 საუკუნის პირველ ნახევარში ცენტრალურმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩაატარა დანგრეული და გაპარტახებული ქვეყნის აღდგენისათვის. ამ ღონისძიებებს ნაწილობრივი წარმატება ჰქონდა, მაგრამ დაცემის პროცესის შეჩერება მაინც შეუძლებელი გახდა.

აღვირახსნილი თავადების ბრძოლას ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ენერგიულად უჭერდნენ მხარს უცხო დამპყრობლები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ საქართველოს დაშლა-დასუსტებით. ასეთ ვითარებაში საქართველოს პოლიტიკური დაშლა გარდაუვალი იყო.

„ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლა მოხდა საბოლოოდ გამარჯვებული ბატონყმობისა და განვითარებამდი ფეოდალური შეუვალობის პირობებში, ეკონომიური რეგრესიისა და სამეურნეო დეგრადაციის შედეგად, რაც თავის მხრივ წოდებრივ-კლასობრივ და საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა რთული გადახლართვის შედეგი იყო.“ (ნ. ბერძენიშვილი).

XV საუკუნის შუა წლებში საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობა უაღრესად გამწვავდა. ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით მყოფი მეზობელი — ბიზანტიის იმპერია მე-12 საუკუნიდან მოყოლებული სწრაფი დაცემის გზით წავიდა. მისი საბოლოო განადგურება განსაკუთრებით დააჩქარეს შუა აზიიდან მცირე აზიაში გადმოსახლებულმა თურქ-ოსმალებმა, რომელთაც აქ მე-13-14 საუკუნეთა მიჯნაზე სახელმწიფო შექმნეს და ბიზანტიის ტერიტორიის ხარჯზე თანდათანობით აფართოებდნენ თავიანთ სამფლობელოს.

1453 წ. ოსმალებმა დაიპყრეს ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი, რომელიც იმ დროის სამყაროში ერთი უმშვენიერესი და უმდიდრესი ქალაქი იყო. კონსტანტინოპოლის აღებით ოსმალებმა საბოლოოდ მოსპეს ბიზანტიის იმპერია. კულტურული ბიზანტიის — ქრისტიანული სახელმწიფოს — ნაცვლად ამიერიდან საქართველოს დაუმეზობლდა უაღრესად ჩამორჩენილი, აგრესიული და მაჰმადიანური ოსმალეთის იმპერია.

ოსმალო დამპყრობლებმა კონსტანტინოპოლის დამორჩილების შემდეგაც დიდი წარმატებით გააჩაღეს მტაცებლური ომები როგორც ევროპაში, ისე ახლო აღმოსავლეთში. მალე მათ თითქმის მთლიანად დაიპყრეს ბალკანეთის ნახევარკუნძული, ჩაჰკე-

ტეს შავი ზღვა. ამ ფაქტს საქართველოსათვის კატასტროფული მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს ოსმალეთმა ჩაუკეტა იმ დროს მოწინავე ევროპასთან დამაკავშირებელი გზები. გარდა ამისა, ოსმალებმა სწრაფი შეტევა განავითარეს თვით საქართველოს მიმართულებითაც. მათი უპირველესი მსხვერპლი ხდებოდა ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილები. სამხრეთ საქართველო უდიდესი განსაცდელის წინაშე დგებოდა.

სამხრეთ საქართველოს დაპყრობა ოსმალეთის მიერ

ოსმალთა გაძლიერებამ საქართველო არა მარტო პოლიტიკურად იზოლირებულ მდგომარეობაში ჩააყენა, არამედ ეკონომიურადაც ძლიერ შეარყია მისი მდგომარეობა. ამ ვითარებამ დიდ განსაცდელში ჩააგდო დასავლეთი ევროპის სახელმწიფოებიც; მათ მიზნად დაისახეს თურქების განდევნა კონსტანტინოპოლიდან. ამისათვის ისინი ცდილობდნენ კავშირის შეკვრას იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც ოსმალეთის უკმაყოფილონი იყვნენ.

საქართველო თავის მხრივ მიზნად ისახავდა თურქების განდევნას საქართველოს საზღვრებიდან. თურქებთან მოსალოდნელი ბრძოლის საქმეს, მეფე-მთავართა კავშირს ხელმძღვანელობდა გიორგი მეფე. ამ კავშირში შედიოდნენ: ყვარყვარე ათაბაგი, ბედიანი, აფხაზეთის, გურიისა და სხვა მთავრები, აგრეთვე აღმოსავლეთის მაჰმადიანურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები უზუნ-ჰასანის ჩათვლით. ისინი რომის პაპს და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს სწერდნენ წერილებს და მათთან გზავნიდნენ ელჩებს ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად. მაგალითად, 1459 წელს ბურგუნდიის მეფეს მათ წერილით აცნობეს: „ჩვენ ვფიქრობთ თურქებს ანატოლიიდან შევუტიოთ, თქვენ კი მოემზადეთ, შავი ზღვიდან დაიწყეთ შეტევა.“

მეტად საინტერესოა გიორგი მეფის მიერ ევროპის სახელმწიფოებისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი მოკავშირეების შესაძლებლობანი თურქეთზე შეტევის დასაწყებად.

„მე თითონ პირადად 40.000 კაცით უნდა წავიდე, დავით ტრაპეზუნტის იმპერატორი შეგვპირდა და მზად აქვს 30 ხომალდი, 20.000 ათასი კაცით; სამეგრელოს შეფე ბენდია მზად არის მთელის თავისი ჯარით; ყვარყვარე საქართველოს მთავარი თვით მოდის 20.000 ცხენოსნით; ანაკოსიის მთავარი რაბა (ფაბია) შე-

მოგვპირდა წაწოსვლას თავისი ძმებით, თავადებით და მთელის თავისის მხედრობით; მცირე სომხეთის ბატონი ბერდებეკ ჩვენის ლაშქრისათვის შემოგვპირდა 20.000 კაცს. ხსენებულ კავშირში არიან კვალად სხვა ერნიც გიტარანები და სხვანი, აგრეთვე თათრების სამი ძლიერი მთავარი, რომლებიც მზად არიან დაუწყონ ჩუბი ოსმალებს, ე. ი. კონსტანტინოპოლის მფლობელ ოთომანებს. იმათგანი ერთი არის ყარამან, მეორე ისმაილ ბეგი, შვილი უწინდელის მთავრისა, მესამე ჰასან ბეგ მესოპოტამიის მეფე... ...ეს ხსენებულთა ამის შესრულება ერთმანეთს შევფიცეთ, მუხანათი სიკვდილით უნდა დაისაჯოს, იმ პირობებით. კი, თუ თქვენ ლეთინებიც ჩვენთან ერთად იქნებით და თქვენის მხრით ოსმალებს ომს დაუწყებთ. გარნა თუ არ ისურვებთ ეს ომი, მაშინ სრულებით ვალდებულნი აღარ ვიქნებით, შევასრულოთ ის, რასაც ერთმანეთს შევპირდით."[1]

ასეთივე შინაარსის წერილს გზავნის ყვარყვარე ათაბაგი. ...თვით მე უნდა წაუძღვე 20.000 ცხენოსანს საომრად ურწმუნოთა წინააღმდეგ. ამის ადვილად აღსრულებისათვის, არა მარტო შევურიგდი. არამედ პირობაც შევკარი და კავშირიც დავადგინე ამ ქვეყნის ყველა ქრისტიან მთავრებთან, რათა ესეთის ჩვენის შეერთებულის ძალით შევებათ და ვსძლიოთ ოსმალთა...

ამასაც გპირდებით, რომ ერთი ზაფხულის განმავლობაშიც დავიპყროთ მთლად ანატოლია და ყველა ქვეყნები, რომლებიც კონსტანტინოპოლელ ოსმალოს ამ მხარეს უჭირავს, ხოლო ამის მეორე კერძო ადგილები, რომელიც საბერძნეთია და რომელსაც შავი ზღვა ჰყოფს, თქვენ დაგიტოვოთ; მისი აღება ადვილი იქნება, რადგან როდესაც ოსმალეთი ესე ორ ჯარს შუა მოექცევა, ვეღარ გაუძალდება, მალე დაიძლევა და ამნაირად მის სახელს ქვეყანაზე მოვსპობთ...

დასასრულ უწყოდეთ კარგად, რომ თუ ახლა ჩვენთან ვერაფერს გაარიგებთ, რადგან უსჯულო ოსმალეთი მუდამ დღე ძლიერდება და ვეღარც შევიძლებთ შემდეგში გულმოდგინედ შეერთებას, როგორც ახლა ვართ. აგრეთვე ტრაპიზონის იმპერატორიც გზავნის წერილს: „ჩვენ აღმოსავლეთლებმა ერთიანი პირობა შევკარით, ვეომოთ ოსმალებსო."

---

1 მ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის. თბილისი, 1902 წ., გვ. 59-60.

მსგავს ცნობას ამის შესახებ იძლევა უსპენსკი:

«В письме к Филиппу Бургундскому от 29 апреля 1459 г. царь Давид рассказывает, как он отдал свою племянницу за Гасана с целью привлечения его в лигу, как сам он выйдет с 20 галерами и 20.000 войсками, Гасан с 50.000, Георгий VIII Грузинский с 60.000 подчиненный ему Грузинский герцог с 20.000 кавалерии, Дадиан Липарт, князь Мингрелии с 60.000, Рабия, князь Абхазии, с его братом и баронами, 30.000; кроме того готы и аланы дали обещание сражаться под знаменем короля Георгия Грузинского. Из других князей султан Карамании и Измаил Синопский будут защищать свою страну от турок».[1]

აღნიშნული წერილი 1460 წელს იყო გაგზავნილი რომის პაპთან, მაგრამ სანამ ეს კოალიცია პრაქტიკულად რასმე გააკეთებდა, ტრაპიზონი უკვე დაიკავეს ოსმალებმა.

ქართველ ხალხს ესმოდა, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლის დაგვიანებას. ამასთან დაკავშირებით მესხეთის მთავარი ყვარყვარე თავის წერილში ევროპის სახელმწიფოებს პირდაპირ ეუბნებოდა: თუ ამ გაზაფხულზე ერთად ვიბრძოლებთ, მტერს დავამარცხებთ, შემდეგ კი გვიანღა იქნებაო... მაგრამ ევროპის სახელმწიფოების უმოქმედობის წყალობით კოალიცია ჩაიშალა.

აღნიშნული სახელმწიფოები ნაცვლად იმისა, რომ აქტიურად ემოქმედნათ, ერთმანეთში ქიშპობდნენ. როგორც ჩანს, მათ ვერ შეაფასეს ის დიდი საფრთხე, რომელიც ოსმალეთის გაძლიერებას მოჰყვა.

მოკავშირეთა შორის თავი იჩინა განხეთქილებამ. ჯერ კიდევ ელჩები უკან დაბრუნებული არ იყვნენ, რომ ქართველ მეფეთა მთავრებს შორის ატყდა შინაბრძოლა, რაც ხელსაყრელი აღმოჩნდა ოსმალეთისათვის. ამ საქმეში სულთანის აგენტები დიდ როლს ასრულებდნენ.

შინა ბრძოლების ყველაზე უფრო თვალსაჩინო ინიციატორი ყვარყვარე ათაბაგი იყო. მაშინ, როცა სულთანის ურდოები საქართველოს საზღვრებს უახლოვდებოდნენ. ყვარყვარე და გიორგი მეფე ერთმანეთს ებრძოდნენ. კიდევ მეტი, ყვარყვარემ საგარეო მტრის დახმარებით 1465 წელს გიორგი მეფე დაატყვევა.

---

1 Ф. Успенский. Очерки из истории Трапезуидской империи. 1929 г., стр. 135-136.

ქართველი ხალხი ყოველ ღონეს ხმარობდა ოსმალეთის აგრესიისაგან თავის დასაცავად. კოალიციის კვლავ შექმნის ცდები გრძელდებოდა. 1492 წელს საქართველოს მეფემ ელჩი გაგზავნა ეგვიპტის სულთანთან. მაგრამ ამ.ნაც დადებითი შედეგი ვერ გამოიღო. მოწინავე ქართველი საზოგადოება არ იშურებდა ღონეს, რომ შექმნილი მდგომარეობიდან როგორმე თავი დაეღწია. იმ დროისათვის ესპანეთის მეფე იზაბელამ თავისი ქვეყნიდან გარეკა არაბები: რამაც გამარჯვების იმედი მისცა ქრისტიანულ სახელმწიფოებს. ამასთან დაკავშირებით კონსტანტინე მეფემ ელჩი გაგზავნა ევროპის სახელმწიფოებთან ჩაშლილი კავშირის გასაახლებლად. მაგრამ ამასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ოსმალეთის მარბიელი ჯარები საქართველოს საზღვრებს სისტემატურად არღვევდნენ. მაგალითად, ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე მურად-ბეგს დაურბევია შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქები სოხუმის ჩათვლით. „1451 წელს მურად ბეგის 50 კატარღამ აფხაზეთი, ცხუმი და ზღვის პირნი მოაოხრეს“,[1] ამაზე ადრე კი ახალციხეს შეესივნენ: „1416 წ. თურქთა ახალციხე ამოაჯდეს.“[2]

ოსმალეთი ძლიერდებოდა, ხოლო საქართველო შინა ფეოდალური ომებით სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა. 1483 წელს მეფე კონსტანტინესა და ათაბაგ ყვარყვარეს შორის მომხდარა დიდი ბრძოლა, რომელშიაც ათაბაგმა გაიმარჯვა.[3]

შინაფეოდალური ქიშპობა ხელს უწყობდა ოსმალეთს აგრესიული მიზნვბის განხორციელებაში. მაშინ, როცა იმერეთის მეფემ ალექსანდრემ, რომელიც ქართლის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდა, გორი აიღო, მისი გორში ყოფნის დროს სულთანის ურდოები ქუთაისს და გელათს შეესივნენ.

„მეფობასა ბაგრატისასა... გამოვიდა სპასპეტი სულთან სელიმ სპითა უამრავითა და მოადგა სამცხეს: ამას მიეგება ათაბავი მზეჭაბუკი, მიუძღვა და ჩამოიყვანა ფერსათსა ზედა იმერეთს. გარნა მოსულთა ოსმალთა დასწვეს ქუთაისი და გელათი, მერმე

1 თ. ყორდანია, ქრონიკები, ტ. 11, გვ. 261.
2 იქვე, გვ. 223.
3 Е. Такайшвили, Хроника Эриставского Акафиста, 1901, стр. 13.

მოაოხრეს, მოსწვეს, მოსრნეს და მოსტყვევნნეს, სად ვინ ჰპოვნეს იმერეთსა შინა და უკუიქცნენ მასვე გზასა და წავიდნენ."[1]

ასე იყო მაშინაც, როცა ქართლის მეფე ებრძოდა კახთა მეფეს ლევანს; იმ დროს ქართლს სულთანის ჯარები ანადგურებდნენ და იკლებდნენ. მესხეთის მთავარი მზეჭაბუკი ნაცვლად იმისა, რომ დახმარებოდა ქართლის მეფეს, თავისი საზღვრები გაემაგრებინა და ეომა საერთო მტრის წინააღმდეგ, საქართველოს მეფობაზე ოცნებობდა. ამ ვითარებამ და სხვა მრავალმა პირობამ განსაზღვრა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის ბედი. 1461 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ტრაპიზონის იმპერია. ტრაპიზონისათვის ბრძოლაში გამოყენებული ყოფილა 10 სამხედრო ხომალდი, 200 გემი, 15.000 ჯარისკაცი და სხვა საშუალებები. ქალაქის დაპყრობის შემდეგ სულთანის დავალებით მოსახლეობა ზამთარში გარეთ გაყარეს და ბინებში მუსლიმანები ჩაასახლეს. როგორც კონსტანტინოპოლში, ისე აქაც თურქები უმსგავსო მხეცობას ჩადიოდნენ. ადგილობრივი ფეოდალები გამცემლობის გზას დაადგნენ.

«Такая же картина наблюдалась при захвате в 1461 г. Синопа и Трапезунда. Жители этих городов пытались оказать врагу сопротивление, а знать, правители заняли предательскую позицию и фактически сдали города туркам».[2]

ქალაქის დაპყრობის შემდეგ სულთანი ხალხს სასტიკად გაუსწორდა. სულთანმა 1800 ახალგაზრდა თავის გვარდიას გადასცა. მოხუცებს უმოწყალოდ ხოცავდნენ, ახალშობილ ბავშვებს ქუჩაში ისროდნენ, ახალგაზრდა ქალებს აუპატიურებდნენ და კლავდნენ.

ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ, 1500 წელს, თურქებმა მთლიანად დაიპყრეს ლაზეთის სხვა ქალაქებიც. 1552 წელს აიღეს მაპახელის ხეობა და ბათუმს შემოუტიეს (თუმცა პირველად უშედეგოდ). ამავე პერიოდში თურქები შეესივნენ ტაო-კლარჯეთს, ბასიანს, ისპირს და სხვა ადგილებს.

ერთი სიტყვით, მე-16 საუკუნეში მათ მესხეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მთლიანად დაიპყრეს. ქობულეთის დაპყრობა კი მხოლოდ მე-18 საუკუნეში შეძლეს.

---

1 ვახუშტი ბატონიშვილი, იმერეთის ისტორია, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბილისი, 1902 წ., გვ. 15-16.

2 З. В. Удальцова, О внутренних причинах падения Византии в XV веке («Вопросы истории», 1953 г., № 7, стр. 116).

სამხრეთ საქართველოს ქართველები შეუპოვრად ებრძოდნენ მოძალადეებს, მტერს უბრძოლველად არ ანებებდნენ არც ერთ სოფელს, არც ერთ ციხე-სიმაგრეს.

საუკუნოვანი მძიმე ბრძოლების შედეგად ძლიერმა ბარბაროსებმა შეძლეს დაეპყროთ ჩვენი ქვეყანა და სამხრეთ საქართველოს ქართველებისათვის თავზე მოეხვიათ მათთვის უცხო, თურქული რეჟიმი.

სამხრეთ საქართველოს ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში და ციხე-სიმაგრეებთან სისხლის გუბეები იდგა. ამას თვით სულთანის მოხელეებიც ვერ უარყოფდნენ. 1624—1627 წ.წ. თურქი ისტორიკოსი ნაიმა თავის ნაშრომის მეორე ტომში „თარიხი ნაიმაში“ მოგვითხრობს: „ციხე-სიმაგრე ყარსის და სხვა სასაზღვრო ციხე-სიმაგრეების ტყვია-წამლითა და სურსათ-სანოვაგით მომარაგებისა, აგრეთვე ციხის მისადგომებთან 500 ჯარისკაცის გაბოყოფისა და მათი გაგზავნის შესახებ უკვე გაცემული ყოფილა სათანადო განკარგულება არზრუმის ბეგლარ ბეგებისადმი, ხოლო ამის შემდეგ ამავე წელს მოსულა ხალიფ-ფაშას შემდეგი შინაარსის წერილი: გურიელმა და დადიანმა ურთიერთშორის შეკრეს კავშირი და გადავიდნენ ყიზილბაშის მხარეზეო და დადიანმა თავისი ქალიშვილი მისცა ცოლად შაჰის რწმუნებულს ქართლში ხოსრო მირზას, ხოლო იმერეთის მეფემ აჩიკ-ბაშმა და თეიმურაზმა ნება არ მისცეს, რომ მათ ტერიტორიაზე ხოსრო მირზას თავისი საცოლე გაეტარებინა, რის გამოც ხოსრო მირზამ ერთი მხრით თავის 30.000-ზე მეტი ყიზილბაშით შეუტია და მეორე მხრივ გურიელმა და დადიანმა დიდი ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს იმერეთის მეფე და თეიმურაზი. იმერეთის მეფემ, თეიმურაზმა და მათმა შვილებმა თავი შეაფარეს მიუვალ კლდეებს, ხოლო ყიზილბაშთა ჯარები დათარეშობდნენ მთელ საქართველოში, ამრიგად, იმერეთის მეფე დიდად დაზარალდა და თავისი სამფლობელო დაჰკარგაო. ყიზილბაშებს გურიელთან და დადიანთან შეერთებით სურდათ შავი ზღვის სანაპიროზე გონიისა და ტრაპიზონის საზღვრების დარღვევა. ამათ წინააღმდეგ მიღებულ იქნა სათანადო ზომები და დაეკვალა ჩილდირის ბეგლარ-ბეგს და სხვა ბეგლარ-ბეგებს გურიისა და სამეგრელოს განადგურება, გაძარცვა, აგრეთვე სასაზღვრო ზოლის მეთაურებს მიეცათ განკარგულება არზრუმის, ადანის,

ყარამანიის, სარუბანის, კასტამონის და სხვა საზღვრების გამაგრებისა და დაცვის შესახებ.[1]

აღნიშნული იმაზე მიგვითითებს, რომ სულთანსა და მის მოხელეებს კარგად ესმოდათ, თუ რაოდენ ხელსაყრელი იყო მათთვის საქართველოში არსებული კინკლაობა და ამას თვითონაც უწყობდნენ ხელს. ისინი სამხრეთ საქართველოს ოლქების ხელში ჩასაგდებად ყველა ზომას ხმარობდნენ, მაგრამ ქართველები ღომრად არ თმობდნენ თავიანთ მიწა-წყალს.

1540—1555 წლამდე სამხრეთ საქართველოს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ცენტრებში: ბასიანში, ტაო-კლარჯეთში, არტანუჯში, ისპირში და სხვა ოლქებში სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა, სადაც მრავალი ქართველი გაწყდა. ამ მხარეში მომხდარი ბრძოლების შესახებ მოგვითხრობენ თვით სულთანის ისტორიკოსები. ჯერ კიდევ 1527 წელს მეჰმედ-ხანსა და ქართველ მებრძოლებს შორის მომხდარი საშინელი ომის შესახებ ფეჩევი გადმოგვცემს: „ბაიბურთის მბრძანებელმა მაჰმად-ხანმა მოიწვია მისი ოლქის მეომრებისა და მოხალისე რაზმების შენაერთები და დაიწყო ქართული ვილაიეთების წინააღმდეგ ბრძოლა. ამათ მეოგრად, პირისპირ შეხვდნენ ქართველებიც. თურქებმა ვერც მოასწრეს ძარცვა-გლეჯის დაწყება. რომ დაიწყო საშინელი ხოცვა-ჟლეტა. ამ ბრძოლას ბევრმა ქართველმა შესწირა თავი და ცოცხალი მტერს არ დანებდა. ბრძოლის შემდეგ სულთანის ჯარები შეესიენენ მოსახლეობას და გაძარცვეს, აუარებელი ნადავლი გაიტაცეს, ქვეყნის დაპყრობის შემდეგ შემოიღეს მმართველობის თურქული წესები.“[2]

თურქი ისტორიკოსი ფეჩევი გადმოგვცემს იმ დიდი აჯანყების შესახებ, რომელიც ჩვენს ხალხს მოუწყვია თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. აჯანყება მოხდა 1540 წელს. მომხდარი აჯანყების შესახებ ფეჩევი წერს:

„...ქართველი ურწმუნო მოღალატეების აჯანყების, მღალვარებისა და მდგომარეობის გამწვავების ამბავი მიუვიდა სულთანს, ამის გამო აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად დანიშნა მეორე ვეზირი. ჰმეედ-ფაშამ არზრუმის, ყარამანიის, ზულკადერლუს, სივასის ბეგლარ-ბეგებთან, სანჯაყ-ბეგებთან, იანიჩარის მოურავების რამოდენიმე ათასი მეომრით მთვარის მე-8 თვის დასაწყისში, სისხლისმღვრელი ომების შემდეგ, პირვე-

1 თარიხი ნაიმა, თურქულ ენაზე ტ. III, გვ. 206.
2 ფეჩევი, „თარიხი ფეჩევი“, თურქულ ენაზე; ტ. I, გვ. 191.

ლად დაიპყრეს ციხე-სიმაგრე თორთუმი, ციხე-სიმაგრე ნეჯაჰი (ან ნაჯახი), ხოლო ამილახვრის ციხეები უბრძოლველად დაიმორჩილეს.

შემდეგ დიდი ბრძოლებით დაიპყრეს ციხე-სიმაგრე აკჩა-კალა (თეთრი ციხე), თეფქერდი, ეშვერდი, მეორე აკჩა-კალა და ამათ გარდა სხვა თხუთმეტი ციხე-სიმაგრე. შემდეგ შეუტიეს დიობანის ხეობას. ბრძოლის შემდეგ თურქებმა გაიტაცეს უთვალავი შავარდენისებური ბიჭები და ლამაზი ქალწულები, ამასთან ერთად სხვა ციხე-სიმაგრეებიც დაიპყრეს. მაგალითად, „ფერთეგრექ“ და სხვა ორი ციხეც, მისი სიმაგრეებითა და სოფლებით, ბაღ-ნარგავებითა და „დადილეს“ რაიონი მისი ავლადიდებით შეუერთდა სულთანის მფლობელობას. ამ ხეობაში (თემში) არსებული ციხეებიდან 15 ციხე-სიმაგრე დატოვეს. დანარჩენი მიწასთან გასწორეს. დაბოლოს ერთი სანჯაყი დააარსეს, რომლის საზღვრებში შევიდა: თორთუმი, თახლისი, აკჩა-კალა და დივანეს ტერიტორია... ხოლო შემდეგ აქედან უკან დაბრუნდნენ უვნებლად და ნადავლით, რომლებსაც სულთანმა შეხვედრა მოუწყო ე. წ. ჯოლქ-თან და მეომრებს ჯილდო და ხარისხები უბოძა.“[1]

აღნიშნული ციხე-სიმაგრეების სახელები დასაზუსტებელია. ეს საბუთები საინტერესოა იმით, რომ მათში ნაჩვენებია ჩვენი ხალხის შეუპოვრობა, დამოწმებულია რომ ჩვენი ხალხი მტერს არ ანებებდა თავის მიწა-წყალს, ებრძოდა მას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

აღნიშნულს ადასტურებს ქართული საბუთებიც, რომლებშიც აღწერილია ქართველთა თავგანწირვა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში: „1543 წელს აქა ხვანთქარის ფაშები მოვიდენ რიცხვით ოცდაორი ათასი და სრულიად ტაო ამოსწყვიტეს“.[2]

ქართული მატიანე მოგვითხრობს, რომ ტაოს მხარეს მიშველებია ქართველი მეფე და გაუნადგურებია თურქთა ურდოები. თურქ დამპყრობლებს მუდამ ებრძოდნენ ცალკე სამთავროები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ამარცხებდნენ სულთანის ჯარებს. მეტად საინტერესოა სულთანის და გურიელის ბრძოლა ბათუმგონიის გარშემო. ამ ბრძოლის შესახებ ახალ ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „ამას ჟამსა გურიელს გაუწყრა ხვანთქარი ამისთვის, რომ მაშინ ბასიანს თუ შენ ბაგრატს არ მიჰყოლოდი,

1 „თარიხი ფეჩევი“, ტ. I, გვ. 283-285.
2 ნ. თაყაიშვილი, „საისტორიო მასალები“, თბილისი, 1913 წ., გვ. 53.

იმდენს ჯარს ვერ ამომიწყუეტდაო ბაგრატ. გამოუსია ჯარი და მოვიდნენ ბათომს და დაუწყეს ციხეს შენება კატარღებითა და ნავებითა.

შეყარა გურიელმა სპა თვისი და წარვიდა ოსმალთა ზედა. მოუმართა ღმერთმან ხელი, და გაემარჯვა: ხმელეთიდან გააგდო და ზღვაში მივიდნენ ნავებითა და აღუდგა ღელვა და ჭოროხს გაღმა გავიდნენ. მაშინ იყო წყალდიდობა და ჭოროხს ცხენით ვერ გავიდნენ და მივიდნენ გონიასა და ციხეს დაუწყეს შენება. დაიწყეს სიმაგრე ოსმალთა და ჭანეთი მოსწყვიტეს, წაართვეს გურიელსა და თვით დაიპირეს".[1]

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თურქებს გონიის ციხის შენება კი არ დაუწყიათ, როგორც აქ არის მოთხრობილი, არამედ თურქებმა არსებული ციხის რეკონსტრუქცია მოახდინეს.

როგორც ცნობილია, გურიელი დაეხმარა ბაგრატ მეფეს. სამცხის ათაბაგს წაართვეს აჭარა და იგი გურიელს დაუბრუნდა.

როგორც საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, შემდეგ კვლავ თურქებს წაურთმევიათ გურიელისათვის აჭარა. მაგრამ მამია გურიელს ისევ უკან დაუბრუნებია იგი: „ხოლო შემოიკრიბა მამია გურიელმან სპანი, შევიდა აჭარას, მოსწყვიდნა ოსმალნი და დაიპყრა კვალად თვითვე აჭარა."[2]

ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ ნ. ნიკოლაძემ შეკრიბა საყურადღებო ზეპირგადმოცემები აჭარაში ოსმალთა გაბატონების შესახებ. ნ. ნიკოლაძის შეკითხვაზე, ოსმალეთისადმი აჭარელ ბეგთა დამოკიდებულების შესახებ, მოხუცმა აჭარელმა ასე უპასუხა: „უწინ სულ სხვა იყო. უწინ ბეგი მართლა თავადი იყო, მთავრობდა, ჯარი ჰყავდა, იბრძოდა და ხალხიც უჯეროდა, მარა ერთმანეთს გადაეკიდა ბეგები, ჯერ ერთმა მოიხმო თათარი მეზობლის წინააღმდეგ, მერე მეორემ, იჩხუბეს ერთმანეთში, ხალხი ამოწყვიტეს, დალიეს ფული და იარაღი და ამასობაში თათარი ქეგ გამაგრდა და ბატონი გახდა. თვარა ისე ვერ შემოიკრებოდა, აჰ ვერ შეოიკრებოდა ვერა".[3]

1 ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, საკ. მეცნ. აკად. საქ. ფილიალის გამოცემა, თბილისი, 1940 წ., გვ. 69.

2 იმერეთის ისტორია, 687—1744 აღწერილია ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი, 1902 წ., გვ. 17.

3 ნ. ნიკოლაძე, კრებული № 4, 1873 წ., თავი მეორე, „ბათუმი".

როგორც ამ ნაამბობიდან ჩანს, აჭარელი გლეხები მტკიცედ იყვნენ იმაში დარწმუნებული, რომ შინაგანმა ბრძოლებმა ხელი შეუწყო მტერს ჩვენი ქვეყნის დაპყრობაში.

ამ დროს საქართველოს უბოროტესი მტრები იყვნენ თურქეთისა და ირანის სახელმწიფოები, რომლებიც საქართველოს სისტემატურად თავს ესხმოდნენ. ჩვენი ქვეყნის დაუფლებისათვის მათ შორისაც საუკუნოვანი ომი წარმოებდა. ამ ომის პირველი პერიოდი იმით დასრულდა, რომ მტაცებლებმა საქართველო შუაზე გაიყვეს. ეს მოხდა 1555 წ. მათ შორის ამის შემდეგაც წარმოებდა ომი. დამპყრობლები ჩვენი სამშობლოს ხარჯზე რიგდებოდნენ.

„...მაშინ განყუეს ქვეყანანი და დარჩა სულთანს იმერეთი, ოდიში, გურია, ზემო ქართლის სამძღვრამდი, ქართლისა და კარის სამძღვრამდე, აბოცისა და ერეუანისა სომხეთი, რომელი (Sic) ან თურქისტანად (Sic) სახელსდებენ, ვიდრე ბაღდადამდე. ხოლო შაჰთამაზს დაუგდო ქართლი, კახეთი, ერეუანი და ქურთისტანს აქათი. და მშვიდობა ჰყუეს ურთიერთახ და მიერითგან იყო შაჰთამაზ მოსვენებით; აღარავინ უძლო მტრობად მისად და იყო ხანსა რაოდენსამე განსვენებით“.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთს სამხრეთ საქართველოს რიგი ქალაქები და რაიონები დაპყრობილი ჰქონდა ტბეთი, შავშეთი, აჭარა და სხვა მისი მიდამოები ჯერ კიდევ მათ არ ემორჩილებოდნენ და დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ.

მაგალითად, ხახულის დაპყრობის შემდეგ. ხახულის ეპისკოპოსი ტბეთში გადმოსულა: „1556 წ. აქა დაჯდა მტბევრად ხახულარი წყბედიძე მამია საბა.“[2]

1574 წელს. სულთან მურადის სიკვდილის შემდეგ, ირანის შაჰმა გააუქმა ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულება და დაიპყრო სამცხე. ამის შემდეგ ირანში შექმნილი მდგომარეობით (აჯანყებებით) ისარგებლა სულთანმა და 1578 წელს კვლავ დაიბრუნა იგი. თურქეთს, როგორც აგრესიული პოლიტიკის მატარებელ სახელმწიფოს, არ შეეძლო სხვა ქვეყნებთან მშვიდობიან დამოკიდებულებაში ყოფილიყო. სულთანის თურქეთის ვერაგული პოლიტიკა მე-16 საუკუნეში უფრო მწვავდება და იგი მიზნად ისახავს დაპყრობილი ქვეყნების სრულ გადაგვარებას. იგი ცეცხლითა და მახვილით ცდილობს დანერგოს ხალხში ისლამი.

---

1 ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, საკ. მეცნ. აკად. საქ. ფილიალის გამოცემა. თბილისი, 1940 წ., გვ. 89.
2 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 399.

მაგრამ ოსმალეთის ძალადობამ ქართველი ხალხი ვერ მოდრიკა, შეუნელებელი ბრძოლით იგი მუდამ წინ ედგა მტერს. სამშობლოსა და ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლ ქართველ პატრიოტთა შორის მე-16 საუკუნეში დიდი სახელი მოიხვეჭა სიმონ მეფემ, რომელმაც მრავალი წლის მანძილზე თავისი ძალღონე შეალია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეს.

სიმონი გამეფდა 1558 წელს, ლუარსაბ მეფის სიკვდილის შემდეგ. თავისი მეფობის პირველი დღიდანვე იგი მედგრად ებრძოლა ირანს და თურქეთს. ვახუშტი გადმოგვცემს, რომ მას დიდმის ბრძოლაში 1567 წელს დიდი გამარჯვება მოუპოვებია. 1569 წელს ირანთან ომის დროს სიმონ მეფე ხელთ ჩაუგდია მტერს.[1]

ირან-ოსმალეთის ახალი ომის დაწყებისას ტყვე სიმონი შაჰმა გაათავისუფლა; მან იცოდა, რომ სიმონ მეფე ოსმალთა წინააღმდეგ ომში ძალღონეს არ დაიშურებდა. ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ სიმონ მეფე რომის პაპს წერდა:

„რა ბრძოლა, შეწუხება და გაჭირვება არ გამოვიარეთ ქრისტეს სიყვარულისათვის: დავწყლულდით ომში, ტყვედ დაგვიჭირეს სპარსელებმა და ჩაგვაგზეს საპყრობილეში, გარნა ღვთის ნებით და შემწეობით, ეგრეთვე თქვენის ლოცვითა, გავთავისუფლდით ტყვეობისაგან და კვალად აღვედით ჩვენს ტახტზე და ხელახლავ დავიწყეთ ომი. მრავალგზის შევებით ოთმანებს (ოსმალებს). ვგონებთ, თქვენც შეიტყობდით, რაოდენ შეწუხება და ტანჯვა გამოვიარეთ? მაგრამ მაინც გული არ გავიტეხეთ. ჩემ თავს გავწირავ ერთიანად და ეგრეთვე ჩემს ქორფა შვილსაც: დავლვრი ჩემს სისხლსა ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე ჯვარცმულის იესო ქრისტეს და ღვთის სიყვარულისათვის: ვიდრე პირში სული მიდგია, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე“...[2]

თურქები დასავლეთ საქართველოს უმთავრესად სამი მიმართულებით უტევდნენ: აფხაზეთის და ჩერქეზეთის, ბათუმ-ჭოროხისა და ტრაპიზონის მიმართულებით და სამცხის მხრიდან, ზეკარის გზით.

1578 წელს, ირანის ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ, სიმონ მეფე იწყებს სასტიკ ბრძოლას თურქების წინააღმდეგ. 1581 წ. „მოვიდა სარდარი, რომელსა ეწოდა მაჰმად ფაშა, დახუდა მეფე სვიმონ მუხრანს, შეიბნეს და მეფე სვიმონს გაემარჯვა და

1 ექვ. თაყაიშვილი, Материалы для истории Грузии, თბილისი, 1895 წ., გვ. 24.

2 ვ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 77.

ფაშა ლტოლვილი ქალაქს მივიდა."[1] შემდეგ: „მეფე სვიმონ და ფაშა ლორს შეიბნეს და მეფეს გაემარჯვა, მოისრა ურმი (ურუმი)".

სიმონ მეფემ ოსმალებისაგან გაათავისუფლა თბილისი. მალე განთავისუფლებულ იქნა ქ. გორიც. თურქებმა ქართლის გულში სასტიკი დამარცხება იგემეს და შემდეგ კვლავ შეუტიეს მეფეს ჭარბი ძალებით ჯაფარ-ფაშის მეთაურობით. ეს იყო სიმონ მეფის უკანასკნელი, საბედისწერო ბრძოლა.

აღნიშნული ბრძოლის შესახებ ფარსადან გორგიჯანიძე წერდა: „მეფე მუხლის თავამდისინ ტალახში ჩაფლული ისარს ისროდა და ახლო ვერვინ მოუდგა. ერთმა ბარათაშვილმან ფაშასამან იცნა და ჯაფარ-ფაშას მოახსენა: ლაშქარი აღარავინ შემორჩენია და ისრევე ამაყად ტალახში ჩაფლული ისარს ისვრისო. ფაშა წინ წაიგზა რომ მეფე ნახოს. რა ნახა, გაკვირვებული შეიქნა და ასე ბრძანა: ამის მეტი კაცისაგან ეს არა ქნილაო, რომ ხუთი ჟამი ძალა მიცემით გასაჭირ ბრძოლა გარდეხადოსო და დამარცხებულსა და ლაშქარ ამოწყვეტილსა თვით ცხენიან ტალახში ჩაფლული კიდევ შვილდს ეზიდებისო."[2]

„სიმონი და სხვა ქართველი ტყვეები სასწრაფოდ წაიყვანეს საქართველოდან და 1601 წლის ზაფხულს ხონთქართან გაგზავნეს. სტამბოლს მიმავალ ტყვე მეფესა და მის ამალას თან მიჰყვებოდა ომში დახოცილ ქართველ გმირთა თავების მთელი საპალნეები. ესენ შორის იყო მეფის ძმის თავიც".[3]

სიმონ მეფის ტყვედ ჩავარდნის შესახებ თურქულ წყაროებშიც მოიპოვება ცნობები. ნაიმა თავის წიგნში ამის შესახებ მოგვითხრობს: „ქართველი მმართველები სულთნის ბრძანებას ფორმალურად ასრულებდნენ და ფარულად ამზადებდნენ ბილიკებზე და სხვა ადგილებში ამბოხებას. იმათ რიცხვიდან უსაზღვროდ პირმოთნე სიმონმა აღთქმა დაარღვია და მოულოდნელად დაიპყრო ციხე გორი. ხოლო შემდეგ ციხის ნაწილობრივად ფანგრევის შედეგად ღვთის შემწეობით თებრიზისა და ვანის მბრძანებელმა ვეზირმა ჯაფარ-ფაშამ დააპატიმრა სიმონ მეფე და ქართველ თავადს ალექსანდრე-ხანს თავი მოჰკვეთა და მისი შვილები დაატყვევა.

---

1 ეკ. თაყაიშვილი, Хроника Эрнстанского Акафиста, 1901 г. стр. 17.
2 ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია („საისტორიო მოამბე", ტ. II, 1926 წ., გვ. 15).
3 აკად. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, მეორე გამოცემა, 1943., გვ. 323.

ისინი სიმონ მეფესთან ერთად ჰიჯრით 1008 წელს სულთანის საფლობელოში (სტამბოლში) გაგზავნა. სიმონი პატიმარი იყო იედიკულეში (შვიდ კოშკიან ციხეში) და იგი სულთან აჰმედის დროს გარდაიცვალა".[1]

აქვე მოყვანილია სიმონ მეფის მიერ გამოთქმული ლექსის ერთი სტროფი, რომელიც თურქულ ენაზე იყო დაწერილი.

ამ ლექსის ქართული თარგმანი დაახლოებით ასეთია:

„ბედისაგან უსამართლოდ გაძარცული გავხდი მე,
ამისათვის ხალხის თვალში უნდობელი ვიქეც მე,
თუ აქლემმა მწვავედ ივრძნო მის საპალნის სიმძიმე,
ღმერთს მადლობა, ჩემი ტვირთის სიმსუბუქე ვიგრძენ მე".

სამშობლოს ერთგული პატრიოტი სიმონ მეფე თავის მიწა-წყლის სიყვარულისათვის გადატანილ უმძიმეს წამებას თვლის მსუბუქ ტვირთად, რადგან გრძნობს, რომ ეს ყველაფერი სამშობლოს კეთილდღეობისათვის გადაიტანა.

როცა სიმონ მეფე ტყვედ ჩავარდნილა, მის შვილს გიორგი მეფეს შეუგროვებია ფული და ძვირფასი განძეულობა, რომ გამოეხსნა მამა სულთანის კლანჭებისაგან, მაგრამ როცა გაგზავნილი კაცი სტამბოლში ჩასულა, სიმონ მეფე ცოცხალი აღარ დახვედრია. მისი ცხედარი საქართველოში ჩამოასვენეს და დიდი გლოვის შემდეგ მცხეთას დამარხეს.[2]

თავისი ვერაგული მიზნების მიღწევისათვის ოსმალეთი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა. მან სამხრეთ საქართველოში მრავალი აგენტი გაიჩინა. ქვეყნის მოღალატენი ქრთამებზე ცვლიდნენ სინდისს, სამშობლოს, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მოღალატეები ფეოდალთა კლასის ბანაკიდან იყვნენ.

სიმონ მეფის დიდი ღვაწლი სამშობლოს წინაშე საქართველოს ისტორიაში ღირსეულადაა შეფასებული: „ასე შეეწირა საქართველოს სიმონ მეფე, რომელმაც „ქართლს ხმალი შეარტყა", როგორც ამბობს პოეტი არჩილი და რომელიც 42 წელიწადს ღირსეულად იცავდა დამოუკიდებლობისა და ეროვნულ თავისუფლების დროშას ირანისა თუ ოსმალეთის მოძალადეებისაგან."[3]

---

1 თარიხი ნაიმა, ტ. I, გვ. 222

2 ქართლის ცხოვრება, ტ. I, ზ. ჭიჭინაძის (გამოცემა მეორე), თბილისი, 1899 წ., გვ. 764.

3 აკად. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, გვ. 323.

თურქეთ-საქართველოს ომი საუკუნეებით გრძელდებოდა. ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ ძლიერმა თურქეთმა შეძლო ქართველების შევიწროება და სამხრეთ საქართველოს (აჭარა-თურთ) მიტაცება. მტერს თითოეული გოჯი მიწის დაპყრობა სისხლის ფასად უჯდებოდა.

თურქებმა რომ ჩვენი ქვეყანა ცეცხლით და მახვილით დაიპყრეს, ამას თვით სულთან სულეიმანიც არ უარყოფდა. ის საფრანგეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში ტრაბახით ჩამოთვლიდა მთელ რიგ ქვეყნებს, რომლებიც მან და მისმა წინაპრებმა დაიპყრეს.

„...დაპყრობილი იქმნენ ჩემ კეთილშობილ და სახელოვან წინაპართა ხმალით... და აგრეთვე მოპოებულნი არიან ჩემი უაგვანტოესი დიდებულების ძლევამოსილი ცეცხლით და მახვილით".[1]

სწორედ ამის გამო სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ქართველები დამპყრობელთადმი შეურიგებელი სიძულვილით იყვნენ განწყობილი, განსაკუთრებით კი სძულდათ ისინი აჭარლებს.

„...აჭარის მოსახლეობას სძულდა სულტანის მთავრობა. ანდა რა სიყვარული უნდა ჰქონოდათ ისეთი მთავრობისადმი, რომელსაც თავისი ქვეშევრდომებისაგან მხოლოდ ხარკი და სამხედრო სამსახური აინტერესებდა..."[2]

ჯიფორდ პალგრეივი ამბობდა, რომ სამხრეთ საქართველოს ქართველებსა და ლაზებს არ უყვარდათ ოსმალები:" «Оба эти народа армяно-кавказского происхождения: Они смотрят на своих Турецких правителей, турок как. на чужеземцев и вовсе не любят их.»

ხულოს მოსახლეობის აღწერისას იგი აღნიშნავდა: «Они ненавидят вообще оттаское правительство; и открыто восстают против него.»

თურქების მიერ ჩვენი მხარის ძალით დაპყრობის შემდეგ მიღებულ იქნა თურქული მმართველობის წესები მთელ სამხრეთ საქართველოში — სამცხე-საათაბაგოში, აჭარასა და ლაზეთში. მთელი ეს ტერიტორია დაყოფილ იქნა 24 სანჯაყად: პარხალი, ხახული, ერუშეთი, თრიალეთი, ჯავახეთი, არტაანი, ახალციხე, ოცხი, ჩილდირი, შავშეთი, ართვინი, ოლთისი, ყარსი, თორთუმი, აჭარა,

1 ციტირებულია გ. კ. ტივაძის წიგნიდან: „ოსმალეთის დევრიშობა და გლეხთა აჯანყებანი მე-16 საუკუნეში". 1946 წ.. გვ. 41.
2 მამია დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, 1950 წ., გვ. 120.

ბაგებელი, ლიგანის ხევი (ლივანა), ლაზისტანი, კოლა, გონია, ბათუმი და სხვა. აღნიშნულ მხარეში ოთხი ფაშა იჯდა: ახალციხის, კოლას, ოლთისისა და ლაზისტანის. ამ ფაშების უფროსად ითვლებოდა ახალციხის ფაშა, რომელიც ერზრუმის სერასკერს (მთავარსარდალს) ექვემდებარებოდა.

სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ აღწერეს მოსახლეობა და შეადგინეს ე. წ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი". ამის ძალით დამყარდა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის თურქული, ანუ აღმოსავლური წესი. მოსახლეობა დაჰყოფდა სხვადასხვა გადასახადებით. აღნიშნული წესი მანამდე არსებული, ძველი ქართული სისტემისაგან სავსებით განსხვავდებოდა. მიწებით სარგებლობის უფლება მხოლოდ სამხედრო პირებს ეძლეოდათ. მთელი მიწები კატეგორიებად იქნა დაყოფილი, მაგრამ მიწებს მიიღებდა მხოლოდ მუსლიმანი და ისიც სამხედრო პირი. ამრიგად, ქართული მიწა-წყალი გადავიდა სულთანის მოხელეების ხელში. მაშასადამე, სულთანი მოსახლეობის გამუსლიმანებისათვის, გარდა ცეცხლისა და მახვილისა, მიმართავდა ეკონომიურ იძულებას: ან გამუსლიმანება, სამხედრო სამსახურში შესვლა და მიწის შენარჩუნება, ან მამულის, ქონების დაკარგვა და გადასახლება.

ახალმა ბატონებმა ხელთ იგდეს მეფის, თავადების, აზნაურების, გლეხობის, ეკლესია-მონასტრების და სხვა მიწები. ამრიგად, მიწის მფლობელნი გახდნენ: სულთანი, ვეზირები, ფაშები, ბეგლარ-ბეგები, ალაი-ბეგები, სანჯაყ-ბეგები და სხვები. ქვეყნის დაპყრობის შემდეგ დარჩენილ მიწა-მამულს, რომელიც სულთანის პირად განკარგულებაში რჩებოდა, ხასი ეწოდებოდა.

ჩვენი მხარის რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით რუსმა მოხელეებმა ვალიანოსკინ და ფილიპოვმა ახალციხეში არსებული საბუთებისა და ადგილობრივი დაკვირვებების შედეგად შეადგინეს სათანადო აქტი, რომელშიც ისინი თურქული მიწისმფლობელობის წესს ახასიათებდნენ. მაშინ ბარათები — მიწის ფლობის საბუთები ეძლეოდათ სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით თიმარს, ზიამეთს, ისარს (აქედან ისარლი) და სხვებს, რომელთა შემოსავალი „აჩჩებით" ისაზღვრებოდა. „აჩჩა" არა მარტო ფულის ერთეული იყო, აჩჩებით ისაზღვრებოდა მიწის ფართობის რაოდენობაც. მაგალითად, იგი უდრიდა მიწის ისეთ ნაკვეთს, რომელზეც ერთი კოდი პური ითესებოდა. ბარათები ეძლეოდათ

ზემოაღნიშნულ პირებს ფაშის

ედგენით, ხოლო სულთანი მას ანტკიცებდა. მიწის დროებით მფლობელებს სამხედრო სამსახური ევალებოდათ.

მოსახლეობას დაეკისრა ორმაგი გადასახადი: ერთი სახელმწიფოს, მეორე კი ფაშების სასარგებლოდ. ვანუშტი ბატონიშვილის ცნობით, ეს გადასახადები შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: ქრისტიანებს სულზე დრაჰკანი (მანეთნახევარი), ცხვარზე ორი შაური, ძროხაზე აბაზი, ცხენსა და კამეჩზე 6 შაური, ხოლო საფაშოდ დრაჰკანის მესამედი, რომელიც უდრიდა ათ შაურს. ოსმალებმა ასევე დაადეს ხარკი ტყეს, შეშას, წისქვილსა და სხვას. მაგალ. როცა ერთი ცხვარი ღირდა 2 ყურუში, მასზე გადასახადი ორი შაური იყო, ასე რომ ცხვრის პატრონს თითქმის არაფერი რჩებოდა (ყურუში უდრიდა 8 კაპიკს, ე. ი. ცხვარი ღირდა 16 კაპიკი, მასზე გადასახადი კი იყო 10 კაპიკი).

როგორც ჩანს, ეს გადასახადები თავდაპირველად ქრისტიანებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ეს იყო თვალის ასახვევად — ქართველი მოსახლეობის გამაჰმადიანების მიზნით. შემდეგ კი ეს გადასახადი მთელ მოსახლეობაზე გავრცელდა.

აქარაში ოსმალთა ბატონობის დროს გადასახადების აკრეფისათვის და მოსახლეობის დარბევა-აწიოკებისათვის იყო შექმნილი მრავალი რაზმები, რომლებსაც იგზავნებოდნენ სოფლიდან სოფელში: „ჩადგებიან ერთ სოფელში, მუქთად სჭამენ, სვამენ, და ახლა მეორეში გადიან. ამგვარად, სოფლები აწიოკებული ჰყავთ. ...ემსგავსებიან ნამდვილ ავაზაკების თარეშებს და ხალხს ცხადათ და მოურიდებლად სცარცვენ. ყირსარდლების თანამდებობა ფულით იყიდება და ვინც მეტ ქრთამს მისცემს ბათუმის გუბერნატორს, იმასა ნიშნავს. მაგრამ მარტო ყირ-სარდლები კი არა, სხვა თანამდებობაც ფულით და ქრთამებით იყიდება. გინდ ყაიმეკამის აღილი იყოს, გინდ მუდირისა, რაკი ახალი გუბერნატორი (მუთესერიფი) დაჯდება, მაშინვე ძველ-ებსა სცვლის და მეტის ქრთამის მძლეველ მოხელეებსა ნიშნავს.

ამგვარად ყოველი ხარკი, რასაკვირველია, ხალხს აწვება და თანდათან მატულობს“.[1]

როგორც იყო თქმული, ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ სულთანი ცდილობდა თავის მხარეზე გადაებირებინა თავად-აზნაურები. ამ მიზნით მათ უხვად ასაჩუქრებდა ფირმანებით — წყალ-

1 ჟურნალი „ივერია“, 1877 წ., № 12, გვ. 10.

ბის წიგნებითა და ბარათებით, როგორც მიწა-მამულის მფლობელობის, ისე სამხედრო თანამდებობათა მინიჭების შესახებ. ამ ბარათებსა და ფირმანებს სულთანი და მისი ფაშები მასობრივად ურიგებდნენ ძველ ფეოდალებს, როგორც აჭარაში, ისე ახალციხესა და სხვა დაპყრობილ პროვინციებში.

საინტერესოა ბარათი, რომელიც სულთან იბრაიმს უბოძებია ვინმე ხოსრო-ბეგისათვის (1640—1648 წ.).

„არზრუმის ბეგლარ-ბეგმა მოახსენა ჩვენს ბედნიერ სამეფო კარს, რომ მემედ-ბეგმა (ხოსროს მამამ, ხ. ა.) ყველა მმართველ ბეგზე უწინ განაცხადა მორჩილება და მან ყველაზე ადრე მიიღო ისლამი. მას განსვენებული სელიმ-ხანის (სულთანი 1520—1556) და სულეიმან-ხანის (სულთანი 1556 — 1574 წ.) დროიდან მათ უმაღლეს ბრძანებათა თანახმად, ჰქონდა სანჯაყის მემკვიდრეობითი მფლობელობა. ამჟამად მისი სიკვდილის გამო შვილი მისი ხოსროვი, ხსენებული სანჯაყის მფლობელი, შიშობს რა, რომ მთავრობის განკარგულება საქართველოს ვილაიეთების აღწერის შესახებ, მის განკარგულებაში მყოფი უმაღლესი ფირმანის საწინააღმდეგოდ, არ შეეხოს მის სანჯაყსაც, შუამდგომლობს მისი უფლებების განახლების შესახებ ამ სანჯაყზე და დასძენს, რომ ასეთი განახლება ერთხელ უკვე მოხდა ჩვენი განსვენებული მშობლის მურად-ხანის დროს (მურად მე-4 სულთანი 1623—1640 წ.). ამიტომ, მე ვინებე ვუბოძო მას ფ ი რ მ ა ნ ი ესე, ამასთან ვბრძანებ, დეე ჰფლობდეს ხოსროვი თავის სანჯაყს იმავე უფლებებით, როგორითაც ქართველი ბეგები ჰფლობდნენ თავიანთ ადგილმამულებს, და ვიდრე იგი ერთგული იქნება ჩვენი თავის და აგრეთვე რელიგიისა, განაგებდეს მემკვიდრეობით და დაუბრკოლებლივ მის ციხე-დარბაზებს, სოფლებსა და გლეხებს და სარგებლობდეს თავისი მიწების შემოსავლით“.[1]

ეს საბუთი გვაძლევს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ დაპირებებსა და წახალისებას მიმართავდა სულთანი იმისათვის, რომ მოსახლეობა გამუსლიმანებულიყო. ამ საბუთიდან ჩანს, რომ სულთანი ქართველი თავადების გადაბირების მიზნით, პირველ ხანებში მათ ძველ უფლებებს უნარჩუნებდა. რათა ამ თავადებს

1 Д. Бакрадзе. Исторический очерк турецкой системы землевладения. Приложение к протоколу Кавказск. юридич. общ-ва, № 9, 1869 г., 21 апреля.

თავიანთი ყმების გამაჰმადიანებაც მოეხერხებინათ (როგორც ვიცით, გამაჰმადიანება ზედა ფენებიდან დაიწყო).

მეორე ბარათში, რომელიც სულთან მაჰმუდს უბოძებია 1717 წელს ახმედ და მუსტაფა სანჯაყ-ბეგებისათვის, დახასიათებულია მაშინდელი ბათუმის სანჯაყის საბაჟოების მთელი შემოსავალი.[1]

აღნიშნული ბარათი ამტკიცებს არა მარტო იმას, რომ სანჯაყ-ბეგები ფლობდნენ ბათუმსა და მის მიდამოებს, არამედ იმასაც, რომ ეს ადგილები ოსმალთა დროსაც გურიელებს რამდენჯერმე ბრძოლით უკან დაუბრუნებიათ.

ასევე საინტერესოა უსუფ-ფაშის ბრძანება დავით მაჩაბელისადმი. ეს საბუთი დაახლოებით 1723—1734 წლებს ეკუთვნის.

„ვეზირი უსუფ-ფაშა გიბრძანებ მაჩაბელო დავით! შენი და შენის ბიძაშვილის ფარსადანის სახლ-კარი, მამულები თეიმურაზს სჭერია, ცოტა-რამ თეთრიც მოუცია. ის გლეხები დაუყიდია, ამდენი ხანია უჭამია. ის თეთრი ორ სამს იმდენად შექნილა. არას გემართლება. სადაც შენი მამული იყო, ყველა შენთვის გვიბოძებია. მირსა და სალიანსაც, რაც შემოგხუდებოდეს, შენ გამოიღებდე, მაჩაბელს ხელი აღარ აქვს. ამილახვარო ბატონო გიო, ქრცხინვალის მოხელეებო, ეს მამულები, რაც ამათი სამკვიდრო იყოს, დაუჭერინე, ნურავის შეაცილებთ.“[2]

მეორე საბუთი, უსუფ-ფაშა მესამის მიერ გაცემული, ასეთივე ხასიათისაა: „ქ. ვეზირი უსუფ-ფაშა გიბრძანებ ერთობით ხეფინის ხეველნო, თქვენ რა ყადრი გაქვთ, თქვენი თავი ბედნიერმა ვეზირმა მამა ჩვენმა ზურაბ აბაშიძეს მივეცით, არ მისულხართ, არ შეყრილხართ. ახლა ყველა მიდით, როგორც აქამდინ გემსახურებინოთ, ისე იმსახურეთ, თორემ პასუხს ვეღარ მოგცემთ. უსამართლოს ვერას გიზამთ. რაც სამართლის სამსახური იყოს, ნურას დაიკლებთ. ჩვენ მანდედამ ხელი აგვიღია, იმისთვის მიგვიციხართ, კარგად ემსახურენით.“[3]

უსუფ-ფაშა ფეოდალთა პრივილეგიებს იცავდა, ყმებს ბატონთა მორჩილებისაკენ მოუწოდებდა. ამრიგად იკვრებოდა კავშირი ადგილობრივ ფეოდალებსა და უცხო დამპყრობლებს შორის.

---

1 დ. ბაქრაძე, ოქმი № 9-დან.

2 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. ივ. ბერძენიშვილის რედ. 1940 წ., გვ. 201.

3 დასახ. წიგნი, გვ. 469.

1750 წლის დეკემბერში დიმიტრი ეშიკალბაშისადმი მიცემული საბუთიც ამას მოწმობს: „ქ. დიმიტრის. ეშიკალ (ა)თ-ბაშის იცოდო, ახინჯანას—შვილო მამადავ და ნაბიავ. მერმე ზა(ა)ლ-ბეგისთვის მიგვიციხართ მსახურათ, იმას ემსახურენით. ამას მოუდგეთ და კარგად ემსახურენით. სხვას თქვენთან ხელი არავისა აქვს. ამის სამსახურს ჩვენ ოდნათ დაგიმადლებთ...“[1]

აქ მოყვანილი საბუთებიდან ჩანს, თუ როგორ საშუალებებს მიმართავდა თურქეთის ხელისუფლება ქართველი მოსახლეობის სოციალ-პოლიტიკური დამორჩილებისათვის და მათი ეროვნული გაძარცვარებისათვის. ფეოდალთა გარკვეულმა ნაწილმა აღიარა ოსმალთა ბატონობა, მაგრამ მშრომელი მასები მტკიცედ იცავდნენ თავიანთ ენას; სარწმუნოებას. ეროვნულ-კულტურულ ტრადიციებს.

მოსახლეობა სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა თურქულ რეჟიმს. ეს რეჟიმი ძარცვავდა მშრომელებს, რომლებიც დამპყრობთაგან ყოველგვარ შეურაცხყოფასა და დამცირებას განიცდიდნენ. ძველ ქართულ სოფლებში ოსმალო ბარბაროსებმა დანერგეს ადამიანების მოტაცება და ყიდვა-გაყიდვა, გახშირდა ქურდობა-ყაჩაღობა. სულთანის მოხელეები პირდაპირ ითვისებდნენ მოსახლეობის ქონებას და აჩანაგებდნენ გლეხურ მეურნეობებს. ამიტომ აჯანყება აჯანყებას მოსდევდა.

ფ. ენგელსი თურქეთის პროვინციების აჯანყებისა და გაუმაძღარი მმართველების შესახებ წერდა:

„Но их невежество, наглость и стяжательство остались такими же, какими они были в расцвет хозяйничанья азиатских сатрапов, и если в течение последних лет нам редко приходилось слышать о восстаниях пашей, то мы достаточно слышали о восстаниях провинций против своих алчных правителей, которые — прежде самые ничтожные домашние рабы и люди, готовые на что угодно, — пользовались своим новым положением, чтобы накопить богатство путем вымогательства, взяток и бессовестной растраты общественных средств».[2]

თურქეთის მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ცალკეულ რაიონებში ღიდხანს გრძელდებოდა ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ. რაც შეეხება აჭარას, იგი დიდხანს ინარჩუნებდა ფაქტიურ დამოუკიდებლობას. აჭარლები თურქ მოხელეებს თავიანთ მხარეში არ უშვებდნენ. ოსმალები მხოლოდ ბათუმსა და მის ახლო-მახლო სოფლებში ახერხებდნენ თავიანთი მტარვალური

1 დასახ. წიგნი გვ. 352.

2 Ф. Энгельс, изб. воен. произв., т. I, 1937 г., стр. 453.

ბატონობის შენარჩუნებას. აჭარის მთიან სოფლებში მათ არც კი მიესვლებოდათ. ეს კარგად ჩანს აჭარელი მოხუცი გლეხის ნაამბობიდან:

„რაის იქს კაცი, თვარა ამ აბდალ თათრებს თავს რავა გავაქ-ლეტინებდით, აქ არიან დიდგულები, დედაგაქუცულები, თვარა აჭარაში, მთაში რავა მოგვეკარება: კაი გულის პატრონი უნდა რომ იქ შემოიაროს.“[1]

ოსმალთა ბატონობის უღელქვეშ მგმინავი ხალხები როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, გამუდმებით იბრძოდნენ თავისუფლებისათვის. ჯანყდებოდნენ ბერძნები, ალბანელები, ჩეხები, ბულგარელები, ქართველები. სომხები და სხვ.

სულთანის მთავრობა სახალხო ბრძოლას ახშობდა. მოთავეებს ჟლეტდა და ციხეებში ალპობდა. საყურადღებოა სხვადასხვა ხალხების წამებულთა შეხვედრის ერთი ფაქტი, რომლის შესახებ ჩეხი ვრატისლავი (1591 წ.) გადმოგვცემს, რომ „სადღაც აზიაში მომხდარი აჯანყების შემდეგ შეპყრობილი მეამბოხეები მოათავსეს ჩვენთან ციხეში, მეორე საპყრობილეში, რომელიც ჩვენს ზევით იყო, ხოლო ერთი წარჩინებული ქართველი კაცი, რომელიც მათ შეიპყრეს მოტყუებით, ჩვენთან მოათავსეს საპყრობილეში...“[2]

1668 წელს მთელი აჭარა აუჯანყდა ოსმალეთს. ამის შემდეგაც ბრძოლა არ ჩამქრალა. 1685 წელს ლიგანის ხეობაშიაც სისხლისმღვრელ ბრძოლებს ჰქონდა ადგილი. ასე იყო შავშეთ-იმერხევშიაც 1690 წ., ხოლო 1697 წ. მთელი სამხრეთი საქართველო საყოველთაო აჯანყებამ მოიცვა. ოსმალეთი სისხლში ახრჩობდა ამ გამოსვლებს.

თურქულ რეჟიმს აჭარაში უშუალოდ ოსმალო მოხელეები ახორციელებდნენ. მოხელეებად იყენებდნენ აგრეთვე რენეგატ ქართველ ფეოდალებსაც, რომლებიც სულთანის სამსახურში თავს არ ზოგავდნენ.

დიდ წარმატებას აღწევდა თურქეთში ჩვენი ქვეყნიდან მოტაცებული ზოგიერთი ქართველი. 1896 წელს შამსიდდინ სამი-ბეის მიერ სტამბოლში გამოცემული ლექსიკონის „კამუსულ ალემის“

1 ნ. ნიკოლაძე, „ბათუმი“ („კრებული“ № 4, 1873 წ., თავი 37).

2 გ. ტივაძე, ოსმალეთის დევრიშობა და გლეხთა აჯანყებანი მე-16 საუკუნეში, 1940 წ., გვ. 84.

მიხედვით ამ დაწინაურებულ ქართველთაგან შეიძლება მოხსენებულ იქნან შემდეგი პირები:

1) „გურჯი“ — ქართველი მეჰმედ-ფაშა, რომელიც სულთან მუსტაფა ხან პირველის დროს ვეზირის თანამდებობაზე ყოფილა.

1013 წ. ჰიჯრით, მეჰმედი ვეზირის ღირსებით ყოფილა აღჭურვილი და ეგვიპტის გუბერნატორად წამოუყენებიათ. ამის შემდეგ იგი ჩანს ბოსნიის გუბერნატორად და ბელგრადის ციხის უფროსად. 1018 წ. იგი მესამე ვეზირი იყო, შემდეგ დიდი ვეზირის მოადგილე. 1031 წ. მეჰმედ გურჯი დიდი ვეზირის თანამდებობაზეც დაუნიშნავთ, ხოლო შემდეგ თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ იანიჩრების აჯანყებაში მონაწილეობისათვის თანამდებობიდან მოუხსნიათ და სადღაც გადაუსახლებიათ, მაგრამ მას ძველი ნდობა მალე აღუდგენია — დიდი ვეზირის მოადგილის თანამდებობაზე დაუბრუნებიათ. 1035 წ. იგი ისევ დიდი ვეზირის თანამდებობაზე იყო და სულთანის შემდეგ პირველ კაცად ითვლებოდა. დასაფლავებულია „ეიუბი ენსარის“ სასაფლაოზე საკუთარ აკლდამაში.

2) მეჰმედ-ფაშა მეორე, სულთან მეჰმედ ხან მეოთხის დროს ყოფილა ვეზირის თანამდებობაზე.

1037 წ. ჰიჯრით იგი „შამის ვალი“[1] იყო. ვალი-ფაშად ითვლებოდა დიარბექირის, ჰელების, შამის, არზრუმისა და თურქეთის სხვა პროვინციებში, ხოლო ამის შემდეგ 1061 წ. ყოფილა ვეზირთა საბჭოს წევრად. მაშასადამე, ის უშუალოდ ესწრებოდა სულთანის დარბაზის სხდომებს. ბოლოს დიდი ვეზირის ბეჭედიც კი გადასულა მის განკარგულებაში.

1062 წელს ის, როგორც ჩანს, სასახლის ინტრიგებისა და სულთანის რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედებაში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს და, ბოლოს ე. წ. „იედი-კულეში“ (შვიდკოშკიანი ციხე) ჩასვეს.

მისი ბიოგრაფი ამბობს, რომ იგი ხელისუფლებისათვის მიუღებელი ყოფილა, რადგან ხელისუფლების საწინააღმდეგოდ პროვოკაციას ეწეოდაო. გარდაცვლილა 1076 წელს, ტემშუარის პროვინციის ხელმძღვანელობიდან გადაყენების შემდეგ.

3) იუსუფ-ფაშა, სულთან აჰმედ ხან მესამის დროს ყოფილა დიდი ვეზირის თანამდებობაზე. 1122 წლიდან ის, როგორც სხვა

---

1 ვალი — გუბერნატორი.

ტომის, ე. ი. ქართველი, იზრდებოდა იანიჩარად, შემდეგ იანიჩარაღა გამოდარა, სოლო 1123 წლიდან დიდი ვეზირობა მიუციათ. მაგრამ, როგორც ამ საქმისათვის შეუფერებელი (არა საიმედო), მოუსსნიათ და როდოსში გადაუსახლებიათ, სადაც მალე გარდაცვლილა.

4) იუსუფ-ფაშა მეორე, სულთან აბდულ აჰმედ პირველის და სელიმ ხან მესამის დროს იყო დიდი ვეზირის თანამდებობაზე. ის ახალგაზრდობიდან ტყვედ მოტაცებული, ოსმალეთში გაზრდილი ქართველი ყმა იყო. მისი პატრონი გემთმშენებლობის უფროსი ყოფილა. შემდეგ იუსუფ-ფაშას, როგორც ამ დარგის მცოდნეს, მინდობილი ჰქონია ეს საქმე. 1199 წ. მორანის მმართველად, ვეზირის ხარისხით, ყოფილა დანიშნული. 1200 წელს მას დიდი ვეზირის ბეჭედი გადასცეს.

სულთან სელიმის ტახტზე ასვლის შემდეგ იუსუფ-ფაშა ჩამოქვეითებულა, ვითომცდა რუსეთ-ავსტრიას და თურქეთს შორის წარმოებული ომის დროს სასურველი („სასიკეთო") შედეგების მიუღწევლობის გამო. მაგრამ ის კვლავ დაწინაურებულა სივასის და სხვა პროვინციის გუბერნატორად, შემდეგ კი სერასქერად. 1124 წელს ყოფილა კაფუდან დერია—საზღვაო მინისტრი, როგორც მისი ბიოგრაფი გადმოგვცემს, მაგრამ ის სტამბოლს არ გამოცხადებულა, რადგან სულთანის დინასტია არ მოსწონდა. მან ისევ აღნიშნულ პროვინციაში სერასქერად დარჩენა არჩია.

დაახლოებით 1125 წელს იუსუფ-გურჯი გამოძახებული ყოფილა სულთანთან და მისთვის გადაუციათ დიდი ვეზირის ბეჭედი, ხოლო რუსეთ-თურქეთის ომის მოახლოებისას — სულთანის ბეჭედი. 1126 წ. ის ამ ომიდან „ლივაიშერი" დაბრუნებულა სტამბოლს, არასახარბიელო შედეგებით, რის გამოც გადაუყენებიათ მაღალი თანამდებობიდან და ანაპის ციხის უფროსად გადაუყვანიათ. გარდაცვლილა „მალინპს" ციხის უფროსად ყოფნის დროს, დაახლოებით 1127-1128 წლებში.

5) ზიაედდინ იუსუფ-ფაშა, წარმოშობით ქართველი, მუსტაფა-ფაშის ხელზე მოსამსახურე. იგი აღნიშნული ფაშის შვილმა იბრაჰიმმა აღზარდა.

სულთან სელიმ-ხან მესამის და სულთან მაჰმუდ-ხან მეორის დროს დიდი ვეზირის თანამდებობა სჭერია ორჯერ. ის გაუთავისუფლებიათ თანამდებობიდან ზოგიერთი მისი მიუღებელი შეხედულებების გამო, ალბათ, როგორც საეჭვო პიროვნება. ჩანს იგი

არ იზიარებდა სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. მიუხედავად ამისა, მასზე ხელი ვერ აუღიათ და სამთომადნო საქმეების პრეფექტად დაუნიშნავთ 1213 წ. ამავე დროს მისთვის ვეზირის ღირსება და ერზერუმის გუბერნატორობა უბოძებიათ. ეგვიპტეში ფრანგების შეჭრასთან დაკავშირებით იგი დიდი ვეზირის ბეჭდით აღიჭურვა და მთავარსარდლადაც დაინიშნა. 1220 წ. მისივე სურვილით დაბრუნებულ იქნა სამთომადნო საქმეების ხელმძღვანელად. რუსეთ-თურქეთის ომის დროს მას აღმოსავლეთის სარდლის თანამდებობაც მიუღია. სულთან მუსტაფას დროს ბაღდადის გუბერნატორად იყო გადაყვანილი, ხოლო 1224 წ., სულთან მაჰმუდის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით მას კვლავ მიეცა ვეზირის თანამდებობა. რუსეთთან ახალი ომის დაწყებისას იგი ისევ მთავარსარდლად იხსენიება, მაგრამ მას ფრონტზე თავი ვერ უსახელებია. 1226 წ. მოუხსნიათ და „სამუდამოდ" გადაუსახლებიათ როდოსზე.

6) ხალილ ჰამიდ-ფაშა, ასევე ქართველი წარმოშობით, აბდულ ჰამიდ-ხან პირველის დროს დიდ ვეზირად იყო. იგი წინათ ყოფილა ყმა ფუჰად-ფაშისა, რომელიც წარმოშობით გურჯი-ჰაჯი მუსტაფას შვილი ყოფილა. სტამბოლში მისვლის შემდეგ მას მწერლობა დაუწყია. 1182 წ. დიდხანს უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს კანცელარიაში მუშაობდა. აქედან სულთანის არმიაში გადასულა „ხოჯა-გონლიეს" ღირსებით (ოფიცრის ჩინს უდრიდა). არმიიდან დაბრუნების შემდეგ დაინიშნა უმაღლესი საბჭოს მდივნად. ხოლო 1194 წ. დიდი ვეზირის საქმეთა მმართველი — მოურავი გამხდარა. 1195 წელს მიეცა გემთმშენებლობის პრეფექტობა. 1196 წელს დიდი ვეზირიც გამხდარა. 1199 წელს სულთანის სასახლეში შეთქმულების გამო მისთვის ღირსება აუხდიათ და „გადაუსახლებიათ (მთელი ქონების კონფისკაციით) გალიოპოლში, მაგრამ მალე, 25 დღის შემდეგ, გაუთავისუფლებიათ და გუბერნატორად დაუნიშნავთ.

7) ხურშიდ-ფაშა-გურჯი, სულთან მაჰმუდ-ხან მეორის დროს დიდი ვეზირი, სულთანის შემდეგ პირველი კაცი იყო. საქართველოდან მოტაცებული ყმა ბიჭი რუმელიის ვალი-ფაშის კარზე დაწინაურებულა და მალე ქალაქ ალექსანდრიაში კომენდანტად დაუნიშნავთ. ამის შემდეგ იგი ეგვიპტეში ყოფილა გუბერნატორად (ვალი). მალე იგი, ირანთან ომის დროს, ოსმალთა ჯარების მთავარსარდლად დაუნიშნავთ. ამავე თანამდებობაზე იყო იგი სერ-

ბიასთან ომის დროსაც. 1224 წ. ომში მამაცობის გამო მას დიდი ვეზირის ბეკედი მისცეს. ამ უმაღლეს თანამდებობაზე მან 2 წელიწადს დაჰყო. 1230 წელს, გამოურკვეველი მიზეზების გამო, თანამდებობიდან მოხსნეს და ალეპოში გადაასახლეს.

8) რეშიდ-ფაშა—სულთან მაჰმუდ-ხან მეორის დროს თურქეთის იმპერიის ვეზირთაგანი ყოფილა. 1244 წ. დაინიშნა დიდი ვეზირის თანამდებობაზე. ომიანობის დროს დანიშნული იყო სარდლად შუმლაში, რუმელიაში და სხვაგან.

9) ალი საიბ-ფაშა — თურქეთის იმპერიის მუშირი სულთან აბდულ აზიზის დროს (მუშირი სამხედრო ხაზით უმაღლესი ხარისხი — მარშალი). ის დაიბადა კაისერის სანჯანყში, სოფ. თალახში გურჯი მუჰაჯირის ოჯახში. სტამბოლში მოსვლის შემდეგ შესულა სამხედრო სასწავლებელში. გენერალური შტაბის სასწავლებლის დამთავრებისა და სამხედრო სამსახურებრივი საფეხურების გავლის შემდეგ მას მუშირის ხარისხი მიუღია. 1293 წ. სერბიელებთან ომში ყოფილა. 1296 წელს ის დაინიშნა საარტილერიო არსენალის მუშირის თანამდებობაზე. 1302 წ. გამხდარა სერასქერი (მხედართმთავარი). 1309 წლის დასაწყისში გარდაცვლილა. დაუმარხავთ სულთან მაჰმუდ-ხანის აკლდამის გვერდით.

10) იბრაიმ-ფაშა, ახალციხის წარჩინებულთაგანი, 1141 წელს, სულთან მუსტაფა-ხან მესამის დროს ყოფილა სულთანის „სილაჰდარი“ — საშურველთუხუცესი. შემდეგ ჩვენთვის უცნობი მიზეზით მოუსსნიათ თანამდებობიდან და ახალციხეში გადაუსახლებიათ. 1180 წელს ანატოლიისა და ჩილდირის ვალად დაუნიშნავთ, რათა ჩაექრო აჯანყება საქართველოში, მაგრამ მას სულთანის სასარგებლოდ არაფერი გაუკეთებია.[1]

აღნიშნული ლექსიკონით ძნელია იმის დადგენა, თუ მასში მოხსენებული ფაშებისაგან რომელია ქართველი. რიგ შემთხვევებში ლექსიკონი მხოლოდ მათ სახელებს და არა გვარებს, მიუთითებს. ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ ფაშებს კი ბოლოს უწერია „გურჯი“. საფიქრებელია, რომ ლექსიკონში გურჯ მოხელეთა რაოდენობა უფრო მეტია, მაგრამ ყველა მათგანს ავტორი არ იცნობდა.

აღნიშნული პირების გარდა სხვადასხვა თანამდებობაზე იმ დროს და შემდეგ პერიოდში თურქეთსა და სხვა ქვეყნებშიც ბევრი ქართველი ყოფილა. ეს გარემოება იმ მხრივაა საყურადღებო,

1 შამსიდინ სამი ბეის მიერ სტამბოლში გამოცემული ლექსიკონი „კამუსულ ალემი“, 1896 წ., ტ. 1, 3, 4 და 6.

რომ უცხოეთში მოხვედრილი ქართველობა, მიუხედავად მისი სოციალური წარმოშობისა (გლეხი, თუ თავადაზნაური), თავის ნიჭსა და ტალანტს ავლენდა და თავისებურ გავლენას ახდენდა ოსმალეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე. ამ გარემოებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქართველი და თურქი მშრომელი ხალხების ურთიერთობის ისტორიისათვის.

როგორც თურქეთში, ისე ირანში და სხვაგანაც, საქართველოდან მოტაცებულ ყმა-გლეხთა გარდა ქართველი არისტოკრატებიც გარკვეულ როლს ასრულებდნენ. მე-17 საუკუნის ირანში ისინი სარდლებად, ვეზირებად, მოსამართლეებად, პროვინციის მმართველებად და ბეგლარ-ბეგებად მუშაობდნენ. მათ სახელი გაითქვეს აგრეთვე მეცნიერებისა და კულტურის დარგში, ასეთები იყვნენ პოეტები: ქაიხოსრო ხანი, ზეინალ-ბეი, ზურაბ-ბეი, შარმაზან-ბეი, ალიხან-ბეი, ყაზილ-ბეი, მწატვარი სიაოშ-ბეი და სხვა მრავალი.

* * *

სამხრეთ საქართველოს ქართველების გამუსლიმანება თურქებმა ერთბაშად ვერ მოახერხეს. ისინი ამ ღონისძიების განხორციელებლად მიმართავდნენ ყველაზე ბარბაროსულ მეთოდებს: ათასობით ადამიანებს ხოცავდნენ, ჰკიდებდნენ ხეებზე, თავს კვეთდნენ, მდინარეებში ყრიდნენ, შვილების თვალწინ მშობლებს ხოცავდნენ და პირიქით, ქალებს ძუძუებსა და თმებს აჭრიდნენ, სპობდნენ მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, სწვავდნენ წიგნებს და სხვ. თურქეთის სულთანი ხალიფობასაც, ე. ი. მართლმორწმუნე მაჰმადიანების რელიგიურ მეთაურობასაც ჩემულობდა. გამაჰმადიანება ოსმალეთის სახელმწიფოს თვალსაზრისით, გათურქებას ნიშნავდა.

ოსმალო დამპყრობლების მიერ ქართველი ხალხის ძალად გამუსლიმანების დამადასტურებელი მასალები საკმაოდ მოიპოვება. მაგალითად, ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია მესხის (გვარამაძის) წერილი, რომელშიაც ნათქვამია: „რომელ ხორციელ ენას შეუძლია, რომ წარმოსთქვას თვითოეულნი იმ დროინდელი ქრისტიან მამათა და დედათა დასჯა-ტანჯვანი... ვის ცოცხალს ტყავს აძრობდნენ, ვის ოთხ პალოზედ გაკრულს

ბაწრებით გუდათ იღებდნენ, ვის ნაკუწ-ნაკუწად სპრიდნენ ხმალითა და ვის ხანჯლით გულ-მუცელს უპობდნენ, ვის შამფურზედ გაცმულს ცოცხლებრივ ცეცხლზედ მწვადივით სწვავდნენ, ვის შიშველს გახურებულ საჯდომზედ აგდებდნენ... რკინის საწვავებით ხვრეტდნენ, ვის ადუღებულ წყალში ხარშავდნენ, ვის გამდნარ ტყვიას ასხამდნენ პირში, ვინ ანთებულ კირში აგდებდნენ...“[1]

როგორც ცნობილია, ისლამი თავდაპირველად მოსახლეობის ზედა ფენებში იდგამდა ფეხს. მათი ბანაკიდან გამოვიდნენ გამუსლიმანებული პირველი ფაშები. შემდეგ ისლამი. ფაშის ოჯახში ვრცელდებოდა.

„1650 წ. ხვანთქარს ამბავი მიუტანეს ჯარისკაცებმა, რომ ახალციხის როსტომ-ფაშის ცოლი და აღა-ბეგების ცოლები ისევ ქრისტიანები არიან, მაჰმადიანობა სძულთ და მათი მიხედვით დაბალ წოდების კაცნი, გლეხნი ქრისტიანობაზედ მაგრად არიანო“... მაშინ სულთანის ბრძანებით უთხოვიათ, რომ როსტომ-ფაშისა და გამუსლიმანებული თავადების ცოლებსაც მიეღოთ მაჰმადიანობა. ცოლები უარს ამბობდნენ, ხოლო მათ მიმართ ტანჯვა-წამების ხერხებს იყენებდნენ. ძალადობას ფართო გასაქანი ჰქონდა. აი, რას ამბობს ერთი ხალხური გადმოცემა:

„ლივანელ-კლარჯებისათვის დადგა დიდი უბედურების დღეები, აქ მცხოვრებ ქართველობას გარს აუარებელი ოსმალოდან მოსული ჯარი შემოეკრა და იწყეს ქართველების დევნა-დაპატიმრება. მოხუცებულნი ქართველის ტედაკაცნი და მამაკაცნი ხმამაღლა ყვიროდნენ — „არ გავთათრდებითო“. პატიმარ ქართველებს მოუყარეს ერთად თავი და ყველა, წყობა-წყობა მიჰყავდათ ართვინის ხიდზე, რომელი ხიდიც ჭოროხზე იდგა. აქ აყენებდნენ ქართველებს და გარს ჯარისკაცნი სცავდნენ, პყრობილ ქართველთა პირდაპირ, ხიდის გვერდით, ერთ ალაგას დაასვენეს ერთი ძველი ხატი, რომელსაც ქართველნი დიდ პატივს სცემდნენ. ეს ხატი ართვინის ეკლესიისათვის წაერთმიათ ოსმალებს. ხატის გვერდით იყო თავხაკვეთი ქვა და იდგნენ ჯალათები, თავსაკვეთით აღჭურვილნი“. ეუბნებოდნენ: ვინც გათათრდებოდა, სიცოცხლეს შეინარჩუნებდა, ვინც არა და მას თავს მოკვეთდნენ.“[2]

---

1 ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. (საისტორიო მისიონერული დღიური, წერილები) გადმოწერილი მესხი მღვდლისა ი. ე. გვარამაძისაგან, 1892 წ., გვ. 8.

2 ზ. ჭიპინაძე, „ქართველების გამაჰმადიანება“, თბილისი, 1907 წ., გვ. 7-8

აჭარის არც ერთი კუთხე არ გამუსლიმანებულა თავისი ნებით. ამას ადასტურებენ ისტორიული საბუთები და იმ დროის მომსწრენი. ამ ფაქტს თვით ხოჯებიც ვერ მალავენ. ქედის ხოჯა ახმედ ხალიფაშვილი გადმოგვცემს: „ძველად ხოჯა ხერხეულიძე ასე იტყოდა: რომ ნებით არც ერთი მხარე არ გამუსლიმანებულა, სადაც კი გამაჰმადიანებულან, ყველგან ძალით მომხდარა... ნახევარი ზეგანი, ფოცხოვისა და ქვაბლიანისკენ გაწყდა ბრძოლაში. რადგანაც არ თანხმდებოდნენო, დანდალოს აჭარამ მიბაძა და აჭარაშიაც დიდი სისხლი დაიღვარა“.[1]

მეტად საინტერესოა ჩაქეის მცხოვრების, ღრმა მოხუცებული ჩიჯავაძის ნაამბობი აჭარის ძალად გამაჰმადიანების შესახებ. „აჭარაში გათათრების საქმე ერთობ გაძნელებულა... მალე აჭარის მოხუცებულნი შეუკრებიათ და საფთიხანაში (ზაფთიე-ხანაში) დაუმწყვდევიათ, საპატიმროებში ხოჯები მოუგზავნიათ და ხოჯებს ლოცვები დაუწყვიათ. ზოგიერთი მოხუცებული მიუზიდიათ მაჰმადიანობაზედ და ზოგი კი ვერა. ვინც ვერ მოაქციეს, ესენი აჭარის წყლის შესართავთან მიურეკიათ, სადაც ძველად თამარ მეფის ხიდი ყოფილა.“[2] „ამ ხიდზე დაუდვიათ თავსაკვეთი. მოხუც ქრისტიანებს ჯერ ენის წვერსა, ხოლო მერე თავს ჭრიდნენ, და ფაშას უგზავნიდნენ...“[3]

ქედის მცხოვრები დევრიშ-ბეგ ბეჟანიძე მოგვითხრობს: „პირველ ხანებში, ვინც არ თათრდებოდა, იჭერდნენ და ქედაში მოიყვანდნენ, პარასკევ დღეს, ლოცვის დროს, ჯამეში შეიყვანდნენ. ვინც თათრობას მიიღებდა, ის ცოცხალი რჩებოდა, ვინც არა და იმას კარში გაიყვანდნენ და ლოცვის შემდეგ ხეზე ჰკიდებდნენ და აღრჩობდნენ, დამხრჩვალები სამ დღეს ეკიდნენ ხეზედ... ერთ ჯუმა (პარასკევს) დღეს ქედაში 50 კაცი და დედაკაცი ჩამოჰკიდეს ხეებზედ და დაღრჩეს სჯულის გამო.“[4]

ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებს სოფელ დანდალოს მცხოვრებ ავალიანის ნაამბობი: „აჭარაში გათათრების გამო ყველაზე დიდი ბრძოლა დანდალოს ხალხმა გამოიარა. ამათი გმირობის საქმეები ყველასათვის საკვირველი და სამაგალითო ყოფილა. მთელი დანდალო მტკიცედ დადგა ოსმალოს წინააღმდეგ, თვით დედაკაცებ-

1 ზ. ჭიჭინაძე. „ქართველების გამაჰმადიანება“, თბილისი, 1907 წ., გვ. 16.
2 იქვე, გვ. 16,
3 იქვე, გვ. 73-74.
4 იქვე, გვ. 70-71.

მაც კი აიღეს ხმალ-ხანჯალი ხელში და ოსმალოს წინააღმდეგ გამოვიდნენ საბრძოლველად. ამათ გადასწყვიტეს, რომ ან მამა-პაპის რჯულზე უნდა დავრჩეთ და ანდა დავწყდეთო, ჩვენი გათათრება არ შეიძლებაო. დაიწყეს ბრძოლა... ოსმალნი ათასობით დახოცეს".[1]

თურქები ჩვენი ხალხის გამაჰმადიანების შემდეგ ქართული კულტურის კვალსაც არ ტოვებდნენ. სპობდნენ მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, წვავდნენ წიგნებსა და სხვა. ამ მხრივ საინტერესოა ორცველი სააკოღლის (სააკიძის) ნაამბობი: „მე მახსოვს, რომ აქეთკენ დიდრონი წიგნების ტყავებისაგან ჩასაცმელ ჩუსტებს, ქალამნებს და სხვა რამეებს აკეთებდნენ. ზოგიერთი ისეთი წიგნები ყოფილა აქეთ, რომ თითო წიგნი ნახევარი ფუთი გამოდიოდაო. ხოჯებისა და მოლების ასეთი ქადაგების მეოხებით იყოვო, რომ ამ ხუთმეტი წლის წინათ აჭარის ორს სოფელშიაც დაუწვავთ წიგნები, სახელდობრ: ხერთვისსა და კაპნისთაესში".[2]

მაჰმადიანობის ძალად დანერგვის უმსგავსმა მეთოდებმა არა მარტო აჭარის მოსახლეობა ააწიოკა, არამედ ეს მწარე ხვედრი წილად ერგო მთელ სამხრეთ საქართველოსაც. „თათრობა" რისხვად და საფრთხობელად მიაჩნდა ხალხს.

ხალხში შემონახულია ასეთი გადმოცემა: ეგვიპტეში თითქოს ბუდობდნენ ისეთი ჩიტები, რომლებიც აღმოსავლეთში მიმავალ მგზავრებს გზაზე ხვდებოდნენ შეძახილებით: „ნუ გათათრდები". ამის შესახებ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ: „ნუ გათათრდები — ეგვიპტის მტრედია, მომცრო ფრინველი, მსგავსი მტრედისა, მისირში და შირაზში ცხოვრობს. ესენი ოდეს მგზავრ კაცს ნახავენ, იწყებენ ძახილს ქართულის ენით: „ნუ გათათრდები" და ამ მიზეზით თათარნი უწოდებენ — გიაურ-ყუში, ვითომც ურჯულო ფრინველი".[3]

გურიის საზღვრებზე მდებარე რაიონებში მცხოვრებნი ცდილობდნენ ჩუმად შემოენახათ ქრისტიანული ქართული წესები, მკვდრები დაემარხათ ქართულად, ხოლო თუ ამას ადგილზე ვერ მოახერხებდნენ, მაშინ მიცვალებულებს გურიაში მიასვენებდნენ, მაგრამ მათ გზაში თურქები ხვდებოდნენ და მიცვალებულებს

1 ზ. ჭიჭინაძე. „ქართველების გამაჰმადიანება", ქ. თბილისი, 1907 წ., გვ. 71.
2 ი ქ ვ ე, გვ. 81.
3 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი, 1928 წ., გვ. 260.

ატოვებინებდნენ. ხშირად ხდებოდა, რომ ტყეში და გზაში დატოვებული მიცვალებული ნადირებს შეუჭამია. ქობულეთლებს ბავშვების მოსანათლავად გურიიდან მოყავდათ მღვდლები. აი რას ამბობს ამის შესახებ ერთი აჭარელი:

„მეც თვითონ მახსოვს, რომ გურიის საზღვართან ახლო მყოფი მღვდლები საიდუმლოთ გაგვყავდა ჩვენში და ბოვშვებს ვანათლიებდითო“.[1]

გამუსლიმანება სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში სხვადასხვა დროს მოხდა. საერთოდ აჭარლებს ყველაზე გვიან მიუღიათ ისლამი, რადგან აჭარა დიდხანს იყო მტრისათვის მიუვალი.

ქართველებისათვის რომ თავიანთი ეროვნული წარსული და ვინაობა დაევიწყებინათ, თურქები ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ:

სამხრეთ საქართველოს ქართველებს მათ გამოუცვალეს გვარები და სახელები. მამაკაცებს ძალით რთავდნენ ცოლად ოსმალო ქალებს; ქართული ენა აკრძალეს და თურქული ენა გააბატონეს.

ოსმალო დამპყრობლებმა მოსპეს და დაანგრიეს ძველი ქართული ციხე-დარბაზები, ეკლესია-მონასტრები თავიანთი მდიდარი მხატვრობით და მათ ადგილას დააარსეს ჯამე-მედრესეები. ზოგიერთ მონასტერსა და ეკლესიაში თურქებმა წარხოცეს ქართული ჩუქურთმები, მხატვრობა-წარწერები და სხვ. ე. თაყაიშვილი თავის შრომაში იმოწმებს სარქისიანის ცნობას იმის შესახებ, რომ მონასტრების მეჩეთებად გადაკეთების წინ მათ მონასტრებში კოცონები დაანთეს და შემდეგ წვერმოლესილი იარაღებით გულმოდგინედ ფხეკდნენ ფრესკებს.[2]

ასე ბარბაროსულად გაანადგურეს იანიჩარებმა იშხანისა და სხვა მონასტრების ფრესკები.

ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა რიგი ეკლესიებისა მეჩეთებად გადააქციეს. ფ. ი. უსპენსკის თავის შრომაში „ნარკვევი ტრაპიზონის იმპერიის ისტორიიდან“ აღნიშნული აქვს, თუ რომელი ეკლესია რა სახელწოდების მეჩეთად შეიცვალა:

---

1 გაზეთი „დროება“, 1875 წ., № 112.

2 Е. Такайшвили „Археологическая экспедиция 1917-го года в южной провинции Грузии, 1952 г., стр. 35.

მაგალითად, წმინდა ფილიპეს ეკლესია შეიცვალა ალიფილიპის მეჩეთად, ძველი ეკლესია დერე-მეჩელედ, ანუ მეჩეთ ისმაილ-ბაბად, წმინდა იოანეს, ანუ ღვთისმშობლის ეკლესია — კარაბეთ (ყარაბეკ) ჯამედ, კომნინების სასახლის ეკლესია — ყალე-ჯამედ და ასე შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ თურქები ცეცხლითა და მახვილით ამუსლიმანებდნენ სამხრეთ საქართველოს ქართველებს და უსპობდნენ მათ ქრისტიანული სარწმუნოების ყოველგვარ ნაშთს, ხშირი იყო შემთხვევა, როცა ქართველები საიდუმლო სამლოცველოებში გადამალული ხატებითა და ჯვრებით ჩუმად ლოცულობდნენ. საიდუმლო სამლოცველოების ნაშთები დღესაც ბლომად მოიპოვება აჭარასა და სხვა ადგილებში.

ჯერ კიდევ 1630 წელს არზრუმის ქართველები მასობრივად გამუსლიმანებული არ ყოფილან. „რა გამოიარეს არზრუმში, შრავალნი ქართველნი ნახეს, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ და რომელთაც ჰყავდათ თავიანთი ქართველი ეპისკოპოსი, არზრუმელად წოდებული.“[1]

გამუსლიმანების შემდეგ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქართველები დიდხანს ინახავდნენ თავიანთ ძველ სარწმუნოებას, ისინი საიდუმლოდ ლოცულობდნენ ოჯახებში, ტყეებში, გამოქვაბულებში და სხვა ადგილებში. მაგ., სოფელ შუშანეთში (ბათუმის რაიონი) ნაპოვნია მიწისქვეშა ნაგებობა, საიდუმლო სამლოცველო. სოფელ ბაკოს (ხულოს რაიონი) შუა ადგილას ე. წ. შუახევში დიდ ლოდზე ამოკვეთილია მრავალი ჯვარი. ამ ჯვრების ამოკვეთა თურქეთის ბატონობის დროს არ უნდა ეკუთვნოდეს, იგი უფრო ძველი დროისა უნდა იყოს, მაგრამ აჭარაში ოსმალთა გაბატონებისა და ეკლესიების მოშლის შემდეგ ეს ქვა-ჯვრები მოსახლეობამ სალოცავად გამოიყენა.

სამხრეთ საქართველოს გამაჰმადიანების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „სარწმუნოებით იყვნენ წლისამდე ქრისტესისა 1626, ქართულისა 314-მდე სრულიად ქრისტიანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მაჰმადიანნი და გლეხნი ქრისტიანენი, არამედ კლარჯეთს გლეხნიცა უმეტესნი მაჰმადიანნი, გარნა ვინანიცა არიან ქრისტიანენი, იგინიცა უმწყსელნი

1 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, ქართველთა შორის, გვ. 111.

არიან, ვინაითგან არღა რაისა მორჩილებენ ქართლის კათალიკოზსა, ბერძენთა არა სცალს მათთვის“.[1]

გამათენრქებელი რეჟიმი ფართოდ იყენებდა ჯამე-მედრესეების ქსელს. ამ დაწესებულებების საშუალებით ოსმალეთი აწარმოებდა იდეოლოგიურ დაწოლას მოსახლეობაზე. 1873 წლის ცნობების მიხედვით, ლაზისტანის სანჯაყში შემავალი კაზები, ჯამე-მედრესეებით იყო მოფენილი.

ბათუმის კაზაში იყო 27 ჯამე და 31 მედრესე. — მათგან სამი მაღალი ტიპის მედრესე, სადაც მოლებს ამზადებდნენ. ჩურუქსუს კაზაში 17 ჯამე და 26 მედრესე.

ზემო.აჭარის „ულიას“ კაზაში 30 ჯამე და 30 მედრესე, ქვემო აჭარის — „სუფლიას“ კაზაში — 39 ჯამე და 32 მედრესე. მაჭახლის — 29 ჯამე და 32 მედრესე, გონიას — 31 ჯამე და 56 მედრესე.

ლაზისტანში 447 მეჩეთი ყოფილა, აქედან მარტო აჭარაზე 200-მდე მეჩეთი და 207 მედრესე მოდიოდა. სამაგიეროდ აქ არც ერთი სკოლა არ გაუხსნიათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქალ. ბათუმში ბერძნების ეკლესიასთან არსებულ ერთ სამრევლო სკოლას, რომელიც 1861 წელს დაარსდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ვიცე კონსულმა ახალი ტიპის სკოლის ასაშენებლად გამოყო მიწის დიდი ნაკვეთი, სკოლის შენობის აგება შეუძლებელი შეიქნა. ხოჯა-მოლები დაინტერესებულნი იყვნენ მხოლოდ იმით, რომ მოსახლეობისათვის ზეპირად შეესწავლებინათ ყურანი, ხალხის განათლებაზე მაშინ არავინ ზრუნავდა. ხალხმა წერა-კითხვა არ იცოდა. ხოჯები და აღა-ბეგები რაიმე საბუთზე ხელს აწერდნენ ე. წ. „მუჰურებით“ (ბეჭდებით). მედრესეების ქსელის მასობრივ ფორმას წარმოადგენდა ე. წ. დილის დერსები (გაკვეთილები), როდესაც ახალგაზრდებს მაჰმადიანურ ლოცვებს უკითხავდნენ: ხოჯები მათ ასწავლიდნენ არაბულ ენაზე, რომელსაც თვითონ ხეირიანად ვერ ფლობდნენ და ამიტომ ამ ენაზე სწავლა მოსწავლეებს ძლიერ უძნელდებოდათ. ჯამე-მედრესეები მხოლოდ გონებას უბნელებდა მოსახლეობას.

„არც ხელოვნების, არც ხელოსნობის, არც ბუნების საგნების, არც პოლიტიკური მეცნიერების ხსენებაც არაა ამ სასწავლებლებში და თუ იქ ყმაწვილი თავის ნიჭს და ტვინის ძალას არ

1 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, სახ. -უნივერსიტეტის გამოცემა. 1041 წ., გვ. 123.

დაჰკარგავს, ხეპრული ვითომ განათლების გაბრუების მეტს ვერ-
რას იძენსო“ — ასე აგვიწერდა მედრესეებში სწავლების „ნაყო-
ფიერებას“ მე-19 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწე ნი-
კო ნიკოლაძე.

სასწავლებლებში ასწავლიდნენ აგრეთვე არაბულ და ფარ-
სულ წერა-კითხვასაც, სხვადასხვაგვარი ხელნაწერების გარჩევას,
ლოგიკას, რიტორიკას, საღვთო წერილსა და სხვ. ხალხი კი
მშობლიურ ენაზე განათლებას საჭიროებდა. აღნიშნული „სკოლა“
ხალხის ინტერესებს არ უპასუხებდა.

სწავლების ამ უხეირო ფორმასთან ერთად მედრესეებში გა-
მოყენებული იყო ფიზიკური დასჯის ველური მეთოდებიც.

ოსმალთა ბატონობის დროს აჭარაში და მთელ სამხრეთ სა-
ქართველოში, ხშირად ქართული ასოებით წერდნენ თურქულ
წერილებსა და მიმართვებს, შემდეგში კი რუსული ასოებით
იწერებოდა თურქული წერილები. აჭარელი ქალები ერთმანეთს
წერილებს სწერდნენ თავისებური ქართული ასოებით. რომელსაც
„დედაბრული“ ეწოდებოდა. აჭარელ მამაკაცთა უმრავლესობამ
იცოდა თურქული ლაპარაკი, მაგრამ თურქული წერა-კითხვის
მცოდნეთა რიცხვი ცოტა იყო. მიუხედავად ქართული ენის სას-
ტიკი დევნისა, მან მაინც შეინარჩუნა თავისი ძალა.

მეჩეთ-მედრესეები ისლამური ფანატიზმის გამავრცელებელ
კერებს წარმოადგენდნენ. სწორედ ამიტომ სულთანი დიდ ყურად-
ღებას აქცევდა მეჩეთების მშენებლობას როგორც სოფლად, ისე
ქალაქად. ბათუმი იმ დროისათვის პატარა ქალაქი იყო, (მცხოვ-
რებთა რაოდენობა შეადგენდა 246 კომლს, 1.383 სულს), მაგრამ
იქ სამი დიდი მეჩეთი არსებობდა.

ბარბაროს დამპყრობთა ერთ-ერთი ძირითადი ლოზუნგი ხალ-
ხის გასამაჰმადიანებლად იყო არაბული გამოთქმა „ლაილაჰე
ილლელაჰ, მუჰამედე რესულ ელლაჰ,“ რაც ნიშნავს: „ღმერთი
ერთია და მუჰამედი მისი მოციქული“. ისინი ხალხს ძალით აზე-
პირებინებდნენ ამ სიტყვებს. ხალხისათვის იმდენად მომაბეზრე-
ბელი და მოსაწყენი გამხდარა ეს სიტყვები, რომ დღესაც ვინმე

ოე უსაქმოდ, მომაბეზრებლად ლაპარაკობს, „რას ლაილაობო," ეტყვიან მას. ეს სიტყვა (ლაილაობა) შემორჩენილია მოსახლეობაში სიტყვებიდან: „ლაილაჰე ილლელაჰ", რაც დროთა განმავლობაში შემოკლებით „ლაილაობის" ფორმით ჩამოყალიბებულა.

როგორც პ. ი. კოვალევსკი ამბობს, ვერც თურქების ემისრებმა, ვერც თურქების მოლებმა ვერ ამოგლიჯეს აჭარლებს დელაენა, ვერ მოსპეს ქართული (ქრისტიანული) გვარები, ვერც ხალხური გადმოცემანი და ზნეჩვეულებანი. ქართული ენა მათ საუკუნეების მანძილზე სათუთად შემოინახეს და იგი ჩვენამდე მოიტანეს. დ. ბაქრაძის გადმოცემით 1873 წელს ხულოში ახალგაზრდობას მისთვის უთხოვნია, დაეწერა მათთვის სრული ქართული ანბანი. თავის მოგზაურობისას ბაქრაძეს შემოუვლია მთელი აჭარა. იგი აღნიშნავდა, რომ ქართული ენა ყველგან უდიდესი სიწმინდით იყო შემონახული:

«Впрочем, в Адчаре, как я убедился на месте, население оказалось исключительно грузинским, язык грузинский до сих пор удержался почти в своей чистоте, вероятно от того, что Аджарцы никогда не прекращали своих связей с грузинами».[1]

მიუხედავად იმისა, რომ თურქი ასიმილატორები საუკუნეების განმავლობაში სდევნიდნენ ქართველ ერს, მან მაინც შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე.

ქართული ენის შენარჩუნების საქმეში დიდი როლი შეასრულეს აჭარელმა ქალებმა. სერგეი მესხის კითხვაზე — აჭარლებს ქართული ხომ არ დაავიწყდაო, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა შემდეგი პასუხი გასცა:

— „რა ბრძანებაა, ბატონო! მთელ აჭარაში სულ ქართულს ლაპარაკობენ, შინაობაში სხვა ენას ვინ ხმარობს! მამაკაცებმა ყიდევ იციან თათრული, დედაკაცებს კი ქართული სიტყვა-პასუხი აქვთ.

— წერა-კითხვა, ბატონო ბეგო?

1 Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, 1878 г., Санкт-Петербург, стр. 39.

— მაგაში კი სუსტობენ. ალაგ-ალაგ იციან ზემო აჭარაში... უფრო დედაკაცებმა იციან ქართული წერა-კითხვა...“[1]

ძლიერ დაბალ დონეზე მდგარა ამ დროს სწავლა-განათლების საქმე ქობულეთშიაც. გაზეთ „დროების“ კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რა ახალი ამბავია თქვენშიო, ქობულეთელი შემდეგ პასუხს აძლევს: რავა ჩვენ, ძიავ, ქობულეთს რა ამბავი იქნება? გაზეთი არ არის, არც ვინმე რამეს კითხულობს, არც სწავლობს და არც სწერს; თქვენ, ქართველებს ვაზეთიც გაქვთ და წერა-კითხვაც კი იცით და ჩვენდა ყველაფერი დეილია, ძიავ. — შემდეგ იგი განაგრძობს: თქვენ გაზეთების საშუალებით ახალ ამბებს გებულობთ და ჩვენ კი ვერა. ვიშოვეთ ერთი ქართული გაზეთი, ხოლო მისი წამკითხველი ვერ ვნახეთო, ზოგიერთმა ქალმა იცის ქართული კითხვა, მაგრამ ქალებს მამაკაცებთან არ უშვებენო. ბოლოს გავიგეთ, რომ სოფელ სამებაში ყოფილან ქართულის წამკითხველნი: გულაი კაკაისშვილი და ფასიაშვილი, რომლებმაც წაგვიკითხეს გაზეთიო.[2]

როგორც ირკვევა, კაკაისშვილი და ფასიაშვილი სავაჭროდ დადიოდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და ამიტომ ცოდნიათ ქართული წერა-კითხვა.

თურქთა ბატონობის პერიოდში აჭარაში სისხლის აღების ჩვეულების გაღვივებისა და სხვა ყოველგვარი ბოროტების დანერგვის წყარო თვით ოსმალეთის სახელმწიფო და მისი მოხელეები იყვნენ. თუ მათდამი მორჩილებას ვინმე წინ აღუდგებოდა, მას მაშინვე ტერორს უნიშნავდნენ და თავიდან იცილებდნენ. ხშირად ისინი მოსახლეობაში შუღლსა და მტრობას თესავდნენ, რაც მკვლელობით თავდებოდა. თურქი მოხელეები ფულებს გაიღებდნენ ვინმეს მოსაკლავად, ან ხელში ჩასაგდებად, შემდეგ კი საქმის გამოძიებას თითონვე კისრულობდნენ. ამით სურდათ დაეფარათ თავიანთი ბოროტების კვალი. სოფელში, რაიონში, ვილაიეთში თუ სხვაგან, რაც რამ კარგი იყო: ქალი, ცხენი, თუ სხვა ნივთი, ყველაფერი განკუთვნილი იყო სულთანისა და მისი

1 გაზეთი „დროება“, 1878 წ., № 126 ს. მესხის წერილი.
2 გაზეთი „დროება“, 1875., № 138.

მოხელეებისათვის. ქალის გათხოვება ფაშების ნებართვით ხდებოდა. ფაშები კი ქალს ერთსადაიმავე დროს რამდენიმე კაცს დაჰპირდებოდნენ და შემდეგ, „საჯარო ვაჭრობის“ წესით. ვინც მეტს გაიღებდა, იმას მიათხოვებდნენ. ხშირი იყო შემთხვევა, რომ თურქი მოხელეები ცხენის მითვისების მიზნით ცხენის პატრონს ვინმეს მოაკვლევინებდნენ; ასევე, თუ ვინმეს კარგი თოფი, დამბაჩა ან ხმალ-ხანჯალი ჰქონდა, იგი გაძარცვის საფრთხეში იმყოფებოდა.

აჭარაში ხშირი იყო შემთხვევა, რომ თურქი ხელისუფლები „ურჩების“ მოსაკლავად ტერორს ნიშნავდნენ და განსაზღვრულ გასამრჯელოს აძლევდნენ მკვლელობის აქტის შემსრულებელს. ასეთი მეთოდებით ისინი სპობდნენ პატრიოტ ქართველებს.

ნიკო ნიკოლაძის შეკითხვაზე, აჭარელი ბეგები ემორჩილებოდნენ თუ არა სულთანის ფაშებსო, აჭარელმა გლეხებმა უპასუხეს: „— გადგომაც კი იცის ბეგმა, მარა თათარი ჩხუბს უქს. ჯარს შეუსევს, მის თავს ფასად გასცემს და ფასი თუ კაი იქნა, ჩამოიტანს აბდალი ვინმე. მის თავს ფაშასთანო.“

აღნიშნულ ვითარებაში აჭარასა და სამხრეთ საქართველოში თოფ-იარაღი ყველას ჰქონდა. აჭარის მოსახლეობის მიდრეკილება იარაღის შეძენისადმი მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ აჭარაში ამზადებდნენ ამ იარაღებს, არამედ იმით, რომ აჭარლების შეიარაღებას თავდაცვითი ხასიათი ჰქონდა. დ. ბაქრაძე გადმოგვცემს:

«Аджарцы вообще все вооружены в дороге, но сагоретец и из дома не выйдет без ружья, пистона и ятагана. В этом случае примеру больших следуют и мальчики с 10-ти летнего возраста, которые гордятся своими маленькими ружьями и ятаганами, фабрикуемыми здесь же».[1]

როგორც ვიცით აჭარა—მაჭახელი განთქმული იყო იარაღების კეთებით, მაგრამ მე-19 საუკუნიდან აჭარაში იარაღების მასობრივი კეთება აკრძალეს, განსაკუთრებით რუსეთ-თურქეთის ომებ-

1 Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и. Адчаре, стр. 43.

თან დაკავშირებით, რაც კან შიში ჰქონდათ, რომ აკარლები არ შეიარაღებულიყვნენ და იარაღი არ მიეყიდათ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლი თანამოძმეებისათვის.

სამხრეთ საქართველოში თურქული რეჟიმის დამყარების შემდეგ ოფიციალური კანონმდებლობა იცავდა ტყვეებით ვაჭრობას. ადამიანები გათანაბრებული იყვნენ პირუტყვთან. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის მე-12 მუხლში ამის შესახებ წერია: „თუ ვინმე ზუმოხსენებული ვილაიეთში დაიპერს გაქცეულ მონას ან მხევალს და ან საქონელს (დაიპერს), მან უნდა წაიყვანოს (იგი) და გადასცეს: სულთანის სახასოზე მიწერილი, — სულთანის სახასოების ემინებს, ხოლო, სანჯაყ-ბეგზე მიწერილი, — სანჯაყის სამხედრო მეთაურებს. (ამისათვის მან) უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული სამახარობლო ჯილდო. კანონიერი ვადის გასვლის შემდეგ ისინი ჰყიდიან (მათ) საჯარო ვაჭრობით ვილაიეთის ყადის მეშვეობით და მათ ღირებულებას თავისთვის იტოვებენ. ხოლო კანონიერ ვადად, როგორც მონის, ისე მხევლის შენახვისათვის (ითვლება) 3 თვე, საქონლისათვის კი ერთი თვე. უკეთუ ვინმე იპოვის ტანისამოსს, ქსოვილს, ხალიჩას და მისთანას, ის ვალდებულია ჩააბაროს (ასეთი) ყადის მეშვეობით ემინებს და (თავისთვის) არ დაიტოვოს. თუ (თავისთვის) დაიტოვებს, დამნაშავედ უნდა ჩაითვალოს“.[1]

აი კანონი, რომელიც ადამიანსა და ნივთებს ერთმანეთს უთანაბრებს. ადამიანს, როგორც უპატრონო პირუტყვს, საჯარო ვაჭრობით ყიდდნენ.

იმდროინდელი „სამართლიანობის“ შესახებ მრავალი ფაქტი მოიპოვება, როგორც წერილობით წყაროებში, ისე ხალხურ გადმოცემებში. მაგრამ საკმარისია მოვიყვანოთ ხალხში იგავად დარჩენილი ერთი თქმულება მომჩივან-მოსამართლეზე, რომ მკითხველმა ნათლად წარმოიდგინოს მექრთამეობაზე აგებული მაშინდელი სასამართლოს საქმიანობა.

---

1 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, გვ. 3-4. 1941 წ., საქ. მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა. (თარგმანი ს. ჯიქიასი).

ყადისათვის ერთ მომჩივანს ქრთამად ცული მიუტანია, მოპირდაპირე მხარეს ეს რომ გაუგია, დეკეული მიუყვანია მისთვის; სასამართლო პროცესზე თურმე ყადი აშკარად იცავდა დეკეულის მომყვანს. როცა ეს ცულის მომტანს შეუნიშნავს, უფიქრია, ალბათ, ყადს დავავიწყდიო და განგებ, რომ მოეგონებინა მისთვის მისგან აღებული ქრთამი, ყადისათვის დაუძახნია: „შენმა სამართალმა ცულსავით უნდა გასჭრასო“. ყადმა კი თურმე მას ასე უპასუხა: „შენს ცულს ტარზე დეკეულმა გადააფუნაო“. ერთი სიტყვით სასამართლოში მხოლოდ ის მოიგებდა, ვინც უფრო მეტ ქრთამს გაიღებდა.

ფაშებისა და სხვა მოხელეების მექრთამეობის შესახებ ვინმე ახალციხელი მღვდელი 1778 წელს რომის პაპს სწერდა: „თათრის მთავრობასთან ფულია საჭირო და ვინც მათ მომეტებულ ფულს მისცემს, თათრები სამართალს მისკენ მოაბრუნებენო“.[1]

იმ დროის აჭარის დუხჭირ ცხოვრებასა და უსამართლობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს 1878 წლის გაზეთ „დროების“ № 238-ში გამოქვეყნებული დიალოგი გურულსა და ქობულეთელს შორის.

„— იცი შენ... მართალი გითხრა, ჩვენში რავაი სამართალია?

— მითხარი.

— თათარში, ძიავ, ეს სამართალია: მობრძანდი ძიავ, — ფარა;[2] ბიურუმ — ფარა; სალამ-ალეიქუმ — ფარა; ოთურ — ფარა; ადექი — ფარა; წადი — ფარა; სულ ფარა და ფარა... ჩვენ ფარას ვინ მოგვცემს ძიავ, ფუხარა[3] ვართ და ქე მოგვეღო .ბოლო სულ მთლიანად, .ძიავ.“[4]

---

1 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902 წ., გვ. 462-463.

2 ფული.

3 ღარიბი.

4 გაზეთი „დროება“, № 238, 1878 წ.

საქართველოს რუსეთთან შეერთება და სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა

საქართველო რუსეთთან შეერთების წინ ირან-ოსმალეთის გარემოცვაში იმყოფებოდა. თურქეთი, რომელიც მუდამ სხვისა ტერიტორიების დაპყრობის სურვილებით იყო გამსჭვალული, საქართველოს ჩაყლაპვას ლამობდა, ხოლო ირანი, რომელიც საუკუნეების მანძილზე საქართველოს მტრობდა, ყოველთვის ეძებდა ხელსაყრელ მომენტს, რომ იგი საბოლოოდ დაემორჩილებინა.

თურქეთმა მე-16 საუკუნიდან საქართველოს საუკეთესო ნაწილი — სამხრეთ-დასავლეთი საქართველო — ძალით მიიტაცა, აღმოსავლეთი საქართველო კი ირანმა დაიპყრო.

დამპყრობლებმა ჩვენს ტერიტორიაზე, დააარსეს თავიანთი სოფლები და სახანოები, საქართველოს ციხე-სიმაგრეებში მათ თავიანთი ჯარები ჩააყენეს. დამპყრობელთა წინააღმდეგ პერმანენტული ბრძოლები ქართველ ხალხს ასუსტებდა და მისი ეკონომიკა ეცემოდა. განუწყვეტელი ომებისა და თავდასხმების შედეგად მოსახლეობის რიცხვი თანდათან მცირდებოდა. ტერიტორიების შემცირება, ხშირი ომები და თავდასხმები, ადამიანების ტყვეებად გატაცება და მათი ყიდვა-გაყიდვა, მცხოვრებთა აყრა და გადასახლება, ომიანობით გამოწვეული ეპიდემიები, მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის შეფერხება და სხვა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების შეფერხებას გამოხატავდნენ.

მე-13 საუკუნეში საქართველოში მცხოვრებთა რიცხვი შეადგენდა 5 მილიონს, ხოლო საქართველოს რუსეთთან შეერთების ჟამს იგი არ აღემატებოდა ნახევარ მილიონს, ასე რომ საქართველო გადაგვარებისა და მოსპობის გზაზე იდგა.

უფრო ადრე, 1676 წელს, ჰოლანდიელი მოგზაურის სტრუისის გადმოცემით, აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა რიცხვი უდრიდა 300.000 სულს. იგივე სტრუისი ამბობდა, რომ დიდი

გადასახადების გამო გლეხები ცალკეულ ქოხებს ანკრევდნენ და ერთიანდებოდნენ, რომ ცოტა გადასახადი გადაეხადათ.[1]

ხანგრძლივმა ომებმა ჩვენი ქვეყანა ეკონომიურ განადგურებამდე მიიყვანა. მოსახლეობის მთელ დოვლათს საქართველოში ომები ნთქავდა. მწარმოებლებს მშვიდობიანი შრომითი მოღვაწეობისათვის საჭირო პირობები არ ჰქონდათ. გლეხებს ერთ ხელში თოფი ეჭირათ, მეორეში კი — თოხი. მოსახლეობას აუტანელ ტვირთად აწვა აუარებელი გადასახადები, როგორც ფეოდალთა ისე უცხოელ დამპყრობთა სასარგებლოდ. თურქეთი და ირანი ერთი-მეორეს ეცილებოდნენ იმაში, თუ რომელი მეტ გადასახადს დაადებდა ქართველ ხალხს და რომელი უფრო მეტ ვოგობიებს გაიტაცებდა აქედან. დამპყრობნი ხშირად კაფავდნენ ბაღვენახებს, რომ ისლამი უფრო იოლად დაენერგათ. ამ მდგომარეობას ემატებოდა გაუთავებელი შინაფეოდალური კინკლაობა, გამწვავებული ურთიერთ ბრძოლა, რაც ქვეყნის თავდაცვითს უნარიანობას ასუსტებდა. გლეხობა, რომელიც ამ დროისათვის ქვეყნის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა, ეკონომიურად და უფლებრივად გაჩანაგებული, ფეოდალებისაგან ძალზე შევიწროებული იყო. ვაჭრობა, აღებ-მიცემობა ძალზე დაეცა, ექსპორტი მაქსიმალურად შემცირდა. ასეთ ვითარებაში საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური კრიზისიდან საკუთარი ძალებით თავის დაღწევა აღარ შეეძლო და მას საგარეო დამხმარე ძალებისათვის უნდა მიემართა. მაშინ ასეთი ძალა იყო რუსეთი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. რუსი და ქართველი ხალხების წარმომადგენლები უძველესი დროიდანვე ხვდებოდნენ ერთმანეთს.

საინტერესოა, რომ წარსულ საუკუნეებში რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა თქმულება დინარა დედოფლის შესახებ. ამ თქმულებაში გადმოცემული იყო თამარ მეფის ბრძოლა გარეშე მტრების წინააღმდეგ. თქმულების გმირის — თამარის მოქმედებას რუსეთის მეფე-მთავრები მტერთან ბრძოლაში თავიანთ მებრძოლებს მაგალითად უსახავდნენ. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე „თქმულება ბაბილონის მეფეზე", რომელშიაც მოთხრობის ერთ-ერთ გმირად ქართველი (ობეზე) ჩანს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ ცნობილი რუსი ისტორიკოსი ნ. კარამზინი წერდა:

1 სტრუისი, „მოგზაურობა მოსკოვში, სათათრეთში, სპარსეთში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში", 1676, ამსტერდამი, გვ. 4-6, (ჰოლანდიურ ენაზე).

„უეჭველია, რომ რუსეთს ძველი დროიდან კავშირი ჰქონდა ერთმორწმუნე საქართველოსთან. ცნობილია, რომ იზიასლავ პირველს ცოლად ჰყავდა აბასთა თავადის ასული, ხოლო ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟიშვილი, სახელოვანი თამარ მეფის მეუღლე იყო. ეს კავშირი, რომელიც ერთ დროს დაირღვა ბათოს შემოსევის გამო, კვლავ განახლდა: ივერიის მთავრის ალექსანდრეს დესპანი, სახელად ნარიმანი და ხოზე მარუმი 1492 წელს ეახლნენ იოანეს და სთხოვეს მას მფარველობა".[1]

როცა სამხრეთ საქართველოში თურქი ბარბაროსები თარეშობდნენ, კახეთის მეფე ალექსანდრემ თურქეთის ფაშას ნება არ მისცა, რომ კახეთის ტერიტორიაზე საპირო სურსათ-სანოვაგე გაეტარებინა. ამის მიზეზად მან ის დაასახელა, რომ რუსეთსა და კახეთს შორის ახლო კავშირი არსებობდა. ფაშა, როგორც ჩანს, რუსეთის ინტერესებს ემუქრებოდა.

მე-16 საუკუნეში რუსეთის სამეფომ ვოლგის აუზში მოსპო მონღოლთა ბატონობა. შემდეგ მოსკოვის მთავრობა თერგის ხეობას დაეუფლა და იქ ააგო ციხე-სიმაგრე, რომელშიაც თავისი ჯარები ჩააყენა. რუსეთ-საქართველოს კავშირს უკვე მტკიცე საფუძველი ეყრებოდა, იგი მიმართული იყო ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ.

რუსეთს ამიერკავკასიაში მოკავშირე ესაჭიროებოდა. ასეთ მოკავშირედ საქართველო გამოდიოდა. მოსკოვის მეფე თეოდორემ თავისი ელჩის დანილოვის ხელით კახთა მეფეს ალექსანდრეს სიგელი გამოუგზავნა.

რუსეთ-საქართველოს შორის კავშირს ნათლად ადასტურებს მეფე ალექსანდრეს საუბარი რუსეთის მეფის წარმომადგენელ ზვენიგოროდსკისთან და სამღვდელოების წარმომადგენლებთან. კარამზინი თავის წიგნში ამის შესახებ მოგვითხრობს შემდეგს:

„ალექსანდრე უმარტავდა მათ... ივერია ჯერეთ განუყოფელი წარმოადგენდა ერთ მთლიან სამეფოს, საუბედუროდ, პაპიჩეშის მამამ გაჰყო ივერია სამ ნაწილად და ამით გახადა ჩვენი ქვეყანა ქრისტეს მგმობელთა სამსხვერპლოდ. ჩვენ, გარშემორტყმულნი უწმინდურებით, მაინც ვადიდებთ ღმერთს და მეფეს, კეთილშორწმუნეებს. თავადმა ზვენიგოროდსკიმ დიდი რუსეთის სახე-

1 ციტირებულია ე. შადურის წიგნიდან „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ", 1949 წ., გვ. 14-15.

ლით აღუთქვა მთელი ივერიის განთავისუფლება, მისი განადგურებული ქალაქების აღდგენა".

1604 წელს რუსეთის მეფემ საქართველოსთან კავშირის განმტკიცების მიზნით გამოგზავნა თავისი ელჩები საქართველოში. ელჩებს ალექსანდრე არ დახვედრია. იგი ირანში იყო. მათ შეხვდა ალექსანდრეს-ძე გიორგი, რომელმაც უამბო რუს ელჩს ირანისა და ოსმალეთის მიერ შევიწროებული საქართველოს გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ. ელჩებს თან „სტრელცების" რაზმი ხლებია.

კარამზინი აღწერს ბრძოლის ერთ ეპიზოდს, როდესაც ქართველმა ჯარმა რუსის ჯარის დახმარებით სულთანის ჯარები დაამარცხა: „შეიტყო რა იურიმ (გიორგიმ) რომ ოსმალოები ზაჰემს უახლოვდებოდნენ, მოსთხოვა ტატიშჩევს, რათა დაეთმო მისთვის სტრელცების რაზმი ოსმალოების დასახვედრად, გონიერი სპარსალარი დიდხანს ყოყმანობდა, ვერ ბედავდა მეფის დაუკითხავად ოსმალოებისათვის ომი გამოეცხადებინა, მაგრამ ბოლოს... მისცა 40 მეომარი ღირსეული ასისთავის მიხეილ სემოვსკის მეთაურობით. რუსეთის რაზმი შეუერთდა ქართველთა ხუთი ან ექვსი ათას მეომარს და წინ გაუძღვა მათ. 7 ოქტომბერს შეხვდნენ ოსმალოებს ძლიერი ცეცხლით ივერიის უდაბნო ადგილებში. ამ მოულოდნელმა თოფის ხმამ განცვიფრებაში მოიყვანა მოპირდაპირე, მისი მოწინავე რაზმი შედრკა. მან დაინახა ახალი მწყობრი, ახალი ლაშქარი, იცნო რუსეთის მეომრები, ვეღარ გარკვეულიყვნენ ანაზდად მათ რაოდენობაში და მყისვე იბრუნეს პირი. იურიმ და მისმა მეომრებმა დასცხეს მტერს ვაჟკაცურად და უფრო მისდიეს, ვიდრე ებრძოლეს, რადგან მტერი გარბოდა თავზარდაცემული. იმ დღეს თითქოს ხელახლად აღდგა ძველი დიდება ივერიისა, ქართველთა ლაშქარმა აიღო ოთხი დროშა სულთანისა და მრავალი ტყვე ჩაიგდო ხელში".[1]

მე-16 ს. მიწურულიდან ვიდრე მე-17 ს. დამდეგამდე ოსმალეთი მთელ ამიერკავკასიაში იყო გაბატონებული. ირანის ხელმწიფემ, მრისხანე შაჰ-აბასმა შესძლო ოსმალეთის გამოდევნა აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან. ამის შემდეგ ოსმალეთს კვლავ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო დარჩა. ასეთ მძიმე ვითარებაში

1 ციტირებულია ვ. შადურის წიგნიდან „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ", გვ. 25-26.

ქართველი მეფეების წინაშე კიდევ უფრო მეტი აქტუალობით დადგა რუსეთთან ურთიერთობისა და შემჭიდროების საკითხი. რუსეთთან დაახლოება, მისი ძალებისა და შესაძლებლობის გაცნობა საქართველოში საფუძვლიან იმედს ნერგავდა, რომ ეს ქრისტიანული სახელმწიფო ბოლოს და ბოლოს ირან-ოსმალეთს შემუსრავდა და საქართველოს მტრული გარემოცვისაგან გაათავისუფლებდა.

რუსეთის სამეფოსთან ურთიერთობის გაცხოველების საქმეში დიდი როლი შეასრულა თავისი სამეფოდან დევნილმა თეიმურაზ კახთა მეფემ, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ათეულ წლებში დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა. 1615 წელს თეიმურაზმა შესძლო დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების შეთანხმება და მათთან ერთად რუსეთში საგანგებო ელჩი წარგზავნა. ქართველი მეფე-მთავრები რუსეთის ხელმწიფეს ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას თხოვდნენ.

თეიმურაზ მეფე დიდხანს გონიის სანჯაყში და მის მიდამოებში დარჩა, მაგრამ შაჰი არც აქ აძლევდა მას მოსვენებას. მეფის ოჯახი მტერმა კინაღამ ტყვედ ჩაიგდო. თეიმურაზ მეფე სტამბოლშიც წასულა დახმარების სათხოვნელად, მაგრამ ყოველივე ეს უშედეგო აღმოჩნდა. იგი ცოტა ხანს კიდევ დარჩა გონიაში.

„1624 წელს ქართველმა პოლიტიკოსებმა განმეორებით მიმართეს თხოვნით რუსეთის ხელმწიფეს. იმ დროს ირანის მოქიშპე ოსმალეთი ყიზილბაშების წინააღმდეგ ქართველთა ძალების გამოყენებას გეგმავდა და ირანთან ბრძოლაში დახმარებას აღუთქვამდა მათ.

ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად იცოდნენ, თუ რას მოუტანდა საქართველოს ოსმალეთის დახმარება და ამიტომ იყო, რომ თეიმურაზის ელჩი რუსეთის კარს მოახსენებდა: მართალია, ოსმალეთი და ყირიმი დახმარებას გვპირდებიან, მაგრამ მათზე „იმედის დამყარება არ შეიძლება, მაჰმადიანები არიან: ჩვენ დიდი ხელმწიფის, რუსეთის მეფის მოიმედე ვრჩებით საბოლოოდ და სამუდამოდო“.[1]

მაგრამ იმ პერიოდში რუსეთის საგარეო მდგომარეობა მეტად გართულებული იყო და მას აღმოსავლეთში თავისი მომავალი

1 საქართველოს ისტორია, მაკეტი ხელნაწერის უფლებით, 1956 წ., 1, შ. მესხიას ნაკვეთი, გვ. 290-291.

გეგმების განხორციელება ჯერ კიდევ არ შეეძლო. მიუხედავად ამისა ქართველთა გაბარჯვებას ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ომში რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ამ საქმეს რუსეთი შეძლებისდაგვარად, თუნდაც დიპლომატიური გზებით მაინც ხელს უწყობდა.

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აგრეთვე დონის კაზაკთა ბრძოლა საქართველოს შავი ზღვის ნაპირზე მოკალათებული ოსმალ დამპყრობლების წინააღმდეგ. კაზაკთა აქ გადმოსვლა დიდად უწყობდა ხელს ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველებს. კაზაკთა დესანტმა დიდი ბრძოლების შემდეგ გონიის ციხე აიღო.

„თითქმის 250 წელმა განვლო მას შემდეგ, — წერდნენ 1878 წ., — რაც დონის კაზაკები თავიანთი მცირე ნავებით ტრასტუმართმოყვარე შავ ზღვაზე სეირნობდნენ და შიშის ზარს სცემდნენ ანატოლიის სანაპირო ქალაქებს. 7-8 ვერსის მანძილზე ახლანდელი ბათუმიდან გადმოსხდნენ ნაპირზე და დაიპყრეს სიმაგრე გონია. ეს მოხდა 1654 წელს.“[1] (უნდა იყოს 1646 წელი).

როგორც ცნობილია, ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე რუსთა მეფეს პეტრე პირველს ირანის წინააღმდეგ საომრად შეუთანხმდა. ვახტანგი რუსეთის დახმარებით ფიქრობდა ირანის ძალადობისაგან განთავისუფლებას, რუსეთს კიდევ ირანის წინააღმდეგ თავისი ინტერესები ჰქონდა. ქართლის მეფე 40 ათასი კაცით მართლაც გამოვიდა განჯაში რუსთა ჯარებთან შესაერთებლად, მაგრამ რუსეთ-ირანის ომის მოულოდნელმა შეწყვეტამ ქართლი დიდ განსაცდელში ჩააგდო. ვახტანგ მეექვსეს რუსეთთან ასეთი დაკავშირებისათვის ირან-ოსმალეთი აუმხედრდა. იმავე დროს ოსმალთა ლაშქარი ქართლს შემოესია. მეფეს თავის ქვეყანაში აღარ ედგომებოდა და იგი მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთს გაიხიზნა.

ვახტანგ მეექვსის ამალის ჩასვლამდე რუსეთში უკვე არსებობდა მოსკოვის ქართველთა კოლონია, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის უფრო მეტად გაცხოველებისათვის საქმიანობდა.

რუსეთში მყოფი ქართველები უშუალოდ ეცნობოდნენ რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკას. რუსეთში გამოიწრთო

---

1 Степанов, Исторический очерк вступления русских войск в г. Батум в 1878 г. «Батум и его окрестности», 1906 г., стр. 90.

ქართველი მხედართმთავრების მთელი პლეადა. თანდათან მტკიცდებოდა ურთიერთობა და კულტურული კავშირი. მოსკოვში გაიხსნა ქართული სტამბა და იბეჭდებოდა ქართული წიგნები.

როგორც ჩანს, პეტრე დიდი ძლიერ დაინტერესებული ყოფილა საქართველოს გაანთავისუფლების საქმით. იგი სიკვდილის წინ თავის ანდერძში წერდა:

„საქართველო უბედურია, დაიცავით იგი სარწმუნოების გულისათვის, გაუგზავნეთ მას ჯარი ჩემი ბაზინის ხარჯზე“.[1]

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან ახალ ფაზაში შედიოდა. ამ დროს რუსეთთან ურთიერთობის შემჭიდროებას ზედ დაემთხვა საქართველოში (როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში) გაჩაღებული აღდგენითი სამუშაოები. ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოები ამ დროს შეუჩერებელი დაწინაურების გზით წავიდნენ. ერეკლე-თეიმურაზმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პირველობა მოიპოვეს. ქვეყნის შიგნითაც შეუტიეს სეპარატისტ თავადებს. მწარმოებელ კლასს წინანდელთან შედარებით უკეთესი პირობები შეექმნა მშვიდობიანი შრომისათვის. მიუხედავად ამისა იმ ისტორიულ ვითარებაშიც საქართველოს გარედან დახმარების გარეშე არ შეეძლო მტრული გარემოცვის გარღვევა, პოლიტიკური მთლიანობის მოპოვება და დამოუკიდებელი არსებობისათვის ყოველგვარი პირობების შექმნა. ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები თავიანთი ქვეყნის შემდგომი გაძლიერების გეგმებს კვლავაც რუსეთის დახმარებაზე ამყარებდნენ.

მეთვრამეტე საუკუნის სამოციან წლებში რუსეთ-საქართველოს შემდგომი დაახლოებისათვის უაღრესად ხელსაყრელი სიტუაცია იქმნებოდა. მზადდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი.

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე და იმერეთისა—სოლომონი ცდილობდნენ თავიანთი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ რუსეთ-ოსმალეთის ომი. ერეკლე ფიქრობდა, რომ მიმდინარე ომის შედეგად შესაძლებელი გახდებოდა ოსმალთა მიერ მიტაცებული სამცხე-საათაბაგოს დაბრუნება.

ერეკლე მეორეს სურვილი, რუსეთის დახმარებით ახალციხის უკან დაბრუნება, ნათლად ჩანს მის მოხსენებაში: „კვალად ვედრებით მოგახსენებთ თქვენს ყოვლად მოწყალებას, რათა ამავე გაზაფხულზე არ უტეონ .დაპყრობილად ქვეყანა ახალცი-

1 З. А. Авалов, Присоединение Грузии к России, стр. 78, 1912 г.

ხისა და თუ უკეთ შერიგება მოხდეს თ. დ. და სულთანს, მაშინ გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაიდან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქვს; მრავალნი ქრისტიანი არიან იმაში და სხვანი ახალნი გადაქცეულნი არიან მაჰმადიანობაში."[1]

ერეკლე განაგრძობდა: თუ ამ ზაფხულში არ მოხერხდა მისი დაბრუნება და, თუ ხელშეკრულება დაიდო თურქეთთან, მაშინ ხელშეკრულებაში გაითვალისწინეთ სამცხე-საათაბაგოს ჩვენთვის გადმოცემა, რადგან ეს ქვეყანა წინათ ჩვენი იყო.

ამაზე უფრო ადრე თურქეთის და ირანის მხეცობის შესახებ ერეკლე მეფე სწერდა პანინს:

«Турки, разиня рты свои, как змеи, окружают нас, персиане, как свирепья львы смотрят на нас, а лезгинцы острят зубы свои против нас, как голодныя волки».[2]

მართალია, ქართლ-კახეთის სამეფომ რუსეთ-ოსმალეთის 1768—1774 წლების ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიები ვერ დაიბრუნა, მაგრამ ამ ომში რუსთა და ქართველთა ჯარების გაერთიანებულ გამოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აღნიშნული ომის შემდეგ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კიდევ უფრო ცხოველი გახდა.

1782 წლის 21 დეკემბერს ერეკლე მეფემ რუსეთის მთავრობას სთხოვა მფარველობა. ამის შემდეგ მალე, 1783 წლის 24 ივლისს, ციხე-ქალაქ გეორგიევსკში რუსეთ-საქართველოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1784 წლის 24 იანვარს ერეკლე მეფის ხელის მოწერის შემდეგ. ამავე წლის 3 ნოემბერს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რუსთა ჯარი თბილისში მოვიდა.

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადებამ კიდევ უფრო გააფთრა ირან-ოსმალეთი. ისინი საქართველოს წინააღმდეგ აქტიურ შეტევაზე გადავიდნენ.

რუსეთთან დაახლოებამ რეაქციულად განწყობილ ქართველთა წრეებშიაც უკმაყოფილება გამოიწვია.

ერეკლეს მოწინააღმდეგეთა ჯგუფი ვერ აფასებდა იმდროინდელ საგარეო-პოლიტიკურ სიტუაციას. მაშინ სულთანის თურქეთი და შაჰის ირანი ჩამორჩენილი ფეოდალური სახელმწიფოე-

1 А. А. Цагарели. Грамоты и другие исторические документы, XVIII стол., относящиеся к Грузии, т. II, вып. 1, 1898 г., стр. 84.

2 А. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I., 1891 г., стр. 408.

ბი იყვნენ, რუსეთი კი შედარებით დაწინაურებული ქვეყანა იყო. მე-18 საუკ. მიწურულიდან იქ კაპიტალისტური ურთიერთობა ვითარდებოდა. ერეკლესა და მის გარშემო მყოფი პროგრესული ძალის ორიენტაცია რუსეთზე საესებით გამართლებული ჩანდა. „ასეთ ვითარებაში ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა არ დააყოვნა კურსი აეღო რუსეთზე და მისი მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ საქმეებში სწორად შეეფასებინა“.[1]

საქართველოს ინიციატივა რუსეთთან კავშირის დამყარებაში უაღრესად პროგრესული მოვლენა იყო... „პროგრესისათვის მებრძოლი კავკასიელი ხალხები გამარჯვების საბოლოო იმედს რუსეთთან კავშირზე ამყარებდნენ“.[2]

იმერეთის მეფე სოლომონ პირველი ამ დროს ერეკლე მეორის ერთგული მოკავშირე იყო და მას ჰბაძავდა. როგორც ერეკლე მეფის, ისე იმერეთის მეფე სოლომონ პირველის მიზანს შეადგენდა მტკიცე სახელმწიფო ხელისუფლების შექმნა, საქართველოს ტერიტორიიდან ოსმალებისა და ირანელების განდევნა, ტყვეებით ვაჭრობის მოსპობა, ურჩი ფეოდალების მოდრეკა და დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების გაერთიანება. ამ მიზნების მისაღწევად სოლომონ პირველმაც რუსეთთან კავშირის დამყარება აირჩია.

სოლომონ მეფე გურიის მთავარ გურიელთან ერთად, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდეც წარმატებით ამარცხებდა ქვეყნის შიგნით მოკალათებულ ოსმალებს:

„...გურიის კერასკერის (სერასკერის) ლაშქარი მოვიდა, ასკანა, ლეხაური და ბუკისციხე ეიღეს. ამასავე წელსა მეფე სოლომონ და გურიელი მამია გურიას მოვიდენ და ბუკის და ასკანის ციხე აიღეს“.[3]

სოლომონ მეფემ თურქეთის წინააღმდეგ ხრესილის ომში დიდი სახელი მოიხვეჭა. ხრესილში მან სასტიკად გაანადგურა ოსმალთა ჯარები. ამ ბრძოლაში სოლომონ მეფეს აჭარლებიც ეხმარებოდნენ.

---

1 აკად. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის „მნათობი“ № 6. 1954 წ., გვ. 128.

2 იქვე, გვ. 129.

3 Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, 1878 г., стр. 153.

„1758 აქა გაემარჯვა ხრესილზედ მეფე სოლომონს. დადიანთან ახლდა. ახალციხისა და აჭარის ჯარი სულ იყო. ერისთავი აბაშიძე, წულუკიძე ახლდენ, გოლა-ფაშა დაირჩინეს, აბაშიძე მოკლეს, წულუკიძე დაიჭირეს, თათარი გასწყვიტეს და ზოგი ცოცხალი შეიპყრეს.“[1]

მიუხედავად იმისა, რომ აჭარა თურქეთის მიერ იყო დაპყრობილი, ამ ომში აჭარლები მამია გურიელსა და სოლომონს მიემხრნენ. ხრესილთან გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთ საბუთში ნათქვამია:

„კ-დ მენგრელთ შეიპყრეს გოლა-ფაშა და სპასპეტი მხედრობისა ამის ბაშაღა და მოჰკვეთეს ორთავეს თავი და გაემარჯვად დიდათ და სახელოვნათ მეფესა და დადიანსა... 1756, რომელ კაცსა ერთსა მოჰყავდა ათი ოსმალნი შოებული და აღიღეს ალაფბარგნი უმრავლესნი“.[2]

თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლების შესახებ სოლომონ პირველი 1768 წლის 23 ივლისს ეკატერინე მეორეს სწერდა:

„ათთორმეტი წელიწადი არის, რომ ხვანთქარის ჯარსა და ჩვენ ძლიერი ბრძოლა გვაქვს და შვიდჯერ ჩვენს ქვეყანაში შემოსულან მათი სერასკერები და ფაშები, ტყვის ხარაჯა და ტყვე ეთხოვიათ და რომ არ მიმიცია ზამთარი და ზაფხული ომი მქონებია ძლიერი, ქრისტეს შეწევნითა და ყოვლად მოწყალის ხელმწიფის მწყალობით, ყოველთვის დამარცხებით და სირცხვილით წასულან და თვით ხელითა ჩემითაც მრავალნი მომისრავენ. რომელიმე ჩემი ციხეები აიღეს და ისევ დავაგდებინე და გავყარე და ახლა ჩემი ქვეყანა ერთობ მევე მიჭირავს.“[3]

როგორც ითქვა, სოლომონი სასტიკ ბრძოლას ეწეოდა ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ. მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ეს სენი ძალზე შესუსტდა. სოლომონი სასტიკად სჯიდა ყველა იმათ, ვისაც წაასწრებდა ამ საქმეში. საქართველოში იმ დროს გოგო-ბიჭების მოტაცებასა და ვაჭრობას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. ადამიანი ფულზე ან საქონელზე იცვლებოდა. ოსმალეთში, ირანში და სხვა მაჰმადიანურ ქვეყნებში ბაზრები სავსე იყო ტყვე ქართველი გოგო-ბიჭებით.

---

1 Е. Такайшвили. Материалы для истории Грузии, 1894 г., стр. 16.

2 ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წიგნი 1, გვ. 85, თბილისი, 1914 წ.

3 А. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, том I, стр. 19, 1891 г., С.-Петербург.

შემდგომ პერიოდშიაც ქართველი პატრიოტები განაგრძობდნენ ტყვეთა ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას და რუსეთის დახმარებით ფიქრობდნენ ბათუმ-ახალციხეში ტყვეებით ვაჭრობის შეწყვეტას. ამის შესახებ იმერეთის დესპანი გაბაშვილი წერდა პოტიომკინს:

„უგანათლებულესო კნიაზო, მოწყალეო ხელმწიფევ.

ახალციხეს დასვათ რუსეთის კონსული, რათა არღარა შეიძლოს ოთამანის კარმან ფარული მტრობა არცა გარეგანით, არცა შინაგან ქვეყანასა ჩვენსა.

ბათუმს — გური(ა)ს ნავთსაყუდელზედ და ფოთს — ოდიშის ნავთსაყუდელზე სიტყვა ითქუას. და თუმცა ნებით გაუშვან, უმჯობესია ჩვენთვის და თუ არა იმ ორს ადგილსაც რუსეთის კონსული დასვათ, რათა და(ა)ყენოთ ქვეყნების ტყვის გაყიდვა იმ ადგილებში და აგრეთვე სავაჭრო რუსეთის (ნავები) მოვიდნენ ამ ხსენებულს ნავთსაყუდელზედ“.[1]

რომ თურქეთში გოგო-ბიჭებით ვაჭრობა მასობრივად იყო გავრცელებული, ამას ადასტურებს 1902 წელს გაზეთ „კვალში“ მოთავსებული ცნობა ვინმე სამხედრო ექიმის ისმაილ-ჯემალ ბეის მოხსენების შესახებ, რომელიც წარმოდგენილი ყოფილა პარიზში „ქალთა ვაჭრობის მოსპობის კონგრესზე“.

ამ მოხსენებაში დაწვრილებით აღწერილია, თუ როგორ ეწეოდნენ ადამიანებით ვაჭრობას სულთანის აგენტები და ცალკეული ვილაიეთის ფაშები, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოდან და ყაბარდო-ჩერქეზეთიდან. ფაშებს დავალებული ჰქონდათ ტყვე ქალებით სულთანისა და ვეზირების ჰარამ-ხანების მომარაგება. ის ფაშა, რომელიც ამ დავალებას არ შეასრულებდა, სასტიკად ისჯებოდა. მაგალითად, ამ მოხსენებაში დასახელებულია ერთი ფაშა. რომელიც ამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის გადაუსახლებიათ. ფაშები „ყიდულობენ ჩერქეზისა და ქართველების ქალებს. გამაჰმადიანებული ქართველებიდანაც. ქალებით ვაჭრობა და ჰარამხანაში გაგზავნა დავალებული აქვთ აგრეთვე გუბერნატორებსაც. ეს მოვალეობა მათ სამსახურს შეადგენს, ასე რომ თუ რომელიმე მათგანი პირიანად არ შეასრულებს ამ ბრძანებას, ით-

1 შ. ბერჯანაძე. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები. (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები). გვ. 15. თბილისი, საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1953 წ. (1789 წ. 6 დეკემბრის მოხსენება იმერეთის დესპან ბესარიონ გაბაშვილისა გრიგოლ პოტიომკინისადმი).

ბოვენ სამსახურიდან და სჯიან კიდეც, როგორც მაგალითად, დასაჯეს სადიკ-ფაშა, რომელიც ოცდაორი ყელიწადია გაგზავნილია ოსმალეთის არხიპელაგის ერთ კუნძულზე".[1]

ამრიგად, გასაგებია, თუ როგორი ზიანი მოჰქონდა გოგო-ბიჭებით ვაჭრობას ქართველი ხალხისათვის. ამიტომ იყო, რომ ყველა მოწინავე ქართველი და სამშობლოს პატრიოტი სასტიკად იბრძოდა ამ მავნე სენის აღკვეთისათვის.

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მოსახლეობა გამუდმებით ჯანყდებოდა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. ამ აჯანყებათა წარმომშობი ერთი მიზეზთაგანი ისიც იყო, რომ ოსმალეთი მოსახლეობისაგან ხარკს მოითხოვდა გოგო-ბიჭების სახით.

„კონსტ-ნტინოპოლიდან პირველ ივლისს. საქართველოში ახლა იმდენად დიდი მღელვარებაა, რომ ოტომანის პორტა იძულებულია რამდენიმე ჯარი გაგზავნოს, რომ კვლავინდებურად კეთილი წესიერება აღადგინოს და დასაჯოს ამბოხების მოთავენი".[2]

1763 წლის აჯანყება, როგორც ჩანს, სულთანის ჯარებს ვერ ჩაუქრიათ. „1763 წლის 18 ოქტომბერს თათრის ჯარი დაბრუნდა იმერეთიდან სარი ფაშისა."[3]

„კონსტანტინეპოლიდან 1 ოქტომბერს. ამბოხებანი საქართველოში და სპარსეთის დანარჩენ სანაპირო ადგილებში, არა თუ ნელდებიან, არამედ დღითი დღე მატულობენ. ამიტომ გვარწმუნებენ, რომ პორტას განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში გაგზავნოს იქით რამდენიმე ჯარი".[4]

ოსმალებმა აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში მარცხი განიცადეს. ტრაპიზონის სარდლის ჯარის უმეტესი ნაწილი ტყვედ ჩაუგდიათ მეამბოხეებს. ამის შესახებ აღნიშნულ ცნობებში შემდეგი წერია:

„კონსტანტინეპოლიდან 15 თებერვალს. ტრაპიზონის გუბერნატორის აბდურაჰმან ფაშის მოქმედება აჯანყებულ ქართველების წინააღმდეგ იმდენად დიდებული არ გამოდგა, როგორც წარსულ

1 გაზეთი „კვალი", 1902 წ., № 36.

2 ი. ლორთქიფანიძე, „მოსკოვის და პეტერბურგის „უწყებათა" 1762—1767 წლებ-ის ცნობები ქართველებისა და საქართველოს შესახებ". საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X-B, 1940 წ, გვ. 167—175.

3 ახალციხის მუზეუმის ხელნაწერი ე. წ. „ქრონიკა", გვ. 1.

4 ი. ლორთქიფანიძე, მოსკოვისა და პეტერბურგის „უწყებათა" 1762—1767 წლების ცნობები ქართველების და საქართველოს შესახებ". საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, X-B, 1940 წ., 169.

დეკემბერში ამბობდნენ, რადგან იმის მაგიერ, რომ ისინი დაემშვიდებინა, თვითონ დიდი ზარალი მიიღო, ასე რომ მისი ჯარის უმეტესი ნაწილი ტყვედ ჩაუვარდათ ქართველებს...“[1]

1765 წლის ცნობის მიხედვით, ქართველებს გოგო-ბიჭებით გადასახადზე უარი უთქვამთ, რის გამოც სულთანს დასავლეთ საქართველოს საზღვრებზე მყოფი ფაშებისათვის უბრძანებია, რომ საქართველოს შესეოდნენ.

„კონსტანტინეპოლიდან 16 თებერვალს. დასავლეთ საქართველოს საზღვრებთან მყოფ ფაშებს ებრძანათ, შევიდნენ საქართველოში მთელი თავისი ჯარით, რადგან ეს პროვინცია არ იხდის წლიურ გადასახადს ტყვეების სახით, რომელიც დაადვა მას მისმა უმაღლესობამ“.[2]

საქართველოს წინააღმდეგ ოსმალეთს 50 ათასი ჯარისკაცი გამოუყვია და მათთვის გემებით სურსათი გამოუგზავნია.

„კონსტანტინეპოლიდან 7 აპრილს. ამ დღეებში გაიგზავნა ტრაპიზონში და სამეგრელოს ნავსადგურში ერთი სამხედრო გემის საფარქვეშ არამცირე რიცხვი პატარა გემებისა ამუნიციით და სურსათით ოსმალეთის ჯარის იმ 50.000 კაცისათვის, რომლებიც დგანან იმ ადგილებში და რომლებიც წავლენ ქართველების წინააღმდეგ“.

თურქეთის სულთანი სჯიდა არა მარტო მეამბოხეებს, არამედ იმ ფაშებსა და ვეზირებსაც, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლებში წარმატებას ვერ მიაღწევდნენ. მაგალითად, მუსტაფა-ფაშა სიკვდილით დაისაჯა. მუსტაფა-ფაშას მიუწერია სულთანისათვის, რომ საქართველოში მომხდარი ამბოხების მიზეზი მე კი არა ვარ, არამედ თქვენი მინისტრები და თქვენი მთელი სისტემა არისო.

თურქეთს დიდი ზარალი მოსვლია საქართველოში აჯანყებული ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნულ ცნობებში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მარტო ცოცხალი ძალის სახით თურქეთს 60 ათასი კაცი დაუკარგავს.

„კონსტანტინეპოლიდან 4 ოქტომბერს. ზარალი, რომელიც მიიღო პორტამ საქართველოში ახლანდელი არეულობის გამო, ირიცხება 60.000 კაცით; სხვადასხვა სამხედრო კორპუსებმა მი-

1 იქვე, გვ. 169.
2 იქვე, გვ. 170.

იღეს დივანისაგან ბრძანება წავიდნენ მცირე აზიის გზით, რომ დაიმორჩილონ მეამბოხენი საქართველოში“.

1766 წლის 19 დეკემბერს ამავე საკითხზე ეკითხულობთ შემდეგს:

„საქართველოს არეულობა, რომელიც ჯერ არ შეჩერებულა, დიდ შეჯირვებას და ზარალს უყენებს ოსმალეთის პორტას“.

მაშინდელი პრესა აღიარებდა, რომ ქართველთა ომს საშიშროება მოჰყვებოდა, რადგან ხალხი მას ეწეოდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

„ამას წინათ გამოცხადებული იყო, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ წინააღმდეგობა გაუწია ტყვეებით ხარკის გადახდას, რამაც აიძულა ხონთქარი ებრძანა საქართველოს მოსაზღვრე ფაშებისათვის შემოსულიყვნენ თავისი ჯარებით ამ პროვინციაში და დაესაჯათ მცხოვრებლები ამ ჯანყისათვის. მაგრამ ახლა გამოირკვა, რომ ეს ამ ცოტა ხანში დაწყებული ომი უფრო სერიოზული ყოფილა, ვიდრე ამას ელოდნენ ამ ომში მონაწილეთა ჯარების შეუფარდებლობის მიუხედავად... მაგრამ ამისდა მიუხედავად, შესაძლებელია, საშიშროება იყოს იმ ხალხისაგან, რომელიც ომობს თავისუფლებისათვის. ყველა ამ გარემოებამ აიძულა პორტა გაეცა ბრძანება, შეიყვანონ სალონიკში 4.000 ცხენოსანი, რომელსაც მოკლე ხანში გაჰყვება ალბანეთის დიდძალი კორპუსი. ამგვარად იმ ჯარების გარდა, რომლებიც მოჰყავთ აზიის ფაშებს საქართველოსაკენ, ფიქრობენ, ხონთქარი იძულებული იქნება იქიდანაც გააყოლოს წინათ განზრახულ რაოდენობასთან შედარებით უფრო მეტი ჯარი. ამასთანავე უმატებენ იმასაც, რომ ამ ომის გაგრძელებამ შესაძლებელია აიძულოს მისი უმაღლესობა მიატოვოს ზოგიერთი სნვა საქმე.“

ქართველებთან ომის გამო სულთანი მეტად შეშფოთებული იყო:

„ლივორნოდან 26 ნოემბერს. ოსმალეთის ქვეყნიდან იუწყებიან, რომ პორტა მეტად შეშფოთებულია ქართველებთან ომის გამო, და თუ ცუდი ბედი არ შეიცვლება, ღივანს არ შეეძლება დაამშვიდოს ეს ხალხი, რომელიც წინათ იძლეოდა ხარკს.

როცა მცირე აზიიდან ოსმალეთის ძალების დასახმარებლად გამოგზავნილმა ჯარებმა დააპირეს დაეკავებინათ საზღვარზე და–

ნიშნული ბანაკი. უეცრად მათ ზედ დაესხნენ ქართველები. უმეტესი ნაწილი დახოცეს, დანარჩენი კი უკუაგდეს".[1]

სოლომონ მეფემ ენერგიული ბრძოლით თურქეთის სულთანი და მისი ფაშები ძლიერ განსაცდელში ჩააგდო.

„მეფემ ლეკები გააქცია შორაპნის ციხის მისახმარებლად მოსული თათრებიანად".[2]

ამ დროს თურქეთის სულთანი სოლომონთან შერიგების გზას დადგომია:

„1768 წლის 12 მარტს სულეიმან-ფაშა, ქესა გომრუქჯი მივიდნენ ქუთაისს მეფე სოლომონის შესარიგებლად."[3] მაგრამ მათ აქედან არაფერი გამოუვიდათ. სოლომონი კვლავ განაგრძობდა ბრძოლას ლეკ-ოსმალთა წინააღმდეგ.

ასე წარმატებით იბრძოდა დასავლეთი საქართველო ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. როცა რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო 1768 წელს. გასაგებია, რომ სოლომონ იმერთა მეფე რუსეთისათვის მეტად სასურველი და ძლიერი მოკავშირე იქნებოდა აღმოსავლეთის ფრონტზე.

იმერეთში უფრო მკაფიოდ განხორციელდა რუსთა და ქართველთა ჯარების ერთობლივი მოქმედება ოსმალ დამპყრობლების წინააღმდეგ. გაერთიანებულმა ლაშქარმა გარეკა ოსმალო დამპყრობლები ქუთაისის, ბაღდადისა და ცუცხვათის ციხეებიდან.

როგორც ცნობილია, 1770 წლის ზაფხულზე რუსეთის ჯარი კვლავ ებრძვის სულთანის ჯარებს და ეხმარება სოლომონ მეფეს ციხე-სიმაგრეებიდან მტრების განდევნის საქმეში: „1770 წლის 2 მკათათვეს რუსის ჯარი ბაღდადს მოვიდა, ციხეს შემოადგა 300 თუ 400 ზარბაზანი, 2 საათში ესროლა და იმავე დღეს აიღეს ციხე, მერმე რუსი ქუთაისს ბალახონში დაებარგა... 5 მარიამობისთვეს პარასკევს საღამოს 4 საათზე რუსები იერიშით მივიდნენ ქუთაისს ციხეზედ და აიღეს. თათრები ზოგი დახოცეს ზოგი დაიჭირეს ზოგნი გაიქცნენ... ქუთაისის ციხე რუსებმა მეფეს მისცეს".[4]

მართალია 1774 წ. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით ოსმალეთმა შესძლო თავისი პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნება დასავლეთ საქართველოზე, მაგრამ რუსეთმა აიძულა იგი, რომ ხელი აეღო

1 დასახელებული წიგნი, გვ. 172.
2 ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, „საისტორიო მისიონარული დღიური წერილები", გვ. 8.
3 იქვე, გვ. 5.
4 იქვე, გვ. 9.

დასავლეთ საქართველოს ხარკზე, რომელსაც ოსმალეთი გოგობიჭების სახით ღებულობდა. ამას მომავალი ისტორიული ამბებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

საქართველოდან რუსთა ჯარის წასვლის შემდეგაც სოლომონ მეფე ენერგიულად განაგრძობდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას. ოსმალეთმა დასავლეთ საქართველოში თავისი ძველებური ბატონობის აღდგენა ვერ შესძლო.

თურქეთის წინააღმდეგ სოლომონ მეფის ბრძოლისა და მისი რუსეთთან ურთიერთობის შესახებ ცნობებს ვსვდებით თურქულ წყაროებშიც. სოლომონ მეფე ყოველთვის კავშირში ყოფილა აჭარა-ქობულეთისა და ლაზეთის პატრიოტებთან, აღნიშნული მხარეების თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში.

„თარიხ ჯევდეთში" მოთხრობილია სოლომონ მეფის მიერ ჩაქვის ხეობაში წარმოებული ბრძოლების შესახებ. სოლომონმა აჭარისა და ბათუმ-ლაზეთის განთავისუფლებისათვის მზადების დაწყებამდე წინასწარ მოლაპარაკება გამართა აჭარა-ქობულეთის პატრიოტებთან და მოფიქრებული გეგმით დაიწყო მოქმედება. მაგრამ თურქებმა მისი განზრახვა ვინმე დადიანის გამცემლობის წყალობით ადრევე გაიგეს. ბრძოლის დაწყებისას სოლომონი იძულებული გახდა დაბა ჩაქვში შეჭრილიყო. აქ მას ორივე მხრიდან გარს შემოერტყნენ ფოთისა და ბათუმის ფაშები თავიანთი ჯარებით. დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. თურქი ისტორიკოსი ამ ბრძოლებს შემდეგნაირად აღწერს: „რამდენიმე ასეულით აბაზა აჰმედ-ფაშამ დროულად მოუსწრო მტერს (სოლომონ მეფეს) და გზა გადაუჭრა მათ. ქართველ ჯარებს არსაიდან ჰქონდათ გასასვლელი. ქართველები იმ მოულოდნელ ბრძოლებში დამარცხდნენ. ბრძოლაში სოლომონს მოუკლეს მოურავი, ამ მოულოდნელმა დამარცხებამ უკიდურესად გააბრაზა სოლომონ მეფე. ჯავრისაგან იგი მალე გარდაიცვალა. ამ ომის შესახებ ჩილდირის ფაშამ სტამბოლს აცნობა".[1]

სოლომონ მეფის აჭარაში გადასვლა ახალციხის მუზეუმში დაცულ ქრონიკაში შემდეგნაირად არის გადმოცემული: „1784 წლის 4 მარტს მეფე სოლომონი აჭარაზედ წავიდა". ამავე ქრონიკის ცნობით სოლომონ მეფე გარდაცვლილა 1784 წლის 24 აპრილს, ე. ი. ერთი თვის შემდეგ.

---

1 აჰმედ ჯევდეთი, ოსმალეთის სახელმწიფოს ამბები, თურქულ ენაზე. სტამბოლი, 1885 წ., ტომი III, გვ. 159.

* * *

მე-18 საუკ. მიწურულიდან ქართლ-კახეთის სახელმწიფოს საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრება დაცემის გზით წავიდა. ერეკლე მეორის თაოსნობით გატარებულმა ღონისძიებებმა მხოლოდ დროებით შეაჩერა დაცემის პროცესი, მაგრამ ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანა მან ვერ შეძლო.

1783 წ. ტრაქტატის გამო ქართლ-კახეთს მთელი მაჰმადიანური აღმოსავლეთი აუჯანყდა. ირანი ერეკლეს ორგულს ეძახდა და მისგან რუსეთთან კავშირის გაწყვეტას მოითხოვდა. შეშფოთებული იყო ოსმალეთიც.

ოსმალეთს საბოლოოდ ეშლებოდა ამიერკავკასიაში გაბატონების გეგმები. საქართველოში რუსეთის გაძლიერებით საფრთხე ექმნებოდა ოსმალთა ბატონობას სამხრეთ-საქართველოს მიწა-წყალზე. ამიტომ ოსმალეთმა ქართლ-კახეთს დაღესტნელი ფეოდალები აუმხედრა.

ოსმალეთის ძირგამომთხრელი საქმიანობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პირდაპირ ეხმატკბილებოდა ფეოდალური რეაქციის თარეშს ქართლ-კახეთში. ქვეყნის გამყიდველი ფეოდალების წყალობით დაიშალა ერეკლეს მიერ შექმნილი „მორიგე ჯარი". ეს მორიგე ჯარი იყო სწორედ ის ძალა, რომელმაც არა მარტო მეფის ხელისუფლება განამტკიცა, არამედ მშრომელ მოსახლეობას მშვიდობიანი სამეურნეო საქმიანობისათვის პირობები შეუქმნა, ახლა კი, ამ ჯარის მოშლის შემდეგ, დაღესტანელმა აბრაგებმა კვლავ თავი აიშვეს და ქართლ-კახეთის სოფლებს კალიასავით მოედვნენ. ველზე სამუშაოდ გასულ გლეხებს ეშინოდათ, რომ მათ მოიტაცებდნენ და ტყვედ გაჰყიდნენ.

არც დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა იყო სანუგეშო. სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთი საქართველო აირია. სოლომონს მემკვიდრე არ ჰყოლია და ტახტის პრეტენდენტთა შორის დაუსრულებელი ბრძოლა გაჩაღდა. ამ ბრძოლაში ჩაერივნენ საქართველოს დაუფლებისათვის მოქიშპე სახელმწიფოები. ოსმალეთი ყოველ ზომას ხმარობდა, რომ თავისი კანდიდატი ქაიხოსრო ლევანის-ძე აბაშიძე გაემეფებინა იმერეთში და ამით იქ თავისი პოლიტიკური ბატონობა უზრუნველეყო. „აჩიკ-ბაშობის" კანდიდატი „ლევან-ოღლი ქაიხოსრო" ამ დროს სტამბოლში ყოფილა თურმე და მის გასამეფებლად ერზერუმისა

და ჯანიკის (ჭანეთის) სარდლებისათვის სულთანს სათანადო ბრძანებებიც გაუგზავნია. ჯანიკის ალი-ფაშამ თითქოს 8.000 კაციც კი მიაშველა ქაიხოსროს.[1]

დიდხანს გრძელდებოდა ბრძოლა იმერეთის ტახტის დაუფლებისათვის. პრეტენდენტებს შორის ბოლოს და ბოლოს ერეკლე მეორის კანდიდატმა, მისმა შვილიშვილმა დავით არჩილის-ძემ გაიმარჯვა. იგი 1789 წელს გამეფდა კიდეც იმერეთში და სოლომონ მეორის სახელწოდება მიიღო. ერეკლეს შვილიშვილის გამეფება იმერეთში იმერეთ-ამერეთის კავშირის შემდგომი გამტკიცების საწინდარი გახდა.

შექმნილი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად ქართლ-კახეთის პროგრესული ძალები თავიანთ საქმიანობას განაგრძობდნენ. ერეკლე მეფე ენერგიულად ცდილობდა დაძაბული საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორებას. განსაკუთრებით უნდა გართულებულიყო მდგომარეობა მაშინ, როცა რუსეთ-ოსმალეთის მეორე ომი დაიწყო (1787 წ.) და რუსეთმა საქართველოდან თავისი ჯარი გაიყვანა. მეფე მეზობლებს აშოშმინებდა, რომ რუსეთთან ურთიერთობაში მას მხოლოდ საკუთარი სამეფოს დაცვის ინტერესები ამოძრავებდა.[2]

ჯერ კიდევ ადრე ერეკლე მეორე ირანის ბატონს ქერიმ-ხანს განუმარტავდა, თუ რატომ იყო, რომ მას რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა.

„მე დავალებული ვარ რუსეთის წინაშე იმ დახმარებით, რომელთაც წლების მანძილზე რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს აწვდიდა განუწყვეტლივ. ქართველი ტყვეები, თურქეთსა და ყირიმში ჩავარდნილი, რუსეთის მიერ არა ერთი განთავისუფლებულა, თვეების განმავლობაში უსასყიდლოდ არჩენს და შემდეგ სამშობლოში ასევე უსასყიდლოდ აბრუნებსო. ამას ვარდა, საქართველოს მეზობელი ჩერქეზები, ყაბარდოელები და სხვა მთიელები, რომ ვერაფერს უბედავენ ჩვენს სამეფოს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს შიშით, თორემ მათი თარეშისაგან, ქვეყანა აკლებული იქნებოდაო.“[3]

---

1 აჰმედ ჯევდეთი, დასახ. ნაშრ., გვ. 155.

2 ი. ცინცაძე, მე-18 საუკ. რუსეთ-საქ. ურთიერთობის ისტორიის არქივიდან, გვ. 123, (მასალები საქ. და კავკ. ისტ. ნაკვ. 32, 1955 წელი).

3 იქვე.

ქართლ-კახეთის სახელმწიფო გრძნობდა ირანისაგან საშიშროებას და ამიტომ თავის დასაცავად ზომებს იღებდა. 1790 წელს მოხდა შეთანხმება ქართლ-კახეთის, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის მეფე-მთავრებს შორის. ეს იყო საგარეო მტრების წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის კავშირი.

ირანი კვლავ დაჟინებით მოითხოვდა, რომ საქართველო ჩამოშორებოდა რუსეთს. პლატონ იოსელიანი თავის წიგნში ამის შესახებ მოგვითხრობს:

„წინათ აღა-მამად-ხანისა მოსვლისა თბილისს, მოვიდა ელჩად ზიად-ხანი ხოელი, რომელმანცა მოითხოვა მეფის ირაკლისაგან, რათა წარვულინოს თვალი ძვირფასი ნადირ შაჰისაგან ნაქონი, უკუდგეს რუსეთსა, აღიაროს მფარველად, ვითარცა ძველად, სპარსეთი და მისცეს მზევლები“.[1]

როცა დადებითი პასუხი ვერ მიიღო, აღა-მაჰმად-ხანმა ერეკლეს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ასე იმუქრებოდა: „თუ ამას არა იქმ, რაც გვიბრძანებია, ამ ცოტა ხანში საქართველოზე მოვალთ, რუსთა და ქართველთ სისხლს ერთად დავაქცევთ და მტკვრის მსგავსად მდინარეთა გავაკეთებთ“.[2]

ოსმალეთის სულთანიც გზავნიდა თავის ელჩებს ერეკლესთან. ახალციხის სულეიმან-ფაშაც ძალიან ემტერებოდა ერეკლეს და მის წინააღმდეგ საბრძოლველად მომხრეებს ეძებდა. ახალციხის ფაშას სულთანისაგან მოუვიდა მომართვა ერეკლე მეფის შესახებ: „როდესაც ხარი წევს (იგულისხმება ერეკლე მეფე), ნურას ერჩით, და ნუ აიძულებთ ფეხზე წამოდგესო“.

მიუხედავად მტრობისა, სულთანს ერეკლე მეორე დიდ ძალად მიაჩნდა, რაც შას აფრთხობდა და ამიტომ იგი „დათმობაზე“ მიდიოდა.

აღა-მაჰმად-ხანმა ისარგებლა რუსეთის ჯარების საქართველოდან გაყვანით და ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზადება დაიწყო.

1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა ქართლ-კახეთი დაარბია. ერეკლე მეფე კრწანისის ომში დამარცხდა. იგი მხოლოდ ხუთი ათასი კაცით შეეგება ირანის ურდოებს; მათგან სამი ათასი კაცი სულომონ მეფისა იყო...

---

1 პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ., გვ. 49.

2 ექ. თაყაიშვილი, „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“. т. 23, 1901 г., стр. 147.

ერეკლეს დამარცხება ფრიად ესიამოვნათ საქართველოს მტრებს — კავკასიის ხანებს და ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოსაც, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ რუსეთი ხელს აიღებდა კავკასიაზე. მაგრამ აღა-მაჰმად-ხანს დღე შეუმოკლა ქართველმა პატრიოტმა. როცა აღა-მაჰმად-ხანმა გადაწყვიტა საქართველოს მთლიანად მოსპობა და გაემზადა სალაშქროდ, მის ბანაკში მყოფმა ქართველმა ვინმე ანდრია მცხეთელმა, ანუ სადიყამ ივი სიცოცხლეს გამოასალმა. ანდრია საქართველოდან წაყვანილი ტყვე ყოფილა.

აღა-მაჰმად-ხანის დასჯის საბაბით 1796 წელს ამიერკავკასიაში შემოვიდა რუსეთის ჯარი 30 ათასი კაცის რაოდენობით. რუსებმა ირანს შეუტიეს.

1798 წელს დიდი მხედართმთავარი ერეკლე მეორე 78 წლის ასაკში გარდაიცვალა. ერეკლეს სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძე გიორგი. გიორგის გამეფების შემდეგ საშინაო და საგარეო მტრებმა კვლავ წამოყვეს თავი. გიორგი მეფე მტკიცედ იდგა რუსეთთან კავშირის გზაზე. ამ დროს მას მოუვიდა ახალციხის ფაშის ელჩი იბრაიმ-ბეგი, რომელიც სულთანის სახელით მოითხოვდა, რომ მას რუსეთთან კავშირი გაეწყვიტა. ამის სამაგიეროდ სულთანი გიორგის ჰპირდებოდა ახალციხისა და სხვა ადგილების დაბრუნებას. მეფეს კარგად ესმოდა, რომ ეს დაპირება თვალთმაქცობა იყო და მეტი არაფერი.

იბრაიმ-ბეგთან ერთად მეფეს ეახლნენ უკმაყოფილო ქართველი თავადები, რომლებმაც მეფის დაშინება მოინდომეს: „კავკასიის კარებს რომ აღებ, შემდეგ შეგიძლია მისი ჩაკეტვაო?“ მეფემ მათ მშვიდად უპასუხა: „კავკასიის კარების ჩაკეტვა იქნება ქრისტიანების წინააღმდეგ კარების ჩაკეტვაო“.

თბილისში ამ დროს ჩამოსული იყვნენ რომის პაპისა და დასავლეთ ევროპის მისიონერებიც, რომლებიც მეფეს რუსეთისაგან ჩამოშორებას ურჩევდნენ.

ევროპის ქვეყნების მისიონერები და მათი სულისჩამდგმელი რომის პაპი დახმარების ნაცვლად ცდილობდნენ შეესრულებინათ ჯაშუშური მისია და ამასთან ერთად ქრისტიანები გადაებირებინათ, — კათოლიკობაში გადაეყვანათ.

როგორც ზემოთ იყო თქმული, ისინი თავიანთი სახელმწიფოების დავალებით მოქმედებდნენ რუსეთის წინააღმდეგ და

ცდილობდნენ საქართველო არ შეერთებოდა რუსეთს. პატრიარქ ნიკოლა მეფეს არწმუნებდა: „ევროპა არ არის მაგისი მომხრე, რუსეთი გახდება თქვენი ბატონი, იგი შემოიტანს თავის წესებს და მას ვერ შეურიგდებითო“.

სხვადასხვა ხრიკებით პატრი ცდილობდა მეფეს ხელი აეღო რუსეთთან კავშირზე. გიორგი მეფემ ის ასეთი პასუხით გაისტუმრა: „ჩემო პატრო! — დავსუსტდით, გაქრება ქრისტიანობა აქ ურუსოთ. მეტად მოგვერია მტერი და რა შტერი? — ქრისტესი. თუ არ მკლავი რუსთა ხელმწიფისა, ვერვინ დაიცავს საქრისტიანოსა... რა ვქნა? ვის მივმართო? რა პასუხი გავცე ქრისტესსა! ვერ წავიწყმენდ სულსა. შევსწირავ ცოლ-შვილსა და შევუდგები ქრისტესა და ჯვარის თაყვანისმცემელთა მოვიყვან მწედ ქვეყნისა. ესე იყო სურვილი ძველთა მამა-პაპათა ჩემთა; და ესე იყო პაზრი მამისა ჩემისა და მეც დავარდგები მასზედ: ჩემი პირობები რუსეთისა მეფესთან, — საკეთილონი არიან ქვეყნისათვის“.[1]

პატრები ბევრს ევედრნენ მეფეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ბოლოს. მეფემ ასე მოუჭრა სიტყვა: „სხვა პატრონი არა გვყავს ჩვენ, გარდა რუსთა ხელმწიფეთა“.

ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ მეფე გიორგის კარგად ჰქონდა შეგნებული რუსეთთან საქართველოს კავშირის აუცილებლობა. მას ესმოდა, რომ ხელშეკრულება ერთგვარ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ სხვა გამოსავალს ქვეყნის გადასარჩენად ვერ ხედავდა. მეფე გიორგისა და ქართველ პატრიოტებს ეს კავშირი ისტორიულ აუცილებლობად მიაჩნდათ.

როგორც აღვნიშნეთ, გიორგი მეფეს სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა დედოფალი დარეჯანი, რომელიც დიმიტრი „ზაალიჩს“ წინასწარ აფრთხილებდა: მეფე ავად არის და რომ გარდაიცვალოს, მაშინ მისი შვილი დავითი არ გამეფდესო, ამიტომ სცადე, რომ „ინსპეხტორმა“ გენერალ ლაზარევს მისწეროს, ხალხის თანხმობის გარეშე გიორგის შვილი დავითი არ გამეფდესო. დარეჯანი ერეკლე მეფის შვილებს ერთმანეთს უპირისპირებდა.

ბოლოს და ბოლოს საქმე იმით დასრულდა, რომ მეფის რუსეთმა ქართლ-კახეთის სახელმწიფო გააუქმა და იგი თავის გუბერნიად გამოაცხადა. ეს მოხდა 1801 წლის ისტორიული აქტით.

---

1 პლატონ იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, 1936 წ., გვ. 154.

„ეს ფაქტი მოასწავებდა დიდ მარცხს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ ამასთანავე, 1801 წლის აქტი იყო ამ მარცხიდან გამოსავალი, ერთადერთი სწორი გზა. სწორედ ასე ესმოდა ეს აქტი, როგორც იმ დროის, ისე შემდგომი ხანის ქართველ საზოგადოებრივ მოღვაწეთა პროგრესულ ნაწილს. რუსეთთან შეერთება საქართველოსათვის იმ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი იყო და მართლაც, ეს რომ არ მომხდარიყო, ჩვენს ქვეყანას ირანის ან ოსმალეთის ბარბაროსული სახელმწიფოები დაიპყრობდნენ და ორსავე შემთხვევაში საქართველოს ეროვნული გადაშენება მოელოდა.“[1]

.....აუარებელი მტრისაგან დაუძლურებულმა საქართველომ რუსეთს შეაფარა თავი“...[2]

საქართველო რუსეთთან შეერთებით ფიზიკურ გადაშენებას გადაურჩა. 1801 წლიდან მოყოლებული საქართველო რუსეთის მფლობელობაში გაერთიანდა და მშვიდობიანი განვითარების გზაზე გამოვიდა. „მან განიცადა არა მარტო მძიმე ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრა თვითმპყრობელობის მხრივ, არამედ რუსი ხალხის კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების დიდი პროგრესული გავლენაც“.[3]

ცარიზმის უხეშმა ძალადობამ ჩვენს კულტურას დიდი ჭრილობები შეიყენა. იგი ძალადობისა და ხალხის აბუჩად აგდების ყველაზე საშინელი ფორმა იყო.

.....ჩვენთვის ყველაზე მეტად გულსატკენია, ვხედავდეთ და ვგრძნობდეთ, თუ რა ძალადობას, ჩაგვრას და აბუჩად აგდებას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათების, თავადაზნაურობისა და კაპიტალისტების მხრივ...“[4]

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ რუს ხალხზე, არ ვგულისხმობთ ცარიზმს, რუსი ხალხი და ცარიზმი ერთი და იგივე არ არის.

...ჩვენს წინ გადაიშალა დიდებული სურათი ორ რუსეთს შორის, ბურჟუაზიულ რუსეთსა და პროლეტარულ რუსეთს შორის ბრძოლისა...“[5]

---

1 საქართველოს ისტორია, დასახელებული მაკეტი მ. დუმბაძის, ნაკვეთი, გვ. 368.
2 ე. ნინოშვილი, თხზ. 1954 წ., გვ. 515.
3 დასახელებული მაკეტი, გვ. 368-369.
4 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 21. გვ. 111. მეოთხე გამოცემა. 1951 წ.
5 ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. I, 1947 წ., გვ. 61.

მეფის რუსეთის შავრაზმული და შოვინისტური ხასიათის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „რუსეთი ეროვნულად ჭრელი ქვეყანაა. მთავრობის პოლიტიკა, პოლიტიკა მემამულეებისა, რომელთაც მხარს უჭერს ბურჟუაზია, თავიდან ბოლომდე შავრაზმული ნაციონალიზმითაა გაჟღენთილი."[1]

„ორი ერია თვითეულ თანამედროვე ერში—... არის ორი ნაციონალური კულტურა თვითეულ ნაციონალურ კულტურაში. არის ველიკოროსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეების", — მაგრამ არის აგრეთვე ველიკოროსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელები..."[2]

ფრიდრიხ ენგელსი 1851 წელს კ. მარქსს სწერდა:

«...Россия действительно играет прогрессивную роль по отношению к Востоку. Господство России играет цивилизующую роль для Черного и Каспийского морей и Центральной Азии».[3]

რუსი ხალხის პროგრესული როლის შესახებ საბჭოთა ხალხების მიმართ გაზეთი „პრავდა" წერდა: „ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა შორის საერთო აღიარება დაიმსახურა რუსმა ხალხმა, როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელმა ძალამ. ეს აღიარება მან მოიპოვა თავისი თვალსაჩინო როლით ჩვენი ქვეყნის ხალხთა მთელ მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში გარეშე მტრების წინააღმდეგ და ჩვენი ქვეყნის ხალხთა განმათავისუფლებელ რევოლუციურ ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ."[4]

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ და უფრო ადრეც მრავალი ქართველი დაწინაურდა რუსეთის არმიაში, მიიღო მაღალი სამხედრო წოდება და ასახელა რუსთა არმია.

ქართველი სამხედრო და საზოგადო მოღვაწეები დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ დიდ რუს ხალხს. პეტრე ბაგრატიონი, როცა ბოროდინოს ველზე ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიჭრა, ამბობდა: „მშვიდობით, ჩემო მეგობრებო. მე ველარ მნახავთ, ვკვდები არა ჭრილობისაგან, არამედ მოსკოვის დარდისაგან."[5]

---

1 ვ. ი. ლენინი. თხზ.. ტ. 19. 1951 წ., მეოთხე გამოცემა, გვ. 87.
2 ვ. ი. ლენინი, ტ. 20, 1951 წ.. მეოთხე გამოცემა, გვ. 21.
3 К. Маркс и Ф. Энгельс, том 21, 1937 г., стр. 211.
4 გაზეთ „პრავდის" მოწინავე, 1945 წ., 4 ივნისი.
5 ი. გრიშაშვილი, ლიტ. ნარკვ., თბილისი, სახელგამი,. 1952 წ., გვ. 13.

ქართველი ხალხის დიდი მწერალი ილია ჭავჭავაძე რუსეთ-საქართველოს კავშირის შესახებ წერდა: „ქართული დროშა ორიათასი წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გადაუცია. გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა ერთხელ გამოსულა საომარ ველზე და მისი წინამძღოლობით და სახელით ქართველობას არა ერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსეთთან ერთად."[1]

ილია რუსი ხალხის ჭეშმარიტ როლს და საქართველოსთან ურთიერთობას განიხილავს ისტორიულ ასპექტში. რუსული კულტურის გავლენის შესახებ იგი აღნიშნავს: „რუსულმა სკოლამ, მეცნიერებამ, გავიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებას და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითოეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილია, თვითოეულ ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება.[2]

ილიამ ზუსტად განსაზღვრა რუსეთის მეცნიერებისა და ლიტერატურის როლი ქართველი ხალხის განვითარებაში.

ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს „რუსსკაია რეჩიდან" ამონაწერი იმის შესახებ თუ როგორ უყურებდნენ პროგრესული რუსები საქართველოს:

„ჩვენ, რუსებმა, არ უნდა დავივიწყოთ თავის დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიპყრია, რომ ჩვენ იმათი თანასწორი ძმანი ვართ და არა მძლავრი ბატონები. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ... ამიტომაც ყოველსავე ქართულს, ყოველსავე ქართველთაგანს ისტორიით მოპოვებულს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსა — იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შევუწყოთ, რამოდენადაც ყოველისფერს ჩვენს საკუთარს რუსულს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი-მეორეს ძმურად შეეწეოდეს, ერთი-მეორეს შეემსჭვალოს, და არა იმაში —

1 ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტომი 2, თბილისი, 1941 წ., გვ. 148.
2 ილია ჭავჭავაძე, ნაწერების კრებული, ტ. 8, გვ. 285.

რომ ერთის ადამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაყლაპოს."[1]

აკაკი წერეთელი რუსეთ-საქართველოს მეგობრობისა და ძმობა-ერთობის შესახებ წერდა: „ჩვენ დიდად ვაფასებთ ძმობასა და მეგობრობას რუსეთთან... **ახალგაზრდა რუსეთი**, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული, არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა."[2]

იგი ამბობდა: „რუსეთი გვიყვარს, ჩვენ გვიყვარს მოსკოვი, როგორც საკუთარი დედა. ჩვენ გვიყვარს **ახალგაზრდა რუსეთი**. როცა ჩვენმა წინაპრებმა თქვენ, რუსები მოგიპატიჟათ, ჩვენ, შვილებს ანდერძად დაგვიტოვეს: გვიყვარდეს რუსები, ვიმეგობროთ მათთან და განუხრელად ვიაროთ ერთი გზით."

აკაკის სურვილი საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ სრულყოფილად განხორციელდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას დადებითად აფასებდა ნიკო ნიკოლაძეც. მას საქართველოს შეერთება რუსეთთან უფრო საკეთილოდ მიაჩნდა, ვიდრე ევროპასთან. ჯერ კიდევ ადრე, 1865 წელს, გერცენის „კოლოკოლში" ახალგაზრდა ნიკო წერდა: „ამ მოაზრების ძალით ეფიქრობთ, რომ საქართველოს ბედისთვის ეხლანდელ რუსეთთან გადაწნა უფრო მალე გააუმჯობესებს მის მდგომარეობას, ვინემ რომელიმე სხვა ევროპიელი ნაციის ქავშირი ან მფარველობა (მფარველობაზეც რომ არა ვთქვათ რა). ოსმალეთი ან სპარსეთი აქ ხომ სახსენებელიც არაა".[3]

საქართველოს რუსეთთან შეერთებას დიდი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამ დროს რუსეთი თავის თავში შეიცავდა ყველა პოტენციალურ ძალას, რომლითაც მას შეეძლო წასულიყო პროგრესის გზით და სხვა ხალხებიც ამ გზით წაეყვანა.

სამხრეთ საქართველოს და საერთოდ საქართველოს სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა წლების მანძილზე არ შენელებულა. ჩვენ უკვე საკმაოდ ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ როგორ იბრძოდა ამ იდეისათვის ქართველი ხალხი. ეს ბრძოლა არ

1 „Русская речь", 1881, ноябрь, стр. 225.
2. „კლდე" № 6, 1913 წ.
3 ნ. ნიკოლაძე, „ჩემ პოლიტიკაზე". 1913 წ., ქუთაისი, გვ. 79.

შეწყვეტილა და უფრო გაძლიერდა სულთანის მიერ ამ მხარის დაპყრობის შემდეგ. ამ ბრძოლის შესახებ უფრო მეტი მასალები მოგვეპოვება მას შემდეგ, რაც საქართველო დაუკავშირდა დიდ რუსეთს. ერთი მხრივ ქართველი პატრიოტები რუსეთის დახმარებით შეუნელებლად ზრუნავდნენ იმისათვის, რომ დაებრუნებინათ თავიანთი სისხლხორცეული, თურქების მიერ ძალით მიტაცებული სამხრეთი საქართველო, მეორე მხრივ, სამხრეთ საქართველოში მცხოვრები ქართველებიც ვალში არ რჩებოდნენ. ისინი ებრძოდნენ თურქ დამპყრობლებს და ყოველ დღე და ყოველ წამს ოცნებობდნენ დედასაქართველოსთან შეერთებაზე.

აი, ამის შესახებ რას ამბობს ერთ-ერთი აჯარელი: „ბოლოს აჯარელმა ამოიოხრა და თქვა: გამჩენო, როდის იქნება, რომ მაღირსებ თათრის მონობისაგან განთავისუფლებასო."[1]

სულთანის რეჟიმმა ჩვენი ქვეყანა დასცა ეკონომიურად. ქონებრივი და პოლიტიკური უუფლებობა, ეროვნული ჩაგვრა, სულთანის მოხელეების თვითნებობა, მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, მექრთამეობა, გოგო-ბიჭების დატაცება და იმით ვაჭრობა, ათასგვარი გადასახადი და მის ამკრეფთა თავგასულობა, ტექნიკური ჩამორჩენილობა, მეურნეობის ნატურალური ხასიათი, შრომის დაბალი ნაყოფიერება მოსახლეობისათვის აუტანელ პირობებს ქმნიდა.

ყველა ამასთან ერთად მოსახლეობაზე ძლიერი გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ დამპყრობლები თავიანთი კულტურით ძლიერ დაბლა იდგნენ დაპყრობილებზე, ქართველების კულტურას მათი კულტურა საუკუნეებით ჩამორჩებოდა.

ეს მდგომარეობა მოსახლეობაში იწვევდა ზიზღს ოკუპანტებისადმი. მოსახლეობის უკმაყოფილებას საზღვარი არა ჰქონდა.

დამპყრობლები აჯარლებს არ ენდობოდნენ, როგორც გურჯებს, და მათ უფროსებად უნიშნავდნენ თურქებს, რომლებიც აჯარლებს მტრულად ეპყრობოდნენ. ამის გამო ხალხის აჯანყებებსა და გამოსვლებს სისტემატური ხასიათი ჰქონდა.

ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ სამშობლოს ერთგული პატრიოტები, სახალხო გმირები, რომლებიც სამხრეთ საქართველოში და კერძოდ აჯარაშიაც ბლომად იყვნენ. სელიმ ხიმშიაშვილი, ახმედ კიკნაძე, ილია ხელაძე, ემრულა მალქვაძე, შერიფ და ხუსეინ ხიმშიაშვილები და სხვები დაუნდობელ ბრძოლას ეწეოდნენ ოსმალ დამპყრობლების წინააღმდეგ.

1 გაზეთი „დროება", 1875 წ., № 112.

ოსმალთა ბატონობის ქვეშ მყოფ ქართველთა განმათავისუფ-
ლებელი ბრძოლის ერთი ფორმა იყო სულთანის სანდო ოსმალო
მოხელეების თავიდან მოცილება და მათ მაგიერ წარმოშობით ქარ-
ველთა — „გურჯთა“ დანიშვნა.

ოსმალეთის მთავრობა იძულებული გახდა, რომ ახალციხის
ფაშობა მესხეთის ძველ მთავართა — ჯაყელთა ხელში დაეტოვე-
ბინა. გამუსლიმანებულ ჯაყელთაგან ბევრმა ფაშამ დიდი სამსახუ-
რი გაუწია სულთანს, მაგრამ მათგან ზოგიერთი სულთანის მთავ-
რობას ეწინააღმდეგებოდა და ქართველთა მხარეზე იდგა. ასე იქ-
ცეოდნენ ხიმშიაშვილებიც, რომლებმაც ფაშობა ჯაყელთა შემდეგ
მიიღეს.

სულთანს აფიქრებდა ის გარემოებაც. რომ ამ მხარეში არ
შეიძლებოდა ისეთი მმართველის გამოგზავნა. რომელიც არ იც-
ნობდა ხალხის ზნე-ჩვეულებას. მან ისიც იცოდა, რომ ქართველები
ადვილად ვერ ურიგდებოდნენ დესპოტ მოხელეებს, კლავდნენ მათ,
ან ძალით აძევებდნენ. ამ გარემოების გამო ჯაყელის გვარის ფა-
შების ჩამოქვეითების შემდეგ თურქეთის სულთანი [illegible]ობდა
ისეთი შესაფერი კანდიდატის შერჩევას, რომელიც წარმოშობით
ქართველი იქნებოდა.

ოსმალეთის სახელმწიფოს დაუძლურება-დაჩაჩანაკების პე-
რიოდში განაპირა პროვინციების საფაშოებს თითქმის მოპოვებუ-
ლი ჰქონდათ დამოუკიდებლობა. ახალციხის ფაშებიც ყოველთვის
როდი ემორჩილებოდნენ სულთანს. იწყებოდა ბრძოლა ფაშობი-
სათვის. ამ თანამდებობას ძლიერი იკავებდა. სუსტი სულთანი კი
უზურპატორის ხელისუფლებას იძულებით ურიგდებოდა. იგი ვერ
ახერხებდა, რომ ფაშად სასურველი კანდიდატი დაესვა. ოსმალე-
თიდან გამოგზავნილ ფაშებს ხალხი არ ღებულობდა. მაგალითად,
ცნობილია აჯანყება აჭარაში აბდულ-ბეგ ხიმშიაშვილის მეთაურო-
ბით. იგი იბრძოდა აჭარაში მმართველის უფლებების მოსაპოვებ-
ლად. მას ხალხი უჭერდა მხარს. ხიმშიაშვილს მიემხრნენ ზემო და
ქვემო აჭარის. შავშეთის. ლიგანის ხევის. არტაანის, ართვინის.
ახალციხის, ახალქალაქისა და სხვა მხარის მოწინავე ადამიანები.
გაერთიანებული ხალხი სულთანს უგზავნის ულტიმატუმს:

მოგვაშორეთ თქვენი ფაშები და ამიერიდან ფაშებად აჭარაში
ხიმშიაშვილები უნდა იყვნენო. თუ თქვენ ფაშებს არ მოგვაცი-
ლებთ, მაშინ მათ ჩვენ თვითონ მოვიშორებთო. ისინი ასეც მო-
იქცნენ: მოკლეს ახალციხის ფაშა და აჭარის მმართველად დას-

ვეს აბდულ-აღა ხიმშიაშვილი. შექმნილი მდგომარეობის შესახებ აცნობეს სულთანს, რომელსაც ეს მდგომარეობა, ცხადია, არ მოეწონებოდა, მაგრამ იძულებული იყო შერიგებოდა მას. ამ დროს სულთანს სხვა სამფლობელოებშიც არეული ჰქონდა საქმე. ოსმალეთი აჯანყებებს მოეცვა. სულთანის ხელისუფლება რყევას განიცდიდა. სწორედ ამ პერიოდში ეგვიპტის ალი-ფაშამ აუჯანყა მთელი ეგვიპტე სულთანს და მას რამდენიმე მნიშვნელოვანი ტერიტორიაც წაართვა. ეგვიპტის ფაშის მოქმედებამ ბიძგი მისცა სხვა ვილაიეთების ფაშებს, რომლებმაც აგრეთვე ბრძოლა გააჩაღეს.

სამხრეთ საქართველოს ენერგიულ მებრძოლთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სელიმ ხიმშიაშვილი, რომელიც აჭარის მმართველად იყო დანიშნული.

ახალციხის ფაშის წინააღმდეგ მე-18 საუკ. 70-ან წლებში აჭარლების ბრძოლა უფრო გაძლიერებული იყო. ახალციხის ფაშა თავის წარმომადგენლებს გზავნიდა აჭარაში, მაგრამ იქ მათ ხოცავდნენ. მაგ., „1774 წლის 17 მაისს აჭარის ოლქის შეყრა ითქვა და დახოცვა... 19 მაისს ოლქიდან ფაშის გაქცევა და ჯარის დახოცვა ითქვა.“[1] მაშასადამე, აჭარლებს მომხვდურები დაუხოციათ.

აღნიშნული ფაშები აჭარას არბევდნენ და ძარცვავდნენ: „1777 წელს: ფაშამ აჭარის ჯოგი მოიყვანა.“

ფაშის წინააღმდეგ იბრძოდნენ აგრეთვე ახალციხელებიც. 1782 წელს მთელი მოსახლეობა აუჯანყდა სულეიმან-ფაშას: „15 ღვინობისთვეს სულეიმან-ფაშას იერლიმ (იერლი ადგილობრივს ნიშნავს) უღალატა, ციხე წაართვეს და ოლქობა შექმნა... ახალციხეს აჭარლების მოსვლის შენლუღი[2] ქნეს...“

როგორც ჩანს ამ ბრძოლაში სელიმ-აღა ხიმშიაშვილიც მონაწილეობს: „სელიმ-აღა მოიშალა ფაშის ჯარისაგან.“[3]

მიუხედავად სელიმის ჯარების დამარცხებისა, მას მომხვდურთა წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელი არ აუღია.

ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ხელნაწერის მიხედვით ირკვევა, რომ სელიმ ხიმშიაშვილს 1791 წლიდან ურთიერთობა დაუმყარებია ახალციხესთან. ახალციხეში გადასვლის შემდეგ იგი კავშირს იჭერს მეფე ერეკლე მეორესთან. ერეკლესთან მისი წასვლის ფაქტი ზემოხსენებულ ხელნაწერში ასეა მოხსე-

1 დასახელებული ხელნაწერი, გვ. 24.
2 შენლუღი—ზეიმი.
3 დასახელებული ხელნაწერი, გვ. 40.

წებული: „26 მაისს სელიმ-აღა ქალაქს (თბილისს) წავიდა.“ 1794 წელს სელიმმა ინახულა იმერეთის მეფე სოლომონი. ამ პერიოდიდან იგი სისტემატურად დადის თბილისში, ქართლის სხვა რაიონებში და იმერეთში. აღნიშნულ ხელნაწერში დეტალურად აღწერილია მისი მოგზაურობა: „1798 წელს სელიმ-აღა ქალაქს წავიდა“ (ალბათ ერეკლე II-ის დასაფლავებაზე დასასწრებად), ამის შემდეგ იგი აჭარაში დაბრუნებულა; ერთი წლის შემდეგ სელიმი კვლავ ახალციხეშია: „ჩვენი სელიმ-აღა აჭარიდგან ჯარით მოვიდა.“ ამ დროს იგი აჭარის მმართველი იყო.

სელიმ ხიმშიაშვილს კარგი ურთიერთობა ჰქონდა მეფე ერეკლე მეორესთან, იმერეთის მეფე სოლომონთან და საქართველოს ზოგიერთ გამოჩენილ მოღვაწეებთან. სელიმ-აღა ყიფიანის საშუალებით სელიმ ხიმშიაშვილი უკავშირდება იოსებ მიშკარბაშს. ამ უკანასკნელისადმი სელიმ-აღა ყიფიანის მიერ მიწერილ წერილში ვკითხულობთ:

„1796, აგვისტოს 26, იოსებს.

ქ. მათს ბრწყინვალებას ჩვენდა მრავლად საყვარელს და მწყალობელს ძმას ბატონს მირიშქარს (Sic!) მათი ხილვისა და სამსახურის დიდათ ღვთის ვედრები მოქენე, მათი მამა ყიფიანი სელიმ-აღა მრავალს მოკითხვასა და პირს კოცნას მოგახსენებთ. მერე წიგნი გებოძათ, მომივიდა, ღ-თს დაუჯერე, ისე მიამა თქვენი წიგნის ხილვა, რომ თქვენ გხლებოდით და თქვენ გენახეთ. რაც მოგეწერათ, რაც შენი წიგნი არა ვნახე, მანამდი შენი არა გამიგონია. მაგაზე გულ-დაჯერებული ვარ, შენ მეფის ერეკლე(ს) საწყენს საქმეს არა იქ. ღვთით ამ ცოტა ხანში ან აქ შევიყრებით და ან მანდა და მაშინ ვილაპარაკოთ. ახლა ამ ძმობას გეხვეწები, რომ ვინც წამოვიდეს, თქვენი ამბავი მომწერეთ ხო(ლ)მე, დიდს სიყვარულობაში ჩავიგდებ, რომელიცა შეგვეძლოს. სამსახურს გვიბრძანებდეთ და თქვენს მანდაურს ამბავსაც გვიბრძანებდეთ ხო(ლ)მე. აქაურს ამბავს თუ მოიხსენებთ, აზრუმის ფაშა მოვიდა დიდის ჯარითა და ფაშა არ დაუსვამს და არც ფარვანი გაუშლია და ამ თვის ოცდაშვიდს ზეით მივალ და მაშინ მოგახსენებთ ყველასა. მარიფი ფაშა[1] გორ-ტუსაღად ყავთ, ქიჰა[2] კი გაიქცა და ჯარი გაუსევა მოსაყვანათ. ჯერ არ ვიცი, ვის მოკლამს და ვის დაიჭერს და ვის წაახდენს. სხვა რაც გებრძანათ, დაგერიგებინე, შენმა გულმა იცის, რომ მე-

1 უნდა იყოს შერიფ ფაშა.
2 უნდა იყოს ქეჰა.

ფის ერეკლეს ერთგული ვარ და თავს დავდებ. რასაც ვეცდები, ყოველს შეიტყობ. აგვისტოს კვ. ქკ. უპდ."[1]

სელიმ-აღა ყიფიანი და იოსებ მიშკარბაში კარგი მეგობრები ყოფილან. ეს იქიდანაც ჩანს, რომ აღნიშნული წერილს მრავალი წარწერა აქვს მათი ახალგაზრდობის დროინდელ ამბებზე. წერილში ერთ ასეთ ადგილს ვხვდებით: „მე და შენ რაც ვიცით, სომ ვერ მოგწერდი".

ამ ხანებში და უფრო ადრეც აჭარაში თურქეთის წინააღმდეგ ხშირად ეწყობოდა აჯანყება. ასეთ ვითარებაში ერეკლე მეორე არ შეიძლებოდა, რომ აჭარისა და ახალციხის ამბებით არ დაინტერესებულიყო. სამხრეთ საქართველოს დაბრუნება ხომ მის მუდმივ ოცნებას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ ადრე, 1792 წლის 14 მარტს, აჭარის ამბოხებასთან დაკავშირებით, ერეკლე მიშკარბაშ იოსებს სწერდა:

„მერე შენი წერილი მოგვივიდა და რაც მოგეწერათ. ყველა შევიტყევით. აჭარის ამბავიც შევიტყევით."[2]

ჩანს, ერეკლე დიდად იყო დაინტერესებული ახალციხის ფაშის გადაყენებით და მის ადგილზე სასურველ კანდიდატს — სელიმ ხიმშიაშვილს უპერდა მხარს.

აჯანყება აჭარაში და სხვაგან სელიმ ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით ხდებოდა. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მიშკარბაში უშუალოდ დაკავშირებულია სელიმ ყიფიანთან და მისი საშუალებით სელიმ ხიმშიაშვილთან. ამ დროს სელიმი, როგორც ძლიერი და გავლენიანი პირი და სულთანის წინააღმდეგ მებრძოლი, საქართველოს ხელმძღვანელი წრეების ყურადღების ცენტრშია. დარეჯან დედოფალი 1792 წლის 29 აპრილის წერილით აფრთხილებდა მიშკარბაშს: „კიდევ ისე უნდა ეცადო ფაშასთან, ქაიასთან (ქეიასთან) და სელიმ აღაც კარგათ, მაგრათ დაიპირე ხელში".[3]

ამ საბუთიდან ჩანს, რომ სელიმი მათთან კავშირშია და მიშკარბაშს ავალებენ, რომ უფრო განამტკიცოს მასთან კავშირი და მეგობრობა. ამრიგად, სელიმი დაკავშირებულია საქრისტიანო საქართველოსთან და მას იცნობენ, როგორც საიმედო მებრძოლს ოსმალეთის წინააღმდეგ.

---

1 საქართველოს სიძველენი. ტ. III. 1910 წ., გვ. 67-68.
2 იქვე, გვ. 61.
3 იქვე, გვ. 64.

სელიმი ცდილობს ახალციხის ფაშის გადაყენებას. სოლომონ მეფესთან და ერეკლე მეფესთან შეთანხმებით იგი ახალციხეში თავის ჯარებსაც გზავნის.

ახალციხის ფაშაც თავის მხრივ, თვალყურს ადევნებდა ხიმშიაშვილის მოქმედებას. სელიმ-აღა მარტო აჭარით არ იფარგლება, იგი სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონის ხელმძღვანელებს უკავშირდება და ქმნის დაჯგუფებას ახალციხის ფაშის წინააღმდეგ. ბაგრამ არც ფაშას ეძინა. როცა სელიმ-აღა ფოცხოვში იყო, მან სელიმის წინააღმდეგ ჯარები გაგზავნა.

აჭარა კვლავ ღელავს. კავშირს კრავს ლაზებთან და ერთობლივ ბრძოლას ხელმძღვანელობს სელიმ ხიმშიაშვილი:

„1799 წლის 2 თიბათვეს აჭარლებმა ლაზები მიიყვანეს.“[1]

შემდეგ:

„ჩვენი სელიმ-აღა აჭარითგან ჯარით მოვიდა.“

„1801 წლის პირველ იანვარს ახალციხის ჯარი წავიდა აჭარელ სელიმ-აღაზედ...“

1801 წელს, ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთების მომენტში სელიმ ხიმშიაშვილი უფრო აქტიურად მოქმედებდა. იგი თავისი ჯარებით უკვე შეტევაზე გადავიდა ახალციხის ფაშის წინააღმდეგ: „4 (მაისი). აჭარელი სელიმ აღა ჯარით ახალციხის ქალაქში შემოვიდა, მაგრამ ციხე კი არ მისცეს“. ხოლო 5 მაისის ცნობაში წერია: „აჭარელმან მეციხოვნებმან ბრძოლა დაიწყეს დღე და ღამე, ციხეთგან მრავალი ზარბაზნები ისროლეს“. როგორც ჩანს, ახალციხის შერიფ-ფაშის ჯარები არ დანებდნენ სელიმ-აღის ჯარებს და ამიტომ გაჩაღებულა სასტიკი ბრძოლა, ხოლო ციხის აღების შემდეგ შერიფ-ფაშის ჯარები გაქცეულან, წასულან სოფ. სხვილისში.

სელიმ ხიმშიაშვილს საქართველოში რუსეთის მმართველობასთანაც კარგი ურთიერთობა დაუმყარებია. განსაკუთრებით ახლო იყო იგი ციციანოვთან. 1802 წლის 21 ივლისს იოსებ მიშკარბაშთან გაგზავნილ წერილში, ლეკების საკითხთან დაკავშირებით, იგი წერს შემდეგს: „მემრეთ ამის უწინაც მოგახსენეთ მე მოვედი, რომა ჩვენსა და თქვენ შუა მშვიდობა სამუდამოდ დამტკიცებული იყოს.“[2]

1 დასახელებული ხელნაწერი, გვ. 69.
2 საქართველოს სიძველენი, ტომი III, თბილისი, 1910 წ., გვ. 92.

როგორც ჩანს, ამ საკითხებით სელიმ ხიმშიაშვილი უფრო დაინტერესებულა და იმავე იოსებს 1803 წლის 1 მარტს სწერს:

„1803 წლის მარტის 1, იოსებ ბეგსა.

ქ. მათს მაღლად პრწყინვალებასა და პატიოსნებასა, ჩვენს კეთილ მეგობარსა მეშიკარბაშის მათი სიკეთისა და კარგად ბრძანების დიდათ მონატრე, დიდებულობის ხელმწიფის ყაფუჯი-ბაში ხემშიასძე სელიმ-ბეგი მათი საბატიურობის საფერ-საკადირს მოკითხვასა, ამათ ბრძანების სიამოვნეს მოგახსენებთ. მემრეთ ძამუაშვილის სარქისასაგან თქვენი წიგნი მოგვერთვა; რაც გებრძანათ, ყველა მოგვახსენა. მემრეთ მათს პრწყინვალებას სარასკირისთვინა წიგნი და კაცი უნდა გვეახლებინა, მაგრამ ძამუაშვილი სარქისაი რომ მოვიდა და თქვენი წიგნის მოლოდინი ვიყავით, ამიტომ ვერ ვახელი. მემრეთა ძამუაშვილმა თქვენი წიგნი მოიტანა, ამისთვის დავიშალეთ. როდისაც მათი პრწყინვალების წიგნი მოგვივა, კაცსაც და წიგნსაც ვახლებთ. ჩვენ მაგათთან ბევრი საქმე გუაქუს. სხვას ჩვენს ამბავს ეს ძამუაშვილი სარქისაი მოგახსენებთ. აღიწერა მარტის პირველსა, ქკს უეა“.[1]

სხვილისში დაბანაკებული შერიფ-ფაშა საფაშოდან საბოლოოდ განიდევნა: „ამ დილით აჭარლები სხვილისს დაეცნენ შერიფ-ფაშის ჯარს და მოშალეს“.

ხიმშიაშვილის საშველად აჭარის ჯარით კვლავ მოსულა სელიმ-აღა ყიფიანი: „ყიფიანი სელიმ-აღა აჭარის ჯარით ციხეში მოვიდა.“ „ახალციხის ქრონიკაში“ ნათქვამია, რომ შერიფ-ფაშის დამარცხებისა და მისი გაქცევის აღსანიშნავად თოფები და ზარბაზნები გაისროლესო.

ამ ბრძოლების შესახებ თურქი ავტორი გადმოგვცემს:

„ადრინდელ წლებში მოთხრობილი ამბების თანახმად შერიფ-ფაშა ძალით ახალციხეში შევიდა და ჩილდირის ვილაიეთი დაიპყრო. შერიფ-ფაშას შეებრძოლა აჭარელი მემიშზადე სელიმ-ბეგი. შერიფ-ფაშა ირანში გაიქცა და ერევნის ხანს შეეხიზნა... შერიფ-ფაშა ყოველთვის მოელოდა შესაფერ მომენტს, რომ ახალციხეში დაბრუნებულიყო... ერევნის ხანს შერიფ-ფაშის პატიებისათვის თურქეთის წინაშე შუამდგომლობა ჰქონდა აღძრული, მაგრამ პასუხი ჭიანურდებოდა. ამის გამო ერევნის ხანმა ჯარი გაატანა შერიფ-ფაშას და ჩილდირის ვილაიეთში გაგზავნა. შერიფ-ფაშა

1 საქართველოს სიძველენი, ტ. III, 1910 წ., გვ. 93.

ახალციხის დასაპყრობად ახალქალაქის მიმართულებით წავიდა, მას გზაზე დახვდა ჩილდირის ახალი ვალი სელიმ-ფაშა. ბრძოლა, რის შედეგად შერიფ-ფაშა დამარცხდა და მოსული გზით უკან დაბრუნდა."[1]

ახალციხის ფაშის მიერ გაგზავნილი დამრბევი რაზმი და მათი მეთაურები ჰამიდ ბეგი და არტაან ბეგი აჭარლებმა 1802 წელს დააპატიმრეს და შემდეგ 1803 წლის 11 მარტს დაუცეს: „ჰამიდ ბეგის და არტაან ბეგის თავების მოჭრა და მოტანა თქვეს."[2]

სელიმ ხიმშიაშვილი ლეკების წინააღმდეგაც იბრძვის და რუსეთთან აწარმოებს მოლაპარაკებას: „აჭარელი სელიმ-აღა კლდეს მიბრძანდა ჯარით, რუსს ელაპარაკა და ლეკები დაისტუმრა თავიანთ ადგილას". შერიფ-ფაშის დამარცხების შემდეგ 1803 წლის მარიამობის თვეს სელიმ ხიმშიაშვილს ფაშობა მიუღია.

ხიმშიაშვილსა და შერიფ-ფაშას შორის მიმდინარე ბრძოლის დროს ოსმალეთის სახელმწიფო შორიდან მაყურებლის როლში გამოდიოდა და იმას უყურებდა თუ რომელი მხარე გაიმარჯვებდა. სულთანი როცა დარწმუნდა, რომ სელიმ-ფაშამ გაიმარჯვა, ოფიციალურად გამოუგზავნა მას ფაშობასთან დაკავშირებული თუღები, „მეყარლამა" და სხვა საბუთები.

ამის შესახებ 1803 წლის 26 აგვისტოს სელიმ-აღა ყიფიანი მიწერს ბაშ იოსებს წერს: „ვიცით გეამებათ, ხიმშიასძეს სამთუღით ახალციხის ფაშობა მოუვიდა უმაღლეს ხელმწიფიდამ და ჩვენ საალაბორობა."[3]

სელიმის ახალციხეში გაფაშება სულთანის ფირმანებით კი არ შემდარა, არამედ ეს ტიტული სელიმმა ძალით მოიპოვა და ფირმანებით იგი მხოლოდ შემდეგ გაფორმდა:

„აბდულ-აღას შვილი სელიმი მამის ხარისხს აღარ დასჯერებია და, როგორც იმ დროში ღირსეულ გვარიშვილს შეეფერებოდა, უმაღლესი წოდება მოუსურვებია. რასაც ადრე მიღწეულა. შეუკრებია აჭარლები, დასცემია ახალციხის ფაშას, გაუდევნია იგი და იმის ადგილას თავისი ნებით დამჯდარა მმართველად."[4]

1803 წლის 14 ოქტომბერს ციციანოვი (ციციშვილი) სელიმ ხიმშიაშვილს ულოცავს ფაშობის მიღებას და მის მოხელეებს უგზავნის სხვადასხვა საჩუქარს.

---

1 აქმედ ჯევდეთი, ტ. VII, 1885 წ., სტამბოლი, გვ. 358.
2 დასახელებული ხელნაწერი, გვ. 76.
3 საქართველოს სიძველენი, ტ. III, 1910 წ., გვ. 99.
4 გაზ. „ივერია", 1899 წ., № 202, 205.

სელიმ ხიმშიაშვილმა, რომ ფაშობა ძალით მოიპოვა, ამას ხალხური გადმოცემაც ამტკიცებს: „პაწია სელიმ-ფაშა, რომ გაიზარდა ძალიან კარგი შეხედულების ვაჟკაცი იყო. დაახლოებით 180 წლის წინათ სელიმ-აღამ აჭარაში შეკრიბა ხალხი. ასკერები სულ სოფელს აოხრებდენ... და წევიდა ახისხას (ახალციხეს) ფაშასთან საჩხუბრად.

სელიმ-აღა ისეთი კაცი იყო, რომ მთავრობას არ უჯერებდა. მას მისი ასკერი (ჯარისკაცი) ჰყავდა და რაც უნდოდა იმას იქმოდა. სელიმ-აღამ ახისხის ფაშა დაამარცხა, მის მაგიერ ფაშობა მან მიიღო და ხელში ჩაიგდო: აჭარა, ახისხა, ქვაბლიანი, ბათუმი, ყარსი, არდაჰანი, ფოცხოვი და ართვინი.

ახისხის ყოფილმა ფაშამ წევიდა და ეს ამბავი გაასაჩივრა ისტამბოლს ფადიშახთან, რომ ნიგაზეულიდან არის ერთი ყაჩაღი სელიმ-აღა, მას ყავს თავისი ჯარი, დამეცა საჩხუბრად და დამამარცხა. ფაშობაც წამართვა. ეხლა სელიმ-აღა არინ ფაშათ და დამეხმარეთო. ოსმალეთის ფადიშაჰმა უთხრა, რომ შენ თუ ერთმა ყაჩაღმა სელიმ-აღამ დაგამარცხა და ფაშობა წაგართვა, შენ ფაშობას ვერ შეძლებ და სელიმ-აღა დარჩება იქ ფაშათო.“[1]

სელიმის ასე დაწინაურებას შურის თვალით უცქერდნენ სხვა ფაშები და მის წინააღმდეგ ყარსში დაუწყიათ ჯარების შეგროვება. 1804 წლის 5 აგვისტოს ცნობით, სელიმი თავის ჯარებით წასულა ყარსში, ხოლო იმავე თვის 9 რიცხვის ცნობით, სელიმის ჯარები დამარცხებულან და თვით სელიმ-ფაშა შეუპყრიათ. შემდეგ, 1805 წლის 16 იანვრის ცნობით, სელიმ-ფაშა გაუთავისუფლებიათ და კვლავ მიუციათ მისთვის ახალციხის ფაშობა. ამ ფაქტს ჯევდეთი შემდეგნაირად მოგვითხრობს:

„ასეთ მძიმე დროს — თურქეთის ცალკე ხელმძღვანელებს შორის მტრობა იყო ჩამოვარდნილი — განსაკუთრებით შერიფ-ფაშასა და ჩილდირის ვალის სელიმ-ფაშას შორის. შერიფ-ფაშასთან ბრძოლის შემდეგ სელიმ-ფაშამ აჭარისაკენ დაიხია და ჩილდირის ვილაიეთი უჯარო დარჩა. ასეთ ომიანობის დროს შერიფ-ფაშის მოქმედება მიუღებლად იქნა ცნობილი. აღნიშნული მიზეზის გამო შერიფ-ფაშა თანამდებობიდან მოიხსნა... სელიმ-ფაშას ბრძანება მიეცა, რომ დამჯდარიყო ჩილდირის ვალათ.“[2] როგორც ჩანს, სელიმ

1 აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების ფონდი, № 650. ნეშეთ ბეერიძის ჩანაწერი.

2 აჰმედ ჯევდეთი, დასახ. ნაშრ. ტ. IX, 1885 წ., სტამბოლი, გვ. 178.

ხიმშიაშვილს საფაშოს ქართველობა მხარს უჭერდა. სელიმი ფაშობის დაწყების შემდეგ კვლავ უკავშირდება რუსეთის სარდლობასა და ქართველ ხალხს.

სელიმ ხიმშიაშვილის მეოხებით ძლიერ შესუსტებულა ლეკების თარეში საქართველოში. ამას ადასტურებს ჯერ კიდევ ადრე, ახალციხეში მისი ყაფუჯი-ბაშად ყოფნის დროს, 1803 წლის მარტში ამიერკავკასიის მთავარმმართველის ციციშვილისადმი მიწერილი წერილი: „ამასწინეთ იმერეთის მთებზე ჩვენი ჯარისკაცები იდგნენ იმისათვის, რომ იმერეთიდან ლეკები არ გადმოსულიყვნენ, რაც საწყენი იქნებოდა თქვენთვისო“.

ამავე წელს ციციშვილი სელიმ ხიმშიაშვილს სწერს სამაგიერო წერილს და მადლობას უთვლის: „მივიღე საპატიო წერილი, თქვენ რომ გამომიგზავნეთ საგანგებო კაცის ხელით. მე ეჭვი არ შეპარება იმაში, რომ .თქვენი აღმატებულება დედამიწაზე ორი უმძლავრესი იმპერიის მეგობრული კავშირისა და საქართველოს შიმართ თქვენი კეთილი სურვილების გამო, შემდეგშიაც მიიღებთ ასეთ ზომებს, რომელიც ჩვენთვის სასარგებლო იქნება... სრული იმედი მაქვს, მოწყალეო ხელმწიფევ. რომ კარგი გინდათ საქართველოსათვის, ამიტომ მზადა ვარ დაწერილებით გაცნობოთ ჭარისა და ბელაქნის ჯარების დამარცხებისა და თვით ბელაქნის აკლების შესახებ. რაც საქართველოსათვის დიდ ბედნიერებას წარმოადგენს; მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს დიდი საქმეა არამარტო რუსეთის ძლევამოსილი ჯარებისათვის, რომლებიც სადაც კი გამოჩნდებიან თავიანთი უშიშარი სახითა და ჩინებული იარაღით, ყველგან ამარცხებენ და აცამტვერებენ მოწინააღმდეგეთ“.[1]

სელიმს რუსეთთან საიდუმლო კავშირი ჰქონდა და ცდილობდა სამხრეთ საქართველოს შეერთებას საქართველოსთან; „...სელიმ-აღა იქობამდეც კი მივიდა, რომ მოისურვა რუსეთის სარდლობასთან საიდუმლო კავშირის დამყარება.“[2]

1806 წელს რუსული მმართველობის წარმომადგენლები ხიმშიაშვილთან ახალციხეში მოლაპარაკებას აწარმოებდნენ.

სელიმ-ფაშა თავის საფაშოში ქრისტიანებს მფარველობდა. აი, რას წერს ამის შესახებ აღნიშნული ქრონიკა: „საყდრის კა-

1 Акты К. А. К., том II, стр. 892, Тифлис, 1868 г.

2 გ. ტივაძე, ოსმალეთის დეფტერშები და ბერეთა აჯანყებანი XVI საუკუნეში, 1946 წ., გვ. 215.

რები ფაშამ ბედიავად (უსაზღვროდ) გააღებინა. ღმერთმან დიდი დღე და სიკეთე მისცეს."

რომ ახალციხის სხვა ფაშები ქრისტიანობას სდევნიდნენ, ქართველებს იღებდნენ მღვდლებისა და ეკლესიებისაგან, აგრეთვე ეკლესიებსაც ყიდდნენ, ეს საყოველთაოდ ცნობილი იყო. „ფაშის სიხარბეს იქამდე მიუღწევია, რომ ამ კათოლიკების ეკლესიები მიუყიდნია ეჩმიაძინის პატრიარქისათვის თოთხმეტ ქისა ფულად."[1]

1807 წლის მარტშიაც რუსეთის რწმუნებულები ახალციხეში მოლაპარაკებას განაგრძობდნენ. სწორედ ამ დროს რუსეთის ჯარები ყარსს უტევდენ, ხოლო სელიმი ნეიტრალურ პოზიციაზე იდგა.

1807 წ. ყარსთან გაჩაღებულ ბრძოლაში სელიმ ხიმშიაშვილი ოსმალთა ჯარებს არ მიეშველა და ამით რუსთა წარმატებას ხელი შეუწყო. ეს კარგად ჩანს რუსთა ჯარების მთავარსარდალ გუდოვიჩისადმი ნესვეტაევის მიერ გაგზავნილი წერილიდანაც:

«Юсуф-паша писал к Ахалцихскому Селим-паше три фирмана, чтобы он прислал к нему вспомогательное войско и прибыл бы сам для оказания помощи и удержания во всех случаях от русских г. Карса, но Селим-паша на все его фирманы донесенными формально отозвался, пропуская то, что «когда вы уже сераскир, имевши большую часть войска, не могли противу русских стоять, то могу ли я, оставя свое владение, прибыть к вам, какового прибытия и присылки войска не ожидайте».[2]

სათანადო მოლაპარაკების შემდეგ იგი „ავად ხდება". მისი ავადმყოფობა გაგრძელდა მანამ, სანამ ბაღდადიდან ექიმი არ მოვიდა. სელიმი ავად გამხდარა 1807 წლის 9 თებერვალს, ხოლო 1807 წლის 4 აპრილს ექიმი ბაღდადიდან მოსულა. „ბაღდადელი ექიმი მოვიდა ართვინითგან, ფაშა სელიმი ბინიშზედ გამოვიდა."[3] სელიმ-ფაშას, რუსეთთან მოლაპარაკების თანახმად, რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობა არ მიუღია.

რუსეთ-თურქეთის ომის წინ, 1806 წელს, არზრუმის სერასკერმა იუსუფ-ფაშამ სელიმ ხიმშიაშვილს დაავალა შეეგროვებინა 25 ათასი კაცი.[4] მაგრამ სელიმმა მას უარი უთხრა, მოი-

---

1 მ. თამარაშვილი, ქართველთა შორის კათოლიკობის ისტორია, თბილისი, 1902 წ., გვ. 444.

2 Акты К. А. К., т. III, стр. 615.

3 დასახელებული ხელნაწერი, გვ. 85.

4 Акты К. А. К., т. III, стр. 574.

ვიზეზა რა, რომ ამჟამად პურის ლეწვის დროა და ხალხს ვერ შევკრებო.

სელიმის ანტიოსმალური განწყობილების შესახებ გუდოვიჩიც შენიშნავდა. 1807 წლის 4 სექტემბერს სელიმ-ფაშას რუსეთ-თურქეთის ომის შეწყვეტასთან დაკავშირებით ზავის პირობები საზეიმო ვითარებაში გაუცვნია ახალციხის მოსახლეობისათვის.

სელიმ ხიმშიაშვილი მუდამ ოცნებობდა სამხრეთ საქართველოს დედა სამშობლოსთან შეერთებაზე.

რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ ამიერკავკასიის მთავარმართებელ ციციანოვს მიუწერია წერილი სელიმ-ფაშისათვის იმის შესახებ, თუ რა პოზიციას დაიკავებდა სელიმი ამ ომში. სელიმი ამ წერილზე შემდეგს უპასუხებს: „მე არამც თუ თქვენთან ომი და თქვენგან დაშორება არ მინდა, არამედ მენატრება, რომ თქვენის ჯარის დახმარებით მთელი ამ გურჯისტანის ადგილები ჩამორთმეული იქნეს ოსმალეთისაგან და იგი გადაკეთდეს ისეთ სახელმწიფოდ, როგორც ის ათაბაგების დროს იყო.“[1]

როგორც ვხედავთ, სელიმ ხიმშიაშვილი სამხრეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის მოსპობის მომხრე იყო. მისი აზრით, ყოფილი სამცხე-საათაბაგო რუსეთის მფლობელობაში მოქცეულ საქართველოს უნდა შეერთებოდა, მაგრამ აქ ხიმშიაშვილი ფეოდალურ-მთავრული იდეოლოგიის ჩარჩოებში რჩებოდა. მიუხედავად ამისა იმ ხანაში მის ბრძოლას ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

პოლკ. ორბელიანის 1809 წლის 26 ივნისის ცნობაში ნათქვამია, რომ სელიმ-ფაშამ რამდენჯერმე გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი — ხაზინადარი მუსტაფა-აღა — რუსეთთან შეერთებისა და მეგობრობის საკითხზე მოსალაპარაკებლადო. თვითონ ორბელიანი კი ტორმასოვს სწერდა, რომ სელიმთან ურთიერთობა დაჩქარებით მოგვარებულიყო. შემდეგ სელიმი ამ საქმეში იშველიებს ზურაბ წერეთლის დას მარინე გურიელს. მარინე თავის ძმას ზ. წერეთელს 1809 წლის 27 ნოემბერს სწერდა: „სელიმი მაშინაც თანახმა იყო, რომ ახალციხე რუსეთთან შეერთებულიყო, მაგრამ ის მაშინ არ მოხერხდა, ახლა სელიმი კვლავ აყენებს საკითხს მისი სამფლობელოს მთლიანად რუსეთთან შეერთებისა.

1 „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ., № 134.

ამასთან ერთად ითხოვს 500 ჯარისკაცის მიშველებას, განსაკუთრებით ე. წ. ციხე — „ჩერმუქ-ბოღაზთან“ (აბანოს ყელის ციხესთან. ხ. ა.), ჯარები გავგზავნოთ იმერეთის ან არტაანის მხრიდან, რადგან ქართლის გზები შეკრულია და თუ თავის დროზე არ გავგზავნით, შემდეგ გვიანღა იქნებაო.“[1]

იმავე წლის 12 დეკემბერს ზ. წერეთელი სწერს გენ. ტორმასოვს: „ჩემმა დამ მარინემ მომწერა, რომ სელიმი თანახმაა მიიღოს თქვენი პირობა, რუსეთთან შეერთების შესახებ. ამასთან დაკავშირებით დამატებით ცნობებს მოგვაწვდის ჩემი სიძე.“

1809 წლის 18 დეკემბერს ტორმასოვი ავალებს პოლკოვნიკ სიმონოვიჩს დაიწყოს სელიმ-ფაშასთან მოლაპარაკება, აძლევს კონკრეტულ მითითებებს, თუ როგორ შეადგინოს შეთანხმების პირობები; მასვე ეგზავნება საქვეშევრდომო ფიცის მისაღები წესები და სხვ.

იმავე წლის 26 დეკემბერს სიმონოვიჩი ტორმასოვს სწერდა, რომ ახალციხეში და აჭარაში დიდი თოვლია და იქ ჯარებისა და არტილერიის მოძრაობა არ შეიძლებაო. აგრეთვე აცნობებდა, რომ მოსახლეობაში გავრცელებულია ხმები, თითქოს **სელიმ-ფაშა ახალციხეს რუსებს აბარებსო** და სხვა. როგორც ვიცით. ახალციხის საფაშოს რუსეთთან შემოერთების საკითხი ტორმასოვს პეტერბურგში დაუყენებია და ძნელ პრობლემად დაუხატავს იგი. ეს ჩანს 1810 წლის 14 თებერვალს ბარკლაი დე-ტოლის მიერ ტორმასოვისადმი მიწერილი წერილიდან, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ ახალციხის შემოერთება უსისხლოდ უნდა მომხდარიყო. რუსთა ჯარების მთავარსარდალს ამიერკავკასიაში ტორმასოვს ავალებდნენ, რომ გამოეყენებინა ტრაპიზონის სერასკერის შერიფ-ფაშასა და სელიმ-ფაშას შორის არსებული წინააღმდეგობა.

1810 წლის 22 მარტის წერილით თავადი ორბელიანი ტორმასოვს ატყობინებდა, რომ არზრუმის სერასკერ შერიფ-ფაშას 7000 ჯარისკაცითა და სხვა ფაშების დახმარებით სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი დაუმარცხებიაო. სულთანს ძალიან გახარებია ეს ამბავი და ახლად დანიშნულ ახალციხის უფროსისათვის ფაშობა უბოძებია. სელიმი დამარცხების შემდეგ თავისი მომხრეებით აჭარაში გადასულა.

---

[1] Акты К. А. К., т. IV, 1840 г., стр. 786.

1810 წ. 22 დეკემბრის ცნობით, სელიმ ხიმშიაშვილი თავისი ჯარით იკავებს ციხისძირს. ამით გახარებული რუსეთის სარდლობა უკვე ბათუმის მიმართულებით ლაშქრობაზე ფიქრობდა. იმერეთში განლაგებული რუსთა ჯარების სარდალი გენ. სიმონოვიჩი მთავარსარდალ ტორმასოვს სწერდა: „ჩვენი ჯარების მიერ ბათუმის დაკავება მით უმეტეს სასარგებლოა, რომ სელიმ-ფაშამ, როგორც ყველა ცნობიდან ჩანს, თავისი ჯარებით უკვე დაიკავა თურქეთის მიერ დატოვებული ციხის ძირის სიმაგრე, რომელიც მდებარეობს გურიის მარჯვენა ფლანგზე შავი ზღვის პირასო.“[1]

1810 წელს რუსეთის სამხედრო სარდლობას განზრახული ჰქონდა ბათუმი შემოეერთებინა რუსეთთან, რის მისაღწევად გენერალი სიმონოვიჩი აწარმოებდა მოლაპარაკებას ამიერკავკასიის მეფისნაცვალთან. სიმონოვიჩმა ამ საქმის მოსაგვარებლად დაიხმარა მანუჩარ შერვაშიძე, რომელიც შეპპირდა მას, რომ იგი ადვილად შესძლებდა ბათუმის მცხოვრებლების მათკენ გადმობირებას იმის გამო, რომ როგორც თითონ ირწმუნებოდა, საერთოდ, ბათუმლები მიჩვეულნი არიან შერვაშიძეთა ქვეშევრდომობას და ეს გვარი მათ წინაშე- დიდი ავტორიტეტით სარგებლობსო. მანუჩარ შერვაშიძემ პირობა მისცა სიმონოვიჩს, რომ ბათუმში დროებით მმართველად გაგზავნიდა თავისი გვარის წარმომადგენელს, რომელიც თავის მხარეზე გადაიბირებდა ხალხს და დაითანხმებდა მათ რუსეთთან შეერთებაზე.

ამასთან დაკავშირებით გენ. სიმონოვიჩი უგზავნის პატაკს გენერალ ტორმასოვს:

„...აღნიშნული თავადი მანუჩარ შერვაშიძე მწერს, რომ ბათუმის მცხოვრებლებს, რომელნიც ოდითვე მიჩვეულნი არიან სათავეში ჰყავდეთ მფლობელნი შერვაშიძეანთ გვარიდან, რომელთაგან იყო ქუჩუკ ბეი, სურთ გახდნენ აფხაზეთის მფლობელის სეფერ-ალი ბეის უმცროსი ძმის სოსლან ბეი შერვაშიძის ქვეშევრდომნი, ამიტომ საჭირო მოქმედებისათვის მას (მანუჩარ შერვაშიძეს) უნდა სოსლან ბეი გაგზავნოს ბათუმში, სადაც ეს უკანასკნელი თუ დაინახავს, რომ ხალხის უმეტესი ნაწილი მისი მომხრე და ერთგულია, გვაცნობებს, რათა ჩვენი ჯარებით დავეხმაროთ მას ბათუმის საბოლოოდ დაკავებაში... და რომლის შესახებაც მე ვაცნობე თქვენს აღმატებულებას, დაგვეკავებინა იგი ჩვე-

1 Акты К. А. К., т IV, стр. 339.

ნი ჯარებით თურქეთთან მოსალოდნელი ზავის დადებამდე, გურიის უკეთ დაცვის მიზნით მე მივწერე სეფერ-ალი ბეის და შანუჩარ შერვაშიძეებს ეცადონ ამ საქმის სასურველ ბოლომდე მიყვანა, რისთვისაც შევპირდი მათ მეფის ჯილდო."[1]

აქ აღნიშნული აზრი, თითქოს შერვაშიძეების მმართველობას მოითხოვდნენ ბათუმის მცხოვრებლები, სინამდვილეს მოკლებულია. როგორც ტექსტიდან ჩანს, მანუჩარ შერვაშიძე მეფის ჯილდოთი ყოფილა დაინტერესებული და სიმონოვიჩის საშუალებით ატყუებდა ტორმასოვს, თითქოს ბათუმის მცხოვრებლები აფხაზეთის მმართველობას მიჩვეულნი ყოფილიყვნენ და კვლავ მათ მოითხოვდნენ მმართველებად. საერთოდ ბათუმ-ლაზეთის, აჭარისა და აფხაზეთის მთავრებს ერთმანეთთან ჰქონდათ მეგობრული ურთიერთობა, როგორც მაჰმადიანებს. გადმოცემებით ცნობილია, რომ ბათუმის სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებს მოყვრობა ჰქონიათ შერვაშიძეებთან. შერვაშიძეების მმართველობას ბათუმში ხანგრძლივი ისტორია არ აქვს. როგორც ისტორიული საბუთებიდან ჩანს, სელიმ ხიმშიაშვილის ფაშობის დროს ახალქალაქშიც მმართველად ყოფილა ვინმე მემედ-ალა შერვაშიძე, რომელიც შემდეგ ალბათ ბათუმში მოხელედ იქნა გადმოყვანილი. იმ დროს მმართველების ერთი მხარიდან მეორეში გადაყვანის პრაქტიკა გავრცელებული ყოფილა. ხდებოდა ასეც: სულთანი სხვადასხვა მხარის ფეოდალებს ერთმანეთს წაჰკიდებდა და შემდეგ მათ უფროსად—მმართველად მოიყვანდა არა ადგილობრივს, არამედ მისთვის სასურველ მმართველს. შესაძლოა ეს შერვაშიძეც იყო ერთი ასეთთაგანი. ეს სინამდვილესთან უფრო ახლოა. შესაძლებელია, რომ ბათუმში შერვაშიძეების მმართველად მიწვევა გამოწვეული იყო აჭარლებსა და აფხაზებს შორის ნდობითა და ხანგრძლივი მეგობრობით.

ბათუმის რუსეთთან შეერთების მოთხოვნის მთავარი მიზეზი იყო ადგილობრივად შექმნილი უკმაყოფილება, გამოწვეული თურქთა ბატონობის გამო. მთელი ლაზისტანი და ბათუმი ამ დროს თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდა. ამ დროისათვის დასავლეთი საქართველო უკვე რუსეთის მფარველობის ქვეშ იყო. სელიმ ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით მესხეთი და აჭარაც მზად იყო შე-

[1] Акты К. А. К., т. IV, Тбилиси, 1870 г., стр. 339.

ერთებოდა რუსეთს, ბათუმი და ლაზისტანიც მომხრე იყო დაეხსნა თავი თურქთა ბატონობისაგან და შეერთებოდა რუსეთს.

1812 წლის 24 ოქტომბრის ცნობით, ხიმშიაშვილს გაუმარჯვნია: „სელიმ ფაშამ ღალატეიდრა ფაშობა და ახვევია იმას ხალხი."[1]

სელიმ ხიმშიაშვილსა და ამიერკავკასიის მთავარსარდლობას შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ეს გასაგებიც იყო, რადგან მეფის გენერლები სელიმს მხოლოდ დაპირებებით კვებავდნენ და საჭირო მომენტში მას დასმარება არ აღმოუჩინეს. რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობით კი ხიმშიაშვილი საბოლოოდ დაუპირისპირდა ოსმალეთის სახელმწიფოს და როცა მას ამ სახელმწიფოსთან ფაქტიურად უკვე ომი უსდებოდა, რუსეთის სარდლობას ეს გარემოება უნდა გამოიყენებინა. ასეთ ვითარებაში ახალციხის შემოერთების საქმეც შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო. მაგრამ ტორმასოვმა და სხვა სარდლებმა შეცდომა დაუშვეს. ტორმასოვმა ხელიდან გაუშვა აგრეთვე ბათუმის მიმართულებით შეტევის მოსალოდნელი წარმატება, მაშინ, როცა მათი მოკავშირე ხიმშიაშვილი იქ იმყოფებოდა. ასე ჩაიშალა აგრეთვე ამ დროს აჭარის შემოერთების პერსპექტივაც.

1812 წელს, როცა რუსეთი სამამულო ომს ეწეოდა ნაპოლეონის წინააღმდეგ, მაშინ ირანის ჯარები აბას-მირზას სარდლობით შეიჭრნენ კავკასიაში და დაიწყეს სოფლებისა და ქალაქების დაპყრობა-დარბევა. როგორც ჩანს, ირანი ამ ომთან დაკავშირებით დიდ მუშაობას ეწეოდა. იგი თავის წარმომადგენლებს გზავნიდა სხვადასხვა მხარეში. ამ დროს ირანი აჭარაში აგზავნიდა ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელსაც იგი ფულით ამარაგებდა. ომის დამთავრების შემდეგ, 1813 წლის 14 მაისს, სიმონოვიჩი წერეთლისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ აბას-მირზა მეფის ძე ალექსანდრეს ფულს უგზავნის აჭარაში და იგი არ გაატაროთ (გურია-იმერეთის ტერიტორიაზე) სამაგიეროდ ფულის ნახევარი შენი იქნებაო.[2]

როგორც ვიცით, რუსეთის მამაცმა ხალხმა ნაპოლეონის ურდოები სასტიკად დაამარცხა და განდევნა თავისი საზღვრებიდან, ამის შემდეგ კი თურქეთი საბოლოოდ უნდა გამოთხოვებოდა სა-

1 ბურჯანაძე, დასახ. საბუთები, გვ. 137.
2 იქვე, გვ. 138.

ქართველოს. მიუხედავად ამისა, იგი რუსეთისაგან მაინც მოითხოვდა იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის შეერთებას თურქეთთან. თუ წინათ რტიშჩევი სწერდა ტრაპიზონის ფაშას დიპლომატიურ წერილებს იმის შესახებ, რომ ეს საქმე ჩემს ხელთ არ არის, მიწერილი მაქვს ცენტრში და როცა იქიდან პასუხს მივიღებ, გაცნობებო, იმის შემდეგ იგივე რტიშჩევი სვიდ სულეიმან-ფაშას იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და მათი ციხე-სიმაგრეების გადაცემაზე მტკიცე უარს ეუბნებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, სელიმ ხიმშიაშვილი არა მარტო მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო ქართველ ხალხთან, არამედ კიდევაც მოყვრობდა მათ. მაგალითად, მამია გურიელის და მისი რძალი იყო. როცა სელიმს სულთანმა თავი მოჰკვეთა, სელიმის შვილებმა თავშესაფარი პოვეს მამია გურიელთან. ამის შესახებ სპეციალური მიწერ-მოწერა არსებობს ამიერკავკასიის მთავარსარდალსა და მამია გურიელს შორის.

სელიმ ხიმშიაძვილის მოქმედების შესახებ სულთანს საკმაო მასალები ჰქონდა დაგროვილი. მის წინააღმდეგ ხოჯა-მოლები და რეაქციული ძალები სისტემატურად გზავნიდნენ სტამბოლს უარყოფით ინფორმაციებს. სელიმ ხიმშიაშვილის მოქმედებამ სულთანი ძალზე გააბოროტა. მან სელიმი მოღალატედ გამოაცხადა, გამოსცა ბრძანება სელიმის ფაშობიდან გადაყენებისა და მისთვის თავის მოკვეთის შესახებ.

სელიმ-ფაშას ბრალად სდებდნენ, რომ იგი საქართველოსთან მჭიდრო კავშირში იყო, არ ასრულებდა სულთანის ბრძანებებს, რუსეთის დახმარებით სამხრეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის მოსპობის მომხრე იყო და ემზადებოდა სულთანის წინააღმდეგ საბრძოლველად. აგრეთვე მას ბრალი ედებოდა იმაში, რომ მთელი სურსათ-სანოვაგე და იარაღ-საჭურველი, რაც გათვალისწინებული იყო რუსეთ-თურქეთის ომისათვის, მან ხიხანის ციხეში აიტანა და იქიდან დაუწყო ბრძოლა სულთანის ურდოებს. როცა სელიმ ხიმშიაშვილმა გაიგო სულთანის განზრახვა — მისთვის თავის მოკვეთის შესახებ, ის თავისი ამალით — აჭარლებითურთ გადავიდა სოფელ ნიგაზეულში, მამა-პაპათა საგვარეულო ციხე-სიმაგრეში. მაგრამ იმ დროისათვის საგვარეულო ციხე-სიმაგრე სტრატეგიული თვალსაზრისით გამოუსადეგარი იყო. ამიტომ მან ნიგაზეულის ციხე ააფეთქა და თავი შეაფარა მშობლიურ კუთხეს — ზემო აჭარას,

ხიხანის ციხეს. ამ ციხეში სელიმ ხიმშიაშვილი ბედგრილ ებრძ
თურქეთის ჯარებს.

სელიმის წინააღმდეგ სულთანმა გამოგზავნა იმ დროისათვის ცნობილი სარდალი იბრაჰიმ ფეჰლევან ბაბა-ფაშა, ანატოლიის ჯარების მთავარსარდალი. სერასკერმა თავი მოუყარა არზრუმის, ტრაპიზონისა და სხვა საფაშოების ჯარებს, შეკრიბა დიდძალი ჯარი და დაიწყო ბრძოლა. ბრძოლა იყო უთანასწორო. მცირერიცხოვან მამაც მებრძოლ აჭარლებს ებრძოდა სულთანის 15 ათასზე მეტი ჯარი.

ასეთი უთანასწორო ბრძოლა ანცვიფრებდა მაშინდელ საზოგადოებასა და რუსეთის სარდლობას.

ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის მთავარმართებელი გენერალი რტიშჩევი სახელმწიფო საიდუმლო მრჩეველს ვეიდემეიერს 1815 წლის 10 ივნისის თარიღით სწერდა: „დაბრუნებისას ჩემმა მზვერავებმა მომახსენეს, რომ არზრუმის სერასკერმა ანატოლიის სხვადასხვა პროვინციებიდან მართლაც შეაგროვა ცხენოსანი ჯარი 15 ათასი კაცის რაოდენობით და რომ ამ ჯარს, საყოველთაოდ გავრცელებული ხმების მიხედვით, ამზადებენ ახალციხეზე გამოსალაშქრებლად იმ მიზნით, რომ საბოლოოდ მოსპონ იქ გამეფებული სელიმ-ფაშა, რომელმაც თავი შეაფარა თავის საგვარეულო მამულს — აჭარას.

„აჭარა თავისი ადგილმდებარეობის მიხედვით ძლიერ მაგარია. სელიმ-ფაშამ უკუაქცია თურქეთის ჯარი, რომელმაც რამდენჯერმე სცადა მისი შეპყრობა ამ თავშესაფარში და დიდი ზარალი მიაყენა მას“.

აი, კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ ბრძოლის შესახებ: „არზრუმის სერასკერმა ბაბა-ფაშა ფეჰლევანმა, რომელიც მართლაც ჩავიდა 15-ათასიანი არმიით ახალციხის საფაშოში, დაუყოვნებლივ გამოჰყო 6 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი რჩეული რაზმი, რათა გარს შემოერტყას აჭარის თითქმის მიუვალ ციხე-სიმაგრეს (ხიხანის ციხეს), სადაც ახალციხიდან გაძევების შემდეგ თავი შეაფარა მთელი თავისი ოჯახით, და აჭარლებთან ერთად, სელიმ-ფაშამ. აჭარა მისი საგვარეულო მამულია. ამ ჯარებმა, რომელთაც რამდენიმე დღის განმავლობაში გამოცხადებული ჰქონდათ ციხის ბლოკადა, ვერაფერი ვერ შეძლეს. შესაძლოა მათაც ისეთი ბედი სწეოდათ, როგორც სერასკერის მიერ წინათ გაგზავნილ ორ რაზმს, რომლებიც მოგე-

რიებული და დამარცხებულ იქნენ, — რომ სელიმ-ფაშის ყველაზე უფრო საყვარელ ადამიანს, რომელიც მისი სრული ნდობით სარგებლობდა, არ გაეღო ციხის ალაყაფის კარები სერასკერის ჯარებისათვის და არ ჩაებარებინა ციხე და თვით სელიმ-ფაშაც არ გადაეცა სერასკერის განკარგულებაში.

ამგვარად, ბაბა-ფაშამ ხელთ იგდო ოტომანთა პორტას წინააღმდეგ ამბოხებული სელიმი, თავი მოჰკვეთეს მას და სტამბოლში — „ცარგრადში" გაუგზავნეს სულთანს, ხოლო მისი ოჯახი, ორი შვილის გარდა, რომლებმაც გაქცევით უშველეს თავს, გადაყვანილია ახალციხეში და იმყოფება უსასტიკესი ყარაულის ქვეშ, შირინ აღასთან (ახალციხის პირველი მოხელე, რომლის ხელში იყო მთელი ძალაუფლება სელიმ-ფაშის დროს) და 10 სხვა წარჩინებულ ახალციხელ მამასახლისთან ერთად, რომლებიც სელიმის მომხრენი იყვნენ.

სელიმის ორი ვაჟიდან ერთი გურიის მფლობელის — გენერალ თავად მამია გურიელის ახლობელი მოყვარეა და ცოლად ჰყავს მისი და, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთის ქვეშევრდომობაში გურიის შესვლამდე, მიუხედავად სარწმუნოების სხვადასხვაობისა, მას მიათხოვეს."[1]

ზემოთ მოყვანილი საბუთებიდან ნათლად ირკვევა, რომ სულთანის დიდი არმია კიდევ დიდხანს ვერ შეძლებდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერთი მუჭა აჭარლების ხელში ჩაგდებას, რომ ქვეყნისა და სამშობლოს მოღალატეს ციხის კარების გასაღები არ ჩაებარებინა მტრისათვის. ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ თავდადებულ მებრძოლ სელიმ ხიმშიაშვილს სიკვდილის წინ, მხნედ უთქვამს: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი სამუდამოდ ოსმალოს არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებო". ეს იყო 1815 წელს.

სელიმის სიკვდილის შემდეგაც აჭარლები სასტიკად ებრძოდნენ სულთანის მოხელეებს. აჭარის მთებში თავს აფარებდნენ სულთანის მოხელეების მიერ დევნილი პირები. ქობულეთიდან და ხინოდან მებრძოლ რაზმებში გაერთიანებული იყო 40 კაცზე მეტი, ზემო აჭარიდან — 200 კაცი და ა. შ.

აჯანყებულ აჭარლებს სულთანის ხელისუფლება სასტიკად უსწორდებოდა, მაგრამ მათ საბოლოოდ დამორჩილებას ვერ ახერ-

[1] Акты К. А. К., т. V. Тифлис. 1873 г., стр. 828.

ბებდა. როცა ერთ ადგილას ჩააწრობდნენ აჯანყებას, ის მეორე ადგილას იფეთქებდა.

„თურქეთის მთავრობა ყოველთვის დაჟინებით ცდილობდა დაპყრობილ ხალხთა უკმაყოფილება ძალით ჩაეხშო, ხოლო მოძრაობის ხელმძღვანელები ამოეხოცა. ასე იყო არა მარტო აჭარაში, არამედ ჭანეთშიც. ჭანეთში 1826 წელს თავი მოკვეთეს მემიშ-აღა ტუსჩიოღლის, ხოლო მისი მომხრეები ლარჩიოღლი, ქუჩუქ-ოღლი, ლელოღლი და სხვა ბეგები დააპატიმრეს. სურმენის, ოფის და ვონიას აჯანყებანი ჩააქრეს“.[1]

1828-29 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობა აქტიურად მოითხოვდა აჭარის საქართველოსთან შეერთებას. აჭარისათვის ცნობილი იყო, რომ მისი ხსნა თურქეთის ბარბაროსობის უღლისაგან მხოლოდ რუსეთის დახმარებით შეიძლებოდა. აჭარლების მხსნელები არა სტამბოლიდან უნდა მოსულიყვნენ, არამედ მოსკოვ-თბილისიდან, რუსი და ქართველი ხალხების სახით. ამ წმიდა იდეას ისინი ემსახურებოდნენ და ბოლომდე დარჩნენ მისი ერთგული.

თურქეთის ისტორიკოსი ჯევდეთი გადმოგვცემს, თუ როგორ დასაჯეს ჭანეთის მცხოვრებნი აჯანყებისათვის: ოფიდან — სალიჰ-ოღლები, სურმენიდან — ბაზიოღლი ჰასან, სუიჩმესოღლი ჰასან, ჯენგ მეჰმედ, დელი აჰმედ და ქუჩუქ დელიოღლი სალიჰ, ისმაილ-ოღლი იაკუბ და ჩეჰრელიოღლი ჰასან, რიზედან — ტუსჩიოღლი მემიშ-აღა და სხვა ბეგები.

კერძოდ მემიშ-აღას (ლაზთა ლაშქრის მეთაურის) შესახებ ჯევდეთი წერს:

„რიზეს მოწინავეთა შორის ტუსჩიოღლი მემიშ-აღა კანონის წინააღმდეგ მოქმედებაში შემჩნეული იყო. ამის შესახებ ტრაპიზონის ვალიმ ხაზინადაროღლმა სულეიმან-ფაშამ მოახსენა სულთანს და მისგან მიიღო დავალება მემიშ-აღას სიკვდილით დასჯის შესახებ. სულეიმან-ფაშის დამხმარეთ მიმაგრებული იყო კასტამონის ვალი ალი-ფაშა; გამოიყო აგრეთვე სივასიდან ჯარის ნაწილი. ორი სამხედრო ხომალდი ლივანეს მეომრები სულეიმან-ბეგის ხელმძღვანელობით... ოფს გარშემო ალყა შემოარტყეს და მცხოვრებლებს მოსთხოვეს, რომ მემიშ-აღა მთავრობისათვის ჩაებარებინათ. ოფელებს მემიშ-აღა უყვარდათ და მის ჩაბარებაზე უარი განაცხა-

[1] Газета «Южная речь», 1917 г., № 31.

დეს".[1] დიდი ბრძოლის შემდეგ მემიშ-აღა დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს.

ლაზები ზედიზედ ჯანყდებოდნენ. ტრაპიზონის მხარეში მუდმივ აჯანყებათა შესახებ ჯერ კიდევ 1805-6 წლებში მოგზაური პ. ეობერი წერდა: „მხარე, რომელიც აკრავს ტრაპიზონს, იყო აღელვებულ მდგომარეობაში, რაც მაშინდელი თურქეთისათვის დამახასიათებელი იყო."[2]

ლაზების წინააღმდეგ დიდ ბრძოლებს ეწეოდა იუსუფ-ფაშა, რომელიც სულთანისაგან იღებდა ფირმანებს ლაზების საბოლოოდ დასამორჩილებლად. ეობერი აღნიშნავს, რომ კონსტანტინოპოლიდან ფირმანების მიღება ამ ხალხის დამორჩილების შესახებ გაცილებით ადვილი იყო, ხოლო მათი ცხოვრებაში გატარება კი ძნელიო.

იუსუფ-ფაშა 25-ათასიანი ჯარით ფიქრობდა ლაზთა დამარცხებას. როცა ძალით ვერას გახდა, მიმართა დიპლომატიურ ხერხს, და აქაც რომ არაფერი გამოუვიდა, შემდეგ ამ მხარეს შემოესია საზღვაო ფლოტი თახირ-ფაშის სარდლობით. მაგრამ დამარცხებულმა თახირ-ფაშამ თავს უშველა აფხაზეთში გაქცევით. თურქებმა ვერ გატეხეს ლაზების ნებისყოფა.

საინტერესოა სულთანის ფაშების წინააღმდეგ მე-19 საუკუნის დამდეგს აჭარლებისა და ახალციხელების ერთობლივი ბრძოლის ერთი მაგალითი.

გენერალ-ლეიტენანტი თავადი ორბელიანი გენერალ რტიშჩევისადმი 1816 წლის 1 ივლისის თარიღით მიწერილ წერილში ასე გადმოგვცემს ახალციხეში მომხდარ ამბავს: „სოფლებში დაბანაკებულ თურქეთის ჯარს მცხოვრებლებისათვის ზიანი მიუყენებია. გლეხის ქალები მისულან ფაშასთან და მოუხსენებიათ ეს ამბავი. ფაშას ისინი გარეთ გამოუყრია და პასუხიც არ მიუცია. დაბრუნებულ ქალებს გზაში შეხვედრია ყალე აღასიოღლი, სულეიმან-აღა 30 ახალგაზრდის თანხლებით. ქალებმა მათ უამბეს, თუ როგორი ზარალი და შეურაცხყოფა მიაყენეს მათ თურქეთის ჯარებმა. ამავე დროს ფაშამ არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და გარეთ გამოყარა ისინი. ქალებმა დასძინეს: „თქვენს ცოლებსაც ხვალ ისევე მიაყენებენ შეურაცხყოფას, როგორც დღეს ჩვენო".

1 აქედან ჯვეღეთ, დასახ. ნაშრ. ტ. XI. 1885 წ., სტამბოლი, გვ. 18.
2 ჰ. ა. ეობერი. „მოგზაურობა სომხეთსა და ირანში", 1805-6 წ. წ. თავი მე-10, გვ. 7, 1821 წ., თარგ. ფრანგულიდან.

სულეიმან-აღამ მოისმინა რა ეს ამბავი, წავიდა ფაშასთან თავის მხლებლებითურთ, მივიდა მასთან, მოჰკიდა ხელი კისერში და უთხრა — „გამომყევი ღვთის სამართალშიო“. ფაშამ იმ წუთშივე უბრძანა თავის ამალას, რომ აეკუწათ ეს „ურწმუნო“. გაიგონა რა მისი ბრძანება, სულეიმან-აღამ იძრო ხანჯალი და მძიმედ დასჭრა ფაშა მარჯვენა მხარში, წააქცია იგი და იქვე დაუძახა თავის ამხანაგებს: „აკუწეთ ყველა ესენიო“.

ამ უკანასკნელებმა ფაშის ამალის უმრავლესობა დახოცეს, ხოლო ვინც ცოცხალი დარჩა, მათ იარაღი აჰყარეს. ქალაქის მცხოვრებლებიც მოეხმარნენ მათ, შეუტიეს ფაშის მოხელეებსა და ჯარებს, გაანადგურეს ისინი და განდევნეს ქალაქიდან, ფაშა კი დაპატიმრებული ჰყავდათ.

ეს ამბავი ახალციხელებმა დაუყოვნებლივ აცნობეს აჭარლებს და დასძინეს — ჰაიდა-ბაშ-მემედ ტირანმა თქვენ გაგანადგურათ. თუ თქვენ მას უვნებლად გაუშვებთ, იგი ჩვენც გაგვანადგურებსო. ჩვენ მის წინააღმდეგ ჯარი გამოვგზავნეთ, ამიტომ თქვენც დაედევნეთ მას. შევხვდებით რა ერთმანეთს, ჩვენ შეეცდებით, რომ იგი ხელიდან არ გავუშვათო.

მიიღეს რა ეს ცნობა, აჭარლები თავს დაესხნენ ზურგიდან მემედ ტირანს, ხოლო ახალციხელები წინ გადაეღობნენ მას. ისეთი სასტიკი შეტაკება მოხდა, რომ მემედ ტირანის რვაათასიანი ჯარიდან 400 კაცილა დარჩა, ბოლოს ისინიც ჩაიგდეს ხელში. აჭარლებმა მემედ ტირანი დაატყვევეს, ხოლო ახალციხელებმა — ფაშა. არზრუმის სერასკერმა ბაბა-ფაშამ გაიგო აჯანყების შესახებ და ახალციხეში გაგზავნა არზრუმის მამასახლისები და მათი მეშვეობით. მუქარითა და თხოვნით უნდოდა ტყვეები გაეთავისუფლებინა. მან შემოთვალა:

„ფაშა და მემედ ტირანი მათი ქონებით გამოგვიგზავნეთ და მე გავარჩევ მათ საქმეს, გამოვირკვევ თქვენს შორის ვინ არის დამნაშავე და თქვენ თუ მართალი აღმოჩნდებით, მაშინ თქვენს თხოვნას დავაკმაყოფილებო“. მოსახლეობას შემდეგი პასუხი გაუცია: „ჩვენი თხოვნა ხელმწიფეს გავუგზავნეთ, სანამ პასუხს არ მივიღებთ, მანამ ტყვეებს ვეღარ გავათავისუფლებთო“.

რასაკვირველია, ზემოხსენებული ბრძოლისა და აჯანყების მიზეზი მარტო 6 ქალის შეურაცხყოფა და ჯარის მიერ მიყენებული ზარალი კი არა, არამედ თურქული რეჟიმი იყო.

აჭარლებისა და ახალციხელების აჯანყება მარტო ახალციხის ფაშისა და აჭარის ხეობის უფროსის ჰაიდა-ბაშ-მემედ ტირანის მოქმედების წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ იგი საერთოდ გამოხატავდა სამხრეთ საქართველოს ქართველების ბრძოლას სულთანის ბატონობის წინააღმდეგ.

როგორც ითქვა, სელიმ-ფაშის სიკვდილის შემდეგ სამხრეთ საქართველოში უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლა მასობრივ ხასიათს იღებდა და განუწყვეტლად გრძელდებოდა. სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავლობა თავისი წინაპრის კვალს მისდევდა.

აღნიშნული ბრძოლების ერთ-ერთ მიზეზად თურქი ისტორიკოსი ასახელებს სულთანის მიერ სელიმ ხიმშიაშვილის დასჯის გამო აჭარლებში შექმნილ უკმაყოფილებას. ის წერს: აჯანყებულთა ხელმძღვანელებმა ისარგებლეს, ერთი მხრივ, ჩვენს სანჯაყებში არსებული მღელვარებით და, მეორე მხრივ, ირან-თურქეთს შორის გამწვავებული მდგომარეობითო.[1]

ისტორიკოსი ჯევდეთი აღნიშნავს, რომ აჭარლებმა მიბაძეს ჩილდირის სანჯაყში მომხდარ აჯანყებას და მუთესელიმი გააძევეს აჭარის ფარგლებიდანო. შემდეგ აჯანყებულებს გაუმაგრებიათ ციხე-კოშკები. ზემო და ქვემო აჭარას ამ ბრძოლაში ახმედ ხიმშიაშვილის მეთაურობით აქტიური როლი შეუსრულებია. ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ აჯანყების ჩასაქრობად და მეთაურთა დასასჯელად არზრუმისა და აღმოსავლეთის მხარის მთავარსარდალმა ფეჰლევან იბრაიმ ბაბა-ფაშამ და ტრაპიზონის ვალიმ ხაზინადარ ზადე სულეიმან-ფაშამ გაგზავნეს სხვადასხვა სანჯაყებში მიმართვები, შეაგროვეს ჯარი და გადაისროლეს აჭარაში, მაგრამ აჯანყება ვერ ჩააქრესო.

ისტორიკოსი ამის მიზეზად ასახელებს ცუდ ამინდს — სექტემბერში დიდი თოვლი მოვიდა და საომარი ოპერაციების წარმოება შეუძლებელი იყოო. შემდეგ მდგომარეობას უფრო მწვავე ხასიათი მიეცა. აჯანყებულებს დიდძალი ხალხი შემატებია სხვადასხვა პროვინციებიდან. მაგალითად, ისტორიკოსი ამბობს: ახალციხის „ოჯაკლი“ იანიჩარ აღამ აღზი აჩიკ მემედმა აჯანყებულებს დიდი დახმარება გაუწია და იკისრა მათი მფარველობაო. აჯანყება მთელ მხარეს მოედო. კვლავ გამოითხოვეს არზრუმიდან,

1 აღნიშნული ბრძოლები მოხდა 1819 წელს.

ტრაპიზონიდან და სხვა ვილაიეთებიდან დამატებით ჯარები, მაგრამ აჯანყება ვერ ჩაუქრიათ.

როგორც მასალებიდან ირკვევა, სულთანის ხელისუფლებას უფიქრია წასულიყო ნაწილობრივ „დათმობაზე" და ერთგვარი მორიგებით დაემთავრებინა საქმე.

გასაგებია, რომ მოფიქრებული და უფრო „ლმობიერი" მოქმედება სულთანის კაცთმოყვარეობიდან, ან აჭარისადმი მისი კეთილი განწყობილებიდან კი არ გამომდინარეობდა, არამედ ნაკარნახევი იყო შექმნილი მდგომარეობით — სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებით.

აღნიშნული აჯანყების შესახებ ჯევდეთი ასე მოგვითხრობს:

„ადრინდელი ჩილდირის ვალის სელიმ-ფაშის... შვილი ახმედ-ბეგი მამის კვალს გაჰყვა, მან ააჯანყა ჩილდირის ვილაიეთში მყოფი აჭარა-ულიას (ხულოს) ხალხი. ამასთანავე ამ რაიონის რწმუნებული განდევნა და სათანადო სიმაგრეების შენებას შეუდგა".[1]

მომხდარი აჯანყებიდან 3-4 წლის შემდეგ ახმედ-ბეგის სიკვდილით დასჯის შესახებ გაცემული ბრძანება სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი: სიკვდილით დასჯილი სელიმ-ფაშის შვილის ახმედ-ბეგის შესახებ წინათ გაცემული ბრძანება მისი სიკვდილით დასჯის თაობაზე ჯერაც სისრულეში მოყვანილი არ არისო. იგი განაგრძობს ამ მხარეში მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებას. რის გამო ახმედ-ბეგის სიკვდილით დასჯის შესახებ კატეგორიული ბრძანება კვლავაც გაეგზავნა ჩილდირის ვალის — ალი-ფაშას[2]

აჭარა-მესხეთში დიდად ცნობილი იყო სახალხო ბრძოლის ერთი მეთაური აჰმედ კიკნაძე, რომელიც ქედის რაიონის სოფელ კიბედან (სოფ. კიბე მაშინ შედიოდა ქედის კაზაში — რაიონში) ყოფილა. იგი წლების განმავლობაში სულთანის ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა. მას სასტიკად დევნიდნენ, მაგრამ იგი მაინც თავისას არ იშლიდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას ოგი 100 კაცისაგან შემდგარ რაზმს მეთაურობდა. კიკნაძის შესახებ ზაქარია ჭიჭინაძე წერს:

„მან (ე. ი. აჰმედ კიკნაძემ) თავის ახალგაზრდობაში შეჰკრიბა ასამდე ქართველ მაჰმადიანთა ახალგაზრდა ბიჭები, მათგან შეადგინა კარგი გუნდი. ამ ამხანაგების დახმარებით იგი გადავიდა

1 აჰმედ ჯევდეთი, დასახ. ნაშრ. ტ. X, გვ. 223-224.
2 იქვე, ტ. XI, გვ. 68.

არზრუმის მთებში,... სადაც ცხოვრობდნენ ქართველი მაჰმადიანები... იქაც იმაცადინა კიკნაძემ და ბევრი ამხანაგები შეიძინა. ასე რომ მათგან შედგა დიდი რიცხვი".

ერთ დღეს კიკნაძე ბოროტმოქმედთა მფარველს თავს დაესხა ართვინის ახლოს, სოფელ სვეტში, დაარბია მისი სასახლე და გამარჯვებული უკან დაბრუნდა.

კიკნაძე ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა, სასტიკად დევნიდა ტყვეების მტაცებლებს. მას ერთ დროს ტყვეების დიდი პარტია გაუთავისუფლებია და „მეტყვეურები" დაუჭერია. ამის შესახებ ახალციხის ქრონიკაში ვკითხულობთ: „კიკნაძეებმან მეტყვეურები დაიჭირეს".

კიკნაძის შესახებ ბევრი სიმღერა და თქმულება შეუთხზავს ხალხს. ხალხი ასახავდა მის კეთილშობილ მოქმედებას. მაგრამ ოსმალეთის მთავრობა მათ — კიკნაძეს, ყიზედ-აღა დვალსა და სხვებს, ყაჩაღებად ნათლავდა. ზაქარია ჭიჭინაძე ჩახალოღლის, კიკნაძის და ყიზედ-აღის შესახებ ბევრს მოგვითხრობს და ბოლოს ასკვნის: „ხალხის ფიქრით, როგორც ჩახალოღლი, ისევე კიკნაძე და ყიზედ-აღა ყაჩაღებად ტყუილად არიან ცნობილნი. ამათ ყაჩაღობის არაფერი მიუძღვით, ყველა ესენი იყვნენ ქართველ მაჰმადიანთა სოფლის ფუხარას (ღარიბის) მფარველნი. ამათ თურმე მთელი აჭარის ბეგებიც შეაშინეს და ფიცი ჩამოართვეს, რომ სოფლის ფუხარას აღარ დავაბრჩობთო."[1]

ჩახალოღლი თავზარს სცემდა არა მარტო ოსმალებს, არამედ ადგილობრივ აღა-ბეგებსაც. მისი სახელი განთქმულია მთელ სამხრეთ საქართველოში. ყოველი გამარჯვების საზეიმოდ იგი სროლას ატეხდა თურმე. მას ჰქონია სპეციალური დაკვეთით დამზადებული დიდი ყალიბის კაჟიანი თოფი. აჭარაში დღესაც ასეთ თოფს „ჩახალოზას" ეძახიან.

როგორც იყო თქმული, კიკნაძე ოსმალეთა წინააღმდეგ ბრძოლას მეთაურობდა და მას ყველა ხეობაში ჰყავდა თავისი მომხრეები.

სულხან-საბა ორბელიანი თავის წიგნში „მოგზაურობა ევროპაში" აგვიწერს, რომ გემის პატრონმა, როცა კონსტანტინოპოლიდან ათინას მივედით, აქეთ წამოსვლაზე უარი გვითხრა, რადგან

1 ზ. ჭიჭინაძე, „საქართველოს მაჰმადიანთა ცხოვრება", თბილისი, 1916 წ., გვ. 22.

აფხაზეთში აჯანყებაო. „მე გერიას ხომალდს ვეღარ წამოვიღებო, აფხაზი აშლილია და მეშინიაო“.[1]

რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლის ომთან დაკავშირებით თურქეთის ხელისუფლება საქართველოს საზღვრებზე გზავნიდა სპეციალურ კომისიებს მდგომარეობის გამოსარკვევად, სულთანს ეშინოდა აჭარლების მღელვარებისა და ფრთხილობდა.

ოსმან-ელსაიდინი სულთანს სპეციალურად წერს ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, რომ ჩემ მიერ გაგზავნილი იყო მეჰმედ-ეფენდი საქართველოს საზღვრების უფროსთან — არზრუმის მთავარსარდალ ტუსჩიზადე აბდულ კადირ-აღასთანო. იგი დასძენს, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო საჭიროა სიმაგრეების აგება ჩურუქსუსა და ლიმანში. მოსახლეობა — „მართლმორწმუნე მუსლიმანები“ 7 წლიდან 70 წლამდე შეიარაღებული უნდა იქნესო. სულთანი სისტემატურად გზავნიდა ფირმანებს ამ საკითხების შესახებ.

მე-19 საუკუნეში სამხრეთ საქართველოს დედა სამშობლო — საქართველოსთან შეერთების საკითხი კვლავ დადგა პირველ პლანზე. ქართველი პატრიოტები მილიციის სახით რუს ჯართან ერთად თავგამოდებით იბრძოდნენ.

ჯერ კიდევ 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როგორც ცნობილია, რუსეთის ჯარებმა აიღეს ყარსი, ბაიაზეთი, არტაანი, აწყური, თოფრაქ-ყალე (მიწის სიმაგრე), ახალციხე, ახალქალაქი, ფოთი და სხვ.

1829 წელს ომში დიდი სახელი გაითქვა გენერალმა ა. ჭავჭავაძემ. მისი სარდლობით რუსთა ჯარებმა ბაიაზეთის საფაშო მთლიანად დაიმორჩილეს.

1828 წლის 15 ოქტომბერს გურულ მოხალისეთა რაზმმა თავად ნაკაშიძის მეთაურობით შეკვეთილის საგუშაგოს ახლოს სასტიკად დაამარცხა თურქეთის ჯარები. ასევე 1829 წლის აგვისტოში გურულებმა კინტრიშთან ბრძოლაში დაამარცხეს ტრაპიზონის ფაშის ოსმან ხაზინადაროღლის ლაშქარი.

1829 წლის 2 სექტემბერს დადებულ იქნა ადრიანოპოლის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით რუსეთის მფლობელობაში გადავიდა ანაპა, ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი. აგრეთვე რუსეთის ფლოტს შავი ზღვის ყველა ნავსადგურზე თავისუფალი

1 სულხან-საბა ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“, 1940 წ., გვ. 149.

მიმოსვლის უფლება მიენიჭა. ამასთან თურქეთს დაეკისრა რუსეთისათვის გადაეხადა 11,5 მილიონი დუკატი კონტრიბუციის სახით.

ადრიანოპოლის ხელშეკრულების მეოხებით რუსეთი დაეუფლა ანაპას და ფოთს — შავი ზღვის სანაპიროს მნიშვნელოვან ნაწილს, ახალციხის საფაშოს ნაწილს, ახალქალაქსა და ახალციხეს ციხე-სიმაგრეებით, აგრეთვე კუნძულებს დუნაის დელტაში.

ამრიგად, რუსეთ-თურქეთის ომის დროს მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა დიდი მიზანი, საქართველოს დაუბრუნდა ყოფილი სამცხე-საათაბაგოს 10 სანჯაყი.

1853 წლის ომში ქართველი ხალხი გმირულად იცავდა თავის-მიწა-წყალს. რუსმა მეომრებმა ქართველ მილიციასთან ერთად დიდი ბრძოლები გადაიხადეს. ამ ბრძოლებში ქართული მილიცია თავგანწირვით იბრძოდა. „ქართველი მილიციონერები ლაშქრობის დროს იქცეოდნენ ისე ღირსეულად და კეთილშობილურად, როგორც საუკეთესო რეგულარული შენაერთების ჯარისკაცები“.[1]

ჯერ კიდევ ომი ოფიციალურად არ იყო გამოცხადებული, რომ თურქები 15-16 ოქტომბერს ვერაგულად დაესხნენ თავს „წმიდა ნიკოლოზის“ საგუშაგოს. ამ ბრძოლებში ოსმალო მოხელეები ხოცავდნენ ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს. მათი თავაშვებული მხეცობის შესახებ საარქივო დოკუმენტებში ვკითხულობთ:

«Занятие Николаевска сопровождалось неслыханными со стороны турок жестокостями, они убивали женщин и детей, замучили одного монаха, а таможенного чиновника распяли на столбе и потешались долго, стреляя в него по одиночке».[2]

დასტურდება, რომ ამ ომში როგორც აჭარლები, ისე ქობულეთლები და ლაზები თურქეთის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

1853 წელს თურქეთის ფაშამ, რომელიც დაეჭვებული იყო ქობულეთლების ერთგულებაში, ამ უკანასკნელთ დაავალა გურიაში წასულიყვნენ საბრძოლველად. ამ ბრძანების შესრულებაზე ქობულეთლებმა სასტიკი უარი განაცხადეს. ამ დროს თურქეთს აქ ჰყოლია 20-დე ბატალიონი, 14-ათასამდე მილიციელი, რამ-

1 გაზეთი „კავკაზი“, 1854 წ., № 55.

2 ციტირებულია ნ. ჭეიშვილის შრომიდან К истории борьбы грузинского народа против турецких интервентов (Омер-паша) во время восточной войны 1853 1856 г.г., ბათუმის პედინსტიტუტის შრომები„ ტომი მე-2, გვ. 246.

დენიმე ესკადრონი კავალერიისა, 11 ბატარეა და კიდევ ანატოლიიდან დამატებით 60 ათას კაცს აგზავნიდნენ.

როცა გენ. ანდრონიკაშვილმა თავისი ჯარები რიონის ნაპირების გასამაგრებლად გაიყვანა სულთანის ჯარებმა ამ მდგომარეობით ისარგებლეს და ოზურგეთში შეიჭრნენ. მაგრამ რუსთა და ქართველთა ჯარები მალე შეტევაზე გადავიდნენ. 1854 წლის 27 მაისს დიდი ხელჩართული ბრძოლის შემდეგ თურქთა ჯარები განადგურებულ იქნენ. ბრძოლაში მოწინააღმდეგემ დაკარგა 2.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამ ბრძოლაში სახელი გაითქვეს ქართველმა მებრძოლებმა ჯანდიერმა, მიხეილ ციციშვილმა, გიორგი მაჩაბელმა, ნიკო ჭავჭავაძემ, გიორგი ერისთავმა და სხვებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყირიმის ომის დიდი თანამედროვე კ. მარქსი ბათუმ-არზრუმისა და თბილისის სტრატეგიულ მნიშვნელობას შემდეგნაირად ახასიათებდა:

«Эрзерум с турецкой стороны, Тифлис — с русской являются двумя непосредственными операционными базами, от обладания которыми зависит обладание всей прилегающей областью. Поэтому взятие русскими штурмом Эрзерума решило азиатский поход 1829 г.

Но что для одной стороны является операционной базой, для другой является прямой целью операции, и поэтому дороги, которые связывают Тифлис и Эрзерум, станут операционными линиями для обоих противников. Существуют три дороги: одна идет вдоль верхней Куры через Ахалцих, другая вдоль верхнего Аракса через Эривань, третья между двумя первыми через горы на Карс. Все эти дороги защищены с обеих сторон укрепленными городами и постами, и трудно решить, какая наиболее благоприятна для турок и какая для русских. Достаточно поэтому указать, что по ахалцихской дороге турецкая армия могла бы вступить прямо в мятежные области Кавказа, но русский корпус, который двинулся бы из Батума через долину Чороха, от Ольт на Эрзерум, мог бы ударить выдвинувшимся туркам во фланг. Дорога из Батума соединяется с дорогой из Тифлиса всего лишь в пятнадцати милях от Эрзерума, так что русский корпус, который выступил бы в указанном направлении, имел бы возможность отрезать сообщения турок и, если бы он был достаточно силен, мог бы даже овладеть Эрзерумом, который укреплен чисто азиатским способом и, следовательно, не способен ни на какое серьезное сопротивление.

Ключом театра военных действий в Азии с обеих сторон является, значит, Батум, и если иметь в виду это, а также его значение для торговли, то не приходится удивляться, почему царь постоянно старался его завоевать. Батум является ключом театра военных действий и даже всей Азиатской Турции, потому что он господствует над единственно проходимым путем с берега во внутрь страны, — путем, которым можно обойти все турецкие позиции перед Эрзерумом. И тот из двух флотов в Черном море, который прогонит своего противника обратно в его гавани, будет владеть Батумом».[1]

მარქსი და ენგელსი შენიშნავდნენ იმის შესახებ, თუ როგორ იჩაგრებოდა თურქეთში ქრისტიანი მოსახლეობა:

«При теперешнем настроении умов в Европе кабинеты не могли бы равнодушно смотреть, как христианские народности в Турции подвергаются вопиющему угнетению и религиозным преследованиям. Надо, чтобы османские министры сознали эту истину и убедились, что могут рассчитывать на дружбу и содействие великих держав лишь при условии терпимого и мягкого отношения к христианским подданным Порты».[2]

სოციალურად თურქეთი არეული იყო ისე, როგორც მისი ისლამი. თურქეთი მაშინ განვითარების დაბალ, ბარბაროსულ საფეხურზე იდგა:

«Трудно назвать турок господствующим классом в Турции, так как взаимоотношения разных классов общества там отличаются такою же запутанностью, как и отношения рас. Турок бывает, в зависимости от обстоятельства места и времени, рабочим, свободным земледельцем, мелким арендатором, торговцем, феодальным помещиком на самой низкой и варварской стадии феодализма, чиновником или солдатом; но во всех этих различных социальных положениях он принадлежит к господствующей религии и национальности, он один имеет право носить оружие, и самый высокопоставленный христианин должен при встрече уступить дорогу самому низкостоящему мусульманину».[3]

ქართველი მეომრები რუსებთან ერთად სასტიკ ბრძოლებს ეწეოდნენ და დიდ ზარალს აყენებდნენ თურქ დამპყრობლებს.

1 К. Маркс и Ф. Энгельс, сочин., т. IX, стр. 554-555, 1932 г.
2 К. Маркс и Ф. Энгельс, сочин., т. IX, стр. 684.
3 Там же, стр. 374.

ოსმალებთან ომში სასიკვდილოდ დაჭრილმა გიორგი გურიელმა თავის შვილს უანდერძა: „გახსოვდეს სიკვდილის წინ ჩემი უკანასკნელი სიტყვა: გურია ყოველთვის იყო აუღებელი ციხე-სიმაგრე მტრისათვის და ახლა ერთმორწმუნე რუსეთთან მით უფრო, არ უნდა დავზოგოთ ჩვენი სიცოცხლე და არ უნდა მოვითმინოთ, რომ თურქები გავიდნენ ჩვენი მიწა-წყლიდან დაუსჯელნი. უთხარით ჩემს ხალხს, რომ მოკვდნენ აქ, მაგრამ არც ერთი ნაბიჯით არ დაიხიონ უკან... ნუ ფიქრობთ ჩემზე, ჩემი სიკვდილი — ეს არის ერთი კაცის სიკვდილი, იფიქრეთ გურიაზე, გაამართლეთ ნდობა... დაამტკიცეთ, რომ თქვენ იგივე გურულები ხართ, რომელთა მიწა-წყალი ყოველთვის თურქთა სასაფლაო იყო“.[1]

თურქეთის წინააღმდეგ მედგარ ბრძოლას ეწეოდა ქორ-ხუსეინ-ბეგ ხიმშიაშვილი, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა აჭარაში. იგი მეტად უშიშარი რაინდი ყოფილა. ხიმშიაშვილი თურქეთის მიერ დასახულ ყველა ღონისძიებას ეწინააღმდეგებოდა თურმე და ცდილობდა მათ ჩაფუშვას. მან მთელი აჭარის ხეობა თურქეთის რეჟიმის წინააღმდეგ აამხედრა. ქორ-ხუსეინ-ბეგის წინააღმდეგ სულთანმა ჭყონია — ფაშა-გურული გამოგზავნა, მაგრამ ქორ-ხუსეინ-ბეგმა ფაშის ჯარი დაამარცხა, ქედიდან განდევნა და აჭარაში კვლავ თვითონ გაბატონდა. მან თავისი მოქმედების სფერო უფრო გააფართოვა. ბრძოლა თურქეთის წინააღმდეგ ძლიერდებოდა.

გიორგი ყაზბეგის გადმოცემით, თურქებმა ტრაპიზონიდან გამოგზავნეს ახალი ფაშა ქეიოღლი, უფრო მკაცრი და ვერაგი. ის თავისი ჯარებით შემოვიდა აჭარაში და ცეცხლითა და მახვილით დაესხა თავს მოსახლეობას. ქორ-ხუსეინ-ბეგს ებრძოდნენ სხვა ვილაიეთის ფაშებიც. ამ ბრძოლაში ქორ-ხუსეინ-ბეგი შეუპყრიათ, მაგრამ იგი ყარსიდან გამოქცეულა და კვლავ დაუწყია ბრძოლა. მალე მის წინააღმდეგ თურქებს უფრო დიდი ჯარები გამოუგზავნიათ.

ქედის და სხვა კუთხეების მოსახლეობა კვლავ დარაზმულა მომხვდურთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ბრძოლას მძაფრი ხასიათი მიუღია. ხალხური გადმოცემით, ქედის ახლოს (მოლოქნარაში) სასტიკი და გადამწყვეტი ბრძოლის დროს უღალატნია ხეირულა-ბეგ სურმანიძეს, რასაც გადაუწყვეტია ბრძოლის ბედი.

1 Потто, Батум и его окрестности, 1906 г., стр. 133—134.

დამარცხებული ქორ-ხუსეინ-ბეგი ხიმშიაშვილი სტამბოლს წაუყვანიათ და იქ მისთვის თავი მოუკვეთიათ.

1853—56 წლების ომის წინ, 1844 წელს, შავშეთში, აჭარაში, იმერხევში, ფოცხოვში, ქობულეთსა და სამხრეთ საქართველოს სხვა რაიონებში დიდი აჯანყება მომხდარა აბდი-ბეგის შვილის სელიმ-ბეგის მეთაურობით. ეს აჯანყება მიმართული ყოფილა ახალი რეფორმის წინააღმდეგ.

გ. ყაზბეგი თავის წიგნში „სამი თვე სამუსლიმანო საქართველოში" აღნიშნავს, რომ 1844 წელს სტამბოლში რუსეთის მტრებმა შეიმუშავეს გეგმა, რათა ახალციხეში აჯანყება მოემზადებინათ. მათი მიზანი იყო, რომ ამით ხელი შეეწყოთ რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი შამილის ჯარებისათვის დაღესტანში. ამავე მიზნით სულთანი აჭარის ბეგებს ასაჩუქრებდა ფირმანებით, ამარაგებდა მათ იარაღით და აქეზებდა რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ აჭარისა და სამხრეთ საქართველოს ბეგებმა სელიმ-ბეგის ხელმძღვანელობით, ისარგებლეს რა შექმნილი მდგომარეობით, შეაგროვეს ათი ათასი კაცი და ნაცვლად ახალციხეზე გალაშქრებისა, მოაწყეს აჯანყება თურქეთის წინააღმდეგ.

სელიმ-ბეგმა დაიწყო მოქმედება შავშეთიდან, გადავიდა ფოცხოვში და იქაური ფაშა დააპატიმრა. საერთო გეგმის მიხედვით სელიმის ლაშქარი ფოცხოვიდან უნდა გადასულიყო ტრაპიზონში, არზრუმში და ა. შ. მაგრამ, სათანადო გარკვეული მიზნის, პროგრამის, იარაღის და ორგანიზაციის უქონლობისა და შინაგანი უთანხმოების გამო აჯანყებას დიდი შედეგები არ მოჰყოლია. სელიმი თავისი 300 კაცით ბათუმისაკენ წასულა; მასთან მოლაპარაკების შედეგად იგი ტრაპიზონს წაუყვანიათ. იქიდან კი საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ სტამბოლს გაუმგზავრებიათ. შემდეგ აჯანყების მონაწილე ბეგები და სელიმ-ბეგი ხიმშიაშვილი სალონიკში გაუგზავნიათ, სადაც სელიმს ნახევარი წელი დაუყვია.

უნდა აღინიშნოს, რომ სელიმ ხიმშიაშვილის შვილიშვილს რომელიც ატარებს ბაბუას სახელს და მის ტრადიციებს აგრძელებს, მისებრ მოქმედება დაუწყია; რა ბედი ეწია მას საბოლოოდ, გაურკვეველია.

ამ აჯანყებულებს დიდ დახმარებას უწევდა ქიბარ-აღა (ცნობილი ემრულა მალქვაძის მამა), რომელიც დიობანის ქიბარ-აღას სახელით არის მოხსენებული გ. ყაზბეგის წიგნში.

მეტად საყურადღებოა და საინტერესო ამ ქიბარ-აღის შვილის ემრულა მალქვაძის საგმირო საქმენი. იგი თავისი ვაჟკაცობით განთქმული იყო მთელ იმერხევში. მალქვაძე გლეხკაცობის დიდი მოსარჩლე და გლეხების საჩივართა გამკითხველი ყოფილა. როცა მალქვაძის ყურამდის მიაღწევდა ხელისუფლების ან ცალკეული მდიდრების მიერ გლეხების დაჩაგვრის ამბავი, ის მაშინვე დაიბარებდა იმათ თავისთან და პასუხს აგებინებდა.

ემრულა ძალით ართმევდა მდიდრებს სურსათს, ფულს, სხვადასხვა საქონელს და ღარიბებს ურიგებდა. მისი სახელი შორეულ რაიონებშიც ცნობილი გახდა. მას იცნობდნენ იმერხევში, შავშეთსა და სხვაგან. სოფლად არც ერთი საკითხი არ გადაწყდებოდა მის ჩაურევლად. მაშინდელი ხელისუფლება ავაზაკად თვლიდა ემრულას და მუდამ სდევნიდა. მოხელე ლისოვსკი წერს: „ემრულასი ისე ეშინოდათ, რომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ გამოსასყიდი უკლებლივ არ მოეტანათ დიობანში, ამას გარდა, არ გამოჩნდა არავინ (იგულისხმება მდიდარ თაგან) ისეთი გამბედავი, რომელსაც ზიემართა საჩივრით ჩვენი ადმინისტრაციისათვის.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ თამამი „ავაზაკის" მოქმედებაში მარტო ულმობლობა და გაუმაძღრობა არ გამოვლინებულა. ძარცვავდა მხოლოდ იმათ, ვისაც ზედმეტი დოვლათი ჰქონდა, რაც შეეხება ღარიბებს, იმათ ემრულა, პირიქით, ეხმარებოდა".

ლისოვსკი განაგრძობდა: „თუ შავშეთის ღარიბ მცხოვრებლებს დაჩაგრავდა ვინმე მდიდარი, უკანასკნელს პასუხი უნდა ეგო დიობანში და ვაი მისი ბრალი, თუ იგი არ გამოცხადდებოდა, შურისძიებას ვერსად ვერ გაექცეოდა".[1]

ემრულა თურქეთის ხელისუფლებას სასტიკად ებრძოდა. მისი დაპატიმრებისა და ფიზიკურად მოსპობისათვის თურქეთის ხელისუფლება განსაკუთრებულ ზომებს მიმართავდა, მაგრამ მან მაინც ვერ მოახერხა ამ ამოცანის შესრულება.

რუსეთ-თურქეთს შორის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ოლთისის ფაშის სულეიმანის ცოლს მიჰქონდა თურქეთში ქმრის ნაძარცვი ქონება (100 ათასი ოქროს მანეთის ღირებულებისა). ემრულამ ჩამოართვა მას მთელი ეს ქონება, დაურიგა მცხოვრებლებს, ხოლო სულეიმან-ფაშის ქალბატონს ასე უთხრა: „ეს ქონება ჩვენი ხალხის ზურგიდან არის ატყაევებულიო".

1 Лисовский, «Чорохский край», Тифлис. 1887 г., стр. 41.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ემრულა მალქვაძე დიდხანს ებრძოდა სულთანის რეჟიმს, ხოლო სამხრეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იგი განაგრძობდა ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. ემრულას სიკვდილის ზუსტი თარიღი არ ვიცით, გადმოცემის მიხედვით იგი 1885 წ. ქუთაისის ციხეში გარდაცვლილა. გაზეთ „კავკაზში" მოთავსებული ცნობის მიხედვით ემრულა 1880 წელს 5 ამხანაგთან ერთად დაუპატიმრებიათ.[1]

აჯარლები არ ცხრებოდნენ და ოსმალეთის რეჟიმის წინააღმდეგ განუწყვეტლივ იბრძოდნენ. 1858 წ. ბათუმში მყოფი რუსეთის წარმომადგენელი შენიშნავდა:

„...ბათუმი წარმატებით მიიკუთვნებს კავკასიის ტრანზიტს, უკეთუ თურქეთის მთავრობა შეძლებს აჯარლების საბოლოოდ დამშვიდებასო."[2]

იმდროინდელი ბათუმის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ კ. მარქსი წერდა:

«Так как Батумская гавань—единственное надежное убежище для кораблей в восточной части Черного моря, то захват ее Россией лишил бы Турцию последней морской станции на Понте и превратил бы последний в исключительно русское море. Если бы Россия на-ряду с Карсом... овладела еще и Батумом, она была бы в состоянии прервать торговлю между Англией и Персией, идущую через Трапезунд, и создать себе операционную базу как против Англии, так и против Малой Азии».[3]

1877 წლის 12 აპრილს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. მთელ მე-19 საუკუნეში წარმოებულ რუსეთ-თურქეთის ომებში რუსეთი მიზნად ისახავდა თავისი გავლენის სფეროს გაფართოებას აღმოსავლეთში. ქართველი ხალხის მიზანი კი იყო სულთანის მიერ ძალით მიტაცებული ქართული მიწა-წყლის და ქართველი მოსახლეობის კვლავ საქართველოსთან შემოერთება. ამდენად ქართველთა ბრძოლას ამ ომში განმათავისუფლებელი და სამართლიანი ხასიათი ჰქონდა. როგორც ითქვა, ქართველ ხალხს დიდი ტრადიცია აქვს მოძმე ხალხთან ერთობლივი ბრძოლისა. ქართველმა ხალხმა ძმური დახმარება გაუწია სლავ ხალხებს თურქეთის წინააღმდეგ ომში (სერბიაში, ბულგარეთში და სხვაგან). ქართველი ხალხი სლავ

1 Газ. „Кавказ." 1881 г, № 224—231. იურჩენკოს წერილი.
2 Акты К. А. К. 1904 г., т. XII, стр. 57.
3 К. Маркс и Ф. Энгельс, сочин., т. IX, стр. 400.



ხალხებს არა მარტო მორალურ დახმარებას უწევდა, ამასთან ერთად სახსრებს აგროვებდა და უგზავნიდა მათ. ამის შესახებ დაწვრილებით ცნობებს იძლევა იმ დროის ქართული გაზეთები, კერძოდ გაზეთი „დროება". აჭარლები ამ პერიოდში იბრძოდნენ სულთანის მთავრობის წინააღმდეგ. აჭარლები, სამხრეთ საქართველოს ქართველები, თურქეთის ჯარში წასვლაზე უარს აცხადებდნენ. და ამდენად, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც სლავ ხალხებს ეხმარებოდნენ.

1875 წელს გაზეთი „დროება" ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აჭარლები ჰერცოგოვინელების წინააღმდეგ თურქებს საომრად არ წაჰყვნენ და აჯანყდნენ. გაზეთი განაგრძობს: როგორც იყო ორიოდე მცირე ამბავს ვეღირსეთ ოსმალეთის საქართველოდან. ჩვენ მოგვივიდა ამბავი, რომ ხალხის არეულობა და უკმაყოფილება აქ თანდათან მატულობს და უკმაყოფილონი არამც და არამც არ თანხმდებიან, რომ ჰერცოგოვინელების წინააღმდეგ საომრად წავიდნენო.

სულთანმა მრავალი მეთოდი იხმარა ამ ხალხის ჯარში გასაწვევად, გაგზავნა მოციქულები ამ საქმეზე, ბოლოს მუქარასაც მიმართა, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

სულთანის წარმომადგენლებს აჯანყებული ქობულეთლები უარით ისტუმრებდნენ. „ქობულეთიდან გვწერენ, რომ იქ მოსულა ოსმალეთის უმაღლესი მთავრობიდან გამოგზავნილი კაიმეკამი იბრაიმ აღა, რომელმაც უნდა გამოიძიოს არეულობის მიზეზი. მაგრამ ხალხმა დეპუტაცია გაგზავნეს და შეუთვალესო, რომ ჩვენ მაგისთანა სასამართლოში, სადაც უსამართლობისა და ქრთამის მეტი არა სწარმოებს რაო, არ გეახლებითო და თვითონ თქვენ თუ გნებავთ, საიდანაც მობრძანებულხართ, იქვე წაბრძანდითო, ჩვენ როგორც შეგვეძლება, ისე ჩვენს ადგილზე თავს შევინახავთო".[1]

როცა ხალხი არ ეთანხმებოდა სულთანის ბრძანებას, ის ხალხის წინააღმდეგ გზავნიდა დამსჯელ რაზმებს, ე. წ. „ყირსარდლებს", მაგრამ ხალხს მაინც ვერ აშინებდა.

„...ნებით არა გაუვიდა რა და შემდგომ ყირსარდლები (ჟანდარმები) გაგზავნეს სოფლებში. სოფლელებმა ახლოს არ მიუშვეს ჯარი და ზოგან თოფიც გავარდა."[2]

1 გაზეთი „დროება". 1875 წ.. № 120.
2 გაზეთი „დროება", 1875 წ.. № 100, 101. 107. 112, 120. 127.

რუსეთ-თურქეთის ომის წინ გადასახლებისა და ჯარში გაწვევის გამო როგორც ქობულეთში, ისე სხვა რაიონებში აწყობდნენ აჯანყებებს. ტბეთის, ჭვანისა და მარითის მცხოვრებლებმა ჯარში გაწვევაზე, თალშირსა და სხვა გადასახადებზე უარი განაცხადეს. მოხდა ასეთი ფაქტიც: გადასახადების ამკრეფის ჰაჯი შირინ-აღას სახლს დაეცნენ და თვითონ ჰაჯის შეუბრალებლად სცემს.

აჭარის მოსახლეობის დაპატიმრებისა და გადასახლების შესახებ, მრავალი ლექსი შეუქმნია ხალხს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ქობულეთელი ასლან მესხიძის მიერ თავის მეზობლებისადმი გამოთქმული ლექსი:

„გენაცვალეთ, მეზობლებო, თქვენდა ნაცვლად ჩვენ წავედით,
თითო საწყალი ძმები გვყავს, თქვენთვის ჩაგვიბარებია,
ხასან-აღას მივენდევით, მივეხვიეთ ორნივ ხელზე,
გვიღალატეს და დაგვკარგეს გაგვაგზავნეს შუაგულ ზღვაზე.
ხუთშაბათს სიზმარი ვნახე, შემაჯდინეს ვითომ ცხენზე,
პარასკევი, რომ გათენდა შეგვიყვანეს ხვანთქრის გემზე!
რაც ქალაქში ხალხი იყო, ასეირეს ყველა ჩვენზე,
დეინახეთ სასამართლო, რას იკიდებთ ყილიფს[1] წელზე?
ბათუმში, რომ ჩაგვიყვანეს, ფაშა წამოგვიდგა ფეხზე,
რაც კი იყვენ იქ კაცები, დაგვიყენეს ყველა წკაპზე;
ოცდაათი ვაჟიკაცი მეთი-აღას მიგვცეს ხელზე.
შეგვიყვანეს სამტყვეოში, დაგვაჭედეს რკინა ფეხზე,
უდაბნოში შეგვიყვანეს, ვეღარც დადგა კაცი ფეხზე.
სტამპოლს გზავნას გვიპირებენ და საგზალი გვინდა ზურგზე.
კაცის გული კერპი არის, ნეტამც ვიყო ჩვენ ადგილზე!
ღმერთო იმას მოგვასწარი ვლოცულობდეთ ჩვენს ჯამეზე,
ალი-ეფენდ ხოჯად იყოს, მეხერს[2] დაკრავს ტყუილ საქმეზე,
იმან სიცრუე იკადრა და ხარობდა მტერი ჩვენზე,
ჩვენო დედავ და მოყვარეე ჩვენ ბრალდება არ გვაქვს თქვენზე,
იშალა[3] გემსახურებით, თუ შევიძრეთ რკინა ფეხზე“.[4]

გ. წერეთელი, რომელმაც ეს მდგომარეობა შეისწავლა, წერდა: „წარსულ ომში ყველამ იცით, რომ ოსმალეთის მთავრობამ

1 ყილიფი — რევოლვერის ბოხჩა.
2 მეხერი — მუჰური — ბეჭედი.
3 იშალა — ინშალაჰ — ღმერთით.
4 ძმური სიტყვა, ქართველ მუსლიმანებს, 1915 წ., გვ. 153.

მთელი აჭარისა და ბათუმის მაზრის ხალხი, საომრად გამოიწვია, ორი წლის განმავლობაში იმათ არ უხნავთ, არ უთესავთ და არც უვაჭრიათ. ყველას თოფი ჰქონდა ხელში. ცოლშვილი კი სახლში ეყარნენ უპატრონოდ.

ამის გარდა, როგორც ვიცით, ოსმალეთის მთავრობა ამ ჯარს ჯამაგირს არ აძლევდა, აძლევდა მარტო ხორაგს, რომელსაც დარბევით იღებდა იმავე ხალხისაგან.

ამისთანა ძარცვა-გლეჯისაგან, ამ უმუშევრობისაგან ბათუმის მაზრის ხალხი და აჭარა-ლივანასი დაღარიბდა. დღეს ისინი სულ შიშველ-ტიტველნი და მშიერ-მწყურვალნი არიან".[1]

როგორც იყო აღნიშნული, ოსმალეთის ბატონობის დროს სახალხო მეურნეობა ძლიერ დაეცა. ქალაქის ისედაც სუსტი მეურნეობა მთლიანად განადგურდა; არტანუჯი და სამხრეთ საქართველოს სხვა მნიშვნელოვანი ქალაქები ადრე დიდ როლს ასრულებდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობაში, თურქების მიერ ჩვენი მხარის დაპყრობის შემდეგ კი საქალაქო წარმოების მაჯისცემა შეწყდა. ჩაკვდა სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან, დამპყრობელ სახელმწიფოს არ აინტერესებდა ადგილობრივი ხელოსნური წარმოების განვითარება. იგი გარკვეული რაოდენობით იარაღისა და სხვა საშუალებების დაკვეთებს სხვა ქვეყნებს აძლევდა. მართალია, საფაბრიკო-საქარხნო წარმოება ამ დროს არ იყო, მაგრამ ის ხელოსნური საწარმოებიც, რომლებიც მოსახლეობის მოთხოვნილებებს მეტნაკლებად აკმაყოფილებდა, მოისპო.

სამხრეთ საქართველოს ეკონომიკის დაცემა თურქეთის უშუალო დაწოლის გზითაც მოხდა. მევენახეობა, რომლის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის საერთო შემოსავალში დიდი იყო, სულთანის ურდოებმა მოსპეს; მათ აჩეხეს ბაღ-ვენახები. საქართველოს ღვინო, რომელიც საუკეთესო ხარისხით იყო ცნობილი, აღარ იგზავნებოდა მეზობელ ქრისტიანულ ქვეყნებში: ამან დასცა ღვინის მწარმოებელთა შემოსავალი.

ისედაც აუტანელ მდგომარეობაში მყოფი აჭარის და, კერძოდ, ბათუმის მცხოვრებლები ომიანობამ კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩააყენა. სოფლები განადგურდა და გაღატაკდა. ქალაქში მოსახლეობა მალარიით იხოცებოდა. ბათუმს არ ჰქონდა სას-

1 გაზეთი „დროება", 1879 წ., № 24.

მელი წყალი და მცხოვრებლები ჭაობებში ამოთხრილი ჭებით სარგებლობდნენ. ამის გამო გახშირებული იყო სხვადასხვა გადამდები სნეულება, რაც მუსრს ავლებდა მოსახლეობას. ძალზე ხშირი იყო სიკვდილიანობა. ამ სიკვდილიანობის მიზეზი იყო არა მარტო ქალაქის ჭაობიანი მდებარეობა და იქ გამეფებული ანტისანიტარია, არამედ მოსახლეობის ეკონომიური გაჭირვებაც. მოსახლეობის ეკონომიური დაცემისა და დუხჭირი ცხოვრების შესახებ ხალხში შემონახულია მრავალი ლექსი.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქედის რაიონის მერისში მცხოვრებ ბუჰანა ბაირახტარ შავიშვილის მიერ 1860 წელს გამოთქმული ლექსი. ამ ლექსიდან ჩანს, რომ ადგილობრივად არ მზადდებოდა პირველი მოთხოვნილების საქონელი და სხვა საგნები; სტამბოლიდან ე. წ. „დენგებით" ეზიდებოდნენ სხვადასხვა სახის ფართალს, რომელიც მაღაზიაში ხელუხლებლად ეყარა, რადგან „ფუხარა" ხალხს არ ჰქონდა მისი შეძენის საშუალება.

აი, ერთი სტროფი ამ ლექსიდან:

„თუჯარებსაც[1] მოუტანია ფრანგისტანის ჩითებიო,
მუშტერიც ვერ უპოვნია თავს — შეუდვია თითებიო;
ამ დამპალის ფრანგის ჩითით დუქნის პირი ავსილია;
თვალდამდგარებს ვერ შეუტყვია, ფუხარა[2] რომ
დავსილია.[3]

ეს ლექსი ასე მთავრდება:

„ყიამეთით[4] მოხრჩობასა წაგვიშინოს თებერიო,[5]
ეფენდებსაც[6] რიჯა უყოთ,[7] ასეთე მისცენ ხებერიო.[8]

როგორც ვიცით, ქალაქი ბათუმი უბრალო დაბა იყო, მის კეთილმოწყობაზე არავინ ფიქრობდა: „დიდხანს ვუყურებდი პატარა ყარიბა ბათუმს, ოციოდე სახლი არის, რომ სახლს გავს, იმათში უკეთესი არის რუსის კონსულის სახლი და ფაშისა".[9]

1 თუჯარი — ვაჭარი.
2 ფუხარა — ღარიბი.
3 ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, 1916 წ., გვ. 19-20.
4 წარღვნა.
5 კეტი, მცირე წერაქვი, დეკრიშის კეტი.
6 ნასწავლი, ან ბატონი.
7 თხოვნა.
8 ამბავი, ცნობა.
9 გ. ერისთავი, ჩემი მოგზაურობანი ევროპაში 1862 წლის 13 ივნისიდან, თხზ., 1936 წ., გვ. 332.

ნიკო ნიკოლაძე შენიშნავდა, რომ ბათუმი თვალუწვდენელი ჭაობებით იყო დაფარული. ქალაქში ხშირი იყო ეპიდემიები. გადამდები ავადმყოფობა უექიმობისა და უწამლობის გამო ათასობით ადამიანს იწირავდა...

ასეთი ფაქტები იმ დროს თურქეთის მფლობელობაში მყოფი ქალაქებისათვის დამახასიათებელი იყო. გაზეთ „კვალს“ მოჰყავს სალონიკიდან მიღებული ცნობა იმის შესახებ, რომ ოსმალეთის ერთ გარნიზონს მთელი წლის განმავლობაში არ ჰქონდა ხელფასი მიღებული, რის გამოც ჯარის ნაწილები აჯანყებულან. გარნიზონის უფროსს უნდოდა გაეგო მეამბოხეთა ვინაობა, ამიტომ შეჰყარა გარნიზონის ოფიცრობა და დაარწმუნა ისინი, რომ ჯამაგირის მიუღებლობაში დამნაშავე მთავრობა კი არ არის, არამედ ხალხი, რომელიც თავის დროზე არ იხდის გადასახადებსო,1 ასეთი „ახსნა-განმარტების“ შემდეგ ჯარი გაბოროტდა. იგი გამხეცებული შეესია მოსახლეობას, დაარბია და ააოხრა იგი. ეს ამბავი სალონიკის გუბერნატორმა აცნობა უმაღლეს მთავრობას და მოითხოვა მათი დასჯა. ბოროტმოქმედთა დასჯის ნაცვლად ბრძანება მოვიდა, რომ ხალხის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი ჯარისკაცები სულთანის ფირმანებით და სხვადასხვა ჯილდოებით დაესაჩუქრებინათ.

ასეთი მდგომარეობა იყო თურქეთის არამარტო ჯარში, აგრეთვე მოსამსახურეთა შორისაც. მოსამსახურეები ხელფასს თავის დროზე ვერ ღებულობდნენ: წელიწადში 10 თვე უხელფასოდ იყვნენ. მოხამსახურეები ხელფასის კუპონებს აგირავებდნენ ვაჭრებთან 30-40 პროცენტის დაკლებით. შემდეგ ვაჭრებს კუპონები შეჰქონდათ ბანკში და როცა იქ ფული აღმოჩნდებოდა 100%-ს მიიღებდნენ. ამრიგად ვაჭრები ყვლეფდნენ მოსამსახურეებს და მათ ხელფასს ითვისებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარა დიდი ხნით იყო ჩამოშორებული თავის დედა სამშობლო საქართველოს, ქართველების სიყვარული აჭარელთადმი და მათი ურთიერთ მისწრაფება საუკუნეებით არ ჩამქრალა. ისინი, როცა ერთმანეთს შეხვდებოდნენ, როგორც მშობლიურნი, დიდ სიხარულსა და აღფრთოვანებას განიცდიდნენ. ამ მოვლენის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ

1 გაზეთი „კვალი“, 1902 წ., № 11.

გიორგი წერეთლის შეხვედრა აჭარლებთან: „მე ხშირად დავდიოდი ქობულეთში და ბათუმშიაც. იქ ვხედავდი ბეგებს, უფროს კაცებს, სიტყვა-პასუხით, ყოფაქცევით, ზრდილობით, კეთილი გულით, პურმარილით ნამდვილ ქართველებს. ჩემს დანახვაზე იმათ მოღრუბლულ სახეს სინათლე გადაჰკრავდა ხოლმე. მე ვიყავი ქრისტიანი, ისინი მაჰმადიანები; მაგრამ ჩვენ მაინც ნათესაობის და ტომობის სისხლს ვგრძნობდით, ერთმანეთის ნახვა თითქო იმ ღრმა გულის ჭრილობას აჩენდა, მეც ხომ მტანჯავდა და იმათაც კიდევ ერთიანად უფრო აწუხებდა, თითქოს იმ ერთ წუთს აუტანელი მწუხარების ცეცხლი ორთავეს გვიქრებოდა“.[1]

რუსეთ-თურქეთის ომამდე, ჯერ კიდევ ადრე, 1875 წელს, სერგეი მესხი გაზეთ „დროებაში“ სამხრეთ საქართველოს ქართველების შესახებ წერდა: „ერთი სიტყვით, ოსმალოს საქართველოს ხალხს ჯერ კიდევ ისევ ქართველი ხალხის ხასიათი აქვს, ქართველი ხალხის სული უდგია. სახე ნამდვილი ქართველისა აქვთ, ჩვეულება და ცხოვრება საქართველოსი, ხალხი, თუმცა დიდი ხანია გამაჰმადიანებულია.“[2]

მესხი თავის წერილში აჭარლებისა და ლაზების მდგომარეობას განიხილავს და იქვე ნაწილობრივ სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ჯერ ჩვენ მათ სათანადოდ ვერ ვეხმარებითო. იგი იმავე სტატიაში დასძენს: „დიდი ხანია მას აქეთ, რაც ჩვენ ყოველი კავშირი გავწყვიტეთ ოსმალოს საქართველოსთან. ახალ ქართულს ლიტერატურაში ორი სიტყვაც არ თქმულა იმათზე“.[3]

ს. მესხი თავისი გაზეთის ფურცლებზე აჭარლებისადმი დახმარების შესახებ მოუწოდებდა მთელ ქართველ საზოგადოებას.

ილია ჭავჭავაძე ომის წინ სამხრეთ საქართველოს შემოერთებასთან დაკავშირებით დიდ სიხარულს გამოთქვამდა და აღტაცებით ამბობდა: „არ გვაშინებს... ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენ სასიქადულოდ კიდევ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და

1 გ. წერეთელი. გაზეთი „დროება“, 1879 წელი, № 24.
2 გაზეთი „დროება“, 1875 წელი, № 76.
3 იქვე.

ლმობიერს გულზე ძმას ძმურადვე მიიყრდენს, თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი, და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ დრკება და თავს არ შესწირავს მას. რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა."[1]

ეს სტრიქონები ბევრის მთქმელია, იგი ქართველი ხალხის საუკუნოვანი სურვილია და დიდი მოწოდებაა.

აჭარლებსა და ქობულეთლებს ყოველთვის ჰქონდათ სურვილი რუსეთის საშუალებით შეერთებოდნენ დედა სამშობლოს. ამას ადასტურებს გრიგოლ ორბელიანის წერილი ივანე დიმიტრის-ძე ოგლობჟიოსადმი. „ოსმალთა 300 წლის მფლობელობამაც-კი მაგრა ვერ მოიკიდა ფეხი და მხოლოდ ახლა-ღა აღიარებენ მცირედად მას ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებიც სრულიად დამოუკიდებლად ცხოვრობენ თავიანთთვის და არ შეჰრევიან ოსმალოთ, თუმცა მაჰმადიანობა ძალით იყო ოდესღაც მათ შორის გავრცელებული. მაინც იყო დრო, როდესაც ქობულეთლებს თავიანთის ნებით უნდოდათ ჩვენი მთავრობის მმართველობის ქვეშ საქართველოსთან შემოერთება".[2]

გაზეთ „დროების" რედაქტორი, სერგეი მესხი, მუდამ მოითხოვდა საგაზეთო სტატიებს სამხრეთ საქართველოს ქართველების შესახებ. „ჩვენი გაზეთის რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს ყოველს მცირედ ცნობას, რომელიც იმ ჩვენ ძმებს შეეხება და სიამოვნებით დაბეჭდავს „დროებაში".[3]

ქართველი ხალხი ხედავდა რა შექმნილ მდგომარეობას, ყოველ ღონეს ხმარობდა აჭარლებთან კავშირის დასამყარებლადომის წინ ქართველი პატრიოტები მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებდნენ სამხრეთ საქართველოს ქართველებთან. სამხრეთ საქართველოში ომის წინ იმოგზაურეს დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა, მ. გურიელმა, ა. მეფისაშვილმა, ივანე კერესელიძემ, გიორგი წერეთელმა და სხვებმა. იმ დროის ქართული პრესა გატაცებული იყო იმ აზრით, რომ ქრისტიანი ქართველები მალე მოსწრებოდნენ თავისი ძმების გულში ჩახუტებას. მაგრამ სულთანის აგენტები გაცხოველებულ აგიტაციას ეწეოდნენ ამის წინააღმდეგ და ქმნი-

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტომი 2, 1941 წ., გვ. 312.
2 ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები", 1941 წ., ტ. I, გვ. 120.
3 გაზეთი „დროება", 1875 წ., № 75.

დნენ „მოხალისეთა“ რაზმებს, რომლებსაც ჯამაგირსაც ჰპირდებოდნენ.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის წინ აჭარელი პატრიოტები ემზადებოდნენ არსებული ხელისუფლების დამხობისა და საქართველოსთან შეერთებისათვის. სამხრეთ საქართველოში დაიწყო აჯანყებები და გამოსვლები. ერთ ასეთ აჯანყებას ხელმძღვანელობდა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი.

ჯერ კიდევ ადრე ქობულეთის აჯანყების შესახებ ს. მესხი ე. მელიქიშვილს თბილისიდან საზღვარგარეთ სწერდა: „ქობულეთში ოსმალოს ქართველების აჯანყება როგორ მოგწონს. აი, იქნება გაწყრეს ღმერთი და რამე გამოვიდეს. ძალიან სანატრელია, რომ ოსმალო დააწიოკონ, იქნება ეს ჩვენი ქართველები, რომელიც იქ იმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში (ერთ მილიონზე მეტი), ჩვენ შემოგვიერთონ, ბლომად ვიქნებით, კარგია ყოველ შემთხვევაში...

გერცოგოვინელები, ღმერთმანი მარჯვეთ არიან და თუ სერბიამ, ჩერნოგორიამ აშკარად იმათი მხარე დაიჭირეს, მგონი ოსმალოს იმპერიის აღსასრულის ჟამმა მოატანოს“.[1]

როგორც ამ წერილიდან ჩანს, აჯანყებას მასობრივი ხასიათი შიუღია, ფართო საზოგადოების ყურამდე მისულა. ქობულეთში აჯანყებები უფრო ადრე დაწყებულა, რისი მომსწრე ყოფილა დიმიტრი ბაქრაძე, რომელიც თავის წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა აჭარაში და გურიაში“ მოგვითხრობს: ქობულეთლები სულთანის ხელისუფლებას ვერ ურიგდებოდნენ და შეიარაღებული აჯანყებით პასუხობდნენო.

1871 წელს მათ აჯანყება მოუწყვიათ ბეგარის მომატების გამო. ამ პერიოდში მოსახლეობის გადასახადებით დატვირთვის ზოგიერთი მონაცემების განხილვა ნათელ სურათს იძლევა იმისა, თუ როგორ შევიწროებას განიცდიდა მოსახლეობა. პალგრევის (ინგლისის კონსული ოსმალეთში) ცნობით ქობულეთის მოსახლეობა იმ ხანად იხდიდა შემდეგი სახის გადასახადებს: აშარის, ანუ უშური — გადასახადი მიწის შემოსავლიდან 71.106 ყურუში, ვერგი — საერთო გადასახადი 11.654 ყურუში, საიმე — 2.283 ყურუში, სხვა გადასახადები—2.011 ყურუში. ამას ემატებოდა კიდევ სხვადასხვა სახის გადასახადები — 13.077 ყურუში. მოსახლეობა

1 სერგეი მესხი, წერილები, გვ. 196, 1950 წ. სოხუმი.

ადასახადებს უხდიდა აღა-ბეგებსაც. პალგრეევის თქმით, გადასახადი ერთ სულზე უდრიდა 4 ინგლისურ შილინგს, გარდა საბეგოო გადასახადისა. სხვა რაიონებთან შედარებით ქობულეთში გადასახადები უფრო ნაკლები ყოფილა, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ ქობულეთი რუსეთის მოსაზღვრე უბანი იყო.[1]

იმავე პალგრეევის გადმოცემით, ბათუმის რაიონზე, რომელიც ჰაშინ აერთიანებდა თვრამეტ სოფელს (1057 კომლს) გაწერილი იყო შემდეგი სახის გადასახადები:

მიწის შემოსავლიდან 121.000 ყურუში, უძრავ ქონებაზე გადასახადი 48.703 ყურუში, გადასახადი პირუტყვზე — 4.434 ყურუში, „ბედელიე" — 1.021 ყურუში; განსაკუთრებული გადასახადები — 24.200 ყურუში, საგზაო გადასახადი — 22.140 ყურუში, სხვადასხვა — 213.349 ყურუში.

ხულა (22 სოფელი, 1027 კომლი, 11.620 სული). გადასახადი უძრავი ქონებიდან — 32.400 ყურუში, მიწის შემოსავლიდან — 87.376 ყურუში, პირუტყვიდან — 7.400 ყურუში, განსაკუთრებული გადასახადი 17.475 ყურუში, საგზაო გადასახადი 36.540 ყურუში, სხვადასხვა — 8.595 ყურუში. თუ ქობულეთში 4 შილინგი მოდიოდა ერთ სულზე, სამაგიეროდ ხულოში ერთ სულზე გადასახადი 19 შილინგს უდრიდა.

ჭედა (34 სოფელი, 1962 კომლი, 10.308 სული). გადასახადი უძრავი ქონებიდან — 20.229 ყურუში, მიწათმოქმედებიდან — 60.445 ყურუში, პირუტყვიდან — 2.430 ყურუში, განსაკუთრ. გადასახადი — 12.089 ყურუში, საგზაო — 33.240 ყურუში, სხვადასხვა — 4.017 ყურუში.

გონია (19 სოფელი — 6.212 მცხოვრები). გადასახადი უძრავი ქონებიდან — 4.777 ყურუში, მიწათმოქმედებიდან — 53.234 ყურუში, ცხენებზე — 10.053 ყურუში, განსაკუთრებული გადასახადი — 18.647 ყურუში, საგზაო — 26.340 ყურუში, სხვადასხვა — 3.749 ყურუში.

მაჭახელი — (26 სოფელი, 1.908 კომლი, 7.910 სული). გადასახადი უძრავი ქონებიდან — 13.420 ყურუში, მიწის შემოსავლიდან — 46.836 ყურუში, პირუტყვიდან — 9.200 ყურუში, განსაკუთრებული გადასახადი 9.375 ყურუში, სხვადასხვა — 1.020 ყურუში. ამ სტატისტიკურ ცნობებში მოცემული მასალები გარკ-

1 «Известия Кавказского отдела императорского русского географического общества, т. 7, стр. 45. 1882 г. Тифлис.

ვეულ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა აჭარა-ქობულეთის მოსახლეობა. პალგრეივი ამ გადასახადებით მოსახლეობის შევიწროების მძიმე სურათს ასე აღწერს:

«Достойно внимания, что прямые налоги, уплачиваемые всей описанной областью, как это указано по каждому округу отдельно, составляют в сумме 3.472.299 пиастров или почти 31.567 фунт. стер. Сумма эта, получаемая только от одних прямых налогов (о косвенных речь еще впереди), превышает рыночную стоимость местных продуктов вывоза примерно на 2.325 ф. ст., т. е. более чем на 8% со всей стоимости вывоза.

Один этот факт достаточно об'ясняет причины постоянно возрастающей бедности и обезлюдения Лазистана и Гуржистана при настоящем образе правления».[1]

«Эта бедность два года тому назад вынудила чурук-суйцев протестовать с оружием в руках против распоряжения их правительства об увеличении повинностей в пользу казны».[2]

რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ აჭარა-ქობულეთი და მთელი ლაზისტანი აჯანყებული იყო. ეს აშკარად ჩანს თვით დევრიშ-ფაშას მიერ ამიერკავკასიაში მეფისნაცვლისადმი გაგზავნილი დეპეშიდან: „მისმა აღმატებულებამ გენერალ-ლეიტენანტმა ოგლობჟიომ გადმომცა მე, რომ თქვენმა იმპერატორობითმა უმაღლესობამ კეთილ ინება უმაღლესი პატივი ეცა ჩემთვის და მივეღე მე თბილისში. მხურვალედ მსურდა რა დიდი ხანია პირადად თქვენი იმპერატორობით უმაღლესობისადმი წარმომედგინა ჩემი უმაღლესი პატივისცემის ნიშნები, უდიდესი სიხარულითა და ღრმა მადლობით მივიღე გენერალ ოგლობჟიოს ცნობა, მაგრამ ლაზისტანის მოსახლეობის განუწყვეტელი მღელვარება არ მაძლევს საშუალებას გავშორდე ამჟამად ჩემს პოსტს და ვისარგებლო თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის მოწყალებით, რომ შევასრულო საამო სურვილი და განახო თქვენ“.[3]

შემდეგ ის მეფისნაცვალს სწერს: როცა აჯანყებულთ დავაწყნარებ, კვლავ გინახულებთო. მაგრამ როგორც ვიცით, ის ამ ბედნიერებას ვეღარ ეღირსა.

ქობულეთის აჯანყებისა და ადგილობრივი ხელისუფლების უმოქმედობის შესახებ ცნობას გვაძლევს გაზეთი „დროება“.

1 დასახელებული წიგნი, გვ. 74.

2 Д. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, стр. 94. 1878 г.

3 Томксев, Материалы для описания русско-турецкой войны 1877 — 1878 г., Тифлис, 1908 г., том IV, стр. 221 (приложение).

„ამჟამად ქობულეთის ხალხში შფოთი, ღელვა და განხეთქილება უმეტესად გაძლიერდა... ახალმოსული კაიმეკამი ისეთ ნაირად შეშინებულია, რომ ქობულეთის ქალაქში ექვსასი თავისი იასაულით მარტოთ სახლში სდგას და კარზე არ გამოდის.

ხალხი იმასთან და იმის სასამართლოში სრულიად არ მიდის, თითქოს ეს მთავრობის წარმომადგენელი პირი აქ არ არსებობს მცხოვრებლებისათვის.“

საქართველოსთან აჭარა-ქობულეთის შეერთების სურვილით გატაცებული იყო მთელი საქართველო. „განგება ღვთისა რუსთავე ძალითა მოიყვანს ნათესაობითსა და ერთობასა ქობულეთსა, აჭარასა, ლივანასა, ჯერეთცა თურქთაგან მპყრობილთა.“[1]

რუსეთ-თურქეთის 1878 წლის ომის დროს ქობულეთის ფრონტზე ქობულეთლები მეომხრნენ რუსებს. ხალხური გადმოცემით, 60 კომლზე მეტი მოსახლე — დედე-აღა ნიჟარაძე, ესედ-აღა წილოსანი, ყურშუმ-აღა ჭყონია, ისმაილ-ეფენდი მჟავანაძე, შირინ-აღა ინაიშვილი, ახმედ-აღა გუჯუნავა, ალი-აღა შაქარ-ოღლი (შაქარიშვილი), სეფერ-აღა ჭყონია და სხვები, — რუსთა მხარეზე გადავიდნენ.

აღნიშნული პირები იესე გურიელის დახმარებით გადასულან ოზურგეთში და შემდეგ დანაწილებულან გურიის სხვადასხვა სოფელში. თურქეთი სასტიკად სჯიდა იმათ, ვისზეც მიეტანდა ეჭვს. გადასვლის ფაქტები კი მრავალი იყო: მაგალითად, სოფელი ქობულეთი მთლიანად გადავიდა რუსთა ბანაკში. როგორც გადმოგვცემენ, ამ ომის დროს რუსეთ-საქართველოს მხარეზე იყო ყურშუმ-აღა ჭყონია, რომელიც თავისი რაზმით (დაახლოებით 150 კაცი) შეუერთდა რუსეთის ჯარს.

როცა რუსეთის ჯარი ქობულეთიდან ციხისძირის ასაღებად ემზადებოდა, ჭყონიამ ურჩია სარდლობას მისთვის მიეცა ჯარის ნაწილი, რათა ზურგიდან შემოვლით აეღო სიმაგრე.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან, როგორც ვთქვით, თურქეთის წინააღმდეგ მოძრაობას აჭარაში ხელმძღვანელობდა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. იგი ქართველი მოწინავე ადამიანების საშუალებით დაკავშირებული იყო რუსეთთან. მას ჯერ კიდევ ადრე, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, სურდა კავშირის დამყარება რუსეთთან, მაგრამ ეს რატომღაც არ მოხერხებულა:

1 პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ., თბილისი, გვ. 247-248.



ქობულეთის რაზმი (მოსოლის სახელმწიფო ისტორიული
ფესვეკ ა ფონდიდან)

„...მოქმედი ჯარების მთავარსარდალმა ბებუთოვმა დ.ივალა გენერალ კოვალევსკის მოლაპარაკება ეწარმოებინა შერიფ-ბეგთან აჭარის შემოერთების მიზნით, მაგრამ ეს მოლაპარაკება არ მოხერხდა, რადგანაც ოსმალებმა შერიფ-ბეგზე ღალატის ეჭვი აიღეს და გამოიწვიეს ბათუმში...“[1]

მას შემდეგ ხიმშიაშვილი ყოველ ღონეს ხმარობდა რუსეთთან დაკავშირებისათვის. მას ახსოვდა მამა-პაპათა ანდერძი რუსეთთან მეგობრობის აუცილებლობის შესახებ: „იცოდე შერიფ, რომ ადრე თუ გვიან ჩვენს მხარეს რუსეთი დაეუფლება ისე, როგორც დაეუფლა ახალციხეს და სხვა მხარეებს. იქონიე მეგობრობა რუსეთთან და მოსაზღვრე მცხოვრებლებთან. ჩვენი ბედ-იღბალი და ბუნება რუსეთზეა დამოკიდებული და იცოდე, რომ ჩვენი გზა იქნება იქით და არა სტამბოლისაკენ“.[2]

შერიფ-ბეგის რუსეთ-საქართველოსთან კავშირ-ურთიერთობის შესახებ ალექსანდრე მგელაძე გადმოგვცემს: ამ უკანასკნელი ომის წინათ იმოგზაურა აჭარაში ჩოლოქის რაზმის უფროსმა ყაზბეგმა, თ-დის გრიგოლ გურიელის განგებ მეჩიბუხედ ქცეულმა, ამათ შემოვლეს მთელი ის ადგილები, რომლებიც შემდეგ რუსეთის ფარგლებში მოექცა და ქალაქს ტრაპიზონამდისაც უწევს. ამ საქმის ხელშემწყვეთ შერიფ-ბეგი იყო. შერიფის მფარველობით მოგზაურები ტრაპიზონამდე მისულან, მაგრამ იქაურმა ადმინისტრაციამ გაუგო ამათ მოგზაურობის მიზანი, და შერიფის დახმარებით უშველეს თავს.

შერიფ ხიმშიაშვილი რომ რუსეთ-საქართველოს ერთგული იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჯერ კიდევ ომამდე, 1874 წელს, გიორგი ყაზბეგის გადმოცემით, იგი თავის შვილებს ქართულ და რუსულ ენებს ასწავლიდა. მას რუსული ენის მასწავლებელი ახალციხიდან ჰყოლია მოწვეული. მის ბიბლიოთეკაში გ. ყაზბეგს პირადად უნახავს უშინსკის წიგნი „Родное слово“.

შერიფ-ბეგი ებრძოდა ფანატიკოსებს, რომლებიც ხოჯა-მოლების გავლენით ქართული და რუსული ენების სწავლების წინააღმდეგი იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ სამასზე მეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენი მხარე თურქმა ბარბაროსებმა დაიპყრეს და დედა სამშობლოს — საქართველოს მოწყვიტეს,

1 ვ. იაშვილი, აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, 1948 წ., გვ. 134.
2 Исарлов, Письма о Грузии, Тифлис, 1893 г., стр. 74.

აჭარლებს მაინც ორგანული კავშირი ჰქონიათ მშობლიურ ქართველ ხალხთან.

ცნობილი პუბლიცისტი, „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე, რომელმაც ჯერ კიდევ თურქეთის ბატონობის დროს 1870 წ. იმოგზაურა აჭარაში, შერიფ ხიმშიაშვილის შესახებ გადმოგვცემს შემდეგს: „მე რუსის მთავრობისაგან დახმარება მომეცა და 1870 წ. წავედ აჭარაში. იქ მე უნდა მივსულიყავი შერიფ-ბეგის სახლში. ჩემი წასვლა იქ საშიში იყო, ამიტომ მე ავიღე რამდენიმე თარი და ჭიანური და როგორც ამეების დამკვრელი, ისე შეველ აჭარაში. სადაც კი მივდიოდი, ყველგან ვუკრავდი თარს და ჭიანურს, ამგვარად, მესტვირეულის ოსტატობით მივაღწიე შერიფ-ბეგის სახლს, მის სახლის წინ რომ მივედი სხალთას, ეზოში შევედი და თარი დავუკარ, მალე შერიფ-ბეგი გამოვიდა კარში და დამიძახა, დაკვრა გამაჩერებინა და სახლში ამიხმო, მკითხა შენ ქართველი უნდა იყო, აქ საიდან მოსულხარო? მერე მე ყველაფერი ვუამბე. მან სთქვა: ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი, მე მზად ვარ, რომ მაშინათვე ჩემი ქვეყანა ქართველთ შვილებს შევუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისევ გახდესო. მან ერთობაზე დიდი ნატვრა განაცხადა. რამდენიმე დღის შემდეგ მე იქიდან გამოვემგზავრე სოფელ-სოფელ თარის დაკვრით და რუსის — საქართველოს საზღვარსაც მშვიდობით მივაღწიე. მთავრობას ყოველივე დანაბარი გადავეცი: ამის შემდეგ კი მასთან ხშირად დაიწყეს კაცების გაგზავნა და მოლაპარაკების გამართვაო“.[1]

შერიფ ხიმშიაშვილი გურიელებთან ნათესაობდა. დიმიტრი ბაქრაძე აჭარაში თავისი მოგზაურობის წინ ქუთაისში შეხვედრია ესმა ჯაიანს, რომელსაც ბაქრაძისათვის წერილი გაუტანებია შერიფ-ბეგთან, როგორც მის ბიძაშვილთან.

ესმა იყო აბდი-ბეგ ხიმშიაშვილის ქალიშვილი, ცნობილი სელიმის შვილიშვილი. ესმას დედა იყო კესარია გურიელი, სიმონ გურიელის ქალიშვილი.

«Перед выездом моим из Кутаиса княгиня Есма Джанани снабдила меня рекомендательными письмами к известному верхне-аджарскому бегу Шериф-бею Химшиашвили и некоторым его родственникам. Из рассказов Есмы видно было, что

1 ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ოსმალეთის ყოფ. მუსლიმან-ქართველებისა, გვ. 229-230. 1911 წ. ქ. ბათუმი.

она состоит с ними в близком родстве... Таким образом Есма приходится Шериф-бею, как сыну Ахмед-бега, двоюродною сестрою».[1]

გიორგი ყაზბეგი შერიფ ხიმშიაშვილს ასე ახასიათებდა: „შერიფ-ბეგი 45 წლისაა, საშუალოზე მაღალი ტანის, ნამდვილი ქართველი ტიპისა, ჭკვიანი კაცის გამომეტყველება აქვს, კარგი მოსაუბრეა. იგი თავისებურად ნასწავლია, იცის ყოველგვარი დარგის ხელობა. ხმალი, რომელიც მას წელზე ქონდა, მისი გაკეთებული იყო და აგრეთვე მის მიერვე ვერცხლითა და ოქროთი მოვარაყებული. მან ჩამოასხა სპილენძის ზარბაზანი, მას ჰქონდა თავისი ხელით ნიგვზის ხიდან დამზადებული ავეჯი, გარდა ამისა, მას სცოდნია შელესვა და შეღებვაც და სხვა ხელობა“.[2]

შერიფ ხიმშიაშვილი მუდამ ილაშქრებდა დახავსებული ადათ-წესების წინააღმდეგ. გიორგი ყაზბეგი მოგვითხრობს ერთ შემთხვევას, რომლის მოწმე თვითონ ყოფილა. ერთი ხიხაძირელი ქალიშვილი თავისი სურვილით წაჰყოლია ცოლად იმას, ვინც უყვარდა. მაგრამ მისი ძმა ამის წინააღმდეგი ყოფილა და არ აძლევდა მათ დაქორწინების უფლებას. სწორედ იმ სოფელში, სადაც ეს ამბავი მოხდა, შერიფ-ბეგთან ერთად გ. ყაზბეგი მისულა. ქალს მოუწადინებია ეჩივლა, მაგრამ მასთან მისვლა ვერ გაუბედავს. როცა ეს ამბავი შერიფ-ბეგს გაუგია, გამოუძახებია ძმა და ხალხის თანდასწრებით წინადადება მიუცია ხელი არ შეეშალა ქალის გაბედნიერებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასჯელი მოელოდა.

ყაზბეგი დასძენს: შერიფ-ბეგი რომ იმ დროს ამ საქმეში არ ჩარეულიყო, შეიძლება სისხლი დაღვრილიყო, რადგან იმ ძველი ადათ-წესების მიხედვით, რომელიც მაშინ აჭარაში გამეფებული იყო, ქალს ეკრძალებოდა მშობლებისა და უფროსების დაუკითხავად ვინმეს მითხოვებოდაო.

გ. ყაზბეგის თქმით, შერიფ-ბეგს სხალთიდან ბაკომდე გზა გაუყვანია თუმცა სულთანის მთავრობისაგან მადლობის ნაცვლად საყვედური მიუღია. ეს იმიტომ, რომ სულთანს გზის გაყვანა კი არა, არამედ ხალხისაგან მხოლოდ გზის სამუშაოებისათვის ფულადი ბეგარის მიღება აინტერესებდა.

---

1 Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, 1878 г., стр. 8.

2 Г. Казбек, Три месяца в турецкой Грузии, стр. 19 (Записки Кавказского отдела императорского русского географического Общества. Книжка X, выпуск I, Тифлис, 1876 г.).

პალგრევის თქმით შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ბრძანებითა და ხელმძღვანელობით 1665 წელს ხულოს ზეგით 14 ვერსი გზა გაუკეთებიათ. იმ დროს ყველგან ცუდი გზები ყოფილა. აქაც შერიფ-ბეგი რუსეთის საზღვრებზე აკეთებდა კარგ გზებსო. გასაგებია, რომ ოსმალეთის სახელმწიფოს რუსეთის საზღვრებისაკენ გზების გაყვანისა შეეშინებოდა.

როგორც ზემოთ იყო თქმული, შერიფი დიდი ხნით ადრე ემზადებოდა ომისათვის და აი, დაიწყო ომიც. რუსეთ-თურქეთის ომის წინ რუსეთის ჯარები და ქართველთა მილიცია გენერალ ოგლობჟიოს ხელმძღვანელობით მზად იყვნენ ქობულეთ-ციხისძირის ასაღებად. მათ სწრაფად აიღეს მუხაესტატე, ხუცუბანი და სხვა სოფლები. ციხისძირთან ბრძოლა უშედეგო გამოდგა, რადგან ციხისძირი ბუნებრივად ძლიერ გამაგრებული იყო. მაშინ რუსთა სარდლობამ ბრძოლის ველი ახალციხის მხრისაკენ გადაიტანა და მალე იმერხევში შეიჭრა. რუსეთის ჯარებს შეეძლოთ ზურგიდან დაერტყათ თურქეთისათვის და ბათუმი უფრო ადვილად აეღოთ. არტაანისა და შავშეთის ხეობაში რუსეთის ჯარებმა დიდი წარმატება მოიპოვეს.

შავშეთისა და იმერხევის მიმართულებით მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის — დოლისყანის აღებაში თავი ისახელეს თავადმა პოლკოვნიკმა ჭავჭავაძემ და პოდპოლკოვნიკმა იოსელიანმა, რომელთა შენაერთებმა დიდი მამაცობითა და მხნეობით დაამარცხეს თურქეთის ჯარები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი დაკავშირებული იყო რუსეთის სარდლობასთან.

ამის შესახებ პოდპოლკოვნიკი ტომკეევი წერდა: „უნდა აღინიშნოს, რომ შერიფ-ბეგის გავლენა, ნათესაური კავშირისა და აჭარის წინანდელი მნიშვნელობის გამო, აჭარის მეზობლად მდებარე თურქეთის სხვა ოლქებშიც ვრცელდებოდა... შერიფ-ბეგის მეშვეობით, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე დიდად იყო დავალებული რუსეთის მთავრობისაგან, ჩვენ დავუკავშირდით შავშეთის უმეტესად გავლენიან პირს ნური-ბეგ ხიმშიაშვილს... შექმნილი მდგომარეობის გამო მას შესაძლებლობა არ ჰქონდა მოქმედებათა უფრო აშკარა ხერხისათვის მიემართნა“.[1]

1 Томкеев, «Материалы для описания русско-турецкой войны», 1877 — 1878 гг., том IV, стр. 337—338. 1908 г.

ეს იყო ომის დაწყების პირველი პერიოდი და სწორედ ამ დროიდან დაიწყო პრაქტიკულად განხორციელება იმისა, რაზეც შერიფი ჯერ კიდევ ადრე ოცნებობდა.

შერიფ-ბეგის შესახებ 1873 წლის 10 იანვარს გენერალი კომაროვი არმიის სარდალს სწერდა: „ამ ღლეებში ჩემთან მოვიდნენ შერიფ-ბეგის რწმუნებულები და მისი სახელით ვალდებულება იკისრეს, რომ მისმენი ნთელი ჩვენი მოქმედების განმავლობაში ჭოროხის სეობაში შეინარჩუნებენ სიწყნარეს. გამოიწვევენ შეიარაღებული ძალების ნაწილს ციხისძირიდან და ამდენად გავლენას მოახდენენ მაჰმადელებზე“.[1]

შერიფ-ბეგი აქტიურად უწყობდა ხელს გამარჯვების მოპოვებას. შერიფი დაჟინებით მოითხოვდა რუსეთის სარდლობისაგან, რომ მას დაეჩქარებია აჭარის აღება. აღნიშნულ წიგნში ამის შესახებ ვკითხულობთ: „17 იანვარს, შერიფ-ბეგის დაჟინებით არმიის შტაბის უფროსმა უბრძანა პოლკოვნიკ ტრეიტერს კავშირი გაება გენერალ კომაროვსა და შერიფ-ბეგთან და პირადი წინამძღოლობით შავი ზღვის ფლოტელთა ორივე ბატალიონი დაეძრა დღვინისაკენ, შემდეგ კი აჭარისაკენ“.[2]

შერიფ-ბეგს იმ დროისათვის თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად შეეძლო გამოეყენა რამდენიმე ათასი აჭარელი. მაშინ, როცა შერიფ ხიმშიაშვილი მოსახლეობას განუმარტავდა რუსეთთან აჭარის შეერთების მნიშვნელობას, თურქეთის მთავრობა აგროვებდა ხელმოწერას მათ მიერ შედგენილ ე. წ. „მოთხოვნაზე“, რომ თითქოს მოსახლეობა რუსეთთან შეერთების წინააღმდეგი იყო. ამავე დროს სულთანი შერიფს ავალებდა, რომ იგი რუსეთის წინააღმდეგ ახალციხისაკენ წასულიყო.

როგორც ცნობილია, შერიფმა ეს საქმე ხელოვნურად გააჭიანურა. შემდეგ, როცა სულთანმა კატეგორიული წინადადება მისცა რუსეთის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლისა, შერიფმა სულთანს უპასუხა: „ყოველად შეუძლებელია ამის შესრულება, რადგანაც ახალციხეს სამი ჩვენი ჯარის ოდენა რუსის ჯარი დარაჯობს და შეიძლება ჯარები გაგვიწყვიტონ, ისევ ჯობია საზღვრები გაავამაგროთ და მტერი ჩემს საზღვრებში არ შემოუშვათ.“[3]

1 იქვე, გვ. 160.
2 იქვე, გვ. 389.
3 გაზეთი „ივერია“, 1399 წ., №№ 202—205. ალ. მგელაძის წერილი.

შერიფი სხვადასხვა მიზეზით თავის ჯარებს სხვადასხვა რაიონში გზავნიდა და ამით ასუსტებდა მათ ბრძოლისუნარიანობას, საზღვრებთან კი განგებ სროლასაც ასტეხდა. შერიფი ამ საქმეში იშველიებდა თანამოაზრეებს: შირინ-აღა დავითაძეს (ხიჭაურის მახლობლად), იუსუფ-ეფენდი ბერიძეს და სხვებს.

შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ზეგავლენით მისი ნათესავი, შავშელი ნური-ბეგ ხიმშიაშვილი დაუკავშირდა რუსეთის სარდლობას და აქტიურად ეხმარებოდა მას. გენერალი კომაროვი წერდა: „ამ წერილის დაწყებისა და წუალედში მე შევხვდი ფრიად გავლენიან პირს ნური-ბეგ შავშელს, რომელსაც თურქეთის სამსახურში მაიორის წოდება აქვს. ჯერჯერობით მან სამსახური გაგვიწია მით, რომ ართვინიდან და შავშეთიდან გაიყვანა თავისი რაზმი და სახლებში გაუშვა. გარდა ამისა, გვპირდება ყოველგვარ დახმარებას... სხვათა შორის, მან შემატყობინა, რომ ამ დღეებში ართვინში 2.000 თოფი და 50.000 კილოგრამი ორცხობილა ჩამოიტანეს."[1]

თურქები შერიფ-ბეგისაგან დაჟინებით მოითხოვდნენ რუსეთზე თავდასხმას. შერიფს ავალებდნენ თავისი ჯარით დაძრულიყო შავშეთისაკენ რუსეთის წინააღმდეგ. შერიფი ამაზე უარს აცხადებდა იმ მოტივით, რომ ჩემს ჯარებს მაქეთკენ ვერ დავძრავ, რადგან რუსეთი ემზადება აჭარაზე გამოსალაშქრებლადო.

სწორედ ამიტომ კომაროვი სთხოვდა არმიის შტაბს, ახალციხიდან ყუბანელთა ბატალიონები გამოეყვანა სადემონსტრაციოდ, რათა ამით გამართლებულიყო შერიფის მომიზეზება.

შერიფი სისტემატურად აწვდიდა სხვადასხვა ცნობებს რუსეთის სარდლობას. როგორც ვთქვით, იგი კვლავ აყენებდა რუსეთთან აჭარის დაჩქარებით შეერთების საკითხს და ჰპირდებოდა 4.000 ჯარისკაცის შეგროვებასა და რუსეთის ჯარის სურსათით უზრუნველყოფას. ამის შესახებ იმავე წიგნში ნათქვამია: „შერიფის გადმოცემით, გამოგზავნილია 5.000-მდე ქვეითი და 1.000-მდე ცხენოსანი ჯარისკაცი. იგი პირობას იძლევა, რომ ამ ჯარებით ჩვენ შევძლებთ ზემო და ქვემო აჭარისა და მაჭახლის დაკავებას. მაშინ შერიფი კისრულობს ზემო და ქვემო აჭარაში მცხოვრებლებისაგან შეადგინოს მილიცია 4.000 კაცის რაოდენობით, რომლებიც იბრძოლებენ თურქეთის წინააღმდეგ.

1 ტომკეევი, დასახელებული წიგნი, დამატებანი, გვ. 161.

გენერალ ამილახვარის ჯარები [illegible] ალყაშემორტყმულ რუსთა ჯარებს ბაიაზეთში. (მოსკოვის სახელმწიფო [illegible] ძველების ფონდიდან).

ვიდრე ჯარი აჭარაში იქნება, შერიფ-ბეგი კისრულობს მათ უზრუნველყოფას მთელი სურსათით."[1]

შერიფ-ბეგი აგრეთვე ციხისძირის ოპერაციებთან დაკავშირებით ახალ წინადადებას იძლევა. ამის შესახებ ტრეიტერი არმიის შტაბისადმი გაგზავნილ წერილში წერს: „ციხისძირთან წარმოებელ ოპერაციების შესახებ იგი (შერიფ-ბეგი, ხ. ა.) უკიდურესი სიმძაფრით გამოთქვამს თავის აზრს და ამ ოპერაციებს ამაო მსხვერპლის გაღებად თვლის. რადგან, მისი აზრით, ზემოაღნიშნული ადგილის დაკავებით ციხისძირი ყოველგვარ მნიშვნელობას დაჰკარგავს. სიტყვა სიტყვით გადმოგცემთ მიღებულ ცნობებს და ვფიქრობ, სავსებით შეგვიძლია მათ ვერწმუნოთ, მით უფრო, რომ დიმიტრი მეფისოვი შერიფ-ბეგის დაახლოებული პირი და ნათლიმამაა".[2]

შერიფ-ბეგმა იცოდა ციხისძირის ბუნებრივი მიუვალობა და იქ ბრძოლის წინააღმდეგი იყო, ამიტომ წინადადებას იძლეოდა აეღოთ ჯერ აჭარა-შავშეთი და შემდეგ ბათუმი, რის შემდეგ ციხისძირი „თავისთავად აღებული" იქნებოდა. იგი სწორი იყო.

თურქეთის სარდლობა ცდილობდა შერიფ ხიმშიაშვილის ხელში ჩაგდებას. პირველ ხანებში შერიფის მოქმედებაში მხოლოდ ეჭვობდნენ, შემდეგ, როცა მიუხვდნენ განზრახვას, მოტყუების გზას დაადგნენ. სწორედ ამიტომ დევრიშ-ფაშამ მიიხმო იგი ბათუმში. ამის შესახებ გენერალი კომაროვი გვნერალ შალიკაშვილს უგზავნიდა დეპეშას, სადაც ნათქვამი იყო: „დევრიშ-ფაშამ შერიფ აჭარელი ბათუმში დაიბარა. უკანასკნელი გრძნობს, რომ საშიშ მდგომარეობაში იმყოფება და ყოველ წუთს მზად არის ჩვენს მფარველობაში გადმოიხიზნოს".[3]

თურქეთის აგენტები ცდილობდნენ აჭარისა და შავშეთის მოსახლეობის აჯანყებას რუსეთის წინააღმდეგ და ხალხს არწმუნებდნენ, რომ თითქოს ინგლისის ბრძანება ყოფილიყოს რუსეთის ჯარის უკან დახევის შესახებ.

ასევე ნური-ბეგ ხიმშიაშვილის მდგომარეობაც ძლიერ გართულდა. თურქეთის ხელისუფლებამ მას დევნა დაუწყო. ამასთან დაკავშირებით გენერალი კომაროვი 27 აპრილს თავად მირსკის

1 ტომკეევი. დასახელებული წიგნი, დამატებანი, გვ. 172.
2 იქვე, გვ. 172.
3 იქვე, გვ. 176.

დეპეშით აცნობებს და მოითხოვს ნური-ბეგიც გაღაყვანილ იქნას რუსეთის მფარველობაში.

შერიფ-ბეგის აჭარიდან ახალციხეში წასვლის შემდეგ სულთანის აგენტებმა შერიფი აჭარის „მოღალატედ“ მონათლეს. თურქოფილ აჭარლებისაგან შეიქმნა რაზმები, რომლებიც მოქმედებდნენ შერიფ-ბეგის წინააღმდეგ. როცა შერიფ-ბეგი ჯერ კიდევ ბაკოში იყო, ისინი აჯანყდნენ მის წინააღმდეგ. ეს რაზმი დევრიშ-ფაშას ხელმძღვანელობით მოქმედებდა. ამ რაზმმა აპრილის ბოლო რიცხვებში გადასწვა შერიფ-ბეგის სახლ-კარი. ამას ადასტურებს გენერალ-ადიუტანტ თავად სვიატოპოლკ-მირსკის დეპეშა, გაგზავნილი დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზისძისადმი 1878 წლის 30 აპრილს: „აჭარაში დიდი მღელვარეობაა. შერიფი თავისი ოჯახით ჩვენთან გადმოვიდა, მისი სახლ-კარი გაანადგურეს აჭარლებმა.“[1]

აჭარელთა გარკვეულმა ნაწილმა თავისი დანაშაული გვიან შეიგნო და ხიმშიაშვილისაკენ იბრუნა პირი. 2 მაისს ამის შესახებ კომაროვი არმიის შტაბს დეპეშით აცნობებდა: „აჭარლებმა აურ-დაურიეს და დაიშალნენ; სიტყვა მოგვცეს მოთავეებს დავიჭერთო. მხარეში ყველგან ბევრია ისეთი პირები, რომელთაც გულწრფელად სურთ რუსეთთან შემოერთება“.[2]

ამ ამბებთან დაკავშირებით შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი თავისთავის შესახებ ამბობდა: „ეწყინათ კი არა, მეტი ჰქნეს, როგორც შეიტყვეს ჩემი წამოსვლა, მეორე დღესვე მოსულან სხალთას და ჩემი სახლ-კარი და ყველაფერი გადაუწვავთ. შემიტყვეს რომ თვალი აქეთკენ მეჭირა და ძალიან განზე მიყურებდნენ... ადრე ცხრა ბათალიონი მყავდა, დევრიშ-ფაშა ყოველ კვირაზე მწერდა: „გეიწი, გეიწი ახალციხისაკენო, რას გაჩერებულხარ ერთ ადგილასო“. ჯერ კიდევ ვაღორებდი, რომ გზა მაქვს გამაგრებული, ვერ დავიძრები აქიდან. მაგრამ, როცა ჯარი არტანუჯისაკენ გაუშვი ხელუხლებლად, მაშინ კი სულ უფრო ეიღო ეჭვი დევრიშ-ფაშამ. ეხლა სხვა ოსტატობა ვიხმარე: ჩხუბი ავტეხე ქვემო და ზემო აჭარას შუა. წავკიდე ისინი და ოთხი ბათალიონი იმათ დასამშვიდებლად გავგზავნე; დამრჩა ხუთი ბათალიონი, კიდევ ორი სხვაგან გავფანტე და დამრჩა სამი ბათალი-

1 იქვე, გვ. 189.
2 იქვე, გვ. 191.

ონი. ეხლა კი მივწერე. ისევ აქ გავმაგრდები-მეოქე და ვუყურებ, მაგრამ ბოლოს მაინც ეკვი ქონდათ, კაცები მოდიოდნენ. ჩამასმინეს იმას რუსებისაკენ უჭირავს თვალიო და ძეტი არ შემეძლო, ცოლშვილი არტაანში გავგზავნე და მე ასალიხეს • ვადმოვიპარე.“[1]

თურქეთის ხელისუფლება ძალით აწერინებდა ხალხს ხელს სხვადასხვა მოწოდებებზე და ფურცლებზე, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ასე, მაგალითად, 13 მაისს კომაროვი დეპეშით არმიის შტაბს აცნობებს, რომ დღეს რასადილევს ლივა მუსტაფა-ფაშამ თანამშრომლები გარშემოარტყა სომეხთა სამლვდელოების სახლს, დაიბარა იქ მოქალაქენი და მოამზადა რა ბათუმში წინასწარ შედგენილი ფურცლები, აიძულა ისინი ხელი მოეწერათ შემდეგ პირობებზე:

1) რომ არ სურთ რუსეთთან შეერთება, 2) რუსეთის ჯარებს მიერ ქალაქისა და მცხოვრებლების შევიწროების შესახებ, 3) განსაკუთრებით მუსლიმანებისადმი შეურაცხყოფელი მოპყრობის შესახებ.

ამ პროკლამაციით თურქებს უნდოდათ ეთქვათ, რომ თქვენს წინააღმდეგ ჩვენს გარდა სხვა ერის ხალხიც მოქმედებსო.

მიუხედავად იმისა, რომ სან-სტეფანოს ზავი და შემდეგ ბერლინის ტრაქტატი დადებული იყო, დევრიშ-ფაშა ინგლისის აგენტებთან ერთად მაინც ეწეოდა აგიტაციას და ხალხს აჯანყებდა რუსეთის წინააღმდეგ.

როცა დევრიშ-ფაშას წაუყენეს ბრალდება, რომ ომის ფაქტიურად დამთავრების შემდეგ რატომ აჯანყებ ხალხსო, მან გენერალ ოგლობჟიოს მისწერა წერილი, სადაც შერიფ-ბეგს ბრალს სდებდა, თითქოს ეს შერიფ-ბეგის მოჭორილი იყო და თვითონ ბრალი არ მიუძღოდა.

„ამრიგად, მე არამც და არამც არ შემიძლია დავუშვა ის აზრი, რომ ზოგიერთი ბატონის, მაგალითად, შერიფ-ბეგის არაკეთილსაიმედო ჩვენებათა მიხედვით მსგავსი ბრალდების წამოყენება შეიძლებოდეს ჩვენი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებისათვის“.[2]

დამარცხებული ოსმალეთის სახელმწიფო ისლამის ნიღბით ყოველ ზომას ხმარობდა იმისათვის, რომ მოსახლეობა რუსეთის

1 გაზეთი „დროება“, 1878 წ., № 126.
2 ტომკევიჩი, დასახელებული წიგნი, გვ. 192.

გენერალი კ. ვ. კომაროვი.
(მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდიდ.ნ).

წინააღმდეგ დაეპირისპირებინა: ქმნიდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებს და საზოგადოებებს, რომელთა მიზანს შეადგენდა ტეროორისტული აქტების მოწყობა მოწინააღმდეგე ელემენტების მიმართ.

როგორც დავინახეთ, რუსეთთან აჭარის შეერთებაში შერიფ ხიმშიაშვილმა დიდი როლი შეასრულა, მან თავისი ძალა და ენერგია შეალია ამ საქმეს. მისი ღვაწლი მაშინვე დააფასა რუსეთის მთავრობამ. იგი აჭარელთაგან პირველი გენერალ-მაიორი გახდა.

შერიფ ხიმშიაშვილის მოღვაწეობა ილია ფერაძემ შემდეგნაირად შეაფასა: „მისი ღვაწლი აჭარელ-ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებაში დაუვიწყარია... შერიფ ბეგის სახელი დიდებისხივით შემოსილია; მისი ქართველური შეგნება საძირკვლად გაუხდა ქართველ ქრისტიანების და ქართველ მაჰმადიანების დღევანდელ ერთობას.“[1]

ბათუმისა და მისი მიდამოების რუსეთის ჯარების მიერ დაკავების შესახებ კალენდარული გეგმა ყოფილა შედგენილი ასეთი განრიგით: ქობულეთი, სამება, კვირიკე — 17 აგვისტოს, ციხისძირი—21 აგვისტოს, ჩაქვი—24 აგვისტოს, ართვინი-ბორჩხი და აჭარა—23 აგვისტოს, ქალაქი ბათუმი—25 აგვისტოს. აღნიშნული გეგმა დამტკიცებულ იქნა და ამ გეგმის თანახმად რუსეთის ჯარი შევიდა ბათუმში.

როგორც წინა ომების, ისე 1878 წლის ომის დროს, ინგლისი რუსეთის წინააღმდეგ გამოდიოდა.

ბერლინის კონგრესზე, 4 ივნისს, ინგლისმა სულთანთან საიდუმლოდ დადო ხელშეკრულება, რითაც კუნძული კვიპროსი მიისაკუთრა. ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ნათქვამი იყო: თუ ბათუმი, ყარსი და არტაანი დარჩება რუსეთს, ანდა შემდეგ, თუ რუსეთი კიდევ განიზრახავს სულთანის რომელიმე ადგილის წართმევას აზიის სამფლობელოში, ამ ხელშეკრულებით ინგლისი ვალად რაცხს თავს, დაეხმაროს სულთანს იარაღით რუსეთის წინააღმდეგ, ამიტომ სულთანი ინგლისს უთმობს კუნძულ კვიპროსს. ხოლო ინგლისი სულთანს დაუბრუნებს კვიპროსს მაშინ, როცა რუსეთი სულთანს დაუბრუნებს ბათუმს, ყარსს და არტაანსო. ასეთი ოინებით ატყუებდა ინგლისი თურქეთს და სხვა სახელმწიფოებს.

[1] ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 26, გვ. 5.



დიდ სახელმწიფოთა ბერლინის კონგრესი. (მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდიდან).

ინგლისი აჭარა-ქობულეთში აგიტაციას ეწეოდა და მოუწოდებდა მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ. ხალხს ფულს ჰპირდებოდა და იარაღით ამარაგებდა. ამის შესახებ გაზეთ „გოლოს"-ში გიორგი წერეთელი წერდა: „ერთმა ქობულეთელმა ბეიმ დამარწმუნა მე, ინგლისი დაგვპირდა, რომ ვინც რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გარვალთ, თვეში ოთხ ლირას მოგცემთო."[1]

ივანე მესხი თავის მოგონებაში ბერლინის კონგრესზე ინგლისის პოლიტიკის შესახებ ამბობდა: „მოიგონეთ მარკ-სოლსბერის იმდროინდელი ერთი ცირკულიარი, რომლითაც ის სხვათაშორის აუწყებოდა, „კონგრესის საბოლოო და არსებითი მუშაობა მაშინ გამოირკვევა, როდესაც ბოლოს ინგლისი წამოაყენებს მოლაპარაკების გადამწყვეტ წინადადებას. რომ რუსეთმა ხელი უნდა აიღოს ბათომზე.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ინგლისი პირში ჩალა გამოვლებული დარჩა. — კონგრესმა ბათომიც რუსეთს არგუნა."[2]

ტომკევი აღნიშნავს: „...ზემო-აჭარის რაზმის მოძრაობა დამთავრდა იმით, რომ ჯერ კიდევ ცხმორისში გენერალ ტრეიტერთან ზემო და ქვემო აჭარის მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი დეპუტაცია მივიდა, რომელმაც იშუამდგომლა წარედგინათ ისინი ბათუმში გენერალ-ადიუტანტ თავად სვიატოპოლკ-მირსკის წინაშე, ხალხის სახელით მადლობის გამოსაცხადებლად, ნაბოძები წყალობისათვის და აგრეთვე ხალხისადმი რუსის ჯარის სანიმუშო დამოკიდებულებისათვის.

აჭარელთა თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა და დეპუტაცია, რომელსაც წარსადგენად გენერალ ტრეიტერი თან გაჰყვა, 2 სექტემბერს ბათუმში ჩავიდა."[3]

ომის დამთავრებისა და რუსეთის ჯარის ბათუმისაკენ გამგზავრებასთან დაკავშირებით 15 აგვისტოს ბათუმის, მაჭახლის, ზემო და ქვემო აჭარის რაიონების წარმომადგენლები მისულან არტაანის რაზმის უფროსთან: „18 აგვისტოს ჩემთან გამოცხადდენ ხალხის წარმომადგენლები ბათუმის, მაჭახელისა და ზემო და ქვემო აჭარის ნაპირების ყველაზე გავლენიან გვარებიდან, რომლებმაც გამოთქვეს რა ჩვენი ჯარების მიერ მხარის რაც

1 გაზეთი „დროება", 1878 წ., № 92.

2 ივანე მესხის მოგონებიდან „ბათუმის თავგადასავალი", აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 36.

3 ტომკევი, დასახელებული წიგნი. გვ. 410.

შეიძლება ჩქარა დაკვების სურვილი, მისი იმპერატორობითი უმაღლესობის სახელზე შედგინეს და ხელი მოაწერეს ადრესს, რომელსაც ვუდგენ თარგმანის თანდართვით თქვენს აღმატებულებას და გთხოვთ გადაუგზავნოთ იგი, როგორც დოკუმენტი, არმიის შტაბის უფროსს.

ბათუმის, მაჰალისა და აჭარის გავლენიანი გვარების ადრესი: „ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერმა ბათუმის, მაჰალისა და აჭარის ბეგებმა ურთიერთ თანხმობით მტკიცედ გადავწყვიტეთ შევასრულოთ შემდეგი:

1) ვეძიოთ მისი იმპერატორობითი უმაღლესობის კავკასიის მმართებლის არმიის მთავარსარდლის ფელდმარშლის მფარველობა, შეგნებული გვაქვს რა, რომ ჩვენი მხარის შეერთებამ რუსეთის იმპერიასთან უნდა მოგვიტანოს ჩვენ და აგრეთვე ლაზისტანის მთელ მოსახლეობას მხოლოდ ბედნიერება, როგორითაც სარგებლობს მისი იმპერატორობითი უმაღლესობის სრულიად რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის ყველა ქვეშევრდომი.

2) აწ კი განვუცხადოთ რუსეთის ჯარების მეთაურს ლაზისტანში გენერალ კომაროვს, რომ ყველა ჩვენზე დამოკიდებული საშუალებებით ვეცდებით შევაკავოთ ხალხი აჯანყებისა და რუსეთის ჯარებისათვის რაიმე ზიანის მიყენებისაგან და ხელს შეუწყობენ ხალხის მშვიდობიანობას.

3) ჯარების წინ წაწევის შემთხვევაში, გამოვიდეთ ხელგაშლილი, შევეგებოთ მათ, ამასთან ვკისრულობთ მეგზურობის გაწევას დანიშნულ ადგილამდე.

რუსეთის მთავრობისადმი ჩვენს გულწრფელ ერთგულებას ხელის მოწერითა და ჩვენი სახელდებული ბეჭდების დასმით ვადასტურებთ 1878 წლის 18 აგვისტოს. სოფელი თოლგომი.

ჰუსეინ-ბეგ-ბათუმელი-სანჯანყ-ბეგ-ზადე, ალი-ბეგი სული-ბეგ-ზადე მაჰალელი, სულეიმან-ბეგ ემინ-ბეგ-ზადე, ალი-აღა ბიმ-ბაში-ზადე, არიფ-აღა მუსტაფა-აღა-ზადე, ქუჩუქ-აღა კარა-აღა-ზადე, ჰუსეირ ბეგ-აზაბაღასი, ასლან-ბეგ ალი-ბეგ-ზადე, მემედ-აღა სანი-ბეგ-ზადე. ქიბირ-აღა თოფჩი-ოღლი, აჰმედ-ეფენდი ჰაჯი-მემედ-ეფენდი-ზადე. უსუფ-ეფენდი ალი-ეფენდი-ზადე, იბრაჰიმ-აღა მუსტაფა-აღა-ზადე, ოსმან-აღა ელქენჯი-ზადე, ხასან-აღა მირალაი-ბეგ-ზადე (ლივანელი), სანჯაყდარ-მემედ-აღა (ლივანელი), იბრაჰიმ-აღა რეჯებ-აღა-ზადე, პეტროს ბუჩინიანი — ართვინელი საპატიო მოქალაქე“.

რუსეთის ჯარის შემოსვლა ბათუმში 1878 წლის 25 აგვისტოს.
(მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდიდან).

ამრიგად, აღსრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება სამხრეთ საქართველოს კვლავ შემოერთებაზე. ბერლინის კონგრესის თანახმად ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქები დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებისა და გმირული ბრძოლის შედეგად შეუერთდა დედა სამშობლოს — საქართველოს.

სამხრეთ საქართველოს ნაწილის რუსეთთან შეერთების შესახებ

თანახმად ბერლინის ტრაქტატისა, ყარსის, არტაანის, ართვინისა და ბათუმის ოლქები შეუერთდა რუსეთს და დაიწყო რუსეთის ჯარების შემოსვლა ბათუმში ორი გზით: აჭარის ჩეიბიდან ბათუმში შემოვიდა გენერალი კომაროვი და ქობულეთის მხრიდან გენერალი სვიატოპოლკ-მირსკი. აჭარის, ართვინის, შავშეთისა და სხვა მხარის მოსახლეობა ბათუმში მიმავალ რუსეთის ჯარებს გზებზე პურ-მარილით სვდებოდა. ასევე ქობულეთიდან მომავალ ჯარებს მთელი ქალაქის მოსახლეობა შეეგება ჭახინჯაურში, ბარცხანაში და დიდი ზეიმით ჩამოაცილა ისინი ბათუმში.

რუსეთის ჯარების ბათუმში შემოსვლასთან დაკავშირებით ქუთაისში შექმნილა კომისია თურქთაგან ბათუმის მისაღებად კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილის გენერალ-ადიუტანტის სვიატოპოლკ-მირსკის თავმჯდომარეობით. კომისიაში ჰონაწილეობდნენ: გენერალ-მაიორი თავადი ტრუბეცკოი, თავადი გრიგოლ გურიელი და რუსეთის ყოფილი კონსული ბათუმში დეიუდრჩი, ხოლო თურქების მხრიდან: ნიად-ფაშა, ალი ბეი, სულეიმან ბეი და თურქეთის დიპლომატიური კორპუსის მოხელეები.

მიუხედავად დანიშნული დროისა, დევრიშ-ფაშა ბათუმის გადაბარების ვადას აჭიანურებდა, მაგრამ სვიატოპოლკ-მირსკიმ უკანასკნელ ვადად დანიშნა 25 აგვისტო და სწორედ ამ რიცხვში 10 საათზე რუსეთის ჯარი შემოვიდა ბათუმში ქობულეთის მხრიდან, ხოლო ართვინიდან და აჭარიდან კომაროვის ჯარები 28 აგვისტოს გამოჩნდნენ კახაბერში.

ბათუმის გადაბარების ცერემონია მოხდა ე. წ. „სარისუს“ (ყვითელი წყლის) ციხესთან (ამჟამად „მაიაკი“). ამ დროს ბათუმში ორი სიმაგრე იყო: „ბურუნთაბიე“ (ლონცხის ციხე) და „სარისუსთაბიე“.

გენერალი სვიატოპოლკ-მირსკი. (მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდიდან).

რუსეთის არმიის სარდლობამ ძირითადად ჩაიბარა ბათუმი, მაგრამ ოსმალეთის ჯარების გასვლა 31 აგვისტომდე გრძელდებოდა. 31 აგვისტოს დევრიშ-ფაშის უკანასკნელი გემი გავიდა ბათუმიდან.

ომის დამთავრებამ ხალხში დიდი სიხარული გამოიწვია:

„შედგა თოფების, ზარბაზნების ქუხილი, ელვა...
ქრისტიანების, ოსმალების,
შედგა სისხლის ღვრა...
და ითქვა სიტყვა, სიტყვა ტკბილი:
შეეისვენოთ
და ეცოდენი ცრემლი, სისხლი
ხალხს ვაკმაროთ“.[1]

რუსეთის შემოსვლის წინ გაზეთებში იწერებოდა, რომ სამხრეთ საქართველოში შემოსვლა უნდა მოხდეს სრული წესიერების დაცვით, რათა ხალხი არ დაფრთხეს და ინგლისსა და სულთანის აგენტებს არ მიეცეთ საშუალება. ეს მდგომარეობა ჩვენს წინაალმდეგ გამოიყენონო. გაზეთ „დროებაში“ ეს აზრი სერგეი მესხმა ასე ჩამოაყალიბა:

1. რუსეთის ჯარი უნდა წევიდეს კეთილშობილურ დამოკიდებულებით. ისინი დასაჩაგრავად კი არ მოდიან. არამედ როგორც მოძმე, და მეგობრები მათი.

2. ჯარს უნდა მოუძღვებოდნენ ისეთი კაცები, რომლებიც იცნობენ მათ ჩვეულებას და ისინი იმათს. ასეთები არიან: თ. გრ. გურიელი და უ. მ. მეფისოვი.

3. ჩვენმა მთავრობამ ადგილობრივ ენაზე უნდა გამოუშვას პროკლამაციები, რომ ჩვენ მათი მტერი არა ვართ. არამედ მეგობრები და კეთილმსურველები ვართ და სხვა.[2]

ქართველი მოღვაწეები გულწრფელად მოუწოდებდნენ ხალხს ახლად შემოერთებული ქართველების საკეთილდღეო საქმიანობისაკენ.

1878 წლის 20 ნოემბერს ქ. თბილისში მიიპატიჟეს აჭარის დეპუტაცია და ქართველმა საზოგადოებამ დ. ყიფიანის ინიციატივით მათ გაუმართა ბანკეტი მუხრან-ბატონის სასახლეში. მასპინძელთა შორის იყვნენ: გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, აკ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი. სერგეი მესხი, გ. წერეთელი, მამაცაშვილი,

1 გაზეთი „დროება“, 1878 წ., № 26.
2 გაზეთი „დროება“, 1878 წ., № 164.

ანდრონიკაშვილი და სხვები. სამხრეთ საქართველოს მაჰმადიანებიდან: ხუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, ხუსეინ-ბეგ აბაშიძე, ხასან-ბეგ ბეჟან-ოღლი, სული-ბეგ-ზადე მაჭახელელი, ახმედ-ეფენდი ხალვაში (მარადიდელი), ნური-ბეგ ხიმშიაშვილი (შავშეთიდან), ოსმან-აღა მაკრიალელი (გონიიდან), ემინ-ეფენდი მუფთი-ზადე (არტანუჯიდან), მუფთი-ეფენდი სურმანიძე (ქედიდან). მუფთი-ეფენდი, სალიხ-ეფენდი-ზადე და სხვ.

ნადიმზე ღრმა პატრიოტული სიტყვები ითქვა.

გრიგოლ ორბელიანმა წარმოსთქვა მგრძნობიარე სიტყვა: „ბატონებო! რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარიან? რასა ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოადგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთი დედისა შვილნი, შავი ბედისა გამო განშორებულნი დიდ ხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, ანაზდეულად, მოულოდნელად, შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულითა. ჩვენცა ეგრეთვე საქართველოს შვილნი ვიყავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნეების განმავლობაში, ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც კი არ დაგვიწყებია დაშორებულნი ჩვენი ძმები. თვალი გვეჭირა თქვენთკენ. ბატონებო, და ვნატრობდით როდის აღმოვა მზე შეერთებისა! და, აი, გვისმინა ღმერთმაცა, დღეს ჩვენს შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმებთა და მოხარულნი ვმადლობთ ღმერთსა და ვევედრებით, რომ შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყეველად“.[1]

მეტად მგრძნობიარე და ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე აკაკი წერეთელმა:

„დღევანდელი ლხინი კი, ვხედავთ, სხვაგვარია: მხიარულება უნაკლულო და სიხარული უღრუბლო! და რას უნდა მივაწეროთ ეს? თუმცა თვითეული თქვენგანიც კარგად გრძნობს ამას, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ამის მიზეზია დროთა-ვითარებისაგან დაშორებული ჩვენი მოძმეების, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბრძანდებიან, დღეს ხელ-ახლად ჩვენთან შემოერთება და ძლიერად შეკავშირება. დიახ ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და დავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია! და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი?.. ეს ანდერძი იყო: დედა ენა და ერთობა!.. პირველი, ე. ი. ენა, ესე მდიდრულად შეუკაზმავთ და ისეთი გემოც მიუციათ, რომ ჯერ კი-

1 გაზეთი „დროება“, 1878 წ., № 239.

დევ ვერ მოგვიხერხებია მისი დავიწყება და არა თუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძმეებსაც, რომლებიც რამოდენიმე საუკუნოების განმავლობაში დაშორებულები გვყავდნენ, იმათაც კი შერჩენიათ დედა ენა ტკბილად სასაუბროდ.

მეორე, ე. ი. ერთობა, ისე მდიდრულად შეუმუშავებიათ და ისეთგვარად აუბეჭდავთ, როგორც გარეგანის, ისე შინაგანის საკუთრად ქართველის ერის საკუთვნელი ნიშნები, რომ დღესვე ქართველი ერთი შესვედრისთანავე იცნობა. ესევე ნიშნები დარჩენია ჩვენს მოძმეებსაც. ამის დასამტკიცებლად შორს ნუღარ წავალთ, — საკმაოა, რომ აქვე, აი სუფრაზედ მივიხედ-მოვიხედოთ. ახლა ვხედავთ, რომ ჩვენი წინაპრების დანაპირები აქეთაც და იქითაც შენახულა და ამით ჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი თურმე არასოდეს არ ყოფილა მოშლილი!

დიახ, დღემდე თუ ცალ-ცალკე შეგვინახავს ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილად და ძლიერად ავასრულებთ, თუ კი ძმურად მივცემთ ერთმანეთს ხელს, დავადგებით ერთ გზას და მივმართავთ ერთ მიზანს. აქ ესეც უნდა მოვიხსენოთ, რომ იმ ჩვენს სამაგალითო მამა-პაპებს, სხვათა შორის, ერთი დიდი ღირსებაც ჰქონიათ: მტრის და მოყვრის პასუხისგება: ვისგანაც კი რამ კეთილი დაუნახავთ, ერთი ათასად გადაუხდიათ. ამ ღირსებებს ნურც ჩვენ ვიქნებით მოკლებული... თუ ჩვენი მამა-პაპები ადევნებდნენ თვალს ქვეყნის მოძრაობას, ნურც ჩვენ ვიქნებით თვალდახუჭულნი — მზად ვიყოთ, რომ ბედს, საიდამაც უნდა მოდიოდეს, კარი გავუღოთ, — და უბედობას ვეწინააღმდეგოთ! ეს იქნება იმ ანდერძის სისრულეში მოყვანა!

მაგრამ, რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალ-ყური ვადევნოთ დროთა ვითარებას, საჭირო არის, რომ ვეცადოთ ჩვენი შვილების გამოზრდას... მივცეთ გზა განათლებას, და შემდეგ იმათ ენერგიას და ცოდნას, მამებსაც დავახმაროთ ჩვენი გამოცდილება და ისე შეერთებულად ვიღვაწოთ, რომ ჩვენს წინაპრებთან პირშავად არ დავრჩეთ"...[1]

აკაკის ამ სიტყვებში ალნიშნულია აჭარელთა და საერთოდ სამხრეთელ ქართველთა გამძლეობა, მათი ღვაწლი ქართული ენისა და კულტურის შენარჩუნების საქმეში, ორივე მხარის მიერ მამა-პაპათა ანდერძის ფაქიზი შესრულება — დედა ენის შემონახვა და ერთობის აღდგენა.

---

1 თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1950 წ., გვ. 154-155.

ამავე ნადიმზე დიმიტრი ყიფიანი ამბობდა: „ვინ იცის, კიდევაც რამდენ ხანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში, რომ დიდი რუსეთისათვის არ მიგვენდო თავი, იმისმა ზრუნვამ ხალხთათვის მოგვამადლა ეს შეერთება ამდენი ხნის დაშორებულებს“...[1]

ამ ბანკეტზე მრავალი კარგი სიტყვა თქვეს როგორც მასპინძლებმა, ისე სტუმრებმა.

აქ შეხვდნენ ერთმანეთს დიდი ხნით დაკარგული ძმები და ურთიერთ სიხარული ძმურად გაინაწილეს. შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი:

„კაი იქნება ბატონებო, რომ აჭარლებიც ქართველებთან იყვნენ შემოერთებული, მაგრამ თუ აგი არ მოხდა, საცაა უნდა იქნეს, ვინატროთ, ბედნიერად იყვნენ. განათლება ეჭირება, ბატონებო იმათ. ამდენი ახალგაზრდაი კაცები ხართ, განათლებულები, წადით, გაიცანით, ზოგიც აქ მოიყვანეთ; სკოლა გამართეთ, ასწავლეთ და ასე უნდა... აბა რა ძმა ხართ, თუ ისე აბდლურად დატოვებთ“.[2]

ილია ჭავჭავაძე, მართალია, ამ ნადიმს საპატიო მიზეზის გამო არ დასწრებია, მაგრამ ივი შემდეგ აჭარლებისადმი დახმარების ორგანიზაციას მეთაურობდა და მოუწოდებდა ქართველებს: „აბა, ქართველობავ, ახლა შენ იცი, როგორ დაანახებ თავს შენს ახლად შემოერთებულ ძმებს, ახლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო“.[3]

ამ მხრივ ილია დიდ პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამაც ამ საქმეში ნაყოფიერი მუშაობა გასწია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ საზოგადოების ღვაწლი საქართველოსთან შეერთების შემდეგ აჭარაში და მთელ საქართველოში სკოლების, ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნის საქმეში.

ქართველი მოღვაწეები, სამხრეთ საქართველოს შემოერთებით დიდად კმაყოფილნი, აღტაცებით წერდნენ თავიანთ სიხარულზე.

იაკობ გოგებაშვილი დიდად იყო აღფრთოვანებული ბერლინის ხელშეკრულების დადებით:

„ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხრივ შარშანდელი წელიწადი ფრიად ღირს-სახსოვარია, ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი

1 თ. სახოკია, დასახელებული წიგნი. გვ. 154.
2 გაზეთი „დროება“, 1878 წ., № 126.
3. გაზეთი „ივერია“, 1879 წ., № 9.

ბედისა", ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი ჩვენი ძველი საქართველო ღღეს ჩვენ შემოგვიერთდა"...[1]

ი. გოგებაშვილმა სასტიკად გაილაშქრა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში" მოთავსებული სტატიის წინააღმდეგ, რომლის ავტორი აჭარლებს და ქობულეთლებს თურქებად აცხადებდა. გოგებაშვილი უარყოფდა ამ ცრუ მტკიცებას და ირწმუნებოდა, რომ არა მარტო აჭარლები და ქობულეთლები არიან ქართველები, საქართველოს ტერიტორია სამსუნამდის მიდისო. იგი საყვედურობდა, რომ კორესპონდენტი ეროვნებასა და სარწმუნოებას ერთმანეთში ურევდა:

Несмотря на это, корреспонденты (смешивают) религию с национальностью и бывших турецких грузин выдают за турок, с которыми у них ничего общего нет кроме религии».[2]

1893 წელს გ. ვოლსკი წერდა: „ქართველობა აღტაცებით და უსაზღვრო სიხარულით შეეგება ბათუმის მაზრის შემოერთებას, რადგან იქ დიდი ხნით დაკარგული ძმა-ქართველები სახლობენ. არა კაცს არ უთქვამს, ისინი ქართველები როდი არიანო, რასაკვირველია, ისინი შთამომავლობით ქართველები არიან."[3]

სხვა ქართველი საზოგადო მოღვაწეებიც პრესაში სასტიკად ილაშქრებდნენ იმ მოლაყბეთა წინააღმდეგ, რომლებიც აჭარლებს თურქებად ნათლავდნენ და რომელთა ცრუ პროპაგანდის შედეგად მრავალი ახლად შემოერთებული ქართველი გაიხიზნა ოსმალეთის უდაბნოებში მუჰაჯირებად.

აჭარლების დიდ უმრავლესობას კარგად ესმოდა, რომ ისინი წარმოშობით ქართველები იყვნენ. სერგეი მესხი გადმოგვცემს ერთი აჭარელი გლეხის ნაამბობს: „მართალია, ჩვენ სარწმუნოება გამოგვიცვალეს, მაგრამ არც ისე უგუნური ვართ, არ გვესმოდეს, რომ სარწმუნოების გამოცვლა ნათესაურ სისხლს ვერ დაგვიკარგავდა. ხედავთ ძიავ, ღღესაც ჩვენი მამა-პაპების ნანგრევი ტაძრების პატივისცემა გვაქვს. მართალია მაჰმადიანი ვართ, მაგრამ ჩვენი მამა-პაპის სალოცავები კიდევ გვწამს, მივდივართ აღდგომას და შობას სხალთას, ზარზმას, ოპიზას, კვირიკეს და მიგვაქვს იქ სანთელი, საკმეველი, წითელი კვერცხები,

1 ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები. ტ. II, 1940 წ., გვ. 52.
2 «Новое обозрение», 1895 г., № 3910.
3 გაზ. „დროება", 1893 წ., № 186.

ვლოცულობთ, როცა ავად გაგვიხდება ვინმე, საწირავი მიგვაქვს იქ და ჩვენი მამა-პაპების ღმერთს ვევედრებით.

არა ძიავ, ჩვენ გვახსოვს ჩვენი ქართველობა, იქნება ჩვენც თქვენსავით გვიხაროდა ერთმანეთის დაახლოება, ერთმანეთთან ისევ შეერთება.“[1]

როგორ მდგომარეობაში დაიბრუნეს თავისი მოძმეები ქართველებმა?

საუკუნეების მანძილზე თურქეთის ბატონობის ქვეშ მგმინავი მოსახლეობა რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად კიდევ უარეს ღრეში ჩავარდა, სულთანის ჯარებმა წასვლის წინ გადაბუგეს აჭარა-ქობულეთისა და სხვა რაიონების სოფლები. დარჩა დაცარიელებული არე-მარე. სურსათ-სანოვაგე არსად იყო. ტყიდან დაბრუნებულ ხალხს არც სახლი დახვდა, არც პირუტყვი, არც ბოსტანი. ირანი ტანსაცმელშემოძარცულნი, მშივრები ეყარნენ ხის ძირას, ღია ცის ქვეშ. ასე იყო ქალაქადაც. ადვილი წარმოსადგენია რას ემსგავსებოდა იმ დროს ბათუმი, რომელსაც ომამდე ჯერ კიდევ 5 წლით ადრე ნ. ნიკოლაძე ასე აღწერდა:

„ბათუმის ქალაქი ასიოდე უსედურ სახლსა და ქოხს ჰგვია. ზოგი მათგანი დაწნილი და შეტკეჩილი ფაცხაა, ზოგი ფიცრულია. ორიოდე შენობა ქვითკირისაც მოიძებნება.“[2]

ერთი სიტყვით, როგორც ქალაქად, ისე სოფლად ხალხის მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. როცა ეს ქართველმა საზოგადოებამ დაინახა, ახლად შემოერთებულ ძმებს ძმურად ხელი გაუწოდა. იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთები ამის შესახებ გულისტკივილით ალაპარაკდნენ. განსაკუთრებით „ივერიამ“ და „დროებამ“ სპეციალური ნომრები მიუძღვნეს შექმნილ მდგომარეობას. აჭარის გაჭირვების შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა:

„ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ რაკი მთავრობაა ამისთანებში მოვალე და ყოვლად-შემძლებელი ღონე, ჩვენ გულ-ხელი დავიკრიფოთ და გულგრილად ვუყურეთ ჩვენის ძმების უბედურებას, გულგრილად და თუნდ ცარიელის გულისტკივილითაც შევყურეოდეთ, როგორ თრთის და იკრუნჩხება შიშველი ბავშვი სიცივისაგან, როგორ უკვდება იგი კალთაში შიმშილისაგან ძუძუგამშრალ დედას, როგორ ტყის ნადირივით

1 გაზეთი „დროება“, 1879 წ., № 24. ს. მესხის წერილი.
2 „კრებული“, № 4, 1873 წ.

დაძრწის ღონემიხდილი დამშეული მამა, იმედდანთქმული, რომ რითიმე მიეშველოს შიმშილისაგან სულთმობრძავს ოჯახსა. გარბის ამ ოჯახიდან შორს, რომ თავისის თვალით არ დაინახოს გულსაკლავი სურათი კარზედ მოდგომილის სულთამხუთავისა, არ დაინახოს თავისის ცოლის, თავისის შვილის, თავისის ძმის, დის, თავისისა და ტომის სასოწარკვეთილი ყოფა, არ გაიგონოს თავისის ყურით ამაო ძახილი ცოლისა: „კაცო, გვიშველე, ვიხოცებით", საცოდავი კნავილი ბავშვისა: „მამავ, პური, მამავ პური"... გარბის თვითონაც დამწვარი და დადუგული შიმშილისაგან, გარბის შორს, შორს... გარბის და ჰგრძნობს, რომ სამუდამოდ ეცლება ხელიდამ ყოველივე ის, რისთვისაც სცხოვრობდა, რისთვისაც სულდგმულობდა, რისთვისაც იღვწოდა, ყოველივე ის, რაც მისთვის ყველაზე უძვირფასესია. გრძნობს და გულს ებზარავს მწვავი ტკივილი სასოწარკვეთილებისა, უიმედობისა და ულონობისა."[1]

ილია მოუწოდებს ქართველ ხალხს დაეხმაროს აჭარას. „ქართველობავ, ნუ იქ მაგ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შეეწივნეთ. რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე"[2]

ამ მოწოდებას გამოეხმაურა მთელი ქართველი საზოგადოება. გაზეთები სისტემატურად ბეჭდავდნენ წერილებს და ცნობებს შემოწირულებათა შესახებ.

1879 წელს გაზეთმა „დროებამ" გამოაქვეყნა გ. წერეთლის გულმხურვალე მოწოდება: „ქართველებო, აბა ახლა თქვენ იცით, ბოლოს ბედმა მოგვხედა. ჩვენი დიდი ხნის დაკარგული ძმები ისევ ცოცხლები დაგვიბრუნდნენ, მაგრამ დაგვიბრუნდნენ მშიერ-ტიტვლები. დღეს ისინი არიან დედაშობილად; გაჭირვებულნი, უსახლკარო, აწ თქვენზეა დამოკიდებული თქვენივე ზურგის გამაგრება. უჩვენეთ მხურვალე თანაგრძნობა. გამოუმართეთ ხელი ამ გარემოებით შევიწროებულს ახალ შეძენილ მოძმეებს. დაანახეთ გულშემატკივრობა, მხურვალე ნათესაური გული, რომ

1 ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრული კრებული, 1955 წ. ტ. 5, გვ. 30.
2 იქვე, გვ. 31.

იმათ გამწარებულს, გადმოღეღებულს მკერდში ისევ დაინთქას დიდი ხნის ჩამქრალი თქვენდამი სიყვარულის ლამპარი; გაუწიეთ ისეთი მეზობლობა, რომ აფიქრებინოთ, სხვებთან ლხინს ისევ თქვენთან ჭირი გვირჩევნიაო".[1]

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი წერეთელს დიდი ღვაწლი მიუძღვის აჭარის გათვითცნობიერების საქმეში. იგი სისტემატურად მოგზაურობდა აჭარაში ისე, როგორც გ. ყაზბეგი, დ. ბაქრაძე, ი. კერესელიძე, ს. მესხი და სხვები და პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა აჭარაში დროთა მსვლელობის შედეგად ჩამქრალი კულტურის გასაღვივებლად.

სერგეი მესხი ყოველგვარ ღონეს მიმართავდა აჭარლებისათვის მატერიალური და სულიერი დახმარების აღმოსაჩენად. ბოლოს იგი დაინტერესდა აჭარაში მომუშავე კადრების შერჩევის საკითხით. მესხი მეტად აღშფოთებული იყო ბათუმში მყოფი მეფის მოხელეთა საქციელით: მექრთამეები, უნიჭონი, სხვადასხვა ადგილებიდან მოხსნილნი, თავისუფლად ნავარდობდნენ ბათუმში და ხალხის ზიზღს იმსახურებდნენ. „რაღა თქმა უნდა, ასეთი ხალხის წყალობით უფუჭდება იქ სახელი მთელ რუსის მმართველობას", — წერდა მესხი.[2] სწორედ ამიტომ მან მიმართა ქართველ ახალგაზრდობას:

„ამ გარემოებამ გვაიძულა ჩვენ მივსცეთ ჩვენს ახალგაზრდა, განათლებულ ყმაწვილ-კაცებს შემდეგი წინადადება: გარემოება თხოულობს, რომ ახლად შეძენილ საქართველოში ჩვენ გვყავდეს კარგი, პატიოსანი, უანგარო, გამჭრიახე. მამულის მოყვარე მოხელეები. ამის გამო ჩვენ მივმართავთ ქართველ ახალგაზრდა ნასწავლ განათლებულებს და ვეტყვით იმათ: წადით ბათუმში, იმსახურეთ იქ, დაიჭირეთ რაც უნდა მცირე თანამდებობა იყვეს, ოღონდ კი ხალხთან თქვენ იქონიეთ საქმე."[3]

ბერლინის ხელშეკრულების თანახმად, მაჰმადიან ქართველებს ეძლეოდათ თურქეთში მუჰაჯირად წასვლის უფლება. სულთანის აგენტები ყოველგვარ ღონეს მიმართავდნენ, რათა მოსახლეობა გაერეკათ ოსმალეთში. ისინი ავრცელებდნენ სხვადასხვა პროკლამაციებს, რათა დაეშინებინათ ხალხი რუსეთის მმართველობით. ხალხს არწმუნებდნენ: „რუსეთის მფარველობის ქვეშ

1 გაზეთი „დროება". 1879 წ., № 32.
2 გაზეთი „დროება", 1879 წ., № 32 ს. მესხის წერილი.
3 იქვე.

თქვენი ყოფნა შეუძლებელია, რადგან დაუშვებელია მუსლიმანი ქრისტიანთა სახელმწიფოს ქვეშევრდომი იყოს, ვინც იქ დარჩება მისი სული სამოთხეში ვერ შევაო". „რუსეთის მთავრობა მიწებს და სხვა ქონებას ჩამოგართმევთ და შემდეგ ქრისტიანობასაც შემოგთავაზებენო". ამას განსაკუთრებით ხოჯა-მოლები და ზოგიერთი ბეგი ქადაგებდა. მათგან აღსანიშნავია ალი-ფაშა და ოსმან-ფაშა თავდგირიძეები. ალი-ფაშა დაინტერესებული იყო აქაურ მკვიდრთა ოსმალეთში გადასახლებით იმის გამო, რომ სულთანთან შეთანხმების საფუძველზე მას გადასახლებულთა უფროსობას ჰპირდებოდნენ.

მოსახლეობის ნაწილი სხვადასხვა დაპირებებით დაიყოლიეს შუჰაჯირობაზე, ზოგნიც ძალით გარეკეს თურქეთში. მათი უმეტესი ნაწილი გზაში დაიხოცა.

მუჰაჯირობასთან დაკავშირებით გულო-აღა კაიკაციშვილი წერდა: „ამის გარდა, ძიავ, ძველი გადასახლებული ქობულეთლები რომ არიან, თავისთვის ვერ უშოვნიათ ადგილი და გამოდიან ჩვენში და გვეუბნებიან, რომ წამოდი, ნუ დადგებით აქაო. რასაკვირველია, დაქცეულს დაქცეული უყვარს, იმას კიდევ არ დაუჯერებთ, მაგრამ მოლებმა შეგვაწუხეს, წამოდითო, გველაპარაკებიან, აქ ნუ მოკვდებით, წესი არ აგეგებათო".[1]

მუჰაჯირობის საქმეზე თურქეთიდან აგენტებად გზავნიდნენ ხოჯებს, რომლებიც თავს უყრიდნენ წასაყვან ხალხს და თანაც ხალხში აგროვებდნენ სიმინდს ოსმალეთში წასაღებად. ბევრი აჭარელი ვერ ხედავდა მათ თვალთმაქცობას. ბევრმა ვერ გაითვალისწინა, რომ ოსმალეთში მას უარესი დღე მოელოდა, რადგან იქ გადასახლებულებს აქაური სიმინდით ჰპირდებოდნენ მოშარაგებას. როცა ბოლოს ხალხმა ეს შეიგნო და მუჰაჯირობაზე უარი განაცხადა, თურქი ასკერები, დევრიშ-ფაშას განკარგულებით ხალხს ძალით მიერეკებოდნენ.

სამხრეთ საქართველოდან ძალით გადასახლებულთა რაოდენობა ზ. ჭიჭინაძისა და მოსე ჯანაშვილის გადმოცემით ნახევარ შილიონს აღემატებოდა.

გრიგოლ გურიელი და სერგეი მესხი დიდ მუშაობას ატარებდნენ მუჰაჯირობის წინააღმდეგ. ისინი ხალხს ეხმარებოდნენ სურ-

1 გაზეთი „დროება", 1880 წ., № 89. გ. კაიკაციშვილის წერილი „ძიავ თბილისის „დროების" მეგაზეთეე".

სათით, ტანსაცმლით, ფულით და სხვა საშუალებებით, რის გამო-
დიდ მადლობას იმსახურებდნენ ხალხისაგან.

ილია ჭავჭავაძეს მუჰაჯირობასთან დაკავშირებით სამხრეთ
საქართველოს ქართველების მდგომარეობა დიდად აწუხებდა, იგი
ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ისინი სამშობლოს არ გასცლოდ-
ნენ: „ჩვენ გაჭირვებულების ძმები ვართ, ძმები... ეს არასოდეს
და არას შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ... ამ
ძმობაში გამოიკვანძა ჩვენი ბედი, ამ ძმობამ ჩვენის ბედნიერების
კვირტი უნდა გამოიტანოს. ქართველობავ, ჩვენი უწმინდესი ვა-
ლია, უნდა მივეშველოთ“.[1]

ილია გულისტკივილით ამბობდა: „ამის შემდეგ ნულარ
ჰკვირობთ, რომ დღეს მეცხრამეტე საუკუნეში, რამოდენიმე მა-
გალითი ვნახეთ ხალხის მამა-პაპეულ ბინიდან აყრისა და გადახ-
ვეწისა... დეე ამაზედ ჩვენს შემდეგი ისტორიკოსი განცვიფრდეს,
ჩვენ კი ეს გულის-ტკივილით შევნიშნოთ და შევიტანოთ ჩვენს
მატიანეში“.[2]

აჭარელთა დიდი რაოდენობით გადასახლების საქმეში სე-
რიოზული ბრალი მიუძღოდათ აგრეთვე ცარიზმის შოვინისტ მოხე-
ლეებს, რომლებიც აჭარლებს ველურებად თვლიდნენ. ილია ჭავ-
ჭავაძე ამეღავნებდა კიდეც კოლონიზატორთა საქციელს. აჭარელ-
თა წასვლა მშობლიური მიწა-წყლიდან არ ეწინააღმდეგებოდა ცა-
რიზმის მიზნებს შავი ზღვის სანაპიროს ყაზახ-რუსებით დასახლე-
ბაში.

მაგრამ მიზანს ვერ ეწიენ ვერც ოსმალეთის აგენტები და ვერც
მეფის კოლონიზატორები. რუსი ხალხის არმიის დახმარებით გან-
თავისუფლებული აჭარლების ძირითადი ნაწილი თავის მიწა-
წყალზე დარჩა; მოძმე ქართველთა დახმარებით მან სიძნელეებს
თავი დააღწია.

ქართველმა საზოგადოებამ გულთბილად მიიღო დროთა ვაე-
ბით ჩამოშორებული ძმები და სულითა და გულით მოიწადინა
სწავლა-განათლების შუქით გაეფანტა თურქი დამპყრობლების
მიერ დადგენილი უმეცრება.

1878 წლიდანვე დაიწყეს სამზადისი აჭარაში ქართული
სკოლების გახსნისათვის. შეერთებიდან ორი წლის შემდეგ,

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, 1955 წ., ტ. 5, გვ. 31.
2 იქვე, გვ. 35.

1880 წელს, მუხრან ბატონმა სტიპენდია დაუნიშნა და უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნა ორი ქობულეთელი მოსწავლე. ამის შესახებ ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ ვკითხულობთ:

„ნიკო ცხვედაძე გულმხურვალედ ადევნებდა თვალყურს ქართველ მაჰმადიანთ ძეთა სწავლა განათლების საქმეს. ამის მეცადინეობით 1880 წელს მუხრან ბატონმა ორი სტიპენდია გაუჩინა გულო-აღა კაიკაციშვილის შვილს, ისმაილს და დედე-აღა ნიკარაძის შვილს. ისინი უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული იქნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საშუალებით“.

ი. გოგებაშვილი მოითხოვდა, რომ წერა-კითხვის საზოგადოებას დაჩქარებით მოეგვარებინა აჭარის ყველა კუთხეში სკოლის გახსნის საქმე. „ქობულეთში სკოლის დაარსება იქნება პირველი ნაბიჯი წერა-კითხვის საზოგადოების მოქმედებისა მაჰმადიანო საქართველოში. ამას უნდა მოჰყვეს მეორე ნაბიჯის გამართვა აჭარაში, მაგალითად, ქედაში. მეორე ნაბიჯს უნდა მოჰყვეს შემდეგი ნაბიჯები, რათა საზოგადოება მოესწროს თავის წადილსა და განათლების მოფენას სამხრეთ საქართველოში და განათლებას ძმური კავშირისას ჩვენსა და აჭარელ-ქობულეთელთა შორის ეროვნულს ნიადაგზე“.[1]

სამხრეთ საქართველოში სკოლების გახსნით ილია ჭავჭავაძე ძლიერ დაინტერესებული ყოფილა. 1881 წლის მარტში იგი გამოგზავნილი ყოფილა ბათუმში სკოლების გახსნის საქმეზე. მისი თხოვნით, ბათუმის გუბერნატორმა კომაროვმა ადგილობრივ აჭარლებს დაავალა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლაში გამოეგზავნათ თავიანთი შვილები.

ილიამ დიდი მუშაობა გასწია ბათუმის სკოლის გახსნისა და სკოლაში მოსწავლეების მიზიდვის საქმეში. ილიას შემდეგ ბათუმში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხაზით სკოლების გახსნისა და იქ მოწაფეთა დაკომპლექტების საქმის მოსაგვარებლად სერგეი მესხი მიავლინეს.

სამხრეთ საქართველოს შემოერთების ერთი წლის შემდეგ, 1879 წელს, ილია ჭავჭავაძე აჭარა-ქობულეთში სკოლების გახსნის აუცილებლობის შესახებ წერდა: „თუ ჩვენი სიხარული ქობულეთის შემოერთებაზედ პირმოთნეობა არ იყო, თუ ჩვენგან

1 ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. II, 1940 წ., გვ. 270.

წარმოთქმულს მხურვალე სიტყვებს მკვიდრი საფუძველი ჰქონდათ, ახლა უნდა გაუმართოთ ხელი ამ ახლად დაბადებულს საზოგადოებას და ვალად დავსდოთ, რომ აჭარაში და ქობულეთში რაც შეიძლება მომეტებული შკოლები გამართოს. ეს შკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა და ისევ-ისე ძმურს სიყვარულს ჩამოაგდებს ჩვენში".[1]

სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად აჭარაში სკოლების გახსნითა და ამ მხარეში განათლების შეტანით დიდად დაინტერესებული ყოფილა ალ. ყაზბეგი. იგი ხშირად მართავდა საღამოებს, რომელშიაც თვითონ იღებდა მონაწილეობას და ამ გზით აგროვებდა სკოლების გახსნისათვის საჭირო თანხებს. ალ. ყაზბეგი მოუწოდებდა ქრისტიან ქართველობას საქმიანი დახმარება აღმოეჩინათ სამხრეთ საქართველოს მაჰმადიანი ქართველებისათვის. იგი წერდა: „ორასი წლის განმავლობაში, რაც ჩვენ სხვა ხალხის ბრძანებლობაში ვიყავით, ვერ გადაგვავიწყდა გურჯობა, ვერ მოჰკლა ჩვენში ქართველის თავისებურება, პირდაპირობა და გულახდილობა. ეს სიტყვები ჩვენ გვინდა ეხლა საქმით დავამტკიცოთ. ძმათა შორის მალულობა სამარცხვინოა და ხალხის დამღუპველი. მსხვერპლი ძმისაგან ძმისათვის მიტანილი აღმოუგველი ბეჭედია მომავლისათვის".[2]

აჭარის მიმართ დიდ ინტერესს იჩენდა ანტონ ფურცელაძე, რომელიც აღნიშნავდა: „ვართ ძვალნი ძვალთაგან და ხორცი ხორცთაგანი ერთმანეთისა, დიაღ ეს გვესმის ერთმანეთისაგან. მაგრამ ეს ძახილი, ეს ერთმანეთის ძმური მიალერსება არ არის საკმაო. ჩვენ, რომელთაც ჩვენი თანამოძმენი პოლიტიკური ცვლილებების გამო ბედმა ისევ შემოგვიერთა, უფრო შეჩვეულნი ვართ ამ გარემოებასთან, რომელშიაც ჩამდგარნი ვართ".[3]

ანტონ ფურცელაძე მოითხოვდა აჭარაში სწავლა-განათლების შეტანას, სკოლების გახსნას, უმაღლესი სასწავლებლების ჩათვლით. მან დააყენა საკითხი თავადაზნაურთა სკოლების ხარჯზე ქართველ მაჰმადიანთა აღზრდის შესახებ: „მართალია ათი ვაკანსია არ არის ბევრი, მაგრამ ათი რომ ჩვენ დავზარდოთ, ათი იმერეთის თავადაზნაურთა სასწავლებელმა, — ერთი ათი-თხუთმეტი

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. 5, გვ. 46.
2 ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. 5, 1950 წ., გვ. 552-553.
3 გაზეთი „ივერია", 1895 წ., № 239.

წლის განმავლობაში შეადგენს იმოდენა რიცხვს მაინც, რომ ამ გამოზრდილთ პირთ შეეძლებათ გააღვიძონ და გააძლიერონ ძ

-ური სიყვარული და ერთობა ჩვენსა და იმათ შორის. ამის გამო მე, როგორც წევრი თავადაზნაურთა სასწავლებლისა ტიფლისის გუ-ბერნიაში, ამ სასწავლებლის კომიტეტს ვთხოვ შეიტანოს მომავ-ლის სკოლის კრებაზედ აზრი, რომ კრებამ დაადგინოს, გაზარდოს თავისი ხარჯით ყმაწვილ მაჰმადიან ქართველთა."[1]

* * *

აჭარის გლეხობის მდგომარეობა ერთგვარად გაუმჯობეს-და საქართველოსთან კვლავ შეერთების შემდეგ. სულთანის დროს მიწების უმრავლესობა ბეგების ხელში იყო და გლეხობა მათ უხ-დიდა ათასგვარ გადასახადს. ზოგჯერ მოსავლის ნახევარსაც კი აძლევდა მიწის მეპატრონეს. ასევე, გლეხთა ექსპლოატაციას ეწე-ოდა სამღვდელოებაც ე. წ. „სავაყუფო" მიწებზე.

1878 წლის შემდეგ გადასახლებული აღა-ბეგების მიწები მიისაკუთრეს დარჩენილმა აღა-ბეგებმა. ბევრმა მათგანმა მოახერ-ხა საბუთებით თავის სახელზე გაეფორმებინა ეს მიწები (თუმცა ამ მდგომარეობით უმთავრესად ვაჭრებმა ისარგებლეს და საუკე-თესო მიწები როგორც ქალაქად, ისე სოფლად დაიტაცეს).

პირველ ხანებში ამ მდგომარეობას არც მთავრობა აქცევდა ყურადღებას, რადგან დარჩენილ მოსახლეობას მაშინ ერთგვარი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ამ გარემოებით ისარგებლა ზოგი-ერთმა, მიწები დიდი რაოდენობით მიითვისა და მიწით სპეკუ-ლაცია დაიწყო.

მეფის მთავრობის განკარგულებით შავი ზღვის სანაპიროზე საუკეთესო მიწებს უყოფდნენ ვაჭრებს და მოხელეებს, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებდნენ წასულიყვნენ მთიან ადგილებში.[2]

მუჰაჯირების მიწებით სპეკულაცია დაიწყო არა მარტო ბა-თუმში, არამედ მის მიდამოებში, მთელი შავი ზღვის სანაპიროს გა-სწვრივ. ჩამოსულმა ვაჭრებმა და რუსმა მოხელეებმა საუკეთესო მიწები ჩალის ფასად ჩაიგდეს ხელში. მუჰაჯირების მიწებზე მათ დაიწყეს აგარაკების გაშენება. მიწების დატაცებაში ცნობილი იყვ-ნენ: სტოიანოვი, სალავცოვი, პოპოვი, ანისიმოვი და სხვები.

---

1 იქვე.
2 Газ. „Кавказ", 1904 г., № 214.

აგარაკების გაშენებასთან ერთად იწყება მეურნეობის გაშენება. მაგალითად, საუფლისწულო უწყებამ და პოპოვმა ჩაის პლანტაციები გააშენეს, პირველმა — ჩაქვში და მეორემ — სალიბაურში.

სუბტროპიკული კულტურებისა და სხვა ახალი მცენარეების გავრცელებით სასელი გაითქვა იმ დროისათვის ცნობილმა მებაღემ დალფონსმა. მის გარშემო შეიქმნა მოაგარაკეთა ჯგუფი დადაარსებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. დალფონსმა და შემდეგ დედიუშამ აჭარაში მოაწყეს ჩაის, მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლისა და სხვ. დიდი სანერგეები.

ჩაისა და ციტრუსების მოშენებას ხელი მიჰყო გლეხობამაცთანდათანობით ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. დაიწყო აჭარის სოციალურ-ეკონომიური წინსვლა. რუსეთთან შეერთება თავის დადებით შედეგებს ავლენდა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ქ. ბათუმს მალე შეეცვალა სახე. უწინარეს ყოვლისა მოხდა მისი დაგეგმვა. დაიწყო ქალაქის გამწვანება და მისი კეთილმოწყობა. გალამაზდა და გაფართოვდა წინანდელი ჭუჭყიანი ქუჩები. აგებულ იქნა ახალი, ქვითკირის შენობები.

როგორც ზემოთ იყო თქმული, ბათუმი ჭაობიან ადგილს წარმოადგენდა. რის გამოც აქ ძლიერ იყო გავრცელებული მალარია. ეს სენი მუსრს ავლებდა მოსახლეობას. რუსეთის შემოსვლის შემდეგ დაიწყო თხრილების გაყვანა. გაყვანილ იქნა ე. წ. „ეილინისა“ და „პავლოვის“ არხები. შეუდგნენ ჭაობების ამოშრობას. ბათუმის გარეუბნებში აიკრძალა ბრინჯის დათესვა. რომ ჭაობი არ დამდგარიყო, დაიწყეს გზების გაყვანა ახლო-მახლო რაიონებში.

რუსეთის შემოსვლისას ბათუმს მხოლოდ სამი მეჩეთი და ამავე რაოდენობის ეკლესია გააჩნდა. რუსეთის კონსულის დახმარებით 1861 წელს აქ აშენებულ იქნა მართლმადიდებელ-ბერძენთა ეკლესია, აგრეთვე სომეხ-გრიგორიანებისა და სომეხ-კათოლიკების ეკლესიები.

ამ დროს ბათუმში სასმელი წყალი არ იყო და იგი „სოუქსუდან“ პატარა თიხის მილებით ჩამოჰყავდათ „სარისუმდე“, სატვირთო ნავსადგურის ახლოს. ეს წყალი მხოლოდ სამხედრო უწყებას ხმარდებოდა. 1878 წლიდან დაიწყო ქალაქის წყლით მომარაგება. წყალგაყვანილობის რეკონსტრუქციის შემდეგ წყლის მარაგი აყვანილ იქნა 25.000 ვედრომდე დღე-ღამეში. 1885 წელს

შედგა ახალი ხარჯთაღრიცხვა და ახალი პროექტით გათვალისწინებულ იქნა დღე-ღამეში 600 ათას ვედრომდე წყლის მიღება. ქალაქის განათება ნავთის ფანრების ნაცვლად ელექტრონით შეიცვალა. 1880 წლიდან დაიწყო ქალაქის ბაღის გაშენებაც.

ორი წლის მანძილზე ქალაქისა და რაიონების მცხოვრებთა მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ჩქარი ტემპით განვითარდა მრეწველობა. მოხდა ქალაქის ნავსადგურის რეკონსტრუქცია. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება დააჩქარა 1883 წელს ბათუმისა და სამტრედიის რკინიგზის ხაზით შეერთებამ, და შემდეგ ბაქო-ბათუმს შორის ნავთსადენის გაყვანამ. ამ უკანასკნელმა დააკავშირა ბაქო-ბათუმის მრეწველები და ხელი შეუწყო ნავთის პროდუქტების ექსპორტს.

ამ მოკლე დროში მრეწველობა სწრაფი აღმავლობით განვითარდა. აშენდა რიგი ღაბრიკებისა და ქარხნებისა, შეიქმნა ნავთის საააქციო საზოგადოება. მრეწველობის განვითარება ხელს უწყობდა ნავსადგურის გაფართოებას. გაიზარდა მისი ტვირთბრუნვა. მაგალითად:

1878 წ.	გატანილი იყო 32.423 მან.	საქონელი,	შემოტანილი იყო 7.111 მან.
1879 წ.	227.827		192.951
1883. წ.	2.605.205		412.412
1884 წ.	9.657.524		2.121.368 „
1889 წ.	25.289.936 „	„	7.488.936 „

მრეწველობის განვითარებასთან ერთად იზრდება ბათუმის მოსახლეობის რიცხვი. 1807-დან 1894 წლამდე თუ შევადარებთ მოსახლეობის ზრდას, მივიღებთ შემდეგ სურათს:

1807 წელს	2.000	მცხოვრები
1867 წელს	4.970	
1872 წელს	1.783	
1873 წელს	4.970	
1877 წელს	2.500	
1881 წელს	8.500	
1890 წელს	15.400	
1894 წელს	18.123	

1 Д. Свинцевский. Проект сооружения Батум-Карской железной дороги. стр. 2, Тифлис, 1916 г.

2 გაზეთი „ქვალი", 1898 წ., № 36.

1872 წელს მოსახლეობის რიცხვის შემცირება გამოწვეული უნდა ყოფილიყო გადამდები სენის გავრცელებით, რამაც მოსახლეობა გაანადგურა.

ქალაქისთავის არჩევისათვის დიდი ბრძოლა სწარმოებდა. ეს იყო ბურჟუაზიული საზოგადოების შიგნით წარმოებული ბრძოლა. ქართველები თავის კანდიდატურას აყენებდნენ, სომხები თავისას, ასევე რუსები და ა. შ. ამ არჩევნებში გამარჯვება ხვდათ ქართველებს, ხოლო ყოფილი ქალაქისთავი კაიანდრა გააშავეს.

საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას იჯდა და არჩევნების „მსვლელობას უყურებდა განგებ ამ შემთხვევისათვის ჩამოყვანილი ტფილისიდან ილია ჭავჭავაძე“.[1]

ქალაქის თავად აირჩიეს ქუთაისის ყოფილი ქალაქისთავი ლუკა ასათიანი.

ამ არჩევნებთან დაკავშირებით დიდი შეხლა-შემოხლა იყო ერთი მხრივ ქალაქის თავს ასათიანს, ვოლსკის, ივანე მესხსა და მეორე მხრივ პალმსა (გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი) და ზრილოვსკის (როტშილდის ქარხნის გამგე) შორის. პალმი განუწყვეტლივ ლანძღავდა ასათიანს, ლუკას ნაცვლად „ლუკერიას“ ეძახდა. თავისი გაზეთის ფურცლებზე მუდამ ასათიანის დამამცირებელ სტატიებს ათავსებდა. ასევე ზრილოვსკი (პოლონელი) ეხმარებოდა პალმს და ჯიბრში ედგა ასათიანს. ერთ-ერთ სხდომაზე, როგორც კლდიაშვილი გადმოგვცემს, ზრილოვსკის ქალაქის თვითმმართველობისაგან მიუღია რაღაც დავალება და ამის საპასუხოდ მას ირონიით უთქვამს: „მოიო სერდცე კროვიუ ობლივაეტსა, კოგდა ვსპომინაიუ ეტო რასპორიაეენიე“!

ამაზე საკადრისი პასუხი გაუცია გრიგოლ ვოლსკის: „ია ნე ზნაიუ ობლივაეტსია ლი ვაშე სერდცე კროვიუ, ნო ჩტო ანო ობლივაეტსია როტშილდოვსკოიუ ნეფტიუ ეტო ხოროშო ზნაიუ!“[2]

პალმი პირწმინდა შავრაზმელი, უკიდურესად დიდი შოვინისტი იყო.

როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს ბათუმში სხვა ქართველ ინტელიგენტთა შორის დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდა ცნობილი მწერალი დავით კლდიაშვილი. მან დიდი ღვაწლი დასდო ბათუმის საზოგადოებას. მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად უხდებოდა ბრძოლა რეაქციონერების წინააღმდეგ, მაინც ქართუ-

1 დ. კლდიაშვილი, მოთხრობები და პიესები, სახელგამი, 1947 წ., გვ. 696.
2 იქვე, გვ. 700.

ლი კულტურის დანერგვის საქმეში თვალსაჩინო და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა.

მეფის მთავრობის ზოგიერთი მოხელე ანგარიშს არ უწევდა ხალხის კანონიერ მოთხოვნებს და სურვილს, ქალაქისთავებად არჩეულ პირებს არ ამტკიცებდა:

„მთელ რიგ ქალაქებში ადმინისტრაცია არ ამტკიცებს არჩეულ პირებს: თბილისში არ დაამტკიცეს ქალაქის მოურავად არჩეული ალექსანდრე არღუთინსკი-დოლგორუკოვი და გამგეობის წევრად არჩეული ვასილ ჩერქეზიშვილი, ბათუმში ორჯერ არ დაამტკიცეს გრ. ვოლსკი“.[1]

ბათუმში შავრაზმელები: „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი პალმი, ნოტარიუსი გრელსკი და დეკანოზი რალცევიჩი, ზრილოვსკი და სხვა თავგამოდებით ებრძოდნენ ქართველ მოწინავე ინტელიგენციას. ამ შავრაზმელების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ: დ. კლდიაშვილი, ი. მესხი, გრ. ვოლსკი, ლ. ასათიანი და სხვები.

„ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი პალმი თავისი რეაქციული გამოსელებით აღშფოთებას იწვევდა ქართველ მოწინავე საზოგადოებაში. მის წინააღმდეგ ამხედრებული ყოფილა პროგრესული ოფიცრობაც. დ. კლდიაშვილს პალმი დუელში გაუწვევია, რაზედაც ამ უკანასკნელს უარი განუცხადებია და ბათუმის ციხესიმაგრის უფროსისათვის მიუმართავს თხოვნით, შემარიგეთ კლდიაშვილთან და მის წინააღმდეგ წერილებს ჩემს გაზეთში აღარ გამოვაქვეყნებო. ეს საქმე იმით დამთავრებულა, რომ პალმს ბოდიში მოუხდია კლდიაშვილისათვის და „შერიგებულან“.

ქალაქის თვითმმართველობაში ქართველ მოღვაწეთა ბირთვის გაძლიერებისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ეგნატე ნინოშვილი და სხვები, რომლებიც თავიანთ მოღვაწეობას ეროვნულ ინტერესებს უკავშირებდნენ.

ლუკა ასათიანის გარდაცვალების შემდეგ მის მოვალეობას დროებით ასრულებდა წინათ გაშავებული წევრი საბჭოსი ვინმე ივანოვი. იგი საშინელი რეაქციონერი ყოფილა და ქალაქის ხმოსნებს არ ჰყვარებიათ. ერთი სხდომის დროს ივანოვს თვითნებურად დაუხურავს სხდომა, მაშინ საბჭოს მდივანს ივანე მესხს

1 გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1934 წ., თბილისი, გვ. 167.

ვოლსკისათვის ჩაულაპარაკნია, „სხდომა განვაგრძოთო“. მართლაც, ვოლსკის ჩამოუკიდნია თავმჯდომარის ჯაჭვი და სხდომა გაუგრძელებია.

დიდი სახელი დატოვა ხალხში ქალაქისთავმა ასათიანმა. მან ღირსეულად დაიმსახურა საზოგადოების სიყვარული. იგი დიდ გულისხმიერებას იჩენდა ხალხში განათლების შეტანისა და კულტურის დანერგვის საქმეში. მაგრამ მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა ცარიზმის მსახურთა შორის. მაგალითად, როცა ასათიანმა ოლქის მზრუნველს იანოვსკის ბათუმში ქალთა გიმნაზიის გახსნის ნებართვა სთხოვა, მისგან ასეთი საიდუმლო მოწერილობა მიიღო: „არ არის სასურველი გიმნაზიის გახსნა, რადგან იგი მხოლოდ გაამრავლებს ინტელიგენტ ქალთა რიცხვსო, რაც სასურველი არ არის, მით უფრო, რომ გიმნაზია უსათუოდ აივსებაო მზარეულების, პარიკმახერების, იზვოშჩიკების, თერძების და ამათ მსგავსი ხალხის შვილებითო.“[1]

ბათუმის ინტელიგენციამ მოახერხა ამ წერილის გამოქვეყნება გაზეთში. წერილის შინაარსმა ხალხში დიდი სენსაცია აღძრა და მეფის უღირს მოხელეთა მიმართ ზიზღი გამოიწვია; იანოვსკი იძულებული გახდა გაეცა ქალთა გიმნაზიის გახსნის ნებართვა.

ბათუმის გიმნაზიებში ქართველი მაჰმადიანების ჩაბმას ბევრი რამ აბრკოლებდა. ამ სასწავლებლებში შემოღებული იყო ფორმის ქუდები. რასაც აჭარლები „შაფხას“[2] უწოდებდნენ. ამ ქუდების დახურვა ყველა მოსწავლისათვის სავალდებულო იყო, ხოლო ხოჯები მათ მშობლებს ამის ნებას არ აძლევდნენ: „ვინც კოზირიან ქუდს დაიხურავს, „გიაური“ გახდებაო“. დადგა საკითხი გიმნაზიიდან მოსწავლეების გამოყვანისა, შეწუხებული მშობლები მივიდნენ მთავარი ჯამეს ხოჯასთან, იბრიამ ეფენდისთან თხოვნით, რომ მიეცა ნება მათ ბავშვებს ეს ქუდები ეტარებინათ მხოლოდ გიმნაზიის ფარგლებში. ხოჯა ამაზე არ დათანხმდა. მაშინ მშობლები იძულებული გახდნენ მიემართათ შეიხულ ისლამისათვის, რომლისგანაც თვოვნაზე დადებითი პასუხი მიიღეს. ხოჯა მაინც წინააღმდეგი დარჩა. რადგან შეიხულ ისლამისგან ნება დართული ჰქონდათ, ზოგიერთმა მშობელმა — დიასამიძეებმა, აბაშიძეებმა და სხვებმა ბავშვები გიმნაზიიდან არ გამოიყვანეს.

---

1 დ. კლდიაშვილი, მოთხრობები და პიესები, 1947 წ., გვ. 712.
2 რუსული შაპკა.

ვინც ბავშვებს გიმნაზიაში ატარებდა და ფორმის ქუდს დაახურავდა, ფანატიკოსები მათ სალამს არ აძლევდნენ, ბოიკოტს უცხადებდნენ და დასცინოდნენ. რუსული ფორმის ქუდების დახურვას მოზრდილებსაც უკრძალავდნენ. იმ ხანებში სულთან ჯამეს ხოჯას ხაჯი აბდულ ეფენდინ გამოუბარებია ნიკოლოზ სანაძე (მემედ უსტი-ოღლი) და დაუტუქსავს: „რატომ გაგიაურდი და ეს „შაფხა" რატომ დაიხურეო". სანაძეს ხოჯისათვის უპასუხნია: „რის გაგიაურება! 14 აბაზიანი ქუდი ვიყიდე, ესეც ისეთივე ქსოვილიდანაა შეკერილი, როგორც ყაბალახი და სხვა. რაც შეეხება იმას, რომ ასეთი ქუდი ქართველებს ახურავთ, — ეს რა სათაკილოა, ჩვენ ხომ ქართველები ვართო".

ბათუმის ქართველმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით 1881 წელს ქალაქ ბათუმში გახსნა პირველი ქართული სკოლა, ამ სკოლის აშენებით, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად. დიდად დაინტერესებული ყოფილა ექვთიმე ბერძენიშვილი: „მრავალი საქმეების აღმასრულებელი იყო ექვთიმე ბერძენიშვილი (ქართული სკოლის აშენებელი)".[1]

ამ დროს მაჭახელში და აჭარაში დიდ მუშაობას ეწეოდა დავით წერეთელი, რომელიც 1878 წლიდან 1881 წლამდე მაჭახლის უფროსად ითელებოდა.

ბათუმის ქართველ საზოგადოებასთან კარგ ურთიერთობაში იყვნენ აჭარლები: გულო-აღა კაიკაციშვილი, დედე-აღა ნიჟარაძე, თუფან-ბეგ შერვაშიძე, ახმედ-ბეგ ბეჟანიძე, ფერად-ბეგ ბეჟანიძე, სულეიმან-ბეგ ბეჟანიძე, სანჯაღ-ბეგ აბაშიძე, ჰუსეინ ქათამაძე, ხიმშიაშვილები და სხვები.

გ. კაიკაციშვილმა და დ. ნიჟარაძემ ქართველი ინტელიგენციის კეთილი რჩევის წყალობით შვილები გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ოდესის უნივერსიტეტში გაგზავნეს (გ. კაიკაციშვილის შვილმა უნივერსიტეტი ვერ დაამთავრა. იგი მალე გარდაიცვალა).

ქართველ საზოგადოებაში ებმებოდნენ არა მარტო აღა-ბეგები, არამედ გლეხებიც, რომლებიც ამ საზოგადოებისაგან ყველა საჭირბოროტო საკითხზე ღებულობდნენ ახსნა-განმარტებასა და დახმარებას. ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწე მელიტონ ლორთქიფანიძე განსაკუთრებით გულთბილად ღებულობდა აჭა-

1 დ. კლდიაშვილი, მოთხრობები და პიესები, 1947 წ., გვ. 717-718.

რელ გლეხობასა და ყოველგვარ საკითხზე აძლევდა მათ რჩევა-დარიგებას. დ. კლდიაშვილი აღნიშნავს, რომ მას ხუმრობით „საქართველოს კონსულს“ ვეძახდითო.

ბათუმის ინტელიგენციის ეს წრე თავისი შემადგენლობით, მიზნებითა და იდეებით ვერ იყო ერთიანი. მათში ხშირად წარმოებდა ბრძოლა ეროვნულ და სხვა საკითხებზე. ბათუმის ერთ-ერთი კონფერენციის მსგავს კრებაზე, რომელსაც დ. კლდიაშვილი ხელმძღვანელობდა, საშა წულუკიძეს გაულაშქრია იმათ წინააღმდეგ: „როცა საშა წულუკიძემ აიღო სიტყვის ნება, მან წარმოთქვა, რომ ეს დღევანდელი ჩვენი ლაპარაკი უქმიაო, ჩვენ ვერ შევთანხმდებით, რადგან სხვადასხვა პოლუსზე ვდგევართო“.[1]

ზემოხსენებული საზოგადოება ხელმძღვანელობდა ყოველგვარ კულტურულ წამოწყებას და მისი წარმომადგენლები ყოველი საკეთილდღეო მოვლენის ინიციატორები იყვნენ. მაგალითად, 1902 წლის 29 აპრილს ქალაქის საბჭოს მორიგ სხდომაზე სმოსანმა ნ. ჯაყელმა მოითხოვა რუსეთთან აჭარის შეერთების 25 წლისთავის აღსანიშნავად სტატიების კრებულის გამოცემა. საბჭომ ნ. ჯაყელს მიანდო კრებულის პროგრამის შედგენა და საბჭოსათვის წარმოდგენა. შემდეგ, როგორც ვიცით, აღნიშნული კრებული Батум и его окрестности დერჟავინის რედაქციით 1906 წელს გამოვიდა, რაც დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს აჭარის ცხოვრებაში. ამავე სხდომაზე გადაწყდა რუსეთთან აჭარის შეერთების აღსანიშნავად ბათუმში აეგოთ თეატრისა და ბიბლიოთეკის შენობები.

ბათუმში არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები ვერ აკმაყოფილებდა ხალხის მოთხოვნებს. გაზეთ „კვალის“ კორესპონდენტი სამართლიანად აღნიშნავდა ამის შესახებ: „გონების გასართობ დაწესებულებებს ხომ ეს ერთი ხანია ბათომლები მოკლებული ვართ. თუმცაღა ჩვენმა მუნიციპალიტეტმა აღგვითქვა თეატრისა და სამკითხველოს შენობის აგება, მარა ამას ბედნიერი მოესწრება. ჩვენ კი დღეს დღეობით არც თეატრი გვაქვს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ რკინის თეატრს, რომელიც სამზარეულოს უფრო გავს, ვიდრე თეატრს) და არც სამკითხველო. ერთადერთი სამკითხველო იყო და ისიც უპატრონობის გამო დაიხურა.

---

1 დ. კლდიაშვილი, მოთხრობები და პიესები, 1947 წ., გვ. 725-726.

ეხლა მკითხველი იკითხავს, რას შობიან ბათომლები, როგორ ატარებენ თავისუფალ დროსო. აი, როგორ, ვინც უაზრო ცხოვრების თაყვანისმცემელია, კვირა უქმე დღეებში ყავახანებში აღამებენ, სადაც შეექცევიან ნარდსა და დომინოს. დანარჩენი კი ქუჩა-ქუჩა დადიან და ამთქნარებენ. ამნაირად, ჩემო მკითხველო. შენ შეგიძლია ისე იცხოვრო ბათომში, თუ შენ თითონ არ იწერ გაზეთს, ვერსად იშოვნი წასაკითხავად, „ჩერნ. ვესტნ," და მარტო ეს გაზეთი თუ იკითხე, ხომ ფილოსოფოსი გახდები".[1]

როგორც ვხედავთ, გაზეთი მკაცრად აკრიტიკებს ქალაქის გამგეობას და მოითხოვს, რომ მიღებული დადგენილება დაუყოვნებლივ შესრულდეს და ხალხს შეექმნას კულტურის კერა.

იგი მოითხოვს: ჩვენ ნარდი და დომინო არ გვინდა, არამედ თეატრი, სამკითხველო და ქართული გაზეთი გვჭირდებაო.

აჭარამ რუსეთთან შეერთების შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის საქმეში.

1905 წლის რევოლუციის გამოძახილი ბათუმის ოლქში

სულთანის რეჟიმის დროს ბათუმი წარმოადგენდა არა ქალაქს, არამედ პატარა, მიყრუებულ ნავმისადგომს. აქ მრეწველობა სრულებით არ იყო განვითარებული და, ბუნებრივია, არც მუშათა კლასი იქნებოდა. რუსეთთან აჭარის შეერთების შემდეგ ბათუმში ვითარდება მრეწველობა და ჩნდება მუშათა კლასიც.

ბათუმი მრეწველობის განვითარების მიხედვით ამიერკავკასიაში მეორე ადგილს იჭერს და ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ვითარდება წინააღმდეგობა ანტაგონისტურ კლასებს — პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას—შორის.

ბათუმის მრეწველობის განვითარებაში პირველი ადგილი ეკუთვნის ნავთობის საწარმოებს. ბათუმის ნავთობმრეწველობის განვითარების დამწყებად შესაძლოა ჩაითვალონ პოლაშკოვსკი და ბუნგე. პოლაშკოვსკიმ მოაწყო ნავთის ბიდონების დასამზადებელი ნახევრად კუსტარული ქარხანა, ხოლო 1882 წელს ბუნგემ —

1 გაზეთი „კვალი", 1902 წ., № 31.

მცირე მოცულობის ნავთის ჩამომსხმელი ქარხანა. იწყება ნავთის მარაგის დაგროვება და შენახვა რეზერვუარებში. შემდეგ კი ხდება დაგროვილი მარაგის გასაღება.

ზემოხსენებულმა პატარა ქარხნებმა ვერ დააკმაყოფილეს მოთხოვნილება ნავთის პროდუქციაზე; ეს ქარხნები მიჰყიდეს კასპიისა და შავი ზღვის ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოებას. მათი რეკონსტრუქცია 1884 წ. მოხდა.

ბათუმის ბუნებრივი ნავსადგურის რეკონსტრუქცია დიდი ხანია აინტერესებდა რუსეთის შავი ზღვის სანაოსნო-სავაჭრო საზოგადოებას; მისი პრაქტიკული განხორციელება დააჩქარა ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის გაყვანამ და ნავთსადენი მილებით ბათუმის ბაქოსთან დაკავშირებამ. ნავსადგურის რეკონსტრუქცია დაიწყო 1884-1885 წ. წ.

ბათუმის ნავსადგური ტექნიკური გაუმჯობესების შემდეგ შავ ზღვაზე პირველობას ჩემულობდა.

ნავსადგურთან ახლო-მახლო დაიწყეს დიდი მშენებლობანი. იმ ადგილს, სადაც ფაბრიკა-ქარხნები და სავაჭროები იყო განლაგებული, ეწოდებოდა „ნოვისვეტი“.

ბათუმში ამ დროისათვის მუშაობას იწყებენ სიდერიდისის, მანთაშევის და კომპანიის ქარხნები, ხაჩატურიანცის სანავთე ყუთების ქარხანა; შემდეგ იხსნება ყველაზე მსხვილი ქარხანა როტშილდისა და სხვა მრავალი.

ნავთობის დამუშავება და მისი რეზერვუარებში შენახვა ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა. 1883—1902 წლებში როტშილდის საწარმოების 25 რეზერვუარში ინახებოდა 4.258.293 ფუთი ნავთი, ძმების ნობელების 22 რეზერვუარში — 2.962.526, მანთაშევისა და კომპანიის 11 რეზერვუარში — 2.449.940, შიბაევის 6 რეზერვუარში — 1.075.335, ძმების ცოვიანოვების 2 რეზერვუარში — 254.294 ფუთი; ვაგსტაფი და ბლეის, ხაჩატურიანცის, სიდერიდისის, ბურჰანდტის, ნავთ-ზეთოვანი ნაწ. ამხანაგობა, შუტცისა და ციმბერმანის, მალარის, რილსკის, მატიევიჩის, კასპიის ამხანაგობის, თუმაიევის. ვაჩიანცის, შხიანცის, ნანოიანცის, რიხნერის, ამიერკავკასიის რკინიგზისა და სხვა საწარმოების 128 რეზერვუარში — 25.635.139 ფუთი.[1]

1 Батум и его окрестности, 1906 г., стр. 299.

1902 წლისათვის ბათუმში ყოფილა 22-ზე მეტი ქარხანა და ფაბრიკა, რომლებიც ნავთით ვაჭრობა-მრეწველობას ეწეოდნენ.

ბათუმის ოლქში საკმაოდ იყო განვითარებული სპილენძის მადნის საბადოების დამუშავება. მაგალითად, თუ 1895 წელს ამოღებული მადნის რაოდენობა აღწევდა 54.200 ფუთს, 1901 წლისათვის იგი უდრიდა 1.052.208 ფუთს.

სპილენძის ქარხნებში ძირითადად ჩაბმული იყვნენ ბათუმის მუშები, ახლო-მახლო რაიონებიდან ჩამოსული გლეხები და აგრეთვე ოსმალეთიდან გადმოხვეწილი სომხები. ქარხნებს ეტანებოდნენ უმიწო და მცირე მიწის მქონე ღარიბი გლეხები, რომლებსაც თავიანთი სოფლის მეურნეობა ვერ აკმაყოფილებდათ.

საქართველოში ჯერ კიდევ 1896-98 წ. წ. რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ რუსი სოციალ-დემოკრატები ლუზინი და ფრანჩესკო, უფრო გვიან კურნატოვსკი და სხვები. ისინი საქართველოს ქალაქებში ქმნიდნენ მუშათა წრეებს, ასწავლიდნენ მუშებს „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“ და რევოლუციური ბრძოლისათვის ამზადებდნენ.

1897 წლის ზაფხულს „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ პირველად დაიბეჭდა ბათუმში ქართულად ჰექტოგრაფზე.“[1]

აჭარის რაიონების მოსახლეობა ნაკლებად ეტანებოდა ფაბრიკა-ქარხნებს. ეს მათი სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების თავისებურებით აიხსნებოდა. ოსმალეთის მრავალსაუკუნოვანმა ბატონობამ მძიმე დაღი დაასვა მათი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს.

ისლამის ბანგით გაბრუებული გლეხობა აღა-ბეგებისა და ხოჯა-მოლების გავლენის ქვეშ იყო. ბეგების ძალადობისა და ხოჯების აგიტაციის შედეგად გლეხთა უმრავლესობა მიჯაჭვული იყო სოფლის მეურნეობაზე და მათ ქალაქის მრეწველობაში ჩაბმის საშუალება არ ჰქონდათ. ისლამის მოციქულები ყოველდღე უჩიჩინებდნენ ხალხს, რომ მუსლიმანს ქრისტიანებთან ურთიერთობა არ უნდა ჰქონდესო, თქვენ რომ ქარხანაში წახვალთ, იქ დაუახლოვდებით ქრისტიან მუშებს, თვით ქარხნის

1 ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, 1954 წ. გვ. 379.

უფროსები ქრისტიანები არიან და თქვენ თანდათან გაქრისტიანდებით, გაითქვიფებით მუშებში და დაკარგავთ მუსლიმანობასო.

ამის გამო აჭარელთა რიცხვი ფაბრიკა-ქარხნებში ამ დროისათვის ძლიერ მცირე ყოფილა. შემდგომში, აჭარის სოფელში გლეხთა რეფორმებისა და კლასთა ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით აჭარელ გლეხთა გარკვეული ნაწილი მაინც იწყებს ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობას.

წინა საუკუნესთან შედარებით აჭარაში მე-20 საუკუნის გლეხთა მოძრაობას უფრო მძაფრი ხასიათი ჰქონდა. რსდმპ ხელმძღვანელობით მეფის რუსეთის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის საერთო ფონზე გურიის გლეხთა აჯანყება გამოირჩეოდა. გლეხთა აუტანელმა მდგომარეობამ, ეკონომიურმა ჩაგვრამ და პოლიტიკურმა უუფლებობამ უფრო გაამწვავა მათი დამოკიდებულება მემამულეებთან. თანდათან ძლიერდებოდა გლეხობის რევოლუციური აქტივობა.

გლეხობას მცირე რაოდენობით ჰქონდა სათესი ფართობები, საძოვრები, აჭარის ქვემო რაიონებში კარგ მიწებს ცარიზმის ბატონობის პირობებში კაპიტალისტ-წამომწყებნი დაეუფლნენ, მთიან რაიონებს კი ისევ აღა-ბეგები ფლობდნენ. მიწები და საძოვრები მათ ხელში იყო თავმოყრილი, გლეხების გადასახადები მატულობდა, სავაყუფო (სამეჩეთო) მიწებით სარგებლობდნენ ხოჯა-მოლები, რომლებიც აგრეთვე ბეგების მსგავსად უწევდნენ ექსპლოატაციას გლეხებს. ძველებური ექსპლოატაცია ე. წ. „ნადის" ფორმით ხორციელდებოდა.

ბეგებისათვის მიწის დამუშავება-გათოხნა, გამარგვლა, სიმინდის მოტეხა, მომკა, ჩალის მოჭრა, თივის აღება, შეშის მიტანა, პირუტყვის გამოზამთრება და აუარებელი სხვა სამუშაო მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში გაღატაკებული გლეხთა ფენები აჭარის რაიონებიდანაც მიდიოდნენ ბათუმის ქარხნებში სამუშაოდ, ანდა მოჯამაგირობდნენ.

გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის გლეხობა მასობრივად ეტანებოდა ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებს. ყოველწლიურად 17-18 ათასი მარტო გურული გლეხი იღებდა პასპორტს და მიემგზავრებოდა ბათუმში. „უკანასკნელ წლებში გურიაში თურმე ყოველწლიურად 18.000 პასპორტი აუღიათ. ეს ხომ მეხუთედია.

მთელი გურიისა. უმეტესობა აქვე ბათუმში ზოულობს სამუშაოს და მხოლოდ მცირე ნაწილი მიდის სხვა ქალაქებში."[1]

სახელმწიფო გადასახადებთან ერთად გლეხობას კისერზე აწვა თავადაზნაურებისა და სამღვდელოების შესანახი ხარჯები. სოფლად დაწყებული გლეხთა მოძრაობა უკვე ერწყმოდა ქალაქში განვითარებულ რევოლუციურ ბრძოლას.

1902 წლის გაფიცვებით დაშინებული გუბერნატორი და ქარხნის მეპატრონენი აძლიერებენ პოლიციას, დამატებით ხსნიან ერთ საგუშაგო უბანს ბათუმის ნავსადგურის ტერიტორიაზე. ბათუმში მაშინ 4 უბანი ყოფილა, ერთიც დაუმატეს და გამხდარა 5 უბანი. პოლიციის დასახმარებლად ამ უბანში კაზაკთა რიცხვი საგრძნობლად გაზარდეს.

1902 წლის 9 მარტს, ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით რსდმპ ბათუმის კომიტეტმა ბათუმში მოაწყო მუშათა გრანდიოზული დემონსტრაცია.

ამიერკავკასიის ხალხების რევოლუციური ბრძოლა მოძმე რუსი ხალხის მეთაურობით არის დიდი მოვლენა კომუნისტური მოძრაობის მატიანეში. 9 მარტის მასობრივ დემონსტრაციას გაზეთი „ისკრა" მეტად მაღალ შეფასებას აძლევდა:

„Ни в одном из старых центров рабочего движения, имеющих решающее значение в нашей борьбе, в Петербурге, в Москве, Киеве, Харькове, Одессе, не удалось организовать хоть сколько-нибудь внушительной демонстрации за весь агитационный период 1902—1903 гг.

...Батумский Комитет составляет в этом отношении исключение; не потому ли маленький Батум может себя поздравить с массовой демонстрацией 9 марта текущего года".[2]

ჯერ კიდევ ადრე გაზეთ „კვალში" აღწერილი იყო ბათუმის მუშების აუტანელი მდგომარეობა: „ქალ. ბათუმი. რამდენადაც ეს ჩვენი ბათუმი იზრდება, ფართოვდება და ეკონომიურად ვითარდება, იმდენად ცხოვრების წყაროები ძვირდება და ცხოვრების მასალის შეძენა, როგორიც არის ოთახი, სასმელი, საჭმელი, ტანისამოსი, წეშა და სხვა ძნელი ხდება. ძნელი ხდება არა იმ მცხოვრებლებისათვის, ვინაც ბედმა არგუნა ბათუმში სახლების, ადგილებისა და სავაჭროების მოპოება, არამედ იმათთვის, ვისაც

---

1 გაზეთი „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2758.
2 Газета „Искра". 1903 г. № 43. стр. 5-6.

ცხოვრების პირობების სახსრად თავისი მარჯვენის მეტი არაფერი აბადია, რომლებიც ულმობელმა ცხოვრების კითხვებმა, ვინ იცის საიდან გადმოგვყარა ლუკმაპურის საძებნელად.

დიახ, ამ უკანასკნელთა მდგომარეობა მინდა გავაცნო მკითხველთა საზოგადოებას, გავაცნო მდგომარეობა იმ ხალხისა, რომელთაც ათასგვარ მოთხოვნილებამ მიატოვებინა დედ-მამა, ცოლ-შვილი, ტოლი და ამხანაგები და აქ, ჩვენს ბათუმში, მექარხნის წინ თავი ამოაყოფინა. ეს უკანასკნელი გახლავთ ბათუმის მუშები, რომელთა მდგომარეობა დღითი-დღე ეცემა და მიწასთან სწორდება. ძალიან იშვიათია აქ ისეთი მუშა, რომ მას ჰქონდეს რიგიანი ტანისამოსი, სადგომი სახლი, ლოგინი და სხვა აუცილებელი საჭირო ნივთები, მაგ., საცვალი, სარეცხი, პირსაბანი, ტაშტი, დოქი, პირსახოცი, საკარცხალი, სკამი, მაგიდა და სხვა, ურომლისოდ დღეს, მგონია, ველურებიც არ ცხოვრობენ აფრიკაში."[1]

მუშების მაწინდელი ხელფასი მინიმალურ მოთხოვნილებებსაც კი არ აკმაყოფილებდა. მუშა, რომელიც დღეში იღებდა 60 კაპიკს, სამუშაოს თუ ერთი კვირით იშოვიდა, მეორე კვირას უმუშევარი რჩებოდა და მას ერთი კვირის ხელფასი 3 მანეთი და 60 კაპიკი მეორე კვირისათვის უნდა გამოეზოგა. მათ ისედაც მცირე ხელფასს თან ერთვოდა ათასგვარი ჯარიმა, რაც მუშებს ხელფასს უნახევრებდა. მუშების ჰიგიენურ პირობებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. როტშილდის ქარხნის მუშები მუშაობდნენ ისეთ ადგილას, სადაც საპირფარეშოს მილიდან წყალი გამოდიოდა, ამ ქარხანაში კი ყველა ქარხანასთან შედარებით „უკეთესი" ჰიგიენური პირობები ყოფილა.

„აქედან მკითხველი საზოგადოებისათვის ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი ჰიგიენა იქნებოდა სხვა ქარხნებში დაცული, რომლებზეც არაფერს არ ვლაპარაკობთ, რადგან როტშილდის ქარხანა აქ სისუფთავის მაგალითად ითვლებოდა როგორც პოლიციელების, ისე სანიტარების თვალში".[2]

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან აჭარის შეერთების შემდეგ ბათუმში სანიტარული მდგომარეობა შესამჩნევად გამოსწორ-

1 გაზეთი „კვალი", 1898 წ., № 51.
2 იქვე.

და, 1900 — 1905 წლებში იგი მაინც ვერ მდგარა სახარბიელო დონეზე. ექიმი მ. სეგალი ამის შესახებ წერს:

«Дома густо переполнены квартирантами, можно сказать набиты жильцами, как сельди в бочке, и они подобно таким известным по своим выдающимся антисанитарным качествам домов, как Курт-оглы, Михаилиди, Таирова и др. встречаются не в каких либо заброшенных углах города, а на самых заметных его пунктах».[1]

ბათუმში სისტემატურად ეწყობოდა მუშათა გაფიცვები. „1903 წლის შემოდგომაზე ბათუმში მოეწყო 30 გაფიცვა, რომელთა დიდი ნაწილი მუშათა გამარჯვებით დამთავრდა."[2]

1904 წლის 3 იანვარს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ბათუმის ორგანიზაციამ გამოუშვა პროკლამაციები, რომლებიც შეეხებოდა ოზურგეთის მაზრაში მოქმედ ჯაშუშებს. ამ პერიოდში პოლიცია და მისი აგენტები ქარხნებში და ფაბრიკებში დაეძებდნენ სხვადასხვა პროკლამაციებს და არალეგალურ ბროშურებს. 5 იანვარს შუტცისა და ციმბერმანის ქარხნის საგუშაგო შენობის სახურავზე მათ იპოვეს მთელი შეკვრა, რომელშიც აღმოჩნდა 200-ცალამდე სხვადასხვა პროკლამაცია და ბროშურა.

პირველ მარტს გამოვიდა და გავრცელდა რსდმპ ბათუმის კომიტეტის პროკლამაცია რუსულ და ქართულ ენებზე, მიმართული რუსეთ-იაპონიის ომის წინააღმდეგ.

1904 წლის 2 თებერვალს, რუსეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებით, ბათუმში მოეწყო ე. წ. „პატრიოტული" მანიფესტაცია. შავრაზმელები და ხუცები საეკლესიო ბაირაღებითა და ხატებით დადიოდნენ ქუჩებში და გაჰყვიროდნენ: „ღმერთო, დაიფარე მეფეო".

რსდმპ ბათუმის კომიტეტმა მოაწყო საწინააღმდეგო დემონსტრაცია, რომელშიც 1.500-ზე მეტმა მუშამ მიიღო მონაწილეობა. როცა შავრაზმელები გალობდნენ საეკლესიო ლოცვებს, მუშები ხმამაღლა გაიძახოდნენ:

„ძირს თვითმპყრობელობა!" მათ წითელი დროშებით ხელში იერიში მიიტანეს შავრაზმელებსა და პოლიციელებზე. ამრიგად, „პატრიოტული" მანიფესტაცია გადაიქცა მათ წინააღმდეგ ხალხმრავალ დემონსტრაციად.

---

1 Д-р Сегаль, Жилища рабочих г. Батуми, меры к оздоровлению их. Кутаис, 1903 г., стр. 11.

2 ვ. ხაჭაპურიძე 1905 — 1907 წლების რევოლუცია საქართველოში, 1955 წ., გვ. 52.

1904 წელს ბათუმის ქარხნებში ცნობილი ზუბატოვის მსგავს პოლიტიკას ატარებდა ბათუმის პოლიცმეისტერი ჩიქოვანი. მან ბევრი მუშა იმსხვერპლა. 4 თებერვალს ბათუმის გუბერნატორმა გასცა განკარგულება იმ მუშების დაპატიმრებისა და გადასახლების შესახებ, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ „პატრიოტული“ მანიფესტაციის ჩაწლასა და მონაწილეობდნენ მანთაშევის ქარხნის გაფიცვებში.

რევოლუციურ მოძრაობაში მოსწავლე ახალგაზრდობაც მონაწილეობდა. 1904 წლის იანვარში ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს გუბერნატორისათვის გადაუგზავნია სამი ამანათი, რომლებშიც აღმოჩენილა პროკლამაციები მოსწავლე ახალგაზრდობისადმი. პროკლამაციები გამოცემული იყო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ. მსგავსი პროკლამაციები მასობრივად ვრცელდებოდა მოსწავლე ახალგაზრდობაში.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პროკლამაციებს და არალეგალურ ლიტერატურას ფოსტით უგზავნიდნენ გუბერნატორს, პოლიციას, ჟანდარმერიასა და ცალკეულ მოხელეებს. პროკლამაციებს ეკლესიებშიც ინახავდნენ, რომ პოლიციას ეპვი არ მიეტანა. მაგალითად, 1904 წლის აპრილში პოლიციას ეკლესიის გალავანში აღმოუჩენია 142 ცალი პროკლამაცია ქართულ და რუსულ ენებზე. ასევე აღმოჩენილი იქნა ბათუმის რკინიგზის სადგურზე 1.571 ცალი პროკლამაცია ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

აჭარელ გლეხთა შორის პოლიტიკური მუშაობის გაშლის შესახებ როტშილდის ქარხნის ყოფილი მუშა ოსმან გურგენიძე მოგვითხრობს: „მე შევარჩიე საიმედო პირები აჭარელი გლეხებიდან და მოვიწვიე მათი კრება... კრებას ესწრებოდენ სოფელ ყარადერედან (ახლა სოფელი განთიადი. ხ. ა.) მაჭუტაძე ხასან, მენაბდე ალი, ყოროლისთავიდან ღელეყვა ახმედ, ორთაბათუმიდან ამჟამად (სოფელი ჩაისუბანი ხ. ა.) ხალვაში ოსმან, აგარიდან სარჯველაძე ახმედ და სხვები. კრება ჩატარდა... გადავწყვიტეთ სოფლად წრეები ჩამოგვეყალიბებინა, პროკლამაციები და პოლიტიკური ლიტერატურა გაგვევრცელებინა. ჩვენ შევძელით ზემოხსენებული გადაწყვეტილების განხორციელება — წრეები ჩამოყალიბებულ იქნა, პროკლამაციებს ვავრცელებდით“.[1]

მასობრივად დაიწყო პროკლამაციების გავრცელება აჭარისწყალზე, ქობულეთში, ქედაში, მახინჯაურში და სხვაგან.

1 ბათუმის რევოლუციის მუზეუმი, ფონდი № 5.

ზემოთ აღნიშნული პირების გარდა რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმული იყვნენ რიგი აჭარელი ამხანაგებისა — სერათ ბაკურიძე, ალი კორძაია, ხასან, რასიმ და ახმედ ჩიჯავაძეები, ალი და სულეიმან მიქელაძეები, სულეიმან მანელი-ოღლი (მანელიშვილი), ხასან შარაშიძე, სულეიმან ბარამიძე, მემედ უსტი-ოღლი (ნიკოლოზ სანაძე), ალი ასათიანი, ხუსეინ შაქაროღლი და სხვები.

აჭარელი გლეხების გარევოლუციონერების საქმეში დიდი როლი შეასრულეს ზემო აჭარაში გურიიდან გადმოსულმა პროპაგანდისტებმა, რომლებიც აჭარლებს მოუწოდებდნენ უარი ეთქვათ გადასახადებზე. ჯერ კიდევ ადრე, 1904 წლის 22 მაისს, პოლკოვნიკი სლავოჩინსკი ამის შესახებ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს წერდა:

„დამატებით, პირადად თქვენი აღმატებულებისათვის, წარმოდგენილი მოხსენებისა, იმის შესახებ, რომ მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა გურიიდან ცდილობს შეიჭრას აჭარაში, მოგახსენებთ, რომ ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობების მიხედვით, იაილებზე და ჭვანა-ღორჯომის ხეობებში ჩნდებოდნენ ვიღაც ბნელი პიროვნებები, რომლებიც ურჩევდნენ მცხოვრებლებს არ გადაეხადათ გადასახადები და საერთოდ არევ-დარევა შეჰქონდათ მოსახლეობაში, მაგრამ ჯერჯერობით ეს ცდები უშედეგოდ დარჩა, თუმცაღა, ყოველგვარი მოქმედილი საუბარი მოსახლეობაში სწარმოებს განსაკუთრებით ქვემო აჭარის მოსახლეობას შორის, სადაც კრამოლის ბუდეს წარმოადგენს სოფლის მწერლების — ისევ გურულების უაზრო ლაყბობა. სათანადო ზომები შემდგომი მეთვალყურეობისათვის მიღებულია და შემდგომში თავის დროზე მოვახსენებ თქვენს აღმატებულებას“.[1]

ორი დღის შემდეგ, 1904 წლის 24 მაისს, ზემო აჭარის როტმისტრი ჯემალ-ბეგ აჭარელი (ხიმშიაშვილი) ბათუმის გუბერნატორს უდასტურებს ზემოთ მოყვანილი წერილის შინაარსს და დასძენს, რომ გურიიდან გადმოსულები მოსახლეობას ურჩევენ საძოვრების გადასახადები არ გადაუხადოთ გურიის თავადებსო, მთელი მიწა მათ ჩამოერთმევა და გადმოგეცემათ თქვენ, ღარიბ გლეხებსო. „ამავე წელს გვიან შემოდგომაზე ღორჯომის ხეობაში ჩამოსულა ვიღაც ქართველი და მცხოვრებლებს უკითხავდა პროკლამაციებს, რომლის შინაარსი, სხვათა შორის, იმაში იყო, რომ

1 აჭარის სახ. არქივი, ფონდი № 13, საქმე 78, ფ. 4.

მცხოვრებლები ტყუილ-უბრალოდ იხდიან ხაზინაში გადასახადებს, ვინაიდან ეს ფულები მეფის ოჯახისა და მისი მოხელეების შენახვაზე იხარჯება, რომ ესენი ხალხს არ სჭირია, მთელი ხალხი ყველაფერში ურთიერთშორის თანასწორი უნდა იყოს. ამასთან მან მცხოვრებლებს უჩვენა რაღაც ქაღალდი და ყველას წინადადება მისცა მასზე ხელი მოეწერათ."[1]

მიუხედავად ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომებისა, გლეხობა სახელმწიფო გადასახადებზე მაინც უარს ამბობდა.

1904 წელს რსდმპ ბათუმის კომიტეტი მუშებს შეიარაღებული გამოსვლისთვის ამზადებდა და იძენდა იარაღს: თოფებს, დამბაჩებსა და ვაზნებს. იარაღს არა მარტო ადგილობრივად აგროვებდნენ, იგი გამოწერილი ჰქონდათ სხვადასხვა ქალაქებიდან, მაგალითად, 1904 წლის 8-9 აპრილს ქერჩიდან ელოდნენ 1.000 ცალ თოფს. იარაღი უნდა გადმოეტვირთათ ბარცხანა-მახინჯაურს შორის, ანდა მახინჯაურ-ქობულეთს შორის იალქნიანი გემიდან. როგორც ჩანს, პოლიციამ გაიგო ეს. ხოლო შემდეგ, იმავე პოლიციის ცნობით, აღნიშნული იარაღი 16 აპრილს ქობულეთში გადაუტვირთავთ. ბათუმის კომიტეტს იარაღი ჩაუბარებია სანდო პირისათვის. ჟანდარმერიის ცნობით, იარაღი ინახებოდა ქობულეთის მცხოვრებ ხუსეინ-აღა შაქარ-ოღლისთან. პოლიციას ეს გაუგია და 30 აპრილს 42 კაცის შემადგენლობით თავს დასხმია ხ. შაქარ-ოღლის, გაუჩხრეკიათ ბინა, მაგრამ იარაღი ვერ აღმოუჩენიათ.

მაგრამ უფრო ადრე, 26 აპრილს, პოლიციამ ხელში ჩაიგდო 12.000 რევოლვერი ვაზნებით, რომელიც სევასტოპოლიდან გემ „პუშკინით" მოიტანეს.

აჭარის სახელმწიფო არქივში დაცულია ცნობა, რომ 18 ოქტომბერს ბათუმის ნავსადგურში გასინჯეს ერთი საეჭვო ყუთი, რომელშიც აღმოაჩინეს წიგნებს გარდა, 1.075 ვაზნა. აღნიშნული ვაზნები და წიგნები, რომელიც ოდესიდან მოდიოდა, ეკუთვნოდა რსდმპ თბილისის კომიტეტს.

1904 წელს ბათუმის კომიტეტი ეწეოდა მუშაობას აგრეთვე სამხედრო ნაწილებში და ახალწვეულებთან, რომლებიც ჩაბმულ იქნენ რევოლუციურ მოძრაობაში.

---

1 აჭარის სახ. არქივი, ფონდი № 13, საქმე 78, ფურც. 5-6.

12 ნოემბერს ოზურგეთის მაზრის უფროსი აფრთხილებდა ბათუმის სამხედრო გუბერნატორს, რომ 351 ახალწვეული, რომელიც ოზურგეთიდან ბათუმში მიდიოდა, ბათუმის მუშებთან ერთად ფიქრობს არეულობის მოხდენასო. ამასთან დაკავშირებით ბათუმის სამხედრო გუბერნატორი ბათუმის ციხე-სიმაგრის კომენდანტს აცნობებდა, რომ მიეღო წინასწარი ზომები. მიუხედავად ყოველგვარი ზომებისა, გაფიცვა და დემონსტრაცია მაინც ჩატარდა. გუბერნატორმა სპეციალური ბრძანებით 19—24 ნოემბრამდე აკრძალა მაგარი სასმელებით ვაჭრობა. ახალწვეულები მოითხოვდნენ მათ განაწილებას კავკასიის ფარგლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვით იმუქრებოდნენ. გუბერნატორს ეშინოდა და ახალწვეულთა თავიდან მოშორება უნდოდა. როცა ისინი გემში ჩასვეს, იქვე ახლო ბირჟაზე მუშებმა წითელი დროშა ააფრიალეს. ამასთან დაკავშირებით დაიწყო დიდი ძიება, მაგრამ ბაირაღის ამფრიალებელი ვერ ნახეს. კაზაკებსა და ახალწვეულებს შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ნავსადგურის მუშები აჯანყებისათვის ემზადებოდნენ, გემის დატვირთვა-გადმოტვირთვას თავიანთი სურვილისამებრ ატარებდნენ. ამასთან დაკავშირებით 1904 წლის 15 დეკემბერს ბრიტანეთის კონსულმა ბათუმის გუბერნატორს აცნობა, ნავსადგურში მუშების საქციელი შეუძლებელს ხდის გემების ნორმალურ დატვირთვა-გადმოტვირთვას, რომ გემები მთელი კვირაობით დგანან ნავსადგურში და დიდი ზარალი მოსდითო და მოითხოვდა აღედგინათ ნორმალური მდგომარეობა.

21 დეკემბერს, დესპინე შაფათავას დასაფლავების დღეს, სოუქსუს სასაფლაოზე მუშებსა და სტრაჟნიკებს შორის ძლიერი შეტაკება მოხდა.

ბათუმის მუშათა 1904 წლის მოძრაობა გამოძახილი იყო ბაქოს მუშათა 1904 წლის ისტორიული გაფიცვისა.

1905 წლის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ თეზისებში ვკითხულობთ: „რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუცია იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია იყო“.

როგორც ცნობილია, 1905 წლის 9 იანვრის „სისხლიანი კვირა“ რევოლუციის სიგნალი გახდა.

1905 წლის რევოლუციას ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა... „...1905 წლის „გენერალური რეპეტიცია“ რომ არა, 1917

წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა“.[1]

იანვრის შეიარაღებულ აჯანყებასთან დაკავშირებით რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი შეუდგა მზადებას სამხედრო კომისიების შექმნისა და თავისი წარმომადგენლების გაგზავნისათვის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში და ჯარის ნაწილებში. რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტმაც შექმნა ანალოგიური კომისიები, და შეუდგნენ რაზმების ჩამოყალიბებას. იწყება იარაღის შესყიდვა-შეგროვება, სამხედრო ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება და სხვა ღონისძიებათა შემუშავება. ბათუმსა და კულაშში მოაწყეს იარაღის დამამზადებელი სახელოსნოები. ამზადებდნენ ხელყუმბარებს, რითაც ამარაგებდნენ რაზმებს. ეჭვი რომ არ აეღოთ, იარაღი ჩამოჰქონდათ ტომრებით, რომლებშიაც ითქოს ფქვილი და სიმინდი იყო. გამოყოფილი იყო სპეციალური კომისიები, რომლებიც იარაღის შესაძენად აგროვებდნენ მოსახლეობაში ფულსა და სხვა ნივთებს.

ბათუმის მუშებმა 9 იანვრის სისხლიანი კვირის საპასუხოდ 16 იანვარს მოკლეს ცარიზმის ერთგული მსახური ლევან გერიელი. იგი დიდი ჯალათი იყო. 1904 წლის დეკემბრის გაფიცვების დროს მან ბევრი მუშა იმსხვერპლა. სწორედ ამიტომ მუშებმა მას ანგარიში გაუსწორეს.

ბათუმის ქარხნების მუშები მზად იყვნენ რევოლუციისათვის. 1904 წლის განმავლობაში ისინი სისტემატურად ემზადებოდნენ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბათუმის მუშები, ერთი მხრივ, მოქმედებდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობითა და მეორე მხრივ, შავი ზღვით უშუალოდ უკავშირდებოდნენ რსდმპ ცენტრს. ისინი რუსეთის მუშათა მოძრაობის კურსში იყვნენ. 1905 წლის 9 იანვრის დღეებში ბათუმის მუშათა კლასი უკვე მზად იყო გაფიცვებისათვის. მაგალითად, 1905 წლის 13 იანვარს ბათუმის გუბერნატორს ჰქონია ცნობა, რომ მუშები ემზადებოდნენ გაფიცვა-დემონსტრაციისათვის. აი, როგორი ცნობაა დაცული აჭარის სახელმწიფო არქივში: „უანდარმთა სამმართველოს უფროსმა როჟანოვმა აცნობა ბათუმის გუბერნატორს, რომ თანახმად აგენტურის ცნობისა, როგორც კი კარგი ამინდი დადგება, მოსალოდნელია მუშების საერთო გაფიცვა და დემონსტრაცია,

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 13, მე-4 გამოცემა, 1952 წ.

გამოსვლა მოხდება 8-საათიანი სამუშაო დღის ლოზუნგით. მუშების გამოსვლასთან დაკავშირებით არის ცნობა, რომ ადგილი ექნება გაფიცვას სხვადასხვა დაწესებულებებშიც".[1]

მეორე დღეს, 14 იანვარს, გაიფიცნენ რკინიგზის ლიანდაგის მუშები, დაწყებული ბათუმიდან სადგურ საჯავახომდე. ისინი მოითხოვდნენ დღიური ხელფასის გადიდებას ერთ მანეთამდე, ნაცვლად 60 კაპიკისა, ხოლო ცუდ ამინდში — ერთ მანეთსა და 50 კაპიკამდე.

16 იანვარს სიდერიდისის გემების მტვირთავი მუშები გაიფიცნენ. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას.

მუშების გამოსვლები და გაფიცვები ბათუმის ქარხნებში მასობრივ ხასიათს იღებდა. 17 იანვრის ცნობაში ნათქვამია, რომ დილის 7 საათზე მუშების ერთმა რაზმმა, დაახლოებით 200 კაცმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ბათუმის ქარხნების მუშები, ჩამოიარა მთელი ნავსადგური და ყველგან შეაჩერა მუშაობა.

ეს მუშები დღიურ ხელფასად ორ მანეთს მოითხოვდნენ.

18 იანვარს რკინიგზის ლიანდაგის მუშების გაფიცვა გრძელდება. რკინიგზის ჟანდარმი ატყობინებს უფროსს: ლიანდაგის შემკეთებელი მუშები გაიფიცნენ, მუდმივნიც და დროებითნიც, რომლებიც თვეში იღებდნენ 16 მანეთს, ითხოვენ 30 მანეთსო.

18 იანვრისათვის ძირითად ქარხნებში გაფიცვები მიმდინარეობდა. დაშინებული ბათუმის გუბერნატორი კავკასიაში მეფისნაცვალს დეპეშით სთხოვს სასწრაფოდ მოაწველოს კაზაკთა ასეული და ქვეითი ბატალიონი „წესრიგის დასაცავად".

საზღვარგარეთიდან მოსული რუსეთის სანაოსნო საზოგადოების გემი „აზოვი" უკან გაბრუნებულა ტვირთით. 18 იანვარს გაფიცულებს შეუერთდნენ რუსეთის სანაოსნო საზოგადოების თანამშრომლები, რომლებიც მოითხოვდნენ ერთდროულად ორი თვის ხელფასს და ბინის ქირის საფასურად თვეში 15 მანეთს. 18 იანვარს ბათუმში დიდი ამბები ხდება. ყველა ქარხნის მუშები აყენებენ თავიანთ მოთხოვნებს და იწყებენ გაფიცვას. ისინი სამუშაო საათების შემცირებასა და ხელფასის მომატებას, მუშათა უფლებების გაფართოებასა და სხვ. მოითხოვენ.[2]

---

1 აჭარის სახელმწიფო არქივი. ბ. ს. გ. კ., (ბათუმის სამხედრო გუბერნატორის კანცელარია), 1905 წ., ფონდი 13, საქმე 14.

2 აჭარის სახელმწიფო არქივი, ბ. ს. გ. კ., 1905 წ., ფონდი 13, ფ. 14, 36.

რკინიგზის მუშების გაფიცვა, როგორც ჩანს, 22 იანვარსაც გრძელდებოდა. ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ბათუმის სამხედრო გუბერნატორს სთხოვა, რომ გაფიცული მუშების ნაცვლად სამუშაოზე გამოსაყენებლად დაეხმარებინა ჯარისკაცები. იგი ჯარისკაცებს ჰპირდებოდა დღიურად 75 კაპიკის მიცემას, ე. ი. 15 კაპიკით მეტს, ვიდრე მუშებს. მაგრამ ჯარისკაცები გაფიცვასთან დაკავშირებით „წესრიგის" დასაცავად იყვნენ საჭირო და ამიტომ რკინიგზის უფროსმა უარი მიიღო.

ანალოგიური წინადადებები წარუდგინეს სხვა დარგის მუშებმა და უწყებების თანამშრომლებმა თავიანთ უფროსებს. მაგალითად, 19 იანვარს საბაჟოს მუშებმა არტელის მამასახლისს წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებები:

1. დღიური ხელფასი ყველა მუშას უნდა მიეცეს ერთი მანეთი და 80 კაპიკი.

2. სამუშაო დღე უნდა განისაზღვროს ღილის 7 საათიდან დღის 4 საათამდე, 2 საათის შესვენებით.

3. მუშათა რიცხვის რაოდენობა და სამუშაოს განაწილება თვით მუშებმა უნდა განსაზღვრონ.

4. უქმე დღეების წინა დღით მუშაობა გრძელდებოდეს დღის 3 საათამდე.

5. ყოველი ზედმეტი სამუშაო საათისათვის მუშებს 50 კაპ. უნდა მიეცეს და სხვ.

1905 წლის 25 იანვარს ბათუმში ცხადდება საერთო გაფიცვა. ამის წესახებ ბათუმის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში დაცულია ასეთი ცნობა: დილის 9 საათზე ქარხნებმა მისცეს სახანძრო განგაში, საყვირის ხმაზე ყველა ქარხნის მუშამ შეწყვიტა მუშაობა. 1 საათზე და 50 წუთზე ნიგოითიდან გამოსული მატარებელი ლიანდაგის დარაჯებმა გააჩერეს მე-10 ვერსზე და განაცხადეს, რომ ლიანდაგი აყრილიაო. მატარებელი დაბრუნდა უკან. გაფიცული მუშები ქარხნების ეზოებში მართავდნენ სახელდახელო მიტინგებს, მუშა-ორატორები მუშებს მოუწოდებდნენ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისაკენ, ფაბრიკა-ქარხნების მუშებს გარდა, დღის 12 საათზე იფთიაქებმაც შეწყვიტეს მუშაობა. გაიფიცნენ მეეზოვეები და მეეტლეებიც. გაფიცული მუშების წინააღმდეგ პოლიცია და კაზაკები აწარმოებდნენ ბრძოლას. იწყება შეტაკებები. ბათუმის ბოლშევიკები მუშებს მოუწოდებენ გაფიცვისაკენ, თავიანთი უფლების დასაცავად.

გაფიცვა 26 იანვარსაც გაგრძელდა. ბრძოლა გაფიცულ მუშებსა და კაზაკებს შორის უკვე ქუჩებში მიმდინარეობდა. მოსახლეობა მუშებს ეხმარებოდა. კაზაკები ჩხრეკდნენ მუშების ბინებს, აპატიმრებდნენ მათ, მოსახლეობის გაჩხრეკის დროს ითვისებდნენ ფულს და ნივთებს. ადგილი ჰქონდა შეტაკებებს, შეტაკების დროს დაჭრილი მუშები მიყავდათ საიდუმლოდ კერძო ბინებში და იქ მკურნალობდნენ. მუშები გაბედულად იბრძოდნენ ადგილობრივი პოლიციისა და ჟანდარმერიის წინააღმდეგ.

კავკასიის ოლქის სამხედრო შტაბის განკარგულებით ბათუმში გაფიცულთა წინააღმდეგ ქუთაისიდან გამოუგზავნიათ ერთი ბატალიონი, ყარსიდან — ორი ბატალიონი და შავი ზღვის პოლკის კაზაკთა ორი ასეული.

მოძრაობაში ჩაება მოსწავლე ახალგაზრდობაც.[1] ისინი ვერ ურიგდებოდნენ სასწავლებლებში შექმნილ რეჟიმს, ებრძოდნენ იქ გამეფებულ სწავლების მეთოდებს. მთელი რუსეთის ახალგაზრდობის მსგავსად ბათუმის მოსწავლეებმაც ხმა აიმაღლეს. ბათუმის ვაჟთა გიმნაზია აქტიურად გამოეხმაურა 1905 წლის რევოლუციას. აჭარის სახელმწიფო არქივში დაცულ საბუთებში ვკითხულობთ: „27 იანვარს, დღის 10 საათზე, ვაჟთა გიმნაზიის შენობის ზედა სართულზე, პირველი გაკვეთილის შემდეგ ატყდა უჩვეულო ხმაური. სამასწავლებლო ოთახიდან ამბის გასაგებად გამოვიდნენ ინსპექტორი და რამდენიმე მასწავლებელი, რომლებმაც შეამჩნიეს, რომ ყვიროდნენ მე-5 კლასის მოწაფეები. მოწაფეთა შორის წესრიგის დარღვევაში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ მოწაფეები მელენტი ზაქარიაძე, ალექსანდრე მელქაძე და ვალერიანე ჩიგოგიძე. ამათ შორის პირველი ორი ყვიროდა „ჩვენკენ“, უკანასკნელი კი აგინებდა ყველა იმ მოწაფეს, რომლებიც არ აჰყვნენ მათ საქციელს.

ზაქარიაძეს ხელში ეჭირა რევოლვერი და როდესაც დერეფანში მათ შეეჩეხა მასწავლებელი ხარიტონოვი, დაუპირა სროლა, მაგრამ ხარიტონოვმა მოასწრო დერეფნიდან გასვლა.

ამის შემდეგ ზაქარიაძემ გაისროლა ჭერში, შეამტვრია საოქტო დარბაზის ფანჯარა, შევიდა შიგ, დაუშინა ტყვიები კედელზე დაკიდებულ მეფის ნიკოლოზ მეორის სურათს. შემდეგ ამისა, და-

1 რევოლუციური მოძრაობაში მასწავლებელთა და მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ იხ. პედაგოგიური მეცნიერებათა კანდიდატის ე. ჭანტურიას შრომა. История школьного просвещения в Аджарии 1878 г. по 1938 г. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 206.

ამტვრია ჩარჩო და მეფის სურათი აქცია ნაფლეთებად. საკლასო ოთახებიდან მოწაფეები გარეთ გამოიყვანა. გიმნაზიის შენობას ჩაუმტვრია მინები და გაიქცა ქალაქისაკენ.

გაქცეულ ზაქარიაძეს დაედევნა რამდენიმე ჯარისკაცი, ზაქარიაძემ ამათაც ესროლა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს იგი დააპატიმრეს და გადასცეს საპოლიციო უბანს. რევოლვერით შეიარაღებული იყო მოწაფე ჩიგოგიძეც. ამ ამბის გამო დააპატიმრეს 6 მოწაფე, რომელთაგან ერთი ჯარისკაცების მიერ ხიშტით დაჭრილი აღმოჩნდა".[1]

პირველ თებერვალს ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეთა მოთხოვნები ქუჩაში გაკრული ნახეს. მოსწავლეების მოთხოვნილებაში ეწერა შემდეგი:

„ჩვენ ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეები ვუყენებთ გიმნაზიის დირექტორს შემდეგ მოთხოვნილებებს:

1. მომხდარი გაფიცვის გამო არ იქნეს დათხოვნილი, ან სხვა საშუალებით დასჯილი, რომელიმე მოწაფე.

2. დაუყოვნებლივ გათავისუფლებულ იქნან დაპატიმრებული ამხანაგები.

3 სასურველი მოპყრობა მასწავლებლების მხრივ მოწაფეებისადმი განსაკუთრებით გერცის, ყელტუხინის, ხარიტონოვის და დესანტ მარისა და კაზანსკის მხრივ.

4. ეკლესიაში მღვდელთ მსახურების დროს არაა სავალდებულო დასწრება.

5. თეატრში სიარულის სრული თავისუფლება.

6. სასწავლო გაღებსახადის შემცირება."[2]

9 თებერვალს მთავარმმართველის განკარგულებით გიმნაზია დაიხურა, შენობას იცავდა პოლიცია.

21 თებერვალს ვაჟთა გიმნაზიაში ქალაქის თავის ანდრონიკაშვილის თანდასწრებით მოსწავლეებმა ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები გაიმეორეს.

8 მარტს მარინეს სახელობის ქალთა სასწავლებლის ქართული სკოლის მოწაფეებმა შეწყვიტეს მეცადინეობა.

27 იანვარს ქუჩებში გამოფენილი იყო წითელი დროშები, ტელეფონის ბოძებზე, მავთულებზე და სხვაგან. მათზე წარწერილი

1 აჭარის სახელმწიფო არქივი, ბ. ს. გ. კ. ფონდი 13, ფ. 81, 124, 125, 1905 წ.
2 აჭარის სახელმწიფო არქივი, ბ. ს. გ. კ. ფონდი 13, ფ. 113, 1905 წ.

იყო: „ძირს თვითმპყრობელობა“. პოლიცია დაეძებდა დროშებს და ხსნიდა ბოძებიდან. კაზაკები ჩხრეკდნენ არა მარტო ქალაქის მცხოვრებლებს, არამედ სოფლებიდან ჩამოსულებსაც. ამავე დღეს კაზაკებმა ჯერ სცემეს, ხოლო შემდეგ გაძარცვეს ქედის რაიონის სოფელ ქედის მცხოვრები სეფერ კავაზ-ოღლი და სოფელ სიმონეთის მცხოვრები ემინ ხაჯი ოსმან-ოღლი, რომლებიც ბათუმში მარილის საყიდლად ყოფილან ჩამოსული.

29 იანვარს ქალაქის ელსადგურის მუშები სამუშაოზე არ გამოცხადდნენ, ქალაქის განათება შეწყდა. მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვები ნელდებოდა, ქარხნებში მუშაობა მაინც არ იყო ნორმალური.

10 თებერვალს ნავსადგურში კვლავ მღელვარებაა. „საზღვარგარეთელი სავაჭრო ფირმების წარმომადგენელთა კრებამ დაადგინა: უწესრიგობის გამო... დროებით შეწყდეს ბათუმში საზღვარგარეთელი გემების შემოსვლას.“[1]

ბრიტანეთის კონსულმა მიიღო უსახელო წერილი, რომელშიც ემუქრებოდნენ სიკვდილით იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის სავაჭრო ფირმები არ დააკმაყოფილებდნენ მუშების მოთხოვნილებებს. კონსულმა დახმარებისათვის მიმართა გუბერნატორს. ასეთივე წერილი მიიღო გერმანიის კონსულმაც.

როტშილდის ქარხნის მუშების გაფიცვასთან დაკავშირებით 15 თებერვალს ბათუმის გუბერნატორის თანაშემწე იაზიკოვი მივიდა როტშილდის ქარხნის მუშებთან გაფიცვის მიზეზების გამოსარკვევად და მათთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ მუშებმა არ ისურვეს მასთან საუბარი. მაშინ გაბრაზებულმა იაზიკოვმა ქარხნის კარებზე გამოაკრა შემდეგი განცხადება:

„გაფიცულ მუშებს წინადადებას ვაძლევ განაახლოს მუშაობა 17 თებერვლის 6 საათიდან. ვინც ამას არ შეასრულებს, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.“[2]

როგორც ცნობილია, სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა ბაქოში სთიშავდა რევოლუციის ერთიან ფრონტს. ბათუმში ასეთივე მოვლენის თავიდან ასაცილებლად რსდმპ ადგილობრივი კომიტეტი გარკვეულ მუშაობას ეწეოდა.

20 თებერვალს სომხების ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი ბაქოში სომეხ-თათართა შორის ხოცვა-ჟლეტის გამო. ეს დღე ბა-

1 აჭარის სახელმწიფო არქივი, ბ. ს. გ. კ., ფონდი 13, ფ. 219—221, 1905 წ.
2 დასახელებული საქმე.

თუმის კომიტეტს უნდოდა გამოეყენებინა სომეხ-თათართა დაძმობილების დღედ. ამ მიზნით სომხების ეკლესიის ეზოში მოეწყო მიტინგი. მიტინგზე გამოდიოდნენ ორატორები და ხალხს მოუწოდებდნენ ეროვნული სოლიდარობისაკენ. ამ დროს ვიღაცა პროვოკატორმა რევოლვერი გაისროლა და პანიკის შესაქმნელად ატეხეს ყვირილი: კაზაკები მოდიანო, რამაც ხელი შეუწყო მიტინგის არევას; არ დაბნეულან მხოლოდ მუშები, რომლებმაც იქვე მყოფ პოლიციელებს აყარეს იარაღი, აღმართეს წითელი დროშები და ქარხნებისაკენ გასწიეს, ბათუმის ფორტიდან სამჯერ გაისროლეს ზარბაზანი, რაც გახდა სიგნალი კაზაკებისათვის, რომ ისინი დასდევნებოდნენ დემონსტრანტებს, მაგრამ მათ დემონსტრანტებს ვერაფერი დააკლეს.

1905 წლის იანვარ-თებერვალში ხულოსა და ქედის რაიონებში იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები, სადაც ერთმანეთის ერთგულებაზე ფიცს დებდნენ და აყალიბებდნენ თავიანთ მტკიცე მოთხოვნებს მთავრობის წინაშე.

ამ მდგომარეობას გაზეთ „ივერიის" კორესპონდენტი შემდეგნაირად აგვიწერს: „ზემო აჭარაში ძმობა შეჰფიცეს ერთმანეთს იანვარშივე, ქვემო აჭარაში კი მხოლოდ თებერვლის პირველ რიცხვებში. შეჰფიცეს ერთმანეთს სხვაგანაც. 1 თებერვალს ქედაში შეგროვდა აუარებელი ხალხი გარშემო სოფლებიდან. ილაპარაკეს ერთმანეთში და გადაწყვიტეს დაეკეტათ ს. ცხმორისში კანცელარია. პირველში ნახეს 42 დაშაშხული ქათამი, ბლომად ნიგოზი და ვაშლი. აგრეთვე ქათმები და სხვა სანოვაგეც. მეორე კანცელარიაში ხალხი ყვიროდა — ჩვენ ლობიომ დაგვილპო მუცელი და ერთმა და ორმა რად უნდა შეჰჭამოს მთელი სოფლის შემოსავალიო."[1]

მიტინგის მონაწილეებს — აჯანყებულ ხალხს ოლქის უფროსი შეეკითხა: რატომ ხართ ასე აღელვებული, რას მოითხოვთო?

აჯანყებულმა გლეხობამ უპასუხა: „არ გვინდა სოფლის კანცელარიები, გვინდა ტყეში ხის მოჭრა ყველასათვის იყოს უსასყიდლოდ — ნებადართული, რატომ არისო ნავთზე ისეთი დიდი გადასახადი, რომ მის ყიდვასაც ვერ ვახერხებთო. ბოლოს დაუმატეს, არ იფიქროთ ვინმე კერძო კაცისაგან ვიყოთ დარიგებული. რასაც ვამბობთ საკუთარი მოფიქრებით ვამბობთო. ოლქის უფროსმა იკითხა: აბა ასე თუ არის, ადრე რატომ არ გითქვამთ არაფე-

1 გაზეთი „ივერია", 1905 წ., № 10.

რიო? ხალხმაც უპასუხა: არ გვინდოდა უსიამოვნების ჩამოგდება, მაგრამ შეგვაწუხა ხარჯის გადახდამ, გავლატაკდით და ხსნა არსაიდან სჩანს, ერთი აგვიხსენით და გვითხარით, საიდან შეუძლია სოფელს ამოდენა გადასახადის ატანა — სად არის შესაფერი მოგებაო.

ოლქის უფროსმა ყველას საიმედო დაპირება მისცა, მაგრამ ხალხმა არ იკმარა სიტყვიერი დაპირება, წინეთაც ხშირად გაგვიგონია ასეთი დაპირება და საქმით კი არაფერი არ გამოსულა მაინცო.“[1]

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ამბოხება ორგანიზებული იყო რსდმპ ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის მიერ, მიუხედავად ამისა, ისინი ოლქის უფროსს ეუბნებოდნენ: ჩვენი მღელვარება გამოწვეულია ჩვენი უკიდურესი მდგომარეობით და შთაგონებული არავისაგან არა ვართო.

საქართველოში გლეხთა აჯანყებასთან დაკავშირებით 1905 წლის მარტში მეფისნაცვალმა გენერალ-მაიორი ალიხანოვ-ავარსკი დანიშნა სამხედრო გუბერნატორად ქუთაისსა და ბათუმში.

პირველი მაისის აღსანიშნავად ურეხში მოეწყო დიდი საპირველმაისო მიტინგი, რომელსაც 2.000 კაცი დაესწრო. მაისში პოპოვისა და ჩაქვის საუფლისწულო მამულის პლანტაციის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა.

მაისის ბოლოს მუშების გაფიცვის გამო ქ. ბათუმში დაიხურა მანთაშევის ორივე ქარხანა. 25 ივნისს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მითითებით ბათუმის მუშები უერთდებიან ამიერკავკასიის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას, რომელიც შვიდ დღეს გრძელდებოდა. 26-28 ივნისს ქობულეთის მშრომელი მოსახლეობა უერთდება საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას. მთელ ბათუმის ოლქში მუშაობა წყდება, ბათუმის ოლქის გლეხობა, მსგავსად სხვა რაიონებისა, უარს ამბობს სახელმწიფო გადასახადის გადახდაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1905 წლის რევოლუციაში საქართველოს სხვა რაიონებთან ერთად მონაწილეობდა აჭარის მოსახლეობაც. მძიმე რეპრესიები გადაიტანეს კახაბერში მცხოვრებმა აფხაზებმაც.

---

1 გაზეთი „ივერია“, 1905 წ. № 10.

1905 წლის 20 მაისს, ღამით, კახაბერს მოულოდნელად ალყა შემოარტყა კაზაკთა რაზმმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქორქაშვილი. მათ გაჩხრიკეს ყველა ოჯახი, საიდანაც წაიღეს პროკლამაციები და გაზეთები, ასევე ცივი და ცეცხლმსროლელი იარაღები; მეორე დღეს, 21 მაისს, 200 კაზაკმა ალყა შემოარტყა სოფელ მინდას და დაუწყეს სახლებს თოფის სროლა. სროლა ერთ საათზე მეტს გაგრძელდა. მათ გადაწვეს 32 სახლი. ამ დროს მამაკაცები დასაფლავებაზე ყოფილან წასული და როცა სახლში დაბრუნებულან, დახვედრიათ გადამწვარი სახლები.

აი, რას ამბობს ამის შესახებ თავის განცხადებაში ამავე სოფლის მცხოვრები მუსტაფა აცამბა.

«В 1905 году 20 мая начальник штаба Коркашвили явился в наше селение ночью с казаками более 100 человек, которые окружили по его приказу все селение для производства обыска во всех домах как у грамотных, так и неграмотных лиц, собрали тогда все прокламации, газеты и все наше холодное и огнестрельное оружие, топоры, всякое железо, словом ничего не оставили и ушли. На второй день — 21 мая того же года явились вторично более 200 человек казаков и солдат и окружили наше селение Минда, когда мы были на похоронах одной женщины, и стали залпами стрелять в наши дома, это явление продолжалось более одного часа, сожгли 32 дома, после чего ушли из селения. Мы, как бодрые люди — старые рабочие — пришли на место происшествия и увидели, что дома наши сожжены, братья, сестры и отцы наши некоторые убиты, некоторые ранены, из этих раненных остались только 2 человека».[1]

კაზაკები და ჯარისკაცები ქალაქის გარეუბნებში დათარეშობდნენ და ხალხს ძარცვავდნენ.

მომხდარი ფაქტის შედეგად კახაბრის ველზე დაზიანდა არა მარტო აფხაზთა ოჯახები, მათთან ერთად გადაიბუგა ქურთების ფაცხებიც, დიდად დაზარალდა „ტაბა-ხანა“ და სხვ.

მუშები ებრძოდნენ კაზაკ-პოლიციელებს და საერთოდ იმათ, ვინც მეფის ტახტს ერთგულად იცავდა და მუშების დარბევაში გამოირჩეოდა. ერთხელ ისინი თავს დაესხნენ „გოროდოკიდან“ მომავალ ბათუმის პოლიცმეისტერს, პოლიცმეისტერი და მისი თან-

1 აჭარის სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, № 365, გვ. 19.

მხლებნი დაჭრეს, ჯარის ნაწილებმა სროლა აუტეხეს მუშებს. რამდენიმე მუშა დაიჭრა. დაჭრილები საავადმყოფოში წაიყვანეს. ბათუმის კომიტეტმა გადაწყვიტა დაჭრილი ამხანაგების შველა, თორემ იმათ საავადმყოფოდან, პოლიცია შემდეგ ციხეში წაიყვანდა და დასჯიდა. რსდმპ-ის აქტიური წევრების დახმარებით დაჭრილები საავადმყოფოდან ღამით გააპარეს და გადაიყვანეს ქალაქ-ს აბლოს ურეხში. იქ მათ საიდუმლოდ საავადმყოფოს ექიმები შეკურნალობდნენ.

1905 წლის ივნისში შავი ზღვის ფლოტის ჯავშნოსანი „პოტიომკინის“ აჯანყება მაგალითი გახდა მთელი შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებისათვის. ბათუმის სანაპიროზე მეზღვაურები აჯანყებულებს სისტემატურად ეხმარებოდნენ მთელი აჯანყების განმავლობაში. მეზღვაურებს საზღვარგარეთიდან გემებით მოტანილი საომარი იარაღი დანიშნულ ადგილზე თავიანთი ზურგით მიჰქონდათ.

როგორც ცნობილი გახდა, პოტიომკინელებს განზრახული ჰქონდათ ბათუმისაკენ წამოსულიყვნენ, მათ დიდი იმედი ჰქონიათ კავკასიის პროლეტარიატისა, ბათუმის მუშების გმირული მხარდაჭერისა, მაგრამ მეფის ხელისუფლებამ ყოველგვარი ზომა მიიღო მათ შორის კავშირის ჩაშლისათვის. მან მყისვე გააშაგრა შავი ზღვის კავკასიის მთელი სანაპირო და ბოლოს სულთან ჰამიდს სთხოვა დახმარება:

„ამ შერცხვენის უმაღლესი წერტილი იყო, რომ მ ე ფ ი ს მ თ ა ვ რ ო ბ ა მ რ უ მ ი ნ ე თ ს ა დ ა თ უ რ ქ ე თ ს ს თ ხ ო ვ ა პ ო ლ ი ც ი უ რ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ა გ ა ე წ ი ა თ აჯანყებული მატროსების წინააღმდეგ! აი როდის გამოჩნდა, რომ „შინაური თურქები“ უფრო საშიში არიან რუსი ხალხისათვის, ვიდრე ყოველგვარი „გარეშე თურქები“. თურქეთის სულთანმა უნდა დაცვას მეფის თვითმპყრობელობა რუსი ხალხისაგან... — მეფეს არ შეუძლია დაეყრდნოს რუსეთის სამხედრო ძალებს. და იგი უცხო სახელმწიფოებს ემუდარება დახმარებას...“[1]

ამ პერიოდში ბათუმის საწარმოებში სისტემატურად ეწყობოდა გაფიცვები. რსდმპ ბათუმის კომიტეტის 29 აგვისტოს პროკლამაციაში ნათქვამი იყო: „ბათუმის მოქალაქეებმა საღამოს 5 საათზე თავი მოიყარეს ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში. რომელთა მიზანი იყო აერჩიათ წარმომადგენლები სათათბიროში,

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 677, 1949 წ. მეოთხე გამოცემა.

ყოველგვარი ცენზისა და ჩინოვნიკურ მითითებათა გარეშე და მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ხალხისათვის გაკეთდეს სასარგებლო საქმე. ხალხმა რომ თავის საქმე აკეთოს, თურმე ეს ნიშნავს, იმას, რომ გუბერნატორს ძვალი გაეჩხიროს კისერში. მან გამოგზავნა პოლიცია და ჟანდარმები, რათა გარეკოს „უკანონო თავყრილობა“ და დააპატიმროს თვითმპყრობელური რეჟიმის დამრღვევნი. მოძალადე პოლიციელებმა გარეკეს მოქალაქეთა კრება“.[1]

მეორე პროკლამაცია, რომელიც იმავე წლის 30 აგვისტოს გამოიცა, მიძღვნილი იყო ქობულეთის ერობის რწმუნებულთა არჩევნებისადმი. პროკლამაციაში ნათქვამი იყო: „დაბა ქობულეთში თავი მოიყარა რამდენიმე ათასმა ადგილობრივი სოფლებიდან ჩამოსულმა გლეხობამ, რომელთა მიზანი იყო სათათბიროს რწმუნებულების არჩევა. გლეხობა მართებულად მსჯელობდა, რომ, რადგან მათთვის ერობა შემოაქვთ მათვე უნდა იმსჯელონ ამ საკითხებზე. ქვეყნის მმართველები კი სხვაფერ ფიქრობენ, მათი სურვილია ქვეშევრდომებმა ნიშნად თანხმობისა ყოველთვის თავი დაბლა დაუკრან და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ამ დღეს მოქობულეთი გადააქციეს სამხედრო ბანაკად, ჩამოყარეს რა აქ ჟანდარმები, კაზაკები და ჯარისკაცები. გლეხები სოფლებში წავიდნენ.“[2]

ბათუმის კაპიტალისტებმა რევოლუციის დროს ბევრი მუშა დაითხოვეს. რევოლუციურად განწყობილი მუშები მოედვნენ სოფლებს.

როგორც ვიცით, ბათუმის მუშებში ყველაზე მეტი იყო სოფლის მეურნეობასთან სანახევროდ დაკავშირებული გლეხობა. დიდი იყო მუშათა და გლეხთა რევოლუციური კავშირის შედეგად მიღებული მონაპოვარიც:

„მუშათა დეპუტატების საბჭოები ყველა დიდ სამრეწველო ცენტრში, მთელი რიგი ეკონომიური მონაპოვარნი, რომელნიც კაპიტალს გამოჰგლიჯეს, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები არმიაში, გლეხთა კომიტეტები გურიაში და სხვა ადგილებში, ბოლოს, სწრაფწარმავალი „რესპუბლიკები“ რუსეთის რამდენიმე ქალაქში, — ყოველივე ეს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის დასაწყისი იყო, პროლეტარიატისა, რომე-

1 აჭარის სახელმწიფო არქივი, ბ. ს. გ. კ., ფონდი 13, საქმე 85, 1905 წ.
2 იქვე.

ლიც რევოლუციურ წვრილ ბურჟუაზიას, განსაკუთრებით ბობას ეყრდნობოდა."[1]

ბათუმის მუშები რსდმპ დავალებით მიდიოდნენ გლეხებთან ერთად ერობის არჩევნებთან დაკავშირებულ თათბირებზე და მათ მიტინგებად აქცევდნენ. ბათუმის მუშებმა ჩაშალეს გუბერნატორის მიერ ქობულეთში მოწვეული თათბირი.

ოქტომბრის დამდეგს დაიწყო მზადება ახალი, საყოველთაო გაფიცვისათვის. ჟანდარმერიის ცნობაში ნათქვამია, რომ რუსეთის ევროპულ ნაწილში მიმდინარე გაფიცვის თანაგრძნობის მიზნით „ბოროტგანმძრახველთა" ორგანიზაცია ემზადება გაფიცვისათვის... მოსალოდნელია გაფიცვა დაიწყოს 15 ან 16 ოქტომბერსო... რკინიგზა გაიფიცება იმ შემთხვევაში, თუ გაიფიცება თბილისიო. იმავე დღეს ქალაქში გავრცელდა რსდმპ ბათუმის კომიტეტის 400 ცალი პროკლამაცია, რომელიც მოუწოდებდა გაფიცვა-აჯანყებისაკენ. ამავე დღეს, საღამოს 8 საათზე, ბათუმის რკინიგზის სადგურის წინ მატარებელს უცნობმა ლიანდაგზე დაუდო პეტარდა, რომელიც გასკდა და ბაქანზე შეშფოთება გამოიწვია.

15 ოქტომბერს რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებმა თავი მიანებეს მუშაობას. მატარებელი № 4, რომელიც ბათუმიდან გავიდა 7 საათზე, მივიდა სადგურ ნატანებში და ისევ გამობრუნდა, რადგან იქით რკინიგზა აყრილი იყო.

ქალაქში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. სავაჭროები დაიხურა. შეჩერდა მატარებლების მიმოსვლა, ტელეგრაფის მუშაობა შეწყდა, მეეტლეები ბირჟაზე აღარ გამოსულან, შეწყდა სკოლებში შეცადინეობა, დღის პირველი საათისათვის ქალაქის მუშა-მოსამსახურეებმა თავი მიანებეს მუშაობას.

16 ოქტომბერს გაფიცვა გრძელდებოდა. მთავრობის დაწესებულებებს იცავდნენ ჯარის ნაწილები. გაიფიცნენ ელსადგურის თანამშრომლები, მოკლეს ჟანდარმი ივანე ბოროვსკი.

დღის 4 საათზე გამოცხადდა განგაში, ფორტებიდან გაისროლეს ზარბაზნები, რაც სიგნალი იყო ყაზარმებიდან ყაზაკებისა და ჯარისკაცების გამოსვლისა. მათ ქუჩებში დაიკავეს წინასწარ შეჩნეული ადგილები. ჯარისკაცები და ყაზაკები მოეფინენ მთელ ქა-

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 204, 1951 წ., მეოთხე გამოცემა.

ლაქს. დაიწყო ხალხის დარბევა, მუშებსა და კაზაკებს შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ამასთან დაკავშირებით ბათუმის გუბერნატორმა ფონ-პარკაუმ გამოსცა განკარგულება: „ვინაიდან ადგილი ჰქონდა მთავრობის პირებზე თავდასხმას, მცხოვრებლებს წინადადება ეძლევათ ქუჩებში არ გამოვიდნენ საღამოს 6 საათიდან დილამდე, აკრძალულია ნაბდისა და ჯოხის ტარება, აგრეთვე ველოსიპედით სიარული.“[1]

20 ოქტომბერს ბათუმში ხმა გავრცელდა, მეფემ გამოსცა მანიფესტი, რომლითაც იგი თავისუფლებას იძლევაო. ეს ამბავი ბათუმელებმა არ დაიჯერეს. ოფიციალური დეპეშა არ ჰქონდათ, რადგან პეტროგრადსა და ბათუმს შორის ხაზი გაწყვეტილი იყო, მხოლოდ 21 ოქტომბერს გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკმა“ გამოაქვეყნა 17 ოქტომბრის მანიფესტი. იმავე დღეს ქალაქის თვითმმართველობის ეზოში შეიკრიბა ხალხი. გუბერნატორმა მათ წაუკითხა მანიფესტი. ხალხმა მაშინვე მოითხოვა ბათუმში სამხედრო წესების მოხსნა. ხალხმა შენიშნა, რომ მანიფესტით კრების თავისუფლება არის გამოცხადებული, ხოლო უბნის ზედამხედველი შმიკინი ქუჩაში ნაბდიანსა და ჯოხიან უდანაშაულო ადამიანებს აპატიმრებსო და სხვ. შემდეგ გუბერნატორი ხალხს შეჰპირებია შმიკინის წინააღმდეგ ზომების მიღებას, სამხედრო წესების მოხსნა კი მე არ შემიძლია, ეს ჩემს უფლებას აღემატება, მეფისნაცვლის საქმეაო. ასეთი მოტყუებით ისტუმრებდა იგი ხალხს. მანიფესტით უკმაყოფილო მუშები და ქალაქის მოსახლეობა 23-24 ოქტომბერს იწვევენ მიტინგებს, კრებებს და ამუშავებენ ღონისძიებებს მანიფესტის წინააღმდეგ. 24 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, რკინის თეატრში შედგა მიტინგი, რომელმაც მიიღო შემდეგი მოთხოვნილებები:

1. მოიხსნას სამხედრო და „გაძლიერებული დაცვის“ წესი.

2. უკან გაიწვიონ ის ჯარები, რომლებიც ჩამოიყვანეს შიდა რუსეთიდან კავკასიაში.

3. შეწყდეს რეპრესიები გურიის მცხოვრებლების მიმართ.

4. ყველა პოლიტიკური პატიმრის დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

5. გამოქვეყნებული მანიფესტის სრული დაცვა და მისი რსდმპ პროგრამა-მინიმუმამდე გაფართოება.

---

1 აჭარის სახელმწიფო არქივი, ბ. ს. გ. კ., ფონდი 13, ს. 33. ფ. 40, 44, 45.

6. დაუბრკოლებლივ გაცნობა ხალხისათვის ყველა იმ ცნობებისა, რომლებსაც მიიღებენ რუსეთიდან.

7. ყველა ამ მოთხოვნილების პრაქტიკულად შესრულება.

მიტინგმა დაადგინა მოეწყოს საერთო გაფიცვა და გაგრძელდეს ის, ვიდრე ყველა მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქნება.

ბოლშევიკები ამხელდნენ მეფის მანიფესტის ნამდვილ მიზანს და განუმარტავდნენ ხალხს, რომ მეფის მთავრობა მათ ატყუებდა; სინამდვილეში ცარიზმსა და ბურჟუაზიას რევოლუციის თავიდან აცილება სურდათ.

ამიერკავკასიაში რევოლუციის გაღრმავებასთან დაკავშირებით 1905 წლის ოქტომბერში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი წერდა:

„...პოლონეთმა და კავკასიამ უკვე უფრო მაღალი ბრძოლის ნიმუში მოგვცეს, იქ პროლეტარიატი ნაწილობრივ შეიარაღებული გამოვიდა, იქ ომმა გახანგრძლივებული ფორმა მიიღო“...[1]

15-16 ოქტომბერს დაწყებული გაფიცვები გრძელდებოდა. იგი მეფის მანიფესტმა ვერ შეაჩერა. გაფიცვა 25 ოქტომბერს უფრო გაფართოვდა, გაფიცვებს შემოემატნენ კერძო ბანკების თანამშრომლებიც. მათთან ერთად მონაწილეობდა მოსწავლე ახალგაზრდობაც. აჯანყებულები იარაღს მოელოდნენ საზღვარგარეთიდან. ამასთან დაკავშირებით ბათუმის გუბერნატორი მეფისნაცვალს სთხოვს, რომ მას დაახმაროს სამხედრო გემები იარალის ზღვით შემოტანის წინააღმდეგ. ამავე დღეს. საღამოს. ქალაქში გავრცელდა დიდძალი პროკლამაცია. 26 ოქტომბერს რსდმპ ბათუმის კომიტეტი მოითხოვს გაგრძელდეს გაფიცვები მანამ, ვიდრე 24 ოქტომბრის მოთხოვნილებები არ იქნება დაკმაყოფილებული.

27 ოქტომბერს ბათუმში სურსათ-სანოვაგის ნაკლებობის შესახებ ბათუმის გუბერნატორის კანცელარიაში დაცულია წემდეგი სიბუთი: „ვინაიდან ქალაქში გაფიცვა მძვინვარებს და ამის გამო სურსათ-სანოვაგის შოვნა ძნელდება, გუბერნატორი სთხოვს სამხედრო შტაბს ბათუმში არ გამოგზავნონ ახალგაზრდა ჯარისკაცები, რომლებიც შემდგომ განაწილებულ უნდა იქნენ იმპერიის სხვადასხვა ადგილებში.“[2]

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 9. გვ. 434. მეოთხე გამოცემა.

2 აჭარის სახელმწიფო არქივი, ბ. ს. გ. კ. ფონდი 13, ს. 85, ფ. 60, 61, 65. 1905 წ.

28 ოქტომბერს ქალაქის ქუჩებში გაიმართა ხელჩართული ბრძოლა კაზაკებსა და მუშებს შორის. კაზაკები უანგარიშოდ ისროდნენ ტყვიებს და ულეტდნენ მოქალაქეებს.

ჯარისკაცები გაფიცულთა და აჯანყებულთა მიმართ სოლიდარობის, საქმლის უვარგისობისა და სხვათა მომიზეზებით აცხადებდნენ გაფიცვას. მაგალითად, 15 სექტემბერს არტაანის პოლკი გაიფიცა იმის გამო, რომ კომბოსტო და ხორცი უვარგისი იყო. მათ სადილი არ მიიღეს. მათ მიჰბაძეს ბათუმის ციხე-სიმაგრის ჯარისკაცებმა, რომლებმაც 16 სექტემბერს მოითხოვეს ვადაგადაცილებულთა დაუყოვნებლივ სახლში გაშვება.

14 ოქტომბერს ქალაქში გავრცელდა რსდმპ ბათუმის კომიტეტის პროკლამაცია. ეს იყო სიგნალი ჯარისკაცებში აღელვების გამოწვევისა.

12 ნოემბერს სამხედრო გუბერნატორის სპეციალური განკარგულებით ჯარისკაცებსა და კაზაკებს არ უშვებდნენ ყაზარმებიდან. მიუხედავად ამისა, 13 ნოემბერს „გოროდოკში" არტილერიის მოედანზე თავი მოიყარა 2.000 ჯარისკაცმა. შედგა მიტინგი. გამოსული ორატორები ჯარისკაცებს განუმარტავდნენ შექმნილ ვითარებას და მოუწოდებდნენ მუშებთან და გლეხებთან სოლიდარობისაკენ. როცა ამ მიტინგზე გამოსულმა არტილერიის გენერალმა ზეპლიუკმა ჯარისკაცებს მოუწოდა დამშვიდებისა და მოთმინებისაკენ, ჯარისკაცებმა მას ერთხმად მიაძახეს: „გვეყოფა რაც მოვითმინეთო".

მიტინგზე გამოსული ჯარისკაცები მეტად ამაღელვებლად ლაპარაკობდნენ. 14 ნოემბერს ბათუმში გამართულ ერთ-ერთ მიტინგს მეცხოვნეთა ერთმა ჯარისკაცმა ასე მიმართა: „ჩერნომორსკი ვესტნიკის" გუშინდელ ნომერში აღნიშნულია, რომ ნამესტნიკის შუამდგომლობით ოფიცრები დასაჯილდოებლად არიან წარდგენილი. ცოლშვილიანი ოფიცრები — ოთხი თვის ჯამაგირითო". შემდეგ კი იგი მიტინგის დამსწრეთ მოუწოდებს: „მე თქვენ გეკითხებით, ამხანაგებო, ბ-ნ ოფიცრებს აქვთ უფლება მიიღონ ასეთი ჯილდო თუ არა? არა, ამხანაგებო, იმათ არ აქვთ უფლება მიიღონ ჯილდო ხალხის გაჟლეტისათვის, — მოუმზადებელი და უიარაღო ხალხისა, რომელშიც იყვნენ ჩვენი ძმები, ჩვე-

ნი ტოლები, ჩვენი შვილები. ეს შეუძლებელია, ხალხი ამის ნებას არ მისცემს, ის ხალხი, რომლის სისხლით მორწყულია ქალაქის ქვაფენილები და მოედნები და სოფლის გზები. ან საიდან უნდა გააჩინოს ხალხმა ფული? ჩვენმა ომმა იაპონიასთან მილიარდები ჩანთქა. ახლა, ამ 1905 წელს შიმშილობაა 23 გუბერნიაში. ხალხი დაიმშა, იტანჯება, იმას ფული სად გააჩნია, რომ დააჯილდოვოს ბ-ნი ოფიცრები და ჩინოვნიკები, რომელთაც არ იციან რა არის გაჭირვება.

მე გთხოვთ, ამხანაგებო, ამის წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადოთ გაზეთების საშუალებით".[1]

24 ოქტომბერს პოლიციაზე თავდასხმის დროს დაჭრილ და შემდეგ გარდაცვლილ რევოლუციონერებს ასვენებდნენ რკინიგზის სადგურზე. ამ გაცილების დროს, 16 ნოემბერს, სადგურზე ვინმე უცნობმა კუპეში ესროლა ამიერკავკასიის ცხენოსანი დივიზიის უფროსს გენერალ-მაიორ გოლოშჩაპოვს, რომელიც კისერში დაიჭრა.

რევოლუციის დასაწყისიდან მისი შენელების შემდეგ პერიოდშიც არ წყდებოდა ხალხის დაპატიმრება და აწიოკება. როცა საპატიმროში ადგილი აღარ იყო ტუსაღების მოსათავსებლად, ნავსადგურის უფროსმა კაპიტანმა წინადადება შემოიტანა, რომ დაპატიმრებულნი ჩაესვათ ნავებში და შავ ზღვაში გადაეყარათ. ეს მათ ვერ განახორციელეს იმის გამო, რომ ერთმა ოფიცერმა ვინმე ევანგელიდიმ გასცა მათი გეგმა. ამის გამო იგი ბათუმს მოაშორეს. ამრიგად, ამ ოფიცრის წყალობით გადარჩა მრავალი რევოლუციონერი და მეფის ოხრანკის შავბნელი საქმე ჩაიშალა.

ბათუმის სამხედრო ნაწილები აშკარად აჯანყებული ხალხის მხარეზე იყო, რაც ძალზე აფიქრებდა გუბერნატორს. ბათუმის სამხედრო გუბერნატორი გენერალი ფონ-პარკაუ სწერდა მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს: „ახლა ბათუმში საფრთხეს წარმოადგენს უკვე არა წესრიგისა და სიმშვიდის დარღვევა ქალაქში, არამედ ციხე-სიმაგრის, იარაღის ხელში ჩაგდებისა და უფროსთა გაქცევის შესაძლებლობა. ესოდენ მძიმე და სახიფათო მდგომარეობისაგან ბათუმის ოლქის ხსნა შეიძლება მხოლოდ უაღრესად ენერგიული ღონისძიებებით რევოლუციური ელემენტების წი-

1 გაზეთი „ივერია", 1905 წ., № 219.

ნააღმდეგ. მაგრამ იმ პირობით, რომ ამ ღონისძიებებს მხარი დაუჭირონ ახალმა ჯარებმა, უმთავრესად კაზაკთა ჯარებმა".[1]

მუშებთან ერთად, როგორც არა ერთხელ იყო ნათქვამი, აჭარის გლეხობაც ემზადებოდა აჯანყებისათვის, მართავდა მიტინგებს, იარაღს აგროვებდა, ამ მიზნით ხშირად თავს ესხმოდა ჯარისკაცებს. მაგალითად, 18 და 19 ნოემბერს ქობულეთსა და ჩაქვში იარაღის აყრა მოუნდომეს ჯარისკაცებს და კაზაკებს: „ქობულეთსა და ჩაქვში მოხდა მიტინგები. მცხოვრებლები აშკარად მიემხრნენ აჯანყებას. ჩაქვში აჯანყებულები აპირებდნენ ჯარის ნაწილებისათვის იარაღის აყრას (50 ჯარისკაცი და 15 კაზაკი), მაგრამ მთავრობის მიერ თავის დროზე იქნა მიღებული ზომები და ქობულეთის ჯარს შეუერთდნენ ჩაქვის ნაწილები და შეერთებული ძალებით თავი შეაფარეს ბათუმის ციხე-სიმაგრეს."[2]

იარაღსა და ასაფეთქებელ მასალებს რევოლუციონერები სისტემატურად აგროვებდნენ. მაგალითად, 19 ნოემბერს ბათუმის საბარგო სადგურზე ვაგონი გატეხეს და გაიტაცეს სამი ფუთი და 30 გირვანქა დინამიტი და 500 ფისტონი.

ბათუმის მოსახლეობა გრძნობდა, რომ თვითმპყრობელობასა და ხალხს შორის უკვე დიდი ხანია უფსკრული გაითხარა, რომ ორი მოწინააღმდეგე ბანაკი დღეს თუ ხვალ ერთიმეორეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაეჯახებოდა. ელოდნენ მხოლოდ ხელსაყრელ დროს. ეს ხელსაყრელი დროც დადგა. ქვეყნის ყოველი მხრიდან მოდიოდა ცნობა, რომ დაიწყო რევოლუცია. აჭარის მშრომელებიც ემზადებოდნენ გადამწყვეტი შეტევისათვის, მაგრამ თვითმპყრობელობის მსახურებსაც არ ეძინათ. ისინი ეძებდნენ საბაბს, რომ მშრომელთა მრისხანება ცეცხლითა და მახვილით ჩაექრობოთ. ეს საბაბიც გამონახულ იქნა: სწორედ თვითმპყრობელობის აგენტის, ვინმე ვიგინდარას მიერ პროვოკაციული მიზნით გასროლილი რევოლვერი გახდა საბაბი კაზაკებისათვის, რომ გასწორებოდნენ რევოლუციონერებს. კაზაკებმა ჯერ ცივი იარაღით, შემდეგ თოფებით დასჭრეს და დახოცეს უიარაღო და უდანაშაულო ხალხი. ჩადენილი მხეცობის გამო ხალხმა თავი მოიყარა ქალაქის თვითმმართველობის ეზოში. ხალხი გაიყო ორ ჯგუფად. მუშები, რომლებსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, მოითხოვდნენ თვითმპყრობე-

1 ციტირებულია ი. ხაჭაპორიძის „წიგნიდან: 1905-1907 წლების რევოლუციის საქართველოში. 1955 წ., გვ. 121.

2 აჭარის სახელმწიფო არქივი, ბ. ს. გ. კ., ფონდი 13, ს. 39, 1905 წ.

ლობის წინააღმდეგ სასტიკ და ულმობელ ბრძოლას, შეიარაღებულ აჯანყებას. მუშები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გადავიდნენ გადამწყვეტ შეტევაზე. 28 ნოემბერს საღამოს ქუჩებში ააგეს სახელდახელო ბარიკადები. დიდი ბრძოლების შემდეგ ქუჩა მოფენილი იყო მოკლულებითა და დაჭრილებით. მეორე დღეს მუშების ნაწილი გაეშურა საავადმყოფოებისაკენ, რომ იქიდან მკედარი მუშების კუბოები გამოეტანათ და ქუჩაში ეჩვენებინათ ხალხისათვის თვითმპყრობელობის საძაგლობა და 17 ოქტომბრის მანიფესტის ნაყოფი. ეს პროცესია უნდა გამხდარიყო სახალხო დემონსტრაციად. იმ ღამეს, შეტაკების დროს მოკლულ იქნა 30 კაცი და დაიჭრა 20. ეს ამბავი ქალაქში ელვისებურად გავრცელდა.

ბათუმში შექმნილ მდგომარეობას „ივერიის" კორესპონდენტი შემდეგნაირად გადმოგვცემდა: „ბათუმის მდგომარეობა ძნელი ასაწერია, კაზაკ-სალდათები დარეკვიან მშვიდობიან, უიარაღო ხალხს და მუსრს ავლებენ — ჟლეტენ დიდსა და პატარას, სახლებს ანგრევენ, იკლებენ, ძარცვავენ, ავეჯს ამსხვრევენ, თითქოს ბარბაროსები შეჰსევიან უცხო ქალაქსო...

29 ნოემბერს, დილით სარევოლუციო ორგანიზაციებმა სამგლოვიარო გაფიცვა გამოაცხადეს... ხელად გაიმართა ბარიკადები პეტროგრადის, ტურგენევის, ვოზნესენსკის, მორსკოის და სხვა ახლო-მახლო ქუჩებში, სადაც თოფები განუწყვეტლივ გრიალებდნენ. ამ დღეს, რასაკვირველია, მოკლულები ვერ დაასაფლავეს. საღამომდე ხალხი ბარიკადებს აშენებდა... ამ დღეს საავადმყოფოში მიიყვანეს 20 დაჭრილი და 30 მოკლული მიასვენეს. საერთოდ კი მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი არავინ იცოდა".[1]

ამ დროს დასავლეთ საქართველოშიც დიდი მღელვარება იყო. დაიწყო გაფიცვები და ბრძოლები. დიდი შეტაკებები მოხდა ქუთაისში, ფოთში და სხვ., რაც ბათუმის ამბების გამოძახილი იყო. 29 ნოემბერს ბათუმის საყოველთაო გაფიცვასთან დაკავშირებით ოზურგეთიდან ბათუმის აჯანყებულთა დასახმარებლად წამოსულან გლეხთა „წითელი ასეულები" 800 კაცის შემადგენლობით. ამ შეიარაღებულთ მხარი დაუჭირა ქობულეთის რაიონის მოსახლეობამ 500 კაცის როადენობით. ისინი ბათუმისაკენ ერთად წამოვიდნენ.

---

1 გაზეთი „ივერია", 1905 წ., № 219.

ნოემბრის დღეებში კაზაკების მიერ ჩადენილი მხეცობის წესახებ გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ"ში" ვკითხულობთ: „კალმით აუწერელია ბათუმში ჩადენილი მხეცობანი. ხალხს ხოცავდნენ, არბევდნენ, ყურებს აჭრიდნენ, ხელებს კვეთდნენ, აუპატიურებდნენ ქალებს. ქალაქი კაზაკების ხელშია. ქალაქ გარეთ დადგმულია ზარბაზნები, რომლებიც მზად არიან პირისაგან მიწისა აღგავონ ისინი, ვინც დასახმარებლად ესწრაფვის ვანადგურებული ქალაქისაკენ."[1]

ბოლშევიკები დარწმუნებული იყვნენ, რომ თვითმპყრობელობა კაზაკებს ქალაქიდან არ გაიყვანდა. ბრძოლა მათთან უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა, ამიტომ ისინი ენერგიულად ემზადებოდნენ. იმავე დღეს აიგო ბარიკადები: პეტერბურგის, სვიატოპოლკ-მირსკის, მიხაილოვის, შერემეტიევისა და სხვა ქუჩებზე. ბარიკადებზე ძალებს ბოლშევიკების შტაბი ანაწილებდა. შტაბს ხელმძღვანელობდა მიშა ფედოროვი.

ქუჩებში სასტიკი ხელჩართული ბრძოლები მიმდინარეობდა. არტილერისტებმა ბარბაზნები გამოიტანეს. მდგომარეობა ძალზე კრიტიკული შეიქმნა.

30 ნოემბერს ხალხი კვლავ დაიძრა საავადმყოფოსაკენ. ახლა ისინი წეიარაღებული იყვნენ. თოფების გრიალი და ტყვიების ზუზუნი არემარეს აყრუებდა. კვლავ ახალი ბარიკადები აღიმართა.

„ქალაქში საშინელი ამბავი მომხდარიყო. კაზაკებს თავიანთი ყაზარმების სიახლოეს თოფის სროლა აუტეხიათ. სულ 12 საათის განმავლობაში ქალაქის ქუჩებში ხალხმა ბარიკადები ააგო. რაც მოხვდა მას ხელზე — შეშა, ბეტონი, ფიცრები, ხეები, ურმები, დროგები, ბოჩკები ყველაფერი ამისათვის გამოიყენეს, დასჭრეს უზარმაზარი ხეები, ტელეგრაფის, ტელეფონის და ელექტრონის ბოძები, მავთულები და სხვა. აგებულ ბარიკადებზე შეიარაღებული ხალხი გამაგრდა, საუკეთესო სიმაგრეები და პოზიციები ქალაქში მან დაიჭირა. თავს დაესხა რკინიგზის სადგურს, საპოლიციო კანცელარიას და განყოფილებას, კერძო სახლებს, სააქტო და სასამართლო დაწესებულებათ, და სადაც კი მოიპოვებოდა იარაღი, დაიტაცა. აჰყარა იარაღი ჟანდარმებს, პოლიციელებს და სხვა... კაზაკთა პირველი ასეულის დეპუტატები მივიდნენ რ. ს. დ. მ. პ.

1 ციტირებულია ხუციშვილის წიგნიდან „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში", თბილისი, 1955 წ., გვ. 31.

ორგანიზაციასთან და განაცხადეს, რომ ჩვენი ასეულიდან არც არავის დაუხოცია ვინმე და არც აწი გამოვალთ ხალხის ასაკლეშად და ვინც ბოროტებას ჩაიდენს, იმათ ვეცემით და გადმოგცემთო... ამავე დროს მარინეს პროსპექტიდან და მიხეილის ქუჩიდან ჯაისმა თოფების და ყუმბარების გრიალი. ოფიცრის ბრძანებით, სალდათებს ბარიკადების მშენებელთათვის დაეშინათ ტყვიები და დაეხოცათ და დაეჭრათ ათიოდე კაცი, უმთავრესად კი 13-14 წლის მეგაზეთე ბიჭები".[1]

მთავრობას არ უნდოდა ხალხისათვის ეჩვენებინა ათობით მკვდრის გატანა, ამიტომ კაზაკები ცდილობდნენ თავმოყრილი ხალხი გაეფანტათ სროლით.

30 ნოემბერს ბათუმის გარნიზონის უფროსმა გენერალ-მაიორმა პოჟიდაევმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ადგილობრივმა რევოლუციურმა ელემენტებმა მთელი ძალებით სცადეს გამოეწვიათ უწესრიგობა გარნიზონის ჯარებში, რათა ამით გაეადვილებინათ თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა, როცა მათ ვერ მოახერხეს ჯარების შეცდომაში შეყვანა, მაშინ დაიწყეს ქალაქში აჯანყება და ბარიკადების აღმართვაო. ბრძანებაში მოხსენებული იყო, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო გამოცხადებულია საალყო წესები. გარნიზონის ჯარებს უფროსი მოუწოდებდა ბრძოლისაკენ. გენერალი სასტიკად ცრუობდა. გაფიცვებში და აჯანყებებში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო ჯარისკაცები, არამედ მთელი საზოგადოება, ამიტომაც 1905 წლის რევოლუცია სწორედ სახალხო რევოლუციად ითვლება. აჯანყებაში და საბარიკადო ბრძოლაში მონაწილეობდნენ აჭარელი სტრაჟნიკებიც: მაგალითად, 29 ნოემბერს ოლქის სტრაჟნიკები გაიფიცნენ და შექმნეს რაზმი, რომელიც ერთ-ერთ ბარიკადს იცავდა კაზაკების თავდასხმისაგან. მათ შორის იყვნენ თოფუზ ქელი-ოღლი, ასლან გოგორ-ოღლი, ხულუს გოგორ-ოღლი, ახმედ დურსუნ-ოღლი, ასლან ველი-ოღლი, ხუსეინ ქემალ-ოღლი, დემურალი ველი-ოღლი, ახმედ ბერიძე და სხვები. აღნიშნული ბარიკადა გამართული იყო ახლანდელი მოლოტოვისა და ენგელსის ქუჩების კუთხეში.

მეფის ჟანდარმერია და პოლიცია რევოლუციურად განწყობილი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში მეფის რე-

1 გაზეთი „ივერია", 1905 წ., № 224.

ჟიმსა და მასთან ერთად, როგორც წესი, კაპიტალისტ-მემამულეებს იცავდა. აჭარაში ბეგებისა და აღების ინტერესებს არა მარტო მთავრობა იცავდა, არამედ მუსლიმანური სასულიერო ორგანიზაციაც. ყურანის თანახმად მუსლიმანებს არ ჰქონდათ უფლება რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისა. ამ მდგომარეობით სარგებლობდნენ ხოჯა-მოლები, აღა-ბეგები და მეფის ხელისუფლების სასარგებლოდ პროპაგანდას ეწეოდნენ მუსლიმან მოსახლეობაში. თუ ისინი რუსეთთან სამხრეთ საქართველოს შეერთების დროს ქადაგებდნენ, რომ მუსლიმანს არ შეუძლია დარჩეს ქრისტიანი სახელმწიფოს ქვეშევრდომადო, 1905 წლის რევოლუციის დროს პირიქით გამოდიოდნენ და ამბობდნენ: ჩვენ არსებული სახელმწიფო უნდა დავიცვათო. ამრიგად, მუსლიმანური სასულიერო ორგანიზაცია რევოლუციის წინააღმდეგ გამოვიდა და ცარიზმის სამსახურში ჩადგა.

ცარიზმის მოხელეები იცავდნენ აღა-ბეგებისა და ხოჯა-მოლების პრივილეგიებს. მყარდებოდა კონტაქტი მეფის რუსეთის მოხელეებსა და აჭარის გაბატონებულ ზედა ფენებს შორის. ამიტომ ბეგები და მოლები თავგამოდებით იცავდნენ მეფის პოლიტიკას. ყველა ჯამეში პარასკეობით ხოჯები მოსახლეობას აფიცებდნენ იმაზე, რომ არ მიეღოთ რევოლუციაში მონაწილეობა. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ერთი სურათი, რომელიც ასახავს ბათუმის ცენტრალურ ჯამეში 1905 წლის რევოლუციის დროს ხოჯების მიერ მოწყობილი ფიცის მიღების მომენტს.

რევოლუციაში აჭარლების მონაწილეობის წინააღმდეგ ბათუმის გუბერნატორის ხელმძღვანელობით თურქულ ენაზე გამოიცა მოწოდება წარწერით: **„Братья мусульмане“** რომლითაც აფრთხილებდნენ აჭარლებს, რომ თითქოს სომხები და ქართველები მათი მტრები იყვნენ. ისინი გაერთიანებული არიან ჩვენს წინააღმდეგ, მათ დახოცეს ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიის მუსლიმანებიო. „ისინი ფარისევლურად გიწოდებენ ამხანაგებს და გატყუებენ, შორს იყავით მათგანო“. „თქვენ დაუჯერეთ ყურანს,“ რომელიც გასწავლით: „მართლმორწმუნენო, შორს იდექით იმათგან, რადგან ისინი არსებული ხელისუფლებისა, თავისთავისა და თქვენი წინააღმდეგი არიანო“, და სხვა. ბოლოს მოუწოდებდნენ

ბათუმელ მუსლიმანებს ყარსის მუსლიმანებთან გაერთიანებისაკენ. მოწოდების წინააღმდეგ გამოვიდა ზოგიერთი შეგნებული მუსლიმანი, რომლებმაც ამ პროვოკაციას დაუპირისპირეს მოწოდება: „რუსეთის მუსლიმანებს“ (Русским мусульманам). იგი იწყება ბაქოში სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის მოხსენიებით. იქ მოცემული იყო ცალკეული ფაქტები იმის შესახებ, თუ სად რამდენი ადამიანი უდანაშაულოდ დაიხოცა. მკითხველის ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, რომ ამაში ბრალი მიუძღვის რუსეთის მეფეს და სულთანს და არა ხალხსო. თვითმპყრობელმა მეფემ 9 იანვარს პეტროგრადის ქუჩებში უდანაშაულო ხალხი დახოცა და მსგავსი მხეცობა სომხების მიმართ სულთანმა ჩაიდინაო.

რსდმპ ბათუმის კომიტეტი ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწეოდა; მარქსისტულ-ლენინური ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე რაზმავდა ბათუმის მუშებს, მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. კომიტეტმა აჭარლებისადმი სპეციალური მიმართვა გამოსცა, რომლითაც მათ მოუწოდებდა ერთობლივი ბრძოლისაკენ. აქ ლაპარაკი იყო განსაკუთრებით დარაჯ და მეეზოვე აჭარლებზე, რომლებსაც გუბერნატორი იარაღს აძლევდა და უსისიანებდა რევოლუციონერების წინააღმდეგ. მოწოდებაში ნათქვამია: პოლიცია თქვენ გაძლევთ ორიოდე გროშს და სამაგიეროდ თქვენგან მოითხოვს ძმის მოკვლას, ამოუდექით გვერდში თქვენს ძმებს, თქვენსავით ღარიბ ნალხსო.

და სწორედ ის თოფები, რომლებიც მეფის მოხელეებმა დაურიგეს აჭარლებს, ამ უკანასკნელებმა მეფის დამცველ კაზაკებსა და პოლიციელებს დაუშინეს.

ბათუმის ბოლშევიკები აჭარელ მოსახლეობაში დიდ მუშაობას ეწეოდნენ. ბათუმის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში 1905 წლის 30 ნოემბრის თარიღით დაცული იყო შემდეგი ცნობა:

„დაუყოვნებლივ შეწყდეს გაფიცვა, ჯარის უფროსებმა თავიანთ ნაწილებს შორის აღადგინონ სატელეფონო ქსელი, ქალაქის ქუჩები განათდეს, გადასცენ მთავრობას ის პირები, რომლებმაც ჯარის ნაწილებს ბომბები ესროლეს, დაუყოვნებლივ დააბრუნონ ყველა წაღებული იარაღი, ახლავე აღებულ იქნეს ბარიკადები“. ამის შემდეგ დღის პირველ საათზე ქალაქში სროლის ხმა წყდება, ქუჩებში გამოვიდნენ წითელი ჯვრის რაზმები, რომლებიც შველიან დაჭრილებს და სხვა.

ამრიგად, 28—30 ნოემბერს დაწყებული შეიარაღებული აჯანყება შენელებას — უკანდახევას იწყებს.

რევოლუციის უკანდახევის შემდეგ თვითმპყრობელობამ კვლავ შეუტია რევოლუციაში მონაწილეთ. დაიწყო მათი დარბევა-აწიოკება. გუბერნატორმა ყოველგვარ გამოცემაზე სასტიკი ცენზურა დააწესა, მიუხედავად ამისა არალეგალურად მაინც გამოდიოდა მრავალი წიგნი, გაზეთი და ბროშურა. ახალგაზრდობამ რუსულ ენაზე გამოსცა გაზეთი „სტრელა“.

1905 წლის ბოლოს ბათუმის მუშებში და გლეხებში რევოლუციური მოძრაობა მაინც არ ცხრებოდა. კომენდანტმა აკრძალა 28 — 30 ნოემბერს დახოცილთა დასაფლავებაში ხალხის მასობრივი მონაწილეობა. 8 დეკემბერს, დასაფლავების დღეს, პროცესიაში მონაწილეებს ზარბაზნებით ემუქრებოდნენ.

ამავე დროს ბათუმში შემოდიან ჯარის ახალი ნაწილები. გუბერნატორი წინადადებას აძლევს მოსახლეობას დაუყოვნებლივ გადაიხადოს გადასახადები, გადასცეს მთავრობას რევოლუციის მეთაურები და იარაღი.

რევოლუციის ხელახლა გაღვივებით დაშინებული გუბერნატორი დამფრთხალია. გუბერნატორის ცნობაში ნათქვამია, რომ მოსახლეობამ, განსაკუთრებით, კინტრიშის უბნის მცხოვრებლებმა, რომლებიც ხელაღებით მიემხრნენ რევოლუციას, არ შეასრულეს მთავრობის მოთხოვნა იარაღის ჩაბარების შესახებო.

გუბერნატორი კატეგორიულ წინადადებას აძლევს კინტრიშის მოსახლეობას რევოლუციის დროს ამავე უბნის სამმართველოდან ძალით წაღებული იარაღი უკან ჩააბაროს. გუბერნატორი წერს მეფისნაცვალს, რომ მიუხედავად ჩემი წინადადებისა, სამწუხაროდ, დღემდე ჩემი დავალება არ შეასრულესო.

მღელვარება გრძელდება, აქტიურობენ ბათუმიდან გაქცეული აჯანყებულნი. ბოლოს გუბერნატორი კვლავ ემუქრება კინტრიშელებს, მაგრამ თანაც ეშინია, ვაითუ ამით საქმე გაფუჭდესო. ქალაქში პოლიცია მიმალულია, თარეშობს კაზაკობა. 5 დეკემბერს გუბერნატორი მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ თავის მოხსენებაში აღნიშნავდა: „ჩემი და ადმინისტრაციის მდგომარეობა ქალ. ბათუმში და კინტრიშის უბანში პირდაპირ გამოუვალია“. რევოლუციონერების წინააღმდეგ ბრძოლაში გუბერნატორი უძლური აღმოჩნდა. მას განსაკუთრებით აშინებდა კინტრიშის უბნის მოსახ-

ლეობის მღელვარება. აი, რა არის ნათქვამი 31 დეკემბრის ცნობა-ში: „სადგურები ნატანები, სამტრედია და ყვირილა უკავიათ აჯანყებულ გურულებს. ქობულეთში დგას მთავრობის ჯარი. ქობულეთიდან ნატანებამდე რკინის გზის ლიანდაგი აუყრიათ აჯანყებულებს“.

რევოლუციის დროებით უკანდახევის შემდეგ კაზაკობა და ჯარისკაცები, ბათუმის ადმინისტრაციის მიერ რევოლუციონერთა წინააღმდეგ ბრძოლაში წაქეზებულნი, რევოლუციის შემდეგაც ყოველგვარ სისაძაგლეს ჩადიოდნენ, ძარცვავდნენ მოსახლეობას, მაღაზიებს და სხვ.

ამ თავაშვებულობის შესახებ გაზეთი „ივერია“ გადმოგვცემს: „სალამოს მიწყნარდა შეიარაღებული ხალხი, მოშორდა ბარიკადებს... ხალხმა ტაქტიკა შეესცვალა, მაგრამ დაწყნარებულ ქუჩებზე მთავრობამ გამოიტანა ზარბაზნები, გამოიყვანა ჯარი და კაზაკები და ხალხს საომრად იწვევდა. რადგანაც მოპირდაპირე არ ჩანდა და პასუხს არ აძლევდა, კაზაკები შეესივნენ სახლებს, დაუწყეს აკლება-განადგურება და აწიოკება. ჩხრეკდნენ ყველაფერს და ეძებდნენ იარაღს. დაეცნენ ქალაქის გამგეობას, დალეწეს ყველაფერი, ნაკუწ-ნაკუწად აქციეს საქმის ქაღალდები, გაიტაცეს საწერ-კალამი, ქაღალდ-კონვერტები და ჩაი-შაქარი. ვერაფერი მოუხერხეს მხოლოდ კასას, რომელშიაც გადამწვარ გურულთა სასარგებლოდ შემოსული ათასიოდე მანეთის მეტი ფული არც კი ყოფილა“.[1]

გამხეცებული ხელისუფლება არ დაკმაყოფილდა უდანაშაულო ხალხის ხოცვა-ჟლეტით. ვინც სიკვდილს გადარჩა, მათ წინააღმდეგ მოქმედებდნენ სამხედრო საველე სასამართლოები. გარდა ამისა, შემოღებული იყო ადმინისტრაციული წესით დასჯა — გადასახლება და სხვ.

1906 წლის შემდეგ, მაშინ, როცა მთელ საქართველოში გლეხობა სახელმწიფო გადასახადებზე უარს აცხადებდა, გადასახადების აკრეფაში მამასახლისები და ბოქაულები უძლურნი იყვნენ და ხაზინაში ფულის შეტანას ვერ ახერხებდნენ. ამ შემთხვევაში გამოირჩეოდა ზოგიერთი ბეგი-მამასახლისი აჭარიდან, რომლებიც მოსახლეობის მოტყუებისა და დაშინების საქმეში დახელოვნებული იყვნენ და ასეთ კრიტიკულ მომენტშიც კი ახერხებდნენ გადასახადების აკრეფას. მაგალითად, 1906 წლის 3 იანვრის ცნობებში

1 გაზეთი „ივერია“, 1905 წ., № 224.

ნათქვამია: „ბათუმის ოლქის უფროსის პატაკის საფუძველზე ბათუმის სამხედრო გუბერნატორის მიერ აღიძრა საქმე ბათუმის ხაზინის თანამშრომლის ანანია თეიმურაზის-ძე მიქელაძის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედება ის, რომ, როდესაც ხერთვისის სოფლის... მამასახლისის თანამდებობის დროებით აღმსრულებელმა მემედ ბეგ გვარელ-ოღლმა ხაზინაში ჩასაბარებლად მიიტანა მცხოვრებლებიდან აკრეფილი სახელმწიფო გადასახადი, უკანასკნელს მიქელაძემ უთხრა: „რატომ შემოგაქვთ გადასახადი, როდესაც არც ერთი სოფლის საზოგადოება მას არ იხდის.“[1]

როგორც ჩანს, მამასახლისს ბათუმის ოლქის უფროსთან დაუსმენია მიქელაძე, რომელიც მოხსნეს. და პასუხისგებაში მისცეს.

1905 წ. რევოლუცია არ დამარცხებულა, რევოლუციამ დროებით უკან დაიხია, რომ კვლავ უფრო ენერგიულად მომზადებულიყო. ამ რევოლუციას უაღრესად დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა.

რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა:

„...რუსეთის რევოლუციამ გამოიწვია მოძრაობა მთელ აზიაში. რევოლუციები თურქეთში, სპარსეთში, ჩინეთში ამტკიცებენ, რომ 1905 წლის ძლევამოსილმა აჯანყებამ ღრმა კვალი დატოვა და რომ მისი გავლენა, რომელიც აშკარავდება მ რ ა ვ ა ლ ი ა ს ე უ ლ ი მილიონი ადამიანის წინმსწრაფ მოძრაობაში, შეუძლებელია აღმოიფხვრას...“[2]

მეფის ოხრანკა ამ პერიოდში აწყობდა ყოველგვარ პროვოკაციას, აღვივებდა ერთა შორის შუღლს. რსდმპ ყოველთვის იბრძოდა მეფის ხელისუფლების ამ ღონისძიებათა წინააღმდეგ და ხალხთა შორის ნერგავდა ინტერნაციონალიზმს. მეფის მთავრობა ყოველ უმნიშვნელო შემთხვევას აზვიადებდა და საპროვოკაციოდ იყენებდა.

1906 წლის 7 იანვარს მოკლეს რეაქციონერი ივანოვი და შემთხვევით მასთან მყოფი ხუსეინ-ბეგ შერვაშიძე. აღნიშნული ფაქტი მეფის ოხრანკამ გამოიყენა საპროვოკაციოდ. ეს ფაქტი ერთ საბუთში ასეა მოთხრობილი: „დაახლოებით დღის 2 საათზე ბათუმის ცენტრალურ ქუჩაში მოკლეს ბათუმის ოლქის უფროსის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი „ტიტულიარნი სოვეტნიკი“

1 აჭარის სახელმწიფო არქივი, ბ. ს. გ. კ. ფონდი 13, ს. 9 ფ. 74, 83.
2 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 331, მეოთხე გამოცემა.

ივანე ალექსანდრეს-ძე ივანოვი, მასთან ერთად ქუჩაში მიდიოდა ქვედა აჭარის სოფელ ალიქ-ოღლის მცხოვრები, მემამულე ხუსეინ-ბეგ შერვაშიძე, რომელიც რევოლვერით ხელში დაედევნა მკვლელებს. ის იყო, რომ დაეწია ივანოვის მკვლელებს, მაგრამ მასაც მოხვდა ტყვია და იქვე დაეცა".[1]

ერთი სიტყვით, წერვაშიძემ ძალით შეაკლა მათ თავი, სრულებით არ ფიქრობდნენ მის მოკვლას. ტერორის ობიექტი იყო ივანოვი. მან რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაიწყო სამსახური პოლიციაში იმ მიზნით, რომ შური ეძია რევოლუციონერების წინააღმდეგ. სწორედ ამის გამო მას გაუსწორეს ანგარიში. ხუსეინ-ბეგმა შეურაცხყოფად მიიღო, „როგორ თუ გაბედეს ჩემს გვერდში მყოფი ადამიანის მოკვლაო". იგი დაედევნა მკვლელებს, თორემ ივანოვის მკვლელი გრიგოლ კინწურაშვილი სრულებით არ ფიქრობდა შერვაშიძის მოკვლას.

აღნიშნულმა ეპიზოდმა შავრაზმელებს მისცა მასალა, რომ აჭარლებში გაეწიათ პროვოკაცია ქართველების წინააღმდეგ. მათ აჭარის რეაქციონერი აღა-ბეგები და ხოჯა-მოლები ჩაბეს ამ საქმეში და ცდილობდნენ გამოეწვიათ ძმათა სისხლისღვრა. ბეგის დასაფლავების დროს ქედის ხოჯები და სხვა ბეგები მცხოვრებლებს მოუწოდებდნენ შურისძიებისაკენ, მაგრამ ბათუმის მუშებისა და შეგნებულ აჭარელთა უმრავლესობის აქტიური ჩარევის შედეგად თავიდან იქნა აცილებული მოსალოდნელი სისხლისღვრა. აჭარელმა გლეხობამ გაიგო მოვლენის ნამდვილი, რის გამო ოლქის რეაქციონერები პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ.

მიუხედავად ასეთი პროვოკაციისა და დევნისა, რევოლუციონერი გურულები და აჭარლები ერთად აფარებდნენ თავს აჭარა-გურიის მთებს.

1906 წელს, მიუხედავად რევოლუციის უკანდახევისა, ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებში კვლავ მოეწყო გაფიცვები. მაგალითად, ხორცის სავაჭროს, ბინიატ-ოღლის ფაბრიკის, ჩილინგარიდის ქარხნისა და სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა და მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას და სხვ.

1906 წლის 7 თებერვალს ვ. ი. ლენინი სტატიაში „რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა პარტიის ტაქტიკა" წერდა:

---

1 აჭარის სახელმწიფო არქივი, ბ. ს. გ. კ. ფონდი 13. ს. 2, ფ. 142, 152, 1906 წ.

„...ამ მხრივ ჩვენ გაგვასწრეს კავკასიამაც, პოლონეთმაც და ბალტიისპირა მხარემაც, ე. ი. სწორედ ისეთმა ცენტრებმა, სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლად გამოხატული“.[1]

კავკასიისა და საქართველოს რევოლუციურ მოძრაობას ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა.

20 იანვარს ბათუმის გუბერნატორს მიუღია პოლიციის დეპარტამენტიდან დაშიფრული დეპეშა, სადაც ნათქვამი იყო: „აგენტურიდან მიღებული ცნობებით დასტურდება, რომ მიმდინარე თვის 20 რიცხვში განხორციელებული იქნება უკიდურესი პარტიების საორგანიზაციო კომიტეტების მიერ გამომუშავებული გეგმა, რომელიც გულისხმობს ერთდროულად თავდასხმასა და პოლიტიკურ პატიმართა საპყრობილეებიდან განთავისუფლებას. ნაგულისხმევ პუნქტებში უკვე გაგზავნილია საგრძნობი ფულადი სახსარი და მივლინებული არიან პირები სათანადო დავალებებით, გამოიმუშავებენ დეტალურ გეგმას იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედონ ადგილზე. განზრახული აქვთ საპყრობილეების დაბალი მოხელეების მოსყიდვის საშუალებით შეაიარაღონ პატიმრები ხელსასროლი მძლავრი ყუმბარებით. საპყრობილეთა ადმინისტრაციის თვალის ასახვევად მოეწყობა სიმულაცია, თითქოს საპყრობილე შენობას ხანძარი გაუჩნდა. ამით მიღწეულ იქნება მეორე მიზანიც — საპყრობილეს ახლოს მოგროვდება ხანძრით დაინტერესებული ხალხი. ეს უკანასკნელი გარემოება ძლიერ გააადვილებს ტუსაღების გაქცევის საქმესო“.

ცენტრიდან მიღებული დეპეშის საფუძველზე ბათუმის გუბერნატორი ყოველ ზომას ხმარობდა, რომ პოლიტიკურ პატიმრებს გაქცევა არ მოეწყოთ.

1906 წლის 22 თებერვალს დაიხურა ჩილინგარიდის ტყავის ქარხანა იმის გამო, რომ მუშები გაიფიცნენ და მოითხოვეს ხელფასის მომატება 20 პროცენტით.

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 127, 1950 წ., მეოთხე გამოცემა.

1906 წლის 5 მარტს პოლიციას ცნობა ჰქონდა იმის შესახებ, რომ 9 მარტის აღსანიშნავად ქუჩებში და სასაფლაოზე მოეწყობა დემონსტრაციაო. მარტში საფოსტო ყუთებიდან იღებენ პროკლამაციებს ქართულ-რუსულ ენებზე, სათაურით — „ბათუმის ყველა მოქალაქეს!". პირველი მაისის აღნიშვნასთან დაკავშირებით რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტმა გამოსცა 2.000 ცალზე მეტი საპირველმაისო ფურცელი.

რევოლუციონერები ცვლიან თავიანთი ბრძოლის ტაქტიკას. შეშინებული მეფისნაცვალი ბათუმის გუბერნატორს უგზავნის დაშიფრულ დეპეშას: „აგენტურიდან მიღებული ცნობებით ირკვევა, რომ რევოლუციონერებს შეუმუშავებიათ ბრძოლის ახალი ფორმა. იმ მიზნით, რომ გამოიწვიონ აჯანყება, გადაწყვეტილი აქვთ წინასწარ მოაწყონ პარტიზანული თავდასხმები მთავრობის ცალკეულ პირებზე, პოლიციელებზე და ჯარის ნაწილის იმ უფროსების წინააღმდეგ, რომლებიც არ თანაუგრძნობენ `რევოლუციას, რაც ხელს შეუწყობს და გამოიწვევს მუშებისა და გლეხების საერთო გაფიცვასო".

გუბერნატორმა ამის შესახებ სასწრაფოდ აცნობა პოლიცმეისტერს და ბათუმისა და ართვინის ოლქების უფროსებს.

19 მაისს სანაოსნო საზოგადოების ყველა გემის მეზღვაურები გაიფიცნენ და ამიტომ ოდესასა და ბათუმს შორის მიმოსვლა შეწყდა. რევოლუციონერები, მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, მაინც იძენდნენ იარაღს. ამას ამტკიცებს 1906 წლის 10 ივნისის ცნობა:

„კავკასიაში პოლიციის უფროსმა აცნობა ბათუმის სამხედრო გუბერნატორს, რომ საზღვარგარეთიდან მიღებული ცნობით მარსელში იმყოფება ცნობილი რევოლუციონერი მეერ ვალიხი, რომელიც აწარმოებს იარაღის შეძენას, შეძენილი იარაღი გადმოგზავნილი იქნება ზღვით და მოვა ბათუმში".[1]

10-11 ივნისის ცნობით, ბათუმის ციხე-სიმაგრის არტილერიის ჯარებში მღელვარება ყოფილა. არტილერიის მესამე, მეხუთე და მეექვსე ასეულებს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა გადაუწყვეტიათ.

იმავე დღეს ბარცხანა და ბურუნთაბიე ხელთ იგდეს აჯანყებულებმა. მათ შეერთებიათ ჯარის სხვა ნაწილებიც. აჯანყებულებს

1 აჭარის სახელმწიფო არქივი, ბ. ს. გ. კ. ფონდი 13. ს. 9, ფ. 5, 1906 წ.

დაუყენებიათ ზარბაზნები და მიუჩენიათ მორიგეები. ბატალიონის უფროსის ახსნა-განმარტებას ჯარისკაცებზე გავლენა ვერ მოუხდენია.

რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობას გლეხებიც განაგრძობდნენ. ბახმაროსა და აჭარის საძოვრებზე თავს აფარებდნენ და მუშაობას ეწეოდნენ რევოლუციონერები, რომლებსაც გლეხობა ეხმარებოდა. ამასთან დაკავშირებით ბათუმის გუბერნატორი ფონ-პარკაუ ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორს იაზიკოვს წერდა:

„ბახმაროს აგარაკს თავი შეაფარა 500-მდე რევოლუციონერმა, რომლებიც აგიტაციას ეწევიან საბალახო საძოვრებზე მყოფ აჭარლებში... ამის შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლება ვერ შეძლებს წესიერების დაცვას.

გთხოვთ ბახმაროზე გაგზავნოთ კაზაკების რაზმი და ლიკვიდაცია უყოთ შეიარაღებული გურულების ორგანიზაციას“.

აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს 16 აგვისტოს ცნობაც: „იაილა ღრიმანში საღამოს 8 საათზე გამოჩნდა გურულების შეიარაღებული ბრბო 28 კაცის შემადგენლობით, პასპორტები ყველას აღმოაჩნდა წესრიგში, განაცხადეს, რომ ჩვენ გამოვაცილეთ არტაანის ოლქში გურიის თავადები, რომლებიც გაბრაზებულ გლეხობას გამოექცნენ და ღამე მთებში გაათიეს“.

სტრაჟნიკების უფროსმა თემურ-ბეგ ხიმშიაშვილმა სამი სტრაჟნიკით მათი დაპატიმრება ვერ გაბედა. თემურ-ბეგის აზრით, გურულებს განზრახვა ჰქონდათ აჭარლები მიემხროთ და მათგან შეევსოთ თავიანთი რაზმი.

მეფის ხელისუფლება განაგრძობს რევოლუციონერების დარბევასა და ჩხრეკა-დაპატიმრებას. მოსალოდნელი აჯანყების თავიდან აცილების მიზნით მიმართავენ ყოველგვარ უხეშ ზომებს.

10 ივლისს ბათუმის ციხე-სიმაგრის კომენდანტმა გუბერნატორს გადასცა მთავარმმართებლის კანცელარიიდან მიღებული დაშიფრული დეპეშა: „ახლო ხანში მოსალოდნელია საერთო მღელვარება და იარაღით ხელში მუშების გამოსვლა. გევალებათ დაიწყოთ ჩხრეკა და დაპატიმრება რევოლუციაში შემჩნეული პირების, რევოლუციური რაზმების წევრების, ჯარისკაცთა შორის აგიტატორების, საომარი იარაღის მქონეთა, ალაგმეთ პრესა, დაი-

ცავით მემამულეთა სახლკარი, მიიღეთ ზომები რევოლუციური გამოსვლების ძირშივე ჩასაკლავად“ და ა. შ.

ამავე დღეს ბინიატოღლის ფაბრიკის 70 მუშამ მოითხოვა სამუშაო პირობების გაუმჯობესება, რის გამოც ფაბრიკა დაიხურა. რკინიგზელები ქმნიან არალეგალურ ორგანიზაციებს და სწორედ ამ ორგანიზაციების წინააღმდეგ იბრძვის მეფის ოხრანკა. მაგალითად, 15 ივნისს კავკასიის პოლიციის უფროსისაგან ბათუმის გუბერნატორმა მიიღო ასეთი დეპეშა: „22 ივნისს სამხრეთ-დასავლეთ რკინიგზის კვანძზე შედგა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კვანძის ბიუროს სხდომა. სხდომამ დაადგინა: წინადადება მიეცეს ორგანიზაციებს ყველა რკინიგზის კვანძზე ჩამოყალიბებულ იქნას დამოუკიდებელი კომიტეტები“. გუბერნატორი ავალებს პოლიციას, აღმოაჩინოს ეს ორგანიზაციები და მოსპოს ისინი.

რსდმპ-ს მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს სდევს პოლიცია და ღებულობს ზომებს მის წინააღმდეგ. რევოლუციონერთა საიდუმლოების გამჟღავნებას კისრულობენ პარტიის გამყიდველები, რომლებიც სისტემატურად ეწევიან ჯაშუშობას. მაგალითად, 23 ივლისს კავკასიის პოლიციის უფროსისაგან ბათუმის გუბერნატორმა მიიღო პოლიციის დეპარტამენტის დეპეშა: „რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილებზე კომიტეტებს დაუგზავნა დირექტივა მოაწყონ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, გაფიცვის უკეთ მოწყობის მიზნით ყველა ქარხანაში და ფაბრიკაში გამართონ მიტინგები“.

მეფის მთავრობა უსწორდება პოლიტიკურ მოღვაწეებს და სისტემატურად აპატიმრებს და კატორღაში ასახლებს მათ. 1906 წლის 11 აგვისტოს მეფის ხელისუფლებამ პასუხისგებაში მისცა ბათუმის რევოლუციური მოძრაობის მონაწილენი, მათ შორის ცნობილი რევოლუციონერები, მოძრაობის ხელმძღვანელი მიხეილ დიმიტრის-ძე ფეოდოროვი და მასთან ერთად თეოფიყ-ბეგ ბეჟანიძე, ვარლამ ქრისტეფორეს-ძე ბერძენიშვილი და სხვები.

ვ. ი. ლენინი 1906 წლის 21 აგვისტოს თავის წერილში „ქარიშხლის წინ“ წერდა:

„მძიმე და ძნელი გზით მიიმართება რუსეთის რევოლუცია. ყოველ აღმავლობას, ყოველ ნაწილობრივ წარმატებას მოსდევს დამარცხება, სისხლისღვრა, თავისუფლებისათვის მებრძოლთა

აბუჩად აგდება თვითმპყრობელობის მიერ. მაგრამ ყოველი „დამარცხების“ შემდეგ სულ უფრო და უფრო ფართოვდება მოძრაობა; სულ უფრო და უფრო ღრმავდება ბრძოლა, სულ უფრო და უფრო იზრდება მასა ხალხის კლასებისა და ჯგუფებისა, რომლებიც ჩაბმულნი არიან და მონაწილეობენ ამ ბრძოლაში“.[1]

1905 წლის რევოლუციის მთელ პერიოდში და წინათაც დიდ როლს ასრულებდნენ რსდმპ ბათუმის კომიტეტის არალეგალური სტამბები. რევოლუციის დროს პოლიციამ რამდენჯერმე დახურა და კონფისკაცია უყო მათ, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობდნენ არსებობას. ბათუმის არალეგალურ სტამბებში მრავალი პროკლამაცია, ჟურნალი, წიგნი და ბროშურა დაიბეჭდა და გავრცელდა ხალხში. რევოლუციის უკანდახევის პერიოდში არალეგალური სტამბები განაგრძობდნენ მუშაობას და კვლავ ბეჭდავდნენ პროკლამაციებს.

1906 წლის 23 ნოემბერს ბათუმში აღმოუჩენიათ საიდუმლო სტამბა. ღამის ორ საათზე ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწემ გაჩხრიკა დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩაზე ხაჩიკიანის სახლი და აღმოაჩინა საიდუმლო სტამბა, სადაც ინახებოდა 5 ფუთამდე შრიფტი, საბეჭდი მანქანა, პროკლამაციები, პასპორტის სუფთა ბლანკები, უამრავი ხელნაწერი, ბროშურები და წიგნები.

საერთოდ რევოლუციის პერიოდში და შემდეგაც არალეგალური გამოცემებით და პროკლამაციებით ბათუმის სტამბები ამარაგებდნენ სოხუმს, ფოთს, სამტრედიას, ოზურგეთს და ახლო-მახლო სხვა რაიონებს.

მიუხედავად მკაცრი ცენზურისა, ლეგალურ სტამბაშიაც იბეჭდებოდა რევოლუციური ლიტერატურა.

რუსეთის პირველი რევოლუცია თავისი სოციალური შინაარსით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია იყო, ხოლო მასში პროლეტარიატის ავანგარდული როლისა და ბრძოლის პროლეტარული საშუალებების მიხედვით — პროლეტარული.

„რუსეთის პირველი რევოლუცია უდიდესი მოვლენა იყო რუსეთის ისტორიაში და მან უდიდესი გავლენა მოახდინა რუსეთის მთელ შემდგომ განვითარებაზე“ (თეზისებიდან).

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 11, გვ. 145, 1950 წ. მეოთხე გამოცემა.

ჰაიდარ აბაშიძის როლი მაჰმადიან ქართველთა ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში

არაერთი თავდადებული მამულიშვილი აღუზრდია სამხრეთ საქართველოს და, კერძოდ აჭარას. ისინი ყოველი საშუალებით იბრძოდნენ ამ მხარეში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისა, და განმტკიცებისათვის, დედასამშობლო — საქართველოსთან განუყრელი კავშირისათვის. ერთ-ერთი ასეთი საზოგადო მოღვაწეა ჰაიდარ ალის-ძე აბაშიძე.

ჰაიდარ აბაშიძე
1918 წელს, 25 წლის ასაკში

ჰაიდარ აბაშიძე დაიბადა ქალაქ ბათუმში 1893 წელს, 15 აგვისტოს. სწავლა დაიწყო 1900 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლაში.

1908 წელს ჰაიდარი შევიდა ბათუმის საქალაქო სასწავლებელში, რომელიც 1912 წელს დაამთავრა. 20 წლის ასაკში (1913 წ.) იგი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა და ამ დროიდან აქტიურად იბრძვის მუსლიმან ქართველთა შორის ეროვნული კულტურის შენარჩუნებისათვის, დედასამშობლოსთან — საქართველოსთან სამხრეთი რაიონების შემოერთებისათვის, ებრძვის პანთურქიზმს, პანისლამიზმს, რომელსაც ამ დროს აჭარაში საკმაოდ ღრმა ფესვები ჰქონდა გადგმული.

ჰაიდარ აბაშიძის პირველი წერილი, დათარიღებული 1913 წლის 17 თებერვლით, მოთავსებული იყო „ბათუმის გაზეთის" მე-9 ნომერში. ამ წერილში იგი მკითხველს მოუთხრობს ოსმალთა მიერ აჭარის დაპყრობის შესახებ და ახასიათებს იქ დანერგილ ყოვლისჩამხშობ ბარბაროსულ რეჟიმს. აბაშიძე აღნიშნავს: „ოსმალებმა ტრაპიზონიდან დაწყებული ნელ-ნელა დაიპყრეს საქართველოს სხვადასხვა ნაწილები აჭარა-ქობულეთამდის და შემდეგ აჭარა-ქობულეთიც ხელში ჩაიგდეს. შემდეგ მათ მარტო გამარჯვება არ იკმარეს და მოინდომეს ჩვენი წინაპრების გამაჰმადიანება. ბევრი აწიოკების, აოხრებისა და ხალხის წამების შემდეგ მათ განამტკიცეს მაჰმადის სჯული დაპყრობილ ადგილებში. მაჰმადის სარწმუნოების მიღების შემდეგაც არ მოასვენეს ხალხი, მერე შეუდგნენ მისი კულტურის აღმოფხვრას..." თურქი ასიმილატორების მრავალწლოვანი ბატონობა მთელი საშინელებით იჩენდა თავს. ჰაიდარი განაგრძობდა: „თურქეთის ბატონობის დროს სამასი წლის მანძილზე კულტურული ცხოვრება ჩაკვდა და იგი ერთ წერტილზე გაიყინა. ამ მხარეს რომ ისტორიულად თვალი გადავავლოთ, საზარელი სურათი დაგვიდგება თვალწინ. მთელი სამი საუკუნის განმავლობაში კულტურული წინმსვლელობის მაგიერ, იგი ერთ წერტილზე გაიყინა, მან დაჰკარგა ძველი კულტურის ნაანდერძევი და ჩამორჩა უკან თავის თანამოძმე ქრისტიან ქართველებს".

ჰ. აბაშიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ოსმალო დამპყრობლებმა ქართველებს განვითარების გზები დაუხშეს: „გამაჰმადიანებულ საქართველოში კი ამ დროს (ცივილიზაციის ხანაში, ხ. ა.) ხალხმა თავის დედა ენაზე წერა-კითხვაც კი არ იცის. ეროვნულადაც კი არ არის გათვითცნობიერებული. სიბნელითა და უმეცრებით მოცული, გადაგვარების გზაზეა დამდგა-

რი და დაემსგავსა პირველყოფილ ხალხს. ოდესღაც ეს მამაცი და ამაყი ხალხი, დღეს კი ეკონომიურად და გონებრივად დაბეჩავებული, მიტოვებულია ღვთის ანაბარად... რა გაუკეთა მას ოსმალეთმა იმდენი ხნის განმავლობაში, როცა იგი მის ხელში იმყოფებოდა? — ის, რომ გამოუცვალა სჯული და აღმოფხვრა მასში კულტურის ნასახიც კი".

ჰაიდარ აბაშიძე
1956 წელს

ამ მდგომარეობიდან გამოსავალ გზას, ქართველი მაჰმადიანების განთავისუფლების გზას ჰ. აბაშიძე ხედავს საქართველოსთან შეერთებაში. ამ საქმეს კი, მისი აზრით, სათავეში უნდა ჩაუდგნენ ქრისტიანი ქართველები. იგი თავისი წერილის დასასრულს ასე მოუწოდებს ქრისტიან ქართველებს:

„მაშ თქვენ უნდა ეცადოთ, როგორც ჩვენი მოძმენი და დღეს, როგორც სწავლა-განათლებით ჩვენთან შედარებით ბევრად წინ წასულნი, დაეხმაროთ თქვენს თანამოძმეებს წერა-კითხვის შესწავლაში, რომ მისი საშუალებით გათვითცნობიერდნენ ისინი და იცნონ თავიანთი თავი. ჩვენ დღეს თქვენგან მოველით მტკიცე სა-

ძირკველის ჩადგმას და ცხოვრების გზაზე გამოსვლას. შეიძლება ამ მუშაობაში თქვენ ბევრი დაბრკოლებანი გადაგეღობოთ წინ, საყვედურებიც გაიგონოთ და ბევრი შრომაც დახარჯოთ, მაგრამ რაც უნდა იყოს, უნდა დაგვეხმაროთ თქვენს ჩამორჩენილ ძმებს, მით უმეტეს თქვენი შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლის. ნუ შეგიშლით ხელს ნურავითარი დაბრკოლებანი. მოგვეპყარით, როგორც ძმებს, წაგვიძეხით წინ, გვასწავლეთ წერა-კითხვა და ამოგვიყვანეთ თქვენს გვერდით. **ჩვენი ჩამორჩენა თქვენთვისაც მავნებელია, ჩვენი უმეცრება როგორც ჩვენი, ისე თქვენი სირცხვილიცაა, რადგან ჩვენ ერთნი ვართ".**

როგორც ვხედავთ, ჰ. აბაშიძე შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა აჭარაში თურქთა მიერ დანერგილ მთელ ჩამორჩენილობას, იგი აჭარიდან თურქული ადათ-წესების განდევნასა და იქ მშობლიური ქართული კულტურის აღორძინებას მოითხოვდა.

ჰაიდარ აბაშიძის შემდეგი წერილი მოთავსებულია ამავე „ბათუმის გაზეთში" (1913 წ. № 27). ამ წერილში იგი ხაზს უსვამს უმთავრესად ქართული ენის, როგორც მშობლიური ენის, ცოდნის აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ აჭარლები ორ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ არც ერთი არ იციანო. იგი ასაბუთებდა აჭარელთათვის მშობლიური ქართული ენის ცოდნის, წერა-კითხვის ცოდნის აუცილებლობას და დაასკვნიდა, რომ მაჰმადიანური სარწმუნოების აღიარება დედა ენის ღრმა შესწავლას ხელს ვერ შეუშლიდა.

„დღეს ყველანი კარგად ვხედავთ, თუ რამდენად დაცემულია კულტურული მხრით მაჰმადიანი ქართველები, ამის უმთავრესი მიზეზი ჩვენ შავბნელ ისტორიულ წარსულში მარხია. მაჰმადიანი ქართველობა ეროვნულად დაბნეულობას განიცდის. ისინი ლაპარაკობენ ორ ენაზე: ქართულად და თურქულად, მაგრამ კარგად არც ერთი არ არის განმტკიცებული. თათრული ენის ცოდნა იმდენად საჭირო არ არის, როგორც ქართული ენისა. რასაკვირველია, კაცმა რამდენი მეტი ენა იცის, იმდენად უკეთესია, მაგრამ სამშობლო ენა კი სხვაზედ უფრო საჭიროა...

სჯული ჩვენ სრულიადაც ხელს არ შეგვიშლის, რომ ჩვენს საერთო დედა-ენაზე ცოდნას და განვითარებას დავეწაფოთ და თვალი გავახილოთ. ჩვენ უნდა დავინტერესდეთ ჩვენი სამშობ-

ლოს ბედ-იღბალით, მისი კულტურით და წინმსვლელობით... თუ გვინდა, რომ თავი დავაღწიოთ გადაგვარებას და გადაშენებას“.

ეს წერილი ჰ. აბაშიძის აზრს ქართული ენის, როგორც შშობლიური ენის შესწავლის აუცილებლობის შესახებ, სავსებით ნათელყოფს.

ამავე წელს გამოქვეყნებულ წერილში „სამწუხარო ჩვეულება“ ავტორი ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ აჭარლებს „თათრებს“ ეძახიან. თათარი არ გამოხატავს ეროვნულ ვინაობას, „ჩვენ ქართველები ვართ და არა თათრებიო“. სათანადო ახსნა-განმარტების შემდეგ ის დაასკვნის: „ჩემი აზრით, ჩვენ ქართველ მაჰმადიანებს შეცდომით გვეძახიან „თათრებს“, მხოლოდ ეს შეცდომა ჩვეულებად გადაიქცა და ეს ჩვეულება ჩვენ ქართველ მაჰმადიანებისათვის დიდად სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ეს ჩვეულება გვიკარგავს ჩვენს ეროვნულ სახეს, ჩვენს ქართველობას. ეხლა კი, როდესაც ვიტყვით სიტყვა „ქართველს“, მაშინვე თვალწინ გვიდგება ქართველი ქრისტიანი და არა ქართველი მაჰმადიანი. ამისათვის საჭიროა ქართველი მაჰმადიანები ამ სამწუხარო ჩვეულებას გადავეჩვიოთ, რომ სრულიად არ დაგვეკარგოს ჩვენი ვინაობა, ჩვენი ნამდვილი ეროვნული სახე. ამ სამწუხარო ჩვეულების გადაჩვევას კი დიდად ყურადღება უნდა მივაქციოთ როგორც ჩვენ ქართველ მაჰმადიანებმა, ისე ჩვენმა შორმე ქართველ ქრისტიანებმაც“ („ბათუმის გაზეთი“, 1913 წ., № 34).

იმ დროისათვის ამ საკითხის ასე მწვავედ დასმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან პანისლამიზმის ბურუსში გახვეული აჭარელი ფანატიკოსები ქართველობაში ხედავდნენ არა ეროვნულ ნიშანს, არამედ სარწმუნოებას. წინათ რომ აჭარელისათვის გეკითხათ თურქი ხარ თუ „გურჯიო“ ის გიპასუხებდა, რომ მე „გურჯი“ (ქართველი) ვარო, ხოლო მისთვის რომ გეთქვათ თათარი ხარ თუ ქართველიო, იგი გიპასუხებდა, რომ „თათარი ვარო“. აქ ჩვენ საქმე გვაქვს სარწმუნოებასთან. თათრობა მათ მაჰმადიანობა ეგონათ, ხოლო ქართველობა — ქრისტიანობა. გურჯობაში ისინი ხედავდნენ ეროვნებას, რადგან თურქები აჭარლებს გურჯებს ეძახდნენ.

ჰაიდარ აბაშიძის წერილს გამოეხმაურა 1913 წლის მაისის „სახალხო გაზეთი“ (№ 899), რომელმაც მთლიანად დაბეჭდა

„ბათუმის გაზეთის“ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებული აღნიშნული საყურადღებო წერილი და მას სათანადო წინასიტყვაობაც დაურთო.

მაშინდელი მოწინავე საზოგადოება ჰაიდარ აბაშიძის წერილებს დიდად აფასებდა, ხოლო პანთურქისტები და სხვა რეაქციონერები, მეფის მოხელეების ჩათვლით, სასტიკად ილაშქრებდნენ ამ წერილების წინააღმდეგ. ისინი ამბობდნენ, რომ ჰაიდარ აბაშიძე გაქრისტიანდა — გაქართველდა, თავის რჯულს უღალატაო და სხვა. პანთურქისტები ახალგაზრდა ჰაიდარის წინააღმდეგ მისივე მშობლების მოშველიებას ცდილობდნენ; ისინი დაემუქრნენ „ბათუმის გაზეთის“ რედაქტორსაც და კატეგორიულად მოითხოვეს, რომ ამიერიდან მსგავსი სტატიების დაბეჭდვა აღარ გაეგზავნა. მაგრამ აბაშიძეს ასეთი მუქარები არ აშინებდა. იგი თანმიმდევრულად განაგრძობდა თავის საქმიანობას. 1913 წლის 20 ივნისს „ბათუმის გაზეთის“ მორიგ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ქართველი მუსლიმანების საყურადღებოდ“ ჰ. აბაშიძემ გამანადგურებელი პასუხი გასცა თავის მოწინააღმდეგეებს:

„ქართველი მუსლიმანების ერთი ნაწილი, როგორც ვხედავთ, დიდი უკმაყოფილო დარჩენილა ჩემი წერილის შინაარსით... ვერ ამიხსნია, თუ რა იყო აქ საწყენი... ვთხოვ ხსენებულ პირებს ნუ ავრცელებენ მუსლიმანებში უმართებულო სიტყვებს და ნუ უბნევენ ქართველ მუსლიმანებს გზას, რადგანაც უამისოდაც დაბნეული გვაქვს გზა-კვალი“.[1]

ჰაიდარ აბაშიძე ამავე წლის 31 ივლისს „სახალხო გაზეთში“ ათავსებს თავის სტატიას შემდეგი სათაურით: „მაჰმადიან ქართველთა ფანატიკოსობა და ეროვნული გრძნობა“.

იგი ამ წერილშიაც ადასტურებს იმას, რომ ქართველი მაჰმადიანები იგივე ქართველები არიან, რომ მათში ეროვნული გრძნობა, რომელიც თურქმა ბარბაროსებმა დათრგუნეს, განვითარებასა და მხარდაჭერას მოითხოვს.

თავის წერილში აბაშიძე მუსლიმან ქართველებს მოუწოდებს: „ჩვენ რომ კარგად დავაკვირდეთ და გავითვალისწინოთ, მაშინ დავინახავთ, რომ მათ ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად რაღაც უშლის ხელს და ეს არის ის, დიდი ხნიდან მოძინებული, ოდნავ მბეჟუტავი ეროვნული გრძნობა, და ეს გრძნობა არის სამშობლოს

1 „ბათუმის გაზეთი“, 1913 წ. № 43.

სიყვარული. თუმცაღა ამ ძილში განვლო სამასმა წელმა, მაგრამ არ იქნა და ვერ ამოიგლიჯეს გულიდან ეს გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, როგორც მოელოდა ამას ოსმალეთი; თუმცაღა მათ გულში სამშობლოს უჭირავს დაუვიწყარი ადგილი, მაგრამ ამ გრძნობას გარედან აქვს შემოხვეული ოსმალეთისაგან ჩანაგონები სიძულვილი."[1]

აბაშიძე არ კმაყოფილდება მარტო მუსლიმანი ფანატიკოსების წინააღმდეგ ბრძოლით, იგი საჭიროდ თვლის, რომ ქართველ ქრისტიანებშიაც გააჩაღოს პროპაგანდა და ბრძოლა გამოუცხადოს მათ შეგნებაში არსებულ მცდარ შეხედულებებს. იგი მათ მოუწოდებს, რომ ნუ აჰყვებიან მტრების პროვოკაციას და კიდევ უფრო მეტად გააღვივონ ეროვნულ გრძნობათა „ოდნავ მბეუტავი ნაპერწკალი".

აბაშიძე ვერ ურიგდებოდა იმას, რომ ზოგიერთი ჩამორჩენილი ქრისტიანი ქართველი აჭარლებს „თათრებს" უწოდებდა.

სავსებით სწორი იყო ჰ. აბაშიძე, როცა ერთმანეთისაგან ანსხვავებდა ეროვნებასა და სარწმუნოებას. იგი მისთვის ჩვეული მახვილით ებრძოდა მაშინ ქართველი ინტელიგენციის წრეებში შემორჩენილ ყალბ შეხედულებას იმის შესახებ, რომ თითქოს მაჰმადიანური სარწმუნოების მქონე აჭარლებს ქართველი ეროვნებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი დაკარგული ჰქონდათ. ასეთების საწინააღმდეგოდ ჰაიდარს თვით აჭარელ მშრომელთა პასუხები მოჰქონდა, მშრომელთა დიდ ნაწილს მაშინაც კი, როცა აჭარაში მეფის რეაქციონერი, შოვინისტი მოხელეები თარეშობდნენ, კარგად ესმოდა, რომ აჭარლები მხოლოდ სარწმუნოებით უკავშირდებოდნენ ოსმალოებს, ხოლო ეროვნებით ქართველები იყვნენ. ხალხის ამ ხმას კარგად იყენებდა ჰ. აბაშიძე. ეს მას საშუალებას აძლევდა დამაჯერებლად ემტკიცებინა, რომ აჭარლები იგივე ქართველები არიან, რომ მათთვის „თათრების" დაძახება ხელს უშლიდა ქართველი ხალხის საერთო ეროვნულ ინტერესებს, არღვევდა მის მთლიანობას, აბრკოლებდა აჭარელთა მიერ საუკუნოვანი სიბნელისაგან თავის დაღწევის საქმეს.

წერილში „ნუ იქნება ჩვეულება რჯულზე უმტკიცესი" ჰ. აბაშიძე წერდა: ...„ჩვენ რუსმა მოხელეებმაც დაგვარქვეს „თურქი". ბევრს... ვერც კი დააჯერებთ, თუ ჩვენ ქართველები ვართ. ასე

1 „სახალხო გაზეთი", 1913 წ., № 957.

ცდებიან არა მარტო უსწავლელნი, არამედ თვით მასწავლებელნიც კი. თუ გნებავთ მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ბათუმის ერთ სასწავლებელში მოწაფეებს გაკვეთილად მისცეს დასაწერად „აღწერა ბათუმის ოლქის მცხოვრებთა“. ერთმა მოწაფემ დასწერა, რომ ბათუმის ოლქში ცხოვრობენ უმეტესად ქართველი მუსლიმანებიო. მასწავლებელს ძლიერ გაუკვირდა და იკითხა ვინ არიან ქართველი მუსლიმანებიო? მან სთქვა, რომ ესენი ქართველი მუსლიმანები როდი არიან, ესენი „თურქები“ არიანო... არა, ბატონებო, ჩვენ „თურქები“, ოსმალები კი არა, ქართველები გახლავართ. თუ რუსები, სომხები, ბერძნები ან სხვები კი აღიარებენ მართლმადიდებლობას, კათოლიკობას, გრიგორიანობას და მაჰმადიანობას, მარა ეროვნულად რუსი, ბერძენი, სომეხი და სხვა რჩება, ჩვენ რაღა დავაშავეთ? მაჰმადიანები რომ ვართ, განა ქართველები აღარა ვართ? მაშ სადაურია ჩვენი დედაენა, ჩვენი გვარი, რა არის ეს ისტორიული ნაშთები, რომელნიც ღაღადებენ ჩვენს ვინაობას. თვით ქვანიც კი ჰღაღადებენ, თუ ვინ ვართ ჩვენ და მაშ ჩვეულება ნუ იქნება სჯულზე უმტკიცესი, აწი მაინც ნუ მიგვაჩნია ჩვენი თავი თათრებათ და ნურც სხვას მივცემთ ნებას, რომ „თათრები“ გვაწოდოს. სჯული სჯულად იყოს და ეროვნება ეროვნებათ“.[1]

ცნობილი ქართველი მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე აღტაცებული იყო ჰ. აბაშიძის წერილებით. იგი მას დიდ პატრიოტად და მთლიანი, გაერთიანებული საქართველოს ინტერესებისათვის მებრძოლ მოღვაწედ თვლიდა. ზ. ჭიჭინაძე განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ თვით აჭარელი, მუსლიმანი ქართველები პროტესტს აცხადებდნენ იმის გამო, რომ მათ „თათრებს“ ეძახდნენ. აჭარლები ჰაიდარ აბაშიძის თაოსნობით მოითხოვდნენ, რომ მათთვის „ქართველი“ ეწოდებინათ. „ეს განცხადება თუ რამდენად კეთილშობილური არის და ბუნებრივი, ამას განმარტება აღარ სჭირია“.[2]

ქართული კულტურის მოტრფიალე აჭარელი სხვაც ბევრი იყო. ჭიჭინაძის ამავე შრომაში მოჰყავს დურსუნ ქიქავას წერილი, რომელიც დაწერილია 1907 წელს. იგი ჭიჭინაძეს წერდა: „თქვენი პატივცემული წერილი მივიღე, ძალიან მესიამოვნა, მაგრამ რო-

1 „ბათუმის გაზეთი“, 1913 წ., № 88.

2 ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში, 1913 წ., თბილისი, გვ. 317.

კორც თქვენი წერილის შინაარსი გავიგე და კიდევ სხვა თქვენი გამოცემული წიგნები წავიკითხე, დიდი ღვაწლი დაგიდვიათ ქართველ მაჰმადიანებზე, ჩვენ ქართველ მაჰმადიანებს ვერ დაგვიფასებია თქვენი შრომა, მხოლოდ იყავით დარწმუნებული, რომ თქვენი დიდებული შრომა ჩვენზე ამაოდ არ ჩაივლის. ჩვენ ერთ ჯგუფს გვჯერა, რომ ჩვენი მომმე ქართველები ყოველ საშუალებას აღმოგვიჩენენ ყველაფერში და მათი აღმოჩენილი საშუალება იქნება ჩვენთვის დიდი სასარგებლო და დიდი იმედიც გვაქვს თქვენი... ძალიან დიდად დამავალებთ, თუ „ქვათა ღაღადს“ ი. ჭავჭავაძისა გამომიგზავნით „ნალოკნი პლატეკით“. თქვენი კეთილის მსურველი დურსუნი“.[1]

ჰაიდარ აბაშიძე ცნობილი იყო ქართველი მოღვაწეებისათვის. მ. ჯანაშვილმა სპეციალური წერილი—„ტბეთის სვეტი შავშეთში“—უძღვნა მას; ეს წერილი 1913 წლის „სახალხო გაზეთში“ (№ 955) გამოქვეყნდა.

ჰ. აბაშიძე აჭარაში თავგამოდებით იცავდა ქართული კულტურის ტრადიციებს, ესარჩლებოდა აჭარელთა ინტერესებს და თავს ესხმოდა იმ თურქოფილ კალმოსნებს, რომლებიც ბათუმში თურქული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბებასა და საერთოდ თურქიზაციისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა კატარებას მოითხოვდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, ვინმე ვასფი ეფენდი, რომელმაც ბაქოს გაზეთ „იკბალში“ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა. ვასფი ეფენდი აჭარლებს „თანამომმე“ მუსლიმანებს უწოდებდა. მისდამი საპასუხო წერილში ჰ. აბაშიძე აღნიშნავდა:

„ჩვენ კარგად გვესმის ვის გულისხმობს ის „თანამომმე“ მუსლიმანებად, ვისთვის უნდა „თათრული თეატრი“, „ეროვნული სასწავლებელი“, „ეროვნული წიგნები“, მარა მოვახსენებთ მას, რომ აქაურ მუსლიმანების დიდ უმრავლესობას კარგა ხანია აქვს ეროვნული სასწავლებელი, ჰყავს ეროვნული ქართული დრამატული საზოგადოება და დასი, მოეპოვება სამშობლო ენაზე გამოცემული ქართული წიგნები“.

აბაშიძე აღნიშნავს, რომ თურქულმა ენამ და თეატრმა ჩვენ წინ კი არ წაგვწია, არამედ სამასი წლის მანძილზე მათმა ბატონობამ ჩვენი მაღალი კულტურა მოსპო და გაანადგურა. დასას-

1 ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში, 1913 წ., თბილისი, გვ. 318.

რულს იგი წერდა: „ამასთან გვიკვირს ბ-ს ვასფი ეფენდის პოლიტიკა... მარა ბ-ნ ვასფი ეფენდი თითონ ტომით არაბი ოსმალოფილისა და სპარსოფილის როლში მეტად ყალბ პოზიციაზე დგასო“.[1]

ერთ წიგნში, რომელიც 1915 წელს გამოიცა („ძმური სიტყვა ქართველ მაჰმადიანებს“) ვკითხულობთ:

„ჰაიდარი ბეგი ქართველ მუსულმანებში პირველი ახალგაზრდა კაცია, რომელიც სიტყვით და კალმით, სრული შეგნებით, იცავს ჩვენს ერთობას... ამ აზრის გავრცელებას ჰაიდარ ბეგი იწყებს თავისიანებში, მაგრამ სამწუხაროდ ჰაიდარ ბეგის კეთილ რჩევას ბევრი მაშინ ვერ მიუხვდა, ბევრი კიდეც გადაემტერა... ზოგს ჰაიდარ ბეგი მუსულმანების მტერი ეგონა.

ჰაიდარ აბაშიძეს მოწინავე სხვა აჭარლებიც ჰბაძავდნენ. მაგალითად, ხასან ეფენდი დიასამიძე ამბობდა, რომ ქართული წიგნების გამოცემა ქართველ მაჰმადიანთათვის აუცილებლად საჭირო იყო. „ამას აშკარად ასაბუთებს თვით ის გარემოებაც, რომ ამ ბოლო დროს ქართულ გაზეთებში დაიბეჭდა ისეთი წერილები, რომელნიც მაჰმადიან ქართველებს ეკუთვნის. პრესის საშუალებით ხმას იღებენ როგორც მაჰმადიანი ქართველი კაცები, ისე მათი ქალებიც. ამის აშკარა საბუთი გახლავთ ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე, მაჰმადიანი ქართველი და სხვა, რომელთა გონივრული წერილებიც იბეჭდება „ბათუმის გაზეთში“.[2]

შემდეგ ჰ. აბაშიძე თავისი მოღვაწეობის ასპარეზს აფართოებდა. თუ ის წინათ მარტო გამოდიოდა პანთურქისტების წინააღმდეგ და აყენებდა ეროვნული გათვითცნობიერების საკითხს, ახლა იგი ხალხს დაუკავშირდა. ხალხის მოწინავე ნაწილთან ერთად იგი ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც აჭარლების ეროვნული გამოღვიძების საქმეს ხელს უშლიდა. ამის მაგალითია 19 მაჰმადიანი ქართველის პროტესტი („საგულისხმო პროტესტი“), რომელიც „ბათუმის გაზეთში“ გამოქვეყნდა. წერილის ავტორები აღნიშნავდნენ, რომ ახლა საჭირო იყო არა მარტო ჩვენს ოლქში მყოფი ქართველი მაჰმადიანებისათვის ზრუნვა, არამედ ოსმალეთის მონობაში მყოფი ჩვენი ღვიძლი ძმების განთავისუფლებისათვის ბრძოლაც.[3] ამავე წერილში ისინი გმობდნენ ისეთი ქართ-

1 „ბათუმის გაზეთი“, 1914 წ., № 22.
2 „ბათუმის გაზეთი“, 1914 წ., № 29.
3 „ბათუმის გაზეთი“, 1914 წ., № 45.

ველი მუსლიმანების საქციელს, რომლებიც გადაგვარების გზაზე იყვნენ და სხვებსაც პანისლამიზმის ბურუსში ახვევდნენ: „ოსმალეთის იმპერიაში აღარ დარჩენილა არც ერთი კულტურული ერის შვილები, რომ ეროვნულად არ გამორკვეულიყვნენ. ჯერი მიდგა გურჯებზე — ქართველებზე, რომლებიც ერთის მხრივ ბათუმის ოლქის რუსეთთან შემოერთების შემდეგაც დარჩნენ ისევ ოსმალეთის მონობაში, რადგან ნაწილი ოსმალეთის ტერიტორიაზე დარჩნენ და მეორე ნაწილი აჭარლებისა მუჰაჯირებად გარდაიხვეწნენ აქედან ოსმალეთში. ასეთი გურჯების — მაჰმადიანი ქართველების რიცხვი დიდია ოსმალეთში და აი ისინიც გამოერკვნენ ეროვნულად... ამის ცოცხალ მაგალითს იძლევიან სტამბოლელი მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველები, რომელნიც იკრიბებიან ერთად-ერთ ჭერქვეშ და ბჭობენ თავიანთ ჭირვარამზე, თავიანთ ეროვნულ საქმეებზე. ეს თუ ასეა ოსმალეთში, მით უმეტეს უნდა იყოს აქ, სადაც ჩვენი თანამოძმე ქრისტიანი ქართველობა ზრუნავს ჩვენთვის, მათ ჩამორჩენილ მოძმეთათვის და სურს კულტურულ ნიადაგზე დაუკავშირდეთ მათ“.

აღნიშნულის შემდეგ, წერილის ავტორები სასტიკად გმობდნენ ვასფი ეფენდის გამოსვლას ბაქოს თურქულ გაზეთში და დასძენდნენ, ვასფი და მისთანა „ვაჟბატონები პანისლამიზმის ბურუსში ახვევენ ეროვნულ საკითხებს და ურჩევენ მათ, რომ „რადგანაც თქვენ მუსულმანები ხართ, მაჰმადიანები, ისლამისთვის არ არსებობს ეროვნებაო“... ამიტომ ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ იმ ვაჟბატონებს, რომელნიც თავის უვიცობით, ქვენა მიზნებით ან რაიმე სხვა განზრახვით წინ ეღობებიან მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების ეროვნულ-კულტურულ დაკავშირებას“.

ეს ამონაწერი ერთხელ კიდევ მიგვითითებს იმაზე, რომ ქართველი მუსლიმანები ჰაიდარ აბაშიძის მეთაურობით ეროვნული გათვითცნობიერების გზას დაადგნენ. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ იუსუფ კაიკაციშვილის წერილი სწავლა-განათლების საჭიროების აუცილებლობის შესახებ („ბათუმის გაზეთი“, № 26, 1914 წ.).

„უეჭველია და დროც არის ხალხს შთააგონონ სწავლა-განათლებას ხელი მიჰყონ. უნდა შეიგნოს მან სწავლის საჭიროება; ნახოს ნაყოფი და გემო სწავლისა. მაშინ აღარ იტყვის, როგორც ახლა გაიძახიან, სკოლა არ გვინდაო, მაგრამ უნდა ვიქონიოთ მხე-

დველობაში, რომ სხვისი ძუძუთი გაზრდილი ბავშვი ნაკლებად იზრდება, ძიძების გაზრდილი ბავშვი დედ-მამას ნაკლებად უყვარს. ხშირად რძის გამოცვლა ბავშვს წუთი სოფელს უსალმებს. დედის ძუძუ კი ბავშვისათვის წამალია. აი, ასე უნდა დაიწყოს ჩვენი ბავშვების აღზრდა, სწავლა-განათლებაზე. ასწავლონ ჩვენს ბავშვებს მათი დედა-ენა და მაშინ შეუყვარდებათ შვილების სკოლაში მიცემა. ნაყოფსაც დაინახავენ, რადგანაც მათი შვილები იქნებიან ნამდვილი გულშემატკივარი... ქვეყნის ავკარგისა".

აბაშიძისა და მის თანამებრძოლთა წერილებმა თურქოფილთა ბანაკის ახალი წინააღმდეგობა გამოიწვია. ბაქოს თურქული გაზეთის „იკბალის" № 628-ში ვინმე ყარაღაზადემ მოათავსა წერილი ქართველი მუსლიმანების შესახებ, რომელშიაც ათასგვარ ცილს სწამებდა ჰ. აბაშიძეს. ამ უკანასკნელმა მას გამანადგურებელი პასუხი გასცა — „ამასაც მტკიცება უნდა?" (პასუხად ჩვენს გადაგვარებულს თანამოძმეს და თანამორწმუნეს ბ-ნ ყარაღაზადეს).

ყარაღაზადე ამტკიცებდა, რომ აჭარლები თურქებს ძალით კი არ დაუპყრიათ, არამედ ისინი ნებაყოფლობით გამუსლიმანდნენო: ამით ის უარყოფდა ქართველების მიერ საუკუნეების განმავლობაში თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ყარაღაზადეს ბათუმში არსებული ქართული სკოლები, რომლებიც ქ. შ. წ. გ. საზოგადოების მიერ იყო გახსნილი, არ მიაჩნდა მშობლიურ სკოლებად. იგი აჭარლებისათვის თურქული სკოლების გახსნას მოითხოვდა.

ჰ. აბაშიძე ყარაღაზადეს საპასუხოდ წერდა: „უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ სრულიად უსაფუძვლოდ და უსაბუთოდ გვიკიჟინებს ჩვენი გადაგვარებული თანამოძმე ბ-ნი ყარაღაზადე, რომ ამბობს: „ქართველი მაჰმადიანი წარსულის დაბრუნებაზე ფიქრობს და მის მეტი საფიქრებელი არა აქვს რაო". ამ ყიჟინში, ბოროტი განზრახვით ჩართული ერთგვარი ცილისწამებაა. წარსულის დაბრუნება არავის ძალუძს, ისტორიის ჩარხი უკუღმა არ ტრიალებს. ეს ჩვენ კარგად გვესმის. ყარაღაზადეს ამ სიტყვებს მხოლოდ ის სარჩული უდევს, რომ ჩვენ მოგვისისინოს ჩვენი თანამორწმუნენი, თითქოს ჩვენ სარწმუნოებრივ მხარეს ვეხებოდეთ და განზრახვა გვქონდეს ჩვენ ძველ მამა-პაპათა ქრისტიანულ სარწმუნოებას დავუბრუნდეთ. სრულებით ასე არაა... საზო-

გადოდ, მარა კერძოდ ბ-ნი ყარაღაზადე ტყუილად ირჯება იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს სარწმუნოების გამოცვლასთან ერთად გამაჰმადიანებულმა ქართველობამ დაჰკარგა თავისი ეროვნული სახე. მართალია, თურქთა ბატონობამ და ისლამმა თავისი ბეჭედი დაასო მას, მარა ეროვნული თვითარსებობა და ერი ვერ აღმოფხვრა მასში... ეს ისე ნათელი და ცხადია, რომ ამის მტკიცება აღარ უნდა იყოს საჭირო. მარა, სამწუხაროდ, არიან გადაგვარებული არაბ ვასფი ეფენდისა და ქართველი ყარაღაზადესთანა კალმოსნები, რომელთაც ნათელი ჭეშმარიტება ჯერაც ვერ შეუგნიათ".

აბაშიძე ამ წერილით ერთხელ კიდევ უმტკიცებს ქართველ მუსლიმანებს, რომ ეროვნება ერთია და სარწმუნოება მეორე; მაგალითად, ქართველებში იყვნენ და ჯერ კიდევ არიან მართლმადიდებლები, კათოლიკები, მაჰმადიანები და სხვა, მაგრამ ეროვნებით კი ისინი ყველა ქართველები არიანო.

ყარაღაზადეს წინააღმდეგ ილაშქრებდნენ სხვებიც. გ. დიასამიძე 1914 წელს „ბათუმის გაზეთში" (№ 47) ყარაღაზადეს გადაგვარების შესახებ შემდეგს წერდა: „ყარაღაზადე საწყენად ღებულობს თუ რისთვის უწოდეს მას გადაგვარებული, მაგრამ მოვახსენებ მას, რომ ნუთუ თითონ ვერ გრძნობს თავის გადაგვარებას. ნუთუ ვერ გრძნობს მის შეცდომას. გადაგვარებული რომ არ იყოს, როგორც გურჯი, ქართველი თათრულს კი არა, ქართულ გაზეთებს მიმართავდა, ჩვენთვის ბასაგებ დედა-ენაზე დაწერდაო" — დასძენდა დიასამიძე.

ჰ. აბაშიძე დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი სამძიმრის დეპეშა დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის გარდაცვალების გამო.

„ქართველი ერის ნაწილ-ნანგრევებს, ისედაც ბედისაგან დაწყევლილ-დატანჯულებს, ტანჯვაზე-ტანჯვა აღარ გვშორდება და ამ უკანასკნელმა, სამუდამოდ დაუვიწყარმა თავზარდამცემმა, საქართველოს დიდებული შვილის დაკარგვამ, გადააჭარბა ყოველ ტანჯვას... ჯგუფის მინდობილობით ჰ. აბაშიძე".

ამ სიტყვებით ჰაიდარმა გამოხატა ქართველ მაჰმადიანთა საერთო მწუხარება, გამოწვეული დიდი ქრთველი პოეტის დაკარგვით.

საინტერესოა გულო-აღა კაიკაციშვილის თქმული სიტყვა აკაკი წერეთლის დასაფლავებაზე:

„საქართველომ მუდამ მტრის ბრძოლაში ატარა თავის სიცოცხლე, თუ სპარსნი თუ ოსმალნი და სხვა ერებიც ღვრიდნენ მათ სისხლს და აოხრებდენ ქართველთა სადიდებელ ნაშთებს და ამგვარად საქართველოს ისტორია, ქართველთა ერის წამების ისტორია არის... ბოლოს კი წარსულ რუს-ოსმალეთის (ომის) დროს მოხთა განგება და კვლავ შემოგიერთდით — ჩვენ უფროს მოძმე ქართველებს და ვსუნთქავთ ქართველ ერთან ერთად“.[1]

* * *

1914 წლის ივლისში მეფის მთავრობის ბრძანებით საყოველთაო მობილიზაცია დაიწყო. 19 ივლისს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს.

რუსეთ-გერმანიის ომში თურქეთი თითქოს ნეიტრალური იყო, მაგრამ რუსეთის მთავრობას კარგად ესმოდა საქმის ნამდვილი ვითარება. 1914 წლის 31 ივლისს მეფისნაცვლის მოადგილე სამოქალაქო ნაწილში ჰოფმაისტერი პეტერსონი დეპეშით ატყობინებდა ბათუმის გენერალ-გუბერნატორს რომანოვსკის რუსეთ-თურქეთს შორის მოსალოდნელი ომის შესახებ და სთხოვდა მას, ეცნობებინათ მისთვის, თუ როგორი იყო ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილება. რომანოვსკი პასუხობდა, რომ მოსახლეობა რუსეთს სიმპათიურად უყურებდა; იგი მეფისნაცვალს თხოვდა ნებართვას, რომ ადგილობრივი მოსახლეობისაგან მილიცია შეეკრიბათ.

ამ დროს რუსეთ-თურქეთის საზღვრებზე ჯარების გადაჯგუფება და შეგროვება დაიწყო. ართვინის ოლქის უფროსი ბათუმის გუბერნატორს აცნობებდა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები მილიციაში ჩაწერას ითხოვენ; მათი რიცხვი სამას კაცამდე აღწევდა.

რუსეთის სარდლობას ხელთ ჰქონდა საიდუმლო ცნობები თურქეთის საომარი მზადების შესახებ. რომანოვსკის აცნობებდნენ, რომ ენვერ-ბეგმა რამდენიმე კაცი მიავლინა მექაში არაბების გადმოსაბირებლად, რათა ომის დროს თურქეთის მთავრობას დაეხმარონ. გარდა ამისა, კონსტანტინოპოლში შემოვიდა გერმა-

1 „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“, გვ. 57-58, თბილისი, 1915 წელი.

ნიის ორი სამხედრო გემი; თურქეთში გერმანიიდან 100-ზე მეტი გერმანელი ოფიცერი მიავლინეს. ომის შემთხვევაში მთავარსარდლად ვარაუდობდნენ ენვერ-ბეგს (ენვერ-ფაშა), ხოლო შტაბის უფროსად გენ. სანდერესის. ასეთი იყო თურქეთის „ნეიტრალიტეტი“ რუსეთ-გერმანიის ომის დროს. 2 აგვისტოს სულთანმა საიდუმლო ხელშეკრულება დადო გერმანიასთან, ხოლო 10 აგვისტოს გერმანიის ხომალდები „გებენი“ და „ბრესლაუ“ შავ ზღვაში შემოუშვა. გემებს თურქული დროშები ჰქონდათ და მეზღვაურებს ფესკები ეხურათ. ენვერ-ფაშა ამავე დროს სამშვიდობო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთთან, ინგლისთან და საფრანგეთთან.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი ომის დროს რუსეთის მოკავშირედ გამოდიოდა, „გებენისა“ და „ბრესლაუს“ შავ ზღვაში შემოსვლა მის გარეშე არ მომხდარა და ამაში უ. ჩერჩილის ხელი ერია. მას უნდოდა რუსეთი შავ ზღვაზე არ გაძლიერებულიყო. 1914 წლის ნოემბერს დაიწყო ბრძოლა. თურქები შემოიჭრნენ ართვინში, არტანუჯში, ბორჩხაში. მათ აჭარისწყლამდე მიაღწიეს. ამ დროს კავკასიის ძალები რუსეთ-გერმანიის ფრონტზე იყო გადასროლილი და ამიტომ კავკასიის ფრონტი სუსტი აღმოჩნდა, რამაც ერთგვარი უპირატესობა მისცა თურქეთის ჯარს. მაგრამ მდგომარეობა მალე გამოსწორდა. რუსეთის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და კონსტანტინოპოლს მიუახლოვდნენ.

1914 წლის 27 ნოემბერს, დღის ორ საათზე, თურქებმა გერმანიისაგან გადმოცემული კრეისერებიდან, „გებენიდან“ და „ბრესლაუდან“, ყუმბარები დაუშინეს ქალაქ ბათუმს; რუსეთის სიმაგრეებისა და გემების საპასუხო ცეცხლის შედეგად „გებენი“ და „ბრესლაუ“ უკუიქცნენ.[1]

1914 წლის ომში აჭარა აოხრდა. თურქებმა აჭარლები ძალით გარეკეს ოსმალეთში. სულთანის ურდოებმა აჭარის მოსახლეობა ეკონომიურად გააჩანაგეს. ისინი ამით არ დაკმაყოფილდნენ და აჭარლებს მოსთხოვეს იარაღი აეღოთ ხელში და მათ მხარეს ებრძოლათ. აჭარა ამ დროს ორი სახელმწიფოს საბრძოლო ასპარეზში მოემწყვდა და იგი ფიზიკურად კინალამ განადგურდა. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა ლიახოვმა აჭარლები მოღალატეებად გამოაცხადა და მოსახლეობის ნაწილი რუსეთის

1 ყუმბარის ნამსხვრევები ბათუმის ბულვარში დაეცა. ზარალი არ ყოფილა. ყუმბარის ნამსხვრევები ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.

შორეულ მხარეებში გადაასახლა. მათი უმრავლესობა გზაშივე დაიხოცა. კაზაკებმა მათი სახლ-კარი გადაბუგეს.

აჭარლების მიმართ ბრალდება უსაფუძვლო იყო. ამას თვით გუბერნატორის საბუთი ადასტურებს:

«...большинство обвинений в судах, в измене Аджарцев Русскому правительству, построены главным образом на лживых показаниях".[1]

პანთურქისტები აჭარლებში ავრცელებდნენ სხვადასხვა პროვოკაციას. მაგალითად, მათ ხალხში გაავრცელეს პროკლამაცია: თითქოს მედინადან მიღებული ყოფილიყოს წერილი იმის შესახებ, რომ „მადჯაბირს" (ღვთის საამებელი-მავედრებელი) მაჰმადის საფლავიდან მოესმინოს მაჰმადის საუბარი, რომელიც აფრთხილებდა მუსლიმანთ, რომ ახლოვდება 1915 წელი, რომელიც იქნება მაჰმადიანთა სამყაროსათვის გადამწყვეტი და ყველა გიაურისა და მერყევი მუსლიმანისათვის დამღუპველიო. წერილში მოუწოდებდნენ ყველას, ეს ამბავი გაევრცელებინათ მუსლიმანებში, რათა მათ მიეღოთ მონაწილეობა „საღვთო ომში".

იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებით აჭარაში ავრცელებდნენ თურქოფილურ მოწოდებებს. ერთ მათგანში ნათქვამია: „მუსლიმანებო! მუსლიმანთა დროშა კელავ აღმართულია კავკასიის მთებზე, მას ყოველი მხრიდან „ელლაჰუექბერით" ესალმებიან, ხალიფი თქვენ გიგზავნით თავის ლოცვა-კურთხევას და გიწვევთ დიდ საღმრთო ომში. ე. ი. თქვენ, კავკასიელო მუსლიმანებო! უნდა აღსდგეთ რუსეთის წინააღმდეგ და დაიწყოთ საღმრთო ომი, დადგა დრო, რომ დაიცვათ ყურანი და მისი კანონები იმათ შეურაცხყოფისაგან, ამიტომ თქვენ ყველა უნოა შეიარაღდეთ და განდევნოთ მტერი თქვენი ქვეყნიდან... არ მისცეთ მტერს მოძრაობის საშუალება, რუსეთის შიგნით გადაუხლართეთ გზები, რისთვისაც საჭიროა დაანგრიოთ ტელეფონი, ტელეგრაფი, მოუსპეთ სურსათ-სანოვაგე და დაეხმარეთ თქვენთან მოსულ ჩეთნიკებს, შეასრულეთ იმათი მითითებები და მათ შეუერთდით..."

„აბა თქვენ! შვილებო შახ (შეიხ) შამილისა, შეებით მტერს და მოსპეთ იგი — ღმერთი და მეჰამედი თქვენთანაა. გამარჯვებამდე ცოტა დრო დარჩა"... და სხვა[2]

---

1 Гос. арх. Аджарии, ф. № 1, дело № 741, лист 11. 12. 1916 г.
2 აჭარის სახელმწიფო არქივი, ფ. № 1, საქმე 708, ფურც. 57-58.

მიუხედავად ამისა, აჭარელთა ძირითადი მასა რუსეთისადმი კეთილგანწყობილი იყო. ამასთან დაკავშირებით ისმაილ კაიკაციშვილი წერდა:

„ჩვენ არა ერთხელ დავრწმუნდით, რომ რუსეთის მმართველობის შემდეგ სრულ უშიშროებასა და მყუდროებაში ვართ. ჩვენ ისიც ვიცით, თუ ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები, ჩვენ ქართველები ვართ გვარტომობით".[1]

ჰ. აბაშიძე ომის დროს თანმიმდევრობით იბრძოდა თურქოფილობის წინააღმდეგ. იგი ნიღაბს ხდიდა მათ მიერ წარმოებულ ცრუ პროპაგანდას ე. წ. „საღვთო ომის" შესახებ და განუმარტავდა ხალხს, თუ რაში მდგომარეობდა დამპყრობელთა ნამდვილი მიზნები და ამოცანები. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი წერილი: „მაჰმადის დროშა, საღმთო ომი და ოსმალები".[2] წერილში იგი ასაბუთებდა, რომ აჭარლებს ოსმალთა ინტერესებისათვის სისხლი არ უნდა დაეღვარათ და თავიანთი ბედი რუსეთთან უნდა დაეკავშირებინათ.

„რა შუაშია დღეს, მე-20 საუკუნეში, საღმთო ომი, — წერდა ჰ. აბაშიძე, — ვის სცალია ან ვის ეპიტნავება სარწმუნოების დევნა... რა შუაშია დღეს საწყალი აჭარლები, რომ ეუბნებიან (როგორც „აზრში" წავიკითხეთ) საღმრთო ომი გამოცხადდა, თქვენ რას აპირებთო".

ჰ. აბაშიძე არ კმაყოფილდება მარტო ცალკეული თურქოფილების ყალბი მოწოდების მხილებით. ის ააშკარავებდა თურქეთის სახელმწიფოს ნამდვილ განზრახვებს, „საღვთო ომის" ლოზუნგს ამოფარებული რომ იყო:

„აშკარაა, რომ საღმთო ომი გამოაცხადეს თავისი ინტერესების დასაცავად და არა მაჰმადის სარწმუნოებისათვის". მათი მიზანი იყო „საღვთო ომის" ლოზუნგის გამოყენება, რათა ეჯანყებინათ „ოთხას მილიონამდე მუსულმანები, რომელთაც თავთავისი სამშობლო და დედაენა აქვთ, თავისი ინტერესებისათვის მსხვერპლად შეეწირათ ისინი".

1914 წლის იმპერიალისტურ ომში, როგორც ვთქვით, აჭარა აოხრდა. რა გასაკვირია, რომ აჭარა-შავშეთის და მთელი სამხრეთი საქართველოს მოსახლეობამ თურქეთს მხარი არ დაუჭირა. ამას

1 „ახალი ივერია", 1914 წ., № 32.
2 გაზ. „სამშობლო", 1915 წ. 22 თებერვალი, № 18.

ადასტურებს მაშინდელი გაზეთები. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1915 წელს აქვეყნებდა ამონაწერს ვინმე ატრპეტის სტატიიდან: „როდესაც წარსული წლის გიორგობისთვეში ოსმალთა ჯარი შეიჭრა შავშეთსა და იმერხევში, მაშინ ადგილობრივი მაჰმადიანები, მხოლოდ ოსმალთა ჩამომავლობისა, შეუერთდენ ამ ჯარს, იმერხევის თერთმეტი სოფლის ქართველ მაჰმადიანებმა კი არა თუ არ შემოუშვეს ოსმალნი თავის სოფლებში, არამედ თავის მფარველობის ქვეშ მიიღეს იმერხევში ქრისტიანების ერთად-ერთი ბუდე სომეხთა სოფელი ფციყურა... მიუხედავად ოსმალთა და ნემცთა მეცადინეობისა, იმერხევის ქართველი მაჰმადიანები დარჩენ რუსეთის და მეზობელ სომხების ერთგული“.[1] საყურადღებო იყო ხულოში მომხდარი ერთი ფაქტიც:

„როდესაც აქ ჩეტნიკები შემოვიდნენ, გაათხრეს ყველაფერი, შემდეგ სოფლებში დაიწყეს ტაციობა. აქაური მცხოვრები ხაფიზ მეხეშიძის ოჯახში ნახეს მაცხოვრის ხატი, რომელიც მას ჰქონდა შენახული, რომ ჩეტნიკებს არ გაეანადგურებიათ. როდესაც ეს ოჯახი გაჩხრიკეს და ნახეს ხატი, მათ დაუპირეს დამტვრევა და ტყვიის სროლა, მაგრამ ამ დროს მეხეშიძის შვილმა მას ხელი დაატანა და მიიმალა ტყეში ხატით“.[2]

ომის მეოხებით შექმნილი აუტანელი მდგომარეობიდან გამოსავალს აბაშიძე მხოლოდ ქართველ მოძმე ქრისტიანებში ხედავდა, მთელ იმედებს მათზე ამყარებდა და მათგან დახმარებას მოითხოვდა.

1915 წლის 19 მარტს გაზეთ „სამშობლოს“ № 31-ში ჰ. აბაშიძე აქვეყნებს წერილს — „კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური“.

წერილის შესავალში იგი წერს:

„ძვირფასო ძმანო! მოგვწყინდა მოწოდებაც და საყვედურიც თქვენდამი, მაგრამ რა გზა გვაქვს მეტი. სხვას ვის უნდა ვუსაყვედუროთ, ვის მოუწოდოთ, ვის ვუთხრათ ჩვენი გულის ტკივილი, ვის, საით წავიდეთ, ვის მივმართოთ, თუ არა ისევ თქვენ“.

ავტორი გამოთქვამს საყვედურს იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ზოგიერთი ქართველი ინტელიგენტი მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყნებში და ჩვენი მხარე კი არ უნახავს, არ იცნობს აჭარას.

1 „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. № 28.
2 „გაზეთი „საქართველო“, 1915 წ. № 80.

„სიტყვის განგრძობა ზედმეტია, ვიტყვი მხოლოდ, რომ იმ ქართველს, რომელსაც არ აქვს დავლილი ის მხარე, რომელიც ერთ დროს... საქართველოს საუკეთესო ნაწილად ითვლებოდა, რომელ ქართველსაც აქ წარსულის ნაშთებზე არ დაუღვრია ცრემლები, მას არ შეუძლია სულითა და გულით დახმარების გაწევა და მათი სიტყვები სიტყვებადვე დარჩება". ამ წერილის გამოქვეყნებიდან ოთხი დღის შემდეგ გაზეთი „სახალხო ფურცელი" (№ 234, 1915 წელს) ათავსებს ვრცელ წერილს „ჰაიდარ-ბეგ აბაშიძის წერილის გამო".

ამ წერილის ავტორი ს-ა წერდა: „ცრემლი უნდა მოადგეს თვალს და გულმა მწვავე ტკივილი იგრძნოს ზემოთ მოყვანილი წერილის გამო, თუ ცრემლთა წყარო მთლად არ დაშრეტილა ჩვენი და გრძნობა სამუდამოდ არ დაუკარგავს, უნდა იგრძნოს უმძიმესი ტკივილი და გაიგონოს უდიდესი მოვალეობის ხმა".

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ დიდი მუშაობა გასწია პირველი იმპერიალისტური ომით დაზარალებული აჭარლების დასახმარებლად. მისი ინიციატივით, 1915 წელს, საქართველოს ყველა ქალაქსა და სამაზრო ცენტრში ჩამოყალიბდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის განყოფილებები და თვით ცალკეულ რაიონებში შეიქმნა მრავალი ე. წ. სარეგისტრაციო პუნქტები.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თავ-რე იყო მიხეილ მაჩაბელი, თავ-რის ამხანაგი პართენ გოთუა, საზოგადოების ხაზინადარი ვასილ ყიფიანი, საზოგადოების მდივანი პავლე საყვარელიძე. საზ-ბის წევრები: იოსებ ბარათაშვილი, გრიგოლ რცხილაძე, გიორგი ცინცაძე, მიხეილ ლაღიძე, ივანე გომართელი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გერონტი ქიქოძე, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს აჭარლებისადმი დახმარების საქმეში.

აჭარლებზე დახმარების გაწევის მიზნით ბათუმში ჩამოვიდნენ: თბილისის და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურთა წინამძღოლები თავადები: კონსტანტინე აფხაზი და დავით ნიკარაძე. მათთან ერთად იყვნენ თავადი მიხეილ სუმბათაშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, სიმონ ფირცხალავა და სხვები.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების 1915 წლის ანგარიშში აჭარის უბედურების შესახებ აღნიშნულია: „მთელი სამაჰ-

მადიანო საქართველო და კერძოდ აჭარა, შავშეთი-იმერხევი, კლარჯეთი (საერთოდ ბათუმის ოლქი) ომის ასპარეზად გადაიქცა. ქვეყანა აოხრდა. ხალხის სახლკარი და სარჩო-საბადებელი, მისი ოფლისღვრით შექმნილი სიმდიდრე ცეცხლმა შთანთქა. ომის გახელებული სტიქიონი ანადგურებდა ყველაფერს. თავზარდაცემული ხალხი იქით-აქეთ იფანტებოდა. ნახევარი იძულებული შეიქმნა გადაკარგულიყო, მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი. მრავალი, ვინც გადარჩა, სახელდობრ აჭარასა და შავშეთში, საშინელ გაჭირვებასა და შიშს განიცდიდა".[1]

საქველმოქმედო საზოგადოება გაზეთში აქვეყნებდა განცხადებებს: „შაბათს 13 ივნისს, ქართველი საქველმოქმედო საზოგადოება სახაზინო თეატრში მართავს დიდ საღამოს, რომლის შემოსავალი ჩვენ მოძმე აჭარლებს უნდა მოხმარდეს".[2]

ომით დაზარალებული აჭარლებისადმი დახმარების კამპანია ფართოდ გაიშალა საქართველოში. არც ერთი სოფელი და დაბა არ დარჩენილა, რომ არ შეეგროვებინა თანხები აჭარლების დასახმარებლად.

ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო ხალხმა, საზოგადოების ზედა ფენები კი პირველ ხანებში ამ წამოწყებას დუმილით შეხვდნენ. ამის შესახებ ჟურნალმა „თეატრმა და ცხოვრებამ" 1915 წელს (№ 12) დაბეჭდა წერილი „საქმე და არა სიტყვა" (კიდევ აჭარლებზე).

ამ სტატიაში ჟურნალი ქართველ ბობოლებს უსაყვედურებდა აჭარლებისათვის მცირე დახმარების გაწევის გამო და ჰ. აბაშიძის წერილთან დაკავშირებით აღნიშნავდა:

„ორი კვირა იქნება, რაც ჰაიდარ-ბეგ აბაშიძემ სამართლიანი საყვედურით აღსავსე წერილით მიმართა ქართველ საზოგადოებას („სამშობლოში", შემდეგ სხვა გაზეთებმა გადაბეჭდეს), და, მიუხედავად ყოველივე ამისა, ვიმეორებთ, მხოლოდ ხალხმავე დაიწყო თავისი წვლილის გზავნა რედაქციებში... ბობოლანი კი სდუმან, ან მხოლოდ ჩურჩულობენ".

ჟურნალი მოუწოდებდა ქართველ საზოგადოებას: „დადგა დრო, როდესაც ჩვენს გათიშულ ძმებს თვალნათლივ უნდა დავუ-

1 ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებისა 1915 წელს, გამოცემულია 1916 წელს, გვ. 1-2.
2 გაზ. „საქართველო", 1915 წ., № 17. გვ. 2.

შტკიცოთ არა მხოლოდ ჩვენი თანაგრძნობა, არამედ ისიც, რომ ჩვენ ერთნი ვიყავით ძველად ლხინში, ერთივე უნდა ვიყოთ ახლა ჭირში და მომავალშიაც... ნუთუ აქ დაყოვნება გვმართებს... აჭარელთა ბედიღბალი ჩვენი ქვეყნის დიდი და მწვავე საკითხთაგანია, როგორც ქართველი გვარტომის ხალხისა".

ქართველმა ხალხმა გულთან ახლოს მიიტანა 1914 წლის ომის გამო აჭარლების მიერ განცდილი უბედურება, მაგრამ ქართველთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მერყეობდნენ, ეშინოდათ აჭარლების თავის მოძმედ აღიარებისა, ზოგიც აჭარლების ვინაობაში გარკვეული არ იყო. აჭარის დახმარებისადმი მიძღვნილ ალმანახში, რომელიც 1916 წელს დაიბეჭდა, მოთავსებულია ერთი საინტერესო წერილი — „სამი შეხვედრა".

„ჩემი მობაასენი, — წერს ავტორი, — სამსავე შემთხვევაში იყვნენ: ორი ე. წ. ქართველი მოღვაწე და ერთიც წარჩინებული რუსი მოხელე.

შევაღე თუ არა ქალაქის მამის კაბინეტის კარი, მე მივმართე მას საყვედურით... რას მივაწეროთ თქვენი უმოქმედობა ასეთ კრიტიკულ მომენტში, როცა მოძმე ხალხი, ორ ცეცხლში მომწყვდეული, წარმოუთქმელ საშინელებას განიცდის, ხმას რატომ არ აიმაღლებთ, — შეეკითხე მას. — ჩუმად, გეთაყვა, არავინ გაგიგონოს თქვენი ლაპარაკი, ხმის ამოღება კი არა, დუმილი გმართებს ამ წუთში, დუმილი, ჩვენ არც ის უნდა ვთქვათ ხმამაღლა, რომ აჭარლები ჩვენი ძმები არიან, თორემ გავისვრებით, ჩვენც მოღალატის სახელით მოგვნათლიან, დავიღუპებით..."

„მეორე მოსაუბრე თავადი, რომელსაც ვეწვიე იმავე მოძმეთა განსაცდელზე სადარბაზოთ, ლაღად და პირმცინარედ დამიხვდა. — იცით რა გიამბოთ? — მომმართა თავადმა, — მე მითხრა ერთმა დიდმა მოხელემ, რომ ის ადგილები, რომელიც დარჩება ბათუმის შხარეში გადახვეწილ მკვიდრთაგან, ნაწილობრივ ქუთაისის გუბერნიის გლეხებს მიეცემაო".

„განიერ დარბაზში შავ მაგიდას ვუსხედით მე და ერთი ბოზოლა, პასუხიმგებელი მოხელე... რა დააშავა ქართველმა ერმა, რა შესცოდა მან ცისა და დედამიწის წინაშე, რომ მისი შვილები ერთ კუთხეში ასე... იღუპებიან?! ქართველი ერი გრძნობს ამას და მისი წარმომადგენელი მოვითხოვ პასუხს ამ საკითხზე".

„— როგორ? განა აჭარლები ქართველები არიან? რაა საერთო თქვენსა და მათ შორის, ისინი ხომ თურქები არიან? მე მყავს ერთი ქობულეთელი მოსამსახურე, როცა ვეკითხები, ვინა ხარ მეთქი — თათარი ვარო, მიპასუხებს“.

„თუ შეუგნებელი ქობულეთელი ან აჭარელი თავის თავს თათარს ეძახოდა, სამაგიეროდ ზოგიერთი ჩვენი „შეგნებული“ მოღვაწე ამას ჭეშმარიტებად ღებულობდა; სულ ერთია, უცოდინარობით, სიმხდალით თუ დიპლომატიური მოსაზრებით... სადაოდ გაუხდიათ ის, რაც უდაოა, საკმაოა დაელაპარაკოთ აჭარა-ქობულეთის პაწია ბალღებს, რომ კითხვა თავის თავად გამოირკვეს. მე ბევრი მქონდა ასეთი სასიამოვნო შემთხვევა მგზავრობის დროს. უკეთესი მოწმე, კრიტერიუმი, როგორიცაა ბალღების ტიტინი, შეუძლებელია გამოიგონოს ვინმემ“.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მერყეევი ადამიანი აჭარლებისათვის დახმარების საქმეში პასიურობდა, ქართველი ხალხის უმეტესმა ნაწილმა დიდი დახმარება აღმოუჩინა დაზარალებულ აჭარლებს. სპეციალურად შეიქნა აჭარლებისათვის დახმარების აღმომჩენი საზოგადოება და კომისიები. დახმარების შეგროვება ხდებოდა როგორც საზოგადოებრივ-ორგანიზებული, ჯგუფური, ისე ინდივიდუალური შეწირვების გზით. საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი ქალაქი, სოფელი თუ დაბა, სადაც არ გამართულიყოს აჭარლების სასარგებლო საღამო-კონცერტები.

დახმარებას, რა სახითაც არ იქნებოდა იგი: ფულით, სურსათით, საქონლით, იარაღ-მანქანებით, მედიკამენტებით თუ სხვა რამით, აჭარაში გზავნიდა ყველა ქართველი. მარტო მაჭახელაში ერთდროულად გაიგზავნა 11 ათასი ფუთი სიმინდი, ასევე გზავნიდნენ მარილს, საპონს, ნავთს და სხვ. მრავალი ქართველი ექიმი მივლინებული იყო აჭარაში მოსახლეობისათვის უფასო საექიმო დახმარების აღმოსაჩენად. არა მარტო საქართველოში მცხოვრები ქართველები ეხმარებოდნენ აჭარლებს, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ქართველებიც, რომლებიც პრესის საშუალებით იგებდნენ აჭარის უბედურებას.

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ აჭარლების დახმარების მიზნით გამოსცა სპეციალური გაზეთი „ძმური სიტყვა“ ქართულ-რუსულ ენებზე, რომელშიც მოთხრობილი იყო აჭარის უბედურება. გაზეთს ხელზე ყიდდნენ. მოწინავე ქართველები ეგ-

ზემპლარში ხუთ მანეთსაც კი იხდიდნენ. ამ გზით 1.500 მანეთზე მეტი შეაგროვეს და აჭარლების დახმარების ფონდს გადასცეს.

აჭარლების დახმარების საქმეში ქ. ს. ს-ას მთელი რიგი წინააღმდეგობები ეღობებოდა. მათ შორის მთავარი იყო ის, რომ ზოგიერთები აჭარლებს მოღალატეებად აცხადებდნენ. ამის შესახებ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის ანგარიშში ნათქვამია: „მდგომარეობა თხოულობდა მათთვის დაუყოვნებლივ ხელის გაწოდებას. საჭირო იყო თბილი გრძნობების ალაპარაკება და ძმური სიტყვის მტკიცედ თქმა ობლად დარჩენილ აჭარელთა გასამხნევებლად და წელში გასამართავად, მაგრამ ამას აბრკოლებდა ორნაირი გარემოება: გარეგანი და შინაური. აჭარლების სასარგებლოდ თავისუფლად ხმის ამოღება ფაქტიურად აკრძალული შეიქმნა. ისინი მოღალატეების „სუდარაში“ გახვიეს და მით მოინდომეს თანამოძმეებისათვის გზის შეკვრა ზნეობრივი და ნივთიერი დახმარების საქმეში“.[1]

აღნიშნული საზოგადოება საქვეყნოდ აცხადებდა, რომ აჭარლებს არავითარი ღალატი არ ჩაუდენიათო. აი, რას სწერს იგი თავის ანგარიშში:

„ასეთი პოლიტიკა ოფიციალურად თუ არა ოფიციალურად გამოთქმული, მართლდებოდა ვითომ აჭარლების მოღალატური სულისკვეთებით. ნამდვილად არავითარი ღალატი ხალხს არ ჩაუდენია. აჭარლები, როგორც ერთხმად ამტკიცებს ყველა ობიექტური გამოკვლევა და კეთილსინდისიერი მატიანე, ყოველთვის ლოიალური, ყოველთვის მორჩილი იყვნენ. არ გამოუჩენიათ არავითარი სარწმუნოებრივი მტრობა, არც არავითარი შეთქმულება, ან რაიმე მასიური უკმაყოფილება მთავრობის წინააღმდეგ. თითო ოროლა, საზოგადოებისაგან ადრე განდგომილი პირის მოქმედებისათვის კი მთელი ხალხის თავზე პასუხისმგებლობის დატეხა ან დიდი სახელმწიფოებრივი უგუნურობაა, ან კიდევ პოლიტიკური პროვოკაცია. ჩეთელები[2] თავისუფლად შემოიჭრნენ აჭარაში, რადგან რუსის ჯარმა სხვადასხვა მოსაზრებით ადრე დაიხია უკან უბრძოლველად. ხალხი ორ ცეცხლშუა დარჩა. შემოჭრილმა ჩეთელებმა ძალადობა იხმარეს ღვთის ანაბარად მიტოვებულ ხალხზე. ეს იყო

1 ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის, 1916 წ., გვ. 2.

2 ჩეთელები — იგულისხმება „ჩეთნიკები“ — ოსმალთა ჯარი.

„უბედურება“ აჭარლების... და არა ღალატი, რომელიც არც ერთმა ოფიციალურად დანიშნულმა კომისიამ არ დაადასტურა. აგრეთვე აშკარად გამოირკვა აჭარლების გასამართლების დროს, რომ ხალხს არავითარი წილი არ უდევს ღალატში, პირიქით, ის, სადაც შესაძლებელი იყო, ყველგან ეხმარებოდა ჯარს, აფრთხილებდა ადგილობრივ ადმინისტრაციას—ჩეთელები მოდიან, გავნადგურდებით, ნუ მიგვატოებთ, დაგვიფარეთო“.[1]

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ მეფის ჯარებმა აჭარლები მიატოვეს; მთავრობამ ვერ გამოიყენა აჭარელთა ანტიოსმალური განწყობილება, არ ჩამოაყალიბა მათგან სახალხო ლაშქარი. მას შემდეგ კი, რაც რეგულარულმა ჯარებმა აჭარის სოფლები დატოვეს, აჭარელი მოსახლეობა ორმხრივი ცილისწამებისა და შეურაცხყოფის საგნად იქცა. ოსმალო მტაცებლები მათ არბევდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ, ხოლო მეფის შოვინისტი და უსულგულო მოხელეები აჭარლებს მოღალატეებს ეძახდნენ. ამ უკანასკნელთა ცილისწამებას ის უარყოფდა, რომ ოსმალებმა აჭარის სოფლები ცეცხლს მისცეს. რატომ უნდა მოკიდებოდნენ აჭარლებს ოსმალები ასე მკაცრად, თუ მათ რუსებს უღალატეს და ოსმალებს მიემხრნენ?! მეფის მოხელეებს ამაზე არ უფიქრიათ.

სამაგიეროდ ქართველობამ დახმარების ძმური ხელი გაუწოდა აჭარლებს; იგი მათ მოღალატეებად არ თვლიდა და ამით ძლიერ პროტესტს უცხადებდა მეფის რუსეთის მთავრობას, რომელიც მთელ ხალხს ცილს სწამებდა. ქართველთა ენერგიული დახმარება აჭარლებისადმი წარმოადგენდა აშკარა გამოსვლას ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

აჭარლების დახმარების საკითხმა დააინტერესა მთელი ქართველი საზოგადოება. შეწირულებამ ფართო ხასიათი მიიღო. მასში დიდებთან ერთად ჩაება ნორჩი თაობაც. ცნობილი ქართველი მოღვაწის იოსებ იმედაშვილის შვილმა გაიოზმა[2] გაზეთ „სახალხო ფურცლის“ საშუალებით ნორჩი აჭარლების დასახმარებლად გაგზავნა შეწირულება, რისთვისაც ჰაიდარ აბაშიძემ გაზეთ „სამშობლოს“ საშუალებით მას მადლობა მოახსენა: „წერილი მოძმეთა გულშემატკივარის, პაწია გაიოზ იოსების-ძე იმედაშვილის მიმართ“.

---

1 ქ. ს. ს. გამგეობის მოქმედების ანგარიში, 1916 წ., გვ. 11-12.

2 გაიოზ იოსების-ძე იმედაშვილი — ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი.

ნორჩ ქართველ პატრიოტს, გაიოზ იმედაშვილს, მიბაძეს სხვა ნორჩმა ქართველებმა, მაგალითად, და-ძმა გიორგაძეებმა. აი, რას წერს ამის შესახებ გაზეთი „სახალხო ფურცელი“ (№ 250, 1915 წელი):

„მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ წერილის მთლიანად მოტანა. „ბ-ნო რედაქტორო, დღეს „სახალხო ფურცელში“ დედა ჩვენი ჰაიდარ აბაშიძის წერილს გვიკითხავდა, პაწია გაიოზ იმედაშვილისათვის რომ მიუწერია. ჩვენ გული გვატკინა პაწია გამაჰმადიანებული ჩვენი ძმების, აჭარლების ბედმა. გიგზავნით ხუთ მანეთს და გთხოვთ იმათ გადასცეთ. და-ძმა იიკო და დათიკო გიორგაძეები“.

აღსანიშნავია პოეტი ქალის განდეგილის წერილი, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 1915 წლის № 235-ში. განდეგილი მოუწოდებს ქართველ ქალებს, რომ მათაც მიიღონ მონაწილეობა აჭარლებისადმი დახმარების საქმეში. აი, რას წერს იგი:

„ქართველო ქალებო!

გადაიკითხეთ გუშინდელ „სახალხო ფურცელში“ მოთავსებული წერილი ჰაიდარ-ბეგ აბაშიძისა? თუ არ წაგიკითხავთ, გთხოვთ წაიკითხოთ და მაშინ დამეთანხმებით, რომ ამ სტრიქონების დამწერი უცრემლოდ ვერ წაიკითხავდა აბაშიძის წერილს, უცრემლოდ-მეთქი ვამბობ. ეს ცოტაა — მე ვქვითინებდი ბავშვივით... ამავე ადუღებულის გულით მოგმართავთ თქვენ, ყური მიაპყარით იმ საშინელ კვნესას, იმ უმაგალითო უბედურებას, რომელიც ჩვენს მოძმე ქართველ მაჰმადიანებს არგუნა ბედმა... ხმა მივცეთ გულდაკოდილ მოძმეებს, ვამცნოთ, რომ ქართველ ქალთა ნაზი გრძნობა არ გამქრალა, იგი ერთგვარის სიყვარულით ექცევა როგორც ქრისტიან, ისე მაჰმადიან ქართველს; ვაუწყოთ, რომ ჩვენ ერთის დედ-მამის შვილები ვართ, ერთის ცის ქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი, რომ არ არის ორი საქართველო, იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მისი შვილების უბედურება გულს გვიკლავს, რა სარწმუნოებისაც უნდა იყოს იგი“.

ამ წერილში გადმოცემულია ქართველი ქალის გულისტკივილი გაჭირვებული აჭარლებისადმი. განდეგილის წერილს მრავალი ქართველი პატრიოტი ქალი გამოეხმაურა. მაგალითად, ქუთაისის ქალთა საზოგადოებამ აჭარლებისადმი დახმარების მიზნით რიონის

პირად გამართეს საღამო, „ფინჯანი ჩაი," რომლის შემოსავალი გადასცეს აჭარლებს.

ამავე განდეგილმა აჭარლებს მიუძღვნა საკუთარი ლექსი:

„სალამი შენდა ქართველო,
ნაფლეთო ერისგულისა,
გვარ-ტომო შავთელ-რუსთველის
და თამარ დიდებულისა,
დამცველო ტკბილის ქართულის,
კერავ რაინდის სულისა,
ტანჯულო, მაგრამ ტანჯვაშიც
გმირებ ამტანო წყლულისა...
გულს გიშლის ტურფა სამშობლო
ქეთევან წამებულისა
და მომძღვნელია შენდამი
მდაბლად სალამის ძმურისა".[1]

აჭარელ ქალებს ღირსშესანიშნავი ლექსი უძღვნა მგოსანმა ქალმა დარია გიორგის ასულმა ახვლედიანმა:

„...დადგა დრო, რომ დაკარგულმან
დებმა დები დაგინახოთ,
შევერთდეთ და ლხინ-ვარამი
ერთ მთლიანად დავისახოთ...
მაშ ვსცნოთ დანო! რომ ერთნი ვართ
ერთი მამის შვილთა შვილნი,
საქართველოს შვილები ვართ
ერთ ძუძუზე გამოზრდილნი".[2]

საქველმოქმედო საზოგადოების ქ. ბათუმის განყოფილების დავალებით ჰ. აბაშიძეს 1916 წელს უმოგზაურია მთელ ლაზეთში და დამშეული მოსახლეობისათვის სიმინდი დაურიგებია. მან აცნობა გამგეობას, თუ რა ძლიერ გაჭირვებას განიცდიდნენ ჭანები და კვლავ დახმარებისათვის მოუწოდა მათ.

ჰ. აბაშიძის მოხსენების შესახებ გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებული იყო სტატია, რომელშიაც ვკითხულობთ: „წამოსვლისას შემდეგი სიტყვები დამაბარესო, სწერს ბ-ნი აბაშიძე: „გა-

1 აჭარისადმი მიძღვნილი ალმანახი „ძმური სიტყვა", № 1, 1915 წ., ქ. ს. ს. გამოცემა.

2 „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს", 1915 წ., გვ. 115.

დაეცით ჩვენს ძმებს ჩვენი უღრმესი სალამი და პატივისცემა მათდამი. აუწყეთ ჩვენი მდგომარეობა და ჩვენი სახელით სთხოვეთ, შეძლებისდაგვარად დაგვეხმარონო".[1]

ჰაიდარ აბაშიძე თანაბარ გულშემატკივრობას იჩენდა მთელი ქართველი მაჰმადიანების მიმართ. იგი ერთნაირად იბრძოდა აჭარელთა და ლაზთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მათში ქართული ეროვნული თვითშეგნების და ქართული კულტურის აღდგენისათვის.

აჭარლებს დახმარებას უგზავნიდნენ აგრეთვე შორეულ ციმბირში მყოფი პოლიტიკური პატიმრებიც. გაზეთ „თანამედროვე აზრში" (1915 წლის № 73) წერია: „ჩვენ, ირკუტსკის გუბერნიის, სოფ. ტულინის ქართველი პოლიტიკური გადასახლებულები უზომოთ შეგვაწუხა თანამოძმე აჭარლების უბედურებამ, მაგრამ დარწმუნებულნი, რომ ყოველივე უბედურებას თან ახლავს რამდენიმეთ მაინც სიკეთეც, ვნუგეშობთ იმ აზრით, რომ მომხდარი ამბები ღრმად დააფიქრებს აჭარელსა და დანარჩენ საქართველოს მშრომელ ელემენტებს, და ნათლად დაანახვებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მათი მომავალი ბედი დამოკიდებულია მათსავე ძმურ განწყობილებასა და სოლიდარობაზე. სრული ჩვენი თანაგრძნობა უდანაშაულოთ აწიოკებულ თანამოძმე აჭარის მშრომელ ხალხს, ჩვენი საუკეთესო სურვილები და თბილი, ძმური სალამი მათ.

ამასთანავე ვაგზავნით ჩვენს შორის შეგროვილ მცირეოდენ წვლილს, 6 მან. 35 კაპ."

1915 წელს გაზეთ „აზრში" მოთავსებული იყო ახალგაზრდობის წერილი აჭარლებისათვის დასახმარებლად გამართული წარმოდგენიდან მიღებული თანხის შეწირვის შესახებ.

„28 თიბათვეს ს. პატარძეულში (კახეთშია) სცენის მოყვარე პატარებმა გავმართეთ საბავშვო წარმოდგენა, შემოსავალი იყო სულ 9 მან. ხარჯი გექონდა ერთი მან... გიგზავნით 8 მანეთს და გთხოვთ გადასცეთ უდედმამოთ და უსახლკაროდ დარჩენილ მოძმე პატარა აჭარლებს. წარმოდგენის გამმართველნი: სონა, ქეთო, ელენე, გაიანე, საშა, ევგენი და ერასტი ბილანაშვილები, სუნუ ციანქაიშვილი და თამრო ახლაური".

1 „საქართველო", 1916 წ. № 188.

წერილებსა და დახმარებებს გზავნიდნენ აგრეთვე ქართველი ჯარისკაცები ბრძოლის ველიდან. გაზეთ „აზრის“ 1915 წლის № 65-ში ამის შესახებ ვკითხულობთ:

„გაზეთების საშუალებით ბრძოლის ველზე ჩვენც გავიგეთ მოძმე აჭარლების უბედურება. აჭარლების მწარე ხვედრი ისარივით მოხვდა ჩვენს გულს. თვით სასიკვდილოდ განწირულნი, თოფის პირზე მდგომნი, ნივთიერად თვით ღატაკნი, გიგზავნით აჭარლების გადასაცემად ჩვენს უკანასკნელ გროშებს სულ 19 მანეთსა და ცხრა შაურს. ვუძღვნით ტანჯულ აჭარლებს ჩვენს ძმურ სალამს. ქართველი ჯარისკაცები“.

მრავალ სხვა შეწირულებათა შორის აღსანიშნავია ოდესის ქართველი სტუდენტების დახმარება, რომლის შესახებ 1915 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ შემდეგი ეწერა:

„ბ-ნო რედაქტორო, ადესის ქართველ სტუდენტთა სათვისტომო გამგეობამ, თბილისის სტუდენტთა ჯგუფის მოწოდებით, თავის წრეში შეაგროვა ფული დაზარალებულ მოძმე აჭარლების დასახმარებლად, შეაგროვა 36 მან. ვუგზავნით რა ამ ჩვენს წვლილს, უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ აჭარლებს“.

აჭარლებისადმი დახმარების საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ ცალკეული წარმოების მუშები. მაგ. ბაქოში მცხოვრები ქართველი მუშები ასეთ წერილს გზავნიან: „...გთხოვთ ეს ჩვენი წვლილი, 14 მანეთი და ორი აბაზი, შეგროვილი უმეტესად მდაბიო მუშათა შორის, ნიშნათ მათი თანაგრძნობისა და სიყვარულისა გადასცეთ ჩვენ მოძმე აჭარლებს“ (გაზეთი „თან. აზრი“, 1915 წელი, № 54).

თბილისის ტრამვაის მუშები შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნიან აჭარლებს: „ჩვენ თბილისის ელექტრო-ტრამვაის სადგურის მუშები განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა გაახლებთ ჩვენს შორის შეკრებილს მცირე წვლილს და გთხოვთ ჩვენს თანაგრძნობასთან ერთად გადასცეთ უდანაშაულოთ დასჯილ აჭარლებს“ („ძმური სიტყვა“, № 3, გვ. 78).

უდანაშაულოდ დასჯილ აჭარლებს თანაუგრძნობდნენ ბათუმის მუშები და მოსამსახურეები: „ჩვენ ზინგერის კომპანიის მოსამსახურეები: ქართველები, რუსები, სომხები, გერმანელები და ებრაელები გაახლებთ 11 მანეთს და ერთ შაურს და გთხოვთ გა-

დასცეთ აჭარლებს და ჩვენს მაგიერ განუცხადეთ ჩვენი თანაგრძნობა". (გაზ. „თანამედროვე აზრი", 1915 წ. № 38).

აჭარლებს დიდი დახმარება გაუწია გურიის გლეხობამ. „ჩვენი მოვალეობაა გაჭირვებაში მყოფ ძმებს — აჭარლებს მეგობრულად ხელი გაუწოდოთ და ჩვენ დაბა ჩოხატაურის მცხოვრებნი გიგზავნით ჩვენს წვლილს 32 მან. და ერთ აბაზს და ჩვენს ძმებს სალამთან ერთად გთხოვთ გადასცეთ უდანაშაულოთ დასჯილ აჭარლებს" (გაზ. „თანამედროვე აზრი", 1915 წ. № 37).

ასეთივე შინაარსის წერილს წერენ სოფელ აცანის მცხოვრებლები: „გურიის მშრომელი გლეხობა მზათაა ძმურათ ხელი გაუწიოს თავის მეზობელ — მოძმე ქართველ მუსლიმანებს. თვით დამშეული გურიის გლეხობა შეძლებისდაგვარად მზათაა დაეხმაროს აჭარლებს დ ამით შეასრულოს მოვალეობა ძმობისა და ერთობისა. გიგზავნით 13 მან. და ხუთ შაურს სოფ. აცანის მცხოვრებთა შორის შეკრებილს" (გაზ. „თანამედროვე აზრი", 1915 წ. № 60).

ნივთიერ დახმარებასთან ერთად ქართველები აჭარლებს ეხმარებოდნენ მორალურადაც. ამ დროის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ეს საკითხი აქტუალური იყო. „თეატრი და ცხოვრება"-ს რედაქტორი იოსებ იმედაშვილი თავის ჟურნალში აჭარლების შესახებ წერდა:

„სწორედ ახლა გვმართებს, როგორც იტყვიან, ფოლადის ქალამნის ჩაცმა, რკინის კვერთხის ხელში დაჭერა და ქვეყნითი ქვეყნათ სიარული, რათა დაუმტკიცოთ ყველას, რომ ქართველი მუსულმანები ჩვენი ღვიძლი ძმებია და მათი აკლება ჩვენი აკლება არისო".

დიდი იყო ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თავდადებული ბრძოლის ნაყოფი. ამ საზოგადოების მიერ შექმნილმა ე. წ. იურიდიულმა კომისიამ აჭარლების გასამართლების საქმეში დიდი როლი შეასრულა. ამ კომისიაში შედიოდნენ ქართველი ვექილები. ესენი აჭარლებს სასამართლო პროცესზე უსასყიდლოდ იცავდნენ. როგორც ვიცით, რეაქციონერები სამხრეთ საქართველოს ქართველებს ბრალად სდებდნენ ღალატს, მაგრამ, მათ ამის დამტკიცება არ შეეძლოთ და ვერც დაამტკიცეს.

აჭარლების პროცესი მიმდინარეობდა 1915 წლის 17, 18 და 19 სექტემბერს. ამ პროცესზე აჭარლების დასაცავად გამოდიოდ-

ნენ: თავადი მექი ფალავა, ი. მაჭავარიანი, მუატი, გ. ანჯაფარიძე, სახნოვსკი და სხვა. მიუხედავად ბრალდების დაუმტკიცებლობისა სასამართლომ იუნუს მელაძეს, ალი გორგაძეს, ხუსეინ ირემაძეს, მერჯან დევაძეს, ფეგრატ (უნდა იყოს .ფერად) მეხეშიძეს, დურსუნ ბოლქვაძეს — ღირსების ახდა და ჩამოღრჩობა მიუსაჯა. ყადი — ნური ეფენდი ბერიძე, ოსმან ჩაგანიძე და ახმედ ბეჟანიძე გაათავისუფლეს.[1] გაზეთი, ამ პროცესს ასეთ შეფასებას აძლევს:

„ჩვენს თვალწინ გადაიშალა 9 აჭარელთა გასამართლების პროცესი. ტრაღიკული სურათი გადაიშალა! ამ პროცესში ყველაფერი მოიპოვება, — „სახელმწიფო ღალატის“ გარდა“.[2]

გაზეთი სასტიკად ილაშქრებს აჭარლების უდანაშაულოდ დასჯის წინააღმდეგ. ეს პროცესი ჩატარდა ყალბი მოწმეების ჩვენების საფუძველზე. „ხვალ ასეთივე გასამართლება მოელის 60 აჭარელს, ზეგ 70 და ა. შ. ახლა ასეთივე ბედი მოელის 130 აჭარელს. იგი მოითხოვს მათ განთავისუფლებას. აჭარლების დასჯა — ეს შეურაცხყოფაა მთელი ქართველი ერის.“[3]

საქველმოქმედო საზოგადოება სამხრეთ საქართველოში მდგომარეობის შესასწავლად გზავნიდა თავის წარმომადგენლებს, მათ შორის მასწავლებლებს. ამის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა მაშინდელი ხულოს სკოლის მასწავლებელი რაფიელ აცანელი (ჩხაიძე), რომელმაც 1915 წელს გაზეთ „თანამედროვე აზრში“ მოათავსა რამდენიმე წერილი მისი მოგზაურობის შესახებ. მას მოჰყავს ერთი მოხუცი აჭარელის ნაამბობი:

„მაშინ, როცა ჩვენი ჯარი ოსმალოს ეჩხუბებოდა, მღვრიე წყალში მონადირენი, გონებით მახინჯი ფირალები, უკნიდან ესროდენ ჩვენებს. ცხადია, როგორ იმოქმედებდა ჯარზე ასეთი საქციელი. რუსთა ჯარი ფიქრობდა, რომ ეს ავაზაკები ხალხის წარმომადგენლები იყვნენ.“

ქართველ მუსლიმანებთან ეროვნულ-კულტურული დაახლოების მიზნით აჭარაში წიგნების გავრცელების საჭიროების შესახებ ეპისკოპოსი ლეონიდე წერდა:

„მაშ თუ გვსურს ეროვნულ-კულტურულად ქართველ მუსულმანებთან დაახლოება და მათთან განუყრელად შესისხლხორ-

1 გაზ. „საქართველო“, 1915 წ., № 102.
2 გაზ. „საქართველო“, 1915 წ., № 103.
3 იქვე.

ცება, უნდა პირიდან ლუკმა გამოიღო, პერანგები გავიხადოთ და აჭარა-ქობულეთი მოვფინოთ ქართული მწიგნობრობით“.

ეპისკოპოსი ლეონიდე დიდად აფასებდა ჰაიდარ-ბეგის დამსახურებას თავისი ქვეყნის წინაშე. 1915 წლის 11 ოქტომბერს იგი აბაშიძის შესახებ წერდა:

„შეუძლებელია ამ შემთხვევაში გვერდი აუქციოთ და ანგარიში არ გაუწიოთ ისეთი ფხიზელი ბუნებისა და მოძმეთა მდგომარეობით დაინტერესებულ პიროვნებას, როგორიც არის ბათუმში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანი ჰაიდარ ბეგი აბაშიძე. მისიონერების მოქმედება რომ ისეთი დასაგმობი, მავნე და აუტანელი ყოფილიყო აჭარლებისათვის, როგორც ამას ქართული გაზეთები ხატავენ, ყველაზე უწინ ამას გაიგებდა და იგრძნობდა ქართველი მაჰმადიანების სულიერი ინტერესების სასიქადულო დარაჯი ბ. ჰაიდარ ბეგი, რომელიც მე სრულებით არ წარმომიდგენია იმდენად გაუბედავ მოქალაქედ, რომ ვისიმე შიშისა და მორიდების გამოისობით არ ახმაურებულიყო ამაზე ადგილობრივ პრესაში“.[1]

აღნიშნული სტატიის გამოქვეყნება დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ამ დროს აჭარაში მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელი მისიონერები მოგზაურობდნენ.

აჭარლებისათვის დახმარების გაწევის საქმით ბევრი საზოგადო მოღვაწე დიდად დაინტერესებულა. პოეტი ვაჟა-ფშაველა, რომელიც ამ დროს ლოგინად ყოფილა ჩავარდნილი, წერდა: „დიდი სიამოვნებით ვეგებები მუსლიმანი ძმებისათვის ჩვენი საზოგადოების ყურადღების გაცხოველებას. ავადმყოფის სარეცელზე სხეულით დაუძლურებულს სულს მილხენს იმედი, რომ ქრისტიან და მუსლიმან ქართველებს ეროვნული დუღაბი კვლავ შეაერთებს. პირადათ დამივლია აჭარა, ქობულეთი, კლარჯეთი, ტაო — დიდებული მესხეთი, ჩვენი დღევანდელი — ძვირფასი სამუსლიმანო საქართველო. დიდებულია იგი ქვეყანა, იქ გაფანტული კულტურის ნაშთები — სულია ჩვენი ერისა. წარსულში ჩვენი ძმობა იყო მტკიცე და შეურყეველი, როგორც სალი კლდე. ამიერიდან უნდა აღსდგეს იგი უფრო მტკიცე, უფრო შეურყეველი. ისინი და ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი ვართ საერთო ქართველი წინაპრებისა.

დღეს-დღეობით ქართველი მუსლიმანებისათვის ყველაზე უფრო საჭიროდ მიმაჩნია მორალური და ნივთიერი დახმარება“.

1 გაზეთი „შინაური საქმეები“, 1915 წ., № 15.

ქართველი ხალხის დახმარებასა და თანაგრძნობას აჭარლები დიდად აფასებდნენ. მაგ., ქედის მცხოვრები მოხუცი აბდულ მიქელაძე წერდა: „აჭარლებს ყოველთვის დიდი იმედი ჰქონდა მისი მოძმე ქრისტიან ქართველების; სწამდათ, ისინი გაჭირვების დროს... ძმურად ხელს გაუწოდებდენ ობოლ აჭარლებს... ჩვენი მდგომარეობა უკიდურესი იყო, მშიერი ვიყავით, მარა თქვენმა გამოგზავნილმა სიმინდმა მოგვისწრო და სული ჩავიპურეთ."[1]

აჭარისადმი მიძღვნილ წერილს ილია ფერაძე ამთავრებს აჭარელი — ქედელი მიქელაძის სიტყვებით:

„არ შეიძლება აღტაცება არ გამოვთქვათ იმის გამო, რომ უკვე ცის ტატნობზე აღმობრწყინდა ქართველ ქრისტიანთა და ქართველ მაჰმადიანთა კულტურულ-სულიერი ერთობის სხივოსანი ვარსკვლავი".[2]

ალექსანდრე ყიფშიძე ამბობს, რომ ქართველ მაჰმადიანთა და ქრისტიან ქართველთა გაერთიანებას სარწმუნოება ხელს არ უნდა უშლიდესო: „სისხლით, ჩამომავლობით, ენით, ისტორიით, ჭირით და ლხინით ერთი ვართ განუყოფელნი და მომავალიც ერთი უნდა გვქონდეს, ერთად უნდა ვსწიოთ ჭაპანიო".[3]

სოფრომ მგალობლიშვილი ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების სულიერად დაკავშირების ერთ-ერთ გზას ქართული სკოლების გახსნაში ხედავდა. აი, რას წერდა იგი:

„ქართული სკოლა და ქართული წერა-კითხვის გავრცელება — აი წამალი ეროვნულ-კულტურულად დაახლოების და შემოერთებისა, მუსლიმან ქართველებისა. მარტოდ მარტო ცარიელი ლეტონი სიტყვით, მარტოდ მარტო მისვლა-მოსვლით სულიერად ვერ შემოვიერთებთ, ვერ ჩავსწვდებით მის სულსა და გულსა, მხოლოდ ღა წიგნი აღადგენს და როდესაც ამ წიგნს ზედ დაერთვის ქრისტიან ქართველთა ცხოველი სიტყვა, მაშინ მუსლიმანი ქართველობა — აჭარა, ძველი მესხეთი, სულითა და გულით გაფუფუნდება და თავის მოძმე, მადლიერ ქრისტიან ქართველობას ყელს მოეკვრება" (ამოღებულია წიგნიდან „ძმური სიტყვა ქართველ-მუსლიმანებს").

---

1 გაზეთი „თანამედროვე აზრი", 1915 წ., № 62.
2 ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება", 1915 წ., № 15, გვ. 87.
3 ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება", 1915 წ., № 26, გვ. 4.

ჰ. აბაშიძე ამ დროს წერილში „აჭარის მთებში“ (ცოხე-კოშკის ნანგრევებთან) „ბაბუასა და შვილიშვილის საუბრის“ სახით მკითხველებს აჭარის მაშინდელ მდგომარეობას აცნობდა: რატომ ეხმარებიან აჭარას ქართველები, ვინ არიან აჭარლები, რას წარმოადგენდა წარსულში სამხრეთ საქართველო, როგორ იბრძოდა ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე ქვეყნის დასაცავად, როგორ ძლიერია ჩვენში სამშობლოს სიყვარული და სხვ. აი, მაგალითად, ერთი ადგილი მოხუცებულისა და ჭაბუკის ბაასიდან:

„ჭაბუკი — ბაბუა! ეს ქართველები რა კეთილი ხალხი ყოფილა, როგორ გვეხმარებიან, ხელს გვიწვდიან ამ ჩვენ საერთო გაჭირვების დროს! ჩვენმა უბედურებამ არამც თუ დიდები, არამედ პაწაწინა ქართველებიც კი აატირა, „ჩვენი პატარა ძმებიო“, ამბობენ ისინი და ჩვენს აწიოკებულ პატარა აჭარლებს ფულსაც კი გვიგროვებენ. რატომ სტირიან, ბაბუა?! რატომ გვეხმარებიან ქართველები?“

მოხუცი აჭარელი ჭაბუკს განუმარტავს, რომ აჭარა ომის მეოხებით მოექცა ამ მდგომარეობაში, დღეს ჩვენ ხელს გვიწვდის საქართველო იმიტომ, რომ ჩვენც ძველი ქართველები ვართო. ის მიუთითებს მატერიალური კულტურის ნანგრევებზე — ეს ჩვენი დიდების — წარსულის გამომხატველი ძეგლებიაო.

ბოლოს მოხუცი დაასკვნის: „აი, შვილო, ეს არის ჩვენი სამშობლოს სიამაყე და ჩვენი სამშობლო კი მთელი საქართველოა. ქართველები კი ჩვენი ღვიძლი ძმები არიან, და ჩვენც ქართველნი ვართ. ძველად ჩვენი ჭირი და ლხინი განუყოფელი იყო, მაგრამ ბედმა გვიმუხთლა, დაგვაშორა ერთმანეთს ძენი საქართველოსი“...

ამ სტატიას იმ დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მაშინდელი საზოგადოება დიდი კმაყოფილებით შეხვდა მას. ამის გამოძახილი უნდა ყოფილიყო ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნებული ერთი ლექსი:

„შავმან დრომან დაგვაშორა
ქართველებსა მათი ძმები,
ერთი ტკბილი დედის შვილნი,
ერთ აკვანში გაზრდილები.

ერთად მბრძოლნი შავბედთანა
გმირულ სისხლით შესვრილები,
მესხნი, შავშეთ-ერუშელნი,
ქობულელნი, აჭარლები“.[1]

აჭარისადმი ქრისტიანი ქართველების ძმური დახმარებისა და დიდი ამაგის გამო აჭარელი ხაფიზ ეფენდი მეხეშიძე წერდა: „ამ უბედურებამ აატირა და ააკვნესა ჩვენი ერთგული მშობელი დედა — საქართველო, რომელმაც აამოძრავა და გამოგვადევნა თავისი ძენი და ასულნი ჩვენდა, მის წიაღიდან გამოქცეულს დაკარგვის, დაღუპვის და სრულიად განადგურების გზაზედ მიმავალ შვილების დასაბრუნებლად... ძმური სიყვარულით ჩაგვიკრეს, ისევ წიაღში დაგვაბრუნეს დაღუპვისაგან, მშიერები დაგვაპურეს, აღგვიდგინეს ჩვენს დამწუხრებულს გულში ნამდვილი ჩვენი დიდებული სამშობლოს საქართველოს სხეული ქრისტიან ქართველებმა.

დღეს აჭარაში ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა ყველა მადლიერნი, აღფრთოვანებულნი, ჩვენი მოძმე ქართველ-ქრისტიანების მიერ ძმობისათვის და ასეთ განუსაზღვრელ უხვ ნივთიერ და ზნეობრივ დახმარებისათვის, მზათა ვართ შესაფერათ გამოვეხმაუროთ მათ და ძმური ფიცი დავსდვათ, რომ ჩვენ საუკუნოდ ვიქნებით განუყრელნი ჭირსა და ლხინში მათთან, როგორც ერთხორცნი და ერთსულნი ტყუპი ძმები უმაღლესად კეთილშობილს მოყვარულის დედისა — საქართველოსი.“[2]

ჰ. აბაშიძე მეტად დაინტერესებული იყო აჭარის შესახებ გამოცემული და გამოსაცემი ლიტერატურით. ის დიდად აფასებდა იმათ, ვინც აჭარის შესახებ რაიმეს დაწერდა. საინტერესოა მისი წერილი ზაქარია ჭიჭინაძისადმი: „დაუღალავო მუშაკო, თქვენ დაუფასებელი შრომა მიგიძღვით ჩვენი — ქართველი მაჰმადიანების წინაშე და დღეს თუ შესაფერისად ვერ გაფასებთ, ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ შემდგომშიაც ასე დარჩება. ჩვენშიაც მოეფინება სწავლა-განათლების სხივები, ჩვენც დავადგებით სწორ გზას, და მაშინ კი თქვენს ღვაწლს ერთიორად დავაფასებთ და თქვენი სახელი და დიდება უკვდავი დარჩება ჩვენში. ამასთან

1 „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ. № 31.
2 გაზეთი „საქართველო“, 1915 წ., № 64. გვ. 2.

ერთად მსურს შემდეგი მოგახსენოთ: წავიკითხე თქვენი წერილი „თანამედროვე აზრში“ ქართველ მაჰმადიანთა შესახებ წიგნების თაობაზე. როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, რამდენიმე წიგნი გქონიათ დაუბეჭდავი და გსურთ მათი დაბეჭდვა. ეს ძალიან საყოველთაოვნოა. მაგ მასალების შეგროვებაში ეჭვი არაა, დიდი შრომა მიგიძღვისთ. ამიტომ, ჩემის აზრით თქვენ თუ გსურთ, რომ თქვენ მიერ გამოცემულმა წიგნებმა ნაყოფი მოუტანოს ქართველ-მაჰმადიანობას, აუცილებლად საჭირო მოიწვიოთ კომისია ქართველ მაჰმადიანებისაგან“.

აბაშიძე ამით ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ კომპეტენტური კომისიის მიერ შემუშავებული წიგნები უფრო მეტ ნაყოფს მოუტანდა ადგილობრივ მოსახლეობას, ამ წიგნებს ალმაცერად ვერ შეხედავდნენ, ხოჯებსა და თურქოფილებს ხალხში რაც უნდა აგიტაცია გაეწიათ ამ წიგნების წინააღმდეგ. ამავე წერილში აბაშიძე ზ. ჭიჭინაძეს თხოვდა განემარტა მისთვის, ვის უწოდებდა იგი „თათარს“. ასეთი კითხვის დასმით ჰაიდარი პროტესტს უცხადებდა თვით ჭიჭინაძესაც, რომელიც თავის ნაშრომებში სამხრეთელ ქართველთა „გათათრებას“ ხშირად იხსენიებდა.

მეტად საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ჰ. აბაშიძის შენიშვნებს ანგარიშს უწევდნენ არა მარტო ზ. ჭიჭინაძე და სხვა მოღვაწეები, არამედ ქართული წიგნის გამომცემელ-რედაქტორებიც, კერძოდ ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოება. ამ საზოგადოებამ ზ. ჭიჭინაძეს წიგნის გამოცემაში ფულადი დახმარების მიცემაზე უარი უთხრა მანამდის სანამ იგი ჰ. აბაშიძის შენიშვნებს არ გაითვალისწინებდა. ამის შესახებ თვით ჭიჭინაძე წერდა:

„რამდენიმე დღის შემდეგ ცნობა მივიღე შემდეგის შენიშვნით, რადგანაც წიგნი დაუმუშავებელია ამიტომ, იგი შესწორებული უნდა იქნეს ისე, როგორც ამას ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე თხოულობსო“.[1]

ჰ. აბაშიძე დაინტერესებული იყო არა მარტო აჭარელთა მდგომარეობის გაუმჯობესებით, იგი საქართველოს სხვა პროვინციების მაჰმადიან ქართველებსაც აქცევდა ყურადღებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჰაიდარის გასაუბრება, პრესის

1 ზ. ჭიჭინაძე, ქართველების გამაჰმადიანება, ანუ ქართველთ გათათრება, 1915 წ.

მეშვეობით, მაშინდელი საინგილოს მოღვაწეებთან — ზ. ედილთან და მ. ჯანაშვილთან.[1] დასახელებული პირები ერთნაირად მოღვაწეობდნენ ერთი მხრით აჭარელი, ხოლო მეორე მხრით ინგილო ქართველების განათლება-გათვითცნობიერებისათვის. მ. ჯანაშვილი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ საჭირო იყო როგორც აჭარის ისე საინგილოს ყოველმხრივი შესწავლა. ეს გააადვილებდა ამ მხარეებში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლას.

„მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველები, — წერდა მ. ჯანაშვილი, — ყველა ღვიძლი ძმები ვართ. ჩავჭიდოთ ხელი ერთმანეთს და პატიოსანის შრომით აღვაყვავილოთ ჩვენი მარად ტურფა სამშობლო“.[2]

ჰაიდარ აბაშიძე თავგამოდებით იბრძოდა აჭარაში ქართული სკოლების გახსნისათვის. მისი ინიციატივითა და ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების დახმარებით აჭარაში რამდენიმე სკოლა გაიხსნა. 1916 წელს აბაშიძემ სოფელ ყოროლისთავში გახსნა სკოლა თავისი დედის სახლში, უფასოდ. ამ სკოლის გახსნაზე იგი მგზნებარე, პატრიოტული სიტყვით გამოვიდა. მან ხაზგასმით ილაპარაკა აჭარაში სკოლების საჭიროების შესახებ და ქართველ საზოგადოებას სთხოვა დახმარება ამ საქმეში. მან თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

„გაგვიძეხით წინ და გაგვიყვანეთ ნათელ გზაზე, რომ მით ჩვენც თქვენთან ერთად გავწიოთ საერთო ტანჯული ცხოვრების მძიმე უღელი, რომლითაც გავახარებთ ჩვენს ტანჯულ სამშობლოს და მასთან ერთად გავახარებთ ჩვენს წარსულ გმირებს, ტურფა სამშობლოსათვის წამებულებს.

მაშ ვუსურვოთ გამარჯვება პირველ მერცხალს — დღევანდელ ეროვნულ სკოლას“.[3]

აჭარაში სკოლების გახსნის შესახებ ეკ. გაბაშვილი წერდა: „ყოველ სოფელში, რომელიც კი მუსლიმანი ქართველებით არის დასახლებული, უნდა გავხსნათ ქართული სკოლა და სკოლაში მასწავლებლად გავგზავნოთ ქართველი ქალები, ...ქალები, რომლებიც თავს დადებენ, გულს გაუშლიან, სულს აუყვავებენ, გაუ-

1 გაზეთი „სამშობლო“, 1915 წ. № 11. ჰ. აბაშიძის წერილი.
2 მ. ჯანაშვილი. „მესხეთი“, თბილისი, 1915 წ., გვ. 23.
3 გაზეთი „სამშობლო“, 1915 წ., № 55.

ღვიძებენ მათ მამულიშვილობის სიტკბოებას და დედის ძუძუდან მოგლეჯილ შვილებს უკან აქცევენ".[1]

განათლების წყურვილი აჭარა-ქობულეთელ ახალგაზრდობაში დიდი იყო. ქობულეთელ ბავშვებს 6 კილომეტრი მანძილის გავლა უხდებოდათ, რომ ლიხაურის სკოლაში მოხვედრილიყვნენ. ამის შესახებ მ. ბურჭულაძე წერდა: „აღგილობრივ ორკლასიან სასწავლებელში ექვსი მაჰმადიანი ქართველი მოწაფე ვნახე. ესენი ყოველ დღე ოთხი ვერსის დაშორებიდან დადიან, სოფელ აჭიდან, დადიან ლიხაურის სკოლაში დაუზარებლად. გვარები გამოვკითხე. აღმოჩნდა: ტაკიძე, ქათამაძე, მეავანაძე, კვესიშვილი. მე ვკითხე ვინ ზართ თქვენ: თათარი, რუსი, ბერძენი, სომეხი თუ ქართველი — მათ მიპასუხეს — გურჯები ვართ.

მაშ თქვენ ქართველები არ ხართ.

ამ დროს ერთმა მათგანმა მშვენივრად წაიკითხა ლექსი „მე პატარა ქართველი ვარ".

მაშინ, როგორც ზემოთ ვთქვით, ქართველობა ქრისტიანობად მიაჩნდათ. ხოჯები აჭარლებს ქართველებს არ ეძახდნენ. ვინც იტყოდა „ქართველი ვარო", მას სჯიდნენ. ზ. ჭიჭინაძეს მოჰყავს ასეთი მაგალითი: ქედის უფროსთან მისულა ხოჯა საჩივრით, რომ ერთმა გლეხმა შეურაცხყოფა მომაყენაო. უფროსის შეკითხვაზე, თუ რაში გამოიხატება შეურაცხყოფაო, ხოჯამ უპასუხა: ხალხში დამიყვირა „შენ ქართველოო." ასევე ერთ-ერთი ხოჯა მისულა ხულოს უფროს ბერიძესთან და მისთვის შეუჩივლია — ერთმა გლეხმა ქართველი მიწოდაო. ხოჯა მოითხოვდა ამ გლეხის დასჯას. მაგრამ იყვნენ ზოგიერთი ხოჯები, რომლებიც პირიქით იქცეოდნენ; მაგ., როგორც ჭიჭინაძე გადმოგვცემს, ხოჯა ნური ეფენდი ბერიძე ასეთი შემთხვევის დროს შემდეგნაირად მოქცეულა: „ჩემს ზეგანში ყოფნის დროს (იგულისხმება ზემო აჭარა) ერთმა ქართველ მაჰმადიანთ ხოჯამ მეჯლისში იჩივლა, რომ ჩემს მრევლში ამა და ამ კაცმა ქართველი მიწოდა მეო და ამიტომ მე ვთხოვ, რომ მეჯლისმა იგი დასაჯოს; ნური ეფენდი ამაზე არ გაუწყრა ხოჯას, ხოლო კითხვები მისცა. ხოჯა, თქვენ სახლში ქალ-ბაღანა რა ენაზედ ლაპარაკობსო! ხოჯას პასუხი იყო, რომ გურჯისაზეო. სიტყვა ქართული არ ახსენა. ნური ეფენდიმ ასე

1 „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს", 1915 წ.. გვ. 156-157.

აუხსნა: გურჯი ოსმალური სიტყვა არის და ჩვენებურს ენაზე იგი ნიშნავს ქართველს. შენი ქალ-ბაღანა თუ კი ამ ენაზე ლაპარაკობს, მაშინ იმას სწორედ უთქვამს შენთვისო.“[1]

ჰაიდარ აბაშიძე ბათუმში პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა და აჭარელი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს ემსახურებოდა. იგი ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების დავალებით თურქულ ენას ასწავლიდა. როგორც ენის მასწავლებელი აბაშიძე თავის მოვალეობას ჩინებულად ასრულებდა. მაგრამ მას ღრმად სწამდა, რომ აჭარელი ახალგაზრდებისათვის უმთავრესი ამოცანა მშობლიური — ქართული ენის სწავლა იყო. სამშობლოს პატრიოტს არ შეეძლო გაეზიარებინა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა აჭარაში.

ცარიზმი ხომ აჭარლებს „თურქებს“ ეძახდა. იგი ახშობდა ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ცარიზმისათვის ხელსაყრელი იყო განხეთქილების დათესვა ქართველ ტომებს შორის. იგი ერთმანეთს უპირისპირებდა აჭარლებს, გურულებს, მეგრელებს, ქართლელებს, აფხაზებსა და სვანებს. ასეთ ვითარებაში გასაგებია, რომ ჰაიდარ აბაშიძეს ცარიზმთან კონფლიქტი უნდა მოსვლოდა.

ჰ. აბაშიძე თვლიდა, რომ ბათუმის სკოლაში თურქული ენის სწავლება, ისევე როგორც მაშინ, ვთქვათ, თბილისში, ახალგაზრდობის ცოდნის გაღრმავების მიზნით შეიძლებოდა მხოლოდ. ამას არ უნდა გამოეწვია მშობლიური ქართული ენის სწავლების შესუსტება. გარდა ამისა, აჭარაში თურქული ენის სწავლებას ხელი უნდა შეეწყო თურქეთის მრავალსაუკუნოვანი და ყოვლის ჩამხშობი ბატონობის შედეგად მიღებული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის; ხელი შეეწყო თურქული გავლენის აღმოფხვრისა და ქართული კულტურის აღდგენისათვის.

თურქოფილი ელემენტები კი ბათუმში თურქული ენის სწავლებას იქ თურქული გავლენის თვალსაზრისით უყურებდნენ, ცარიზმი კი ამას კოლონიურ-პოლიტიკურ მიზნებს უფარდებდა.

1916 წ. ქ. გორში მოწვეულ იქნა თურქული ენის მასწავლებელთა ყრილობა. ყრილობაზე, როგორც ჩანს, ყურანის სწავლების საკითხი იყო დასმული. ბათუმის დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოთქვა ჰ. აბაშიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ „ეს ყრილობა ჩვენ არ გვეხებაო“.

---

1 გაზ. „საქართველო“, 1915 წ. № 101.

„ჩვენ აჭარლები, ქართველები ვართ და თუ მაინცდამაინც გინდათ ყურანის სწავლება, შეიძლება ის გადაითარგმნოს ქართულად და ვასწავლოთ ქართულადო...“ ასეთი გამოსვლა არ მოეწონებოდათ მეფის რუსიფიკატორულ მოხელეებს, რომლებიც საქართველოში ქართულ ენაზე სწავლებას საერთოდ ადევნიდნენ.

აბაშიძის სახით მათ ქართული კულტურის მსახური და ცარიზმის პოლიტიკის მოწინააღმდეგე დაინახეს. ამიტომ იყო, რომ ჰაიდარ აბაშიძეს საყვედური გამოუცხადეს და მისი თხოვნა მასწავლებლობიდან განთავისუფლების შესახებ „დააკმაყოფილეს.“

ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ მოთავსებულ ერთ წერილში ნათქვამია:

„ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე ქართველ მუსლიმანთა შორის ეროვნული გამოფხიზლების მოციქულია. მისი სახელი ჩვენს მოძმეთა შორის უკვდავი დარჩება... ამ დღეებში ჰაიდარ-ბეგმა თავი დაანება მასწავლებლობას ბათუმის სკოლაში... საინტერესოა ის გარემოება, რამაც მსწრაფლ იძულებულჰყო სამსახურისათვის თავი დაენებებია... ჰაიდარ-ბეგი კი ამას ამბობდა, რომ ქართველმა მუსულმანმა სჯული... ქართულად ისწავლოს, ხოჯაც ქართული ენის მცოდნე იყოს და უქადაგოს მრევლს ქართულ ენაზე და არა ოსმალურზე, როგორც ეს ჩვეულებრივ დღევანდელი ხოჯების უმეტესობას. ხოჯა უნდა იყოს ამ სახით ქართული ენის გამავრცელებელი და არა მისი მტერი... ქართული ენა არა თუ დაბლა სდგას ოსმალურზე, არამედ მასზე მდიდარიცაა თავისი ლიტერატურით... ეს თავის აზრი მან გამოსთქვა ამას წინად გორში ხოჯათა კრებაზე. ვიღაცამ ინება მისი დაბეზღება მთავრობასთან, რომელმაც ბ-ნ ჰაიდარ-ბეგს საყვედური გამოუცხადა... ამის მეოხებით ჰაიდარ-ბეგმა სამსახურს თავი დაანება... რამდენიმე ხოჯა და მოლა გულწრფელი მომხრეა ბ. ჰაიდარ-ბეგის აზრისა“.[1]

ამ ამბავმა მაშინ მწვავე კამათი გამოიწვია. ამის შესახებ წერდნენ სხვადასხვა გაზეთებში. 1916 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ № 701-ში „კეთილი სანდალა“ (სერგი გერსამია) წერდა: „როგორც დანამდვილებით გავიგეთ ბ. ჰაიდარ-ბეგ აბაშიძეს, რომელიც იყო მაჰმადიანთა თურქული ენის მასწავლებლად ქალაქის ქართულ პირველ დაწყებით სკოლაში, თანამდებობისათვის თავი დაუნებებია... მაჰმადიანი ბავშვი თავის რელი-

1 „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ. № 48

გიურ საკითხებთან ერთად უნდა ღებულობდეს ეროვნულ თვით-შეგნებას, და ბ. ჰაიდარ ბეგიც, როგორც ნამდვილი ქართველი გულით, სულით და მისწრაფებით ამ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. ასეთი პიროვნების წასვლა ამ თანამდებობიდან ძლიერ დიდი დანაკლისია. განსაკუთრებით ამ ნაკლს ჩვენ ვიგრძნობთ მაშინ, თუ მოადგილეთ შესაფერი კანდიდატი არ მოიძებნა".

სკოლისა და მასწავლებლის, განსაკუთრებით ადგილობრივი მასწავლებლის მომზადების შესახებ ვასილ როსტომის-ძე ყიფიანი წერდა: „სკოლის სულისჩამდგმელი არის მასწავლებელი. მაშასადამე უპირველეს ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ ამ მასწავლებლის აღზრდისა და მომზადებისათვის. სადმე შუაგულ საქართველოში დაარსებულ სასოსტატო სემინარიაში ქართულად აღზრდილი მუსულმანი, ჩვენი ზრუნვით და სიყვარულით გულ-გამთბარი, იქნებოდა საუკეთესო და საიმედო პიონერი ამ საქმეში. მეტადრე თუ ეგი არ იუკადრისებდა შრომას მოძმეთა სულის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად". მაშასადამე, დღის წესრიგში მდგარა ისეთი მუსლიმანი (თუნდაც არა ქართველი) მასწავლებლის მონახვა, რომელიც ქართული ორიენტაციისა იქნებოდა.

თურქული ენის მასწავლებლის საკითხი ძლიერ აწუხებდა სკოლის გამგეობას. ხოლო აბაშიძის განთავისუფლების შემდეგ ეს საკითხი უფრო მწვავედ დადგა, რადგან მისი შემცვლელი უნდა ყოფილიყო ისეთი, რომელსაც ქართველობა და ქართული ენა ეყვარებოდა. ამიტომ „კეთილი სანდალა" მოითხოვდა, რომ სასკოლო კომისიის წევრებს ამ საქმისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ: „ამ თანამდებობაზე შეუფერებელი პირის დანიშვნით სასკოლო კომისიის ქართველი წევრები ქართველ მაჰმადიანთა გათვითცნობიერების საქმეს დიდს ვნებას მოუტანენ, ამიტომ საჭიროა საკითხს მეტი ყურადღებით მოეპყრან და თავიდან ააცილონ ამ საქმეს მოსალოდნელი დაბრკოლება".

მაჰმადიან ქართველთა სკოლებიდან ქართული ენის თანდათანობით განდევნის საშიშროების შესახებ გაზეთ „საქართველოში" დაიბეჭდა წერილი „ქართველ მუსულმანებს ახალი საშიშროება მოელით". ავტორი აღნიშნავდა, რომ ბათუმში ამ ბოლო დროს ხმა გავრცელდა, ადგილობრივი ბიუროკრატია სკოლებს მრავლად გახსნის. ამ სკოლებში ასწავლიან რუსულსა და თურქულ ენებს და ამის პროექტი უკვე წარუდგენიათ მეფისნაცვალ-

თანო. „ადგილობრივმა ადმინისტრაციამ იმ თავითვე დაისახა მიზნად ქართველ ქრისტიანთა და ქართველ მუსულმანთა შორის გაუვალი ჩინური კედელი აღმართა... ვფიქრობ, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, საქმედ იქცევა ბ. ჰაიდარ-ბეგ აბაშიძის შემდეგი სიტყვები:

„ჩვენ ქართველი მაჰმადიანები არავის მივცემთ ნებას, ჩვენს საყვარელ დედაენაზე იერიში მოიტანოს“. ვაშა ასეთ მტკიცე შეგნებას და ქებათა-ქება იმ შეგნებულ ჩვენს მოძმე ქართველ მუსულმანებს, რომელთა ბუნება განშუქებულია ამ დიადი ეროვნული შეგნებით“.[1]

ბათუმის ადმინისტრაცია „ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებას“ სიძულვილით უყურებდა. მაგალითად, ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის მოადგილე ბათუმის ოლქში 1916 წლის 1-ლ მაისს წერს ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს:

«Нет грузина, который бы не разделял задач своего народа: сохранить господство нации, языка с автономией Грузии в будущем.

В силу последних стремлений Грузии — Батумская область и вновь завоеванное Анатолийское побережье стали главным предметом их воздействия и пропаганды в целях об'единения всех грузин, без различия религии. Для достижения их общих целей работников и штабов является Грузинское благотворительное общество».[2]

ხალხთა შორის შუღლისა და ურთიერთწაქეზების მიზნით ჟანდარმერია წინასწარ ემზადებოდა და ელოდა ცარიზმისათვის სასარგებლო შედეგს:

«Предугадать причину, которая может окончательно послужить к открытому выступлению этих народностей друг против друга, весьма трудно».[3]

მეფის მთავრობას მისთვის მიუღებელი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო მეთოდად მიაჩნდა მათი გადასახლება:

«Что касается вопроса об административной ссылке, то несмотря на отрицательное отношение к ней либерального общества, она по опыту моей служебной деятельности, яв-

1 „საქართველო“, 1916 № 123.
2 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. № 13, საქმე 764, ფურც. 4—7.
3 იქვე.

ляется самой радикальной мерой воздействия на интеллигентный класс и городской элемент населения».[1]

1916 წლის 6 ივლისს ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი რომანოვსკი ამიერკავკასიაში მეფისნაცვალს ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ წერდა, რომ ომის წინ ასეთი საზოგადოება არ არსებობდა, ომის შემდეგ ისარგებლეს შემთხვევით და იგი დააარსეს იმ მოტივით, რომ დაეხმარონ ომით დაზარალებულ მოსახლეობასო. სინამდვილეში კი ისინი ეწევიან მუსლიმან ქართველებისა და ქრისტიან ქართველების შეერთებისათვის პროპაგანდასო. ხსნიან სკოლებს, ბავშვთა თავშესაფარსა და სხვ. „მოინდომეს გაეხსნათ სკოლები ყოროლისთავში, ხუცუბანში და ალამბარში“. მათ ნება არ მიეცა იმ საბაბით, რომ აღნიშნული სოფლები არ დაზარალებულან ომის გამო. მიუხედავად ამისა სკოლები მაინც გაიხსნა, ჩვეულებრივ სკოლებთან შედარებით აღნიშნული საზოგადოება მასწავლებლებს სამჯერ მეტ ხელფასს აძლევდა. ეს გარემოება მეფის მოხელეებს მოსვენებას უკარგავდა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ქართველ მოღვაწეთა მიერ „ეიწრო ეროვნული ინტერესებისათვის“ წარმოებული პროპაგანდა „სახელმწიფო თვალსაზრისით მავნებელიაო“.

ქობულეთელმა გულო-აღა კაიკაციშვილმა ქობულეთში სკოლის გახსნისათვის უფასოდ დათმო საკუთარი ორნახევარი ქცევა მიწა. იგი ფიქრობდა, რომ სკოლაში ქართველ მაჰმადიანებს ქართული ენის შესწავლის საშუალება ექნებოდათ, მაგრამ ქართული ენის სწავლებაზე მეფის მოხელეებმა უარი განაცხადეს.

აი, რა სწერია 1915 წელს გამოცემულ წიგნში „ძმური სიტყვა ქართველ მუსულმანებს“:

„გულო აღამ შვილის ხსოვნის აღსანიშნავად ქობულეთის სკოლას შესწირა ორქცევანახევარი მიწა, ღირებული რამდენიმე ათას მანეთად. მას ეგონა სკოლაში ახალგაზრდა ქობულეთლებს ქართულს ასწავლიანო, მაგრამ რუსის მთავრობამ ეს არ ქნა, ქობულეთლებს უთხრა, თქვენ თურქები ხართ და თუ გინდათ თურქული ენის მასწავლებელს დაგინიშნავთო“.

პანისლამიზმის მეფროშეთა წაქეზებით ბაქოს „საქველმოქმედო“ საზოგადოებამ თავისი საქმიანობა აჟარაშიაც გაავრცელა და ბათუმში განყოფილება შექმნა. ეს საზოგადოება, რომლის

1 იქვე.

ზოღვაწეობაში სულთანის აგენტების ხელი ერია, აჭარაში თურქული გავლენის გაძლიერებას ლამობდა. მაგრამ აჭარლები მტკიცედ დაირაზმნენ ამ ორგანიზაციის ამოქმედების საწინააღმდეგოდ.

1916 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ ჰ. აბაშიძე წერდა: „უკანასკნელ დროს ბათუმში გადმოტანილ იქნა ბაქოს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება. ამ საზოგადოებაში, სხვათა შორის, მუშაობს ბაქოს თურქული გაზეთის „იენიჰაბალის“ თანამშრომელი რიზა-ბეგი. ბ-ნ რიზა-ბეგმა ბათუმში ჩამოსვლისთანავე უარყო თავისი მოვალეობა და მიზნად დაისახა ქართველ მაჰმადიანებში დედა ენის ალაგმვა. ბ-ნ რიზა-ბეგს არა სასურველად მიაჩნია, რომ ქართველ მაჰმადიანებს გვიყვარდეს ჩვენი ქართული დედა ენა და მის ნაცვლად თურქული ენის ჩანერგვას ლამობდა ჩვენში“. ამ საზოგადოების მიზანი იყო დაპარისპირებოდა ქ. ს. საზოგადოებას და მის საწინააღმდეგოდ ემოქმედნა. რიზა-ბეგი დადიოდა აჭარის სოფლებში და მოსახლეობაში ეწეოდა აგიტაციას, რომ თქვენ ქართველები არა ხართ და ქართულ ენაზე სწავლა თქვენთვის საჭირო არ არისო.

რიზა-ბეგი მოქმედებდა ბათუმში და ცდილობდა აქედან ბაქოს თურქულ სკოლაში წაეყვანა აჭარელი მოწაფეები. მან კიდევაც მოახერხა აქედან რამდენიმე მოსწავლის გადაყვანა (დები წულუკიძეები) ბაქოს თურქულ სასწავლებელში. ამ ფაქტის შესახებ აბაშიძე მწუხარებით წერდა: „როგორც ეტყობა, ბ-ნი რიზა ბეგი მარტო არ ყოფილა. ეს ჩანს შემდეგიდან: ბ-ნ რიზა ბეგის წყალობით ორი თვის წინათ ბათუმის ქალაქის პირველი დაწყებითი ქართული სკოლის მეორე განყოფილებიდან გავიდა ქართველი მაჰმადიანი სამი და წულუკიძეები, ბავშვები სიცოცხლით სავსენი, ზედმიწევნით ბეჯითები, ქართული ენის მოტრფიალენი, და გაგზავნილ იქნენ ბაქოში ტაგიევის რუსულ-მუსულმანთა სკოლაში“.

ბაქოს ხსენებულ სკოლაში აჭარელ მოსწავლეთა გადაგზავნის მიზანი იყო ის, რომ მათთვის ქართული ენა დაეიწყებინათ. სანამ ისინი ბაქოს მიაღწევდნენ, გზიდან ქართულ ენაზე დაწერილ წერილებს გზავნიდნენ მშობლებთან. ხოლო შემდეგ მათ აუკრძალეს ქართული წერილების წერა. ისინი მშობლებს წერდნენ — ქართულად წერილი არ მოგვწეროთო. მშობლები ღებულობდნენ თურქულ ენაზე დაწერილ წერილებს და სხვებს აკითხებდნენ. ქალიშვილები ბაქოში გათხოვდნენ, აჭარაში აღარ დაბრუნებულან.

ასეთი იყო პანისლამისტური „ქველმოქმედება“, რომელმაც თავისი გესლიანი შხამი აჭარამდეც მიიტანა.

რიზა-ბეგს თავის დროზე გაუგო ქართველმა საზოგადოებამ და იგი აიძულეს აჭარიდან წასულიყო. ამით გულმოსულმა ბაქოს გაზეთმა „იენი იკბალმა“ (№ 1673) გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აჭარლებს ახასიათებდა, როგორც კაცის მკვლელებს და ძარცვა-გლეჯის ოსტატებს.

პანისლამისტების მავნე საქმიანობის აღსაკვეთად და მათი გავლენის აღმოფხვრის მიზნით 1917 წელს ჟურნალ „ცხოვრებაში“ (№ 4) ჰ. აბაშიძემ გამოაქვეყნა სტატია — „ღია წერილი ჩვენს ერთმორწმუნე კავკასიელ თურქებს.“[1] ამ წერილის დაწერა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ აჭარის სოფლებში ქართული სკოლების გახსნასთან დაკავშირებით თურქოფილებმა ჭორების გავრცელება დაიწყეს: „თუ თურქული სკოლა არ გავხსენით, ვინ არის თავდები, რომ აჭარა არ გაქრისტიანდებაო“; ამაზე აბაშიძემ ასე უპასუხა: „აბა, თქვენ გვიპასუხეთ ერთმორწმუნენო, თუ თურქულ სკოლას გახსნით, ვინ არის თავდები, რომ აჭარა არ გათურქდებაო“.

აბაშიძე თავის წერილს ასეთი მგზნებარე სიტყვებით ამთავრებს:

„სამასი წელია, რაც მოვწყდით ჩვენს ეროვნულ სიტკბოებას... როგორც იქნა ჩვენ გულში იფეთქა დღემდე მიძინებულმა ეროვნული გრძნობის პატარა ნაპერწკალმა და ესწრაფვის მგზნებარე ცეცხლად გადაქცევას და ამიტომ, გთხოვთ, ნუ გვიშლით ხელს. ჩვენც გვინდა გავერიოთ ხალხში, ჩვენც გვინდა და გვწყურია, როგორც მთელ კაცობრიობას, ეროვნული სული და ვინც გადაეღობება ამ ჩვენს ქართველ მაჰმადიანთა წმინდათა-წმინდა გრძნობას, ის ჩვენი მეგობარი არ იქნება“.

აბაშიძის წერილებმა მაშინდელ პრესაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ამასთან დაკავშირებით „გაზეთ საქართველოში“ (1917 წელი, № 27) ვ. ლელიანი წერდა: „ღია ბარათში, რომელიც კავკასიელი თურქებისადმი არის მიმართული, ბ. ჰაიდარ-ბეგ აბაშიძემ მარტივად და ენერგიულად გამოსთქვა ის, რასაც ყოველი შეგნებული ქართველი გრძნობს ბოლო დროს. უკეთესად არ შეიძლება ჩვენის საერთო ეროვნული თვალსაზრისის გამოხატვა. ეს

1 იგულისხმება არა „თურქები“, არამედ მაჰმადიანები.

მით უფრო საყურადღებოა, რომ თვით ღია ბარათის ავტორი ქართველი მაჰმადიანია".

ლელიანი დასკვნის: „როგორც ჰაიდარ ბეგ აბაშიძის წერილებიდან სჩანს, შეგნებული მაჰმადიანი ქართველების ნებისყოფა ხელახლა დაკარგულ სამშობლოსაკენ მიისწრაფვის. ამ ხალხის სურვილი კი ყოველს შემთხვევაში, უმაღლესი კანონი უნდა იყოს ქრისტიან ქართველებისათვისაც და ამიერკავკასიის მაჰმადიანობისათვისაც".

ბაქოს „საქველმოქმედო საზოგადოება" და გაზეთი „აჩიკ-სოზ" აჭარლებს თურქებთან აიგივებდა, რადგან აჭარლები მაჰმადიანები არიან, ისინი თურქებიაო. ამ მოსაზრების წინააღმდეგ გაილაშქრა ივანე გომართელმა. „სარწმუნოება და ეროვნება „აჩიკ-სოზისათვის" ცალ-ცალკე არ არსებობენ, — მისთვის სარწმუნოება სავსებით ფარავს ეროვნებას. რა ვუყოთ, რომ უძველეს დროს აჭარაში ქართველები ქრისტიანები იყვნენ, დღეს აჭარლები მაჰმადიანები არიან, მაშასადამე, თურქები."

გომართელი შემდეგ დასკვნის:

„აჭარა არის საქართველოს ნაწილი, აჭარლები არიან ჩვენი ღვიძლი ძმები — ქართველები."[1]

* * *

1917 წ. ოქტომბერში რუსეთში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა. ამიერკავკასიაში ხელისუფლება ამ დროს ბურჟუაზიულ-მემამულურ პარტიათა ხელში მოექცა. ქვეყანას ქართველი მენშევიკები, სომეხი დაშნაკები და აზერბაიჯანელი მუსავატელები „მართავდნენ". ისინი მხარს უჭერდნენ ბურჟუაზიულ-მემამულური დროებითი მთავრობის პოლიტიკას, ხოლო დროებითი მთავრობის დამხობისა და რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კვლავ ძველი რუსეთის აღდგენას მოითხოვდნენ.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატი თავისი „დამოუკიდებელი" პოლიტიკით, რუსეთისაგან მოწყვეტილი, ოსმალეთის მტაცებლური სახელმწიფოს პირისპირ აღმოჩნდა. მან არ სცნო გერმანიასთან საბჭოთა მთავრობის მიერ დადებული ბრესტის ზავი, გაამწვავა ურთიერთობა ოსმალეთთან, რასაც შედეგად მოჰყვა ამიერკავკასიაში ომის გაგრძელება. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა კომისარიატმა არა მარტო ვერ შეინარჩუნა სამხრეთ

1 ჟურნალი „ცხოვრება", 1917 წ., № 3, გვ. 23.

საქართველოს ტერიტორია, არამედ შიდა საქართველოც ვერ დაიცვა. ოსმალო დამპყრობლები ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრნენ და ქალაქებსა და სოფლებს ანადგურებდნენ.

1918 წ. აპრილში ოსმალები ბათუმში შემოვიდნენ. მალე მათ დაიპყრეს ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს მაზრები და შემდეგ იწყეს ოზურგეთისა და სხვა მაზრების დაპყრობა. თურქეთთან მოლაპარაკების დროს მენშევიკები გერმანიას სთხოვდნენ დახმარებას და აღუთქვამდნენ ყოველგვარ შეღავათიან პირობებს, რისთვისაც 1918 წლის 28 მაისს გერმანიამ ცნო საქართველოს „დამოუკიდებლობა", რაც შემდეგ ხელშეკრულებით გაფორმდა. ამიერკავკასია ფაქტიურად გერმანელი და თურქი იმპერიალისტების სათარეშო ასპარეზად იქცა. შემდეგ გერმანიამ მალე განდევნა აქედან ოსმალები და საქართველოს ოკუპაცია მოახდინა. ამავე დროს მოხდა ამიერკავკასიის ეგრეთწოდებული ფედერაციის დაშლა (1918 წ. მაისი) და საქართველოს „დამოუკიდებლობის" გამოცხადება. საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ჟორდანიაგეგეჭკორის მეთაურობით ჩვენი ქვეყანა კატასტროფისაკენ მიჰყავდა.

თურქეთის ჯარების მიერ აჭარის მოკლე ხნით ოკუპაციის პირობებში აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა. ამის შესახებ გაზეთ „ერთობის" 1918 წლის № 267-ში ვკითხულობთ:

„სატუსაღოები სავსეა უკმაყოფილო აჭარლებით. ქალაქში, მთელ აჭარაში ავრცელებენ „სამუსულმანო საქართველოს გამანთავისუფლებელი კომიტეტის" პროკლამაციებს. ეს მოწოდება აჭარლებში დიდ გამოძახილს პოულობს, „ზოგი ჭირი მარგებელიაო", — ეს სიტყვები სწორედ აჭარლებზეა გამოჭრილი.

ეხლა მათ კარგად იციან, ვინ არის მათი მტერი და მოყვარე".

შექმნილი მდგომარეობის გამო აჭარლები გაიძახოდნენ: როცა თურქებს არ ვიცნობდით, მათ აქ მოსვლაზე ვოცნებობდით და შეპირებული ვიყავით, როცა მოვლენ ერთ ცხვარს შევწირავთო, ხოლო ეხლა ვნახეთ რა მათი სიავე, თუ წავლენ ხუთი ცხვარის შეწირვაზე თანახმა ვართო.

ჰ. აბაშიძე შეშფოთებული იყო იმით, რომ ზოგიერთი სამშობლოს გამყიდველი აჭარელი ხელს უწყობდა ოსმალო დამპყრობლებს ულანაშაულო ადამიანთა სისხლისღვრაში. ოსმალო ბარბაროსები მხეცურად გაუსწორდნენ ბათუმში მცხოვრებ ქართვე-

ლებს, შეიპყრეს ისინი და მდ. აჭარისწყალზე ლახერიტეს. თა-ნამოძმეთა დახოცვაში რამდენიმე აჭარელის ბინძური სელიც ერია. ამ გამცემლებს ჰყიცხავდა აჭარელი მშრომელი მოსახლეობა, რომელიც უმოწყალოდ სდევნიდა ხალხის მტერ ჯალათებს. აღნიშნული სისხლიანი დრამის გამო ჰ. აბაშიძე აქვეყნებს მოღალატე აჭარელთა მიმართ გამანადგურებელ წერილს. გამცემთადმი განუზომელმა სიძულვილმა მისთვის ჩვეული წონასწორობაც კი დააკარგვინა ჩვენს მოღვაწეს. მან ამ საქმეში ყველა აჭარელს დასდო ბრალი.[1] რა თქმა უნდა, რამდენიმე ბინძური აჭარელის საქციელისათვის მთელი აჭარა პასუხს ვერ აგებდა.

აღნიშნულ ამბავთან დაკავშირებით თურქეთის ჯარების უფროსთან თხოვნით მისულა სოფელ მახინჯაურის ზოგიერთი მოხუცი მცხოვრები. ეს ქართველები ჩვენი მეზობლები არიან. ჩვენ კარგად ვიცნობთ, როგორც საუკეთესო ადამიანებს და გთხოვთ გაათავისუფლოთ ისინი ჩვენი თავდებობითო.

თურქეთის ჯარების უფროსს ხალილ-ფაშას მთხოვნელები აბუჩად აუგდია. ნაცვლად იმისა, რომ პატივი ეცა ამ ჭაღარა ადამიანებისათვის, სასაცილოდ აუღია ისინი.

თურქებმა მათი ხანმოკლე ბატონობის პერიოდში საშინელი დაღი დაასვეს აჭარას. მოსახლეობა ეკონომიურად ძლიერ დაეცა, ხალხი შიმშილობდა. არ იყო პური, სიმინდი და სამრეწველო საქონელი. მაღაზიები და სხვა სავაჭროები დაარბიეს და გაძარცვეს. გლეხებს ართმევდნენ უკანასკნელ სარჩოს, საქონლის საკვებს და სხვ.

ასეთივე მდგომარეობა იყო ახალციხე-ახალქალაქშიაც. 1918 წელს, როცა თურქებმა ახალციხე დაიპყრეს, მოსახლეობაში ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს თურქებს ბედნიერება მოჰქონდათ, მაგრამ თურქების ბარბაროსობამ ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბა. ერთ-ერთ ახალციხელ ქართველ მაჰმადიანს როცა შეეკითხნენ, რაშია საქმე, ხომ არ მოტყუებულხართო, უპასუხნია: „მოგვატყუეს და ისე, რაც გვეგონა ოსმალეთი არ გამოდგა. შთლად დავიღუპენით, მაგრამ ღმერთი მოწყალეა, ალბათ მალე გვეშველება, ოსმალობა წავლენ და მაშინ თავისუფლად ამოვიხუნთქავთო“ (ახალციხის მუზეუმის მასალებიდან).

---

1 ჰ. აბაშიძე, „მოღალატე აჭარას“ (გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., 8 აპრილი).

როგორც აღვნიშნეთ, სიმინდი და პური არ იყო, დამშეულ მოსახლეობას ქერი და სიმინდი ყარსიდან, არტაანიდან და შავშეთიდან შემოჰქონდა ცხენებით. ასკერები ცხენებისათვის განკუთვნილ ულუფა ქერს იპარავდნენ და მაღალ ფასებში ჰყიდდნენ, ხოლო თურქ ოკუპანტებს აჭარიდან მათთვის საჭირო სურსათი უფასოდ მიჰქონდათ.

თურქების ბატონობის ხანმოკლე პერიოდში ბათუმის ქალაქის მეურნეობა დაეცა, მრეწველობა გაიყინა. განადგურდა სოფლის მეურნეობაც. ოსმალთა ჯარები სწორედ ხვნა-თესვის დროს შემოვიდნენ აჭარაში. ომიანობამ საგაზაფხულო სამუშაოებს ხელი შეუშალა.

ქალაქში სრული უწესრიგობა იყო, ბინებს ძარცვავდნენ, სკოლებში მეცადინეობა შეწყდა, ბათუმის სკოლების ინვენტარი თურქეთში გაჰქონდათ. მიჰქონდათ სამხედრო საჭურველი: ზარბაზნები, ყუმბარები და სხვ.

ქალაქში წარმოუდგენელი სიბინძურე სუფევდა. ქუჩებში, ეზოებში უსუფთაობის გამო შმორის სუნი იდგა, ტროტუარებზე ისეთი მაღალი ბალახი იყო, რომ გავლა არ შეიძლებოდა.

სასამართლოს ნაცვლად ჯოხით ცემა იყო შემოღებული: წესად იყო ათიდან ას ჯოხამდე და კიდევ მეტის დარტყმა. ადამიანს ცემდნენ ისე, როგორც პირუტყვს.

ბათუმის ფაშა-გუბერნატორი ქალაქის თვითმმართველობას ავალებდა ბანკეტების მოწყობას, მაგრამ საამისო ფულს არ იხდიდა. მაშინ ბათუმი ისე გაძარცული ყოფილა, რომ აქ არაფერი იშოვებოდა და არც სხვა რაიონებიდან შემოჰქონდათ რაიმე-ერთ-ერთი ასეთი დავალების დროს ქალაქის საბჭოში დიდი უკმაყოფილება შექმნილა, რასაც ივ. მესხი თავის მოგონებაში ასე გადმოგვცემს.

„ამ ხანებში ბათუმს ესტუმრა ენვერ-ფაშა. მუთესერიფმა მოიხმო ქალაქის თავი (კ. საბახტარაშვილი) და დაავალა დაუყოვნებლივ მოეწვია საბჭოს საგანგებო კრება, რომ ენვერ-ფაშისათვის ქალაქს ბანკეტი გაემართა... საბჭოს არაჩვეულებრივ სხდომაზე შეიქმნა დიდი ბაასი ამის თაობაზე, ვინაიდან კლუბის ბუფეტის მოიჯარადრე, რომელსაც დააკისრეს ბანკეტის გამართვა,

განთავისუფლებას იხვეწებოდა — ქალაქში არაფერი არ იშოვება და გარედან რასმესი მოტანა შეუძლებელია.

ამ ცხარე ბაასის დროს ხმოსნებმა ფანჯრიდან თვალი მოჰკრეს, რომ ერთი ინდაური და ერთი მამალი დასეირნობდნენ ქუჩაზე. ქალაქის თვითმმართველობის სახლის წინ. ქალაქის თავმა და ხმოსანმა ბინიატ-ოღლომ მიატოვეს სხდომა, გამოეკიდნენ ამ ფრინველებს, დაიჭირეს ისინი, იქვე გადასცეს ბუფეტის მოიჯარადრეს და თან შეუკვეთეს, რომ ამგვარივე საშუალებით ეშოკნა სხვაგვარი ხორაგოულობა ბანკეტისათვის.

მუთესერიფს რომ მოახსენეს ეს შემთხვევა, თურმე ბევრი იცინა და ქალაქის თავს ქება და მადლობა შემოუთვალა ასეთი მარჯვე ნადირობისათვის".[1]

თურქეთის ბატონობის პერიოდში ბათუმში ბევრი ფაშა-გუბერნატორი გამოიცვალა. ყოველი ახალმოსული ხალხს ახალი დაპირებებით იმადლიერებდა, სინამდვილეში კი. არსებულს ანგრევდნენ და ახალს არაფერს აკეთებდნენ.

თურქებმა ბათუმის ქუჩებს სახელები შეუცვალეს. მაგალითად, ტურგენევის ქუჩას ეწოდა ღაზი მუხტარ-ფაშის სახელი, შეპელიევის — ომერ-ფაშის, კომაროვისა — ოსმან-ფაშის, ქუთაისისა — აზიზის და სხვ.

1918 წელს ბათუმსა და მის ოლქში თურქები ბატონობდნენ, ხოლო საქართველოს დანარჩენ რაიონებში — გერმანელები. თურქებისა და გერმანელების ინტერესები კავკასიის მიმართ სხვადასხვა იყო, რაც მკაფიოდ აქვს მოხაზული თავის მოგონებაში ლუდენდორფს. იგი ამბობს, რომ კავკასია ჩვენ ნედლეულის ბაზად, ინგლისთან ბრძოლის პლაცდარმად უნდა გამოგვეყენებინაო. იგი წერს: „მე სიამოვნებით შევუწყობდი ხელს, ყველაფერს, რაც ასეთ შედეგს მოგვცემდა. მაგრამ ენვერი და თურქეთის მთავრობა უფრო თავის პანისლამისტურ მიზნებზე ფიქრობდნენ კავკასიაში, ვიდრე ინგლისთან ომზე... ამ მხრივ რომ ჩვენ არ შეგვეძლო იმედი გვქონოდა თურქების, ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა მისმა მოქმედებამ ბათუმში... ბაქოში ინგლისელების დამკვიდრება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ თურ-

1 ივ. მესხი, მოგონებანი, აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფ. № 61.

ქები პასიურად მოქმედებდნენ ჩრდილოეთ სპარსეთში; ჩვენს საბ-ჭედრო მეურნეობას დიდი ზარალი მოუვიდა."[1]

გერმანიის მიერ საქართველოს ოკუპაციასთან დაკავშირებით 1918 წლის 29 ივლისს სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე ვ. ი. ლენინი ამბობდა:

„თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანელი ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ"...[2]

მენშევიკები ეპატიჟებოდნენ გერმანელებს არა მარტო თურქეთის წინააღმდეგ. მათ უფრო ეშინოდათ შინაგანი აფეთქებისა. გერმანელები მენშევიკების დასაცავად კი არ მოდიოდნენ, მათ სურდათ ებატონათ საქართველოში, გზა გაეხსნათ აღმოსავლეთისაკენ და დაეპყროთ რუსეთის ტერიტორიის ნაწილი მაინც. მენშევიკებს ეხმარებოდა ახალი ბატონი ფონ-კრეს. გერმანელები იარაღით უჭერდნენ მხარს ქართველ მემამულეებს. ისინი აიძულებდნენ გლეხებს, რომ მათ მემამულეებისათვის გადაეხადათ 1917 წელს აქეთ გადაუხდელი გადასახადები. გერმანელები მენშევიკურ მთავრობასთან შეთანხმებით აქტიურად ეწეოდნენ გლეხების ძარცვა-გლეჯას.

საერთოდ ქართველ გლეხობას მენშევიკებმა ვერაფერი ვერ მისცეს. ამას თვით ნ. ჟორდანია აღიარებდა: „ჩვენმა ხალხმა ჯერ კიდევ ვერ მიიღო ის მთავარი ძირითადი დაკმაყოფილება, რასაც ის მოითხოვდა იმ თავითვე და რისთვისაც ის ჩადგა რევოლუციის რიგებში. ჩვენ მოგვეპოვება დეკრეტები, მაგრამ ისინი ქაღალდზე დარჩნენ". კიდევ მეტი, თვით ჟორდანიამ სამი წლის შემდეგ, 1920 წლის 5 დეკემბერს დამფუძნებელ კრებაზე განაცხადა: გლეხობის 90 პროცენტი იძულებულია დაამუშაოს სხვისი მიწა, ანდა ეძიოს სხვა სამუშაო სოფლის მეურნეობის გარეშეო.

ყველაზე ცუდ პირობებში იმ დროს იყო აჭარის მოსახლეობა. ჰ. აბაშიძე ამ დროს ამხელდა თურქეთის მუხანათურ დამოკიდებულებას აჭარისადმი. ამ მიზნით იგი 1918 წლის 5 ნოემბრის წე-

1 გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს. მ. გაბრიჩიძის რედ., 1942 წ., გვ 136—139.

2 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 28, 1952 წ., მე-4 გამოცემა, გვ. 7-8.

რილში „სამუსლიმანო საქართველო და ოსმალეთი" თავს ესხმოდა ბათუმის ცბიერ მუთესერიფს — ვალის.

ბათუმის ვალიმ ბათუმის ოლქის ცალკეულ მცხოვრებლებს დაავალა წასულიყვნენნ სტამბოლს და ახალი სულთანისათვის მიელოცათ ტახტზე ასვლა, ამასთან გადაეცათ ბათუმის ოლქის მცხოვრებთა „სურვილი" ამ ოლქის თურქეთთან შეერთების შესახებ. ბათუმელი თურქოფილები მართლაც წავიდნენ სტამბოლს, სულთანმა ისინი დაჯილდოვა. ზოგს ბეგობა უბოძა, ზოგს ფულადი ჯილდო მისცა და ორდენებიც დაუროგა (ამ ორდენების ერთი ნიმუში ამჟამად ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმში).

დაბრუნებული დელეგატები ხალხს აბრიყვებდნენ: სულთანი აჭარას, სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიას აძლევსო. ისინი მოსახლეობაში სულთანის სასარგებლო აგიტაციას ეწეოდნენ. ამათ წინაამღდეგ აბაშიძე თავის ზემოსსენებულ სტატიაში წერდა: „დღეს ჩვენს ხალხს ოსმალეთის არაფერი სჯერა და არც მისი გულუხვობა ესაჭიროება. ოსმალეთის სამუსლიმანო საქართველოში შემოსვლამ ნათელჰყო, თუ რანაირის თვალით უყურებს ის ქართველ მუსლიმანებს. ის ჩვენ გვეძახის „გურჯებს" ე. ი. ქართველებს და ის ჩვენ, ქართველ მუსლიმანებს, ისეთივე თვალით გვიცქერის, როგორც ქართველ ქრისტიანებს. ის ჩვენ, ქართველ მუსლიმანებს არასოდეს არ გვენდობა... ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ჩვენ ქართველები ვართ და შევადგენთ საქართველოს განუყოფელ ნაწილს."

ამ წერილის დასასრულს აბაშიძე თავის სურვილებს საქვეყნოდ აცხადებს: „ჩვენ გულწრფელად ვაღიარებთ: ჩვენა ვართ გურჯები — ქართველები, ჩვენ შევადგენთ ნაწილს საქართველოსას და ამიტომ ჩვენ გვწამს ჩვენი მომავალი, რომელიც გამოიხატება სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს ეროვნულად და ტერიტორიულად შეკავშირებაში და შედუღებაში. მაშ, შორს ოსმალეთის და ზოგიერთი მოღალატეების ახალი ქსელები და გაუმარჯოს ჩვენს დიდებულს — მომავალ საქართველოს". ჰ. აბაშიძის ამ მოწოდებაში ნათლად ჩანს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოღვაწის ხმა. იგი იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობისათვის.

დადგა დრო. გერმანია-თურქეთის ბატონობას საქართველოში ბოლო მოეღო. 1918 წლის 13 ნოემბერს გერმანიაში მოხდა რევოლუცია, ვილჰელმ II მთავრობა დაემხო, რის შედეგად ბრესტის ხელშეკრულება გაუქმებულ იქნა. 1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის შეთანხმების ძალით თურქეთი ტოვებს კავკასიას.

ჯერ კიდევ ადრე, 1918 წლის მაისში თურქების მიერ დევნილი პროგრესული აქარლები მიდიან თბილისში და აარსებენ სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს. ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული იყო ჰაიდარ აბაშიძე.

1918 წლის 3 დეკემბერს გაზეთ „ერთობის“ № 252-ში გამოქვეყნებული იყო სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მოწოდება მუსლიმანი ქართველებისადმი.

კომიტეტის მოწოდების შესავალში ნათქვამი იყო: „ძმებო, მუსლიმანო — ქართველებო, დადგა დრო, ძველი შეცდომები გავასწოროთ. მოვიხსნათ მძიმე უღელი თურქების ბატონობისა; მოვიშოროთ ის შერცხვენა, რომელიც თავს დაგვატყდა, მოვიშოროთ ჩვენი მძარცველები, გამჯოხველები, ამკლებლები და შემრცხვენელნი, დადგა დრო, როდესაც შეგვიძლია ჩვენი საქმე, ჩვენი ბედი ჩვენ თვითონ მოვაწყოთ“:

ამ მოწოდებაში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ თურქეთის ჯარის გასვლა აქედან დაყოვნებით ხდებოდა და, საჭირო იყო ამის დაჩქარება. „ამგვარად, თურქების ჯარი უნდა გავიდეს ჩვენი ქვეყნიდანაც, უნდა დასცალონ ახალციხე, ახალქალაქის მაზრები, ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, მურღული, ბათუმი, გონიო, კარგა ხანია ისინი უნდა გასულიყვნენ ჩვენი ქვეყნიდან, მართალია, ნელ-ნელა გადიან, მაგრამ რაღაც ფეხს ითრევენ, კიდევ ახალ ხიფათში ჩაგვაგდებენ.

ჩვენში ბევრი ხალხის მტერი ცუდ ხმას ავრცელებენ, გვეუბნებიან ქრისტიანი ქართველები შურს იძიებენ, გვემტერებიან, დაგვეცემიანო. სულ ყველაფერი ეს ტყუილია, ჩვენ თავდები ვართ, რომ ქრისტიან ქართველებს მხოლოდ ჩვენი კარგი უნდათ“.

როგორც წინათ აღვნიშნეთ, თურქების მოთხოვნით ზოგიერთი გადაგვარებული ახალციხელი თურქეთთან შეერთებას მოითხოვდა. 1919 წლის პირველ იანვარს კი ახალციხის მაზრის

მცხოვრებლები თავიანთ ყრილობაზე მოითხოვდნენ საქართველოსთან შეერთებას. ისინი რეზოლუციებში გმობდნენ ალა-ბეგების მუხანათურ მოქმედებას და მოითხოვდნენ მათთვის მიწების ჩამორთმევას. ამ ყრილობას ჰ. აბაშიძე ხელმძღვანელობდა.

ამ დროს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ცუდი მდგომარეობა იყო. აბაშიძე გაუგზავნიათ იქ საქმის მოსაგვარებლად. ეს ჩანს მისი დეპეშიდან მენშევიკური მთავრობისადმი.

დეპეშაში აღნიშნულია მაზრის მცხოვრებთა გაჭირვება, რომ იქ არ არის გატარებული მიწის რეფორმა, რომ იქ კვლავ ბეგები თარეშობენ და სხვ. დეპეშის დასასრულს ჰაიდარ აბაშიძე მოითხოვს:

„გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში გლეხების თხოვნა და დააჩქაროთ აგრარული რეფორმის გატარება“.

საინტერესოა აგრეთვე 1918 წლის 27 დეკემბრის დეპეშა, რომელიც მას ახალციხიდან მენშევიკური მთავრობისათვის გაუგზავნია. ამ დეპეშით ის იტყობინება, რომ პირველ იანვარს ვიწყებთ გლეხთა ყრილობას, გლეხობას ავუხსენი მიწის რეფორმის შინაარსი. რამაც ბეგების, ხოჯების გავლენა შეამცირა მაზრაშიო.

ეს ყრილობა, ამბობს აბაშიძე, იქნება ისტორიული ყრილობა და საუკუნოდ ჯვარს დაუსვამს ბეგების და ხოჯების ბატონობასო.

სხვათა შორის ამ ყრილობის შესახებ 1919 წლის 7 იანვარს გაზეთ „ერთობის“ № 5-ში ვკითხულობთ: „ყრილობის მეორე დღეს... ლაპარაკობს ჰაიდარ აბაშიძე, რომელიც ვრცელ სიტყვაში ყოველმხრივ ასაბუთებს სამაჰმადიანო საქართველოს, საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში დარჩენის აუცილებლობას“.

ჰ. აბაშიძე გვევლინება არა მარტო საქართველოს ეროვნული მთლიანობისათვის მებრძოლ, თავდადებულ მოღვაწედ, არამედ იგი როგორც ვხედავთ, ქართველი მშრომელი ხალხის სოციალური თავისუფლებითაც იყო დაინტერესებული. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ აბაშიძე თავისი მდგომარეობით ბეკი (თავადი) იყო. თვითონ მიწათმფლობელი პრივილეგიური არისტოკრატიის წარმომადგენელი ჰაიდარი ბეგთა და აღათა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას მოითხოვდა. მენშევიკური მთავრობის წინაშე იგი აგრარული რეფორმის დაჩქარების საკითხს აყენებდა.

იგი, როგორც ჩანს, არ იზიარებდა ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის დამოკიდებულებას მიწის საკითხისადმი და მოითხოვდა, რომ მიწა მშრომელ გლეხობას უსასყიდლოდ გადასცემოდა.

ასეთი მოთხოვნებით ჰაიდარ აბაშიძე ობიექტურად ეხმატკბილებოდა იმ დიდ სოციალურ პრობლემებს, რომლებსაც რუსეთში გამარჯვებული სოციალისტური რევოლუცია სწყვეტდა.

გასაგებია, რომ ფეოდალური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციისა და მშრომელი ხალხის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლ აბაშიძეს ბეგები და აღები მოსაკლავად დასდევდნენ.

აბაშიძის დახასიათებისათვის საინტერესოა აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ როცა სერვერ-ბეგ ქვაბლიანსკი თავს დასხმია ახალციხეს და დაურბევია მოსახლეობა, საქართველოს მომხრენი დაუპატიმრებიათ. მაშინ განსაკუთრებით ეძებდნენ თურმე ჰაიდარ აბაშიძეს. ამის შესახებ გაზეთი „ერთობა“ ათავსებს აზერბაიჯანის მთავრობის გაზეთ „აზერბაიჯანიდან“ ამობეჭდილ ცნობას, რომელშიც ვკითხულობთ:

„12 თებერვალს სერვერ-ბეგ ქობლიანსკის მეთაურობით ფოცხოვის ჯარები შევიდნენ ახალციხეში. აღლუმს ხელმძღვანელობდა ალეკორის ყოფილი უფროსი ლათიფ-ბეი. ყარსის მთავრობის ჯარებში იმყოფება ბევრი ოსმალო ოფიცერი. ჯარების შემოსვლის დროს დატუსაღებულ იქნენ ყველა მოხელენი და ადგილობრივი მილიციის წევრები, რომელთაც ვერ მოესწროთ ქალაქიდან წასვლა. უმთავრესად დაეძებდნენ დასაჭერად... ჰაიდარ აბაშიძეს...“

აზერბაიჯანის მშრომელი მასების მიერ უარყოფილი მუსავატური „მთავრობა“ ბათუმის საკითხით ძალიან დაინტერესებული იყო და ცდილობდა თავისი აგენტურის, პრესისა და სხვათა საშუალებით დეემცირებინა და სახელი გაეტეხა იმ ქართველი მაჰმადიანებისათვის, რომელნიც ქართული ორიენტაციისა იყვნენ. ამიტომ მათ პირველად ნიშანში ამოიღეს ჰაიდარ აბაშიძე. მუსავატური მთავრობა აჭარლებს აცხადებდა აზერბაიჯანის ერთ-ერთ ტრიბუნად. ამ-ს საფუძველზე იგი მენშევიკურ მთავრობას უგზავნიდა ნოტას, რომ სამუსლიმანო საქართველოს მცხოვრებლების მისწრაფებას დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად გამოყოფისადმი ნე ჩაახშობთო.

თურქებისა და მუსავატური პარტიის აგენტები შეთანხმებულად ეწეოდნენ აგიტაცია-პროპაგანდას აჭარლებში. მაგრამ ისინი აჭარაში სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ.

1920 წლის 10 მარტს გაზეთ „ერთობის" № 56-ში მუსავატისტი აგენტების მოქმედების შესახებ დაბეჭდილი იყო აბაშიძის სტატია. იგი წერდა: „ეს ვაებატონები, ქართველ მუსულმანებს ეევლინებიან ისლამის დარაჯად და ხალხს არწმუნებენ, რომ ისინი არა ქართველ მუსულმანებს დიდიხანია შეუბღალავდნენ მათ წმინდათა წმინდა სარწმუნოებას". ჩვენ კარგად ვიცით... თუ რა ინტერესებთ ამ აგენტებს. მათ უნდათ არა ისლამის დაცვა ჩვენში, არამედ ჩვენი ხალხის ბრმა იარაღად გამოყენება მათ საკუთარ ინტერესებისა და მიზნებისათვის... მე აქ მხოლოდ მინდა აღვნიშნო შემდეგი: ოსმალეთის და ადერბაიჯანის (იგულისხმება მუსავატების, ხ. ა.) აგენტები სამუსლიმანო საქართველოში, ხელი-ხელჩაკიდებულნი მუშაობდნენ წარსულში და მუშაობენ დღესაც და რომ ეს ასეა, ამის მოწმეა ტრაპიზონის კომპანია და უკანასკნელი ოსმალეთის ომი საქართველოსთან".

ნაციონალისტურ პარტიათა ბატონობამ საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანში უდიდესი ზიანი მიაყენა ამიერკავკასიის ხალხებს შორის ძმობა-ერთობისა და სოლიდარობის საქმეს, რისთვისაც ძლიერ ბრძოლას აწარმოებდა ბოლშევიკური პარტია დიდი ლენინის მეთაურობით. ნაციონალისტური პარტიები მენშევიკებისა, მუსავატებისა, დაშნაკებისა, ნერგავდნენ მოძმე ერებს შორის შურსა და მტრობას, გამუდმებით კინკლაობდნენ ერთმანეთში ტერიტორიებისა და საზღვრების გამო, აჩაღებდნენ კონფლიქტებსა და ომებს. კერძოდ, მუსავატური პარტია ოსმალური ორიენტაციისა იყო და თავისი მოქმედებით, ამიერკავკასიაში ოსმალეთის გაბატონებას ხელს უწყობდა.

მუსავატური „მთავრობის" საგარეო საქმეთა მინისტრი ხანხოისკი თავის განცხადებაში საქართველოსათვის ბათუმის გადაცემის შესახებ ფორმალურად ნეიტრალიტეტს აცხადებდა, ნამდვილად კი ჯაშუშების საშუალებით მას უნდოდა აჭარლები საქართველოს წინააღმდეგ აემხედრებინა.

მუსავატელები ახალციხის მცხოვრებთ (რადგან ისინი მუსლიმანები იყვნენ) თავიანთ ხალხად აცხადებდნენ. მუსავატელების აგენტების შავბნელი საქმიანობის შესახებ 1920 წელს წერდნენ:

„მისმა მუდმივმა ინტრიგებმა, მისმა აგენტებმა, მისმა მილიონებმა ნავთის გაზიდვის გამო ჩვენს მხარეს ამოაცალეს სასიცოცხლო ძარღვი, ბათუმი გამოგლიჯეს ხელიდან და უცხო ქვეყნის კაპიტალისტებს მიუგდეს საჯიჯგნად“.[1]

როგორც ცნობილია, 1918 წლის 22 დეკემბერს ბათუმში შემოვიდა ხუთი გემი, რომლებმაც მოიყვანეს თხუთმეტი ათასი ჯარისკაცი ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიისა. მათ დაპყრეს ბათუმის ოლქი და შექმნეს „დამოუკიდებელი“ პატარა სახელმწიფო, ე. წ. მარიონეტული მთავრობა, რომელსაც მეთაურობდა შავრაზმელი მასლოვი.

„დაამარცხეს რა გერმანია და ავსტრია, ანტანტის სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს გადმოესროლათ დიდი სამხედრო ძალები საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. გერმანიის დამარცხებისა და უკრაინიდან და ამიერკავკასიიდან მისი ჯარების წასვლის შემდეგ ინგლისელებმა და ფრანგებმა გერმანიის ადგილი დაიკავეს; მათ მორეკეს თავისი ფლოტი შავ ზღვაში და გადმოსხეს თავისი ჯარები ოდესაში, ამიერკავკასიაში.“[2]

მაშინ ბათუმის ოლქში თავმოყრილი იყვნენ თეთრგვარდიელები, ფრონტზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებული გენერლები და სხვა ბანდები. სწორედ ამ შავბნელ ძალებს იყენებდნენ ოკუპანტები საბჭოების წინააღმდეგ, რისთვისაც მათ ბათუმის ოლქი გადააქციეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის სამხედრო ბაზად. ოკუპანტები თეთრგვარდიელებს ამარაგებდნენ ნავთით, სურსათით, იარაღით, ჯარებით და სხვ.

ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის იმპერიალიზმის მიზანს შეადგენდა რუსეთის მეფისნაცვლის ხელისუფლების აღდგენა კავკასიაში და „წესრიგის დამყარება“, ანუ თავისი პოლიტიკური ბატონობის გავრცელება ამ ქვეყანაზე.

ბათუმის მდგომარეობის შესახებ იმ პერიოდში, როცა იგი ინგლისის ოკუპაციის ქვეშ იყო, 1919 წლის გაზეთ „ერთობის“ № 96-ში ვკითხულობთ:

„ბათუმში კი ყველაფერი გადასხვაფერებულია, საზოგადოებრივი ცხოვრება გაყინულია, გადამწვარი, აოხრებული, განაპირა

1 გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920 წ. № 319.
2 საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, 1952 წ., გვ. 287-288.

ბათუმი ცრემლებს მოგგვრის, დაგამწუხრებს, სამხედრო ბანაკად-ქცეული... ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა, ლოთობა, ქალების და ბავშვების დახრჩობაც ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულა და ბოროტება იმალება ბათუმის საიდუმლოებით მოცულ სიღრმეში.

ქართველების წინააღმდეგ ითესება გესლი და შხამი. შავრაზმული აგიტაცია პრესითაც სწარმოებს. „ნაშ კრაი“ დღითიდღე სხვადასხვა სენსაციური ცნობებით კვებავს ფართე მასებს... მთელი ძალაუფლება, მმართველობის აპარატი ინგლისელების ხელშია... მთელი ფინანსები ინგლისის ხელშია, მაგ. ოცი მანეთის ასიგნოვკაზედაც, რომელიც უნდა მიეღო ქალაქის სკოლის მასწავლებლებს, ხელი უწერია ინგლისელ მაიორ გენდომს“.

ინგლისელთა ოკუპაციის პერიოდში ცუდ ეკონომიურ პირობებში იყვნენ არა მარტო მუშები, აგრეთვე აუტანელ პირობებში ცხოვრობდნენ გლეხებიც. აი, როგორ ახასიათებს ქედის რაიონის გლეხთა გაჭირვებულ მდგომარეობას ვინმე მუშა:

„ქვემო აჭარის სოფელში სხვადასხვა გადამდები სენი ვრცელდება, ჯერჯერობით ექიმი არ ჩამოსულა ბათუმიდან. ხალხი თხოვს მთავრობას საჩქაროთ დახმარებას. განსაკუთრებით საჭიროებენ მედიკამენტებს.

მოსავალი... საშუალოზე ნაკლებია, რაც წრევანდელ გვალვებით აიხსნება. სიმშილობა უკვე არის აქეთ საგრძნობი, სიმინდი არავის არ აქვს, ხალხი საგონებელშია ჩავარდნილი და ბედის განაჩენს შეყურებს“.[1]

ასეთ და უფრო უარეს პირობებში, იმყოფებოდა სხვა რაიონის მოსახლეობაც.

ბათუმის დაუფლებისათვის ბრძოლის მომენტში მოვიდა ცნობა (მოკავშირეთა საბჭოს დადგენილებით) ბათუმის თავისუფალ ნავსადგურად — „პორტო-ფრანკოდ“ გამოცხადების შესახებ.

ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ (1920 წელი, № 320.) წერდა:

„გაზეთში გამოქვეყნებული დეპეშიდან სჩანს, რომ სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოს უკვე 24 თებერვალს გადაუწყვეტია გამოაცხადოს ბათუმის პორტი თავისუფალ პორტად, ქალაქი და მისი გარშემო პატარა ზონა შეადგენენ ხალხთა ლიგის მთავრობის ქვეშ მყოფ პატარა სახელმწიფოს და მას დაიკავებენ საერ-

1 გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, 1920 წ., № 427.

თაშორისო რაზმი ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის სამი ბატალიონისაგან შემდგარი".

მოკავშირეების მიზანი მარტო ბათუმის ხელში ჩაგდებით და ბათუმის თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადებით არ ამოიწურებოდა. ისინი უფრო ფართო გეგმებს ისახავდნენ. მათ სურდათ ხელში ჩაეგდოთ ამიერკავკასიის სიმდიდრეები, ამიერკავკასიის ხალხები ექსპლოატაციის ობიექტად გაეხადათ და ამ ხალხთა შორის არსებული ეროვნული შუღლი უფრო გაემწვავებინათ. ჯერ კიდევ ადრე და შემდეგაც ამ საკითხის შესახებ, საქართველოს ხელახალი, მოსალოდნელი ოკუპაციის საფრთხის გამო, 1920 წლის 8 ნოემბრის თარიღით, რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მიმართვას უგზავნიდა თავის სრულუფლებიან წარმომადგენელს საქართველოში ს. მ. კიროვს (იხ. გაზეთი „ახალი კომუნისტი", 1920 წ., № 111). მიმართვა გადაეცა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას. მასში ნათქვამია:

„რომ მოკავშირეთა მთავრობები იხილავენ საკითხს ბათუმის სამხედრო ძალით ოკუპაციის შესახებ და რომ ეს მთავრობები ფიქრობენ გაგზავნონ თავიანთი ესკადრები და ქვეითი ჯარები საქართველოს ამ დიდი ნავსადგურის, ამ ახლო აღმოსავლეთის კარების დასაკავებლად... ბათუმში ანტანტის გენერლებისა და ადმირალების გამოჩენით მთელი საქართველო მათი ძალაუფლების ქვეშ მოექცა, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობა იქნება უბრალო ხმა, მოკლებული ყოველივე რეალურ მნიშვნელობას... ბათუმი, როგორც სამხედრო ბაზა ანტანტის იმპერიალიზმისა, გადაიქცევა ახალ ფრონტად საბჭოთა მთავრობისათვის სამხრეთში, რის შედეგად მთელი კავკასია ცეცხლში გაეხვევოდა, ანტანტის მთავრობათა აგენტებს, რომელნიც თავიანთი ოქროს წყალობით არევ-დარევას აწარმოებენ ძველი სოციალური წყობილების მომხრეებში, მოყვება ჯარი, რომელიც გაანადგურებს ხალხის რევოლუციურ მონაპოვარს".

აღნიშნულ მომართვაში ნათლად იყო განჭვრეტილი ანტანტის მომავალი გეგმები ამიერკავკასიაში; მისი სისწორე შემდგომმა ამბებმა დაადასტურეს.

რომ საქართველოში მენშევიკურ მთავრობას ამ დროს არავითარი გავლენა არ ჰქონდა და ნამდვილი ბატონ-პატრონი იყვნენ ოკუპანტები, ამას ადასტურებს ქობულეთის რაიონის კინტრიშის

ხიდის აფეთქებასთან დაკავშირებით საქართველოს რკინიგზების დეპარტამენტის დირექტორის ჭიჭინაძის დეპეშა, რომელიც მას გაუგზავნია ბრიტანეთის სარკინიგზო ბიუროს გამგეობისათვის:

„გავეცი განკარგულება, რომ დაუყოვნებლივ შეუდგნენ აფეთქებული ხიდის შეკეთებას. მუშაობა განუწყვეტლივ სწარმოებს დღისით და ღამით.. ხარჯების გასტუმრება უნდა დაეკისროს ბათუმის ოლქში მყოფ ბრიტანეთის მმართველობას, რომელიც ზომებს არ იღებდა ხიდის და გზის დასაცავად. ბათუმის ოლქში და არც საქართველოს რკინიგზის მმართველობას აძლევდა ამის საშუალებას“.

საბჭოთა არმიის მიერ თეთრგვარდიელების განადგურებისა და ბაქოს მუშების აჯანყებებთან დაკავშირებით ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლება ბათუმიდან თეთრგვარდიელებისათვის აგზავნიდა ნავთის პროდუქტებს. ბათუმის ბოლშევიკები აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ ინგლისელი ოკუპანტების წინააღმდეგ. მათ 1920 წლის 23 აპრილს ააფეთქეს კინტრიშის ხიდი. ბათუმში ჯერ კიდევ 1919 წელს შეიქმნა სპეციალური მებრძოლი ჯგუფი და სახელოსნო, სადაც ამზადებდნენ ასაფეთქებელ მანქანებს ე. წ. „ჯოჯოხეთურ“ მანქანებს. ბოლშევიკებმა პირველი აფეთქება მოახდინეს გემ „ვოზროჟდენიეზე“, რომელიც დატვირთული იყო სამხედრო საჭურვლით ვრანგელის არმიისათვის; 1920 წლის ივნისში ააფეთქეს გემი „სვეტი“, რომელსაც ვრანგელისათვის ნავთი და ბენზინი მიჰქონდა. ინგლისელები იძულებული იყვნენ ცეცხლწაკიდებული გემი ბათუმის ნავსადგურიდან გაეყვანათ და ზღვაში ჩაეძირათ.

ბოლშევიკების გადაწყვეტილებით უნდა აეფეთქებინათ თეთრგვარდიელების გემიც, რომელსაც დინამიტი უნდა წაეღო დენიკინისათვის, მაგრამ გემზე ნაღმი უცებ გასკდა, მოკვდა ორი ინგლისელი ოფიცერი, გემი კი გადარჩა.

ამ პერიოდში ბოლშევიკების გავლენით აჭარის რაიონებში ეწყობოდა გლეხთა გამოსვლები და აჯანყებები. 29 აპრილს ბათუმის მუშებმა ქალაქის ბულვარში მოკლეს გენერალი ლიახოვი.

ბოლშევიკები ბათუმის მოსახლეობაში დიდ მუშაობას ეწეოდნენ ინგლისელთა წინააღმდეგ.

4 აპრილს ინგლისელმა ოკუპანტებმა დახურეს გაზეთი „ბატუმსკაია ვესტ“. ამის გამო ბოლშევიკებმა თვალსაჩინო ადგილას

გააკრეს საპროტესტო განცხადება. 7 აპრილს საგაფიცვო კომიტეტის სხდომაზე გამოტანილ იქნა რეზოლუცია გაზეთის დახურვასთან დაკავშირებით გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

9 აპრილს ქალაქის საბჭო იძულებული გახდა მოეწვია საგანგებო სხდომა, სადაც აღიარებულ იქნა, რომ საგანგებო სხდომის მოწვევა გამოწვეულია მუშათა განუწყვეტელი გაფიცვებითა და საგაფიცვო კომიტეტის 38 წევრის დაპატიმრებით.

10 აპრილს ბათუმის პროფკავშირების წარმომადგენელთა სხდომამ მიიღო რეზოლუცია დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ და აირჩია დელეგაცია. დელეგაცია აღნიშნავდა, რომ გაფიცვა გამოწვეული იყო არა მარტო გაზეთ „ბატუმსკაია ვესტის“ დახურვით, არამედ მუშათა გაჭირვებული, აუტანელი მდგომარეობის გამოც, რომ მუშათა ცხოვრების პირობები მაქსიმალურად დაეცა და სხვ. მუშების კატეგორიული მოთხოვნის შედეგად კახაბერში, ღამის 10 საათზე, გაათავისუფლეს 25 პატიმარი.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მუშები მოითხოვდნენ ყველა პატიმრის განთავისუფლებას. მაშინ ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა კუკ-კოლისმა განაცხადა: „25 კაცს ვათავისუფლებ, დანარჩენს კი არა, რადგან წარმოებს მათი შესწავლაო“.

ინგლისელები აჯანყებულ მუშებს მხეცურად უსწორდებოდნენ. მაგალითად, 1919 წლის ზაფხულში კაპიტალისტების წაქეზებით, ინგლისის გენერალ-გუბერნატორმა კუკ-კოლისმა სამი ახალგაზრდა მუშა აზიზიეს მოედანზე დაახვრეტინა.

ხალხის მასების ზეგავლენით, 1920 წ. 14 აპრილს, კუკ-კოლისმა მასლოვის საბჭო დაშლილად გამოაცხადა.

დადგა გადამწყვეტი მომენტი, ბათუმი უნდა გადაცემოდა, ან საქართველოს, ან დენიკინელებს. ამ დროს ბოლშევიკები ბათუმის განთავისუფლებას და საბჭოთა რუსეთთან შეკავშირებას ცდილობდნენ.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის დირექტივების საფუძველზე შეიქმნა ბათუმის არალეგალური რევკომი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ბელინსკი, ბერძენიშვილი, უსაგინა-ვოლკოვა, დ. მახარაძე, პევცოვი და თავბერიძე. რევკომს უნდოდა 10 მაისს მოეხდინა აჯანყება და ხელისუფლება ხელთ აეღო, მაგრამ 8 მაისს კუკ-კოლისმა მოაწყო პროვოკაცია და

ქალაქის პარტიული და პროფესიული კავშირის აქტივი მოტყუებით დააპატიმრა.

30 აპრილს ბათუმის კომიტეტის დადგენილებით მოეწყო მუშათა კონფერენცია, რომელმაც მიიღო დადგენილება რუსეთთან ბათუმის ოლქის შეერთებისა და პირველი მაისის დემონსტრაციის მოწყობის შესახებ.

რევოლუციის აღმავლობის დროს ბათუმში დიდი ენთუზიაზმით მოეწყო საპირველმაისო დემონსტრაცია.

მენშევიკების ცდა, ჩაეშალათ დემონსტრაცია, უშედეგო აღმოჩნდა. დემონსტრაციაში 15 ათასამდე კაცი მონაწილეობდა. დემონსტრაცია ჩატარდა ლოზუნგით: ოკუპანტების განდევნა, საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება, დაპატიმრებულთა გათავისუფლება და სხვ.

დიდი ბრძოლის შემდეგ ბათუმის ბოლშევიკების ხელმძღვანელი გუბელი (მეძმარიაშვილი), რომელსაც ლიახოვის მოკვლას აბრალებდნენ, განთავისუფლებულ იქნა. გუბელის ტრიბუნაზე გამოჩენას დემონსტრანტები აღფრთოვანებით შეხვდნენ.

მენშევიკები სასტიკად სდევნიდნენ ბოლშევიკებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის იბრძოდნენ. ამის შესახებ, გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ წერდა: „ბოლშევიკები ამაყად გაიძახიან, რომ აქ ლენინის მთავრობა უნდა გავრცელდეს, ბათუმი ლენინის რუსეთს უნდა შეუერთდესო“.[1]

ბათუმის საბჭოს სხდომაზე ბათუმის ბოლშევიკებს გამოჰქონდათ თავიანთი რეზოლუციები საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შესახებ. ამ რეზოლუციებისადმი ხალხის მხარდაჭერას მენშევიკები ვერ უარყოფდნენ და ბევდვით ორგანოებში აცხადებდნენ „ბოლშევიკების რეზოლუციებს ხალხი ტაშის გრიალით იღებსო.“

1920 წლის 22 აპრილს ქალაქის თვითმმართველობის შენობაში გამართულ მუშათა გაერთიანებულ სხდომაზე ბოლშევიკებმა მოითხოვეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ბათუმში ფაქტიურად ხელისუფლება პროფკავშირების ხელში იყო, ისინი კონტროლს უწევდნენ ბათუმიდან სურსათისა და სხვა საქონლის გატანა-შემოტანას. კონტრრევოლუციონერები გუ-

1 გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, 1920 წ., № 328.

ბერნატორს ეუბნებოდნენ: ვისი მთავრობაა, მუშების თუ ინგლისისო? ამიტომ კუკ-კოლისი აცხადებდა: „მე ვერ მოვითმენ, რომ ინგლისის მეფის ბაირაღის გვერდით მეორე ხელისუფლება არსებობდესო“.

ჯერ კიდევ ადრე, 1919 წლის 12 იანვარს, ბათუმის სამხედრო გუბერნატორის კუკ-კოლისის ბრძანებით შემოღებულ იქნა ინგლისის დრო (საათის ისარი გადაწეული იყო 50 წუთით წინ). ინგლისელები უზომოდ თვითნებობდნენ და არავის არ ემორჩილებოდნენ. გამვლელ-გამომვლელებს სცემდნენ, დათარეშობდნენ ქუჩებში, კინოებში, აყალ-მაყალს სტეხდნენ: „11 მაისს პეტროგრადის ქუჩაზე მყოფი სამი ინგლისელი პატრული ძალზე დათვრნენ, დაუწყეს გამვლელებს ცემა“.[1]

ინგლისის ოკუპაციის დროს სხვადასხვა მხარეებში და ოლქებში იჭრებოდა ფული, საბანკო ჩეკები და მარკები. ასეთი მარკები ბათუმშიც იყო მოჭრილი, რომელთაც ჰქონდა წარწერა: „British occupation“ (ბრიტანეთის ოკუპაცია). ამავე პერიოდში ბათუმის ხაზინის მიერ გამოშვებულ ფულებს შემდეგი წარწერა აქვს: „3 руб. Разменный денежный знакъ Батумскаго Казначейства. Подделка преследуется закономъ. ასეთი წარწერა აქვს ერთმანეთიანსაც. ფულები პატარა ზომისაა, მარკას მიაგავს (ამ მარკის და ფულის ნიმუშები ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმში).

მენშევიკები ინგლისელ ოკუპანტებთან კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ და დიდ დახმარებას უწევდნენ მათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კუკ-კოლისი ცდილობდა გაეუქმებინა ე. წ. სამეული, რომელიც ახორციელებდა კონტროლს ნავსადგურში ტვირთის გადატან-გადმოტანაზე. გენერალმა კუკ-კოლისმა მოტყუების გზით მოახერხა პროფკავშირებისა და პარტიის გამოჩენილი ხელმძღვანელების დაპატიმრება. 1920 წ. 8 მაისს მან მოიწვია მუშებისა და პროფკავშირების წარმომადგენელთა თათბირი, თითქოს უნდა განეხილათ ნავსადგურის მუშაობის საკითხი. ისარგებლეს რა ამ შემთხვევით, თათბირის 22 მონაწილე დააპატიმრეს, ბორკილები გაუყარეს და გემით კონსტანტინოპოლში გაგზავნეს.

1 იქვე. № 359.

შემდეგში საბჭოთა ხელისუფლების ჩარევით მოხერხდა მათი გადაცემა ინგლისელ ტყვეებზე.

ოკუპანტები ამით არ დაკმაყოფილდნენ, მათ მუშების წინააღმდეგ კიდევ უფრო გააძლიერეს რეპრესიები, დაარბიეს მუშათა ორგანიზაციები და დახურეს მათი გაზეთი „Голос труда“

თეთრგვარდიელები, თურქოფილები და მათი გამცემლები ყოველმხრივ მხარს უჭერდნენ ოკუპანტებს.

გაზეთი „ნაშ კრაი“ თავგამოდებით იბრძოდა საქართველოსთან აჭარის შეერთების წინააღმდეგ და აქვეყნებდა ცნობებს იმის შესახებ, რომ „მუსლიმანთა საბჭო“[1] სამხედრო გუბერნატორთან მოვიდა, რათა აჭარა საქართველოს ჩამოაცილოს და თურქეთს შეუერთოსო.

გაზეთ „ნაშ კრაის“ შესახებ „ერთობის“ ფურცელზე ვკითხულობთ:

„ყველა ამას დაუმატეთ ის, რომ ბათუმის საზოგადოებრივი აზრის გზის მაჩვენებელი ერთად ერთი გაზეთია „ნაშ კრაი“. გაზეთი შავრაზმული, მატყუარა, ფლიდი და მოსყიდული, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ავრცელოს საქართველოს წინააღმდეგ შხამი და გესლი.“[1]

ან კიდევ:

„ადმინისტრაციას (ბათუმში, ხ. ა.), სასამართლო მმართველობა, აქციზია, ბლოკის გამგეობა, საბაჟო და სხვადასხვა ყველაფერი რუსი შავრაზმელების ხელშია.“[2]

ამ შავბნელ საქმეს, როგორც ითქვა, ინგლისის სარდლობა ხელმძღვანელობდა. მაგალითად, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1920 წლის № 64-ში გენერალ კუკ-კოლისის შესახებ ვკითხულობთ:

„გენერალი კუკ-კოლისი ბათუმში აწარმოებს ინტრიგებს და მისი გუბერნატორობის დროს ბათუმი გადაქცეულა საერთაშორისო სპეკულაციის ასპარეზად“.

ინგლისის პოლიტიკა მიმართული იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ურთიერთ წასისიანებისაკენ. ინგლისის ჯარების

1 გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., № 233.
2 იქვე.

ოფიციალური გაზეთი სტამბოლში წერდა, რომ ბათუმის ოლქი და თვით ბათუმი ნეიტრალურ სახელმწიფოს ხელში (ე. ი. მათ ხელში) უნდა დარჩესო. ამით ისინი მათ მიერ ბათუმისა და მისი ოლქის ოკუპაციას ამართლებდნენ. გაზეთი იცავდა აგრეთვე მუსავატელებისა და დაშნაკების მოთხოვნას ბათუმის შესახებ. ისინიც ხომ ბათუმს ებღაუჭებოდნენ.

რა თქმა უნდა, მუსავატელებს აინტერესებდათ არა აქარის ბედი, არამედ ნავთის თავისუფლად, უბაჟოდ გატანა ბათუმის ნავსადგურიდან საზღვარგარეთ!

სომხეთის დაშნაკური მთავრობა არ ჩამორჩებოდა მუსავატურ მთავრობას. ისიც ათასგვარ პროვოკაციას ეწეოდა ბათუმის გარშემო.[1]

მენშევიკური მთავრობა აღარც კი მალავდა მისი და ანტანტის ინტერესების ერთიანობას. 1920 წლის 20 ივნისს, ქალ. ბათუმის მცხოვრებთა კრებაზე საქართველოს მენშევიკური მთავრობის მინისტრის ნ. რამიშვილის მიერ გაკეთებული მოხსენების შესახებ გაზეთი „ერთობა“ თავის 1920 წლის 164 ნომერში წერდა:

„რით აიხსნება ნავსადგურში უცხო სახელმწიფოს სამხედრო გემების ყოფნა. სამხედრო გემები, განაცხადა რამიშვილმა, საერთოდ მთელ შავი ზღვის სანაპიროებს იცავენ. მოკავშირეთა გემების რესპუბლიკის ზღვის ნაპირებთან ყოფნა სასურველია.., ვინაიდან ჩვენი ინტერესები ანტანტის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება“.

ჰ. აბაშიძე ბათუმში შექმნილი მდგომარეობის შესახებ აღნიშნავს, რომ, მიუხედავად დიდი ბრიტანეთის მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციისა, აქ ყველას აქვს საშუალება ჩაიდინოს ყოველგვარი ბოროტება. დენიკინელები და სხვა „ურიადნიკები“ ხალხს მათრახებით სცემენო. თავის წერილში „ხმა სამუსლიმანო საქართველოდან“ ჰ. აბაშიძე წერდა:

„მე ქართველი მუსლიმანი, სამუსლიმანო საქართველოს შვილი, იძულებული შევიქენ ამ მცირე წერილით, პრესის საშუალებით, მეუწყა ვისთანაც ჯერ არს ის სამწუხარო და სავალალო მოვლენები, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს კუთხეში, ბათუმში

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 60.

და მის ოლქში. დღეს ბათუმის ოლქი გარეგნულად არის მოკავშირეთა ოკუპაციაში, სადაც წარმოგზავნილია... ბატონი კუკ-კოლისი, ფაქტიურად ეს კუთხე არის დენიკინელების ოკუპაციაში და ეს ვაუბატონები კი მოკავშირეთა ქურქში აკეთებენ დენიკინის საქმეებს და როგორ აკეთებენ, არ იკითხავთ: მათრახებით, ცემით, ტყეპით, ძარცვა-გლეჯით და სხვა ბევრი ასეთებით".

ინგლისელი ოკუპანტები დენიკინელებისა და სხვა ბანდიტების მოქმედებას თვითონ აქეზებდნენ. აბაშიძე მწუხარებით აღნიშნავს, რომ ყველა ამას კუკ-კოლისი და უორდროპი ხედავენ და ზომებს კი არ იღებენო.

ჰ. აბაშიძე აქ ფაქტიურად აკრიტიკებდა ქართველი ხალხის ინტერესთა გამყიდველი მენშევიკური მთავრობის გამცემლურ პოლიტიკას. იგი, როგორც ჩანს, არ იზიარებდა იმპერიალისტებთან შეთანხმებას და მათ საქართველოს მტრებად თვლიდა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ჰაიდარის კრიტიკული აზრი მაშინ ამაზე უფრო შორს ვერ მიდიოდა. იგი ვერ აშკარავნებდა მენშევიკი მმართველების გაკოტრებულ პოლიტიკას და იმპერიალისტთა ნამდვილ მისწრაფებას, რაც საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ იყო მიმართული.

ინგლისელთა ბატონობის პერიოდში ბათუმის საზოგადოებრივი ცხოვრება გაიყინა, ხოლო ქართველობა საზოგადო საქმიანობიდან იდევნებოდა.

ბათუმის ოკუპაციის პერიოდში ყოველგვარ „არჩევნებს" ხელმძღვანელობდა და ამტკიცებდა ინგლისის სამხედრო ხელისუფლება.

სამოქალაქო ომის ფრონტზე გამარჯვებებისა და საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების შედეგად ინგლისელი ოკუპანტები იძულებული გახდნენ 1920 წლის ივლისში დაეტოვებინათ ბათუმის ოლქი. მათ წასვლისას ბათუმში ააფეთქეს ციხე-სიმაგრეები და სამხედრო იარაღ-საჭურველი შავ ზღვაში გადაყარეს.

1920 წლის 8 ივლისს აჭარაში მენშევიკების ჯარები შემოვიდნენ.

ახლა რამდენიმე სიტყვა „სედაიმილეთის" (ხალხის ხმა) შესახებ. სედაიმილეთელებმა ოლქის მუსლიმანთა კომიტეტი შექმნეს; იგი თურქოფილურ-პანისლამისტურ მიმდინარეობას წარმოადგენდა და საქართველოსაგან აჭარის ჩამოცილების მომხრე

ოყო. როცა თურქეთი, მოკავშირეთა გადაწყვეტილებით, დანაწილდა, მაშინ სედაიმილეთელები დენიკინელების დახმარებით ცდილობდნენ „დამოუკიდებელი“ აჭარის შექმნას, რომლის „მფარველად“ დენიკინს ვარაუდობდნენ.

„სედაიმილეთის“ მეთაურებმა ამ მიზნით შეადგინეს მიმართვა მოკავშირეების სახელზე და სამხედრო გუბერნატორის საშუალებით მოკავშირეებს გადასცეს საზავო კონფერენციაზე განსახილველად. „სედაიმილეთის“ ერთმა ჯგუფმა ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებას განცხადება მისცა ბათუმის ოლქის ოსმალეთთან შეერთების შესახებ.

როგორც ითქვა, ამ პერიოდში პროვოკატორებთან ერთად დიდ როლს ასრულებდნენ მუსავატური აზერბაიჯანის აგენტები ბათუმში; ისინი აზერბაიჯანის კონსულის მეჰმედ-ბეგ ეფენდიევის ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ. მუსავატები ეწოდნენ აგიტაციას აჭარის პატარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფის სასარგებლოდ აზერბაიჯანის პროტექტორატის ქვეშ, რისთვისაც მილიონებს ხარჯავდნენ. ამ პერიოდში მათ ბათუმში დაარსეს აზერბაიჯანული სკოლები, რომლებიც დიდხანს არსებობდნენ.

„სედაიმილეთი“ იყოფოდა ორად — თურქეთის ორიენტაციისა და მეფის რუსეთის ორიენტაციის ჯგუფებად.

ჯერ კიდევ ინგლისის მიერ ბათუმის ოკუპაციის დროს სედაიმილეთელები საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. აჭარის ძირითადი მასა მათ არ თანაუგრძნობდა, პირიქით, აჭარის პროგრესული ძალები „სედაიმილეთის“ მეთაურებს დასცინოდნენ. ხალხში გავრცელებული იყო მათი დამამცირებელი ლექსები.

სედაიმილეთელებსა და საქართველოს ორიენტაციის მქონეთა შორის ცხარე ბრძოლა იყო. ხალხური გადმოცემებით, ცნობილია ასეთი ფაქტი: ერთ-ერთ ოჯახში თავი მოუყრია საქართველოს ორიენტაციის მქონე 10 კაცს. მათ თავს დასხმიათ „სედაიმილეთის“ მომხრეები — 40 შეიარაღებული კაცი, დაუპატიმრებიათ ისინი და მუხაესტატეში ჩაუყვანიათ, სადაც 1.500-მდე სედაიმილეთელი ყოფილა, რომლებსაც „ალაიაში“ გაუტარებიათ ეს 10 კაცი. თურმე დაპატიმრებულებს ყველა იქ მყოფი სახეში აფურთხებდა. ბოლოს ისინი, დახოცვის მიზნით შეუყრიათ ერთ ბნელ

ოთახში, მაგრამ ეს მიზანი ვერ შეუსრულებიათ. ყოფილა ასეთი შემთხვევაც. საქართველოს მომხრეს ბავშვი მოკვდომია და ხოჯას იგი არ დაუმარხავს მანამ, სანამ გარდაცვლილის მშობელს „სედაიმილეთის“ ერთგულებაზე არ დაუფიცებია; მთელი ათი დღის განმავლობაში ბავშვი დაუმარხავი ყოფილა, თუმცა მუსლიმანური რელიგიის მიხედვით იგი იმავე დღეს უნდა დამარხულიყო.

„სედაიმილეთის“ ერთგული ხოჯები საქართველოს მომხრეებს ბოიკოტს უცხადებდნენ, მათ სალამს არ აძლევდნენ, მკვდარს არ უმარხავდნენ, ჯამეში წყევლა-კრულვას უთვლიდნენ და სხვ. „სედაიმილეთის“ ორგანიზაციას იარაღით ამარაგებდა ბათუმის გუბერნატორი კუკ-კოლისი და ამას იგი სჩადიოდა იმ დროს, როცა საქართველოს მთავრობას ბათუმის ოლქის გადაცემას ჰპირდებოდა.

როცა ჩოლოქთან სედაიმილეთელებსა და მენშევიკურ ჯარებს შორის შეტაკება მოხდა, მაშინ დენიკინელები და სედაიმილეთელების ხელმძღვანელები ატყუებდნენ ხალხს, დღეს თუ არა ხვალ თურქები მოვლენ და მანამდე გამაგრდითო. ტყვია-წამლის ყუთებზე გარედან თურქულ წარწერებს განგებ აკეთებდნენ, თითქოს თურქეთიდან ყოფილიყოს გამოგზავნილი. „სედაიმილეთის“ ჯარებს — „მოხალისეებს“ თურქეთის ჯარების წასვლის შემდეგ თურქეთის ჯარების ყოფილი ოფიცრები წვრთნიდნენ.

გაზეთებში არის ცნობები, რომ „სედაიმილეთს“ საკუთარი გაზეთიც ჰქონია. მაგრამ დღემდე მისი არც ერთი ეგზემპლარი ცნობილი არაა. ამ გაზეთის შესახებ დაცულია ასეთი ცნობა: „ბათუმში გამოდის თურქულ ენაზე გაზეთი „სედაიმილეთი“ (ხალხის ხმა). ეს გაზეთი, სანამ ბუტაფორიული ყარსის მთავრობა არსებობდა, ამ მთავრობის ორგანო იყო, შემდეგ მუსლიმანთა პარტიის, ე. ი. პანთურქისტების ორგანოა. ის იცავს ოსმალეთის უფლებებს, ყარს-არტაანისა და ბათუმის ოლქებზე, მოითხოვს, რომ ეს ოლქები ოსმალეთს გადაეცესო“.[1]

სედაიმილეთელები დენიკინელების წაქეზებით ქართული სკოლის წინააღმდეგი იყვნენ. ერთ დღეს ისინი თავს დასხმიან ხუცუბნის სკოლას, რის შესახებაც ვკითხულობთ: „ამ რამდენიმე დღის წინათ ხუცუბნის სკოლას თავს დასხმია შეიარაღებული ბრბო,

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 223.

რომელსაც უტიფრად განუცხადებია, რომ ქართულ სკოლას ისინი ვერ მოითმენენ, რომ შენობა და ყოველივე ქონება უნდა გადასცენ მათ და ისინი მოიყვანენ სკოლაში აზერბაიჯანელ მასწავლებლებს. თუ ეს არ შეგისრულებიათ ამ მცირე ხნის განმავლობაში (დაუდვიათ ვადა), მაშინ ყველას ამოგწყვეტთო."[1]

„სედაიმილეთის" მომხრეები ყანის თესვის დროს თოფით ხელში ებრძოდნენ საქართველოს ორიენტაციის მომხრეებს და მათი ყანა დაუთესავი რჩებოდა. ამის გამო დიდი გაჭირვება და შიმშილობა ჩამოვარდნილა.

„სედაიმილეთის" ხელმძღვანელებზე ხალხმა შეთხზა სატირული ლექსები. აი, ერთი მათგანი:

„რესპუბლიკა დავაარსეთ, რა თქმა უნდა, კვირიკეში,
„სარდლებს" სწავლა მიუღიათ ადგილობრივ ქობულეთში.
დიპლომატები გამოდის კეჩიეთის ფაკულტეტში,
გვეუბნებიან მობრძანდით მუდმივად ამ სამოთხეში."[2]

ან, კიდევ:

„...ოსმან ეფენდი გეგიძე
აღზრდილია სიასეთში (პოლიტიკაში),
განათლება მიუღია
წონიარის მედრესეში,
ნური-ფაშამ დაავალა
ხალხს უქადაგე ჯამეში,
რესპუბლიკას დააარსებ
ჭახათს ზევით — დიდ ვაკეში"...[3]

პანისლამისტებს იმ პერიოდში უკვე საკმაო ქსელი ჰქონდათ გაბმული თითქმის ყველა ქვეყანაში და განსაკუთრებით ჩვენში. პანისლამისტური მოძრაობისა და მისი აჭარაში გავლენის შესახებ გაზეთი „საქართველო" გაზეთ „ტაიმსიდან" ერთ ამონაწერს აქვეყნებდა: „ოსმალეთის ნაციონალური ორგანიზაცია, ენვერისა და ნურის პანისლამისტური ორგანიზაციაა, რომელიც დაღესტანში და ამიერკავკასიაში მუშაობს. ოსმალეთის უკიდურეს მიმდინარეობათა ინტერესი ამ უკანასკნელ ოლქში დიდი ხანია ცნობი-

1 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა." 1920 წ., № 341.
2 გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო", 1918 წ., № 372.
3 აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 157, გვ. 92. (ჩაწერილია ა. ქათამაძის მიერ).

ლია. ოსმალურ ენაზე მოსაუბრე ბათუმის ოლქში მცხოვრებთა შორის დიდი ხანია სწარმოებდა აქტიური პროპაგანდა.“[1]

პანთურქისტები მოსახლეობას ატყუებდნენ — თურქული ენის მასწავლებელმა ქართული რომ არ იცოდეს, უკეთესიაო. ამით მათ ეძლეოდათ საშუალება, რომ თურქეთიდან მოეყვანათ მასწავლებლები თავიანთი შავბნელი საქმეების გასაკეთებლად. მასწავლებელთა ნიღბით ისინი აჭარის სოფლებში სახლდებოდნენ.

ბათუმის ოლქში პანთურქისტები ყოველგვარ ხერხებს ხმარობდნენ და ავრცელებდნენ პანისლამისტურ-პანთურქისტულ პროვოკაციებს. მაგალითად, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1920 წლის 4 ნოემბრის ნომერში მოთავსებული იყო პროკლამაცია, რომელსაც ხელს აწერდნენ ვინმე თევზი (ფევზი), აქიფ, აჰმედ და ნურიდინი. ეს თურქოფილები თავს ქართველი მუსლიმანების მხსნელად აცხადებდნენ.

როგორც ჰაიდარ აბაშიძე აღნიშნავდა, აღნიშნული და მსგავსი გამცემლები აჭარელთა ბედ-იღბლის უკუღმა დატრიალებას ცდილობდნენ. ვინმე ათაბეგოვს შეუდგენია „ბათუმის ოლქის მუსლიმან ხალხის საბჭო“, რომელიც მთელი მუსლიმანების სახელით გამოდიოდა და მათში აჭარლებსაც გულისხმობდა (იგი იმერხეველი ბეგი უნდა ყოფილიყო).

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ ებრძოდა „სედაიმილეთს“, დენიკინელებს, პანთურქისტულ-პანისლამისტურ და სხვა რეაქციულ ძალებს და მიზნად ისახავდა საქართველოსთან აჭარის შეერთებას. მან საკმაო მუშაობა გასწია აჭარლების ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში. მაგრამ, იგი მაინც თურქების მიერ შემოტანილ, ჩვენთვის უცხო რელიგიურ და სხვა ადათ-ჩვეულებებს ხელუხლებლად ინახავდა და იცავდა. თავის ერთ-ერთ მოწოდებაში იგი წერდა:

„ეს ფარხე ავტონომია ნიშნავს იმას, რომ სამაჰმადიანო საქართველო თავის შინაურ საქმეებში თვითონ იქნება თავის ბატონ-პატრონი, გამგე და მმართველი ქვეყნისა, ეყოლება თავისი მთავრობა, თავისი შეიხულ-ისლამი, თავისი შარიათი, თავისი მუფტები, თავისი სასამართლოები, თავისი ყადები, თავისი სკოლა, თავისი გვარდია და სხვა.“[2]

---

1 გაზ. „საქართველო“, 1920 წ., № 70.
2 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., № 1.

როგორც ვხედავთ, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ რელიგიური ფანატიზმისაგან თავისუფალი არ იყო. აღნიშნული კომიტეტი თავს იმით იმართლებდა, რომ ჩვენ ასეთ პოზიციას რელიგიისადმი პოლიტიკური მოსაზრებით ვიჭერთო, მაგრამ ეს სწორი არ იყო.

ამ დახავსებულ ადათებს არა მარტო აღნიშნული კომიტეტი იცავდა, ეს ადათები მენშევიკების დროსაც ძალაში იყო. ამას ადასტურებს 1920 წლის ნოემბერში ბათუმის ოლქის განსაკუთრებული რწმუნებულის გ. გიორგაძის თავმჯდომარეობით შემდგარი საბჭოს დადგენილების მე-9 მუხლი: „სასამართლოს წარმოებაში დასტოვონ შარიათი და ადათი. აგრეთვე დასტოვონ სასამართლოს ძველი შემადგენლობა: ყადი და ორ-ორი წევრი. სასამართლოს თავმჯდომარეობს რაიონის კომისარი“.[1]

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ყველა მიმდინარეობა, შინაგანი თუ გარეგანი ძალები, აჭარას ჰპირდებოდნენ ავტონომიას. ასე, მაგალითად, თურქები, აზერბაიჯანელი მუსავატელები, სომხეთის დაშნაკები, მოკავშირეთა საბჭო, დენიკინელები და სხვ. მაგრამ დაპირება დაპირებად რჩებოდა. ეს საკითხი მაშინ აქტუალური იყო, ამიტომ საქართველოს მენშევიკური მთავრობაც „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს“ ავტონომიას შეჰპირდა. ჯერ კიდევ ადრე, 1918 წლის 25 დეკემბერს, ამის შესახებ მომართვას თვით ნოე ჟორდანია აწერდა ხელს.

1920 წლის 14 იანვარს გამოქვეყნდა ცნობა სამუსლიმანო საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ: „თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს, რომ სამუსლიმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას“.

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა პარლამენტის აღნიშნული დადგენილება, აჭარას ავტონომია მაინც არ მიუღია.

ასე ატყუებდა მენშევიკური მთავრობა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს.

---

1 „ეროვნული საქართველო“, 1920 წ., № 150.

როგორც ვიცით, აჭარაში სხვადასხვა მიმდინარეობათა ჯგუფებს შორის მუდმივი ბრძოლა იყო. „სედაიმილეთის“ რეაქციულ კომიტეტში შედიოდნენ თურქოფილური და მეფის რუსეთის მომხრე ელემენტები, რომლებიც ებრძოდნენ სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს.

ტრაპიზონის სტამბაში თურქულ ენაზე დაიბეჭდა პატარა ბროშურა „გასაყიდი ხალხი“, რომელიც შეეხებოდა აჭარის ავტონომიის საკითხს. „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს“ თითქოს განზრახული ჰქონდა, აჭარის ავტონომიის მოთხოვნით. აჭარის მიყიდვა მენშევიკური მთავრობისათვის. როგორც ვიცით, ამ დროისათვის აღნიშნულ კომიტეტს შედგენილი ჰქონდა აჭარის ავტონომიის პროექტი.

გაზეთ „სოციალ-ფედერალისტის“ 11 მაისის ნომერში (58) ეს მასალა მთლიანადაა გადმობეჭდილი. აღნიშნული წერილი დაწვრილებით იხილავს სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის პროექტს და აკრიტიკებს მას მეხლობრივად. კრიტიკოსის აზრით, თითქოს შეუძლებელი იყო მუსლიმანი ხალხის შესვლა ქრისტიანთა მთავრობის ქვეშევრდომობის ქვეშ.

ნამდვილი ავტონომია აჭარლებს საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, როდესაც აჭარას ავტონომიას ანიჭებდნენ, სწორად გაითვალისწინეს ის მძიმე ხვედრი, რომელიც აჭარელ ქართველობას ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ ერგო. თურქეთის ბარბაროსულმა ბატონობამ აჭარაში უაღრესად დააზიანა მკვიდრთა ენა, კულტურა და სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება.

ისლამურმა ფანატიზმმა საფუძვლიანად შეარყია აჭარელი მოსახლეობის ტრადიციული ქართული საოჯახო კულტურა: აჭარაში დაინერგა დახავსებული, დრომოჭმული წეს-ჩვეულებები, მეტნაკლებად შეიცვალა მკვიდრთა ეროვნული სახე. აჭარისათვის ავტონომიის მიცემა იქნებოდა საუკეთესო საშუალება ჩამორჩენილობისაგან თავის დასაღწევად და ეროვნულ-ქართული კულტურის აღდგენა-აღორძინებისათვის.

გარდა ამისა, იმდროინდელ საგარეო-პოლიტიკურ სიტუაციაში, როდესაც აჭარის შიგნითაც საკმაოდ მრავლად იყვნენ თურქოფილური ელემენტები, აჭარის ავტონომიას უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ საკითხის გადაჭრაში

დიდი როლი ითამაშა 1921 წლის პოლიტიკურმა სიტუაციამ, რაც დაკავშირებული იყო აღმოსავლეთის რევოლუციურ მოძრაობასთან.

*

მეფის რუსეთის ყოფილი გენერლები ყოველგვარ ზომებს მიმართავდნენ, რომ მუსლიმანი ქართველები — აჭარლები დაეპირისპირებინათ ქრისტიანი ქართველებისათვის, ისე როგორც ეს ხდებოდა ცარიზმის დროს: მეფის მოხელეები აჭარლებს სულ იმას ჩასჩიჩინებდნენ, რომ თქვენ ქართველები არა ხართო. აჭარის პროგრესული ძალები მათ ცრუ პროპაგანდას მუდამ ეწინააღმდეგებოდა. ჰაიდარ აბაშიძე ამ დროსაც აჭარელი პროპაგანდისტების ერთი მეთაურთაგანი იყო.

ბათუმის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს მოუნდომია, რომ ჰ. აბაშიძე ჩამოეშორებია ქართველი საზოგადოებისაგან. ამ მიზნით იგი დაუბარებია და მისთვის ასეთი დარიგება მიუცია: შენ მუსლიმანი ხარ, ბეგის შვილი, რა საქმე გაქვს მაგ ქართველებთანო. აბაშიძეს უთქვამს: მე მინდა მაჰმადიან ქართველებში შევიტანო ეროვნულ-ქართული შეგნება, რომ ისინი თურქები კი არ არიან, არამედ ქართველებიო. მაშინ ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს გულმოსულად უპასუხნია: — თურქების ჩვენ არ გვეშინია, არც აჭარლებისა, ქართველები კი ჩვენთვის უფრო საშიშია; ისინი „ბუნტოვჩიკები" არიანო. მიუხედავად ხანგრძლივი ცდისა, ჟანდარმერიამ ვერ მოახერხა აბაშიძის გადაბირება და შემდეგ იგი 1916 წელს გაასახლა ბათუმის ოლქის ფარგლებიდან. ჟანდარმერიის უფროსის განკარგულებით აბაშიძე კავკასიის ფარგლებიდან უნდა გაესახლებინათ, მაგრამ მას მოწინავე ქართველი საზოგადოება დაეხმარა და იგი მხოლოდ ბათუმის ოლქის ფარგლებიდან გააძევეს. ამის შემდეგ ჰ. აბაშიძე ჭიათურაში მსახურობდა.

მეფის შავრაზმელები ქართველებში ხედავდნენ რევოლუციურ სულს და ამიტომ მათ დევნიდნენ, ხოლო თურქების აგენტებთან კარგ განწყობილებაში იყვნენ. ეს მაშინ ხდებოდა, როცა თურქეთის კონსული აჭარის სოფლებში თავისუფლად დადიოდა და თავის შავ-ბნელ საქმეს ახორციელებდა, ხოლო არც ერთ ქართველს არ ჰქონდა ნება წასულიყო აჭარის სოფლებში.

არქივში დაცულია მასალები იმის შესახებ, თუ როგორ ზვერავ-დნენ აჭარის სოფლებში გავლილ ქართველებს, კერძოდ კი გურულებს, და მათ მიმართ მთელ რიგ „ბრალდებებს“ თხზავ-დნენ.

მეფის მოხელეები ცდილობდნენ მიემხროთ თურქოფილურად განწყობილი ადამიანები და დაერაზმათ ისინი ქართველების წი-ნააღმდეგ. ამით მეფის მოხელეებს უნდოდათ თავისი ნაციონა-ლისტურ-შოვინისტური პოლიტიკის განხორციელება.

მეფის შოვინისტი მოხელეები ყოველ ღონეს მიმართავდნენ იმისათვის, რომ შეურიგებელი მტრობა დაეთესათ ქართველ ტო-შებს შორის. ისინი განზრახ მოაწყობდნენ ხოლმე რომელიმე აჭარელის მკვლელობას და ამაში ბრალს რომელიმე იმერელს ან გურულს დასდებდნენ. საკმარისია მოვიყვანოთ ხოჯა მემედ-ეფენ-დი ყილიჩოღლის მკვლელობის მაგალითი. იგი ჟანდარმერიამ მოა-კვლევინა და მკვლელობა გურულებს გადააბრალა.

თურქოფილები და სხვა ჯურის ელემენტები ყოველგვარ პროვოკატორულ გეგმებს ადგენდნენ ჟანდარმთა კანცელარიაში და შემდეგ მას ახორციელებდნენ. წერდნენ აჭარლების სახელით სხვადასხვა განცხადებებს, თითქოს აჭარლები მოითხოვდნენ გურულებისა და იმერლების სამსახურიდან დათხოვნას, იმათ გა-ძევებას აჭარის ფარგლებიდან და სხვ. განცხადებებზე აკეთებდ-ნენ 100—200 აჭარელის ყალბ ხელწერას.

მეფის მოხელეები ასეთი ბოროტი განზრახვების განსახორ-ციელებლად განგებ ეძებდნენ გადაგვარებულ პირებს. მაგალი-თად, როცა მათ მეფის ხელისუფლების რომელიმე მოწინააღმდე-გის მოშორება სურდათ, მრნახავდნენ რომელიმე გადაგვარებულს, ჩაადენინებდნენ მკვლელობას და ამას საპროვოკაციოდ გამოი-ყენებდნენ.

როგორც იყო თქმული, ხოჯები მეფის ხელისუფლების ერთ-გული დამცველნი იყვნენ, ისინი ყოველი დროის მიხედვით ქამე-ლეონივით იცვლიდნენ სახეს. მაგალითისათვის შეიძლება დავასა-ხელოთ ბათუმის ორთა ჯამის იმამი სურმანიძე, რომელიც ჯამე-ში დღე და ღამე სულთანის სასარგებლოდ ლოცულობდა, ხალხში ანტირუსულ განწყობილებას ქმნიდა, ხოლო ამავე დროს რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე ფიცულობდა. იგი 1914 წელს კონ-ტრაბანდის უბნის ყადად იყო. სურმანიძე დაუჯილდოებიათ მედ-

ლით რომანოვების დინასტიის არსებობის 300 წლისთავთან დაკავშირებით.[1]

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, სურმანიძე 1920 წელს მეჯლისის წევრიც ყოფილა და მეჯლისს სახელით გაუგზავნიათ საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან სპეციალური დავალებით.

მან თავისი მდგომარეობის შენარჩუნება საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიაც მოახერხა.

აჭარის სამუფთიო წარმოადგენდა ისლამის პროპაგანდის ცენტრს. მას იყენებდნენ მტრული ქვეყნები. აქ ხდებოდა სხვადასხვა ქვეყნიდან შემოგზავნილთა თავშეყრა. ისინი იცვლიდნენ სარწმუნოებას, სახელსა და გვარს და ეწეოდნენ ჯაშუშობას.

რევოლუციის შემდეგ ბათუმში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა: ბათუმის ოკუპაცია ჯერ თურქების, შემდეგ კი მოკავშირეთა მიერ, თეთრგვარდიელთა თარეში და სხვ., რაც 1917 წლიდან 1921 წლის 18 მარტამდე გაგრძელდა, მძიმე უღლად დააწვა მოსახლეობას.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში აჭარა მეტად აუტანელ პირობებში იმყოფებოდა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. მას აწიოკებდნენ და არბევდნენ ყველა ქვეყნის მომხვდურები. თურქეთის საოკუპაციო ხელისუფლების აღვირახსნილობას საზღვარი არ ჰქონდა. ინგლისელი ოკუპანტები და მენშევიკური მთავრობის საგანგებო რწმუნებულები ბათუმის ოლქში ყოველგვარ ბოროტებას სჩადიოდნენ; მათ ხელს უწყობდნენ ადგილობრივი პანთურქისტები და სხვა მოღალატეები. მოსახლეობას არბევდნენ არა მარტო ოკუპანტები, არამედ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც.

ასეთი მდგომარეობის გამო სისტემატურად ხდებოდა აჯანყებები როგორც სოფლად, ისე ქალაქად. 1920 წლის იანვარში მომხდარ ამბოხებას მენშევიკური მთავრობა ხულიგნურ გამოსვლად ნათლავდა, რადგან მშიერი ხალხი სავაჭროებს და დუქნებს არბევდა.

ამ მდგომარეობას ნათლად გადმოგვცემს 1920 წლის 13 იანვარს გამართულ პროფკავშირულ კრებაზე სიტყვით გამოსული ვინმე მუშა სტეფანოვი:

---

1 აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 408.

„...არ შეიძლება მომხდარი ამბების ხელოვნური გამოსვლებით მონათვლა. ეს იყო მშიერი ხალხის „ბუნტი“, თუ გინდათ რომ შეგნებულმა მუშებმა მონაწილეობა მიიღონ ყველაფერში და 12 იანვრის ამბების განმეორება შეუძლებელი გახადონ, უფლებებიც უნდა მოგვცენ, საჭიროა საალყო წესების მოხსნა, რომ თავისუფლად შეკრება შეგვეძლოს.“[1]

ამ დროს ბათუმში შავი ჭირი მძვინვარებდა.

მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლების მოქმედება აჭარაში აუტანელი იყო. ისინი ბოლშევიკებს გასაქანს არ აძლევდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკური მთავრობის მიერ საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების თანახმად საქართველოში კომუნისტური პარტია ნებადართული იყო, მენშევიკები მაინც დევნიდნენ კომუნისტებს და საპყრობილეში სვამდნენ.

მენშევიკური მთავრობის საგანგებო რწმუნებული ბ. ჩხიკვიშვილი ბათუმის ოლქში მოსახლეობას არბევდა, დევნიდა კომუნისტებს. ბათუმის კომუნისტებმა იცოდნენ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შინაარსი და ამიტომ ჩხიკვიშვილს სთხოვეს კომუნისტური ორგანიზაციის თავისუფალი მოქმედების ნებართვა. ამაზე მან ასე უპასუხა:

„თუ თბილისის ბოლშევიკების შეხედულებას იზიარებთ, ლეგალური არსებობის ნებართვას ჩემგან ნუ ელოდეთ.“[2]

ჩხიკვიშვილის უსამართლო მოქმედებას საზღვარი არ ჰქონდა. ადგილობრივი მოსახლეობის ამბოხებითა და აჯანყებით შეშინებული მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა ჩხიკვიშვილის მაგივრად საგანგებო რწმუნებულად ბათუმის ოლქში დაენიშნა სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

როგორც ითქვა, ბათუმის კომუნისტები თავისას მაინც აკეთებდნენ, ამზადებდნენ მოსახლეობას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

მენშევიკების კატასტროფულ მდგომარეობას თვით ნ. ჟორდანიაც ვერ მალავდა.

მენშევიკები ბათუმიდან ვრანგელს ამარაგებდნენ სათბობითა და სხვა მასალებით. 1920 წლის 25 ივნისს ი. ბ. სტალინი ვ. ი.

---

1 გაზეთი „ერთობა“, 1920 წ., № 15.

2 ციტირებულია ი. ხაჩაპორიძის წიგნიდან „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში“, 1954 წ., გვ. 351.

ლენინისადმი გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „...სათბობს (თხევადს) ვრანგელი იღებს ბათუმიდან (მაშასადამე, ბაქო სათბობს არ უნდა აძლევდეს თბილისს, რომელსაც შეუძლია იგი ბათუმს მიჰყიდოს).“[1]

მენშევიკური მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეწყო თეთრგვარდიელებისათვის. ამას ადასტურებს ნ. ჟორდანიასა და ბრიტანეთის გენერალ ბიჩის საუბარი. აი რას ეუბნება გენერალი ბიჩი ჟორდანიას:

„ევროპაში იტყვიან, რომ პატარა საქართველომ, რომელმაც ასე ბევრი დაკარგა და დაიტანჯა, სოჭის საკითხში იმდენად გამოიჩინა უნარი ბრძნული სახელმწიფოებრიობისა, რომ ბოლშევიკებთან ბრძოლის გულისათვის გაიღო მსხვერპლი, შეუთანხმდა რა მოხალისე ლაშქარს და ამით დენიკინს შესაძლებლობა მისცა გადაესროლა შავი ზღვის ნაპირიდან დიდი ძალები ბოლშევიკების ფრონტზეო“.

მენშევიკური საქართველო რომ იარაღს აწვდიდა ვრანგელს, ამას თვით ლოიდ ჯორჯიც ადასტურებდა: ინგლისის პარლამენტში ლოიდ ჯორჯმა დეპუტატების შეკითხვაზე განაცხადა, რომ საქართველო აწვდის ვრანგელს იარაღსო.

ჯერ კიდევ ადრე 1918 წ. მენშევიკური საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა ეკატერინოდარში გენ. ალექსეევსა და ყუბანის რადას განუცხადა: «Меньшевики бьют в одну точку с Алексеевым».[2]

ბათუმის ოლქის სხვადასხვა უბნებში თურქეთის აგენტების გავლენა რომ დიდი იყო, ამას თვით ჟორდანიაც ვერ უარყოფდა. ინგლისელ გენერალთან საუბარში იგი ამბობდა: ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ართვინელებმა უარი განაცხადეს თანამდებობის პირის მიღებაზე, რომელიც გენერალ-გუბერნატორმა დანიშნა, და დასძინეს, რომ ოლქის უფროსს მათ გამოუგზავნის ყარსის მთავრობაო.

რასაკვირველია, ინგლისელების ხელშეწყობით და ხელმძღვანელობით, აქ მოქმედებდა რეაქციული „სედაიმილეთის“ ორგანიზაცია; ამავე ორგანიზაციის მეოხებით ივნისში მუხაესტატეში, ჩოლოქთან, აგრეთვე ჭვანაში და ხულოში სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა. ხულოში მომხდარ შეტაკებას აჭარლებსა

1 ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 4, 1948 წ., გვ. 365.
2 Г. К. Орджоникидзе, Статьи и речи, 1956 г. стр. 176.

და ქართველ ჯარს შორის თვით ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი „სედაიმილეთის“ ავანტურას მიაწერს: „ამ აგიტაციას ხელს უწყობდა „სედაიმილეთის“ კომიტეტი. მან და სხვა მოვლენებმა გამოიწვია საქართველოს წინააღმდეგ აჭარლების ამხედრება და იარაღით გამოსვლა.“[1]

სედაიმილეთელთა რაზმი, რომელიც მონაწილეობდა ხულო-ჭვანაში მომხდარ ბრძოლებში, შედგებოდა არა მარტო ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან, არამედ მასში გაერთიანებული იყვნენ დენიკინელი, დაშნაკი და თურქი ოფიცრები და ადგილობრივი ყაჩაღები — ცნობილი ბაიკოზოღლი და სხვები.

ამ ყაჩაღთა ბანდამ ამოჟლიტა ხულოში დაბანაკებული ქართველი ჯარისკაცები, რომლებიც აქ გადმოიყვანეს ახალციხიდან. ცნობილია, რომ ამ პერიოდში ახალციხე-ქვაბლიანში და აჭარაში სერვერ-ბეგ ქვაბლიანსკის მტაცებლური რაზმი თარეშობდა. იგი ხშირად აღნიშნულ რაიონებში და ყარს-არტაანში თავდასხმებს აწყობდა, რის გამო ამ რაიონის მოსახლეობა მის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდა. სწორედ ამ ნიადაგზე ხულოს რაიონის მცხოვრებლები ბოლქვაძეების მეთაურობით ჩავიდნენ ახალციხეში და მოითხოვეს ქართველი ჯარების დახმარება. მათი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და ხულოში ჩამოიყვანეს ორი ასეული. როგორც ზემოთ ვთქვით, ეს ასეულები მსხვერპლი შეიქნა „სედაიმილეთელთა“ ყაჩაღური ბანდისა. ამ ჯარის ნაწილი ძილის დროს ამოხოცეს და დანარჩენი, როგორც სამხედრო ტყვეები, ინგლისის საოკუპაციო ჯარებს ჩააბარეს. ამ ბნელ საქმეში სედაიმილეთელებთან ერთად ბრალი მიუძღვით ინგლისელ ოკუპანტებს.

აღნიშნული დანაშაული მიეწერება აგრეთვე მენშევიკური მთავრობის უხეირო პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო მოსახლეობაში შუღლისა და უნდობლობის დანერგვისაკენ. კომუნისტებთან ბრძოლის საბაბით ისინი მთელ რაიონებს აწიოკებდნენ.

მენშევიკებმა ახალციხეში 26 ჯარისკაცი დახვრიტეს იმის გამო, რომ მათ უარი განაცხადეს აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაზე. საინტერესოა თუ როგორ აფასებდა თვით მენშევიკური გაზეთი მენშევიკების მდგომარეობას: 1920 წლის 16 ნოემბრის გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე ვკითხულობთ: „მდგო-

1 გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, 1920 წ., № 375.

მარეობა საერთოდ კატასტროფულია სახელმწიფო ცხოვრების ყველა დარგში. ესაა კრიზისი არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური და მორალური. ეს სრული გაკოტრებაა — თუ დღეს არა, ხვალ ჩვენი ქვეყანა უფსკრულში ჩავარდება".

მსგავსი სასოწარკვეთილი ხასიათის სტატიებს ვკითხულობთ სხვა გაზეთებშიაც: „მენშევიკურ პარტიას შეუძლია გამოისყიდოს თავისი შეცდომები მხოლოდ პოლიტიკური სიკვდილითო".

მეტად სასაცილოა ის ფაქტი, რომ მენშევიკები პარტიაში ჩაწერის საქმეში იშველიებდნენ სავაჭრო ორგანიზაციებსა და თვით ვაჭრებს.

აი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი განცხადების ნიმუში:

„საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ბათომის კომიტეტი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა აცხადებს, პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ

პარტიაში ჩაწერა

და სარეგისტრაციო კვიტანციების მიღება შეიძლება.

1. ნოტარიუს ქარცივაძის კანტორაში (მარინეს პროსპექტი), სადაც მოთავსებულია მთავარი სარეგისტრაციო ბიურო.

2. ვლადიმერ რუხაძესთან (ქუთაისის ქუჩა — რკინის მაღაზია)...

ამავე პირებთან შეიძლება პარტიულ ლიტერატურაზე ხელის მოწერა და შემოწირულების მიღება".

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკური მთავრობის საგანგებო რწმუნებული და სხვები დევნიდნენ მუშათა მოძრაობას, ამ დროს ბათუმში მაინც ჰქონდა ადგილი მასობრივ გამოსვლებს, რომლებიც მიმართული იყო მენშევიკების წინააღმდეგ. საგანგებო რაზმების უფროსები მუშათა ყოველგვარ მოძრაობას ჩანასახშივე ახშობდნენ. 1920 წლის გაზეთ „საქართველოს" № 157-ში ამის შესახებ წერია: „საგანგებო რაზმის უფროსის ბ-ნ კედიას განკარგულებით დატუსაღებულ იქნა ამ დღეებში არალეგალურად დაარსებული „მეზღვაურთა კავშირი", რომელიც რესპუბლიკის მეზღვაურთა კავშირს არ ექვემდებარებოდა და აგრეთვე გემზე აღმართა ბოლშევიკური დროშა საბჭოთა კონსულის წინადადებით. დატუსაღებულნი გაგზავნეს ქალაქ ქუთაისის ციხეში".

როგორც იყო თქმული, ქართველი მენშევიკები ევროპის სოციალისტი გამცემლების, მეორე ინტერნაციონალის იდეათა მიბაძვით ეხმარებოდნენ იმპერიალისტებს. მაშინ საქართველო „ევროპის იმპერიალისტების სათარეშო მოედნად იყო ქცეული. მაგალითად, კარლ კაუცკი, რომელიც მენშევიკების პოლიტიკას იწონებდა, 1920 წლის სექტემბერში საქართველოში ჩამოვიდა. მასთან ერთად ჩამოვიდნენ „სოციალისტები", მეორე ინტერნაციონალის ლიდერები: ვანდერველდე, მაკდონალდი, რენოლდი და სხვები. კაუცკი ბათუმიდან 30 სექტემბერს ჩავიდა თბილისში. მას იქ დიდი საზეიმო შეხვედრა მოუწყეს, იქ მან მოხსენება გააკეთა. ისინი ორ კვირას დარჩნენ საქართველოში, შემდეგ უკან გაემგზავრნენ, ხოლო კაუცკი 20 დეკემბრამდე თბილისში დარჩა.

აღნიშნულ „სოციალისტებს" ასეთივე დიდი შეხვედრა მოუწყეს ბათუმის მენშევიკებმაც ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში.

ქართველმა მენშევიკებმა თავიანთი ბატონობის ხანმოკლე პერიოდში საქართველოს ისტორიაში დატოვეს სამარცხვინო ფურცელი.

საინტერესოა მოვიყვანოთ კ. კაუცკის აზრი ჩამორჩენილი და დაწინაურებული ერების შესახებ:

„მარქსი ნათლად ამბობდა, რომ ერთ ერს შეუძლია ისწავლოს სხვა ერისაგან და ამით საკუთარი განვითარება დააჩქაროს. მარქსის თეორიას არ შეესაბამება მხოლოდ ის შეხედულება, თითქოს ჩამორჩენილ ერს შეეძლოს უჩვენოს სოციალისტური განვითარების მაგალითი და გზა ეკონომიურად დაწინაურებულ ერებს".[1]

კაუცკის ოპორტუნისტული თეორიის მიხედვით, თითქოს რუსები და საერთოდ ბოლშევიკები ჩამორჩენილი იყვნენ და მათ არ შეეძლოთ სხვისთვის მაგალითის მიცემა. სინამდვილემ გააცამტვერა უს შეხედულება; ჩამორჩენილმა რუსეთმა ოქტომბრის რევოლუციის შედეგად სოციალიზმი ააშენა და დაწინაურებულ ევროპასაც კი გაუსწრო.

კაუცკი ბოლშევიკებს ურჩევდა კურსი აეღოთ დასავლეთისაკენ, „უცხო ერის კაპიტალისტებისაკენ. ამნაირად, ამგვარი სა-

---

1 კაუცკი, სოციალიზმის პირობები და პერსპექტივები საქართველოში, 1920 წ., გვ. 9.

ერთაშორისო დახმარებისათვის მიმართვა იქნება, მიმართვა უმთავრესად უცხო კაპიტალისტებისადმი, რომელიც მხოლოდ იქ იბრუნებს პირს, სადაც მას მოგება ეგულება. ეს ძალიან არასასიამოვნო ფაქტია სოციალისტური რეჟიმისათვის, მაგრამ ეკონომიური აუცილებლობა ულმობელი რამ არის და მის წინააღმდეგ. აღშფოთება ვერ გვიშველის, საჭიროა ასე თუ ისე შევეწყოთ მას".[1]

კაუცკის ამ რჩევას მენშევიკური მთავრობა თანმიმდევრობით ახორციელებდა. -ნაცვლად საბჭოთა კავშირთან ურთიერთობისა, ის დაემონა იმპერიალისტებს და ქართველი ხალხის ინტერესები მიჰყიდა უცხოეთის კაპიტალს.

კ. კაუცკის საქართველოში მოსვლამდე, 1920 წლის იანვარში, დამფუძნებელ კრებაზე ნ. ჟორდანიამ ბოლშევიკების წინააღმდეგ განაცხადა: ჩვენს გზას მივყევართ ევროპაში, რუსეთისას კი აზიაში. მტრები იტყვიან, რომ ჩვენ იმპერიალიზმის მხარეზე ვართ. ამიტომ მე აქ გადაჭრით უნდა განვაცხადო: დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია აღმოსავლეთის -ფანატიკოსებსო.

ჰ. აბაშიძე 1920 წელს გაზეთ „ერთობის" № 49-ში აჭარაში შექმნილი მდგომარეობის გამო აქვეყნებს წერილს სათაურით: „ხმა სამუსლიმანო საქართველოდან". იგი კვლავაც ქადაგებდა, რომ აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და სასტიკ ბრძოლას უცხადებდა აჭარელთა ინტერესების გამცემლებს.

ლაპარაკობდა რა სამხრეთ საქართველოს შესახებ, აბაშიძე გამოთქვამდა სინანულს იმის გამო, რომ რუსეთის რევოლუციის შემდეგ აჭარა კვლავ უუფლებო მდგომარეობაში დარჩა. „ამ უკანასკნელი ომის და რუსეთის დიდი რევოლუციის ხანაში ჩვენ ვფიქრობდით, ჩვენ კუთხესაც რაიმე საშუალება დაადგებოდა და ის იქნებოდა გამოსული სამშვიდობო ასპარეზზე დედა-საქართველოსთან შეერთებით... მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ აი ასეთი ნატვრა, ხალხის ტანჯული და წამებული გულიდან ნაღვლიანი ამოძახილი, ჯერჯერობით მოკავშირეების მხრივ უყურადღებოდაა დატოვებული, რის გამოც, სამუსლიმანო საქართველო ასე უფლება და ღირსება აყრილი, ბოღმით ავსილი და თვალცრემლიანი დასტირის თავის ბედს... მოკავშირეებმა

---

1 კაუცკი. სოციალიზმის პირობები და პერსპექტივები საქართველოში. 1920 წ., გვ. 23.

იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. კარგი, პატიოსანი. მერე შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა გარეშე სამუსლიმანო საქართველოსა?.. ამის შემდეგ განა უდიდესი უსამართლობა არ არის საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება და მისი რუქიდან ამ კუთხის (აჭარის) გარეთ დატოვება?!."

ჰ. აბაშიძე საბოლოოდ რწმუნდებოდა, რომ მოკავშირეები საქართველოსა და განსაკუთრებით სამუსლიმანო საქართველოს სასარგებლოდ არაფერს გააკეთებენ.

ჰ. აბაშიძე დიდ იმედებს ამყარებს პრესაზე. მისი ინიციატივით მესხეთში გამოსცეს გაზეთი ე. წ. „განახლებული მესხეთი". ამ გაზეთის პირველ ნომერში მოთავსებულ წერილში „სამუსლიმანო საქართველოს ხალხის მიმართ" იგი წერდა: „ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ გაზეთი სავსებით დაიცავს ჩვენი მშრომელი ხალხის ინტერესებს, რომ მას მთელი ხალხი ამოუდგება გვერდში და რომ გაზეთი დიდ როლს შეასრულებს სამუსლიმანო საქართველოსა და საქრისტიანო საქართველოს გაერთიანების საქმეში, რომ გაზეთი ბოლომდე ამხელს აღა-ბეგების მუქთახორობასა და გამცემლობას, ჩვენი აღა-ბეგები ამიტომ თავგამოდებით იბრძვიან, ისინი ხედავენ, რომ მათ ბატონობას მშრომელ მოსახლეობაზე ბოლო მოეღება... სწორედ ამას გაურბიან ჩვენი ბეგები და მუქთახორები, ამიტომ არის, რომ ისინი არავითარ პროვოკაციას და დემაგოგიას არ ერიდებიან ამ ორი ძმის გათიშვისათვის, რათა ამით შეინარჩუნონ ბატონობა და მუქთახორობა ჩვენს კუთხეში".

ახასიათებს რა ბეგებისა და სხვა მუქთახორების თავგასულობას, იგი იმედს გამოთქვამს, რომ ჩვენი მშრომელი გლეხკაცობა გამოიღვიძებს და არ მისცემს მათ უფლებას, რომ მის კისერზე გასუქდნენ.

„დადგა დრო, ჩვენმა ქართველ მუსლიმანთა მშრომელმა ხალხმაც გამოიღვიძოს, შეიგნოს ეს ყოველივე, მისი ბედი მანვე აიღოს ხელში და საქრისტიანო საქართველოს მშრომელ ხალხთან ძმობა-ერთობით, ხელიხელჩაკიდებული გასწიონ წინ ტანჯულთა, მაშვრალთა ბედნიერებისა და კეთილდღეობის მოსაპოვებლად".

ასე მძლავრად ისმოდა მშრომელთა ინტერესების დამცველის ჰ. აბაშიძის ხმა.

მენშევიკები თავისი არსებობის უკანასკნელ პერიოდში, როცა აღარ შეეძლოთ ხელისუფლების შენარჩუნება, ცდილობდნენ ბათუმი გადაეცათ ანტანტისათვის.

1920 წლის 29 ოქტომბერს ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს ბაქოში უგზავნის შემდეგი შინაარსის დეპეშას: „უეჭველად მიმაჩნია, რომ საქართველო ბათუმს მისცემს ანტანტას, ალბათ, საიდუმლოდ და რომ ანტანტა გამოილაშქრებს ბაქოს წინააღმდეგ. მოიფიქრეთ და საჩქაროთ მოამზადეთ ბაქოს სახმელეთო და საზღვაო მისადგომების გამაგრების, მძიმე არტილერიის მიზიდვის ზომები და სხვა. გვაცნობეთ თქვენი გადაწყვეტილება“.[1]

მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოში მძიმე ეკონომიური მდგომარეობა იყო. ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობა შეჩერდა. მუშას თავისი დღიური ხელფასით შეეძლო ეყიდა მხოლოდ 600 გრამი ფქვილი. მენშევიკური მთავრობის ბრძანებაში მოქალაქეთა პურით მომარაგების შესახებ ნათქვამი იყო: „მომარაგების სამინისტროს რწმუნებულთა მიერ ნაყიდ ხორბალში ნამდვილი პური არის 40—50 პროცენტი, დანარჩენია ქვიშა, ქვა, ბალახი, ჩალა, მათრობელა, ბრუალა და სხვა.“[2]

თვით ბათუმში უარესი მდგომარეობა იყო. ადგილობრივად მარცვლეულის მოსავალი არ იყო. პური ოკუპანტებმა გაზიდეს და ბათუმის ოლქის მოსახლეობა შიმშილობდა.

მენშევიკური მთავრობა, რომელიც გაკოტრებული იყო, ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერებს შეუთანხმდა.

აზერბაიჯანის მუსავატური და სომხეთის დაშნაკური „მთავრობების“ გაკოტრების შემდეგ, როცა იქ საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, მუსავატებმა და დაშნაკებმა ისევე, როგორც თეთრგვარდიელთა ჩრდილო-კავკასიურმა „მთავრობამ“, თავშესაფარი ქართველ მენშევიკებთან ჰპოვეს.

საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ რუსეთის საბჭოთა მთავრობას აგრესიული განწყობილება არ ჰქონია. პირიქით, როცა ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ არ იყო გაბატონებული და საბჭოთა არმიის ნაწილები იმზადებოდნენ ბაქოელების დასახმარებლად, ლენინი 1920 წლის 17 მარტს სერგო ორ-

1 ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტ. 31. გვ. 441. 1952 წ., მეოთხე გამოცემა.

2 ციტირებულია მ. დუმბაძის სტატიიდან. „ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან“, ბათუმი. პედინსტიტუტის შრომები, ტ. 2, გვ. 56.

ჯონიკიძეს უგზავნის დეპეშას: „ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად, უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ; ამასთან აუცილებელია განცხადებებში უაღრესი დიპლომატიურობა გამოიჩინოთ და მაქსიმალურად დარწმუნდეთ მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომზადებაში. იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ მას კიდევ უფრო ფრთხილად მოეპყარით. ჯარების გადაყვანაზე შეუთანხმდით მოაყარსარდალს.“[1]

საქართველოს მიმართ ლენინი ყოველთვის სიფრთხილეს იჩენდა. მაგალითად, 1920 წლის 5 მაისს სერგო ორჯონიკიძეს სწერდა, რომ საქართველოს საზღვრებიდან ჯარის ნაწილები გამოიყვანეო. ამავე რიცხვში ლენინი და სტალინი სერგო ორჯონიკიძეს უგზავნიან დეპეშას:

„ცენტრალური კომიტეტი გავალებთ გამოიყვანოთ ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვარზე და თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან.

თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ ცხადია, რომ საქართველოსთან ზავი გამორიცხული არ არის, დაუყოვნებლივ გვაცნობეთ მთელი უზუსტესი ცნობები აჯანყებულთა შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით

ლ ე ნ ი ნ ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.“[2]

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ ორჯონიკიძე აცხადებდა:

«Я должен заявить в самой категорической форме, что Москва все время была решительно против каких бы то ни было конфликтных отношений с Грузией».[3]

თუმცა ამ დროს საქართველო მთლიანად აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული და მდგომარეობა ძლიერ კრიტიკული იყო, მაგრამ საბჭოთა რუსეთი მაინც მშვიდობიანად იყო განწყობილი საქართველოს მიმართ. ამას ადასტურებს 1920 წლის 7 მაისს დადებული რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება. მაგრამ მენშევიკებმა ეს ხელშეკრულება ბოროტად გამოიყენეს. 1921 წლის 17 თებერვალს თბილისში შეიქმნა აზერბაიჯან-ჩრდილო კავკასიის კომიტეტი, რომელიც მიზნად ისახავდა აღნიშნული მხარე-

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 35, 1953 წ., მეოთხე გამოცემა, გვ. 470.
2 იქვე, გვ. 474.
3 Г. К. Орджоникидзе, Статьи и речи, 1956 г. стр. 175.

უბიდან ბოლშევიკების განდევნას. მენშევიკურმა მთავრობამ ეს კომიტეტი სცნო, როგორც ამ ხალხის „ნების გამომხატველი“.

ეს გაკოტრებული კომიტეტი პირდაპირ დირექტივებს აძლევდა საქართველოს. მენშევიკური მთავრობა მას უყოყმანოდ ასრულებდა. კომიტეტი აგროვებდა ჯარს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგალითად, 1921 წლის 19 თებერვალს საქართველოს მთავრობის რწმუნებულს ბათუმის ოლქში — გიორგაძეს სწერდნენ, რომ აზერბაიჯანის მოქალაქენი 20 — 35 წლამდე გაეგზავნა ცენტრალურ გასაწვევ პუნქტზე თბილისში. ამ კომიტეტს ჯარების შეგროვების საქმეში აქტიურ დახმარებას უწევდნენ რამიშვილი და საბახტარაშვილი. მენშევიკური მთავრობა გამოსავალს ვეღარ ხედავდა, ამიტომ ყოველგვარ მაქინაციას მიშართავდა, რათა გამოეწვია რუსეთ-თურქეთს შორის წინააღმდეგობის გაღვივება, ცდილობდა იმპერიალისტების დახმარებით თავისი არსებობის შენარჩუნებას, მაგრამ ყოველივე ეს ამაო აღმოჩნდა. ამიტომ მენშევიკური მთავრობა საქართველოს აჯანყებულ მშრომელ მოსახლეობას გაექცა და ბათუმის ოლქი თურქეთს ჩაბარა. ისინი ჯარის ნაწილებს ავალებდნენ, თითქოს ფრონტის ხაზის გასწორების — შემოკლების მიზნით. არტაანიდან და ართვინიდან ჯარები ახალციხეში და ბათუმში გადმოეყვანათ. ისინი აცხადებდნენ, რომ თურქეთის ჯარები შემოვიდოდნენ ბათუმის ოლქში. დაიკავებდნენ საზღვრებს ახალციხესა და ოზურგეთს შორის, ხოლო თვით ქალაქ ბათუმს ხელს არ ახლებენო. ეს აშკარა ტყუილი იყო.

ჯერ კიდევ ადრე, 1921 წლის 16 თებერვალს, შექმნილი მდგომარეობის გამო საქართველოს რევოლუციური კომიტეტი ლენინს სწერდა: საქართველო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების ალშია გახვეული, და იმედს გამოვთქვამთ დახმარების შესახებო. სწორედ ამ დროს საბჭოთა არმია ღებულობს სათანადო ბრძანებას საქართველოს მშრომელი ხალხისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ და იწყება გადამწყვეტი ბრძოლა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

საბჭოთა არმიის დახმარებით ქართველმა ხალხმა გმირული ბრძოლით დაამხო მენშევიკური მთავრობა და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში ააფრიალა წითელი დროშა. ამავე დღეს სერგო ორჯონიკიძემ ლენინსა და სტალინს აცნობა:

„თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

დაშნაკურ სომხეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის წარმოებულ ბრძოლებთან დაკავშირებით საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ, 1921 წლის 28 თებერვალს ლენინი წერდა:

„...სომხეთისა და საქართველოს შეტაკებას არ შეეძლო ჩვენ არ ავეღელვებინეთ, და ამ ამბებმა გამოიწვიეს ის, რომ სომეხ-ქართველთა რბი აჯანყებად იქცა, რომელშიც რუსეთის ჯარების გარკვეული ნაწილიც მონაწილეობდა. და ეს იმით გამოვდა, რომ სომხეთის ბურჟუაზიის მზაკვრობა ჩვენს წინააღმდეგ, დღემდე შაინც, მის წინააღმდეგვე შებრუნდა და შებრუნდა ისე, რომ თბილისში, უკანასკნელი ცნობებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შემოწმებული, საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა.“[1]

ლენინი ქართველ მენშევიკებს ასე ახასიათებდა: „...ჩვენ ჩინებულად ვიცით, რომ ქართველი ბურჟუაზია და ქართველი მენშევიკები ეყრდნობიან არა მშრომელ მასებს, არამედ თავიანთი ქვეყნის კაპიტალისტებს, ეს კაპიტალისტები კი შარს ეძებენ, რათა საომარი მოქმედება დაიწყონ...“[2]

ლენინი ძლიერ დაინტერესებული იყო საქართველოთი. 1921 წლის 2 მარტს იგი სერგო ორჯონიკიძესა და საქართველოს რევკომს მიესალმა და დაუსახა საქართველოს შემდგომი განვითარების ახალი ამოცანები.

1921 წლის 4 მარტს საბჭოთა ჯარები შეეიდნენ აფხაზეთში, 9 მარტს — ზუგდიდში, 10-11 მარტს — ქუთაისში, 13 მარტს — ფოთში, ხოლო მენშევიკების თანხმობით თურქებმა 7 მარტს დაიკავეს ახალციხე, 11 მარტს კი — ბათუმი.

როგორც ვთქვით, მენშევიკები გრძნობდნენ, რომ მათი არსებობის უკანასკნელი წუთები დათვლილი იყო და ამიტომ საბჭოთა არმიის ბათუმში შესვლამდე უკვე მომზადებული იყვნენ ემიგრაციისათვის.

თურქეთის ჯარების სარდლობა ფართო მიზანს ისახავდა. მას იმთავითვე ურთიერთობა ჰქონდა მთიელთა კონტრრევოლუციური კომიტეტის წევრებთან. სარდალ ქაზიმ-ბეის მათი დახმარე-

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, 1952 წ., მეოთხე გამოცემა, გვ. 175-176.
2 იქვე, გვ. 177.

ბით კავკასიის ხელში ჩაგდება უნდოდა. ბათუმში მყოფმა თურქთა ჯარებმა 17 მარტს, დილის 10 საათზე, ფოსტა-ტელეგრაფი დაიკავეს, შემდეგ მილიციის სადგომები და ა. შ.

ამავე დღეს ბათუმში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, რომლის უმრავლესობა საპყრობილიდან ახლად გათავისუფლებული იყო.

საღამოს 9 საათზე რევკომი გადადის ბათუმის ციხე-სიმაგრის შენობაში. რასაკვირველია, ეს ხდებოდა რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ხელისშეწყობით. რევკომმა გამოყო თავისი რაზმები ქალაქის მნიშვნელოვანი ადგილების დასაკავებლად და თურქებისაგან სტრატეგიული ადგილების განთავისუფლებისათვის დასახა სხვა ღონისძიებანი.

მენშევიკები და მათი მთავრობა ბოლომდე დარჩნენ ქართველი ხალხის მოღალატეებად. როცა ქართველმა ხალხმა თბილისსა და მთელ აღმოსავლეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა, მენშევიკებმა ბათუმში კიდევ ერთი მუხანათობა ჩაიდინეს — მათ საბჭოთა არმიის სარდლობას 1921 წლის 16 მარტს აცნობებს, რომ 17 მარტს ქუთაისში მოვაწყოთ მოლაპარაკებაო. ეს დრო მათ უნდოდათ იმისათვის, რომ ბათუმის თურქებისათვის გადაცემა და თავიანთი გაქცევა მოეწყოთ. ეს ასეც მოხდა. საინტერესოა ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილესა და საქართველოს რევკომის წარმომადგენელს შორის 1921 წლის 16 მარტს გამართული საუბარი პირდაპირი მავთულით. რევკომის წარმომადგენელი თბილისიდან ეკითხება მენშევიკების წარმომადგენელს ქუთაისში:

„მართალია თუ არა ყარაბექირის ცნობა. რომ თქვენმა მთავრობამ გადასცა მის ჯარებს ბათუმი და ვითომ ბათუმი დაიკავეს ოსმალეთის ჯარებმა 11 მარტს“.

მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელმა უპასუხა:

„არ არის მართალი. ბათუმში, მართალია, არის ანგორის პატარა ჯგუფი, რომელიც შემოვიდა ჩვენის თანხმობით, ხოლო თვით ქალაქში, ციხეში და აგრეთვე ოლქში ჩვენი სრული დომინიზაციაა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მხრივ. ანგორის ჯარის ნაწილები დარჩებიან იქ იმ დრომდე ვიდრე, ამაზე ჩვენი თანხმობა იქნება“.

მენშევიკების წარმომადგენელი: „რაც შეეხება საკითხს თუ ჩვენ რაზე უნდა ეისაუბროთ, მგონია რომ საჭიროა საუბარი ბევრ რამეზე“.

რევკომის წარმომადგენელი: „ეს ოკუპაციაა — თუ გინდ ანგორის შეიარაღებული ორი ასკერის ყოფნა ოკუპაციას ნიშნავს“...

ამის შემდეგ მალე მენშევიკები ბათუმიდან საზღვარგარეთ გაიქცნენ. „მთავრობა“ გაიპარა. საბჭოთა არმიამ ბათუმი დაიკავა და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ასე დასრულდა მენშევიკების სამარცხვინო და მოღალატური არსებობის დღეები საქართველოში.

საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაამხეს მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორების ხელისუფლება და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში და 18 მარტს აჭარაში გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, 1921 წ. 22 მარტს ფ. მახარაძე საქ. რევკომის სახელით აჭარის მშრომელებს უგზავნის შემდეგი შინაარსის დეპეშას: „ძმებო და ამხანაგებო, აჭარის მუშებო და გლეხებო! ბოლო მოეღო თქვენს ტანჯვა-წამებას: თქვენ განთავისუფლებული ხართ... ამ საზეიმო და დიდმნიშვნელოვან წუთს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა მთელი მსოფლიოსა და ყველა ქვეყნების მუშების წინაშე საჯაროდ აცხადებენ — დღეიდან აჭარა და აჭარის ხალხი სრულიად თავისუფალი იქნება. აჭარის ხალხს ენიჭება ავტონომიური მმართველობა საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე...“[1]

ამგვარად, რუსი ხალხის ძმური დახმარებით, ორჯონიკიძისა და კიროვის უშუალო ხელმძღვანელობით და ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის შედეგად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი, თავისუფალი და დამოუკიდებელი საბჭოური ცხოვრების ბრწყინვალე ხანა დაიწყო.

საქართველოში საბჭოთა არმიის შემოსვლასთან დაკავშირებით 1921 წლის 10 მარტს ვ. ი. ლენინი კავკასიის ფრონტის რე-

1 გაზ. კომუნისტი, 1921 წ. № 16,

ვოლუციურ საბჭოს, საქართველოს რევკომს და პირადად ს. ორჯონიკიძეს უგზავნის შემდეგი შინაარსის დეპეშას:

„იმის გამო, რომ მეთერთმეტე არმიის ჯარების ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, წინადადება გეძლევათ სრული კონტაქტი დაამყაროთ საქართველოს რევკომთან და ზუსტად შეუფარდოთ თქვენი მოქმედება რევკომის დირექტივებს, საქართველოს რევკომთან შეუთანხმებლად არ მიიღოთ არავითარი ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ შელახონ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, განსაკუთრებული პატივისცემით მოეკიდოთ საქართველოს სუვერენულ ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინოთ ქართველი მოსახლეობის მიმართ. დაუყოვნებლივ მიეცით სათანადო დირექტივა არმიის ყველა დაწესებულებას, მათ შორის განსაკუთრებულ განყოფილებასაც. პასუხისგებაში მიეცით ყველა, ვინც ამ დირექტივას არღვევს. გვაცნობეთ ხოლმე დარღვევის ყოველი შემთხვევის და ადგილობრივ მოსახლეობასთან თუნდაც უმცირესი უთანხმოებისა და გაუგებრობის შესახებ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი.“[1]

მენშევიკურმა მთავრობამ გაპარვისას თან გაიტაცა ქართველი ხალხის უძვირფასესი განძი — კულტურის ძეგლები, რომელთა ღირებულება უდრიდა 10.471.770 მანეთს ოქროთი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, 10 აპრილს, ლენინსა და სტალინს საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი ს. ორჯონიკიძე უგზავნიან შემდეგი შინაარსის დეპეშას: „დეე იცოდეს მთელმა ქვეყანამ, დეე იცოდენ ყველა ქვეყნის მშრომელებმა ის უკანასკნელი სისაძაგლენი, რომელნიც ჩაიდინა საქართველოს მთავრობამ ტფილისიდან სამარცხვინო გაქცევის დროს. რამდენიმე ათას მუშა გლეხების რიცხვი, რომელნიც უკანდახევის დროს გაიტაცა საბოლოოდ გახრწნილმა მენშევიკურმა ბანდებმა, სრულიად უდანაშაულო ქალები ბავშვები და მოხუცები, რომელთაც სცემდნენ და აწვალ-აწამებდნენ.

მენშევიკური ჯალათების რამიშვილის, სულაქველიძის, ფაჩულიას და სხვ., გაბოროტებამ იქამდე მიაღწია, რომ ქუთაისიდან

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 35, 1953 წ., მეოთხე გამოცემა, გვ. 506,

დახევის დროს მათ გამოიყვანეს ციხიდან რამოდენიმე კომუნისტი, მათ შორის მარდალეიშვილი, უკლება და სხვა და მხეცურად წამების შემდეგ დაგლიჯეს ისინი და დანაშაულის კვალი რომ დაეფარათ, მათ გვამებზე დაასხეს ბენზინი და დასწვეს".[1]

1921 წელს, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით, (დეკრეტი № 54) 16 ივნისს შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. განდევნილ იქნა ძველი რეაქციული, შავი მეჯლისი და შეიქმნა ახალი, დროებითი რევოლუციური წითელი მეჯლისი. ამ მეჯლისის დელეგატები ვ. ი. ლენინს სწერდნენ:

„მოსკოვი, კრემლი, ამხ. ლენინს.

ძვირფასო ამხანაგო ლენინ!

დღევანდელი დღით აჭარისტანის მშრომელთა ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა... ჩამოვედით რა ყველა სოფლებიდან ჩვენი აჭარისტანისა, რიცხვით 260 კაცი თავის პირველ ყრილობაზედ, ჩვენ დელეგატებმა მივიღეთ რა მონაწილეობა ერთად ბათუმის პროლეტარიატთან, ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულში, მივიღეთ რა მონაწილეობა თქვენი, მთელი ქვეყნის მშრომელთა სახელოვანი ბელადისა ძეგლის აგებაში და გავხსენით რა შემდეგ ჩვენი ყრილობა, ამოგირჩიეთ თქვენ ძვირფასო ამხ. ლენინ ჩვენს საპატიო თავმჯდომარედ. გატყობინებთ რა ამას, გიძღვნით თქვენ, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის უდიდეს სულის ჩამდგმელს, მხურვალე სალამს და გისურვებთ დღეგრძელობას მთელი ქვეყნის მშრომელთა საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს მსოფლიო დიდ რევოლუციის დიდ ბელადს ამხ. ლენინს."[2]

ზემოხსენებული წითელი მეჯლისი 1921 წ. 22 ივნისის დეკრეტით გაფორმდა „ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტად". ამავე დეკრეტით მოხდა ფაბრიკა-ქარხნებისა და მსხვილი მიწების ნაციონალიზაცია. აჭარის ღარიბმა გლეხობამ 5.000-მდე დესეტინა მიწა მიიღო.

---

1 გაზეთი „სოციალ-ფედერალისტი", 1921 წ., № 34.
2 აჭარის სახ. არქივი, ფონდი № 11, საქ. 5, ფ. 2.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩამოყალიბების დღიდან ფართოდ გაიშალა სოციალისტური მშენებლობა.

საქართველოს ახლადშექმნილი რესპუბლიკის პოლიტიკურ განმტკიცებასთან ერთად ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა მისი სამეურნეო აღორძინების საკითხებს, კერძოდ, მურღულ-კვარცხანის სპილენძის საბადოების კონცესიის საკითხს. 1921 წლის 17 ივნისს იგი ასეთ დეპეშას უგზავნის ს. ორჯონიკიძეს:

„...ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, თუ თურქებისაგან კონცესიით მივიღებდით სპილენძის იმ სამადნეებს ბათუმის სამხრეთით რომლებიც მათ დარჩათ. შემატყობინეთ, გადადგმულია თუ არა ნაბიჯები და რა ნაბიჯები...

ლ ე ნ ი ნ ი“.[1]

ვ. ი. ლენინი დიდად იყო დაინტერესებული საქართველოს ეკონომიური განვითარებით. რ. კ. პ. (ბ) მე-10 ყრილობაზე იგი ამბობდა: „...წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ...“[2]

ამ დროისათვის აჭარა ძლიერ ჩამორჩებოდა, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების მხრივ.

საბჭოთა ხელისუფლების შეუნელებელი ზრუნვის შედეგად, მისი არსებობის ათეული წლების მანძილზე ამ საქმეში უდიდესი გარდატეხა მოხდა. დღეს აჭარაში მრავალი ფაბრიკა და ქარხანაა: ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი, მანქანათმშენებელი, გემთშემკეთებელი, მომთუთიებელი, ფანერის, ტყავის, კოფეინის, ლუდის ქარხნები, ციტრუსკომბინატი, თამბაქოს, სამკერვალო, ფეხსაცმლის და ჩაის 15 ფაბრიკა და სხვ.

დღეს აჭარაში 18 საბჭოთა მეურნეობა და 155 გამსხვილებული კოლმეურნეობაა; მათ შორის 43 მილიონერია.

აჭარაში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში, ადამიანები ბედნიერად და საამურად ცხოვრობენ. თუ წინათ, სულთანის ბატონობის დროს, აჭარა წერა-კითხვის უცოდინარობის მხარე იყო, დღეს იგი მთლიანად წერა-კითხვის მცოდნეა. თურქეთის რეჟიმის დროს აჭარაში ჯამე-მედრესეს გარდა არც

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, 1953 წ., მეოთხე გამოცემა, გვ. 539.
2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, 1952 წ., მეოთხე გამოცემა, გვ. 329.

ერთი სკოლა არ იყო, ახლა კი 400-მდე დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო და სპეციალური სკოლაა. წინათ აჭარაში ვერ ნახავდით ვერც ერთს უმაღლესი განათლების მქონეს, დღეს აქ ასობითა და ათასობით მოიპოვება აგრონომები, მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები, იურისტები, მსახიობები და სხვა პროფესიების მუშაკები; კიდევ მეტი, მეცნიერების ხარისხის მქონენი — მეცნიერებათა დოქტორები, კანდიდატები და სხვა. ჩვენს პატარა მხარეში ათი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებაა, ერთი უმაღლესი სასწავლებელი, ერთი სახელმწიფო თეატრი, 200 კლუბი, 100 ბიბლიოთეკა, 50-მდე კინოთეატრი და კინოდანადგარი, 10 კულტურის სახლი, 2 მუზეუმი და სხვა მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

აჭარის მშრომელთა ცხოვრებაში უდიდესი ცვლილებები მოხდა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში აჭარის მშრომელებმა საბოლოოდ დააღწიეს თავი საუკუნოვან ჩამორჩენილობას. ისინი განთავისუფლდნენ ყოველი პროგრესულის ჩამხშობი თურქული რეჟიმის მიერ ნაანდერძევი შავბნელი მემკვიდრეობისაგან. აჭარის მკვიდრნი უკვე კარგახანია გაუსწორდნენ დედა-სამშობლოს მშრომელ ქართველობას. აჭარლები სოციალისტური ქართველი ერის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

აჭარის მშრომელები დიდ როლს ასრულებენ თავისი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური საქართველოს — საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ერთად ქართველი ხალხი განუხრელად მიემართება კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

დ ა ს კ ვ ნ ა

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მკითხველთა ფართო საზოგადოებას გააცნოს სამხრეთ საქართველოს მშრომელი მოსახლეობის გმირული ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული თვითმყოფობისათვის.

საქართველოს ისტორია უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაა. ქართველი ხალხი ამ ბრძოლაში იცავდა და ქმნიდა საკუთარ მატერიალურ და სულიერ კულტურას. რომაელების, სპარსელების, ბერძნების, არაბების, მონღოლების, თურქ-ოსმალების და სხვათა წინააღმდეგ ქართველთა მიერ გადახდილი ბრძოლები ბრწყინვალედ არის აღბეჭდილი ჩვენი სახელოვანი ისტორიის ფურცლებზე.

ქართველი ხალხის ერთობლივი ბრძოლის საერთო ფრონტს თურქეთის ურდოებმა დროებით ჩამოაშორეს სამხრეთი საქართველო და მისი მამაცი შვილები. თურქმა მოძალადეებმა სამცხე-საათაბაგოს მიტაცების შემდეგ გადაბუგეს ეს მდიდარი მხარე, მოსპეს და გაანადგურეს მისი სულიერი და მატერიალური კულტურა. მათ ცეცხლითა და მახვილით დაამკვიდრეს იქ თავიანთი ველური მმართველობა, ადათ-წესები და დანერგეს ისლამის სარწმუნოება.

სამხრეთ საქართველოს ქართველების ბრძოლა ოსმალთა ყოვლისჩამხშობი რეჟიმის წინააღმდეგ საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა.

სამხრეთ საქართველოს მუსლიმანი ქართველები ოსმალეთის დამპყრობლური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში მარტონი არ ყოფილან, მათთან ერთად იბრძოდა მთელი საქრისტიანო საქართველო.

დედასამშობლოს მოგლეჯილი ნაწილის აღდგენისა და კვლავ გამთლიანებისათვის ბრძოლა ქართველი ხალხის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა.

ქართველი ხალხის ამ მისწრაფებამ მხოლოდ რუსეთის დახმარებით ჰპოვა სათანადო წარმატება.

რუსეთ-საქართველოს კავშირს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ისინი ერთიმეორეს დიდი განსაცდელის წლებში დაუკავშირდნენ და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების შედეგად მოახერხეს 1878 წელს სამხრეთ საქართველოს ღვიძლი ნაწილის აჭარის და მთელი ბათუმის ოლქის შემოერთება. ამრიგად, რუსი ხალხის ძმური დახმარებით ქართველმა ხალხმა გმირული, შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დაკარგული ძმები კვლავ დაიბრუნა და მოაშორა იმ დუხჭირ, შავბნელ ცხოვრებას, რომელიც მათ ბარბაროს თურქთა ბატონობამ თავზე მოახვია.

დაჩაგრული ძმების კვლავ შემოერთებამ ქართველი ხალხის უდიდესი აღტაცება გამოიწვია. იმდროინდელი პრესა სავსე იყო ქართველ მოღვაწეთა მიერ ამ დიდი მოვლენისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი წერილებით. უცრემლოდ ვერ წაიკითხავს კაცი ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ს. მესხის და სხვების წერილებს, რომლებიც აჭარა-ქობულეთის და მთელი სამხრეთ საქართველოს შემოერთების გამო უდიდესი აღტაცებისა და სიხარულის გრძნობითაა გამთბარი.

ამ ფაქტმა ფეხზე დააყენა ქართველი ხალხი. შემოერთებული ძმებისადმი ეკონომიური და სულიერი დახმარების ნაკადი დღითიდღე ძლიერდებოდა.

1877-1878 წლების ომით მიყენებული ჭრილობები აჭარამ თანდათან მოიშუშა და აღორძინების გზას დაადგა. დაიწყო მრეწველობის არაჩვეულებრივი განვითარება და ჩქარა ეს მხარე ამ დარგში კავკასიაში მეორე ადგილზე გამოვიდა. რიგი ღონისძიებების განხორციელების შედეგად ჭაობში ჩაფლული, ჩამორჩენილი ბათუმი თანდათან დაწინაურდა და მოწინავე ქალაქთა რიგებში ჩადგა.

გაპარტახებული და ძლიერ დაქვეითებული სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზას დაადგა.

თუ ამ მხარის მოსახლეობა წინათ მასობრივად წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ამიერიდან დიდი ყურადღება მიექცა სკოლების ქსელის გაფართოებას. ამ საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად ბათუმში ვითარდება მუშათა კლასი. ფეხს იდგამს მუშათა მოძრაობა. ბათუმის მუშათა მოძრაობა ადრევე დაუკავშირდა რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას. როცა რუსეთის ხალხი აღდგა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, მათ გამოძახ-ლზე ქართველ მუშებთან და გლეხებთან ერთად ფეხზე დადგნენ აჭარის მშრომელები. რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში აჭარის მშრომელებმა სასახელო ფურცელი ჩასწერეს.

1914 წელს, პირველი იმპერიალისტური ომის დროს, აჭარის მოსახლეობამ დიდი განსაცდელი განვლო, მას ფიზიკური განადგურება ელოდა, მაგრამ ქართველმა მოძმეებმა ენერგიული და თავდადებული ბრძოლით გადაარჩინეს ისინი სრულ განადგურებას.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აჭარას კვლავ დაემუქრა ოსმალთა მიერ ოკუპაციის საშიშროება, რასაც ხელს უწყობდა პანისლამიზმისა და პანთურქიზმის მიმდევართა პროპაგანდა მოსახლეობაში. ამ პროპაგანდის წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდნენ აჭარის პროგრესული ძალები, მათ შორის დიდი დაძსახურება მიუძღვის ჰაიდარ აბაშიძეს, რომელიც სათავეში ჩაუდგა ამ მოძრაობას. მისი ღვაწლი სამხრეთ საქართველოს დედასამშობლო — საქართველოსთან შეერთების საქმეში ფასდაუდებელია. იგი თავდადებით ემსახურებოდა ამ წმინდა საქმეს და დიდი ამაგი დასდო თავის ქვეყანას.

მაშინ არსებულ პირობებში ამ დიდი კეთილშობილური მიზნის განხორციელება შეუძლებელი იყო, რადგან თვით მენშევიკური მთავრობა ევროპის იმპერიალიზმის მონობაში იმყოფებოდა; სამხრეთ საქართველოს ხელში ჩაგდებისათვის იბრძოდნენ როგორც თურქეთი, ისე თეთრგვარდიელები და მათი მოკავშირეები.

მიუხედავად სიძნელეებისა, ჰ. აბაშიძე ყოველნაირად ცდილობდა ხალხში დაენერგა ოსმალთა მიერ მიტაცებული რაიონების საქართველოსთან შეერთების აუცილებლობის იდეა და დაერწმუნებინა ისინი ამ იდეის პროგრესულობაში.

ჰაიდარ აბაშიძე აჭარაში მეფის რუსეთის. შოვინისტი მოხელეებისა და თურქოფილ რეაქციონერთა თარეშის დროს თავგამოდებით იბრძოდა ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობისათვის; იგი ესარჩლებოდა მშრომელ აჭარელ მოსახლეობას, ხსნდა იქ სკოლებს, ნერგავდა განათლებას და გამანადგურებელ პასუხს

აძლევდა ყველა ჯურის მოღალატეებს, რომლებიც აჭარლებსა და ქართველებს ერთმანეთს უპირისპირებდნენ. მას ღრმად სწამდა, რომ საქართველოსთან გამთლიანებული აჭარლობა ახალი ცხოვრების გზაზე გამოვიდოდა და მალე დააღწევდა თავს ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შედეგად მიღებულ შავბნელ მემკვიდრეობასა და ჩამორჩენილობას.

აჭარელთა ნამდვილი განთავისუფლების, განათლებისა და საერთოდ სოციალურ-ეკონომიური აღორძინების საქმე, რისთვისაც ჩვენი ხალხი და მისი მოწინავე მოღვაწეები იბრძოდნენ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განხორციელდა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
სამხრეთ საქართველოს დაპყრობა ოსმალეთის მიერ	14
საქართველოს რუსეთთან შეერთება და სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა	51
სამხრეთ საქართველოს ნაწილის რუსეთთან შეერთების შესახებ	139
1905 წლის რევოლუციის გამოძახილი ბათუმის ოლქში	161
ჰაიდარ აბაშიძის როლი მაჰმადიან ქართველთა ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში	203
დასკვნა	294

რედაქტორი მ. დუმბაძე

ტექრედაქტორი კ. ჩხარტიშვილი
კორექტორი შ. დარჩია

※ ※

გადაეცა წარმოებას 1956 წლის 24 ივლისს, ხელმოწერილია დასაბეჭდად 19 დეკემბერს, ქაღალდის ზომა 60X92 1/16, 18,75 საბეჭდი, 15,26 საავტორო, და 15,32 სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმა, დაკვეთა № 3781, ემ01425, ტირაჟი 5000.

ფასი 12 მან.

※ ※

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია.
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).